

კაატა გუგუშვილი

# სახალხო მშენებელს წარმოუბა ჯა განვითარება

მრეწობათა

ბრძოლი პირველი

პირველი ნაწილი

!

სახალხო მშენებელს გამოცემის  
ტფილისი 1931

სახელგამის 1-ლი სტამბა, პლეხანოვის პროსპ. № 91.  
მთავარლიტრი № 630. შეკვეთის № 462. ტირაჟი 3.000.

## წინასიტყვაობის მაგიერ

წინამდებარე ქრესტომატია შედგენილია, დაახლოებით, რამდენადაც ხელმისაწვდომ მასალათა. შერჩევა ამის შესაძლებლობას იძლეოდა, საქართველოს პედაგოგიურ და საფინანსო-კოოპერატიულ ინსტიტუტებში წარდგენილი „სახალხო მეურნეობის ისტორიის“ პროგრამის მიხედვით. ამასთანავე მხედველობაში გვეჭონდა არა მარტო პროგრამის, მინიმუმის დაკმაყოფილება, არამედ მისი მომავალი სრულყოფა-ცვალებადობა, და ამავე დროს ის გარემოებაც, რომ ქართულ ენაზე სათანადო ლიტერატურა თითქმის სრულიად არ არსებობს. ამგვარად, და აგრეთვე ქვემოთ დასახელებული მიზეზების გამო, ეს წიგნი არ წარმოადგენს ჩვეულებრივ „სახელმძღვანელოს“.

არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ დღეს, ასე მალაღლი ტემპებისა და ჩვენი ცხოვრების საფუძვლიანი გარდატეხების, სოციალისტურა რეკონსტრუქციის ეპოქაში მუშათა კლასის სულ მოწარდ კულტურულ და პრაქტიკულ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს საერთოდ მეცნიერება (თეორია), კერძოდ და განსაკუთრებით, ეკონომიური მეცნიერება, თუ, ცხადია, მხედველობაში არ მივიღებთ თვით მეცნიერული კომუნიზმის მამამთავართა შრომებს. ამიტომ საჭიროა მწყობრ სასწავლო სისტემით შედგენილი სახელმძღვანელოები. მაგრამ სიძნელეც სწორედ იმაშია, რომ საჭიროა მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის საფუძველზე შედგენილი წიგნები.

ამ მხრივ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ, ეს ქრესტომატია არ არის უშუალო სახელმძღვანელო წიგნი. ეს უფრო „სამუშაო წიგნია“, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას ხელმძღვანელის მეთაურობით ლაბორატორიულ მუშაობის პროცესში. ცხადია, რომ ჩვენ, წინდაწინ

გაფრთხილების გარეშე ვერ ურჩევთ ამ წიგნით სარგებლობას თვით-  
განვითარების გზაზე შემდგარ მუშა მკითხველებს, რომლებშიაც დღეს  
ასე დიდია მისწრაფება მეურნეობის განვითარების ფორმაციათა შეს-  
წავლისაკენ. ამგვარად, მკითხველი ვინც ხელმძღვანელის გარეშე მო-  
კიდებს ამ წიგნს ხელს ჯერ უნდა გაეცნოს მეურნეობის ისტორიაზე  
რომელიმე, თუნდაც ძლიერ მოკლეთ შედგენილ დიალექტიურ-მატე-  
რიალისტური თვალსაზრისით დაწერილ ნაშრომს. აქვე გვაქვს საბა-  
ზი აღვნიშნათ, რომ სწორედ ასეთი წიგნის \*) უქონლობამ გამოიწვია,  
რომ ამ ქრესტომატიისათვის დაგვეროთო, ცოტა არ იყოს ვრცელი  
„შესავალი“, სადაც მოცემულია მინიმუმი იმ მასალისა რომლის სა-  
ფუძვლიანი შესწავლის შემდეგ მკითხველს შეეძლება უფრო უკეთ  
გაერკვეს მთელ მასალებში და გამოიტანოს დიალექტიურ მატერია-  
ლისტურად გამართლებული დასკვნები, რადგან „ისტორიის მხოლოდ  
მატერიალისტურ გაგებას შეაქვს სინათლის შუქი ამ ქაოსში (ეკონ ო-  
მიურ, პოლიტიკურ, მორალურ და სხვა „ფაქტორებში“); მხოლოდ  
იგი იძლევა საზოგადოებრივი მეურნეობის განსაკუთრებულ წესზე  
ფართო, მთლიან და გონიერი შეხედულების შემუშავების შესაძლებ-  
ლობას, შეხედულებას იმ საზოგადოებრივი მეურნეობის წესსზე, რო-  
მელიც ადამინის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების განსაკუთრე-  
ბული წყობის საძირკველია“ (ლენინი: ტ. II. გვ. 519).

შემდგენელის ზემოდ მოყვანილი შეხედულება ამ ქრესტომატიაზე  
გამომდინარეობს იქედან, რომ მასში წარმოდგენილია ისეთი, უმთავ-  
რესად ბურჟუაზიული, მეცნიერები, რომლებიც მეტად შორს სდგანან  
ისტორიის დიალექტიურ მატერიალისტური გაგებასთან, და აგრეთვე  
აშკარა მექანიკური გადახრებიანი „მარქსისტებიც“. ამავე დროს კი,  
უნდა ითქვას, ამ ავტორთათვის გვერდის ავლა შეუძლებელი იყო,  
რამდენადაც სახალხო მეურნეობის ისტორიის ფრიად მრავალი და  
სერიოზული პრობლემები ორტოდოქსალურ მარქსისტ-ლენინელ-  
თა ხელში ჯერ კიდევ მხოლოდ დამუშავების პროცესში იმყოფება და  
რამდენადაც შემდგენელის სურვილი იყო მოეცა, ასე თუ ისე, ყვე-  
ლა მნიშვნელოვან პრობლემებზე, არსებულთა შორის უკეთესი და  
შერჩეული მასალები, რომლის დროსაც, ანგარიშგასაწევია, ჩვენ

\*) აღვნიშნავ, რომ ამ მხრივ ცოტა რამ უკვე გაკეთებულია. ქართულად  
გამოცა: მორის დობის — „კაპიტალისტური მეურნეობის წარმოშობა და  
განვითარება“. თარგმანი პ. გუგუშვილის რედაქციით, საფინ. კოოპ. ინსტი-  
ტუტის გამოცემა. 1931. ტფ.; მზადდება აგრეთვე დასაბეჭდად მისივე საერთო  
რედაქციით: ვ. რეიშისის — „შესავალი მეურნეობის ისტორიაში“.

ვხელმძღვანელობდით იმ მოსაზრებითაც, რომ ეს მასალები ყოფილიყო მოკლე, კონკრეტული და თანაც ადვილად გასაგები ენით დაწერილი. ხოლო, თუ რამდენად მივალწიეთ ამ მიზანს ეს დაკვირვებული და მიუდგომელი მკითხველის მსჯელობის საგანს შეადგენს.

რაც შეეხება წარმოდგენილ მასალათა სისტემატიზაციას, ე. ი. მათი ისტორიულად თანმიმდევარ საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციათა (წარმოების წესთა) მიხედვით დალაგებას, აქ ჩვენ მივდევდით მარქს-ენგელს-ლენინის მიერ მოცემულ პერიოდიზაციას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი მარქსისტულ მეცნიერებაში დღემდეც სადაოა, აქ ჯერ კიდევ მრავალი უთანხმოებაა. ჩვენ აქ საშუალება არა გვაქვს ამ საკითხზე შეჩერებისა\*), რადგან ტენიკური მიზეზებისა გამო ამ ქრესტომატიის პირველ ტომში (ის ისედაც მოზრდილი გამოვიდა) არ იბეჭდება ჩვენი წერილი: „მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებზე“, რომელიც აწი დაერთვის ამავე ქრესტომატიის მეორე ტომს, როგორც წინასიტყვაობა. მაგრამ კიდევ რამოდენიმე სიტყვა მასალათა ცალკე თავების მიხედვით დალაგების შესახებ; როგორც ვსთქვით ამ შემთხვევაში ჩვენ მივსდევთ მარქსიზმის მიერ მოცემულ პერიოდიზაციას, ამავე დროს კი, რადგან ქრესტომატია უნდა მსახურებდეს, უმთავრესად, როგორც „სახელმძღვანელო“ და თვითგანვითარებისათვის „სამუშაო წიგნი“, ჩვენ ცალკე თავებში ვიძლევიტ არა ყოველთვის მთლიანად ერთ რომელიმე ფორმაციას, არამედ უმრავლეს შემთხვევაში ის დაყოფილია ქვესაკითხებად, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, მეურნეობის ამა თუ იმ გარდამავალი ეპოქებისა და ფორმების მიხედვით; მაგალითად, ფეოდალიზმის ფორმაცია ჩვენ მიერ მოცემულია არა ერთ, არამედ რამოდენიმე თავში, რომ მისი შეთვისება უფრო გაგვეადვილებინა. ამავე დროს ქრესტომატიული გამოცემის მოთხოვნილებისამებრ, ასე თუ ისე, ესა თუ ის თემა მთლიანადაა ამოწურული მისთვის განკუთვნილ თავში. ესაა მიზეზი, რომ, მაგალითად, „ხე-

\*) დაინტერესებულ მკითხველათვის: ჟურნ. „Историк Марксист“ მე-XV და მე-XVI და შემდეგი ტომები; ჟურნ. „Под Знаменем Марксизма“ № 2 — 5; 7 — 8 (1930 წ.). Дубровский — „К вопросу о сущности «азиатского» способа производства, феодализма, крепостничества и торгового капитала“; М. Кокин и Папаян — „Цзин-Тянь“, Аграрный строй древнего Китая, ლ. მაღიარის წინასიტყვაობა; ერთი წიგნი ტფილისშიაც გამოცა: „Об азиатском способе производства“, დისკუსია ბერინის მოხსენების გარშემო, 1930, „Заккнига“ და სხვ.

ლოსნობა“ და „შინამრეწველობა“-ში ჩვენ თავი მოუყარეთ მასალებს რომლებიც მათი ფარგლებით შორს სცილდებიან ფეოდალიზმის ფორმაციას, თუმცა უმთავრესად იქიდან გამომდინარეობენ, და იჭრებიან კაპიტალიზმის პერიოდში, მაშინ როდესაც ეს ქრესტომატია (I ტომი) წრეშეწერილია საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების სამი ფორმაციით: პირვანდელი ფორმებით მეურნეობისა (პირველყოფილი კომუნისმი), ანტიური ანუ მონათმფლობელური მეურნეობითა და ფეოდალიზმით. რაც შეეხება წარმოების აზიურ წესს, რომელიც მარქსის პერიოდიზაციით პირველ ორ ფორმაციათა შორის უნდა მოცემულიყო, ჩვენ გვერდი აუარეთ, მაგრამ, უმთავრესად, არა იმიტომ. რომ ის ჯერჯერობით რჩება მხოლოდ როგორც პრობლემა (ასეთ შემთხვევაში ჩვენს წიგნს, როგორც ქრესტომატიას „არავითარი“ დაბრკოლება არ გადაელობებოდა), არამედ იმიტომ, რომ სათანადო, გამოსადეგი, მასალები ამ მხრივ ჯერ კიდევ არ არსებობს.

უნდა აღენიშნოთ კიდევ ერთი გარემოებაც, რომ ჩვენ ამ წიგნში გარდა ნარკვევებისა, წერილებისა და ნაწყვეტებისა, დავბეჭდეთ აგრეთვე ეთნოგრაფიული აღწერილობითი მასალები (პირველ ორ თავში), რაიც ნაკარნახევი იყო ერთის მხრივ იმით, რომ უკანასკნელ ხანებში. თვით მარქსისტთა შორისაც აღმოჩნდნენ მკვლევარები (მაგალითად, ჰ. კუნიცი<sup>1)</sup> გერმანიაში, პ. კუშნერი<sup>2)</sup> — რუსეთში), რომლებიც, მოჰყვენ რა კ. ბიუხერის<sup>3)</sup> გავლენის ქვეშ, უარყოფენ პირველყოფილი კომუნისმის არსებობას. და ამ მხრივ, ნაცვლად იმისა რომ დაგვემძიმებინა ჩვენი ქრესტომატია მათი ნარკვევთა დაბეჭდვით, უფრო მიზანშეწონილად ესტანით მოგვეცა პირდაპირ ეთნოგრაფიული მასალები „პირველყოფილ“ ხალხთა მეურნეული ცხოვრების შესახებ, საიდანაც უშუალოდ ამ წიგნის მკითხველსაც ეძლევა შესაძლებლობა (ასეთი მასალების ქართული თარგმანები საე-

---

1) იხ. განსაკუთრებით ჰაინრიხ კუნიცის უკანასკნელი დიდი ოთხტომიანი ნაშრომი: Allgemeine Wirtschaftsgeschichte. (პირველი ტომი გამოცემულია რუსულად, Всеобщая история хозяйства, 1929.

2) П. Кушнер — Очерк развития общественных форм, მეშვიდე გამოცემა, 1929, Москва.

3) K. Bücher — Die Entstehung der Volkswirtschaft; მეხუთე რუსული გამოცემა: Возникновение народного хозяйства 1923, Петроград; კ. ბიუხერის შეხედულება პირველყოფილი მეურნეობის შესახებ, რამდენადაც ვიცით, „მარქსისტთა“ შორის ყველაზე პირველად გაიზიარა ედ. ბერნშტეინმა (1903 წ.), იხ. მისი: Развитие форм хозяйственной жизни, 1905, спб.

სებით: არ არსებობს) საკუთარი „თვალთ“ შეხედოს“ ამ საკითხს, — თუმცა თვით ეს მასალებიც, როგორც ქრესტომატიისაში მოცემულ ნარკვევთა უმრავლესობანიც, კრიტიკულ მოპყრობას მოითხოვენ, რამდენადაც ისინი ეკუთვნიან ბურჟუაზიულ მწერლებს, აშკარა იდეალისტებს (მაგ., გ. შურცი). მეორე მხრივ ასეთი მასალების მოცემას ისიც გვიკარნახებდა, რომ ჩვენის, როგორც ხელმძღვანელის, დაკვირვებით, ეს უკვე, გასულ სამოსწავლო წელს წარმოებულ ლაბორატორიული მუშაობის პროცესში სტუდენტებიც გაცხოველებულ ყურადღებას იჩენდნენ ასეთისადმი: ასეთ „აღწერით“ მასალებს ხშირად „ნარკვევებზე“ მეტი უნარი შესწევთ აამოძრავონ ადამიანი პირველყოფილი მეურნეული ცხოვრების შესასწავლად. აქვე შევნიშნავ, რომ მასალებს, თუ ნარკვევებს ჩვენ უტოვებდით იმავე სათაურს რომელიც მასთვის ავტორს მიეცა, თუმცა, ქრესტომატიისათვის ეს ზოგან უხერხულობას ჰქმნიდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ეს დაინტერესებულ მკითხველს, ვისაც ხელი მიუწვდება, გაუადვილებს ამ მასალების ორიგინალში გაცნობას. ამავე დროს ჩვენ ნება მივეცით ჩვენს თავს, რომ ზოგიერთი ნარკვევები შეგვემოკლებინა, იქ სადაც ადგილი ჰქონდა, თუმცა სხვა ვარიაციით, მაგრამ მაინც ტავტოლოგიას, და აგრეთვე ზოგიერთი ადგილები, — რომლებიც სავესებით გამოსაღებად, ან უყურადღებოდ დასატოვებლად ვერ გავიმეტეთ, — პეტიტით აგვეწყო. ქალაქის ეკონომიის მიზნით.

„სახალხო მეურნეობის ისტორია“ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში მხოლოდ, ახლახან, გასულ სამოსწავლო წელს იქნა შემოღებული. და ცხადია, რომ სათანადო გამოცდილების დაგროვებას ადგილი არ ექნებოდა, ხოლო ეს უკანასკნელი გარემოება კი უარყოფითად იმოქმედებდა ჩვენს ქრესტომატიასზე. მიუხედავად ამისა, ეფიქრობ, რომ ამ წიგნში შერჩეული მასალების შესწავლა მკითხველს იმდენად საკმაო წარმოდგენას მისცემს ამ მეცნიერულ დისციპლინასზე, რომ შემდეგში მას შეეძლება ხელი მოკიდოს ამ საგანში არსებულ უფრო რთულ, კაპიტალურსა და ძნელად დასაძლევ ორიგინალურ ნაშრომებს.

დასასრულ სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია მადლობა გამოუცხადო იმ ამხანაგებს პედაგოგიურ და საფინანსო-კოოპერატიული ინსტიტუტებიდან, რომლებიც გაეცნენ ამ ქრესტომატიის გეგმას და რომელთაგან მე საშუალება მქონდა მიმელო ესა თუ ის მითითებანი.

ამ ქრესტომატიის მეორე ტომი, რომელიც მზადდება დასაბეჭდად, მთლიანად ეთმობა წარმოების კაპიტალისტურ წესს, ანუ საზო-

გადღებრივ-ეკონომიური განვითარების ბურჟუაზიულ ფორმაციას, რომელიც იმდენად საკმაოდაა შესწავლილი მარქსიზმ-ლენინიზმის მიერ, რომ ვიმედოვნებ „რევერანსები“ მკითხველის წინაშე, წინასიტყვაობაში, როგორც შემდგენელს, იქ არ დამჭირდება. მეორე ტომში მოცემული იქნება: 1) სავაჭრო კაპიტალიზმის ეპოქა, 2) მსხვილი კაპიტალისტური წარმოების მანუფაქტურული პერიოდი, 3) მსხვილი მანქანური კაპიტალისტური მრეწველობა, 4) ფინანსიური კაპიტალისა და იმპერიალიზმის ეპოქა, 5) მსოფლიო ომის ეკონომიური შედეგები, 6) მსოფლიო მეურნეობა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში.

### პ. ზუზუშვილი

1931. VI. 15.

ტფილისი.

---



## შ ე ს ა ვ ა ლ ი

„უოველი ისტორიული ეპოქის ეკონომიური წარმოება და მიხ-  
გან აუცილებლობით გამომდინარე საზოგადოებრივი დანაწილება.  
შეადგენს საფუძველს ამ ეპოქის პოლიტიკური და ინტელექტუა-  
ლური ისტორიისა; ამის შესაფერად (მას შემდეგ, რაც შიხსო პირ-  
ველყოფილი თეზური მფლობელობა მიწისა) მთელი ისტორია არის  
ისტორია კლასთა ბრძოლისა, ექსპლოატირებულთა და ექსპლოატა-  
ტორთა, დამონავებულთა და გაბატონებულ კლასთა შორის საზო-  
გადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე; ხოლო ან  
ბრძოლამ ახლა იხეთ საფეხურს შიადწია, როდესაც ექსპლოატირე-  
ბული და დაჩაგრული კლასი (პროლეტარიატი) ვერ შესძლებს გან-  
თავისუფლდეს ექსპლოატატორ და დამჩაგვრელ კლასიდან (ბურჟუ-  
აზიიდან), თუ ამავე დროს მთელი საზოგადოება ხაშუდამოთ არ  
განთავისუფლდა ექსპლოატაციისა, დაჩაგვრისა და კლასთა ბრძო-  
ლიდან“.

„მანიფესტი კომუნისტური პარტიისა.“

„ის სპეციფიურ ეკონომიური ფორმა, რომელშიაც აუნაზღაურე-  
ბელი ზედმეტი შრომა გამოიქაჩება უშუალო მწარმოებელთაგან,  
საზღვრავს ბატონობისა და დამორჩილების ურთიერთობას, როგო-  
რაც ის წამოიზრდება უშუალოდ თვით წარმოებიდან, და თავის  
მხრივ უკანასკნელზე ახდენს განმსაზღვრელ უკუქცევითი მოქმე-  
დებს. ხოლო ამაზე კი აშენებულია მთელი სტრუქტურა ეკონომი-  
ური საზოგადოებისა, რომელიც აღმოცენდება ხოლმე თვით ხაწარ-  
მოო ურთიერთობათაგან, და ამასთანავე ერთად მისი სპეციფიური  
ეკონომიური სტრუქტურაც. წარმოების საშუალებათა მეპატრონეე-  
ბის უშუალო მიმართება უშუალო მწარმოებლებისადმი, — ურთიერ-  
თობა, რომლის უოველი მოცემული ფორმა უოველთვის ბუნებრი-  
ვად შეესაბამება განსაზღვრულ საფეხურს შრომის საშუალებათა.  
განვითარებისა, და ამიტომ კი უკანასკნელის საზოგადოებრივ ხა-  
წარმოო ძალასაც, — აი, თუ რაშიაც აღმოვაჩინო ჩვენ უოველთვის  
უველაზე უღრმეს საიდუმლოებას, საგანძურ საფუძველს მთელი ხა-  
წოგადოებრივი წყობილებისა, და მაშასადამე, სუვერენიტეტისა და  
დამოკიდებულების პოლიტიკურ ფორმასაც, მოკლეთ, ხახელმწიფოს.

ყოველ მოცემულ სპეციფიურ ფორმას. ეს არ ეწინააღმდეგება იმას, რომ ერთ და იმავე ეკონომიურ ბაზისს — ერთ და იმავეს მთავარ პირობათა მხრივ — დაუსრულებლივ სხვადასხვაგვარ ემპირიულ გარემოებათა, ბუნებრივ პირობათა, რასიულ მიმართებათა, გარედან მომქმედ ისტორიულ გავლენათა და სხვ. წყალობით — თავის გამოვლინებაში შეუძლია გამოაჟიარავოს დაუსრულებელი ვარიაციები და გრადაციები, რომელთა გავება შეიძლება მხოლოდ ამ ემპირიულად მოცემულ გარემოებათა ანალიზის წყალობით..

კ. მარქსი — „კაპიტალი“, ტ. III, წ. II.

## § 1. შრომის პროცესი

სამუშაო ძალის მოხმარება — ეს თვით შრომაა. სამუშაო ძალის მყიდველი მას მოიხმარს, როდესაც მის გამყიდველს ამუშაეებს. ამის გამო ეს უკანასკნელი ხდება actu (სინამდვილეში) მომქმედ სამუშაო ძალად ანუ მუშად, მაშინ როდესაც იგი ასეთი იყო მხოლოდ პოტენციური (შესაძლებლობაში). რათა თავისი შრომა საქონელში განახორციელოს, პირველ ყოვლისა, მან იგი უნდა განახორციელოს სახმარირებულებაში, ისეთ ნივთში, რომელიც ამა თუ იმ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ამრიგად, კაპიტალისტი განსაკუთრებულ სახმარირებულებას, რაიმე განსაზღვრულ საქონელს ამზადებინებს მუშას. სახმარირებულების ანუ დოვლათის წარმოების საერთო ბუნებასრულიად იცვლება იმით, რომ იგი კაპიტალისტისათვის და მის კონტროლის ქვეშ ხდება. ამიტომ შრომის პროცესი თავდაპირველად ყოველივე განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმისაგან დამოუკიდებლად უნდა იქნეს განხილული.

შრომა, პირველ ყოვლისა, არის პროცესი ადამიანსა და ბუნებას შორის, პროცესი, რომელშიაც ადამიანი თავისი მოქმედებით განსაზღვრავს, აწესრიგებს და კონტროლს უწევს ნივთიერების ცვლას თავისსა და ბუნებას შორის. ბუნების ნივთიერებას თვით ადამიანი უპირდაპირდება როგორც ბუნების ძალა. მას მოძრაობაში მოყავს თავისი ორგანიზმის ბუნებრივი ძალები: მკლავები და ფეხები, თავი და ხელი, რათა ბუნების ნივთიერება თავისი არსებობისათვის გამოსადეგი ფორმით მიითვისოს. ამ მოძრაობის საშუალებით იგი მოქმედებს გარეშე ბუნებაზე, შეაქვს მასში ცვლილება და ამავე დროს შეაქვს ცვლილება თავის საკუთარ ბუნებაშიაც: იგი აწვეთარებს ამ უკანასკნელში მთვლემარე სხვადასხვა ნიქს და მათ ამოქმედებას თავის საკუთარ ძალას უმორჩილებს. ჩვენ აქ შრომის ცხოველისებურ პირველ ინსტინქტიურ ფორმებს არ ვეხებით. შედარებით საზოგადოების იმ მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც იმთავითვე უმდარეს ხუ-

მდგომარეობასთან, როდესაც მუშა თავისი სამუშაო ძალის გამყარდევლად გამოდის საქონლის ბაზარზე, პირველყოფილ ხანას წარმოადგენს ის პერიოდი, როდესაც ადამიანის შრომას მოცილებული არა აქვს თავისი პირველი ინსტინქტიური ფორმები. შრომას ჩვენ ვგულისხმობთ იმ ფორმით, რომლითაც იგი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის კუთვნილებას შეადგენს. ობობა ისეთ ოპერაციებს ასრულებს, რომელიც ფეიქრისას წააგავს და ფუტკარი ისეთ ფიქის უჯრედებს აკეთებს, რომელიც არა ერთ ხუროთმოძღვარს შეშურდება. რომთმოძღვარს საუკეთესო ფუტკარზე მალა აყენებს: ესაა ის, რომ ადამიანი, ვიდრე ფიქის უჯრედს გააკეთებდეს, ჯერ თავის თავში გააკეთებს მას. შრომის პროცესი ისეთი შედეგით თავდება, რომელიც მის დაწყებისას მუშის წარმოდგენაში, ე. ი. იდეალურად, უკვე არსებობდა. იმაში, რაც ბუნებით არის მოცემული, ადამიანს მარტო ფორმის ცვლილება კი არ შეაქვს, არამედ ამასთანავე მასში იგი ანხორციელებს თავის შეგნებულ მიზანს, რომელიც, როგორც კანონი. მისი მოქმედების წესსა და ხასიათს განსაზღვრავს და რომელ კანონსაც მან თავისი ნებისყოფა უნდა დაუქვემდებაროს. და ეს დაქვემდებარება განცალკავებულ აქტს როდი წარმოადგენს. გარდა მომუშავე ორგანოთა დაძაბვისა, მთელი ამ შრომის განმავლობაში აუცილებელია მიზანშეწონილი ნებისყოფა, რომელიც ყურადღების სახით ამკარავდება, და ეს — მით უფრო, რაც უფრო ნაკლებ იტაცებს შრომა მუშას თავისი შინაარსით და განხორციელების წესითა და ხასიათით, რაც უფრო ნაკლებ სტკებება მუშა თავისი ფიზიკური და სულიერი ძალების ლალი მოძრაობით.

შრომის პროცესის მარტივი მომენტებია: 1) მიზანშეწონილი მოქმედება ანუ თვით შრომა, 2) საგანი, რომელზედაც შრომა მოქმედებს და 3) საშუალება, რომლითაც იგი მოქმედებს<sup>1)</sup>.

მიწა (ეკონომიური თვალსაზრისით წყალიც მას მიეკუთვნება). რომელიც დასაბამიდან ადამიანს აძლევს საზრდოს, არსებობის მზა

<sup>1)</sup> ფრანგულ გამოცემაში სიტყვებს „შრომის პროცესი“ მარქსი შემდეგ შენიშვნებს უკეთებს: სიტყვა „პროცესი“, რომელიც ნიშნავს განვითარებას, მისი რეალური პირობების მთლიანობაში განხილულს, უკვე დიდი ხანია მთელ ევროპაში მეცნიერული ენის ტერმინად არის გადაქცეული. საფრანგეთში ეს სიტყვა, ჯერ მორაკხვად, ლათინური — processus-ის — ფორმით შემოიღეს. შემდეგ იგი. ამ პედანტურ სამოსელს მოკლებული, შეიპარა ქიმიის, ფიზიოლოგიის და მსგავს წიგნებში, აგრეთვე ზოგიერთ მეტაფიზიკურ თხზულებებში. დაბოლოს მან სრული ნატურალიზაცია მიიღო. შევნიშნავთ გაკვრით, რომ სიტყვას „პროცესი“ როგორც გერმანელები, ისე ფრანგები, ჩვეულებრივად იურიდიული მნიშვნელობით ხმარობენ. — ძ.

საშუალებას <sup>1</sup>ა), არსებობს სრულიად მის დაუხმარებლად, როგორც ადამიანის შრომის საყოველთაო საგანი. ყველა ნივთი, რომელსაც შრომა მარტოოდენ გამოაცალკავებს დედამიწასთან უშუალო დაკავშირებიდან, ბუნების მიერ მოცემული შრომის საგანია, მაგალითად, თევზი, რომელსაც იჭერენ, მისი საარსებო სტიქიიდან — წყლიდან — გამოითიშება, ხე, რომელიც უღრან ტყეში მოიჭრება, მადანი, რომელიც მისი ბუდობიდან ამოიღება. პირიქით, თუ თვით შრომის საგანი, ასე ვთქვათ, წინანდელი შრომით არის უკვე დაწმენდილი, მაშინ ჩვენ მას ნედლ მასალას ვუწოდებთ. მაგალითად, ამოღებული მადანი, რომელიც შემდეგ გაირეცხება. ყოველი ნედლი მასალა შრომის საგანია, მაგრამ ყოველი შრომის საგანი ნედლი მასალა არ არის, შრომის საგანი მხოლოდ მაშინაა ნედლი მასალა, თუ მას შრომის მეოხებით ცვლილება განუტლია.

შრომის საშუალება არის ნივთი ანუ კომპლექსი ნივთთა, რომელთაც მუშა თავისსა და შრომის საგანს შორის ათავსებს და რომელნიც ამ საგანზე მისი მოქმედების გადამტანის როლს ასრულებენ. მუშა სარგებლობს ნივთთა მექანიკური, ფიზიკური და ქიმიური თვისებებით, რათა ისინი გამოიყენოს, როგორც ძალა, თავისი მიზნის მიხედვით სხვა ნივთებზე სამოქმედოდ <sup>2</sup>). თუ მხედველობაში არ მივიღებთ მზამზარეულ საარსებო საშუალებათა მოპოვებას, მაგალითად, ნაყოფის მოგროვებას, როდესაც მარტოოდენ მუშის საკუთარი სხეულის ორგანოები ასრულებენ შრომის საშუალებათა როლს, რომელსაც მუშა უშუალოდ ხელს სქიდებს, არის არა შრომის საგანი, არამედ — შრომის საშუალება და ასე, გარეშე ბუნების ნივთს იგი აქცევს თავისი მოქმედების ორგანოდ, რომელსაც თავისი საკუთარი სხეულის ორგანოებს უმატებს და ამით, წინააღმდეგ ბიბლიისა, თავის ბუნებრივ სხეულს აგრიძელებს. დედამიწა ადამიანის საზრდოს თავდაპირველი

---

<sup>1</sup>ა) „დედამიწის თვითმოსული ნაყოფი მცირეა რაოდენობით და ადამიანისაგან დამოუკიდებელი; იგი თითქოს იმგვარადვე ეძლევა ადამიანს ბუნების მიერ, როგორც ახალგაზრდა კაცს — მცირე თანხა, რათა ამ თანხით მან საქმიანობის გზა გაიკვლოს და ქონება შეიძინოს“ (James Steuart: „Principles of Political Economy. Ed. Dublin 1770; vob. I p. 116).

<sup>2</sup>) „გონება როგორც ძალაგანია, ისევე მოხერხებულა. მოხერხება საერთოდ მდგომარეობს მის მეშველ მოქმედებაში, რომლის მეოხებითაც იგი, ამოქმედებს რა ობიექტებს ერთი მეორეზე მათი ბუნების მიხედვით და აწარმოებინებს რა მათ ურთიერთის დამუშავებას ისე, რომ თვითონ უშუალოდ ამ პროცესში არ ერევა, — აღწევს მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზანს, რომელიც მას აქვს დასახული“ (H e g e l: „Encyclopädie. Erster Teil. Die Logik. Berlin 1840“. S. 382).

საკუქნაოც არის და შრომის საშუალებათა თავდაპირველი არსენალიც. დედამიწა მას აძლევს, მაგალითად, ქვას, რომელსაც იგი იყენებს სასროლად, სახეხად, საწნევედ, საჭრელად და სხვ. თვით დედამიწაც შრომის საშუალებად ხდება, მაგრამ მისი, როგორც შრომის საშუალების, გამოყენება მიწათმოქმედებაში თავის მხრივ გულისხმობს მთელ რიგ შრომის სხვა საშუალებათა არსებობას და სამუშაო ძალის შედარებით მაღალ განვითარებას<sup>\*)</sup>. თუ შრომის პროცესი საზოგადოდ რამდენადმე მაინც განვითარებულია, იგი საჭიროებს უკვე დამუშავებულ შრომის საშუალებებს. უძველესი დროის ადამიანთა გამოქვაბულებში ჩვენ ვპოულობთ ქვის სამუშაო იარაღებსა და ქვის საჭურველს. კაცობრიობის ისტორიის დასაწყისში დამუშავებულ ქვასა, ხესა, ძვლებსა და ნიჟარასთან ერთად შრომის საშუალების მთავარ როლს ასრულებს მოშინაურებული, ამრიგად, შრომის მეოხებით გარდაქმნილი, დამორჩილებული ცხოველი<sup>\*)</sup>. შრომის საშუალებათა მოხმარება და შექმნა, თუმცა მათი ჩანასახი ზოგი გეარის ცხოველებსაც უკვე მოეპოვებათ; სპეციფიურად ადამიანის შრომის პროცესს ახასიათებს. ამიტომ ფ რ ა ნ კ ლ ი ნ ი ადამიანს განსაზღვრავს როგორც „a toolmaking animal“-ს, იარაღის მკეთებელ ცხოველს. რა მნიშვნელობაც დაუთენილი ძვლების აგებულებას აქვს მოსპობილი ცხოველთა ჯიშების ორგანიზაციის შესასწავლად, ისეთივე მნიშვნელობა აქვს შრომის საშუალებათა ნაშთებს მოსპობილ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა შესასწავლად. ეკონომიურ ეპოქებს განასხვავებს ერთმანეთისაგან არა ის, თუ რა იწარმოება, არამედ როგორ, შრომის რა საშუალებებით იწარმოება<sup>\*)</sup>. შრომის საშუალებები არა მარტო საზომია ადამიანის სამუშაო ძალის განვითარებისა, არამედ არის მაჩვენებელიც საზოგადოებრივი ურთიერთობისა, რომელშიაც შრომა სწარმოებს. თვით შრომის საშუალებებს შორის მექანიკური შრომის საშუალებანი, რომელთაც ერთობლივ შეიძლება ეწოდოს ძვლების და კუნთების სისტემა წარმოებისა, ამა თუ იმ საზოგადოებრივი წარმოების ეპოქისათვის გაცილებით უფრო ძირითად დამახასიათებელ ნიშნეულობას წარმოადგენენ, ვიდრე ისე-

\*) თავის სხვა მხრივ უბადრუკ ნაწარმოებში: „Theorie de l'Economie Politique. Paris. 1815, Ganilh-ის ფიზიოკრატების საწინააღმდეგოდ ჩამოთვლილ აქვს სრული სისწორით მთელი რიგი შრომის პროცესებისა, რომელნიც საკუთრივ მიწათმოქმედების წინასწარ პირობას წარმოადგენენ.

\*) თავის თხზულებაში: „Réflexions sur la Formation et la Distribution des Richesses“ (1766) Oeuvres, éd. Daire, vol. I, ტ ი უ რ გ ო კარგად არკვევს მოშინაურებული ცხოველის მნიშვნელობას კულტურის დასაწყისისათვის.

თი შრომის საშუალებანი, რომელნიც მხოლოდ შრომის საგნის შენახვას ემსახურებიან და რომელთაც ერთობლივ საზოგადოდ წარმოების ქურქლეულობის სისტემა შეიძლება ეწოდოს, როგორც მაგალითად, მიწები, კასრები, კალათები, ქილები და სხვ. ეს უკანასკნელნი მხოლოდ ქიმიურ წარმოებაში ასრულებენ მნიშვნელოვან როლს<sup>ა)</sup>.

გარდა იმ ნივთებისა, რომელთა საშუალებით შრომის საგანზე შრომის ზემოქმედება ხორციელდება და რომელნიც, ამრიგად, ამა თუ იმ სახით შრომის მოქმედების გამტარებელნი არიან, შრომის პროცესის საშუალებებში, ფართო მნიშვნელობით, ჩაირიცხება ყველა საგნობრივი პირობა, რომელიც საერთოდ საჭიროა მის შესასრულებლად. ეს პირობები არ შედის უშუალოდ შრომის პროცესში, მაგრამ ეს უკანასკნელი უიმათოდ ან სრულიად ვერ იწარმოებს, ანდა იწარმოებს მხოლოდ ნაკლებლოვანად. ამგვარ საყოველთაო შრომის საშუალებას კვლავ დედამიწა წარმოადგენს, ვინაიდან იგი მუშას აძლევს დასაყრდნობ საუქმველს (locus standi), ხოლო მის პროცესს — მოქმედების არეს (field of employment). ასეთი შრომის საშუალებებია, წინასწარი შრომის მეოხებით განხორციელებული, მაგალითად, მუშათა შენობები, არხები, გზები და სხვ.

ამრიგად, შრომის პროცესის დროს ადამიანის მოქმედება შრომის საშუალებათა შემწვობით შრომის საგნის წინასწარ გათვალისწინებულ ცვლილებას ახდენს. პროცესი პროდუქტში იფერფლება. მისი პროდუქტი სახმარი ღირებულებაა, ბუნების ნივთიერება, რომელნიც ფორმათა ცვლილების გზით ადამიანის მოთხოვნილებასთან არის შეფერებული. შრომა შეუქავშირდა თავის საგანს. შრომა გასაგნობრიკდა და საგანი გადამუშავდა. ის, რაც მუშის მხარეს მოძრაობის ფორმისა იყო, პროდუქტში ჩნდება ყოფნის სახით, როგორც მყარი თვისება. მუშამ დაართა და პროდუქტი ნართია.

---

ა) ყველა საქონელთა შორის, საკუთრივ ფუფუნების საქონელთ ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა აქვთ წარმოების სხვადასხვა ეპოქების ტექნოლოგიური შედარებისათვის.

ბ) შენიშვნა მეორე გამოცემისთვის. თუმცა დღემდე ისტორიულ მეცნიერებას ძალიან ნაკლებ აქვს შესწავლილი მატერიალური წარმოების განვითარება, ე. ი. საფუძველი მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების და, ამიტომ, ნამდვილი ისტორიისაც, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, წინაისტორიული დრო მაინც, ბუნების მეცნიერებისა და არა ეგრედ წოდებული ისტორიული კვლევა-ძიების საფუძველზე. დაყოფილია სამუშაო იარაღებისა და საქურველის მასალათა მიხედვით ქვის ხანად, ბრინჯაოს ხანად და რკინის ხანად.

თუ მთელ პროცესს მისი შედეგის, პროდუქტის, თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ ორივე, შრომის საშუალება და შრომის საგანიც, საწარმოო საშუალებებს<sup>6)</sup> და თვით შრომა პროდუქტიულ შრომას წარმოადგენს<sup>7)</sup>.

როდესაც ერთი სახმარი ღირებულება გამოდის შრომის პროცესიდან პროდუქტის სახით, მეორე სახმარი ღირებულება, როგორც წინანდელი შრომის პროცესის პროდუქტი, შედის იქ საწარმოო საშუალების სახით. ერთი და იგივე სახმარი ღირებულება, რომელიც პროდუქტია ერთი შრომის პროცესისა, საწარმოო საშუალებას შეადგენს მეორე შრომის პროცესისათვის. ამიტომ პროდუქტი არა მარტო შედეგია შრომის პროცესისა, არამედ იმავე დროს მისი პირობაც არის.

ექსტრაქტულ (ნედლი მასალის მომპოვებელ) მრეწველობას გარდა, — რომელიც თავის შრომის საგანს ბუნებაში პოულობს, როგორც სამთამანდო საქმე, ნადირობა, თევზაობა და სხვ. (მიწათმოქმედება იმდენად, რამდენადაც იგი მხოლოდ უყ მიწას ამუშავებს) — მრეწველობის ყველა დარგს საქმე აქვს ისეთ საგანთან, რომელიც ნედლი მასალაა. ე. ი. უკვე შრომით არის დაწმენდილი და თვით შრომის პროდუქტს წარმოადგენს. ასე, მაგალითად, თესლი მიწათმოქმედებაში. ცხოველი და მცენარეულობა, რომელსაც ჩვეულებრივ ბუნების პროდუქტად სთვლიან, ნამდვილად შრომის პროდუქტია და ისიც არა მარტო წარსული წლის შრომისა, არამედ თავისი ეხლანდელი სახით წარმოადგენს მრავალ თაობათა მანძილზე ადამიანის კონტროლის ქვეშ, ადამიანის შრომის მეშვეობით განხორციელებულ განუწყვეტელ ცვლილებათა პროდუქტს. ზოლო რაც შეეხება საკუთრივ შრომის საშუალებებს, ზერელე დაკვირვებითაც კი დაინახება, რომ მათ დიდძალ უმრავლესობას წარსული შრომის კვალი აჩნია.

ნედლი მასალა შეიძლება პროდუქტის მთავარ სუბსტანციას შეადგენდეს ანდა, როგორც დამხმარე მასალა, მის შექმნაში მონაწილეობდეს. დამხმარე მასალა მოიხმარება შრომის საშუალების მიერ, როგორც, მაგალითად, ნახშირი — ორთქლის მანქანის მიერ, ზეთი — თვლების მიერ, თივა — მუშა ცხენის მიერ, ან უერთდება ნედლ მა-

<sup>6)</sup> უცნაურად გვეჩვენება ამის თქმა, რომ, მაგალითად, თევზი, რომელიც ჯერ არ არის დაჭერილი, საწარმოო საშუალებაა თევზაობისათვის. მაგრამ ჯერ არავის გამოუგონია ისეთი ხერხი, რომ შეიძლებოდეს თევზის დაჭერა იმ წყალში, სადაც იგი არ მოიპოვება.

<sup>7)</sup> ეს შრომის მარტივი პროცესის თვალსაზრისით მიღებული განსაზღვრა პროდუქტიული შრომისა სრულიად არ არის საკმარისი კაპიტალისტური წარმოების პროცესისათვის.

მალას, რათა გამოიწვიოს მასში ნივთიერი ცვლილება, როგორც, მაგალითად, ქლორი უერთდება გაუმურკნავ ტილოს, ნახშირი — რკანას, საღებავი — მატყლს, ანდა ხელს უწყობს თვით შრომის ოპერაციას, როგორც, მაგალითად, სამუშაო სადგომის გასანათებლად და გასათბობად გამოყენებული მასალა. განსხვავება მთავარსა და დამზმარე მასალას შორის წარხოცილია საკუთრივ ქიმიურ წარმოებაში, ვინაიდან არც ერთი აქ გამოყენებული ნედლი მასალა არ ჩნდება კვლავ პროდუქტის სუბსტანციის სახით \*).

რადგანაც თითოული ნივთი მრავალ თვისებას შეიცავს და ამის გამო შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს გამოყენებული, ამიტომ შესაძლებელია ერთი და იგივე პროდუქტი ნედლ მასალას შეადგენდეს სულ სხვადასხვა შრომის პროცესისათვის. მაგალითად, ხორბალი ნედლი მასალაა მეწისქვილისთვის, სახამებლის მწარმოებლისთვის, სპირტის გამომხდელისთვის, საქონლის მომშენებლისთვის და სხვ. იგივე ხორბალი, თესლის სახით, ნედლი მასალაა თავისი საკუთარი წარმოებისათვის. სწორედ ასე ნახშირი სამადნო მრეწველობიდან მიიღება, როგორც პროდუქტი, და მასშივე შედის, როგორც საწარმოო საშუალება.

ერთი და იგივე ნაწარმოები ერთსა და იმავე შრომის პროცესში შეიძლება შრომის საშუალებაც იყოს და ნედლი მასალაც. მაგალითად, შინაური საქონლის გასუქებისას საქონელი არის ნედლი მასალა, რომელიც გადაამუშავებას განიცდის, და იმავე დროს სასუქის დამზადების საშუალებაც.

მონმარებისათვის მზა ფორმის მქონე პროდუქტი შეიძლება ისევ იქცეს ნედლ მასალად სხვა პროდუქტისთვის, როგორც, მაგალითად, ყურძენი ნედლ მასალად ხდება ღვინისთვის. ანდა შრომა თავის პროდუქტს ისეთი ფორმით იძლევა, რომლითაც იგი მხოლოდ ნედლ მასალადაა გამოსაყენებელი. ამგვარ მდგომარეობაში მყოფ ნედლ მასალას — მაგალითად, ბამბას; ძაფს, ნართს და სხვ. — ნახევარ-ფაბრიკატი ეწოდება, თუმცა სახელწოდება დაუმთავრებელი ფაბრიკატი უფრო შესაფერისი იქნებოდა. პირვანდელი ნედლი მასალა, თუმცა თვით უკვე პროდუქტია, გაივლის ხოლმე მთელ რიგ პროცესის საფეხურებს, სადაც მუდამ შეცვლილი სახით ხელახლა ნედლი მასალის

---

\* ) შ ტ რ ხ ი განასხვავებს საკუთრივ ნედლ მასალას. რომელსაც „matière“-ს უწოდებს, დამზარე მასალისაგან, რომელსაც „matériaux“-ს სახელწოდებით აღნიშნავს; შ ე რ ბ ი უ ლ ი ე დამზარე მასალას „matières instrumentales“-ს უწოდებს.



ფუნქციას ასრულებს, ვიდრე უკანასკნელი შრომის პროცესიდან გამოვა მზა საარსებო საშუალების ან შრომის მზა საშუალების სახით.

ამრიგად, წარმოადგენს, თუ არ წარმოადგენს სახმარი ღირებულება ნელ მასალას, შრომის საშუალებას თუ პროდუქტს, საესვებით იმაზე და მოკიდებული, თუ რა განსაზღვრული ფუნქცია აქვს მას შრომის პროცესში, რა ადგილი უკავია მასში; ამ ადგილის ცვლასთან ერთად იცვლება მისი დანიშნულებაც.

ამიტომ პროდუქტი, შედის რა შრომის ახალ პროცესში საწარმოო შარავის სახით, კარგავს პროდუქტის ხასიათს. ის აქ მოქმედებს მხოლოდ—რა როგორც ცოცხალი შრომის საგნობრივი ფაქტორი. მრთველისთვის თითისტარი მხოლოდ საშუალებაა და სელი — მხოლოდ საგანი რთვისა. რასაკვირველია, უმასალოდ და უთითისტაროდ რთვა არ შეიძლება. ამიტომ ამ პროდუქტთა არსებობა რთვის დასაწყისშივე იგულისხმება. მაგრამ თვით ამ პროცესისათვის ის გარემოება, რომ სელი და თითისტარი წარსული შრომის პროდუქტებია, ისევე სულ ერთია, როგორც კვების აქტისთვის ის, რომ პური გლეხის, მეწისქვილის, ხაბაზის და სხვათა წარსული შრომის პროდუქტია. პირიქით. შრომის პროცესში საწარმოო საშუალება მხოლოდ თავისი ნაკლით ამჟღავნებს იმ გარემოებას, რომ იგი წარსული შრომის პროდუქტია. დანა, რომელიც არ სჭირს, და ნაოთი, რომელიც მუდამ წყდება და სხვ. ცხოვლად მოგვაგონებს დანის გამკეთებელ A-ს და მრთველ B-ს. კარგ პროდუქტში სრულიად წარბოცილია კვალი წარსული შრომის მონაწილეობისა მის სახმარ თვისებათა შექმნაში.

მანქანა, რომელიც შრომის პროცესში მონაწილეობას არ იღებს, უსარგებლოა. გარდა ამისა იგი განიცდის ნივთიერებათა ბუნებრივი ცვლის გამანადგურებელი ძალის გავლენას. რკინა უანგდება, ხე ლპება, რომელსაც ქსოვისთვის არ გამოიყენებენ, გაფუჭებული ბამბაა. ცოცხალმა შრომამ ამ ნივთებს ხელი უნდა ჩასჭიდოს, მკვდრეთით აღადგინოს და მათი მარტოოდენ შესაძლებელი სახმარი ღირებულება ნამდვილ და მომქმედ სახმარ ღირებულებად აქციოს. შრომის ალით მოცული და მის ორგანოებად გადაქცეული, შრომის პროცესში მოწოდებული იმ ფუნქციებისათვის, რომელიც მათ იღვას და დანიშნულებას შეესაბამებინ, ეს ნივთები თუმცა მოიხმარება, მაგრამ მოიხმარება მიზანშეწონილად, როგორც შემადგენელი ელემენტები ახალი სახმარი ღირებულების, ახალი პროდუქტისა, რომელიც მზად არას გადავიდეს ინდივიდუალურ მოხმარებაში, როგორც საარსებო საშუალება, ანდა — ახალ შრომის პროცესში, როგორც საწარმოო საშუალება.

ამრიგად, თუ არსებული პროდუქტი არა მარტო შედეგია შრომის პროცესის, არამედ მისი აუცილებელი პირობაც, მეორეს მხრივ, მისი შესვლა შრომის პროცესში, მისი კონტაქტი ცოცხალ შრომასთან წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას იმისთვის, რომ წარსული შრომის პროდუქტი, როგორც სახმარი ღირებულება, შენახულ და განხორციელებულ იქნეს.

შრომა მოიხმარს თავის ნივთიერ ელემენტებს, თავის საგანსა და თავის საშუალებას, სჭამს მათ და ამიტომ მოხმარების პროცესს წარმოადგენს. ეს პროდუქტიული მოხმარება იმით განსხვავდება ინდივიდუალური მოხმარებისაგან, რომ უკანასკნელის დროს პროდუქტი მოიხმარება როგორც ცოცხალი ინდივიდუუმის საარსებო საშუალება, ხოლო პირველის დროს, — როგორც საარსებო საშუალება: შრომისა, მომქმედი სამუშაო ძალისა. ამიტომ ინდივიდუალური მოხმარების პროდუქტი თვით მომხმარებელია, ხოლო პროდუქტიული მოხმარების შედეგი — მომხმარებლისაგან განსხვავებული პროდუქტი.

რამდენადაც შრომის საშუალება და საგანი თვით პროდუქტო არის, შრომა მოიხმარს პროდუქტს, რათა შექმნას პროდუქტი, ანუ პროდუქტის საწარმოო საშუალებად გამოიყენებს პროდუქტს. მაგრამ, მსგავსად იმისა, როგორც პირვანდელი შრომის პროცესი სწარმოებს მხოლოდ ადამიანსა და მის დაუხმარებლად არსებულ მიწას შორის, ეხლაც შრომის პროცესში განაგრძობს მონაწილეობას ისეთი საწარმოო საშუალებაც, რომელიც ბუნების მიერ არის მოცემული და არ წარმოადგენს ბუნების ნივთიერების შეერთებას ადამიანის შრომასთან.

შრომის პროცესი, როგორც ჩვენ იგი ზემოდ მარტივი და აბსტრაქტული მომენტების მხრივ გამოვსახეთ, არის მიზანშეწონილი მოქმედება სახმარი ღირებულების შესაქმნელად, ბუნების მონაცემის მითვისება ადამიანის მოთხოვნილებისათვის, საყოველთაო პირობა ნივთიერების ცვლისა ადამიანსა და ბუნებას შორის, მარადიული ბუნებრივი აუცილებლობა ადამიანთა ცხოვრებისა და ამიტომ დამოუკიდებელია ამ ცხოვრების ამა თუ იმ იმგვარი ფორმისაგან, პირიქით, საერთოა მისი ყველა საზოგადოებრივი ფორმისათვის. ამიტომ ჩვენ არ გვჭირდებოდა მუშის განხილვა სხვა მუშებთან დამოკიდებულებაში. ჩვენთვის საკმარისი იყო ადამიანი და მისი შრომა ერთ მხარეს და ბუნება და მისი მასალები — მეორე მხარეს. როგორც ხორბლის გემოთი ვერ გაიგება, თუ ვის მიერ არის იგი მოწყული, ისევე შრომის პროცესს არ ემჩნევა, თუ რა პირობებში სწარმოებ...

იგი, — სწარმოებს მონების ზედამხედველის სუსხიანი მათრახის ქვეშ, თუ კაპიტალისტის გაფაციცებული მეთვალყურეობის ქვეშ, აწარმოებდა მას ცინცინატი თავისი ორიოდ დღიური მიწის დამუშავების გზით, თუ ველური, რომელიც ნადირსა კლავს ქვით \*).

(კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I).

## § 2. ისტორიის მატერიალისტური ბაზეზა

(ფრ. ენგელსი)

ისტორიის მატერიალისტური განმარტების თანახმად ისტორიულ პროცესში ს ა ბ ო ლ ო ვ ო ა ნ გ ა რ ი შ ი თ გამსაზღვრელ მომენტს წარმოადგენს წარმოება და განმეორებული წარმოება ნამდვილი ცხოვრებისა. ამაზე მეტი არა გვითქვამს რა არც მე და არც მარქსს. თუ ვინმე ამ დებულებას დაამახინჯებს — ვითომ ეკონომიური მომენტი ერთად-ერთი განმსაზღვრელი მომენტი იყოს, მაშინ ეს დებულება უშინაარსო, უაზრო, განყენებულ ფრაზად იქცევა. ეკონომიური მდგომარეობა — ეს საუფუძველია; ხოლო ისტორიული ბრძოლის მსვლელობაზე გავლენას ახდენს და ბევრნაირადაც საზღვრავს უმთავრესად მის ფ ო რ მ ა ს — ზედნაშენის სხვადასხვა მომენტები: — კლასობრივი ბრძოლის პოლიტიკური ფორმა და მისი შედეგი — კონსტიტუცია, გამარჯვებული კლასის მიერ დამყარებული და სხვ. უფლებრივი ფორმა, ყველა ამ მოძრაობისა და ბრძოლის ანარეკლი მონაწილეთა გონებაში პოლიტიკური, იურიდიული, ფილოსოფიური თეორიები, სარწმუნეობრივი შეხედულებანი და განვითარებული დოგმატიური სისტემები. აქ არის ყველა ამ მომენტთა ურთიერთქმედება, სადაც ბოლოს და ბოლოს ეკონომიური მოძრაობა, როგორც აუცილებელი მოძრაობა, გზას იკაფავს შემთხვევათა დაუარულებელ წყებაში (იმ საგანთა და ამბავთა წყებაში, რომელთა შინაგანი ურთიერთული კავშირი იმდენად დაშორებულია ან იმდენად ძნელი განსასაზღვრავია, რომ ჩვენ შეგვიძლია იგი დავივიწყოთ, ვი-

---

\*) ამ უაღრესად ლოდიკური საფუძველით ათასეულის უფროსმა ტორენსმა აღმოაჩინა, რომ ველურის ქვა კაპიტალის დასაწყისია, „პირველ ქვაში, ველური რომ ესერის ნადირს, რომელსაც სდევს, და პირველ ჯოხში, რომლითაც იგი ხელმიუწვდომელ ხილს თავისკენ მიიზიდავს, ჩვენ ვხედავთ ერთი საგნის მითვისებას მეორე საგნის შექმნის მიზნით, ე. ი. ვხედავთ კაპიტალის დასაწყისს“ (Pr. Torrens: An Essay on the Production of Wealth etc. Edinburgh. 1836). ამ პირველი ჯოხით ახსნება, ალბად, ისიც, რომ ინგლისურ ენაში ჯოხი (stock) კაპიტალის სინონიმია.

თომ ის არც კი არსებობს). წინააღმდეგ შემთხვევაში თეორიის გამოყენება ამა თუ იმ ისტორიული ხანისათვის უფრო ადვილი იქნება, ვიდრე პირველი ხარისხის უბრალო შეთანასწორების გამოყენება.

ისტორიას ჩვენ თვითონ ვაკეთებთ, მაგრამ ჩვენ მას ვაკეთებთ განსაზღვრულ პირობებსა და გარემოებაში. მათ შორის საბოლოო ანგარიშით გადამწყვეტია ეკონომიური ურთიერთობა. მაგრამ პოლიტიკური და სხვ. ურთიერთობა, ადამიანთა ტრადიციაც კი თამაშობს განსაზღვრულ როლს, თუმცა არა გადამწყვეტს. პრუსიის სახელმწიფო აღორძინდა და განვითარდა ისტორიულ და საბოლოო ანგარიშით ეკონომიურ მიზეზთა მეოხებით. მაგრამ დიდი პედანტობა იქნება ვამტკიცოთ, რომ ჩრდილო გერმანიის მრავალ პატარა სახელმწიფოთა შორის სახელდობ ბრანდენბურგი იყო მოწოდებული დიდი ხელმწიფების როლის შესასრულებლად, სადაც განსახიერდა ეკონომიური, ლინგვისტიური და (რეფორმაციის შემდეგ) სარწმუნოებრივი განსხვავება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის; და რომ ყოველივე ეს წინასწარ განსაზღვრული იყო სწორედ მხოლოდ ეკონომიური აუცილებლობით, ხოლო სხვა მომენტებს არავითარი გავლენა არ მოუხდენიათ (უმთავრესად ის გარემოება, რომ ბრანდენბურგი პრუსიის მფლობელობის გამო ჩათრეული იყო პოლონურ საქმეებში და აქედან საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობაში, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა აგრეთვე ავსტრიის სახლის გაძლიერებისათვის). ვერავენ ვერ ახსნის, თუ სასაჯლოდ არ უნდა თავისი თავი გაიხადოს, ეკონომიურად გერმანიის თვითიული პატარა სახელმწიფოს არსებობას წარსულში და აწმყოში, აგრეთვე ვერავენ ვერ ახსნის ეკონომიურად ხმოვანთა ზემო-გერმანულ ცვლილების წარმოშობას, რომელიც გერმანიას (დიალექტის მიხედვით) ორად ჰყოფს, რასაც აძლიერებს კიდევ გეოგრაფიულად მთების გრებილი სუდეტებიდან თაუნუსამდე.

მეორედ, ისტორია სწარმოებს იმგვარად, რომ საბოლოო შედეგს ბადებს მრავალი სხვადასხვა კერძო ნებისყოფის ურთიერთი შეხლა-შემოხლა; ამასთან თვითიული ეს ნებისყოფა ხდება იმად, რაც არის, ცხოვრების უთვალავი განსაკუთრებული გარემოების გავლენით. ამნაირად ვლბულობთ გადაბმულ-გადაჯვარედინებულ ძალთა დაუსრულებელ რაოდენობას, ძალთა პარალელოგრამების განუსაზღვრელ ჯგუფს და აი, ამ გადამბა-გადაჯვარედინებისაგან იბადება ერთი საზოგადო შედეგი — ისტორიული მოღენა, ისტორიული ამბავი. ეს ისტორიული შედეგი შეიძლება გავშინჯოთ, როგორც ნაყოფი ერთი ძალის, რომელიც როგორც მთელი შეეუგნებლად და

უნებურად მოქმედებს. რაც ერთს უნდა, მას მეორე აბრკოლებს და ბოლოს და ბოლოს, რალაც იმისთანა ჩნდება, რაც არავის არ უნდოდა. ამნაირად ისტორია დღევანდლამდე სწარმოებს ბუნებრივ-ისტორიული პროცესის მსგავსად და არსებითად ემორჩილება მოძრაობის იმავე კანონებს. მაგრამ იმ გარემოებიდან, რომ აღამაინები თვითუფლად იმისკენ მიისწრაფიან, რასაც თხოულობს მათი სხეულის აგებულება და გარეშე, საობლოვო ანგარიშით ეკონომიური მდგომარეობა (ან თავისი საკუთარი პირადი ან საზოგადოებრივი) და რომ ცალ-ცალკე მათი ნებისყოფა იმას როდი აღწევს, რაც უნდა, არამედ ერთიანდება რალაც ზოგადში, ერთს საზოგადო შედეგში, ამ გარემოებიდან არ უნდა დავასკვნათ, რომ ეს ნებისყოფანი სრულიად არაფერს არ წარმოადგენენ. პირიქით, თვითუფლ ნებისყოფას თავისი ხვედრი შეაქვს საზოგადო შედეგში, რამდენადაც მონაწილეობს მასში.

გარდა ამისა, მე გთხოვთ ეს თეორია შეისწავლოთ ორიგინალური წყაროების მიხედვით და არა სხვების საშუალებით, — ეს გაცილებით უფრო ადვილია. მარქსს თითქმის არაფერი დაუწერია ისეთი რამ, სადაც ეს თეორია როლს არ თამაშობდეს. საუცხოვო ნიმუშს ამ თეორიის გამოყენებისას წარმოადგენს „ლიუ ბონაპარტის 18 ბრიუმერი“, აგრეთვე „კაპიტალის“ მრავალი საყურადღებო ადგილი. შემდეგ მე შემიძლია მიეუთითო ჩემს შრომებზე: „მეცნიერებაში ბ-ნი დიურინგის მიერ მოხდენილი გადატრიალება“ და „ლიუდვიგ ფეიერბახი და გერმანიის კლასიკური ფილოსოფიის დაბოლოება“, სადაც მე რამდენადაც ვიცი, ყველაზე უფრო დაწვრილებით განვმარტე ისტორიული მატერიალიზმი.

მარქსს და მე რამოდენიმედ დანაშაული მიგვიძღვის იმაში, რომ ახალგაზრდა (მარქსისტები) ხანდახან უფრო მეტ მნიშვნელობას ვაძლევდით ეკონომიურ მხარეს, ვიდრე ეს საჭიროა. მოწინააღმდეგეებთან კამათის დროს ჩვენ ხაზს ვავლებდით მთავარ პრინციპს, რომელსაც ისინი უარყოფდენ და ყოველთვის არ გვქონდა საკმაოდრო, ადგილი და საბაზი, რომ ღირსეულად დავგვეფასებია სხვა, ურთიერთზედმოქმედებაში მონაწილე მომენტები. მაგრამ საკითხი როცა ეხებოდა რომელიმე ისტორიული პერიოდის გამოხატვას, ე. ი. თეორიის პრაქტიკულ მომარჯვებას, მდგომარეობა იცვლებოდა და აღარავითარ შეცდომას აღარ ქონდა ადგილი. სამწუხაროდ, სულ ხშირად ფიქრობენ, რომ ახალი თეორია სავსებით გაიგეს და შეუძლიათ მისი გამოყენებაც მაშინვე, როგორც კი შეთვისებულა ძირითადი დებულება, მაგრამ ნამდვილად ეს ყოველთვის ასე არ არის. მე ეს

შემიძლია ვუსაყვედურო ბევრ ცნობილ „მარქსისტს“ და ამის წყალობით ხანდახან განსაცვიფრებელი არევე-დარევა იბადებოდა.

(ფ. ენგელსი — წერილი იოსებ ბლოხს).

### § 3. საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების მარქსისტულ-ლენინური გაგება

ჩვენ ხშირად გვესმის ეკონომისტებიდან (სხვათა შორის ეს ერთი საყვარელი იდეაა იმ წრის ეკონომისტებისა და პუბლიცისტებისა, რომელსაც „Русское Богатство“ ეკუთვნის), რომ მხოლოდ ღირებულებათა წარმოება ემორჩილება მარტო ეკონომიურ კანონებს, მაშინ, როდესაც განაწილება დამოკიდებულია პოლიტიკაზე, იმ ზედმოქმედებაზე, რომელსაც ხელისუფლება, ინტელიგენცია და სხვ. საზოგადოებაზე ახდენსო. მაშ რა აზრით ლაპარაკობს მარქსი საზოგადოების მოძრაობის ეკონომიურ კანონზე და იქვე ამ კანონს *Natargesetz*, ე. ი. ბუნების კანონს უწოდებს. როგორ უნდა გავიგოთ ეს, მაშინ, როცა მრავალმა რუსმა სოციოლოგმა ქალაქის მთელი გროვა დასწერეს იმის დასამტკიცებლად, რომ საზოგადოებრივ მოვლენათა სფერო გამოცალკავებულია ბუნებრივ-ისტორიულ მოვლენათა სფეროსაგან, ამიტომ პირველის გამოსარკვევად საჭიროა განსაკუთრებული „სუბიექტური მეთოდი სოციოლოგიაშიაო“.

ყველა ეს გაუგებრობანი ბუნებრივად და აუცილებლად იბადებიან და, რასაკვირველია, მხოლოდ სრულიად უმეცარ ადამიანს შეუძლია მათი მიუუჩიჩება, როცა „კაპიტალზე“ ლაპარაკობს. რათა ამ საკითხებში გავერკვეთ, მოვიყვანოთ წინასწარ კიდევ ერთი ადგილი იმავე „კაპიტალის“ წინასიტყვაობიდან, რამდენიმე სტრიქონის ქვევით:

„ჩემი თვალსაზრისი იმაში მდგომარეობსო, — ამბობს მარქსი, — რომ მე ეკონომიურ საზოგადოებრივი ფორმაციის განვითარებას ისე ვუყურებ, როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესსო“.

საკმაოა უბრალო ბატონობა თუნდაც ზემოთმოყვანილი ორი ადგილისა წინასიტყვაობიდან, რათა დავინახოთ, რომ სწორეთ იმაში მდგომარეობს „კაპიტალის“ ძირითადი იდეა, რომელიც, როგორც აღნიშნული იყო, გადმოცემულია მკაცრი თანმიმდევრობით და იშვიათი ლოღიკური ძლიერებით. აღვნიშნოთ უწინარეს ყოვლისა ორი გარემოება: მარქსი ლაპარაკობს მხოლოდ ერთ „საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაზე“; კაპიტალისტურზე, ე. ი. ამბობს, რომ მხოლოდ ამ ფორმაციის განვითარების კანონი გამოარკვია და არა სხვა რომე-

ლიმესი. ეს ერთი. ხოლო მეორე გარემოება ის არის, რომ მარქსის მეთოდი, როგორც ეს არის ახლა გავიგეთ ბ. მიხაილოვსკისაგან, მდგომარეობს „სათანადო ფაქტების დაწვრილებით გამოკვლევაში“.

გადავიდეთ ახლა „კაპიტალის“ ამ ძირითადი იდეის განხილვაზე რომელსაც ასე მოხერხებულად აუარა გვერდი ჩვენმა სუბიექტიურმა ფილოსოფოსმა. რაში მდგომარეობს ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაციის ცნება? და როგორ შეიძლება, რომ ამ ფორმაციის განვითარება ბუნებრივ-ისტორიულ პროცესათ ჩაითვალოს? აი საკითხებო, რომელნიც ჩვენს წინაშე სდგანან. მე უკვე აღვნიშნე, რომ ძველ (არა რუსეთისათვის) ეკონომისტებისა და სოციოლოგების თვალსაზრისით საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ცნება სრულიად ზედმეტია. ისინი მსჯელობენ საზოგადოებაზე საერთოდ, ეკამათებიან სპენსერებს იმის შესახებ, თუ რა არის საერთოდ საზოგადოება, როგორია მისი მიზანი, რაობა და სხვ. ამგვარ მსჯელობაში ეს სუბიექტიური სოციოლოგები ეყრდნობიან იმ საბუთებს, რომ საზოგადოების მიზანი ყველა მისი წევრების სარგებლობაა, ამიტომ სამართლიანობა ამა და ამ ორგანიზაციას მოითხოვს; იდეალური ორგანიზაციისათვის შეუფერებელი წესები არანორმალური არიან და უნდა მოსპობილ იქნანო. („სოციოლოგიამ უნდა დაიწყოს ერთგვარი უტოპიდიანო“ — ეს სიტყვები სუბიექტიური მეთოდის ერთი ავტორისა — ბ-ნ მიხაილოვსკის, მშვენიერად ახასიათებს მისი მეთოდების არსებას). „სოციოლოგიის არსებითი ამოცანა — ამბობს მაგალითად ბ. მიხაილოვსკი — მდგომარეობს საზოგადოებრივი პირობების გამორკვევაში, რომლის წყალობით ადამიანური ბუნების ესა თუ ის მოთხოვნილება კმაყოფილდება“. როგორც ხედავთ, ამ სოციოლოგს აინტერესებს ისეთი საზოგადოება, რომელიც ადამიანის ბუნებას აკმაყოფილებს და არა რაღაც საზოგადოებრივი ფორმაციები, რომელნიც შეიძლება დამყარებულ იქნან ისეთ „ადამიანური ბუნებისათვის“ შეუფერებელ მოვლენებზე, როგორცაა უმრავლესობის დამონება უმცირესობის მიერ. თქვენ ხედავთ აგრეთვე, რომ ამ სოციოლოგის თვალსაზრისით ლაპარაკი კი არ შეიძლება იმაზე, რომ საზოგადოების განვითარება ბუნებრივ-ისტორიულ პროცესათ მივიჩნიოთ („სოციოლოგმა, რომელიც რაიმეს სასურველად ან არასასურველად სთელის, პირობები უნდა აღმოაჩინოს ამ სასურველის მისაღწევად ან არასასურველის მოსაშობად... ამა თუ იმ იდეალების განსახორციელებლად“, — ამბობს იგივე ბ. მიხაილოვსკი). კიდევ მეტი, არ შეიძლება ლაპარაკი განვითარებაზე, არამედ შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ სხვადასხვა გადახრაზე „სასურველისაგან“, „დეფექტებზე“, რომელიც ისტორიაში ხდება იმის გამო,

რომ ადამიანებმა ქვეყნის ვერ გამოიჩინეს, კარგად ვერ გაიგეს რას  
ოთხჯერ ადამიანის ბუნება, ვერ აღმოაჩინეს პირობები ასეთი გონი-  
ვი წესების განსახორციელებლად. ცხადია, რომ მარქსის ძირითადი  
იდეა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმულათა განვითარების ბუ-  
ნებრივ-ისტორიულ პროცესზე საფუძვლიანად არყვეს ამ ბავშურ მო-  
რალს, რომელიც პრეტენზიას აცხადებს სოციოლოგიის სახელწოდე-  
ბაზე. როგორღა შეიმუშავა მარქსმა ეს ძირითადი იდეა? მან საზოგა-  
დოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგიდან გამოჰყო ეკონომიური-  
დარგი; ყველა საზოგადოებრივი დამოკიდებულებისაგან გამოჰყო „სა-  
წარმოო ურთიერთობანი“, როგორც ძირითადი, პირვანდელი, დანარ-  
ჩენ ურთიერთობათა განმსაზღვრელი. თვით მარქსმა ასე გადმოგვცა  
თავისი მსჯელობის მსვლელობა ამ საკითხში:

„პირველი შრომა, რომელიც მე დავიწყე ჩემში აღძრული იქვეების  
გასაფანტავად, იყო კრიტიკული განხილვა ჰეგელის უფლების ფი-  
ლოსოფიისა. ამ შრომამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ უფლებრივი  
ურთიერთობანი, ისე, როგორც პოლიტიკური ფორმები არ შეიძლება  
გამოყვანილ და ახსნილ იქნან მხოლოდ იურიდიულ და პოლიტიკურ-  
საფუძვლებისაგან; კიდევ უფრო ნაკლებ შეიძლება მათი ახსნა და  
გამოყვანა კაცობრიობის სულის ეგრეთ წოდებული ზოგადი განვი-  
თარებისაგან. მათი ფესვები მარხია მხოლოდ მატერიალურ ცხოვრე-  
ბის დამოკიდებულებაში, რომლის მთლიანობას ჰეგელმა, მე-18 საუ-  
კუნის ინგლისელ და ფრანგ მწერლების მიხედვით, „სამოქალაქო სა-  
ზოგადოება“ უწოდა. სამოქალაქო საზოგადოების ანატომია კი პოლი-  
ტიკურ ეკონომიაში უნდა ვეძიოთ. ის შედეგები, რომელიც მე ამ  
უკანასკნელის შესწავლამ მომცა, მოკლეთ შეიძლება შემდეგნაირად  
ჩამოყალიბდეს: მატერიალურ წარმოების დროს ადამიანებს უხდებათ-  
ერთგვარ ურთიერთობაში ჩადგომა, ეს არის „საწარმოო ურთიერთო-  
ბა“. ეს უკანასკნელი ყოველთვის შეესაბამება წარმოების განვითარების  
იმ საფეხურს, რომელსაც ამ დროს აღწევენ მისი ეკონომიური-  
ძალები. ამ საწარმოო ურთიერთობათა მთლიანობა შეადგენს საზო-  
გადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ საფუძველს, რომელ-  
ზედაც აგებულია პოლიტიკური და იურიდიული ზედნაშენი და რომ-  
ელსაც შეესაბამება საზოგადოებრივი შეგნების განსაზღვრული  
ფორმები. ამრიგად საწარმოო წყობა განსაზღვრავს ცხოვრების სოცია-  
ლურ, პოლიტიკურ და წმინდა სულიერ პროცესებს. მათი არსებობა-  
არა თუ დამოკიდებული არ არის ადამიანის შეგნებაზე, არამედ პი-  
რიქით, უკანასკნელი თვით არის დამოკიდებული მათზე. მაგრამ წარ-  
მოების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ეს ძალები ეჯახე-



ბიან ადამიანთა საწარმოო დამოკიდებულებებს. ამის გამო ეს საწარმოო დამოკიდებულებანი ეწინააღმდეგებიან იმასაც, რაც შეადგენს მათ იურიდიულ გამოხატულებას, ე. ი. ქონებრივ ურთიერთობას. მაშინ საწარმოო დამოკიდებულებანი უკვე აღარ შეესაბამებიან არსებულ წარმოებას და ავიწროებენ მას. აქედან იწყება საზოგადოებრივ გადატრიალებათა ეპოქა. ეკონომიური საფუძვლის ცვლილებასთან ერთად მეტნაკლები სიჩქარით იცვლება მთელი უზარმაზარი ზედნაშენი, რომელიც ამართულია მასზე. ამ გადატრიალებათა განხილვის დროს ყოველთვის მკაცრად უნდა გავარჩიოთ მატერიალური ცვლილება წარმოების პირობებში, რომელიც აღნიშნულ უნდა იქნას ბუნებრივ, მეცნიერულ სისწოროთ და აგრეთვე იურიდიულ, პოლიტიკურ, რელიგიურ, მხატვრულ და ფილოსოფიურ, ერთი სიტყვით — იდეოლოგიურ ფორმათა ცვლილება; აქ, აზრი შეჯახების შესახებ იჭრება ადამიანის შეგნებაში, სადაც ფარული ბრძოლა სწარმოებს ამის გამო. ცალკე ადამიანზე ჩვენ არ ვმსჯელობთ იმის მიხედვით, თუ „რას“ ჰფიქრობს იგი თავის თავზე; არ შეიძლება აგრეთვე გადატრიალებათა ეპოქის განსჯა მისი საკუთარი თვითშეგნების მიხედვით. პირიქით. ეს თვითშეგნება უნდა იქნას ახსნილი მატერიალური ცხოვრების წინააღმდეგობით, საწარმოო დამოკიდებულებათა და წარმოების პირობათა ქიდილით. აზიური, ანტიური, ფეოდალური და უახლოესი ბურჟუაზიული საწარმოო წესწყობილება შეიძლება განხილულ იქნას, როგორც პროგრესიული ეპოქები საზოგადოების ეკონომიურ ფორმაციათა ისტორიაში<sup>1)</sup>.

ეს იდეა მატერიალიზმისა სოციოლოგიაში უკვე თავისთავად გენიალური იდეა იყო. რასაკვირველია, „ჯერჯერობით“, ეს მხოლოდ ჰიპოტეზა იყო, მაგრამ ისეთი ჰიპოტეზა, რომელიც პირველად ჰქმნიდა შესაძლებლობას, რომ, მეცნიერულად მივსდგომოდიო ისტორიულ და საზოგადოებრივ საკითხებს. სოციოლოგები ვერ ახერხებდნენ ისეთ უმარტივეს და პირვანდელ დამოკიდებულებათა დანახვას, როგორცაა საწარმოო დამოკიდებულებანი და პირდაპირ პოლიტიკო-იურიდიულ ფორმების შესწავლასა და გამოკვლევას იწყებდნენ: ისინი ეჯახებოდნენ იმ ფაქტს, რომ ეს ფორმები კაცობრიობის ამა თუ იმ იდეებიდან წარმოიშობიან განსაზღვრულ დროს — და ამაზე ჩერდებოდნენ; გამოდიოდა, თითქო საზოგადოებრივ ურთიერთობას ადამიანები შეგნებულად აშენებდნენ. მაგრამ ეს დასკვნა, რო-

<sup>1)</sup> იხ. კარლ მარქსი — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, წინასიტყვაობა. (ახლო ხანში გამოვა ქართული თარგმანი).

მელიც სავსებით Contrat Social-ის იდეაში გამოიხატა (რომლის კვალი მეტად ემჩნევა უტოპიური სოციალიზმის ყველა სისტემებს), სრულიად ეწინააღმდეგებოდა ყველა ისტორიულ დაკვირვებათ. არასოდეს არ მომხდარა და არც ახლა ხდება, რომ საზოგადოების წევრებს წარმოედგინოს იმ საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა მთლიანობა, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, როგორც რაღაც გარკვეული, დამთავრებული, გამსჭვალული რაღაც პრინციპით; პირიქით, მასსა შეგნებულად ეგუება ამ დამოკიდებულებებს და მას იმდენად ვერ წარმოუდგენია ის როგორც განსაკუთრებული ისტორიული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომ მაგალითად იმ ალბ-მიცემობის ურთიერთობის ახსნა, რომელშიც ადამიანები მთელი საუკუნეების განმავლობაში სცხოვრობდნენ, მხოლოდ სულ უკანასკნელ დროს წარმოიშვა. მატერიალიზმმა დასძლია ეს წინააღმდეგობა იმით, რომ ღრმა ანალიზი გაუკეთა თვით ადამიანის ამ საზოგადოებრივ იდეების წარმოშობას; და მისი დასკვნა, რომ იდეათა მსვლელობა საგანთა მსვლელობაზეა დამოკიდებული, სავსებით შეესაბამება მეცნიერულ ფსიქოლოგიას. გარდა ამისა, ამ ჰიპოტეზამ სოციოლოგია პირველად აიყვანა მეცნიერების საფეხურზე. დღემდე სოციოლოგებს უჭირდათ საზოგადოებრივ მოვლენათა რთულ ქსელში მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო მოვლენები გაერჩიათ (ამაშია სუბიექტივიზმის საფუძველი სოციოლოგიაში), მათ არ იცოდნენ როგორ ეპოვათ ობიექტიური კრიტერიუმი ასეთი განსაზღვრისათვის. მატერიალიზმმა მოგვცა სრულიად ობიექტიური კრიტერიუმი იმით, რომ გამოჰყო „საწარმოვო ურთიერთობანი“ როგორც საზოგადოების სტრუქტურა და შეგვაძლებინა ამ ურთიერთობათ მივაყენოთ ის ზოგად მეცნიერული კრიტერიუმი. განმეორებისა, რომელსაც სუბიექტივისტები სოციოლოგიისთვის უარყოფდნენ. სანამ ისინი კმაყოფილდებოდნენ იდეოლოგიური საზოგადოებრივი დამოკიდებულებებით (ე. ი. ისეთი დამოკიდებულებებით, რომელნიც ჩამოყალიბებამდე ადამიანთა შეგნებაში გადიან. ცხადია, რომ აქ ყოველთვის ლაპარაკია „საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა“ შეგნებაზე და არა სხვა ადამიანებზე), მათ არ შეემჩნიათ განმეორება და კანონიერება სხვადასხვა ქვეყნების საზოგადოებრივ მოვლენებში და მათი მეცნიერება საუკეთესო შემთხვევაში იყო მხოლოდ აღწერა ამ მოვლენებისა და ნედლი მასალის შერჩევა. მატერიალურ საზოგადოებრივ ურთიერთობის ანალიზმა (ე. ი. ურთიერთობის, რომელიც ისე უაღიბდება, რომ ადამიანის შეგნებაში არ გადის: პროდუქტების გაცვლა-გამოცვლის დროს ადამიანები შედიან საწარმოვო ურთიერთობაში ისე, რომ მათ არც კი აქვთ შეგნებული, რომ

აქ საზოგადოებრივი საწარმოვო ურთიერთობა არსებობს) ერთბაშით მოგვცა შესაძლებლობა შეგვენიშნა განმეორება და კანონიერება და სხვადასხვა ქვეყნების წესები განგვესაზოგადოებია „საზოგადოებრივი ფორმაციის“ ერთს ძირითადს ცნებაში. მხოლოდ ასეთმა განსაზოგადოებამ შეგვაძლებინა გადავსულიყავით საზოგადოებრივი მოვლენების აღწერიდან (და მათი დაფასებიდან იდეალის თვალსაზრისით) მტკიცე მეცნიერულ ანალიზზე, რომელიც მაგალითად ანცალკეევებს იმას, რაც ერთს კაპიტალისტურ ქვეყანას მეორისაგან ჰყოფს და იკვლევს იმას, „რაც“ მათ საერთო აქვთ.

დასასრულ, ამ ჰიპოტეზამ პირველად კიდევ იმიტომ შეჰქმნა „მეცნიერული“ სოციოლოგიის შესაძლებლობა, რომ მხოლოდ საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა გამოყვანამ საწარმოვო ურთიერთობიდან და ამ უკანასკნელის საწარმოვო ძალთა სიმადლეზე აყვანამ მოგვცა მტკიცე საფუძველი იმისთვის, რომ საზოგადოებრივ ფორმაციათა განვითარება წარმოვიდგინოთ როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი. თავისთავად იგულისხმება, რომ ასეთი შეხედულების გარეშე შეუძლებელია საზოგადოებრივი მეცნიერება (მაგალითად სუბიექტივისტები სცნობდნენ ისტორიული მოვლენების კანონ-შეწონალებას, მაგრამ ვერ ახერხებდნენ მათი ევოლიუცია განეხილათ როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი, სწორეთ იმიტომ, რომ ჩერდებოდნენ ადამიანის საზოგადოებრივ იდეებსა და მიზნებზე და ვერ სძლებდნენ ამ იდეებისა და მიზნების გამოყვანას მატერიალური საზოგადოებრივი დამოკიდებულებისაგან).

და, აი მარქსი, რომელმაც მე-40 წლებში ეს ჰიპოტეზა გამოსთქვა, ხელს ჰკიდებს მასალის ფაქტიურ (ეს nota bene) შესწავლას. ის იღებს ერთს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას — საქონლის მეურნეობის სისტემას და იმ უამრავი მასალის საფუძველზე (რომელიც მან შეისწავლა 25 წლის განმავლობაში) იძლევა დაწვრილებითს ანალიზს ამ ფორმაციის ფუნქციონალური მოქმედების და განვითარების კანონებისა. ეს ანალიზი შეზღუდულია მარტოდენ საწარმოვო ურთიერთობით საზოგადოების წევრებს შორის: მარქსი საქმის ვითარების ასახსნელად არასოდეს არ მიმართავს ასეთ მომენტებს, რომელნიც ამ საწარმოვო ურთიერთობის გარეშე სდგას და შესაძლებლობას გვაძლევს დავინახოთ, როგორ ვითარდება საზოგადოებრივი მეურნეობის საქონლის ორგანიზაცია, როგორ იქცევა ის კაპიტალისტურად, ჰქმნის ანტაგონისტურ (უკვე საწარმოვო ურთიერთობათა ფარგლებში) კლასებს — ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს, როგორ ანვითარებს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებას და ამ-

რიგად ისეთი ელემენტი შემოაქვს, რომელიც შეურიგებელ წინააღმდეგობაში იმყოფება თვით ამ კაპიტალისტური ორგანიზაციის საფუძველთან.

ასეთია „კაპიტალის“ „ჩონჩხი“. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მარქსი არ დაკმაყოფილდა ამ ჩონჩხით, იგი არ დასჯერდა მარტოოდენ „ეკონომიურ თეორიას“ ამ ცნების ჩვეულებრივი აზრით და თუმცა ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფორმაციის შენებასა და განვითარებას „სავსებით“ საწარმოვო ურთიერთობით „ხსნიდა“, მაგრამ მუდამ და ყოველგან ითვალისწინებდა ამ საწარმოვო ურთიერთობათა შესაფერხედნაშენებს, ერთი სიტყვით ჩონჩხს სისხლსა და ხორცს აბამდა. ამიტომ მოიპოვა „კაპიტალმა“ უდიდესი გავლენა, რომ „გერმანელი ეკონომისტის“ ამ წიგნმა მკითხველს მთელი კაპიტალისტური საზოგადოებრივი ფორმაცია უჩვენა, როგორც ცოცხალი არსება, მისი ყოფა-ცხოვრება კლასთა ანტაგონიზმის ფაქტიური სოციალური გამოხატულება, ბურჟუაზიული პოლიტიკური ზედნაშენი, რომელიც კაპიტალისტთა კლასის ბატონობას იცავს, ბურჟუაზიული იდეები თავისუფლებისა, თანასწორობისა და სხვ., ბოლოს ბურჟუაზიული ოჯახური ურთიერთობა. ახლა გასაგებია, რომ შედარება დარვინთან სრულიად მართებულია: „კაპიტალი“ წარმოადგენს „განმასაზოგადოებელ, მჭიდროთ შეკავშირებულ იდეებს, რომელნიც აგვირგვინებენ ფაქტიური მასალის მთელს მონ-ბლანს“. ხოლო თუ ვინმემ „კაპიტალის“ წაკითხვის დროს ეს ზოგადი იდეები ვერ შეამჩნია, ეს უკვე მარქსის ბრალი არ არის; მან როგორც უკვე დავინახეთ, თვით წინასიტყვაობაში აღნიშნა ეს იდეები. ეს კიდევ ცოტაა: ასეთი შედარება სწორია არა მარტო გარეგნული მხრით (რომელმაც არ ვიცი რატომღაც განსაკუთრებით დააინტერესა ბ. მიხაილოვსკი), არამედ შინაგანითაც. როგორც დარვინმა ბოლო მოუღო შეხედულებას ცხოველებისა და მცენარეების სახეებზე, როგორც დაუკავშირებელ, შემთხვევით, „ღვთის გაჩენილ“ და უცვლელ მოვლენებზე და ბიოლოგია პირველად დააყენა სავსებით მეცნიერულ ნიადაგზე, დაამტკიცა საბჭეთა ცვალებადობა და თანამიმდევრობა, ისევე მარქსმა ბოლო მოუღო შეხედულებას საზოგადოებაზე, როგორც ინდივიდთა მექანიკურს აგრეგატზე, რომელიც შეიძლება სხვადასხვა გვარათ შეიცვალოს მთავრობის (ან საზოგადოების) ნებით, რომელიც იბადება ან იცვლება შემთხვევით და სოციოლოგიას პირველად ჩაუყარა მეცნიერული საფუძველი; ეს მოხდა იმის წყალობით, რომ მან შეიმუშავა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ცნება, როგორც მოცემუ-

ლი საწარმოვო ურთიერთობის მთლიანობისა და დაამტკიცა, რომ განვითარება ამგვარ ფორმაციებისა ბუნებრივ-ისტორიული პროცესია.

(ლენინი — ჩანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ებრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატებს).

#### § 4. პოლიტიკური ეკონომიის მეთოდი

როცა ამა თუ იმ ქვეყანას პოლიტიკურ-ეკონომიური თვალსაზრისით ვიხილავთ, უწინარეს ყოვლისა ვიწყებთ მოსახლეობიდან, ვეზებით მის დანაწილებას კლასებათ, ქალაქსა, სოფელსა, ზღვის სანაპიროსა და სხვადასხვა საწარმოო დარგებ შორის მოსახლეობის განაწილებას. ექსპორტსა და იმპორტს, წლიურ წარმოება-მოხმარებას, საქონლის ფასებს და სხვა. თითქო უფრო სწორია რეალურით და კონკრეტულთ, ნამდვილი წინაპირობით დაწყება, მაგალითად, პოლიტიკურ ეკონომიაში მოსახლეობით, დაწყება რომელიც მთელი საზოგადოებრივი წარმოების აქტის საფუძველსა და სუბიექტს წარმოადგენს. მაგრამ ახლო განხილვისას სჩანს, რომ ეს თვალსაზრისი ყალბია. მოსახლეობა აბსტრაქციაა, თუ მე, მაგალითად, მხედველობაში არ მივიღებ კლასებს, რომლისაგანაც იგი შესდგება. ეს კლასებიც ცარიელი სიტყვაა თუ მე არ ვიცნობ იმ ელემენტებს, რომელთაც ისინი ემყარებიან, მაგალითად საქირაო შრომას, კაპიტალს და სხვ. ეს უკანასკნელნი კიდევ გულისხმობენ გაცვლას, შრომის დანაწილებას, ფასებს და სხვ. მაგალითად, კაპიტალი არაფერია საქირაო შრომისა, ღირებულებისა, ფულისა, ფასის და სხვ. გარეშე, მაშასადამე, თუ კი მოსახლეობიდან დავიწყებდი მაშინ ეს მთელი ქოტიური წარმოდგენა იქნებოდა, მხოლოდ უფრო დაახლოებით განსაზღვრით მე ანალიტიურად უფრო და უფრო მიუახლოვდებოდი მარტივ ცნებებს; წარმოდგენილი კონკრეტობიდან უფრო და უფრო უშინაარსო აბსტრაქციებზე გადავიდოდი, სანამ უმარტივეს განსაზღვრებს არ მივაღწევდი. აქედან უკან უნდა დავბრუნებულიყავი, სანამ ბოლოს ხელახლა მოსახლეობას არ მივალწევდი, მაგრამ ეხლა ეს იქნებოდა არა მთელზე ქოტიური წარმოდგენა, არამედ მრავალი განსაზღვრისა და ურთიერთობის მდიდარი ერთობლივობა. პირველი გზა ისაა, რომელიც პოლიტიკურმა ეკონომიამ ისტორიულად თავის წარმოშობიდანვე აირჩია. მაგალითად, მეჩვიდმეტე საუკუნის ეკონომისტები ყოველთვის ცოცხალი მთლიანობით, მოსახლეობით, ერთ, სახელმწიფოთი, რამდენიმე სახელმწიფოთი და სხვ. იწყებდენ; მაგრამ ისინი ყოველთვის ასრულებდენ იმით, რომ ანალიზის შემწეობით

ზოგიერთ განმსაზღვრელ აბსტრაქტულ ზოგად დამოკიდებულებას გამოჰყოფდნენ, როგორცაა შრომის დანაწილება, ფული, ღირებულება და სხვ. როცა ამ ცალკე მომენტების ცოტად თუ ბევრად ფიქსაცია და აბსტრაგირება მოხდა, წარმოიშვა ეკონომიური სისტემები, რომელნიც მარტივი მოვლენებიდან, როგორცაა შრომა, შრომის დანაწილება, მოთხოვნილება, საცვლელი ღირებულება, განვითარდნის სახელმწიფოსა, საერთაშორისო გაცვლისა და მსოფლიო ბაზრამდე უკანასკნელი მეთოდი, ცხადია, მეცნიერულათ უფრო სწორია, კონკრეტობა მიტომაა კონკრეტიული, რომ იგი მრავალ განსაზღვრას შეიცავს, და, მაშასადამე, მრავალსახეობის მთლიანობას წარმოადგენს. ამიტომ აზროვნებაში იგი გვევლინება როგორც შეერთების პროცესი, როგორც შედეგი და არა როგორც გამოსავალი წერტილი, თუცა იგი ნამდვილი გამოსავალი წერტილი და ამიტომ განსჯერების და წარმოდგენის გამოსავალი წერტილია. პირველ გზაზე სრული წარმოდგენა უსხეულო აბსტრაქტულ განსაზღვრათ იქცევა; მეორეზე — აზროვნების საშუალებით აბსტრაქტულ განსაზღვრებს კონკრეტული მოვლენების რეპროდუქციისაკენ მიყვება. ამიტომ ჰეგელი ილუზიას დაემორჩილა, როცა მას რეალური ესმის როგორც შინაგანი მთლიანობით გამსჭვალული, თავის თავში ჩაღრმავებული და თავის თავიდან ამოძრავებული აზროვნების შედეგი. მაშინ როდესაც აბსტრაქტულიდან კონკრეტულსკენ ასვლის მეთოდი მხოლოდ საშვალეებაა, რომლის შემწეობით აზროვნება კონკრეტულს ითვისებს, ახდენს მის, როგორც კონკრეტულს, ძულიერ რეპროდუქციას. მაგრამ ეს სრულიადაც არაა თვით კონკრეტულს წარმოშობის პროცესი. უმარტივესი ეკონომიური კატეგორია, მაგალითად, საცვლელი ღირებულება, განსაზღვრულ პირობებში მწარმოებელ მოსახლეობას და აგრეთვე ოჯახის, თემის ან სახემწიფოს და სხვა განსაზღვრულ ფორმებს გულისხმობს. იგი სხვანაირად ვერ იარსებებს თუ არა როგორც უკვე მოცემული კონკრეტული და ცოცხალი მთელის აბსტრაქტული ცალმხრივი ურთიერთობა.

პირიქით, საცვლელ ღირებულებას როგორც კატეგორიას პრედილუვიალური არსებობა აქვს. ამიტომ შემეცნებისათვის, — ფილოსოფიურ შემეცნებას ხომ ის ახასიათებს, რომ მისთვის ლოგიკური აზროვნება ნამდვილი ადამიანია, ლოგიკურათ შეცნობილი სამყარო კი ნამდვილი სამყარო, — კატეგორიათა მოძრაობა ნამდვილ მწარმოებელ აქტს წარმოადგენს, რომელიც სამწუხაროთ (?) ბიძგს გარედან ღებულობს; ამ აქტის შედეგია სამყარო და ეს იმდენათ სწორია (აქ ჩვენ ზელ ახლა ტავტოლოგია გვაქვს) რამდენადაც კონკრეტული

მთლიანობა, როგორც აზრთა მთლიანობა, აზროვნებითი კონკრეტობა მართლაც აზროვნების, გაგების პროდუქტს წარმოადგენს; მაგრამ ეს სრულიადაც იმ ცნების პროდუქტი არაა, რომელიც აზროვნობა და თვითთვითარდება განსკვრეტისა და წარმოდგენის გარეშე, არამედ განსკვრეტის და წარმოდგენის გადამუშავებაა ცნებაში. მთელი, როგორც იგი თავში გვევლინება — აზროვნებითი მთლიანობის სახით იმ მოაზროვნე თავის ნაყოფია, რომელიც სამყაროს ერთად ერთი, მისთვის შესაძლებელი საშვავლებით, ითვისებს, რომელიც განსხვავდება ამავე ქვეყნის მხატვრულ — რელიგიურ-პრაქტიკული სულიერ თვისებისაგან. რეალური სუბიექტი, ჩვეულებრივ, ადამიანის აზროვნების გარეშე რჩება და იგი მხოლოდ დამოუკიდებელივ არსებობს, სანამ აზროვნება სპეკულიატიურათ და თეორიულათ მოქმედებს. ამიტომ თეორიული მეთოდის ხმარების დროსაც (პოლიტიკურ ეკონომიაში) სუბიექტი, საზოგადოება, როგორც წინაპირობა, მუდამ თვალწინ უნდა გვედგას. მაგრამ განა ამ მარტივ კატეგორიებს კონკრეტულ კატეგორიებსზე ადრე დამოკიდებული ისტორიული და ბუნებრივი არსებობა არ აქვთ? Ça dépend. მაგალითად, მართალია ჰეგელი, როცა სანატლის ფილოსოფიას მფლობელობიდან, როგორც სუბიექტის უმარტივესი უფლებრივი ურთიერთობიდან, იწყებს. მაგრამ არავითარი მფლობელობა არ არსებობს ოჯახის ან ბატონობის და მონობის ურთიერთობათა წარმოშობამდე, რომელნიც უფრო კონკრეტულ ურთიერთობებს წარმოადგენენ. ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, არსებობენ ოჯახები, ტომები, რომელნიც მხოლოდ ფლობენ, მაგრამ საკუთრებას მოკლებულნი არიან. ამ რაგათ უმარტივესი კატეგორია გვევლინება როგორც მარტივი ოჯახური ან ტომობრივი კავშირების ურთიერთობა საკუთრებასთან.

წინანდელ საზოგადოებაში იგი წარმოადგენს განვითარებულ ორგანიზმის უფრო მარტივ ურთიერთობას, მაგრამ კონკრეტული სუბსტრაქტი, რომლის დამოკიდებულება მფლობელობაა, მუდამ იგულისხმება. შეიძლება განცალკევებული ველური მფლობელათ წარმოვიდგინოთ. მაგრამ ამ შემთხვევაში მფლობელობა უფლებრივი დამოკიდებულება როდია. სწორი არაა, თითქო მფლობელობა ისტორიულათ ოჯახის სახით განვითარებულ იყოს. პირიქით, იგი ყოველთვის გულისხმობს ამ „უფრო კონკრეტულ უფლებრივ კატეგორიას“. მაგრამ ამაში მაინც არის ქეშმარიტი ნაწილი, რომ მარტივი კატეგორიები იმ ურთიერთობის გამოხატულებას წარმოადგენენ რომელშიც შეიძლება განუვითარებელი კონკრეტობა განხორციელდეს, სანამ არ დამყარდება უფრო მრავალმხრივი დამოკიდებულება და უფრო მრავ-

ვალმხრივი ურთიერთობა, რომელთა გონებრივ გამოხატულებას კონკრეტული კატეგორია წარმოადგენს, მაშინ როცა განვითარებული კონკრეტობა იმავე კატეგორიას ინარჩუნებს როგორც ქვემდებარე ურთიერთობას.

ფუულს შეუძლია იარსებოს და ისტორიულათ კიდევ არსებობდა, სანამ კაპიტალი, ბანკები, საქიარო შრომა გაჩნდებოდა და სხვ. მაშასადამე, ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ უმარტივეს კატეგორიას შეუძლია განუვითარებელი მთელის გაბატონებული ურთიერთობა გამოხატოს, (ურთიერთობანი), რომელიც ისტორიულად უკვე არსებობდა. სანამ მთელი იმ მიმართულებით განვითარდებოდა, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა უფრო კონკრეტულ კატეგორიაში. ამდენათ შეიძლება ითქვას, რომ იმ აბსტრაქტული აზროვნების კანონები, რომელიც უმარტივესიდან რთულისკენ გადადის, ნამდვილ ისტორიულ პროცესს შეეფერება.

მეორეს მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ არსებობენ მეტათ განვითარებული, მაგრამ ისტორიულათ მაინც მოუმწიფებელი საზოგადოებრივი ფორმები, სადაც მოიპოვება მეურნეობის უმაღლესი ფორმები. მაგალითად, კოოპერაცია, შრომის განვითარებული დანაწილება და სხვ.; მაგრამ ფული უცნობია მაგ. პერუში.

აგრეთვე სლავიანთა თემებში ფული და მისი გამომწვევი გაცვლა გვევლინება არა ცალკე თემების შიგნით, არამედ მათს საზღვრებზე. სხვა თემებთან ურთიერთობაში; საზოგადოთ შეცდომაა ის შეხედულება თითქოს გაცვლა პირველყოფილ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენდა ცალკე თემის შიგნით. პირიქით თავდაპირველათ იგი უფრო სხვადასხვა თემების ურთიერთობაში იჩენს თავს, ვიდრე ერთი და იმავე თემის წევრების ურთიერთობაში. შემდეგ: თუმცა ფული ადრე და მრავალ მხრივ იწყებს როლის შესრულებას, მაგრამ ძველათ იგი მხოლოდ ცალმხრივათ ჩამოყალიბებულ ერებში წარმოადგენს გაბატონებულ ელემენტს, მოვაჭრე ხალხში და უაღრესად განვითარებულ ანტიურ ქვეყანაშიც კი — მისი სრული განვითარება, რომელიც თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების წინაპრობას წარმოადგენს, მხოლოდ ბერძნების და რომაელების დაშლის დროს მოხდა. ამრიგათ უმარტივესი კატეგორია მთელი თავისი ინტენსივობით ისტორიულათ მხოლოდ საზოგადოების უფრო განვითარებულ ურთიერთობებში გვევლინება. იგი სრულიადაც არ იჭრება (?) ყველა ეკონომიურ ურთიერთობაში. მაგალითად, რომის იმპერიის, მისი უღრმესი განვითარების პერიოდში, საფუძველს ნატურალური გადასახადი და ნატურალური ბეგარა წარმოადგენდა. ფულის მეურნეობა :ქ



მხოლოდ არმიაში იყო საეცებით განვითარებული და შრომის პრი-  
ციეს იგი მთლიანად არასოდეს არ მოიცავდა.

ამრიგათ, თუმცა მარტივი კატეგორია შეიძლება ისტორიულად  
კონკრეტულამდე არსებობდეს, მაგრამ იგი სრული შინაგანი და გა-  
რეგანი განვითარებული სახით მხოლოდ რთულ (?) საზოგადოებრივ  
ფორმებს ეკუთვნის, იმ დროს როცა უფრო კონკრეტული კატეგორია  
სრულიად განვითარებულია ნაკლებ განვითარებულ საზოგადოებრივ  
ფორმაშიც.

შრომა სრულიად მარტივი კატეგორიაა. თვით მასზე წარმოდგე-  
ნა ამ საზოგადოებაში, როგორც შრომაზე საერთოდ, ძველთა ძველია.  
მიუხედავად ამისა, აღნიშნულ მარტივ ფორმაში ეკონომიურად გან-  
ხილული „შრომა“ ისეთივე თანამედროვე კატეგორიაა, როგორც ურ-  
თიერთობა, რომელიც ამ მარტივ აბსტრაქციას წარმოშობს. მაგალი-  
თად, მონეტარული სისტემა სრულიად ობექტურათ განსაზღვრავს  
სიმდიდრეს, როგორც საგანს (?) <sup>1)</sup> ფულში. ამ თვალსაზრისთან შე-  
დარებით დიდი პროგრესი იყო, როცა მანუფაქტურულმა თუ კომერ-  
ციულმა სისტემამ სიმდიდრის წყარო საგნიდან სუბიექტიურ მოქმე-  
დებაში, კომერციულ და მანუფაქტურულ შრომაში გადაიტანა, მაგ-  
რამ თვით ეს მოქმედება მაინც შეზღუდულათ ესმოდათ როგორც  
ფულის შემქნელი მოქმედება. ამ სისტემასთან შედარებით ფიზიკ-  
კრატული სისტემა (შედგომ პროგრესს წარმოადგენს); სიმდიდრის  
შემქმნელათ იგი შრომის განსაზღვრულ ფორმას — სოფლის მეურ-  
ნეობას — გულისხმობს, ხოლო თვით ობიექტს ხედავს არა ფულის  
სამოსელში გახვეულს, არამედ როგორც პროდუქტს საზოგადოთ,  
როგორც შრომის საერთო შედეგს. მაგრამ შეზღუდული მოქმედების  
მიხედვით ეს პროდუქტი ყოველთვის მხოლოდ ბუნებრივად განსაზ-  
ღვრული პროდუქტია. სოფლის მეურნეობა აწარმოებს, მიწა აწარ-  
მოებს *par excellence*. ადამ სმიტის მხრივ უდიდესი წინსვლა იყო.  
რომ მან უკუაგდო სიმდიდრის წარმომშობი მოქმედების ყოველი  
განსაზღვრულობა და ამ ადგილას არა მანუფაქტურული, არა კო-  
მერციული და არა სასოფლო-სამეურნეო შრომა (დასვა) თავისთავად,  
არამედ როგორც პირველი, ისე მეორე. სიმდიდრის შემქნელ მოქმე-  
დების საერთო აბსტრაქტულ ცნებასთან ერთად ჩვენ გვაქვს აგრე-  
თვე საყოველთაო წარმოდგენა პროდუქტზე საზოგადოთ, რომელიც  
ისაზღვრება როგორც სიმდიდრე, ან კიდევ შრომაზე საზოგადოთ,

<sup>1)</sup> აქ ორი სიტყვის გარჩევა შეუძლებელია. ჰგვანან სიტყვებს: „ausser-  
sieh“ — „თავის გარეშე“.

მაგრამ უკვე როგორც წარსულ, გასაგნობრივებულ შრომაზე. თუ რა ძნელი და დიდი იყო ეს გადასვლა, იქიდან სჩანს, რომ თვით ადამ სმიტი ხანდახან ხსევ უბრუნდება ფიზიოკრატულ სისტემას.. შეიძლება გვეჩვენოს, რომ ამ გზით აღმოჩენილი იქნა მხოლოდ აბსტრაქტული გამოხატულება უმარტივესი და უძველესი ურთიერთობისათვის, რომელშიც ადამიანები, სულერთია როგორი საზოგადოების ერთი მხრივ სწორია; მეორე მხრივ კი არა.

განურჩევლობა შრომის განსაზღვრულ სახისადმი გულისხმობს შრომის ნამდვილი სახეების მეტათ განვითარებულ ერთობლივობას, რომელთაგანაც არც ერთი არაა უფრო გაბატონებული. ამ რიგაჯ, ყველაზე უფრო ყოველის შემცველი აბსტრაქციები საზოგადოათ წარმოიშობიან მხოლოდ მდიდარი კონკრეტული განვითარების პირობებში, სადაც ერთი და იგივე თვისება მრავალ, ყველა ელემენტისათვის საერთოა. მაშინ იგი აღარ შეიძლება აზროვნებას მხოლოდ თავის განსაკუთრებულ ფორმაში მოველინოს. მეორეს მხრივ შრომის ეს აბსტრაქცია საერთოდ მხოლოდ შრომის სხვადასხვა სახის კონკრეტული ერთობლივობის შედეგია. განურჩევლობა განსაზღვრული შრომის მიმართ შეეფარდება საზოგადოებრივ ფორმას, სადაც ინდივიდები ადვილათ გადადიან ერთი შრომიდან მეორეზე და სადაც შრომის განსაზღვრული სახე მათ შემთხვევით და განურჩეველ მოვლენათ ეჩვენებათ. აქ შრომა არა მარტო კატეგორიაში, არამედ სინამდვილეშიც სიმდიდრის შემქმნელ საშუალებათ გახდა საერთოდ და დაკარგა კავშირი განსაზღვრულ ინდივიდთან. ასეთი მდგომარეობა ყველაზე განვითარებულთა ბურჟუაზიული საზოგადოების არსებობის უთანამედროვეს ფორმაში შეერთებულ შტატებში<sup>1)</sup>. აქ, ამრიგათ, „შრომის“ კატეგორიის აბსტრაქცია, „შრომა საერთოდ“, შრომა sans phrase, თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის ეს გამოსავალი წერტილი,

<sup>1)</sup> იხ. „კაპიტალი“ ტ. I. (თავი მეცამეტე, შენიშვნა 308): „ერთი ფრანგი მუშა, სან-ფრანცისკოდან დაბრუნების შემდეგ, სწერს: „მე არასოდეს არ ვფიქრობდი, რომ შევსძლებდი ყველა იმ საქმის გაკეთებას, რომელსაც მე ვაწარმოებდი კალიფორნიაში. მე მტკიცეთ ვიყავი დარწმუნებული, რომ წიგნის ბეჭდვას გარდა სხვა არაფერში ვეარგოდი... მაგრამ როდესაც მე ამ ავანტიურისტების ჭეყანაში მოვხვდი, სადაც თავიანთ ხელობას უფრო ადვილად იცვლიან, ვიდრე პერანგს, უნდა ვაღიარო, — მეც ისე მოვიქეცი, როგორც სხვები. რადგანაც მაღარობებში მუშაობა საკმაოდ ხელსაყრელი არ იყო, თავი გავანებე მას და გადავიბარე ქალაქში, სადაც რიგ-რიგობით ვიყავი წიგნის მბეჭდავი, სახლის მხურავი. ტყვიის ჩამომსხმელი და სხვ. მას შემდეგ, რაც გამოცდილებით გავიგე, რომ ყოველგვარ სამუშაოსათვის ვარ გამოსადეგი, მე ჩემს თავს ნაკლებ ვგრძნობდა და უფრო მეტად — ადამიანად“.

პირველად ხდება პრაქტიკულ ქეშმარიტებათ. მაშასადამე, უმარტივესი აბსტრაქცია, რომელსაც თანამედროვე პოლიტიკური ეკონომი პირველ ადგილას სვამს და რომელიც უძველეს, ყველა საზოგადოებრივი ფორმებისათვის სავალდებულო ურთიერთობას გამოხატავს, ამ აბსტრაქციაში პრაქტიკულ ქეშმარიტებათ გვევლინება მხოლოდ და როგორც უთანამედროვესი საზოგადოების კატეგორია. შეიძლება გვითხრან, რაც შეერთებულ შტატებში ისტორიულ პროდუქტს წარმოადგენს — ეს განურჩევლობა განსაზღვრულ შრომისადმი, მაგალითად, რუსებისათვის ბუნებით თანდაყოლილი თვისებააო. მაგრამ ერთი რომ უდიდესი განსხვავებაა ბარბაროსებსა, რომელნიც ყველაფერს ეგუებიან, და იმ ცივილიზაციის მქონე ერებს შორის, რომელნიც ყველაფერს იგუებენ. ამას გარდა ამ განურჩევლობას განსაზღვრული შრომის მიმართ რუსებში შეფერება ტრადიციული შეჩვევა განსაზღვრული შრომისადმი; ამ ჩვეულებას მათ მხოლოდ გარეგნული გავლენანი აწორებენ.

შრომის ეს მაგალითი დარწმუნებით გვიმტკიცებს, რომ თვით ყველაზე აბსტრაქტული კატეგორიებიც კი, იმისდამიუხედავთ, რომ ისინი სწორეთ თავისი აბსტრაქტობის წყალობით ყველა ეპოქისათვის გამოდგებიან, ამ აბსტრაქციის განსაზღვრულობაში ასევე ისტორიულ ურთიერთობების პროდუქტს წარმოადგენენ და მხოლოდ ამ ურთიერთობათათვის და მათ შიგნით არიან სრულ მნიშვნელოვანი.

ბურჟუაზიული საზოგადოება წარმოების ყველაზე განვითარებული და მრავალ მხრივი ისტორიული ორგანიზაციაა. მის ურთიერთობათა გამოშხატველი კატეგორიები, მისი აღნაგობის გაგება ამასთანავე აძლევს მას საშვალებას ჩაიხედოს ყველა იმ დრომოქმული საზოგადოებრივი ფორმების აღნაგობასა და საწარმოო ურთიერთობაში, რომლის ნამსხვრევებსა და ელემენტებზე იგი აშენდა, რომლის ნაშთებს იგი ნაწილობრივ თან მიათრევს, ხოლო ნაწილობრივ რაც წინად ჩანასახის სახით არსებობდა, სრულყოფამდე ანვითარებს. ადამიანის ანატომია მიიმუნის ანატომიის გასაღებია. პირიქით, მაღალი საფეხურის ნიშნები დაბალი საფეხურის ცხოველებში შეიძლება გავებულ. იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს უმაღლესი საფეხურის ცხოველი უკვე ცნობილია. ბურჟუაზიული ეკონომია ანტიური ეკონომიის მასალებს იძლევა და სხვ. მაგრამ ეს სრულიადაც ისე არ უნდა გავგოთ, როგორც იმ ეკონომისტებს ესმით, რომელნიც ყველა ისტორიულ განსხვავებას ჩქმალავენ და ყველა საზოგადოებრივ ფორმებში მხოლოდ ბურჟუაზიულ ფორმებს ხედავენ. ბეგარას, მეა-

თელს და სხვ. გავიგებთ მაშინ, თუ ვიცით მიწის რენტა. მაგრამ პირველნი ამ უკანასკნელთან როდი უნდა გავაოვივეთ.

შემდეგ, რადგან თვით ბურჟუაზიული საზოგადოება განვითარების ანტაგონისტური ფორმაა, წინამორბედი ფორმაციების ურთიერთობანი მასში ხშირათ მხოლოდ გადაგვარებული ან სახე შეცვლილი გვხვდებიან, როგორც, მაგალითად, სათემო მფლობელობა. ამიტომ თუ მართალია, რომ ბურჟუაზიული ეკონომიის კატეგორიები ქვეშარტებას შეიცავენ ყველა სხვა, საზოგადოებრივი ფორმებისათვისაც, ეს უნდა გავიგოთ მხოლოდ როგორც *cum grano salis*. ისინი შეიძლება მასში განვითარებული, დამახინჯებული კარიკატურული და ყოველ შემთხვევაში არსებითად შეცვლილი სახით არსებობდნენ. ეგრედწოდებული ისტორიული განვითარება საერთოდ იმაში მდგომარეობს რომ, შემდგომი ფორმა წინამორბედ ფორმებს თავის საფეხურებათ იხილავს და ყოველთვის ცალმხრივით იგებს, მიტომ რომ მას მხოლოდ იშვიათად და სრულიად განსაზღვრულ პირობებში შეუძლია თავის თავის გაკრიტიკება; აქ, რასაკვირველია, ლაპარაკი არაა ისეთი ისტორიულ პერიოდებზე, რომელნიც თვით დაქვეითების ხანას წარმოადგენენ. ქრისტიანულმა რელიგიამ მხოლოდ მაშინ მიიღწია წინანდელი მითოლოგიის ობექტურ გაგებას, როცა მისი თვითკრიტიკა რამდენათმე, ასე ვთქვათ *dynamei*, მზათ იყო. აგრეთვე ბურჟუაზიულმა ეკონომიამ მხოლოდ მაშინ მიიღწია ფეოდალური, ანტიური და აღმოსავლეთურ საზოგადოების გაგებას, როგორც კი ბურჟუაზიულ საზოგადოების თვითკრიტიკა დაიწყო. რამდენადაც ბურჟუაზიული ეკონომია მითოლოგიაში არ ვარდებოდა და თავის თავს წმინდათ (?) არ აიგივებდა წარსულთან, იმისი კრიტიკა წინანდელი, სახელდობრ ფეოდალური (საზოგადოებისა), რომლის წინააღმდეგ მას უშუალოდ ბრძოლა უხდებოდა, იმ კრიტიკას ჰგავდა, რომელსაც ქრისტიანობა წარმართობის, ან პროტესტანტიზმი კათოლიციზმის წინააღმდეგ აწარმოებდა.

როგორც საერთოდ ყოველ ისტორიულ სოციალურ მეცნიერებაში, ისე ეკონომიურ კატეგორიათა მსვლელობაში, ყოველთვის მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ როგორც სინამდვილეში, ისე აზროვნებაშიც. აქ მოცემულია სუბიექტი, ამ შემთხვევაში თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება, და ამიტომ კატეგორიები ამ განსაზღვრული საზოგადოების, ამ სუბიექტის ყოფნის ფორმებს, არსებობის პირობებს, ხშირად მხოლოდ მის ცალკე მხარეებს გამოხატავენ; ამიტომ (ეკონომია), როგორც მეცნიერება სრულიად იქ არ იწყება, სადაც მის შესახებ ლაპარაკია როგორც ასეთზე. ეს იმიტომ უნდა და-

ვიმანსოვროთ, რომ საგნის დანაწილებისათვის გადამწყვეტ მითითებებს გვაძლევს.

მაგალითად, არაფერი არ გვეჩვენება უფრო ბუნებრივად, ვიდრე მიწის რენტით მიწათმფლობელობის დაწყება, რადგან იგი დაკავშირებულია მიწასთან, ამ ყოველგვარ წარმოებისა და არსებობის წყაროსთან, აგრეთვე სასოფლო მეურნეობასთან, რომელიც ყოველ ცოტათ თუ ბევრად განმტკიცებულ საზოგადოებაში პირვანდელ წარმოო ფორმას წარმოადგენს. მაგრამ ეს შეცდომა იქნებოდა. საზოგადოების ყოველ ფორმაში არსებობს განსაზღვრული წარმოება, რომელიც ყველა დანარჩენს სჭარბობს და რომლის პირობები ამიტომ სხვებს ადგილსა და გავლენას უფარგლავს.

ეს საერთო განათებაა, რომელშიაც ყველა დანარჩენი ფენები ინთქება და რომელიც მათ მათსავე თავისებურებაში სცვლის. ეს განსაკუთრებული ეთერია, რომელიც ყოველი, მასში არსებული საგნის სსპეციფიურ წონას განსაზღვრავს.

ავილოთ, მაგალითად, მეჯოგე ხალხები. (მონადირე და მეთევზე ხალხები იმ პუნქტის გარეშე არიან, სადაც ნამდვილი განვითარება იწყება!), მათ მხოლოდ სპორადიულად აქვთ სოფლის მეურნეობის განსაკუთრებული ფორმა. ამით განისაზღვრება მიწის საკუთრება. იგი კოლექტიურია და ცოტათ თუ ბევრად ინარჩუნებს ამ ფორმას, იმისადა მიხედვით თუ რამდენათ ინარჩუნებს ეს ხალხები თავიანთ ტრადიციებს, — ასეთია, მაგალითად, სლავიანების მიწათმფლობელობა. ბინადარ მიწათმოქმედ ხალხებში — ბინადრობა უკვე დიდს პროგრესს წარმოადგენს, — სადაც მიწათმოქმედება სჭარბობს, როგორც, მაგალითად, ანტიურ და ფეოდალურ საზოგადოებაში, თვით მრეწველობას, მის ორგანიზაციას და მის შესაფერ საკუთრების ფორმებს მეტათ თუ ნაკლებათ ისეთივე ხასიათი აქვს, როგორც მიწათმფლობელობაში; (საზოგადოება) ან სავსებით სოფლის მეურნეობაზე<sup>1)</sup> და მოკიდებული, როგორც ძველ რომაელებში, ან ბაძავს მასში დამყარებულ ურთიერთობას, როგორც საშუალო საუკუნეების ქალაქთა ორგანიზაციაში. თვით კაპიტალს რამდენათაც იგი წმინდა ფულად კაპიტალს არ წარმოადგენს, საშუალო საუკუნეში ეს მიწათმფლობელური ხასიათი აქვს, როგორც ტრადიციულ სახელოსნო იარაღს (?).

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კი, პირიქით, მიწათმოქმედება თანდათან უბრალო სამრეწველო დარგი ხდება და სავსებით კაპიტალს ექვემდებარება. სწორედ ასევეა მიწის რენტაც. ყველა ფორ-

<sup>1)</sup> ორიგინალში სწერია: „მასზე“.

მეზში, სადაც მიწის საკუთრება ბატონობს, ჯერ კიდევ ბუნებრივი ურთიერთობაა გამეფებული. იქ სადაც კაპიტალი ბატონობს, უპირატესობა საზოგადოებრივ, ისტორიულად შექმნილ ელემენტს აქვს. მიწის რენტის გაგება შეუძლებელია უკაპიტალოთ, მაგრამ კაპიტალის გაგება კარგათ შეძლება მიწის რენტის გარეშე. კაპიტალი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ყველაფერზე გამეფებული ეკონომიური ძალაა. იგი გამოსავალ და საბოლოო პუნქტს უნდა წარმოადგენდეს და უფრო ადრე უნდა იქნას განხილული, ვიდრე მიწის საკუთრება. მათი ცალ-ცალკე განხილვის შემდეგ, მათი ურთიერთ დამოკიდებულებაზე უნდა გადავიდეთ.

ამრიგად სრულიად შეუფერებელი და ყალბი იქნებოდა, ეკონომიური კატეგორიები იმ რიგით დაგვეწყო, რომლებშიც ისინი ისტორიულად გადავწყვეტ როლს ასრულებდნენ. პირიქით მათი თანამიმდევრობა განისაზღვრება იმ დამოკიდებულებით, რომელიც მათ თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში აქვთ და რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება იმას, რაც ბუნებრივად გვეჩვენება ან ისტორიულ განვითარების თანამიმდევრობას შეეფერება. აქ ლაპარაკია არა იმ ადგილზე, რომელსაც სხვადასხვა საზოგადოებრივ ფორმების თანამიმდევრობაში, ეკონომიური დამოკიდებულებანი ისტორიულად იკავებენ. კიდევ უფრო ნაკლებ ვეხებით მათ თანამიმდევრობას „იდეაში“ (პ რ უ დ ო ნ ი), რომელიც მხოლოდ ისტორიული მოძრაობის ოინბაზური (?) წარმოდგენაა. აქ ლაპარაკია მათ დაჯგუფებაზე თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

სიწმინდე (აბსტრაქტული განსაზღვრულობა). რაწლითაც ძველ დროს მოვაჭრე ხალხები — ფინიკიელები, კართაგენელები გ-მოდრიოდნენ, სწორეთ თვით მიწათმომქმედი ხალხების გაბატონებითაა მოცემული. კაპიტალი, როგორც სავაჭრო და ფულადი კაპიტალი, სწორეთ ამ აბსტრაქტიაში გამოდის იქ, სადაც კაპიტალი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს საზოგადოებათა გაბატონებულ ელემენტს. ლომბარდიელები და ებრაელები იმავე მდგომარეობას იკავებენ საშუალო საუკუნეების მიწათმომქმედ საზოგადოებათა მიმართ.

იმის შემდგომ მაგალითს, თუ რა სხვადასხვა ადგილს იკავებენ ერთი და იგივე კატეგორიები საზოგადოებრივ განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე, წარმოადგენს: ბურჟუაზიული საზოგადოების ერთერთი უკანასკნელი ფორმა, სააქციო საზოგადოებანი, მის დასაწყისშიც ჩნდებიან დიდი პრივილეგიური და მონოპოლიით აღჭურვილი სავაჭრო კომპანიების სახით.

თვით ნაციონალური სიმდიდრის ცნება მეჩვიდმეტე საუკუნის ეკონომისტებს შეპარებული აქვთ იმ სახით — ეს წარმოდგენა ნაწილობრივ მე-XVIII საუკუნის ეკონომისტებმაც შეინარჩუნეს — რომ სიმდიდრე მხოლოდ სახელმწიფოსთვის იქმნება, ხოლო ამ უკანასკნელის ძალა ამ სიმდიდრეზეა დამოკიდებულიო. ეს იყო ის შეუგნებელი ფაქისეკლური ფორმა, რომელშიც სიმდიდრე და სიმდიდრის წარმოება თანამედროვე სახელმწიფოების მიზნათ ცხადდება, ხოლო ეს უკანასკნელი სიმდიდრის წარმოების საშუალებათ.

საგნის დანაწილება, ცხადია, ისე უნდა მოხდეს, რომ თავდაპირველად ის ზოგადი აბსტრაქტული განსაზღვრანი (უნდა განვიტარდეს), რომელნიც სწორეთ ამიტომ ცოტათ თუ ბევრად ყველა საზოგადოებრივ ფორმებს ახასიათებენ, მხოლოდ ზემოთ ახსნილი აზრით. შემდეგ, კატეგორიები, რომელნიც ბურჟუაზიული საზოგადოების შინაგან სტრუქტურას ჰქმნიან და რომელსაც ძირითადი კლასები ეყარებიან. კაპიტალი, საქირაო შრომა, მიწის საკუთრება. მათი ურთიერთდამოკიდებულება. ქალაქი და სოფელი. სამი დიდ საზოგადოებრივი კლასი. გაცვლა მათ შორის. მიმოქცევა. კრედიტი (კერძო). მესამედ: ბურჟუაზიული საზოგადოების ჩამოყალიბება სახელმწიფოს ფორმაში. თავისთავთან დამოკიდებულებაში განხილული. „არა პროლუქტიული“ კლასები. ხარჯები. სახელმწიფო ვალი. საჯარო კრედიტი. მოსახლეობა. კოლონიები. ემიგრაცია. მეოთხედ, წარმოების საერთაშორისო ურთიერთობა. შრომის საერთაშორისო განაწილება. საერთაშორისო გაცვლა. ექსპორტი და იმპორტი. სათამასუქო კურსი. მეხუთედ — მსოფლიო ბაზარი და კრიზისები.

(კ. მარქსი — შესავალი პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის).

## § 5. რობინზონადები

გამოკვლევის საგანი, უწინარეს ყოვლისა, მატერიალური წარმოებაა.

გამოსავალი წერტილი, რასაკვირველია, საზოგადებაში მწარმოებელი ინდივიდები ანუ ინდივიდთა საზოგადოებრივად განსაზღვრული წარმოებაა. წრთეული და განცალკევებული მონადირეები და მეოვეზენი, რომლითაც სმიტი და რიკარდო იწყებენ, მეთვრამეტე საუკუნის ფანტაზიამოკლებულ წარმოადგენებს ეკუთვნის. ესაა რობინზონადები, რომელნიც სრულიადაც არ გამოხატავენ, როგორც კულტურის ისტორიკოსებს აქვთ ეს წარმოდგენილი, მხოლოდ რეაქციას ზედმეტი გაფაქიზების წინააღმდეგ და უკან დაბრუნებას ყალ-

ბად გაგებულ ბუნებისავენ. ასევე ნაკლებ ეყრდნობა ამგვარ ნატურალიზმს რუსოს „Contrat social“ (საზოგადოებრივი ხელშეკრულება), სადაც ბუნებისაგან დამოუკიდებელი სუბიექტები ერთმანეთს უკავშირდებიან ხელშეკრულების შემწევობით. ეს არის პატარა და დიდი რობინზონადების მოჩვენება და მხოლოდ ესთეტიური მოჩვენება. პირიქით, ეს უფრო წინასწარი განსკვრეტაა „ბურჟუაზიულ-საზოგადოების“, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნიდან მოკიდებული ვითარდებოდა და მეთვრამეტე საუკუნეში გადადგა გიგანტური ნაბიჯები ზრული მომწიფებისაკენ. ამ საზოგადოებაში, სადაც გამეფებულია თავისუფალი კონკურენცია, ცალკე პიროვნება გვეჩვენება მოწყვეტილად ბუნებრივ კავშირებისაგან და სხ., რომელნიც, მას წინანდელ ისტორიულ ეპოქაში განსაზღვრული და შეზღუდული ადამიანური კონგლომერატის კუთვნილებათ ჰქმნიდნენ. მეთვრამეტე საუკუნის წინასწარმეტყველთ, რომელთა მხრებზე სმიტი და რიკარდო ჯერ კიდევ მთლიანად სდგანან, ეს მეთვრამეტე საუკუნის ინდივიდი, — ერთის მხრივ ფეოდალური საზოგადოებრივი ფორმების დაშლის, ხოლო მეორე მხრივ მეთექვსმეტე საუკუნიდან ახლად ანგითარებული საწარმოო ძალების ნაყოფი ერვენებათ იდეალად; რომლის არსებობაც წარსულს ეკუთვნის; იგი, ე. ი. ინდივიდი, წარმოადგენს არა ისტორიის შედეგს, არამედ მის გამოსავალ წერტილს.

რადგან ეს ინდივიდი მიაჩნიათ ბუნებრივად, რაც შეესაბამებოდა წარმოდგენას ადამიანის ბუნების შესახებ, ამიტომ მათი აზრით იგი წარმოიშვა არა ისტორიულად, არამედ თვით ბუნებით იყო უცვლელად მოცემული. ეს მცდარი წარმოდგენა დღემდე ყოველ ახალ ეპოქას ახასიათებდა.

სტიუარტი, როგორც არისტოკრატი, რომელიც რამდენიმე უფრო ისტორიულ ნიადაგზე იდგა, წინააღმდეგ შე-XVIII საუკუნისა, ასცდა ამ გულუბრყვილობას. რამდენადაც უფრო ღრმად ვიჭრებით ისტორიაში, იმდენად ინდივიდი და, მაშასადამე, მწარმოებელი ინდივიდიც არა დამოუკიდებლად და რომელიმე დიდი ერთეულის კუთვნილებათ გვევლინება; თავდაპირველად იგი სრულიად ბუნებრივად ოჯახსა ან გვაროვნობამდე გაფართოებულ ოჯახთანაა დაკავშირებული, შემდეგ კი გვაროვნობათა წინააღმდეგობისა და შერევისაგან წარმოშობილ სხვადასხვანაირ საზოგადოებრივობასთან. პირველად მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში „ბურჟუაზიულ საზოგადოებაში“, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვადასხვა ფორმები უპირისპირდებიან ცალკე პიროვნებას როგორც საშუალება მის კერძო მიზნებისათვის, როგორც გარეგნული აუცილებლობა. მაგრამ ეპოქა, რომელიც



ამ თვალსაზრისს ჰქმნის, თვალსაზრისს განცალკევებული პიროვნე-  
ბისას, სწორეთ დღემდე ყველაზე მეტად განვითარებული საზოგა-  
დოებრივი (ამ თვალსაზრისით ზოგადი) ურთიერთობის ეპოქაა. ადა-  
მიანი zoon politikon-ია ამ გამოთქმის პირდაპირი აზრით, არა მარ-  
ტო საზოგადოებრივი ცხოველი, არამედ აგრეთვე ისეთი ცხოველიც,  
რომელსაც მხოლოდ საზოგადოებაში შეუძლია განცალკევდეს. გან-  
ცალკევებული პიროვნების წარმოება საზოგადოების გარეშე იშვიათი  
მოვლენაა, რომელიც შეიძლება შეემთხვევს უდაბნოში გადაკარგულ  
განათლებულ ადამიანს, რომელიც დინამიურად ჰფლობს უკვე საზო-  
გადოებრივ ძალებს, — ეს ისეთივე უაზრობაა, როგორც ენის განვი-  
თარება ერთად მცხოვრებ და ერთად მოლაპარაკე ინდივიდებს  
გარეშე. საჭირო არაა ამ საგანზე დიდხანს შეჩერება. ამ პუნქტის შე-  
ხება სედმეტი იქნებოდა, რომ ეს აბდაუბდა, რომელსაც მეთვრამეტე  
საუკუნეში კიდევ აზრი და შინაარსი ჰქონდა, ბასტიას, კერის, პრუ-  
დონის და სხ. ხელახლა სერიოზულად არ შემოეტანათ პოლიტიკურ  
ეკონომიაში. პრუდონისა და სხვებისათვის, რასაკვირველია, უფრო  
ხელსაყრელია რომელიმე ეკონომიური მოვლენის დასაწყისი, რომლის  
ისტორიული წარმოშობაც მან არ იცის, ისტორიულ-ფილოსოფიურად  
ისე განავითაროს, რომ შექმნას მითოლოგია, თითქოს ადამს ან პრო-  
მეთეოსს ეს იღუპა მზად და დამთავრებული სახით ზეციდან ჩამოვარ-  
დნოდა, და შემდეგ სინამდვილეში ყოფილიყო იგი შემოღებული  
და სხ. არაფერია უფრო მოსაწყენი და მშრალი ვიდრე მეოცნებე  
laus communis.

ამრიგად, როცა წარმოებაზეა ლაპარაკი, საკითხი ყოველთვის  
განსაზღვრული საზოგადოებრივი განვითარების საფეხურზე მყოფ  
წარმოებას, საზოგადოებრივ ინდივიდთა წარმოებას ეხება. ამიტომ  
შეიძლება გვეჩვენოს, რომ, რათა საერთოდ წარმოებაზე ვილაპარა-  
კოთ, ჩვენ ან ისტორიული განვითარების პროცესი უნდა განვიხი-  
ლოთ სხვადასხვა ფაზისებში, ან წინდაწინვე განვაცხადოთ, რომ საქმე  
გვაქვს განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქასთან, მაგალითად, თანამე-  
დროვე ბურჟუაზიულ წარმოებასთან, რომელიც მართლაც ჩვენს მთა-  
ვარ თემას წარმოადგენს. მაგრამ წარმოების ყოველ ეპოქას აქვს ზო-  
გიერთი საერთო ნიშანი და საერთო განსაზღვრანი. საერთოდ  
წარმოება ბასტრაქციაა, მაგრამ აზრიანი ავსტრაქცია, რამდენა-  
დაც იგი მართლაც საერთოს გამოყოფს, ფიქსაციას უკეთებს მას და  
ამით განმეორებს გვეალებს. ამავე დროს ეს ზოგადი ანუ შედარების  
შემწეობით გამოყოფილი საერთო რამ თვით მრავალმხრივ დასა-  
ხსრულია, და შეიცავს სხვადასხვა განსაზღვრებს. მათგან ზოგიერთი

ყველა ეპოქებს ეკუთვნის, ზოგიერთი კი საერთოა ჩამოდენი მესთვის. ზოგიერთი განსაზღვრანი, საერთოა როგორც თანამედროვე, ისე ძველი ეპოქისათვის, და მათ გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ რაიმე წარმოება; მაგრამ თუ განვითარებულ ენებს განუვითარებლებთან ერთად საერთო კანონები და განსაზღვრანი აქვთ, განსხვავება ამ ზოგადისა და საერთოსაგან არის სწორეთ ის, რაც მათ განვითარებას ჰქმნის. განსაზღვრანი, რომელთაც საერთო მნიშვნელობა აქვთ წარმოებისათვის, უნდა გამოიყონ, რათა ამ მთლიანობამ, რომელიც უკვე იქიდან გამომდინარეობს, რომ სუბიექტი — კაცობრიობა, და ობიექტი — ბუნება, ყველა საფეხურზე არსებობს, არ დაგვაიწყოს არსებითი განსხვავება. ამ განსხვავების დავიწყებაში მდგომარეობს, მაგალითად, იმ თანამედროვე ეკონომისტების მთელი სიბრძნე, რომელიც არსებული სოციალური ურთიერთობის მუდმივობას და ჰარმონიას ამტკიცებენ, ისინი, მაგალითად, ამბობენ, არავითარი წარმოება არაა შესაძლებელი საწარმოო იარაღის გარეშე, თუნდაც ეს იარაღი მხოლოდ ხელი იყოს, არავითარი წარმოება არაა შესაძლებელი წინასწარი დაგროვილი შრომის გარეშე, თუნდაც ეს შრომა მხოლოდ ხელის სიმარჯვეში გამოიხატებოდეს, რომელიც ველურმა განმეორებითი ვარჯიშობის შემწეობით მოიპოვა. სხვათაშორის, კაპიტალიც საწარმოო იარაღია, ისიც წარსულ, გაობიექტივებულ შრომას წარმოადგენს, მაშასადამე, კაპიტალიც ზოგადი, მარადიული ბუნებრივი ურთიერთობაა. მაგრამ ამის მტკიცება მაშინ შეიძლება. თუ უკუვაგდებთ იმ სპეციფიურს, რაც მხოლოდ და მხოლოდ „საწარმოო იარაღს“ და „დაგროვებულ შრომას“ კაპიტალათ ხდის. ამიტომ. საწარმოო ურთიერთობათა მთელი ისტორია, მაგალითად. კერის. მთავრობის ბოროტი განზრახვით მოხდენილ გაყალბებათ ეჩვენება.

თუ არ არსებობს საერთოდ წარმოება, არც ზოგადი წარმოება არსებობს. წარმოება ყოველთვის ან წარმოების განსაკუთრებულ დარგს წარმოადგენს, ან იგი ყველა დარგის, მაგალითად, მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, მანუფაქტურის და სხ. მთლიანობაა. მაგრამ პოლიტიკური ეკონომია ტენზოლოგია როდია. განსაზღვრულ საზოგადოებრივ საფეხურზე მოცემული წარმოების ზოგად განსაზღვრათა დამოკიდებულება განსაკუთრებულ საწარმოო ფორმებთან სხვაგან უნდა იქნეს განხილული (შემდგომ).

ბოლოს წარმოება მარტო განსაკუთრებული სახით როდი გამოდის. ყოველთვის არსებობს ერთგვარი საზოგადოებრივი სხეული, საზოგადოებრივი სუბიექტი, რომელიც მოქმედებს წარმოების დარგთა უფრო ფართო ან უფრო ვიწრო ერთობლივობაში. აქ განსახილველი

არაა აგრეთვე საგნის მეცნიერული გადმოცემის დამოკიდებულება რეალურ მოძრაობასთან. (მაშასადამე ჩვენ უნდა განვასხვაოთ) წარმოება საზოგადოთ, განსაკუთრებული საწარმოო დარგები და წარმოების მთლიანობა.

(მარქსი — შესავალი პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის).

## § 6. შრომის როლი მაიმუნის გააღამიანების პროცესში <sup>1)</sup>

(ფრ. ენგელსი)

შრომა წყაროა ყოველი სიმდიდრისაო, ამბობენ პოლიტიკო-ეკონომისტები. ის, ბუნებასთან ერთად, მართლაც წარმოადგენს ასეთ წყაროს: ბუნება მას აძლევს მასალას, რომელსაც შრომა სიმდიდრედ აქცევს. მაგრამ მისი მნიშვნელობა ამაზე გაცილებით მეტია. შრომა წარმოადგენს ადამიანის მთელი სიცოცხლის პირველ ძირითად პირობას და მისი მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ შეიძლება ვსაუქვათ: შრომამ შექმნა თვით ადამიანი.

მრავალი ათასეული წლის წინად, დედამიწის განვითარების იმ ხანაში, რომელიც საეცებით და უნაკლოდ ჯერ კიდევ არ არის გამოანგარიშებული და რომელსაც გეოლოგები მესამე ფორმაციის ეპოქას უწოდებენ, — ალბად ამ ეპოქის დასასრულს, სადმე ცხელ ჰავაში, შეიძლება ერთერთ დიდ მატერიკზე, რომელიც შემდეგ ჩაიმაღა ინდოეთის ოკეანეში, — ცხოვრობდა ადამიანის მსგავს მაიმუნთა ჯიში, რომელსაც მიეღწია განვითარების მეტად მაღალი საფეხურისათვის... დარვინმა ჩვენი წინაპრების დაახლოებით აღწერა მოგვცა. თავიდან ფეხებამდე ისინი დაფარული იყვნენ ბალნით, ჰქონდათ წვეკები და წვეტიანი ყურები და ჯოგებად ხეებზე ცხოვრობდნენ.

უმთავრესად ასეთი ცხოვრების გამო, როდესაც ხეებზე ცოცვის დროს ხელები სხვანაირ საქმეს უკეთებდნენ, ვიდრე ფეხები, მაიმუნებამიწაზე სიარულის დროსაც გადაეჩვიენ ხელების დახმარებას, და უფრო და უფრო შეეჩვიენ პირდაპირ, ე. ი. გამართულ სიარულს.

<sup>1)</sup> ფრ. ენგელსის ეს წერილი, რომელიც დ. რიაზანოვმა „Naturdialektik“-ის ხელთაწერებში აღმოაჩინა, გამოქვეყნებულ იქნა „Архив Маркса и Энгельса“-ს II ტომში. (იგივე გამოიცა გერმანულად: „Marx-Engels Archiv“. ფრანკფურტი მაინზე. 1927). ხოლო უფრო ადრე ის გამოუქვეყნებია ე. ბერნ-შტიინს „Neue Zeit“-ში 1896 წ. ქართულად დაიბეჭდა პროფ. შ. გოგიბერიძის კრესტომატიაში: „ისტორიული მატერიალიზმი“. 1927. ტფ. გვ. 119 — 132; იხ. აგრეთვე ფ. Энгельс — „Диалектика Природы“. 1930. რიაზანოვის რედაქციით. გვ. 61 — 74.

ამით იყო გადადგმული გადამჭრელი ნაბიჯი, რათა მაიმუნნი ადამიანად ქცეულიყო.

ყველა, დღემდე არსებულ ადამიანის მსგავს მაიმუნებს შეუძლია გამართული დგომა და ორ ფეხზე სიარული. მაგრამ მას, რაიმე სიძნელის გამო, იშვიათ შემთხვევაში მიმართავენ, და ამავე დროს, თავს ძალიან უხერხულად გრძნობენ. მაიმუნისათვის ბუნებრივია ნახევრად ამართული მდგომარეობა; ასეთი მდგომარეობა კი მოითხოვს ხელების დახმარებას. უმრავლესობა ამ მაიმუნებისა ეყრდნობა მუშტად მოკეცილ თითებზე; მათ ფეხები მოკეცილი აქვთ და ტანს გადაისვრიან გრძელ ხელებს შუა, როგორც ყავარჯენებით მოსიარულე კოჭლი. საზოგადოთ, დღევანდლამდე შეგვიძლია ვნახოთ მაიმუნებში ყველა გარდამავალი საფეხური — ოთხზე სიარულიდან ორ ფეხზე სიარულამდე. ამ უკანასკნელ საშუალებას ყველა ისინი მიმართავენ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

თუ ჩვენი ბალნიანი წინაპრების ცხოვრებაში გამართული დგომა-სიარული ჯერ მხოლოდ ჩვეულებაში შემოდიოდა და შემდეგ კი აუცილებელი გახდა, აქედან ცხადია, რომ ამ დროს ხელებს სხვა უფრო რთული საქმე უნდა ეკეთებიათ. მაიმუნებშიც კი არსებობს შრომის განაწილება ხელებისა და ფეხების ხმარების დროს. როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, ხეებზე ცოცვის დროს ხელების ხმარება სულ სხვა ხასიათისაა, ვიდრე ფეხების. ხელებით უმთავრესად ჰკრეფენ და იჭერენ საჭმელს, როგორც ამას დაბალი ჯიშის ძუძუმწოვარი ცხოველები შვრებიან. წინა თათებით, ხელების საშუალებით ზოგი მაიმუნი ხეზე ბუდეს იკეთებს, ან როგორც შიმპანზე, სახურავს იკეთებს ტოტებს შუა ავდარში თავის შესაფარებლად. მტრისაგან თავის დასაცავად ხელებითვე ხმარობენ მაიმუნები კეტს ან უშენენ მას ქვებსა და ხეხილს. დატყვევებული მაიმუნები, ადამიანის მიბაძვით, ხელებით აკეთებენ მრავალ უბრალო ოპერაციას. მაგრამ სწორედ აქ აშკარა და თვალსაჩინო ხდება, თუ რა დიდი მანძილია ადამიანთან ყველაზე უფრო ახლო მდგომ მაიმუნის განუვითარებელ ხელსა და ადამიანის — ათასი წლების განმავლობაში შრომისაგან უმაღლესად განვითარებულ — ხელს შორის. რაოდენობა და ზოგადი აღნაგობა ძვლებისა და კუნთებისა ორივეს ერთნაირი აქვს, მაგრამ უუმდაბლეს საფეხურზე მდგომ ველურის ხელს შეუძლია ათასი ისეთი რამ გააკეთოს, რომლის გაძაღება და გამეორება არ შეუძლია არც ერთ მაიმუნის ხელს. არასდროს არც ერთ მაიმუნს არ გაუკეთებია თავისი ხელებით, თუ გინდ, სულ უბრალო ქვის დანაც კი.

ის საქმეები, რომელსაც ჩვენი წინაპრები შიშისაგან ადამიანისაკენ განვითარების დროს, ასე ათასი წლების განმავლობაში, თანდათან აჩვევდნენ ხელს, თავდაპირველად, რასაკვირველია, მეტის მეტად მარტივი და უბრალო იყო. განვითარების სულ უმდაბლეს საფეხურზე მდგომი ველურები და ამათგან ისინიც კი, რომელნიც უბრუნდებიან ცხოველთა მდგომარეობას და ხდება მათი სხეულის გადაგვარება, — აი ესენიც კი, იმ გარდამავალ დროის არსებებთან შედარებით, გაცილებით მაღლა სდგანან. სანამ ადამიანის ხელი მოახერხებდა პირველი ქვის დანის გაკეთებას, უნდა გაეგლო იმდენ დროს, რომელთან შედარებით უმნიშვნელოა მთელი ის ისტორიული ხანა რომელსაც ჩვენ ვიცნობთ. მაგრამ გადამჭრელი ნაბიჯი გადადგმული იყო: ხ ე ლ ი შ ე ი ქ ნ ა თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი და მან შეიძინა ახალ-ახალი სიმარდე — მოხერხება. ამრიგად შექმნილი მეტი და მეტი მოქნილობა მემკვიდრეობით გადადიოდა თაობიდან თაობაზე და მატულობდა.

ამრიგად, ხელი არა თუ შრომის იარაღია, მ ი ს ი პ რ ო დ უ ქ ტ ი ც ა ა. მხოლოდ შრომის საშუალებით შეეგუა ხელი ახალ-ახალ საქმეებს და გადასცა მემკვიდრეობით ასეთი გზით შექმნილი განსაკუთრებული კონსტრუქცია კუნთების, ნასკვების და უფრო დიდი დროის განმავლობაში კი ძვლებისაც; ამ მემკვიდრეობით მიღებულ — შილწეულ განვითარებას ხელი გამოიყენებდა ხოლმე თავის დანიშნულების შესრულების დროს და ეს დანიშნულება კი სულ უფრო და უფრო რთული ხდებოდა. ამ პროცესის წყალობით ადამიანის ხელმა ბოლოს მიაღწია სრულყოფის იმ მაღალ საფეხურს, როცა მას შეეძლო შეექმნა სურათები რაფაელისა, ქანდაკება ტარვალსენისა და მუსიკა პაგანინისა.

მაგრამ ხელი არ წარმოადგენდა რაიმე განცალკავებულს. ის იყო მხოლოდ ერთი მთლიანი ორგანო, ძლიერ რთული ორგანიზმისა. რაც სასარგებლო იყო ხელისათვის, ის სასარგებლო იყო მთელი ორგანიზმისათვის, რომლისათვისაც ის მუშაობდა და ამ სარგებლობას ორგანიზმი ღებულობდა ორნაირის გზით.

უწინარეს ყოვლისა მოქმედებდა კანონი ზრდის კორელაციისა (შეფარდებისა), როგორც დარვინიმა უწოდა მას. ამ კანონის თანახმად ორგანიზმი არსების ცალკე ნაწილთა ფორმები მუდამ დაკავშირებულია სხვა ნაწილების ფორმებთან, თუმცა თითქმის მათ შორის არავითარი კავშირი არ უნდა არსებობდეს, ასე, მაგალითად, ყველა იმ ცხოველებს, რომელთაც აქვთ სისხლის წითელი უჯულო უჯრედები და რომელთა კეფის ძვალი დაკავშირებულია კისრის მძივებთან

ორი სახსრით, ყველა ამ ცხოველებს, გამონაკლისს გარეშე, აქვთ აგრეთვე სარძევე თირკმლები შვილების საკვებად. ძუძუმწოვართა გაყოფილი ჩლიქები კი დაკავშირებულია ჩვეულებრივად განსაზღვრული აგებულობის კუჭთან, რაც აუცილებელია მცონხანეთათვის. რთულ ფორმათა ცვლილება იწვევს ორგანიზმის სხვა ნაწილთა ფორმის შეცვლას და მათი ურთიერთ დამოკიდებულება ჩვენთვის გამოურკვეველი რჩება. სავსებით თეთრი კატები ცისფერი თვალებით მუდამ ან თითქმის მუდამ ყრუებია.

თანდათან განვითარება ადამიანის ხელის და ვეხის შეგუება-ძეჩვევა გამართულ სიარულისათვის, — ყოველ ექვს გარეშეა გავლენას ახდენდა იმავე შეფარდების გზით ორგანიზმის სხვა ნაწილებზედ. მაგრამ ეს გავლენა იმდენად გამოუკვლეველია, რომ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მისი აღნიშვნა.

გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს ხელის განვითარების პირდაპირს, უშუალო გავლენას დანარჩენ ორგანიზმზედ. როგორც თქმული იყო უკვე ჩვენი მიაიმუნთა წინაპრები ცხოვრობდნენ საზოგადოებაში; ცხადია, არ შეიძლება დაუშვათ, რომ უახლოესი წინაპრები ადამიანისა, რომელიც ყველა ცხოველზე უფრო საზოგადოებრივი ცხოველდა, არ ცხოვრობდა საზოგადოებაში. ხელისა და შრომის განვითარებით დაწყებული ბატონობა ბუნებაზედ ყოველი ახალი წარმატებით აფართოებდა ადამიანის ჰორიზონტს. ბუნების საგნებზე ია განუწყვეტლივ ახდენდა ახალ-ახალ, ჯერ უცნობ თვისებათა აღმოჩენას. მეორე მხრივ, შრომის განვითარება თავისთავად ხელს უწყობდა უფრო მჭიდროდ დაახლოებას ჯგუფის წევრებისა, ახშირებდა შემთხვევებს ურთიერთის დახმარებისა და ცხადყოფდა ყოველი ინდივიდისათვის ამ ურთიერთობის საარგებლობას. ერთის სიტყვით ეს ადამიანად ქცეულები მივიდნენ იქამდე, რომ იგრძნეს საჭიროება ეთქვათ რაიმე ერთი-მეორისათვის. საჭიროებამ შეიმუშავა თავისთვის შესაფერი ორგანო; მაიმუნის განუვითარებელი ყელი ნელა, მაგრამ სისწორით გადამუშავდა, გადადიოდა რა ერთი მოდულაციიდან მეორეზედ, უფრო რთულზედ და მეტყველების ორგანოები ცოტ-ცოტათი შეეჩვიენ ნაწევრვან ბგერათა გამოთქმას.

რომ ასეთი ახსნა, შრომასთან დაკავშირებით და მისი შემწეობით, მეტყველების წარმოშობისა ერთად ერთი სწორი ახსნაა, ამას გვიჩვენებს ცხოველებთან შედარება. ის ცოტაოდენი რამ, რაც აქვთ გადასაცემი ერთი-მეორისათვის ყველაზე უფრო განვითარებულ ცხოველებს, შეუძლიათ გადასცენ უსიტყვოთა. ბუნებრივ მდგომარეობაში არც ერთი ცხოველი არ გრძნობს დანაკლისს იმის გამო, რომ არ

შეუძლია ლაპარაკი, ან არ ესმის ადამიანის ლაპარაკი. სულ სხვა მდგომარეობაში ვარდება ადამიანის მიერ მოზინაურებული ცხოველი. ძალღმა და ცხენმა ადამიანთან ურთიერთობაში ისე კარგად განავითარეს თავიანთი სმენა ლაპარაკისათვის, რომ სწავლობენ გაგებას ყოველი ლაპარაკისა, რამდენადაც ის შეეფერება მათ წარმოდგენათა სფეროს. შემდეგ მათში შემუშავდა ნიჭი ისეთ გრძნობათა, როგორცაა, მაგალითად, ადამიანისადმი სიყვარულის და მადლობის გრძნობა და სხვა, რაც უწინ მათთვის უცნობი იყო; ვისაც ჰქონია საქმე ამ ცხოველებთან, ის თავიდან ვერ მოიშორებს ისეთ რწმენას, რომ ამ ცხოველებისათვის ხშირად ლაპარაკის უცოდინარეობა გამოუსწორებელი დანაკლისია; გამოუსწორებელი იმიტომ, რომ მათ ხმების ორგანოებს აქვთ განსაკუთრებული აგებულება, რომლის განვითარება, სამწუხაროთ, ძლიერ განსაკუთრებული გზით წავიდა. სადაც შესაფერი ორგანო მოიპოება, იქ ეს შეუძლებლობა ნაწილობრივად შეიძლება მოიხსნოს. ფრინველთა ხმის ორგანოები, უეჭველია ძლიერ განსხვავდება ადამიანის ასეთივე ორგანოებისაგან და, მიუხედავად ამისა, ყველა ცხოველთაგან მხოლოდ მარტო ფრინველებს შეუძლიანთ ისწავლონ ლაპარაკი; და ყველაზე უფრო უშნო ხმის პატრონი ფრინველი თუთიყუში — ლაპარაკობს ყველაზე უკეთესად. ნურავინ იფიქრებს, ვითომც თუთიყუშს არ ესმოდეს, რასაც ლაპარაკობს. რასაკვირველია მას შეუძლია მთელი საათები ილაპარაკოს. და ამოალაგოს მთელი მისი ლექსიკონი მარტო იმიტომ, რომ უყვარს ლაპარაკი და ადამიანთა საზოგადოება, მაგრამ მას შეუძლია მისგან თქმულის გაგებაც, რამდენადაც ეს შეეფერება. მის წარმოდგენათა სფეროს. შეასწავლეთ თუთიყუშს ლანძღვა ისე, რომ წარმოდგენა ჰქონდეს მის აზრზედ (აქაში დიდ სიამოვნებას ჰპოულობენ მეზღვაურები, რომლებიც ცხელი ქვეყნებიდან უკან ბრუნდებიან) და გააჯავრეთ, მაშინ დარწმუნდებით, რომ ის ჩინებულად და შესაფერისად გამოიყენებს სალანძღავ სიტყვებს. ასევე იქცევა ის საცუცნავის გამოთხოვნის დროს.

ჯერ შრომა და მასთან ერთად და მის შემდეგ მეტყველება, — აი ორი არსებითი სტიმული, რომელთა გავლენით მაიმუნის ტვინი თანდათან გადაიქცა ადამიანის ტვინად, რომელიც გაცილებით მეტი მოცულობისაა და უფრო განვითარებული. ტვინის თანდათან განვითარებასთან ერთად სწარმოებდა განვითარება მისი უახლოესი იარაღებისა — გრძნობათა ორგანოების. შთავსად იმისა, როგორც მეტყველების განვითარებას თავისთავად და აუცილებლად მოჰყვებოდა მეტი განვითარება და გამახვილება სმენის ორგანოსი, ასევე ტვინის გან-

ვითარებას საერთოდ მოყვებოდა ყველა გრძნობათა განვითარება. არწივი ადამიანზედ გაცილებით უფრო შორს ხედავს, მაგრამ ადამიანის თვალი გაცილებით მეტს ამჩნევს საგანში, ვინემ არწივი. ძალღს ადამიანზე შეუდარებლად უკეთესი ყნოსვა აქვს, მაგრამ ის ვერ ამჩნევს მცირედსაც კი იმ სუნთა, რომლებიც ადამიანისათვის სხვადასხვა წივთების გარკვეულ ნიშნებს წარმოადგენს. შეხების გრძნობა კი, რომელიც მაიმუნებს ძლიერ განუვითარებელი აქვთ ადამიანში შემუშავდა მხოლოდ ხელის თანდათან განვითარებით, რაც შრომის შედეგია. ტვინი და მისი ქვემდებარე გრძნობები, ცნობიერება, რომელიც სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა, ნიჭი აბსტრაქციისა და მსჯელობისა, — ყველა ესენი გავლენას ახდენდენ შრომაზედ და მეტყველებაზედ, მიჰყავდათ ისინი შემდეგი განვითარებისაკენ; ეს განვითარება არ შეჩერებულა მაიმუნის საბოლოოდ ადამიანად გადაქცვის დროს, არამედ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ხალხში განიჩეოდა ხარისხით და მიმართულებით, ხან კი ადგილობრივი დროებითი რეგრესის გამო შეწყდებოდა კიდევ. მაგრამ საერთოდ სულ წინ მიდიოდა. ადამიანის ჩამოყალიბებით ამას მიემატა კიდევ ერთი ახალი ელემენტი — ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა, რომელიც ერთის მხრით ძალუმად მიაქანებდა წინ შრომისა და მეტყველების განვითარებას, მეორე მხრით კი აძლევდა მათ გარკვეულ მიმართულებას.

სანამ ხეებზე მცოცავი მაიმუნების ჯოგი ადამიანთა საზოგადოებათ გადაიქცეოდა, ალბად ასი ათასი წლები გავიდოდა, ეს იგივეა დედამიწის ისტორიაში, რაც წამია ადამიანის ცხოვრებაში<sup>1)</sup>. მაგრამ ბოლოს მაინც წარმოიშვა ეს საზოგადოება. რა არის დამახასიათებელი განსხვავება მაიმუნის ჯოგსა და ადამიანთა საზოგადოებას შორის? — შ რ ო მ ა. მაიმუნთა ჯოგი კმაყოფილდებოდა მით, რომ სრულებით შესჭამდა, რაც საკვები მოიპოებოდა მის რაიონში, რომელიც განსაზღვრული იყო გეოგრაფიული პირობებით, ან სხვა ჯოგების წინააღმდეგობით; შემდეგ ის შეუდგებოდა გადასახლებისა და იბრძოდა ახალი საკვები რაიონის მოსაპოებლად; მაგრამ ამ რაიონიდან მაიმუნებს არ შეეძლოთ მიეღოთ იმაზე მეტი, რასაც ის იძლეოდა თავისთავად ბუნებრივ პირობათა მიხედვით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ისინი შეუგნებლად ანოცივრებდენ ნიადაგს თავისი

---

<sup>1)</sup> ამ საკითხში ერთ პირველხარისხოვან ავტორიტეტთაგანმა — ვ. ტომსონმა — გამოიანგარიშა, რომ სულ ცოტა ასი მილიონი წელი მაინც უნდა გასულიყო, სანამ დედამიწა იმდენად გაგრძობდა, რომ შესაძლებელი გახდა მასზედ მცენარეთა და ცხოველთა წარმოშობა.



განავლით. როგორც კი ყველა საკვებ რაიონებს დაიქვრდენ, მაშინვე მაიმუნთა მოსახლეობის გამრავლება უნდა შეჩერებულიყო, უკეთეს შემთხვევაში მათი რიცხვი შეიძლება დარჩენილიყო ერთ დონეზედ. მაგრამ ყველა ცხოველს ეტყობა დიდი ფლანგვა საკვებისა და ამავე დროს ისინი ჩანასახშივე კლავენ საქმელ პროდუქტებს. მგელი მონადირესავით არ დაინდობს დედა შველს, რომელმაც უახლოეს წელს უნდა იმრავლოს; საბერძნეთში თხებმა, რომელნიც ნორჩ ბუჩქნარებს სძოვდენ, სავსებით გაატიტვლეს ამ ქვეყნის მთები. ასეთი „მტაცებლური მეურნეობა“ საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცხოველთა სამეფოში მათი ჯიშების თანდათან შეცვლის დროს, ვინაიდან აიძულებს მათ გადაეჩვიონ ჩვეულებრივ საქმელს, რის გამოც მათი სისხლი ღებულობს სხვა ქიმიურ შემადგენლობას და საზოგადოთ მთელი სხეულის ორგანიზაცია თანდათან იცვლება; ამავე დროს უამრავი, განვითარების ერთ წერტილზე გაყინული ჯიშები ისპობიან.

ყოველ ექვს გარეშეა, რომ ამ მტაცებლურმა მეურნეობამ ენერგიულად შეუწყო ხელი ჩვენს წინაპართა გაადამიანების პროცესს. მაიმუნის იმ მოდგმისათვის, რომელიც კჳუითა და შეგუების ნიჭით სჯობდა ყველა დანარჩენთ, საქმელ მცენარეთა რაოდენობა სულ მატულობდა, მატულობდა ამ მცენარეთა საქმელად სახმარი ნაწილები. ერთი სიტყვით, საქმელი ხდებოდა მრავალნაირი და მასთან ერთად მრავალნაირი ხდებოდა ორგანიზმში შემავალი ნივთიერებანი, — ქიმიური პირობანი ადამიანის წარმოსაშობად. მაგრამ ყოველივე ამაში ჯერ კიდევ არაა შრომა. შრომა იწყება მხოლოდ იარაღის გაკეთების მომენტიდან. რას წარმოადგენენ უუძველესი იარაღები უუძველესი ისტორიის წინადროინდელი ადამიანის ნაშთების მიხედვით და იმის მიხედვით, თუ როგორ ცხოვრობენ ძველი ისტორიული ხალხები ან როგორ ცხოვრობენ უურო ჩამორჩენილი თანამედროვე ველურები? სანადირო და სათევზაო ხელსაწყო, პირველი მათგანი ამავე დროს საომარი იარაღიცაა. მაგრამ ნადირობა და თევზაობა გულისხმობს წმინდა მცენარეულ საქმელთან ერთად ხორცის ხმარებაზედაც გადასვლას, რაც ისევ და ისევ არსებით ნაბიჯს წარმოადგენს გაადამიანებისაკენ. ხორციელი საქმელი თითქმის მზამზარეულად შეიცავს ყველა მთავარ ნივთიერებას, რაც კი ესაჭიროება ორგანიზმს ნივთიერებათა მიმოქცევისათვის; ხორცის მონელებას ნაკლები დრო მოუწევდა, რის გამოც ორგანიზმში შემოკლდა სხვა პროცესების დროც, შედარებით იმ დროსთან, ამავე პროცესს რომ სჭირდებოდა მცენარეულობით საზრდოობის ხანაში; ასეთი გზით ადამიანმა მოიგო დრო, მასალა და სურვილი წმინდა ცხოველური სიცოცხლის მოქმედებისა-

თვის. და რაც უფრო შორდებოდა მცენარეს ადამიანი, მით უფრო მალღებოდა ცხოველზედ. როგორც გარეული ძაღლები და კატები ხორციან ერთად მცენარეულობის ქამამ აქცთა ადამიანთა მოსამსახურებად, ისე ამგვარმავე საზრდომ ხელი შეუწყო ადამიანის სხეულის ძაღლონისა და დამოკიდებულების გაძლიერებას. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ხორციული საქმელის გავლენა ტვინზედ, რომელსაც ეხლა უხვად მოსდიოდა მისი განვითარებისა და საზრდობისათვის ყველა აუცილებელი ნივთიერებანი, რის გამოც ტვინს შეეძლო თაობიდან თაობამდე, ჩქარა და უფრო სრულად განვითარებულყო. მაპატიონ ვეგეტარიანებმა და ადამიანი ხორციული საქმლის დაუხმარებლად არ იქნებოდა ის, რაც არის, და თუ ხორცის ჭამას ყველა ხალხში ერთ დროს თან მოსდევს კაცის ქამაც (ბერლინელთა წინაპრები — ველებატები ან ველცები ჯერ კიდევ მეთათე საუკუნეში სქამდენ თავიანთ მშობლებს), ახლა ამას ჩვენთვის მნიშვნელობა აღარა აქვს.

ხორცის ქამას მოყვა შემდეგში ორი პროგრესული შედეგი გადამწყვეტი მნიშვნელობისა: ცეცხლის ხმარება და ცხოველთა მოშინაურობა. პირველმა კიდევ უფრო შეამოკლა საქმლის მონელების პროცესი, ვინაიდან ცეცხლის წყალობით, ასე ვსთქვათ, სანახევროდ მონელებული საქმელი მოსდიოდა პირს; ცხოველთა მოშინაურობამ კი ნაღირობას მიუმატა ახალი, უფრო რეგულიარული წყარო საზრდოს საშონელად; გარდა ამისა რძესა და მის პროდუქტებში იპოებოდა ეხლა ახალი საკვები ნივთიერება, რომელიც შემადგენელ ელემენტებით ხორცს დიდათ არ ჩამოუარდებოდა. ამრიგად ცეცხლმა და მოშინაურობულმა ცხოველებმა უშუალოდ ხელი შეუწყვეს ადამიანის ემანსიპაციას. ჩვენ ერთობ შორს დაგვირდებოდა წასვლა, რომ შეესდგომოდით იმის გამორკვევას, თუ როგორ იყო სათითაოდ ცეცხლისა და მოშინაურობული ცხოველის პირდაპირი გავლენა ადამიანზე, რაც უნდა დიდი იყოს მათი როლი ადამიანისა და საზოგადოების განვითარების საქმეში.

მსგავსად იმისა, როგორც ადამიანი შეეჩვია ყველაფრის ქამას, რაც კი იქმებოდა, ის შეეჩვია ყოველნაირ ჰავაში ცხოვრებას. ის გაუფანტა და დასახლდა მთელ დედამიწაზე, სადაც კი ცხოვრება შესაძლებელია. ადამიანი ერთად ერთი ცხოველია, რომელიც თავის თავში კპოულობდა ამისათვის საჭირო ძალას. სხვა ცხოველებმა კი, რომელნიც შეეჩვიენ სხვადასხვა ჰავაში ცხოვრებას, ჩაიდინეს ეს არა საკუთარი თაონობით, არამედ ადამიანის წყალობით — ასეთებია შინაური ცხოველები და პარაზიტები. პირვეანდელი სამშობლოს ერთნაირი ცხელი ჰავიდან სხვა ადგილებში გადასვლამ. სადაც წელიწადი ზამთ-

რისა და ზაუხულისაგან შესდგება, წარმოშვა ახალი საქიროებანი, საქირო შეიქნა საცხოვრებელი ბინის და საცმელების მომზადება სიცივისა და სისველისაგან თავის დასაფარავად; სცენაზე გამოდის ახალი დარგები შრომისა, და მასთან ერთად ახალი მოქმედება, რომელიც კიდევ უფრო აშორებს ადამიანს ცხოველებისაგან.

ხელების, მეტყველების ორგანოებისა და ტვინის ურთიერთზედ გავლენით, — როგორც ცალკე პიროვნებაში, ისე მთელ საზოგადოებაში, — ადამიანში განვითარდა შესაძლებლობა სულ უფრო რთული ფუნქციების შესასრულებლად, მას შეეძლო დაესახა და სისრულეში მოეყვანა უფრო მაღალი მიზნები. თვით შრომა თაობიდან თაობამდე ღებულობდა სხვა ხასიათს, უფრო სრულს და მრავალმხრივს. ნადირობას და მესაქონლეობას დაემატა მიწის მუშაობა და ამას კიდევ რთვა და ქსოვა, ლითონების დამუშავება, მექურქლეობა, ნაოსნობა. ვაჭრობა-მრეწველობასთან ერთად და ბოლოს ადგილს იკერს ხელოვნება და მეცნიერება; ტომებიდან განვითარდნენ ერები და სახელმწიფოები. განვითარდა სამართალი და პოლიტიკა და მასთან ერთად რელიგიაც — ეს ფანტასტიური ასახვა ადამიანის თავში ადამიანთა საქმისა. ყოველივე ეს კაცს ეჩვენება, უწინარეს ყოვლისა, თავის (გონების) მოქმედების პროდუქტებად და ამიტომ უფრო თავმდაბლური ნამოქმედარი მშრომელი ხელისა უკანა ადგილს იკერს მათთან. შედარებით, მით უფრო, რომ საზოგადოების განვითარების სულ აღრინდელ საფეხურზე (მაგ., მარტივ ოჯახში) თავი, რომელიც ადგენდა მუშაობის გეგმას, ცდილობს შეასრულოს ეს სამუშაო სხვისი ხელებით, ისე თითქოს თავისი საკუთარი ხელები იყოს. თავის, ტვინის განვითარებას და მოქმედებას მიაწერეს მთელი დამსახურება სწრაფად მიმდინარე ცივილიზაციისა; ხალხი შეეჩვია და თავის მოქმედება გამოყავდა აზროვნებისაგან და არა საქიროებისაგან (რომელიც რასაკვირველია ცნობიერდება, აისახება თავში); ამრიგად დროთა განმავლობაში წარმოიშვა ის იდეალისტური მსოფლმხედველობა, რომელმაც დაიპყრო ხალხთა გონება განსაკუთრებით ანტიური ქვეყნის დაცემის შემდეგ. ის დღემდეც იმდენადაა გაბატონებული, რომ დარვინის სკოლის ბუნებისმეტყველი მატერიალისტებიც კი ვერ ახერხებენ იქონიონ ნათელი წარმოდგენა ადამიანის წარმოშობის შესახებ, იმიტომ, რომ იმყოფებიან ამ იდეალისტური გავლენის ქვეშ და არ ესმით, თუ რა როლი შეასრულა აქ შრომამ.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ცხოველებსაც შეაქვთ ცვლილება გარეშე ბუნებაში თავიანთი მოქმედებით, თუმცა არა იმდენად, რამდენიც ადამიანებს; და ეს მათი მოქმედებით მომხდარი ცვლილე-

ბანი, როგორც ვნახეთ, გავლენას ახდენდნენ თვით მათზედ. ბუნებაში არაფერი არ ხდება გამოცალკეებულად. ერთი მოვლენა გავლენას ახდენს დანარჩენებზე და პირიქით. ამ ყოველმხრივ მოძრაობისა და ურთიერთობის დავიწყებაა, რომ ხელს უშლის ჩვენს ბუნებისმეტყველებს ნათლად დაინახონ სულ უბრალო საგნები. ჩვენ ვნახეთ, როგორ აბრკოლებენ თხები ტყეების მოშენებას. წმ. ელენეს კუნძულზე თხებმა და ღორებმა, რომლებიც პირველად აქ მოსულ მეზღვაურებმა მოიყვანეს, იქამდის მიიყვანეს კუნძული, რომ მთელი უწინდელი მცენარეულობა მაზედ თითქმის მოისპო. და ამნაირად, მომზადდა ნიადაგი, რომელზედაც გავრცელდა მეზღვაურებისა და კოლონისტების მიერ შემდეგ მოტანილი მცენარეები. მაგრამ, თუ ცხოველები ხანგრძლივ გავლენას ახდენენ მათს გარშემომცველ პირობებზედ — ეს ხდება მათი მხრით რაიმე განზრახვის გარეშე და თვით ცხოველებისათვის წარმოადგენს რაღაც შემთხვევით მოვლენას. რაც უფრო შორდებიან ადამიანები ცხოველებს, მით უფრო მათი გავლენა ბუნებაზედ იღებს ხასიათს მოფიქრებული, გეგმაშეწონილი მოქმედებისა, რომელიც მარათულია წინდაწინ ცნობილი გარკვეული მიზნების მიღწევისაკენ. ცხოველი სპობს რომელიმე ადგილას მცენარეულობას ისე, რომ არ იცის რას შვრება; ადამიანი კი სპობს მას იმისთვის რომ განთავისუფლებულ ნიადაგზე დასთესოს ხორბლეული ან დარგოს ხეები და ბუჩქები იმ რწმენით, რომ ისინი მისცემენ უხვ მოსავალს. ადამიანს გადააქვს სასარგებლო მცენარეები და შინაური ცხოველები ერთი ქვეყნიდან მეორეში და ამრიგად სცვლის ფლორას და ფაუნას მსოფლიოს ნაწილებისა. ამაზე მეტიც, — ხელოვნური შერჩევით მცენარეები და ცხოველები ადამიანის ხელში ისე იცვლებიან, რომ ვეღარ იცნობთ. დღემდის ვერ ნახეს ჩვენი პურეული მცენარეების გარეული წინაპრები. დღემდის არაა ცნობილი, რომელი გარეული მხეცისაგანაა წარმომდგარი ჩვენი ძაღლების ასეთი განსხვავებული ჯიშები ან და არა ნაკლებ მრავალრიცხოვანი ჯიშები ცხენებისა.

თავისთავად ივულისხმება, რომ ჩვენ აზრათაც არ მოგვდის უარყოფა იმისა, რომ ცხოველებს აქვთ ნიჭი გეგმაშეწონილი, წინდაწინ მოფიქრებული მოქმედებისა. პირიქით, გეგმიანი მოქმედების ჩანასახი არსებობს უკვე ყველგან, სადაც ადგილი აქვს პროტოპლაზმას, ცოცხალ ცვლას, Eiwais, რომელიც მოქმედებს რეაქციით, ე. ი. გარეშე გალიზიანებას უპასუხებს მოძრაობით, თუმცა ეს მოძრაობა ზედმიწევნით მარტივია. ასეთ რეაქციას ვხდებით იქაც, სადაც უჯრედი ჯერ კიდევ არც კია, — ნერვების უჯრედებზე ხომ ლაპარაკიც მეთა. ის საშუალება, რომლითაც მწერიქამია მცენარეები იჭერენ თავიანთ

მსხვერპლს, წარმოადგენს აგრეთვე რამოდენიმე გეგმიან მოქმედებას, თუმცა სრულიად შეუზღუბელს. შეგნებული გეგმიანი მოქმედების უნარი ცხოველებს ნერვთა სისტემის განვითარებასთან შეფარდებით უნვითარდებათ და ძუძუმწოვრებში ეს ნიჭი უკვე მაღალ საფეხურს აღწევს. ინგლისში მელაზე ნადირობის დროს შეგიძლიათ საკუთარი თვალთ ნახოთ, თუ რა ჩინებულად იყენებს მელია ადგილმდებარეობის ცოდნას, რომ თავი დააღწიოს მდეურებს და რა კარგად იცის კვალის დამალვა, რისთვისაც ის სარგებლობს ადგილობრივი ნიადაგის ყველა თვისებათა ცოდნით. უფრო განვითარებულ შინაურ ცხოველებში, რომელთაც ადამიანებთან აქვთ ურთიერთობა, ჩვენ ყოველდღე შევხვდებით ისეთნაირ ხერხს და ეშმაკობას, რომელიც ბავშვების ასეთსავე მოქმედებას არ ჩამოუყარდება. როგორც ადამიანის ჩანასახის დედის საშოში განვითარება წარმოადგენს შემოკლებულ განმეორებას ჩვენ ცხოველ წინაპართა ფიზიკური განვითარების ისტორიისა, დაწყებული ქიიდან, — ისტორიისა, რომელიც გრძელდებოდა მილიონი წლები, — ისე სულიერი განვითარება ბავშვისა არის მხოლოდ უფრო შემოკლებული გამეორება იმავე წინაპრების ინტელექტუალური განვითარებისა, — ყოველ შემთხვევაში უკანასკნელ მათგანის (წინაპრების). მაგრამ ყველა გეგმიანმა მოქმედებამ ყველა მხეცებისა ერთად ვერ მიაღწიეს იქამდე, რომ დედამიწას დარჩენოდა ბეჭედი მათი ნებისა. ეს როლი წილად ხვდა ადამიანს.

ერთი სიტყვით, ცხოველი მხოლოდ ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ს გარეშე ბუნებით და იწვევს მასში ცვლილებას მარტო იმით, რომ მასში არსებობს; ადამიანი კი მის მიერ ცვლილებათა საშუალებით აიძულებს ბუნებას ემსახუროს მის მიზნებს, ე. ი. ბ ა ტ ო ნ ო ბ ს მ ა ს ზ ე. სწორეთ ამაშია უკანასკნელი და არსებითი განსხვავება ადამიანსა და ცხოველებს შორის; და ეს განსხვავებაც ისევ და ისევ შრომამ გამოიწვია (გაკეთილშობილება).

მაგრამ მეტისმეტად ნუ ვიამაყებთ ჩვენი ადამიანური გამარჯვებით ბუნებაზე. მართალია, პირველ ხნობით ყოველი გამარჯვება იძლევა იმ შედეგებს, რაც მიზნათ ჰქონდათ, მაგრამ გამოდის სულ სხვა გაუთვალისწინებელი შედეგები, რომელნიც ხშირად ისევ სპობენ მიღწეულს. იმ ხალხებს რომლებმაც მესოპოტამიაში, საბერძნეთში, მცირე აზიაში და სხვა ადგილებში მოსპეს ტყეები დასამუშავებელი ნიადაგის მოსაპოვებლად, არც კი დასიზმრებიათ, რომ ამით მათ დასაწყისი მისცეს ხსენებული ქვეყნების უდაბნოთ გადაქცევას: ტყეების განადგურებით მოისპო წყლის დასაგროვებელი ცენტრები. რაცა ალპებში მცხოვრები იტალიელები ანადგურებდნენ სამხრეთ ფერდობზე

ფიქვნარის ტყეს, რომელსაც ასეთი ზრუნვით იცავდნენ ჩრდილო ფერ-  
დობებზედ, მაშინ მათ თავშიაც არ მოსდიოდათ, რომ ძირს უთხრი-  
დნენ თავის რაიონში სატყეო მეურნეობას; კიდევ უფრო ნაკლებ ფიქ-  
რობდნენ იმაზე, რომ ამით ისინი წლის მეტი ნაწილის განმავლობაზე  
წყალს ართმევდნენ თავიანთ მდინარეებს, რომელნიც ამის გამო წვი-  
მების დროს დიდდებოდა და ნიაღვრებად ედებოდა დაბლობებს. ვინც  
კარტოფილი გაავრცელა ევროპაში, სრულიად არ ფიქრობდა, რომ  
მასთან ერთად ავრცელებდა სატკბურას<sup>1)</sup>. ამრიგად ყოველ ნაბიჯ-  
ზედ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ისე კი არ ვიპყრობთ ბუნებას, რო-  
გორც დამპყრობელი ეპატრონება სხვა დამარცხებულ ხალხს, არა  
როგორც ვინმე ბუნების გარეშე მდგომი, არამედ ხორციით, სისხლით  
და ტვინით ვეკუთვნით მას, ვარსებობთ მასში და რომ ჩვენი ბატონობა  
გამოინახტება იმაში, რომ ჩვენ უკეთ შეგვიძლია, ვინემ რომელიმე სხვა  
არსებათ, მივწვდეთ მის კანონებს და სისწორით გამოვიყენოთ ისინი.

და მართლაც ჩვენ ყოველდღე ვსწავლობთ მისი კანონების  
უფრო სისწორით გაგებას და გათვალისწინებას იმისა, თუ რა უახ-  
ლოესი და შორეული შედეგი შეიძლება მოჰყვეს ჩვენს ჩარევას ბუ-  
ნების მოვლენათა ჩვეულებრივ მიმდინარეობაში. სწორეთ ჩვენს საუ-  
კუნეში (XIX ს.) ბუნების მეტყველების ძლიერი პროგრესის დროს  
სულ უფრო მეტი შეიძლება გვეძლევა გავითვალისწინოთ შორეულ  
ბუნებრივი შედეგები, ყოველ შემთხვევაში, იმ ჩვეულებრივ მოქმე-  
დებათა, რომელიც მიმართულია წარმოებისაკენ და, ამრიგად, ვსწავ-  
ლობთ ბატონობას ამ შედეგებზედ. მაგრამ რაც უფრო შორს წავალთ  
ამ გზით, ხალხი მით უფრო იგრძნობს და მიხვდება ერთობას ბუნე-  
ბასთან; და მაშინ ადგილი აღარ ექნება იმ ბუნების საწინააღმდეგო,  
არაბუნებრივ წარმოდგენას სულისა და მატერიის, ადამიანისა და ბუ-  
ნების, სულისა და სხეულის — დაპირისპირებაზე, როგორც ეს ევრო-  
პაში წარმოიშვა ძველი კლასიკური ქვეყნების დაცემის შემდეგ და  
უმაღლეს წერტილსაც კი მიაღწია ქრისტიანობაში.

მაგრამ თუ ათასი წლების შრომა დასჭირდა მას, რომ რამოდენი-  
მედ გვესწავლა გათვალისწინება წარმოებისაკენ მიმართული მოქმე-  
დებათა შორეული ბუნებრივი გავლენისა, გაცილებით უფრო  
ძნელი იყო გამოანგარიშება ამ მოვლენათა საზოგადოებრივი გავლე-  
ნისა. ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ კარტოფილი და მასთან დაკავშირე-  
ბითი გავრცელება სატკბურასი. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს სატ-  
კბურას შედარებით იმ შედეგებთან, რაც მოყვა მუშების საზრდოს  
კარტოფილზე გადაყენას, მთელი ქვეყნების მუშათა მასების მდგო-

<sup>1)</sup> „ზოლოტუხა“ — Skrophel.

მარეობისათვის, შედარებით შიშშილობასთან, რომელიც თავს დაატყ-  
და 1847 წელს ირლანდიას კარტოფილის დაჭირიანების გამო. მილიონი  
ირლანდიელები, რომლებიც მარტო კარტოფლით, ან თითქმის  
მარტო კარტოფილით იკვებებოდნენ, გაემგზავრენ მაშინ იმ ქვეყანას  
და ორი მილიონი კი გადატყორცნილ იქნა ოკეანეს იქით. როდესაც  
არაბებმა შეისწავლეს ალკოჰოლის დისტილაცია, მაშინ მათ ძილშიაც  
არ ზმანებიათ, რომ მათ შექმნეს ერთი მთავარი იარაღთაგანი, რომ-  
ლის საშუალებითაც აღიხოცებოდნენ დედამიწის პირიდან ადგილობ-  
რივი მცხოვრებნი, მაშინ ჯერ კიდევ აღმოუჩენელი, ამერიკისა. და  
როცა კოლუმბმა აღმოაჩინა ეს ამერიკა, მან არ იცოდა რომ ამით ის  
ხელახლა გამოიწვევდა ევროპაში დიდი ხნით აღრე მოსპობილ მონო-  
ბას და შექმნიდა ნიადაგს ზანგებით ეაქრობისათვის. ის ხალხი, რო-  
მელიც XVII და XVIII ს. ს. ორთქლის მანქანის შესაქმნელად მუ-  
შაობდნენ, არ გრძობდნენ, რომ ჰქმნიან იარაღს, რომელსაც ყოველივე  
სხვაზე უკეთ შეუძლია მთელი ქვეყნის საზოგადოებრივი მდგომარეო-  
ბის რევოლიუციონიზირება, რომ ევროპაში სიმდიდრის უმცირესობის  
მხარეზე კონცენტრაციით და დიდი უმრავლესობის გაღატაკებით ის  
ჯერ ბურჟუაზიას მიანიჭებს სოციალურ და პოლიტიკურ ბატონობას.  
შემდეგ გამოიწვევს კლასობრივ ბრძოლას ბურჟუაზიასა და პროლე-  
ტარიატს შორის, რომელსაც შეუძლია დაბოლოვდეს მხოლოდ ბურ-  
ჟუაზიის დაცემით და ყოველივე კლასობრივ წინააღმდეგობათა მოს-  
პობით. მაგრამ ამ სფეროშიაც თანდათან ვსწავლობთ ჩვენ ნაყოფიერ  
მოქმედებათ უფრო შორეულ, არაპირდაპირ შედეგების გათვალის-  
წინებას; ამას ვალწევთ ხანგრძლივი სასტიკი გამოცდილების გზით  
და ისტორიულ მასალათა შედარებით და გამორკვევით. ამნაირად  
გვეძლევა შესაძლებლობა ხსენებულ მოქმედებათა რეგულაციისა და  
დამორჩილებისა.

მაგრამ ამ რეგულაციის განხორციელებისათვის როდი კმარა მარ-  
ტო უბრალო შემეცნება. ამისთვის აუცილებელია სრული გადატრი-  
ლება წარმოების დღემდის არსებულ საშუალებათა და მასთან ერთად  
მთელი დღევანდელი საზოგადოებრივი წყობილებისა.

წარმოების დღემდის არსებული ყველა საშუალებანი მისწრა-  
ფოდნენ, რომ მიეღოთ შრომისაგან უახლოესი უშუალო სასარგებლო  
ეფექტი. ის შედეგები კი, რომელიც მომავალშია მოსალოდნელი და  
შესამჩნევი ხდება მხოლოდ თანდათან გამეორებისა და დაგროვების  
მეოხებით, რჩება ყურადღების გარეშე. პირველყოფილი საერთო სა-  
კუთრება მიწაზე შეეფერებოდა ერთის მხრით იდრის განვითარების  
იმ საფუძურს, როცა მათი ჰორიზონტი შემოფარგლული იყო, საერ-

თოდ, უახლოესი მოვლენებით, მეორე მხრით კი, — სიჭარბეს დასა-  
მუშავებლად გამოსადეგი მიწისა, რაც შეუძლებელსა ხდიდა ასეთი  
პირველყოფილი მეურნეობის ცულ შედეგებს. ამ სიჭარბის მოსპობას-  
თან ერთად დაიღუპა საერთო სათემო სარგებლობაც მიწისა. წარმოე-  
ბის ყველა უმაღლესი ფორმები კი შედეგი იყო საზოგადოების კლა-  
სებათ დაყოფისა, და ამასთანავე ანტაგონიზმისა გაბატონებულ და  
დამონებულ კლასთა შორის; ამის გამო გაბატონებული კლასის ინტე-  
რესები წამხალისებელი გახდა წარმოებისათვის, რამდენადაც ეს უკა-  
ნასკნელი არ კმაყოფილდებოდა მარტო იმ პროდუქტების დამზადებით,  
რომელიც უკიდურესად აუცილებელი იყო ჩაგრულთა სიცოცხლის  
შესანარჩუნებლად. ყველაზე უფრო სრული ფორმით ეს ხდება ეხლა  
დასავლეთ ევროპაში გაბატონებულ კაპიტალისტური წარმოების სა-  
შუალებით. კერძო კაპიტალისტებს, რომელნიც განაგებენ წარმოებას  
და გაცვლას, შეუძლიათ იზრუნონ თავიანთ მოქმედებათა მხოლოდ  
უშუალო სასარგებლო რეზულტატზე, და ეს სარგებლიანობის ეფექ-  
ტიც, რამდენადაც საქმე ეხება დამზადებულ ან გაცვლილ საგანს.  
სრულიად უკანა რიგში გადადის: გაყიდვის დროს მიღებული სარგე-  
ბელი ხდება ერთად-ერთ წამახალისებელ მოვლენად.

## § 7. საარსებო საშუალებათა დონის განვითარება

ადამიანის წარმოშობის, მისი კულტურის დაწყებითი ხანის შე-  
სახებ ჩვენ დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი. გვაქვს კი შაინც  
ბევრნაირი საფუძველი ვიფიქროთ, რომ ადამიანი წარმოიშვა მაიმუ-  
ნის მსგავსი წინაპრისაგან, რომელიც, უმთავრესათ, ცხოვრობდა ხე-  
ებზე, ტროპიკულ მიუვალ ტყეებში.

შეიძლება რომელიმე ალაგას ამისთანა ტყეებით დაფარულ სი-  
ვრცეზე, სადაც მაიმუნის მომგვანო ადამიანები არსებობდენ, ჰავა  
თანდათან იცვლებოდა, შეიძლება, ამიტომ აქა-იქ ხე აღარ იზრდე-  
ბოდა, ტყე თხელდებოდა, შიგა და შიგ ბალახით მოფენილი ზედა-  
პირი ჩნდებოდა. იქნება ამ მიზეზით ადამიანი იძულებული ხდებოდა  
ხშირხშირათ ჩამოსულიყო ხიდან, ნელნელა შეგუებოდა მიწაზე არ-  
სებობას, ეძებნა, მცენარეულ საკვების გარდა, ხორცეული საკვებიც.  
ამ ძებნაში მისი სხეული უნდა შეჩვეოდა, ალბათ, უფრო ჩქარ-ჩქარ  
მოძრაობას. ხელით და ტანის ამართვით მაიმუნის მონათესავე ადა-  
მიანს შეეძლო დასაქერათ გამოკიდებოდა გაქცეულ ნადირს, თუ ვერ  
დაეწეოდა, შეეძლო ესროლა რამე — ან ქვა ან ჯირკი და მოეკლა.  
ამავე საშუალებით და იარაღით ის, მეორე მხრივ, მოიჯერებდა  
ტყის მხეცს, რომელსაც ხეზე ვერსად შეხედებოდა, ხოლო მიწაზე



ველარ დაეშალებოდა. ამ პირობებში, ამავე საშუალებით და იარაღით მამუნის მონათესავე ადამიანს შეეძლო თანდათან დაეტოვებინა ხე და დაეწყო საბოლოოთ მიწაზე ცხოვრება. ამითივე აიხსნება, რომ მამუნის ოთხი ხელი ადამიანს არ დაუტოვია ისევე სარბენ ოთხ ფეხათ. სხეულის ორგანოებში სათავე მიეცა შრომის ახალ განაწილებას. ეს იყო განაწილება უკანასკნელი და ძირითადი. როგორც წინანდელი, ისე ეს უკანასკნელიც აიხსნება ცხოვრების პირობების გართულებით. ასეთი გართულება კი დაიწყო, როცა სხეული აღარ არსებობდა მარტო ხეზე და აღარ საზრდოობდა მარტო მცენარეულობით, როცა ის გადადიოდა გაშლილ ადგილებზე და იკვებებოდა ხორცეულითაც. მაშინ თანდათან განაწილდა შრომა ხელის და ფეხის. ფეხის დანიშნულება შეიქნა მიწაზე სიარული და რბენა, ხელის კი — წავლება და მოზიდვა საკმლისა. მერე და მერე ხელის დანიშნულება გაფართოვდა. სხეული თანდათან შეეჩვია ხელის ხმარებას იმისათვის, რომ საკმლის საშოვნელათ ესა თუ ის საგანი აეღო და მიზანშეწონილათ გამოეყენებია. ხელით ის უკვე იმარჯვებდა საწარმოო იარაღს, აკეთებდა სხვადასხვა საგანს, რომლითაც შეეძლო გაეღონიერებია საკუთარი სხეულის ორგანოები. ჯოხით მის ხელს ემატებოდა სიგრძე, უდიდებოდა დაკვრითი ძალა. ხელით ისროდა წვეტიან მქრელ ნაპირებიან ქვეს და თითქო ასე მისდევდა, რამოდენიმე ნახტომით ეწეოდა ნადირს. იმავე ქვეს მაშინდელი ადამიანი ხმარობდა მოკლული ნადირის ასაქრელათ, ან საკვები მცენარეულ ფესვების ამოსათხრელათ. ამ შემთხვევაში ეს ქვა იყო, თითქო, ფრჩხილებს გაგრძელება და გაღონიერება. ხეზე, როცა მზა ნაყოფით იკვებებოდა, ფრჩხილები არ ჰქონდა და არც სჭირდებოდა.

გადიოდა დრო და მამუნის მონათესავე ადამიანი ველარ კმაყოფილდებოდა ისეთი იარაღით, როგორიცაა ქვა, ჯოხი, ძვალი. თავის მიზნის შესაფერათ ის ლესავდა ქვეს ქვისვე თუ კაყის საშუალებით, ან სთლიდა ჯოხს. აქედან იწყებოდა ძლევა მოსილი წინსვლა ტეხნიკის. ასე დაიწყო საწარმოო ძალთა წარმოება. ამ ტეხნიკურ წინსვლაში ადამიანს ახლა და ახლა ეძლევა გიგანტიური ძალა ხელეფებში, ესხმება არწივის ფრთები. ამ ტეხნიკის საშუალებით ადამიანის ხმა ერთ თვალის დახამხამებაში ედება მთელ ღეღამიწას, მისი თვალი წვდება უშორეს და უჩინარ საგნებს.

პირველ ხანებში, რა თქმა უნდა, ტეხნიკის ეს მძლავრი წინსვლა უზომო სიძნელეებით იყო მოკუთული, სრულიადაც არ ეტყობოდა დაუდგარი სიჩქარე. მაგრამ უდიდესი მიღწევა იყო მაშინ ის, რომ ადამიანს გაუადვილდა მტაცებელი მხეცის მოგერიება, წინანდელი

ჯაფაც აღარ მიუღიოდა საქმლის შოენაზე. საწარმოო საშუალება და თავდასაცავი იარაღი მაშინ ერთი და იგივე იყო.

ჯერ ადამიანი არ ამზადებდა თავის საზრდოს. საზრდობდა მზამზარეულათ ნახული ან მოტაცებული საკვებით. ამასობაში ბრძოლა უხდებოდა სულ სხვადასხვაგვარ მტერთან. ადამიანი არ იყო ყოველთვის მწარმოებელი, ბრძოლას კი ეწეოდა წარმოშობიდანვე.

მერე, იარაღის კეთებით და ხმარებით შესაძლებელი შეექნა გაფართოება საარსებო საშუალებათა წყაროების. ადამიანს მაშინ უკვე მიეცა საშუალება თამამათ დაეტოვებია თავშესაფარი, რომელიც ბუნებრივად ჰქონდა ხეზე, აღარ აწუნებდა იმის შიში, რომ ძირს სადმე ტყის მხეცი სიცოცხლეს გამოასალმებდა. შეეძლო გასულიყო გაშლილ მინდვრებზედაც ისე, რომ საკვების გამოლევის შიში არ ჰქონებოდა. ადამიანი არასოდეს არ იკვებებოდა მარტო მცენარეულობით, უფრო დასაშვებია, რომ ის სკამდა ყველაფერს. მაიმუნიც ხოძი არ არჩევს და სკამს რაც მოხვდება — ბუზანკალასაც, ჭიასაც, ჩიტის კვერცხსაც, ჩიტსაც იჭერს საჭმელათ. მაგრამ, პირვანდელი ადამიანი ვერ დაიჭერდა, ვერც მოკლავდა ბალახის მკამელ მსხვილფეხა პირუტყვს, რომელსაც ჰქონდა გაქცევის უნარი. იმის დასაჭერათ თუ მოსაკლავათ უთუოთ დასკირდებოდა იარაღი, რომლითაც მეტ ღონე მიეცემოდა და მეტ ჰივრცეზედაც შეაძლებინებდა მოჭმედებას.

მსხვილფეხა ძუძუმწოვარ პირუტყვზე ნადირობით ადამიანი არა მარტო შოულობდა მეტ საზრდოს, ის იძენდა აგრეთვე ტანსაცმელსაც. ამითი ის კიდევ უფრო ფართოთ შლიდა საარსებო საშუალებათა ფარგლებს. ტანჩაცმულ ადამიანს უკვე აღარ გაუჭირდებოდა ცივ ადგილებშიაც სიარული, შეეძლო ზღვის დონეს აცილებულ სივრცეებზედაც ასეღა, არ მორიდებოდა ჰაერის მკაცრ რყევას, სითბოსიკივის ცვლას. ახალ ხელშემწყობს პირობებს ქმნიდა ადამიანისთვის ცეცხლის აღმოჩენა, რასაც უთუოთ წინ მიუძღოდა დაბურული ტყიდან ბალახიან ველზე გამოსვლა და იარაღის გამოგონება. ცეცხლის გაჩაღების შესაძლებლობას ადამიანი, რასაკვირველია, წააწყდებოდა იქ, სადაც ხმელი ზის ტოტები იყო გაბნეული, მუდამ ნოტიო ნედლ გაუვალ ტყეში კი ამას ვერ მოისაზრებდა ვერასოდეს.

საარსებო საშუალებათა ასპარეზი შემდეგ კიდევ უფრო გაიშალა მეთევზეობის საშუალებით. ნადირის ტყავისაგან, როგორც ვთქვით, ადამიანი ტანსაცმელს იკეთებდა, ნადირის თუ თევზის ქონით ცეცხლის ნთება შეეძლო, ერთი სიტყვით მეთევზეობით და ნადირობით მომზადდა თანდათან ისეთი პირობები, რომ ადამიანს.

მოუხერხდა საბოლოოთ გამოთხოვებოდა ხელუხლებელ დაბურულ ტყეს, შესულიყო ყინულით მოცულ სივრცეებშიაც და იქაც ეძებნა საარსებო საშუალებები.

ყოველივე ეს მიღწევა ეკუთვნის განვითარების ჯერ კიდევ მეტად დაბალ საფეხურებს.

ამნაირი შეუწყვეტლობით იზრდებოდა საარსებო საშუალებათა შოვნის ასპარეზი. ამ გარემოებას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. ყველგან, სადაც კი ადამიანი ფეხს იკიდებდა, მთელს ორგანიულ ქვეყნიერებაში იყო ერთგვარი წონასწორობა სხეულთა გამრავლება-მოკვდაობის — რამდენიც იხოცებოდა და ისპობოდა, იმდენი იბადებოდა და მრავლდებოდა. ამ წონასწორობას პირველათ ადამიანი არღვევდა ორგანიულ ქვეყნიერებაში, როცა ის იქ იჭრებოდა. მერე და მერე კი წონასწორობა ასე თუ ისე ხელახლა იკავებდა წინანდელ ადგილს. ყოველ ახალ სივრცეზე ადამიანი ხოცავდა საკმელ პირუტყვს, ხოლო გამრავლება ამ პირუტყვისა ვერ ხდებოდა შესაფერი სიჩქარით. ასე რომ გაგრძელებულიყო, სულ განადგურდებოდა საკმელი ნადირი, მაგრამ იმავე ადამიანს თან შექონდა ამის საწინააღმდეგო საშუალებებიც. ის სიახლოვეს არ უშვებდა, ანადგურებდა ხორცის მკამელ მხეცს, უკეთ რომ ვთქვათ სხვა თავისთანა მხეცს, რომელიც იმის შესვლაშდის იქ ეტანებოდა საკმელ ნადირს. ტყის მხეცის განადგურება ზანდაზან ისეთ ფართო ხასიათს იღებდა, რომ ადამიანის საკმელ-პირუტყვს ეძლეოდა უკეთესი პირობები გამრავლებისათვის, ვიდრე ეს იყო ადრინდელ ბუნებრივი მდგომარეობაში. ადამიანის საარსებო საშუალებათა ასპარეზი იზრდებოდა იმ გზით, რომ იმის მანევრ მხეცს უფრო და უფრო ელეოდა იგივე საარსებო საშუალება და, ის მაშასადამე, თანდათან ისპობოდა.

რასაკვირველია, ადამიანის საცხოვრებელი ასპარეზის ზრდა ამ სახით ვერ დაეტევა ვერც არითმეტიკული პროგრესიის ჩარჩოებში, ვერ გაიზომება ვერც იმით, რასაც ჰქვია მიწის ნაყოფიერების კლტბა. ამ ასპარეზის ზრდა დამოკიდებულია ტეხნიკურ პირობებზე, დაკავშირებული საწარმოო იარღის ტეხნიკასთან, ამ ტეხნიკის წინსვლის სიჩქარესთან. იარღის საწარმოო ტეხნიკა შეიძლება ათასი წლობითაც იქნეს შეჩერებული ერთ დონეზე, და მერე ერთბაშათ რომელიმე დიდი აღმოჩენით უზარმაზარ ნაბიჯებს ადგამდეს წინ.

ახალი გასაქანი ეძლევა საარსებო საშუალებათა ზრდას შემდეგ შეჯგოვების პირობებში. პირვანდელ მონადირე ადამიანს უყვარს გარეული ნადირის დაჭერა და მოშინაულება, ამხანაგვით დაყავს თან და თავს იქცევს ხოლმე, ეთამაშება. ალბათ ეს ხალხი არ არის

ისეთ მდგომარეობაში, რომ მარტო საკმელზე ფიქრობდეს, ან ნამეტანი შაძლარი იყოს ხოლმე, ან ნამეტნავთ მშვიერი, ბევრს კი ასე გონია ეს. მოშინაურებულ პირუტყვს გამოაჩნდებოდა სხვა რომელიმე სასარგებლო თვისებაც ადამიანისთვის, და თუ ეს უკანასკნელი საკმაო საკვებს იშოვნინდა, ცხადია შეეცდებოდა მეტი პირუტყვის მოშინაურებას, მეტს იყოლიებდა და ამ გზით გაიჩენდა ახალ წყაროებს საარსებო საშუალებებისას.

მეჯოგეობის პირობებში ადამიანს წინანდებურათ აღარ დაეხარჯებოდა ძალღონე, უფრო ადვილი შეექნებოდა საზრდოს მომარაგება. გარეული ნადირი უნდა ეძებნა შორს, დიდხანს უნდა მდგარიყო ხოლმე მის კვალში და ედევნა მიუვალ ადგილებზე. როცა წამოეწეოდა, მაშინაც უბრძოლველათ ვერ ჩაიგდებდა ხელში, პირიქით, ხშირათ მხეცი მოერეოდა დამიანს, ან დაასახიჩრებდა, ან მოკლავდა კიდევც.

მოშინაურებული ნადირი კი იქვე ყავდა, ის ენდობოდა და არ გაურბოდა, ძალიან იშვიათათ უწევდა წინააღმდეგობას. ადამიანს შეეძლო, როცა მოინდომებდა დროს დაუკარგავთ, წინასწარ მოუშზადებლათ და გაუჭირვებლათ ის შეეკრა და დაეკლა.

მარტო ამაში არ იყო მეჯოგეობის უპირატესობა ნადირობასთან შედარებით. მონადირე საყოფათ მომარაგებდა გარეულ ნადირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნადირი მეტი იყო ვიდრე ეყოფოდა გამოსაკვებათ მის ოჯახს. უამისოთ პირვანდელი მონადირე ვერ იქნებოდა დარწმუნებული საკმაო მომარაგების უზრუნველყოფაში. გარეულ ნადირს ყოველთვის ხომ ვერ იშოვნინდა. მოშინაურებული პირუტყვი ყველა მის ხელში იყო და მოცილვე აქ ადამიანს არავინ ყავდა. გარეულ ცხოველებზე ნადირობდენ მხეცებიც. ამათ ადამიანი თავიდან ვერ იცილებდა, იძულებული იყო მოზიარეთ გაეხადა ისინი სანადიროში. სახლში კი მოშინაურებული ჯოგის სიახლოვეს ის მხეცს არ გაიკარებდა. ჯოგში ყავდა ის, რაც უთუოთ სასარგებლო იყო მისთვის, რაც გამოადგებოდა საკმელათ, სანაშენოთ. ერთ თავსაქონელსაც არ აკმევდა არც ერთ ზედმეტ დღეს. აკმევდა მხოლოდ იმ დღემდის, როცა შეიძლებოდა იმისგან უდიდესი სარგებლობის გამოტანა. მეჯოგეობის უპირატესობა იყო კიდევ იმაში, რომ გარეული ნადირის სარგებლობა ხანგრძლივი არ არის, ის სასარგებლოა მარტო ერთჯერ — მოკვლის შემდეგ. მოშინაურებული ცხოველი კი სასარგებლოა დღითი დღე; ის იძლევა მაგალითად, მატყლს, კვერცხს, რძეს და სხვ.

სანადირო იარაღის გამოგონებით ადამიანს მიეცა საშუალება ტროპიკული დაბლობიდან გასულიყო მთელი დედამიწის სივრცეზე.

და ყველგან მოეპოვებია საზრდოს საშოვნის ასპარეზი. მეჯოგეობამ ადამიანს შეიძლებინა მეტი საზრდო ეზოვნა ხოლმე ერთსა და იმავე ადგილას, დაკავებული ფართობის გაუდიდებლათ.

მეჯოგეობაში მეტი დრო გაუნთავისუფლდა ადამიანს. მისთვის უკვე მისაწვდომი შეიქნა გონებრივი ძალების, ტექნიკის გაენითარებაზე ფიქრი. ამ განვითარებას ხელი ეწყობოდა აგრეთვე იმით, რომ სადაც მეტი საზრდო იშოვებოდა, იქ მოსახლეობაც მატულობდა, ხალხი ხშირხშირათ ერთმანეთს ხვდებოდა, ერთიმეორეს თავის შთაბეჭდილებებს უზიარებდა, აერთიანებდა ძალონებს, ერთიანდებოდა მისი მისწრაფება და მიღწევა, მაგრამ მეტი თავისუფალი დრო და უფრო მაღალი ტექნიკა, საწარმოო საშუალებების, და იარაღების გაუმჯობესებული დამზადება უთოუთ ქმნიდა ნიადაგს ომების განხშირებისთვის. ომი იღებდა უფრო და უფრო გამანადგურებელ ხასიათს, ომის საბაბიც თანდათან მატულობდა. პირვანდელ ნადირობის ხანაში ომის საბაბი იყო ხოლმე შიმშილი. ბრძოლა იწყებოდა საარსებო საშუალებათა ამა თუ იმ წყაროსთვის, რომელიც იშვიათათ იშოვებოდა. მერე და მერე კი ომის მიზეზათ ხდება, პირიქით, ქონების დაგროვება. პირველ ხანებში ჯოგის მოშენება იძლეოდა ასეთ მიზეზს. (ლათინურათ სიტყვა peculium—ქონება, წარმოდგება სიტყვიდან pecus—ჯოგი, ინგლისურ ენაზედაც სიტყვა chattel ნიშნავს ქონებას ენათესავება სიტყვას cattel—ჯოგი). ქონების დაგროვებას თან მოსდევს მისი უთანასწორო განაწილება. ჯერ ერთ ალაგას დაუბინავებელ ხალხის ურდოებშიაც შეჯახებები უხდებათ ერთმანეთთან ღარიბებს და მდიდრებს. ბრძოლა ჯერ იხატება იმაში, რომ შედარებით ღარიბი ურდოები იპარავენ, ან ძალით მიაქვთ ქონება უფრო მდიდრებისაგან. რაც ხანი გადის, მით უფრო სიმდიდრის უთანასწორობა სარჩულათ ედება ომის დაწყებას და ომიანობას. ამ მიზეზით იწყება ომი ერთი ერის მეორესთან. ამ სარჩულზე ომის სამზადისში და თითონ ომში იხარჯება საზრდო სანოვავე და ადამიანის ცოცხალი ძალა, რომელიც შეიძლებოდა უკეთ გამოყენებულყო ახალი საზრდოს წარმოებისთვის. ტექნიკის წინსვლა იწვევს ერების ქონებრივ სხვადასხვაობას, უთანასწორობის ზრდას, საზღვრების გაფართოების სურვილებს. ამავე წინსვლის პირობებში იზრდება საომარი იარაღის წარმოება, მატულობს მისი აუცილებლობა, მისი სამოქმედო ძალა. ომი იქცევა ხშირ მოვლენათ. უფრო და უფრო გამანადგურებელი ხდება როგორც ომი თავისთავათ; ისე მისი სამზადისი. ტექნიკური პროგრესი. რომელიც ხელს უნდა უწყობდეს საარსებო

საშუალებათა ზრდას, მათ საწარმოო ფარგლების გაფართოებას. სინამდვილეში იქცევა ისეთ მოვლენათ, რომელიც სპობს ამ საშუალებებს, ანადგურებს ცოცხალ მომუშავე ძალას, ძირს სწევს და ამცირებს საარსებო წყაროების დონეს. პირვანდელ მონარქიდეს არ ეჭირებოდა განსაკუთრებული მზადება ომისთვის. იმავე იარაღს, რომლითაც ებრძოდა მგელს, დათვის, ლომს, რომლითაც კლავდა კამეჩს, ირემს, ის იყენებდა სხვა მონადირე ხალხთან ბრძოლაში, ამა თუ იმ უკეთეს სანადირო ადგილის ხელში ჩასაგდებათ. დაუბინავებელი, მომთაბარე მეჯოგე თავისი საწარმოო წესის მიხედვით უკვე აღზრდილია და შეიარაღებული ისე, რომ თავისებური მეთოდით აწარმოოს ომი. პირვანდელი მონადირე და მეჯოგე ამიტომ ომის სამზადისში არ კარგავს იმ დროს, რომელიც, შეიძლება, მეტი ნაყოფიერებით მოხმარდეს საარსებო საშუალებათა შოვნას. მათი ომების შედეგო იყო ხოლმე ორიოდე დაჭრილი, ხან თითო-ოროლა მოკლული, ან ჯოგის მოტაცება და რამოდენიმე ტყავის თუ ხალიჩის წაღება. ამისთანა ომებში იმდენათ არ ნადგურდებოდა არც ცოცხალი ძალა ადამიანის, არც საზრდო-სანოვაგე. რა თქმა უნდა, უფრო ცუდი მდგომარეობა იქმნებოდა იმ შემთხვევებში, როცა დიდი ურდოები მიდიოდენ ერთად რომელიმე მდიდარ მიწადმოქმედ ადგილების ან ქალაქიბს საცარცვაავათ. მაგრამ ეს უფრო „მალალი“ საფეხურია და ამაზე აქ არ გვაქვს ლაპარაკი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის დრო, როცა პირვანდელი მონადირე ეომება თავისთანა მონადირეს, ან ერთი დაუბინავებელი მეჯოგე ხალხი — მეორეს. ამისთანა ომებს არ ჰქონდათ მერინდელი ომების გამანადგურებელი ხასიათი.

ახლანდელი კულტურული ადამიანი განზე დგას მთელი წლოვბით — არ იღებს მონაწილეობას საარსებო საშუალებათა წარმოებაში, და იძულებული კი არის ომისთვის ემზადოს. აუარებელი სამხედრო ჯარდლები ამ მზადებას ანდომებენ მთელ თავის სიცოცხლეს. ასობით, ათასობით და მილიონობითაც მუშახელი უნდება გამანადგურებელ საომარ იარაღის წარმოებას, ხოლო ამ იარაღით ახლანდელ ომში იღუპება ადამიანის სიცოცხლე, სახიჩრდება კიდევ მეტი და აყვავებული სახელმწიფოები ემგვანებიან შემზარავ უდაბნოებს. ესაა ერთერთი გზა საზრდოს საშოვარ ფარგლების გასაფართოებლათ, ამას უნდა ემსახურებოდეს კოლონიალური პოლიტიკაც, ეს უაღრესათ ნაყოფიერი წარმომშობი თანამედროვე ომებისა.

მოსიარულე მეჯოგეობის დროს ომი კიდევ იმდენათ არ უშლის ხელს საარსებო საშუალებათა მატებას. არსებითად ამ მხრივ მეჯოგეობის შედეგი იგივეა, რაც ნადირობის. ორივე შემთხვევაში მცი-

რდება ამა თუ იმ ცხოველის რაოდენობა, იზღუდება იმის საარსებო საშუალებათა ფარგლები, იღვევა არა მარტო ტყის მხეცი, ბალახის მკამელი გარეული ნადირიც გამოდის ადამიანის საარსებო საშუალებათა ფარგლებიდან, და ახლა მის ადგილს იკავებს შინაური ცხოველი ყველგან, სადაც კი საკმაოდ მოიპოვება შესაფერი საძოვრები.

მერე და მერე საარსებო საშუალებათა ზრდა ხდებოდა საკვები მცენარეულის დამუშავებით. ეს დამუშავება ვითარდებოდა ნადირობასა და მეჯოგეობასთან ერთად. ტროპიკულ, ხელუხლებელ ტყეში მცენარეულის დამუშავება არავის არ სჭირდებოდა. ტყე თავისთავათ იძლეოდა საკმაო საკვებს. არც შეიძლებოდა იმ დროინდელ საფეხურზე მცენარეულის მოვლა-მოშენება. კულტურული მცენარეულობა ვერასოდეს ვერ გაიხარებდა ტყეში, დაიჩრდილებოდა იქ. სადაც ტყის მცენარეს ღრმად ჭონდა ფესვები გადგმული. საკვები მცენარე აუცილებელი შეიქნა ნადირობის და მეჯოგეობის ხანაში. მცენარეული საკვები საჭირო იყო, როგორც დამატება ხორცეული საკვების. მარტო ეს უკანასკნელი ვერ დააკმაყოფილებდა ადამიანს. მისი კუჭი არ გავს ხორცის მკამელ მხეცის კუჭს, და თუმცა ის ინელებს ყოველ ნაირ საჭმელს, მაგრამ აუცილებლათ მოითხოვს მცენარეულ საკვებსაც. ესეიშოსიც კი ვერ სჯერდება მარტო ხორცეულს და ეძებს დასამატებლათ ხილს, ან ფესვეულს.

ნადირობაში ადამიანი ვერ იქნებოდა საცსებით დარწმუნებული, რომ ყოველთვის იშოვნოდა რამეს. ამიტომ, მეტი გზა არ ჰქონდა, უნდა ეზრუნა მცენარეულ საჭმელზედაც. ცარიელ მინდვრებში ამას ნაკლებათ იშოვნოდა. უნდა გაღვიძებოდა მოთხოვნილება, რომ ხელოვნურათ მოეშენებია იშვიათი მცენარე. პირველათ, შეიძლება, ის მარტო უეზარის ბალახს სთხრიდა იქ, სადაც საჭმელი მცენარეულობა ბუნებრივათ ხარობდა, რომ ეს ბალახი არ გადავლილიყო ასეთ მცენარეულობაზე, გაშლილ ველზე თავისთავათ განვითარდებოდა ხელოვნური დამუშავება მცენარეულის. დახურულ ტყეში, ცხადია, ეს კულტურა ფეხს ვერ მოიკიდებდა.

მცენარეულის მეურნეობა მოითხოვს ხანგრძლივ ბინადრობას ერთსა და იმავე ადგილზე. ის დაიწყებოდა, ალბათ, უფრო იმ ადგილებში, სადაც გაადვილებული იყო საარსებო საშუალებათა მომარაგება, სადაც ბლომათ იშოვებოდა თევზეულობა, ნადირი და კარგი საძოვარი. ნადირობას და მეჯოგეობას, მეორე მხრივ, აღარ ექნებოდა იმდენი გასავალი, დაეკარგებოდა კიდევ თანდათან მნიშვნელობა მიწის მეურნეობის ზრდასთან ერთად. უფრო და უფრო ნაკლები დრო მოუწოდებოდა ადამიანს ამ მეურნეობის გარეშე, იმდენათ აღარ და-

სკირდებოდა გარეული ნადირის დევნა, შეეძლოჯ ჯოგოც ნელნელა შეემცირობოა. ეს გარემოება კი საშუალებას მისცემდა მეტი დრო გაეტარებია ხოლმე ერთსა და იმავე ადგილზე. მიწადმოქმედების შედეგი იყო, ამნაირათ, ის, რომ ადამიანი თავს ანებებდა მოსიარულე, დაუბინავებელ ცხოვრებას და ერთი ალაგის მობინადრე ხდებოდა. მისი საცხოვრებელი ბინაც შენდებოდა უფრო საგულდაგულოთ, რა თქმა უნდა გაძნელებული და შეუძლებელიც გახდებოდა ამისთანა ბინის გადატან-გადმოტანა. ადამიანი სრულიად ველარ სცილდებოდა თავის ნაქერ მიწას.

არ იყო აუცილებელი, რომ ადამიანს ყველგან გაეგლო მეჯოგეობის საფეხური და მერე გადასულიყო მიწის მეურნეობაზე. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ასე თუ ისე პირვანდელ ნადირობის ხანაშიაც იწყება მცენარეულის დამუშავება. მეორე მხრივ ყველგან არ იყო შესაფერი პირობები მეჯოგეობისთვის. ამერიკაში, მაგალითად, აქაიქ და იშვიათად იყო ასეთი პირობები. მხოლოდ იქ, სადაც ხარის და ცხენის მოშენება იძლეოდა საკმაო გამწვევ ძალას, შესაძლებელი იყო ხვნა-თესვის კულტურა, იქ ეს გამოიღებდა კიდევ დიდ ნაყოფს, საქიროებაზე ზედმეტს.

მცენარეულის მეურნეობით ადამიანმა გააფართოვა საარსებო საშუალებათა ფარგლები. აქაც ისე, როგორც მეჯოგეობის ხანაში, ერთი და იგივე ზომის ადგილი იძლეოდა მეტ საზრდოს, ვიდრე წინეთ. ხორციულში ადამიანი იღებს მასაზრდოებელ საკვებს ერთად, მცენარეულობაში ეს არაა მოცემული ისე თავმოყრილათ. მაგრამ არ ხდება გადამუშავება კუნთებათ, სიმსუქნეთ, რძეთ, ყველაფერი იმისი, რასაც სჭამს ცხოველი. მეტი წილი მისი ნაცოხნი საკვების უნდება შიშივე სხეულის სასიცოცხლო პროცესს, ხმარდება თითონ ცხოველს, ადამიანს კი არა. ადამიანი ფიქრობს თანდათან, რომ პირდაპირ თავის საკვებათ გამოიყენოს მცენარეულობიდან ყველაფერი ის, რაც იკარგება ცხოველის სხეულში. აქედან იწყებს ადამიანი მცენარეულის დამუშავებას იქ, სადაც ეწევა ნადირობას და მეჯოგეობას.

რობერი ასახელებს ერთ ავტორს — ფუასაკს, მოყავს ამონაწერი მისი ნაშრომიდან. ეს ავტორი ანგარიშობს, რომ ერთსა და იმავე ზომის სივრცეზე მიწის მეურნეობით გამოიკვებება 20 — 30-ჯერ მეტი სული, ვიდრე მეჯოგეობით, ხოლო მეჯოგეობა გამოიკვებავს 20-ჯერ მეტს, ვიდრე ნადირობა. ეს, რასაკვირველია, დაახლოებითი გამოანგარიშებაა მხოლოდ. სხვადასხვა პირობებში შეიძლება სულ სხვადასხვანაირი ზომის ნაყოფიერება ექნეს იმავე ნადირობას, ან მეჯოგეობას და მიწის მეურნეობას.



ფრიდრიხ რატკელის ანგარიშით ერთი ათასი კვადრ. კილო- მეტრი გამოაკვებას:	
მონადირე და მეთევზე ხალხში ჩრდილოეთის მწიარ ადგილებზე	სულს 2 — 5
მონადირეებში, გაშლილ ველზე — ბუშმენებში და ავსტრალიელებში	2 — 9
მონადირეებში, რომლებიც იმავე დროს ცოტაოდ- ნათ ეწევიან მიწადმოქმედებასაც, მაგ. ინდოე- ლებში და დაიკებში	170 — 700
მეთევზეებში — ჩრდ. ამერიკა და პოლინეზია	700 — 1770
მომთაბარე მეჯოგეებში	1770
მიწადმომქმედ ხალხებში, რომლებიც ნაწილობრივ ეკიდებიან ხელოსნობასაც — შიდა აფრიკა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზია	* 1700 — 5300
ჩრდილოეთის ინდო-გერმანელ მიწის მომუშავე და მეჯოგე ტომებში ქრისტეს დაბადებამდის	5000 — 12000
ნახევრად მოხეტიალე ტომებში, რომლებიც აქა იქ მისდევნენ მიწის მეურნეობასაც — ტროპიკულ ქვეყნებში	3400 — 8900
მეთევზეებში, რომლებიც ეწევიან მიწადმოქმედე- ბასაც ტროპ. ქვეყნებშივე	8900
ევროპიელ მიწადმომქმედ ხალხში — ახალგაზრდა ქვეყნებში ან ევროპის იმ ადგილებში, სადაც ჰავა არახელსაყრელი თვისებისაა	8900
შუა და სამხრეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც სამშინ- დროვანი მეურნეობაა, სადაც ქალაქური ცხოვ- რებაა უკვე დაწყებული და საკმაოდ არის გან- ვითარებული მეტყეობა, მაგალ. საბერძნეთში 400 — 300 წლ. ქრ. დაბადებამდის, შუა ევ- როპაში 1200 წლიდან 1500-მდე.	17700 — 26600
შუა ევროპის მიწადმომქმ. ქვეყნ. 1600 — 1850 წ.	26000 — 35000
სამხრეთ ევროპის წმინდა მიწადმომქმედ. ქვეყნებში	70000
ახლანდელ საუკეთესო მიწადმომქმედების ოლქებ- ში — ინდოეთში, იავაში, ჩინეთში	177000
ამ ციფრებიდან ნათლად სჩანს რამდენათ აფართოებს მიწის მეურნეობა საარსებო საშუალებათა ფარგლებს.	
აქედანვე ცხადია, რას ნიშნავს, როგორ უნდა გვესმოდეს დასა- ახალგებლათ უვარგისი ქვეყნები. არც არის ამისთანა იმ კუთხეებს	

გარდა ორ პოლიუსზე, სადაც სრულიად შეუძლებელია არსებობა. ადამიანი შესულია და დაბინავებული ყველგან, სადაც კი შეიძლება. სადაც შეუძლებლათ მიგვაჩინა დასახლება, სადაც გვეგულება: თავისუფალი და ყველასთვის ფეხმოსაკიდებელი მიწა, იქ დარჩენილია კიდევ პირვანდელი მეთოდები საარსებო საშუალებათა მოპოვების და ამისთანა მეთოდებზეა იქ შეფარდებული მოსახლეობის რაოდენობა. იმ ადგილების მოსახლეობას აქვს თავისთვის საკმაო საარსებო საშუალებათა წყაროები, ეს ეზღუდება და აკლდება, როცა ვინმე იკავებს მისი ადგილის ამა თუ იმ ნაწილს, რომელიც ვითომ „დაუსახლებელი“ იყო მანამდის, და შიმშილით სიკვდილის საფრთხეშიაც ვარდება ერთი წილი იქაური მოსახლეობის.

პირვანდელი მოსახლეობის ასეთი შევიწროება და ნადირობიდან ან მეჯოგეობიდან მიწის მეურნეობაზე გადავსლა არ არის, რასაკვირველია, ერთი და იგივე ცნება. შეიძლება ითქვას პირიქით, რომ თუ ამისთანა ხალხებს მიეცემოდა ცოდნა, თუ მათ შეაჩვევდნენ მიწის უკეთეს დასამუშავებელ იარაღის ხმარებას, ეს იქნებოდა გაცილებით უფრო ხელსაყრელი გზა საარსებო საშუალებათა ფარგლების გასადიდებლათ, ეს იქნებოდა გაცილებით უფრო გამოსადეგი მთელი კაცობრიობისათვის. ეს შეიძლება ითქვას მიზანშეწონილობის მიხედვით და არა კაცთმოყვარული ქველმოქმედებრივი მოსაზრებებით.

ეჭვს გარეშეა ყოველ შემთხვევაში, რომ მიწადმოქმედებაზე გადასვლა აძლევდა საარსებო საშუალებათა ისეთ ზრდას, როგორც მანამდის არ მოსწრებია კაცობრიობას. მიწადმოქმედების პირობებში თვალსაჩინოთ მრავლდება მოსახლეობა. მუშა აქ აწარმოებს გაცილებით მეტს იმაზე, რაც აუცილებელია მისი არსებობისათვის. ამიტომ მიწის მომუშავეს ურჩებოდა მეტი თავისუფალი დრო, ვიდრე დაუბინავებელ, მოსიარულე ხალხს. ეს თავისუფალი დრო შეეძლო გამოეყენებია სხვა რომელიმე საქმიანობაზე, მარტო საქმლის შოვნა აღარ ექნებოდა მიზნათ. შეეძლო უკვე ეფიქრა ამა თუ იმ გასართობებზე, თავისი ტანსაცმელის ან ბინის მორთვაზე, სამუშაო იარაღის და საოჯახო ნივთების შემშენებაზე. ყოველივე ამგვარ საქმიანობას მოეკიდებოდა ან თითონ, ან დაავალებდა სხვა ვინმეს და გასამრჯელოთ მიცემდა ზედმეტს — მონარჩენს თავის ნაწარმოებ საარსებო საშუალებებიდან ან ნედლეული მასალიდან. ასე შეიძლებოდა წარმოშობილიყო ისეთი კლასის ხალხი, რომელიც თავისუფალი იქნებოდა საქმელზე და ნედლ მასალაზე ზრუნვისაგან. მისი საზრუნავი დარჩებოდა მხოლოდ და მხოლოდ, საწარმოო იარაღის მზადება, საბინაო შენო-

ბების მოწყობა, საოჯახო ნივთების, ავეჯეულობის კეთება, ფართლეულობის წარმოება, ტანსაცმლის კერვა. ამ სამუშაოებზე ეს კლასი გაიწვრთნებოდა. თანდათან დახელოვნდებოდა. მანამდის შრომის განაწილება იყო სქესის და ხნოვანების მიხედვით — ერთი სქესის, ან ხნოვანების ადამიანი აკეთებდა ერთ საქმეს, მეორესი — მეორეს. შერე კი შრომის განაწილება დაიწყო დარგობრივად — ერთი დარგის საქმეს ეკიდებოდა ერთი რიგი მომუშავეების, მეორისას — მეორე, მიწადმოქმედების დარგიდან იყოფოდა ხან ეს ხელობა, ხან ის. ეს გამოყოფა ხდებოდა მიწის მეურნეობის წინსვლაში, რაც უფრო იზრდებოდა ამ მეურნეობის ნაყოფიერება და მრავლდებოდა მოსახლეობა ამა თუ იმ ადგილზე, რაც უფრო მატულობდა მომუშავე, რომელიც ქმნიდა თავის საკურობაზე მეტს და რაც უფრო გროვდებოდა ამის მიხედვით ზედმეტი ნაწარმოები.

ხელოსნებს შეუძლიათ იცხოვრონ მიწის მომუშავეებთან, მაგ., ინდოეთში თითოეულ სოფლის თემს ყავს მოსამსახურესავეთ ერთი მკედელი, ერთი ხუროთმოძღვარი და ერთი მექუჩკლე. რათქმა უნდა, ურთი სოფლის ვიწრო ფარგლებში ხელოსანი ყოველთვის ვერ იშოვნის საკმაო სამუშაოს. ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა უფრო, რომ ისინი დაბინავებულიყვენ ხოლმე სადმე მოსამზრის ადგილას და იქ ემუშავნათ რამოდენიმე სოფლისთვის. რაც უფრო გაუმჯობესება შევიდოდა მიწის დასამუშაველ იარაღ-საშუალებებში, რაც უფრო გამრავლდებოდა, ამის მიხედვით, მიწადმოქმედი ხალხი, მით უფრო მეტი ხელოსანი გამოიყოფოდა და დაესახლებოდა ერთ რომელიმე მოსამზრის ცენტრში. ამისთანა ცენტრი თანდათან გადაიქცეოდა სავაჭრო სოფლად, აქ გაჩნდებოდა ბაზარი, ბაზარზე ექნებოდათ მიმოსვლა მიწის მომუშავეებს ახლო-მახლო სოფლებიდან, ისინი გაიტანდნ თავის ნაწარმოებს ხელოსნების ნაკეთებ ნივთებზე გასაცვლელად. მიწის მომუშავეს ნაწარმოები და ხელოსნის ნაკეთები ამ გაცვლა-გამოცვლაში გადაიქცა საქონლად.

სავაჭრო სოფელი რომელიმე მოსამზარ გზის სიახლოვეს, ვთქვათ, სანაოსნო მდინარეს ნაპირზე შეიძლება გადაიქცეულიყო სააღებ-შიცემო ცენტრად მთელ რიგ მახლობელ სოფლებისთვის და ოლქებისთვისაც. ეს ცენტრი თანდათან გადაიქცეოდა დიდ ქალაქად.

თუ აღებ-შიცემობაში მიწის მომუშავე და ხელოსანი ერთმანეთს ხვდებოდა, თავისუფლად და თანასწორად, თუ არც ერთი არ იყო იძულებული მეორესთვის ტყვილად ემუშავნა, მაშინ, თავისთავად, საქონელი იცვლებოდა თანასწორი ღირებულების საფუძველზე, როგორც შეთანასწორებული ღირის ნაწარმოები, და თითოეული ჭაგანი

გაიცილებოდა თავის ნაპწვილ ფასათ. ამისთანა ურთიერთობის პირობებში არ იქნებოდა ექსპლუატაცია. ორივე, ალებ-მიმცემი მხარე, მიწის მომუშავეც, და ხელოსანიც თანდათან დაწინაურდებოდა ქონებრივად, უფრო და უფრო აიწვედა ორივეს კეთილდღეობა. ამისთანა ურთიერთობა იდეალთა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის. ეს არის იდეალთა პატარა იმავე დროს მყუდრო და სასიამოვნო, მაგრამ ასეთ იდეალს ეწვევა ხოლმე ბევრი სხვა იდეალის ბედი — ის ძალიან იშვიათად ხორციელდება.

მიწის მომუშავე აღწევს კეთილდღეობას, მაგრამ კარგავს ბრძოლის უნარს. მთაბარათ მოხეტიალე და მონადირესთვის თავიდათავი საწარმოო საშუალებაა იარაღი. ის მუდამ იძულებულია დადიოდეს იარაღით. მარტო მონადირე კი არა, მომთაბარე მეჯოგეც ასეთ მდგომარეობაშია.. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო, ვიდრე მონადირე, იძულებულია მუდამ ებრძოდეს მტაცებელ მხეცს, რომელიც უდაბრალებს იმის ჯოგს. მთაბარათ ხეტიალში მეჯოგეს სჭირდება მეტი სითამამე და ღონე, როცა იმორჩილებს ხარს, ან ცხენს, მეტადრე. როცა უღელში აბამს მათ.

მიწის მომუშავე, რამდენათაც გამოდის ნადირობა მეჯოგეობის ფარგლებიდან, ებრძვის მხოლოდ უნებისყოფა მიწას, უიარაღო მტენარეულობას. ცოტ-ცოტათ მოშინაურებული პირუტყვი ნელ-ნელა ეჩვევა მიწის მომუშავეს, იწყებს იმასთან მჭიდრო, პირად, ასე ეტყვით, მეგობრულ ცხოვრებას, თითქო მისი ოჯახის წევრათ იქცევა. მტაცებელი მხეცი აღარ ეცილებს აღამიანს ამ საფეხურზე, პირიქით თანაშემწეთ უხდება თითქო, სპობს მისი ნათესების გამანადგურებელ ღორს, ირემს, გარეულ თხას, კურდღელს. თითონ ამ მიწის მომუშავე აღამიანსაც თავის კარგათ ჩაკეტილ სახლში და იმის ჯოგსაც დღისით საძოვარ მინდორზე, ღამით კარდაგდულ ბოსელში აღარ მოელის საფრთხე მტაცებელ მხეცისაგან. ტყეშიაც ისე საძებარი აღარა აქვს რა მიწის მომუშავეს. რაც წინეთ მისთვის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ბინას წარმოადგენდა, რაც პირვანდელ აღამიანს, ნაწილობრივ მონადირესაც საიმედო თავშესაფარათ მიაჩნდა, მერე გადაიქცა საშიშარ ადგილათ, ზღაპრული მოჩვენებების ბუდეთ. აღამიანი უფრო და უფრო შორდება ტყეს, ამ მტაცებელ მხეცის სამყოფს, და ეს დაშორება ღრმავდება მიწათმოქმედების კულტურასთან ერთად. გლეხი ვეღარ იცლის თავდასაცავ იარაღის საკეთებლათ, აღარც არის ეს მისთვის აუცილებელი. ამისთანა იარაღი ექცევა უკვე გასართობ საგნათ, რომლისგანაც ის ქონებრივ ვერაფერს გამოიჩება.

ასე, მიწადმოქმედების საფეხურზე ადამიანს თანდათან ეკარგებოდა უნარი იარაღის ხმარების, ქონებრივი კეთილდღეობა ემატებოდა, თავდაცვის საქმეში კი უფრო და უფრო უმწეო ხდებოდა. აი, ეს გარემოება იმისთვის ქმნიდა დიდ საფრთხეს. წააწყდებოდა თუ არა ვინმეს, უკეთ შეიარაღებულს, უფრო ბრძოლის უნარიანს, ის მაშინვე მარცხდებოდა, იცარცვებოდა, მონობაში ვარდებოდა. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო ხოლმე სხვადასხვა სახით.

ვთქვათ, ერთმანეთს ესაზღვრებოდა ორი ადგილი, ერთი მთავორიანი, სადაც მიწადმოქმედებას იმდენათ არ უჩანდა პირი, სადაც ფართო ადგილი ექირა ნადირობას და მეჯოგეობას, და სადაც, ამიტომ, ადამიანს შესწევდა მეტი უნარი იარაღის ხმარების. მეორე მხრივ ამის მეზობლათ, ხეობა ნაყოფიერი, მაგრამ საძოვრებს მოკლებული, სადაც ველარ ხეირობს ნადირობა, რადგან. იქ ტყე იჭრება, სადაც მხოლოდ მიწის მუშაობით ირჩენს თავს ადამიანი. მიუდგომელ, უნაყოფო ადგილზე მცხოვრებს ადვილათ მრუედილოდა თავში ის ფიქრი, რომ გაელაშქრა, თავს დასხმოდა ნაყოფიერ ადგილებს და ვაეცარცვა, ადვილათ მოიფიქრებდა იქვე ეშოვნა მუშახელი. მუშებს ის მოიხმარდა მონებათ: საშინაო მუშაობაზე. თუ მონა-ბლომათ მოგროვდებოდა, თუ წარმოებაში უფრო და უფრო მოიმატებდა მონარჩენი, მაშინ მონათმფლობელს შეეძლო სრულიად განთავისუფლებულიყო მიწის მუშაობისაგან და მხოლოდ სამხედრო საქმეს მოკიდებოდა. ომი ხომ იმ დროს ძალიან გამოსარჩენი რამ იყო, ის წარმოების მთავარ საძირკველსაც წარმოადგენდა. მიწის მომუშავეები კი ავასობაში სულ მონებათ იქცეოდნენ.

შესაძლებელია ისიც, რომ უნაყოფო ადგილებიდან ესახლებოდნენ ნაყოფიერ ადგილებში, იქ თავს ირჩენდნენ იმ ზედმეტი ნაწარმებით, რასაც იძლეოდა მიწადმოქმედება, იქაურ მცხოვრებლებს ხელს არ ახლებდნენ, თავიანთ საბინაოებზე სტოვებდნენ, სხვის მეურნეობაში მომუშავეებს მონებათ არ ხდიდნენ. ესენი რჩებოდნენ თავისვე მეურნეობაში, იქცეოდნენ ყმებათ, და თავისი ნაწაროების მონარჩენი ხარკათ უნდა მიეტანათ ხოლმე თავთავის ბატონთან.

შესაძლებელი იქნებოდა აგრათვე, რომ მიწის მომუშავეებს დასჭირდებოდათ დაცვა მტრულათ განწყობილ მეზობლებისაგან. ისინი ამ შემთხვევაში გამოყოფდნენ თავისივე წრიდან ჯგუფს, რომელსაც ყველაზე უფრო გამოაჩნდებოდა იარაღის ტარების უნარი. ეს გამოყოფილი მეომრები ყოველთვის მზათ უნდა ყოფილიყვნენ ომისთვის და საამისოთ მიიღებდნენ ხოლმე ნაწილს მიწისმომუშავეის მონარჩენ ნაჭირნახულევიდან. ადრე იქნებოდა თუ გვიან ეს მეომარი

ნაწილი გაძლიერდებოდა ისე, რომ ყმებათ გაიხდიდა, თავისთვის ამუშავებდა თავისვე მეზობელ-ამხანაგებს.

ასეთივე უნდა ყოფილიყო ევოლიუცია იქ, სადაც ესაზღვრებოდნენ ერთმანეთს მიწის მომუშავეები კი არა, სადაც მომთაბარე ხალხი მეზობლათ იყო მიწადმოქმედ ხალხთან. პირველ მაგალითს ადგილი ქონდა ამერიკაში, მეორეს აზიაში.

იყო, ბოლოს, ისეთი შემთხვევები, როცა საკმაოდ გაღონიერებული ქალაქი თავის ხელქვეით აყენებდა ამა თუ იმ სოფელს. ამნაირი გაბატონება დიდ სავაჭრო ქალაქების ჩვეულებრივი მოვლენა იყო განსაკუთრებით ხმელთა შუა ზღვის ნაპირებზე.

ხშირათ ერთი სახის ბატონობას შეერეოდა მეორნაირი ბატონობის ნიშნები, ან ერთი სახე სულ იცვლებოდა მეორე სახით. ეგვიპტეში, მაგალითად, ერთმანეთის სიახლოვეს შეხვდებოდით აფრიკულ, აზიურ და საბერძნეთულ მეთოდებს ბატონობისას და ექსპლუატაციისას.

რა სახეც არ უნდა მიეღო იმ პროცესს, რომლისგანაც გამოდიოდა მოწინავე არისტოკრატია, შედეგი იყო ერთი და იგივე. შედეგი იყო ის, რომ მიწადმოქმედების საფუძველზე საარსებო საშუალებათა ზრდა სარჩულათ ედებოდა დამონაგებას და ექსპლუატაციას.

ყველაზე ნაკლებათ ეს ხდებოდა იქ, სადაც ბუნება არ იყო ხელშემწყობი და მიწის მუშაობა იძლეოდა მცირე ნაყოფს, სადაც ცხოვრების პირობები ქმნიდა საომარ განწყობილებას, ხოლო გეოგრაფიული მდგომარეობა აძნელებდა გარეშე მტრის შემოსევას. თუ ამისთანა ადგილების მოსახლეობა არ გადიოდა სადმე და არც იქცეოდა გაბატონებულ არისტოკრატიათ, თუ მისი მეზობლები იმდენათ სუსტი არ იყვენ, რომ ხელში ჩაეარდნოდნენ და არც იმდენათ ძლიერი რომ ისინი ხელში ჩაეგდოთ, მაშინ დასახლებული ადგილების მოსახლეობას რჩებოდა მთელი თავისი ნამუშევარი და შეეძლო არ გაეზიარებინა არავისთვის.

პირიქით, რაც უფრო წინ მიდიოდა ნაყოფიერ ადგილებში მიწის მუშაობის კულტურა, მით უფრო მძიმდებოდა ექსპლუატაციის პირობები მიწის მომუშავისათვის. აქედანაა ის თქმა, რომ ხალხი მეტ კეთილდღეობას განიცდის ღარიბ ქვეყნებში და უფრო გაჭირვებულია მდიდარ ადგილებშიო.

საუკეთესოდ ცხოვრობდა მიწის მომუშავე იქ, სადაც მებატონე რჩებოდა ზოფლის უხეშ მემამულეთ და სოფელს არ შორდებოდა, თავის ხელქვეით მომუშავეებთან ერთად იზიარებდნენ ნამუშევრის ზედმეტს. ნადირობა, სიმთვრალე, პირველი ღამის უფლება, ხშირათ

რამოდენიმე ლამისაც, — ეს იყო ამ მებატონეების მთავარი გართობა. მიწის მომუშავე იტანჯებოდა იმ დროს ფიზიკურათ და ზნეობრივათაც, მაგრამ ეკონომიურათ მისი სატანჯველი არ იქნებოდა ისე დიდი, რადგან იმდენათ არ გაუვიდოდა მებატონისთვის სამუშაო დრო და თავისი ნამუშევარი. მებატონის ნადირობა მანებელი იქნებოდა გლეხისთვის, თუ ეს მებატონე მოინდომებდა, რომ მეტი ხალხი ყოლოდა ხოლმე ნადირობის დროს, თუ ის გლეხს უკრძალავდა ნადირობას. მაგრამ იმ საფეხურზე, რომელზედაც შენარჩუნებულა ეს უხეში ზნე-ჩვეულება, ნადირი კიდევ ბლომით მოიძებნებოდა და ბატონის ნადირობა ხელსაყრელი გამოდიოდა ხანდახან გლეხის მეურნეობისთვის.

სხვანაირი იყო საქმის ვითარება, როცა მენამულე-ბატონი ეჩვენებოდა ქალაქის ნაწარმოებს, როცა ის სააღებმიცემო ურთიერთობას იწყებდა ქალაქთან, ან სულ ესახლებოდა ქალაქში. სოფლათ ის ზედმეტი იყო, შეეძლო თავისუფლათ ეცხოვრა ქალაქში, მით უფრო, თუ გადასახადს მაინც მიიღებდა ხოლმე სოფლიდან ფულათ თუ საქონლით. სოფლიდან აღებულს ის გადაცვლიდა ხელოსნის თუ ხელოვნის ნაწარმოებზე, ან ვაჭრების მიერ შემოზიდულ უცხოეთის საქონელზე. აქედან ეძლეოდა სათავე არისტოკრატიულ, სასახლურ ფუფუნებას, რომელმაც არ იცოდა არავითარი ზომა, იზრდებოდა ტენიკის ყოველ ახალ მიღწევაზე, მოსავლიანობის ყოველ გაუმჯობესებაზე. ქალაქის ხელოსნებს ეს მიაჩნდათ ღვთის წყალობათ, „ეს ფუფუნება შემოსავლიანია“ ამბობდენ. სინამდვილეში კი აქ ხელოსნებს შემოსავალი კი არ ემატებოდათ, იცვლებოდა მხოლოდ სახე შემოსავლის. ხელოსნები წინანდებურათ სთვილდენ თავის ნაწარმოებს მიწის მომუშავეს მონარჩენზე, მაგრამ თითონ ეს მომუშავე არ იძენდა ხელოსნისგან ინდუსტრიალურ საქონელს, იძენდა მისი შრომის მიმთვისებელი. ხელოსანი მაშასადამე არ მუშაობდა უშუალოდ მიწის მეურნისათვის, იმას საქმე ჰქონდა ხოლმე ამ მეურნის ექსპლუატატორებთან. აქ ხელოსანი მართალია თავისუფლებით სარგებლობდა, მაგრამ თანასწორუფლებიანი არ იყო. არისტოკრატებს თანდათან ემატებოდათ ძალა და ეწეოდენ ხელოსნის ექსპლოატაციასაც. ხელოსნებს ადებდენ სახელმწიფო გადასახადებს, მათაც ზედმეტი უნდა ემუშავათ არისტოკრატის სასარგებლოთ. რომელიც გამეფებული იყო საზოგადოებაში. გლეხის ექსპლუატაციას ემატებოდა ხელოსნის ექსპლუატაცია.

ასეთი იყო ის გზა, რომლითაც ექსპლუატატორთა ფუფუნება ვითომ „შემოსავლიანი“ გამოდიოდა ხალხისთვის. ეს ფუფუნება

უკან სწევდა თითოულ ხელოსნის მდგომარეობას, ხელოსანი უფრო და უფრო ნაკლებ სარგებლობდა ამ პირობებში თავის შემოსავლით. ფუფუნება ახდენს ისეთ გავლენას, რომ სახე ეცვლება ხელოსნის შრომას, ფართოვდება ხელოსნის საარსებო საშუალებათა ფარგლები, რადგანაც არისტოკრატის თავის ფუფუნებისათვის გლეხის მეურნეობიდან გამოაქვს არა მარტო ზედმეტი — მონარჩენი, ამას ხელოსანი თითონაც ალებდა გაცვლა-გამოცვლას პროცესში. არისტოკრატის გამოაქვს ახლა გლეხის მეურნეობიდან აუცილებელიც, გამოაქვს, რაც გლეხს სჭირდება მოსახმარათ, და ეს აუცილებელიც იცვლება ხელოსნის ნაწარმოებზე.

რაც უფრო მატულობს გლეხის ექსპლოატაცია, მით უფრო ნაკლები საშუალება რჩება ამ გლეხს შეიძინოს ქალაქიდან სამუშაო იარაღები, უფრო და უფრო უძნელდება გაუმჯობესების შეტანა მიწის მუშაობაში. მისი მეურნეობა ამიტომ თანდათან მიდის უკან. გასავეალი, გადასახადი კი არ აკლდება. ქალაქის ხელოსანი ქმნის ახალ ახალ საგნებს ფუფუნებისთვის, ფართოვდება ვაჭრობა ამ საგნებით. იზრდება ამის მიხედვით არისტოკრატის „მოთხოვნილება“, გლეხი კი იძულებულია დღითი დღე ამციროს თავისი მოთხოვნილება. შიშხილობს თითონ და მისი მომუშავე საქონელიც აკლდება საქონელი, რომელიც აუცილებლათ უნდა ყავდეს ყანების დასამუშაველათ, რომელიც იძლევა რძეს მისი ბავშვებისთვის და სასუქს მისი მიწებისათვის. ბავშვები გლახავდებიან, იხოცებიან, უსასუქოთ დატოვებული და ნაკლებ დამუშავებული მიწა ვეღარ იძლევა წინანდელ მოსავალს. სოფლის მოსახლეობა თხელდება, ღარიბდება, სოფელი ემგვანება უდაბნოს, მისი საარსებო საშუალებათა დონე იწევს ძირს მიწიმიწამდე. ამნაირათ კულტურის წინსვლა მიწადმოქმედების საფეხურზე ქმნის ახალ ფაქტორს. ეს ფაქტორი აფერხებს საარსებო საშუალებათა ზრდას, აფარხებს უფრო, ვიდრე ომი, სწევს სულ უკან და უკან. ეს ფაქტორია მუშა მოსახლეობის ექსპლოატაცია.

ამ პროცესში ხანდახან იღუპებოდენ დიდი სახელმწიფოებიც. ამის საუკეთესო მაგალითია რომის მსოფლიო სახელმწიფო იმპერატორების დროისა. მაგრამ ამ პროცესს ადგილი ქონდა არა მარტო უძველეს ხანებში. ასეთივე სურათი იყო მე-18 საუკუნის საფრანგეთში, სანამდის დიდმა რევოლიუციამ ის არ გაანთავისუფლასასახლურ და სასულიერო არისტოკრატის კლანებიდან, სანამდის ამ რევოლიუციის პირობებში იქ ფართო გზა არ გაეხსნა საარსებო საშუალებათა ზრდას. ასეთივე რღვევის პროცესი სასოფლო შე-



ურჩევობაში თან მოსდევდა მერე ურომო ექსპლოატაციას ესპანეთში, ინდოეთში. აქაც მხოლოდ ექსპლოატაციის გაძევებით მოეღება ბოლო შიმშილობას, და გზა მიეცემა საარსებო საშუალებათა ზრდას, აღარ იქნება მაშინ ის მდგომარეობა, რომელსაც ქმნის ვითომ ქარბი მოსახლეობა.

მაგრამ სასოფლო მეურნეობის ამისთანა დაქვეითების ხანებშიაც ბუნების შესწავლას, ტექნიკას დრო გამოშვებით შეიძლება მაინც ექნეს ხოლმე დიდი მიღწევები ქალაქში. სასოფლო მეურნეობას არ ეცლება ნიადაგი საბოლოოთ. თუ აქა იქ ის ნაღვურდება ხოლმე, მერე უპატრონოთ დარჩენილ მიწას ყოველი მხრივ ეტანება ახალი მოსახლეობა, ეტანებიან უმიწა-წყლო მეურნეები, ბინავდება იქ ნახევრათ მოხეტიალე ხალხი და მიწადმოქმედება იწყება ხელახლა. უფრო მალე და ადვილათ ჯანსაღდება სასოფლო მეურნეობა იქ, სადაც დამონავებული ხალხი საკუთარი ძალღონით ამსხვრევს ექსპლოატაციის უღელს, და როცა განთავისუფლებული გლეხი თითონვე იწყებს თავის მეურნეობის აღდგენას.

რა გზითაც არ უნდა გამომთელდეს სასოფლო მეურნეობა დაქვეითების შემდეგ, გამომთელდება ის ხალხის გადასახლებ-გადმოსახლებით, თუ სოციალური გადატრიალებებით, სულერთია, ამ მეურნეობას ფძლევა შემდეგ უფრო მაღალი მეცნიერულ-ტექნიკური საფუძველი. ვიდრე ქონდა წინა ხანებში. გამოცოცხლებული სოფლის მეურნეობა სარგებლობს ყოველივე იმით, რასაც აღწევს მეცნიერება და ტექნიკა ქალაქებში. სასოფლო მეურნეობა ამნაირათ ყოველთვის მიდის წინ. ეს ევოლიუციონური წინსვლა არ ხდება, რასაკვირველია, მიუხრელ-მოუხრელათ. ეს წინსვლა არის ტალღობრივი, ტალღა ეცემა ხანდახან შორს სიძირეზე, ხან იწევს მაღლა. აღის ისეთი ღონის სიმაღლეზე, რომ ძირს იტოვებს წინანადელ უმაღლეს ღონეებსაც.

ასეთი აწევ-დაწევის პირობებში საარსებო საშუალებათა ფარგლები ხან მეტის მეტათ ვიწროვდება, ხან, თითქო ერთი ხელის მოქნევით. მაგალითად, სოციალური გადატრიალების მეოხებით, ფართოთ იშლება. არითმეტიკულ პროგრესიას, ან კლებად ნაყოფიერებას დახარჯული შრომასთან შედარებით, ჩვენ ვხვდებით მიწადმოქმედებაში ისევე იშვიათად, როგორც ნადირობაში და მეჯოგეობაში.

სამაგიეროთ ადამიანის საარსებო საშუალებათა ზრდა მიწადმოქმედებაში, ნადირობაში და მეჯოგეობაშიაც იწევს იმავე საშუალებათა კლებას სხვა ორგანიზმებისათვის. გამონაკლისი შეგვიძლია ვოვლისხმოთ ისეთ გაუმჯობესების დროს, როგორსაც იძლევა,

ეთქვათ, მიწის მორწყვა, როცა ამითი იზრდება ახალი მცენარეულობა იქ, სადაც წინეთ არ ხარობდა.

მიწადმოქმედება. სპობს საძოვარ ადგილებს, საძოვარი იქცევა სახნავ-სათესათ. იქ მოდის უკვე მეტნაწილათ ადამიანის საზრდო. თავისუფალ საძოვრებზე კი იკვებებოდა არა მარტო შინაური ცხოველი. როცა ჯოგი გადადიოდა სხვა საძოვრებზე, დატოვებულ ადგილებს თავისუფლათ ეტანებოდა ნადირი, ხოლო ნადირს იტაცებდა მხეცი, რომელსაც ხანდახან ადამიანის სიფრთხილის მიუხედავად შინაური ჯოგიდანაც, მაგალითად, ცხვარი ან ხბო, ჩაუვარდებოდა ხოლმე კბილებში. როცა სახნავ-სათესი იჭერს საძოვრის ადგილს, მაშინ ყველა ამ ცხოველს, ნადირს აკლდება საარსებო საშუალება, რჩება ის მხოლოდ იმ ცოტარდენ პირუტყვისათვის, რომელსაც იტოვებს მიწის მომუშავე თავის მეურნეობაში.

მიწადმოქმედება, როგორც ვთქვით, ქმნის პირობებს ხელოსნობის განვითარებისათვის. ხელოსანი აძლევს მიწის მუშას არა მარტო ტყის გასაჭრელ იარაღს, ტყის აღება შესაძლებელია ცეცხლის საშუალებითაც. ის აწოდებს ნატყევი ადგილის უკეთეს დასამუშავებელ იარაღსაც.

ამ გით მიწადმოქმედება ქმნის ახალ დასამუშავებელ მიწას ტყის ადგილზე. ეს ორი ის ახალი შესაძლებლობა საარსებო საშუალებათა გადიდების. მეორე მხრივ კი იგივე გარემოება სპობს საარსებო საშუალებებს ტყის ხეებისთვის, ტყე რასაკვირველია იქ ველარ გაიხარებს. ეკარგება ეს საშუალება იმ ცხოველებსაც, რომლებშიც მანამდის არსებობდენ ტყეში, ან ხეზე, ან ხის ძირებში და იკვებებოდენ ტყის ნაყოფით. ასეთივე იყო შედეგი ადამიანის საქმიანობის. როცა ის აშრობდა ქაობებს. მაშინ ილუპებოდა ყველა ის სულდგმული, რომელიც არსებობდა ქაობის სიხლოვეს, ან ფორთხავდა და დაცურავდა ქაობში. ან ილუპებოდა ან გარბოდა იქიდან.

ადამიანის საარსებო საშუალებათა ზრდა, ვიმეორებთ, ყოველთგის იწვევს ამნაირათ იმავე საშუალებათა კლებას სხვა ორგანიზმებისათვის — ცხოველებისთვის, მცენარეებისთვის და ხშირათ თითოჯ ხალხისთვის, როგორც ვხედავთ კოლონიალური პოლიტიკის ხანაში

ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ყოველთვის არყევს და კიდევ არღვევს იმ წონასწორობას, რომელიც გამეფებულია ბუნებაში.

(ქარლ კაუცკი — გამოავლება და განვითარება ბუნებისა და საზოგადოებაში).

## § 8. შრომა — ადამიანთა საზოგადოების საფუძველია

რა არის ყოველგვარი მეურნეული ცხოვრების, კიდევ მეტი, თვით ადამიანთა არსებობის პირველი და აუცილებელი საფუძველი?

ჩვენ უპასუხებთ — შრომა.

ყოველ დროში და განვითარების ყველა საფეხურზე აუცილებელი იყო შრომა. შრომის გარეშე, — სულ ერთია როგორც გინდ, მაღალი ანუ დაბალი საფეხური განვითარებისა ჩვენ არ წარმოვიდგინოთ, — ადამიანის არსებობაზე ფიქრიც შეუძლებელია.

ამავე დროს სულ ერთია, — მდგომარეობს ეს შრომა იმაში, რომ ადამიანი მხოლოდ აგროვებს ნაყოფებს საზოგადოებისათვის, იმავე ნედლის სახით, როგორათაც მას ბუნება იძლევა, ყოველგვარი შემდგომი გადამუშავების გარეშე; თუ იმაში, რომ ადამიანი ბუნების ამ პროდუქტებიდან ხელოვნურად ამზადებს თავისთვის საკვებს — შეწვავს, აშრობს, ხარშავს მას და ა. შ.; ანდა თუ — უფრო მაღალ საფეხურებზე — ნიადაგის დამუშავების საშუალებით უკვე შეგნებულად ხდება ამ პროდუქტთა, მოპოება; ანდა, დასასრულ, იმაში, როგორც ეს ჩვენს მაღალ განვითარებულ წარმოებაშია, რომ ადამიანი იმორჩილებს ბუნებას და აიძულებს მის ძალებს, გამოვიდეს შრომისადმი სისამსახუროდ. სულ ერთია — ყოველთვის, ამ განვითარების ყველა საფეხურებზე იხარჯება შრომა. შრომა საფუძველია ადამიანის პირველყოფილ არსებობისაც კი, რომ არა ვთქვათ რა კულტურის უფრო მაღალ საფეხურებზე.

პირველი შეხედვით; როგორც გინდ ნათელიც არ იყოს ეს აზრი ჩვენთვის, ზოგი ცნობილი პროფესიონალური მეცნიერი მას სავსებით უარყოფს. მაგალითისათვის აქ დავასახელებთ მკვლევარს, რომლის გამოკვლევებმა მარქსისტთა შორისაც მრავალი მომხრეები მოიპოვა, და რომლის საშუალებითაც მართალია ჩვენ ბევრი რამ შევიძინეთ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი თვალსაზრისი და დასკვნები ჩვენ მთლიანად მაინც არ მიგვიღია. ჩვენ მხედველობაში გვყავს ლაიპციგელი პროფესორი კარლ ბიუხერი. თავის წიგნში — „სახალხო მეურნეობის წარმოშობა“ — ამ მკვლევარმა წამოაყენა შემდეგი სავსებით გარკვეული დებულება: „უქვევლია, რომ ადამიანი ხანგრძლივ პერიოდების განმავლობაში უშრომელად არსებობდა“. 1)

\*) K. Bücher: „Die Entstehung der Volkswirtschaft“, გვ. 8; რუსული გამოცემა: К. Бюхер. Возникновение народного хозяйства 1923. გვ. 11; ეს წიგნი უკვე თარგმნილია ქართულად და მალე გამოიცემა.

როგორც სჩანს, აქ, ჩვენი შეხედულების სავსებით საწინააღმდეგო თვალსაზრისია გამოთქმული. ჩვენ ვლაპარაკობთ: ადამიანთა არსებობა საერთოდ წარმოუდგენელია შრომის გერეშე.

შევეცადოთ თვალწინ წარმოვიდგინოთ ის დრო და ურთიერთობანი, როდესაც პროფ. ბ ი უ ხ ე რ ი ს და ზოგიერთ მისი მოწაფის აზრით, ადამიანები უშრომლად ცხოვრობდენ. ამისათვის ჩვენ ადამიანები უნდა წარმოვიდგინოთ მათს პირველყოფილ მდგომარეობაში, როდესაც ისინი არ იცნობდენენ არც მიწათმოქმედებასა და არც მეჯოგეობას. ძლივსლა. იცნობდენ შრომის ზოგიერთ იარაღებს, როდესაც ისინი ძლივ-ძლივობით ათრევდენ თავიანთ ღარიბ არსებობას, მხოლოდ იმის საშუალებით, რასაც მათ ბუნება აწვდიდა. მაგრამ, ჩვენ როდი უნდა წარმოვიდგინოთ იმ დროის ადამიანი ისე, თითქმის ის მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ დათვის ქურქებზე უსაქმურად წამოგდებული არსებობდა.

ცხადია, რომ დედამიწაზე მაშინაც არსებობდენ ბუნებრივი საზრდოს სიუხვით, მეტად მდიდარი ტროპიკული ქვეყნები, სადაც იზრდებოდა პურის ხე, კოკოსისა და ფინიკიის პალმა, სადაც ბლომად იყო ვარგისიანი ფესვეული და მცენარეული საკვები, ასე რომ ადამიანს იქ შეეძლო ეცხოვრა შრომის განსაკუთრებული დაბაძვისა და გაჭირვების გარეშე. მაგრამ ეს მდიდარი ბუნება საარსებო ასპარეზსს ამღევდა არა მხოლოდ ადამიანებს, არამედ ცხოველთა მრავალრიცხოვან სამეფოს, — ხშირად მეტად ზაშიშ მხეცებსაც; ამრიგად ასეთ პირობებში მარტოკა სიცოცხლის დაცვის აუცილებლობაც ადამიანისათვის ერთგვარ საზრუნავს წარმოადგენდა.

მაგრამ მსგავს ტროპიკულ ოლქებსაც ყოველთვის მხოლოდ განსაზღვრული ტერიტორია ეკავათ. ესეც არ იყო, ცნობილია, რომ არა, ამ, ტროპიკულ არამედ მეტად ნაკლებ სტუმართმოყვარე ადგილებში კაცობრიობა ყველაზე უფრო განვითარდა რიცხვობრივად და ამადლდა კულტურულად.

დედამიწის განვითარების ისტორიაში ადგილი ჰქონდა ოთხ, ე. წ. დიდ ყინულოვან პერიოდს. ესენი ძლიერ დიდხანს გრძელდობოდენ და მცენარეთა და ცხოველთა მრავალი სახე დაღუპეს. ხოლო ადამიანი იმ ყინულოვან პერიოდში უკვე არსებობდა და ცხოვრობდა იმ მეტად არახელსაყრელ და ცუდ დროში. და სწორეთ ამ ეპოქაში მან მიიღწია სულიერი ცხოვრების ზოგიერთ სიმადლეებს, და მას განუვითარდა გარკვეული ესტეტიური მოთხოვნილებანი, რაც საკუთარი სხეულის მორთვა-მოკაზმვაში, მღვიმეთა კედლების ცხოველების სურათებით

მოხატვაში, და თავისი იარაღებისა და შრომის ხელსაწყოთა მხატვრულ ამოქრა-მოჩუქურთმებაში გამოიხატა.

და, განა, ასეთ არახელსაყრელ პირობებში ბუნებისა შეეძლო ადამიანს ეცხოვრა და კულტურულადაც განვითარებულიყო შრომის და ისიც მძიმე შრომის გარეშე? ჩვენ რომ ასეთი შეხედულება დაუშვათ, ის გამოვა ყოველივე იმის საწინააღმდეგო რაც კი მეცნიერებამ იცის დედამიწის თვისებებისა და პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების გარშემო. მაგრამ განა შესაძლებელია მეცნიერებამ საერთოდ რაიმე იცოდეს და განგვიმარტოს იმ დროებისა და მდგომარეობათა შესახებ, რომლებიც ასეული საუკუნოებითაა ჩვენგან დაშორებული და რომელთა შესახებ არა გვაქვს არავითარი დამწერლობითი ძეგლები?

არსებობს უმთავრესად ორი წყარო, საიდანაც მეცნიერებას ამოაქვს თავისი ცოდნა პირველყოფილი მდგომარეობის შესახებ. პირველ რიგში, აქ სცენაზე, გამოდს ეთნოლოგია ანუ ხალხთმცოდნეობა; ის მეცნიერებად გადაიქცა მას შემდეგ რაც, — კაპიტალიზმის წარმოშობიდან, მისი მსოფლიო ვაჭრობითა და კოლონიალური პოლიტიკით, — ევროპიელი ხალხები მოჰყვენ ურთიერთობაში აქამდე უცნობ, მრავალ რიცხოვან, პირველყოფილ ხალხებთან. ამ დროიდან ახლად აღმოჩენილ ქვეყნებს მიაწყდენ ვაჭრები, მისიონერები, მოხელეები და მკვლევარი მოგზაურები, — ხშირად როგორც კაპიტალიზმის ელჩები. — რომელთა მიერ მრავალ წელთა განმავლობაში შეგროვილ იქნა დიდი მასალა პირველყოფილ ხალხთა შესახებ; რომელთაც ჯერ კიდევ ახლოს არ მიჰკარებია თანამედროვე ცივილიზაცია და რომელნიც დღესაც ნადირობითა და მეთევზეობით, ჟესვებისა და ხეხილის მოგროვებით, და პრიმიტიული მიწათმოქმედებითა და მეჯოგეობით ცხოვრობენ.

ეთნოლოგიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შეაგროვოს ეს დაფანტული მასალა, შეამოწმოს, დააღაგოს ის და აგრეთვე აწარმოოს რა დამოუკიდებელი კვლევა-ძიებანი, მით წინ წასწიოს ეს საქმე. ამ გზამ ეთნოლოგია მიიყვანა იქამდე, რომ მან დაადგინა კაცობრიობის განვითარების საფეხურები.

ამაში მას ხელს უწყობს არქეოლოგია (მეცნიერება პრეისტორიულ ცხოვრებაზე). რომელიც იკვლევს უძველეს, ჰალარით მოსილ დროებას და ამისთვის ეძიებს პრეისტორიულ საგნებს, რომელნიც ხშირად მრავალ ათას წლებს ითვლიან, ესენია: ჩონჩხები, შრომის იარაღები, საოჯახო მოწყობილებანი და სხვა მსგავსი კულტურული ძეგლები; ის აგრეთვე იკვლევს შვეიცარიის ტბების ბოძე-

ბიან ნაგებობათა და უძველეს ნაგებობათა სხვა ნაშთებს, რომლებიც დედამიწის სხვადასხვა ნაწილებში მოიპოვებინ.

ეთნოლოგია იკვლევს ჯერ კიდევ არსებულ პირველყოფილ ხალხთა ცხოვრებას, ხოლო არქეოლოგია კი უკვე გადაშენებულ პირველყოფილ ხალხთა ცხოვრების პირობებს, ამ ორივე მეცნიერების კვლევა-ძიებათა შედეგების დაპირისპირებიდან ვლებულობთ პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრების სურათს. ამ სურათის ცალკე კონტურებს არა აქვთ ისეთი საარწმუნო ხასიათი, როგორც დამწერლობით ძეგლებს, მაგრამ საერთოდ ალებულ მთლიან სურათს შეუძლია გამოაცხადოს სიმართლესთან უაღრესად მსგავსების პრეტენზია.

დაწვრილებითაა გამოკვლეული მრავალ, დღეს კიდევ არსებულ ველურ ხალხთა ცხოვრება. და მათს შესახებ იგივე პროფესორი კ. ბ ი უ ხ ე რ ი უკვე დასახელებულ წიგნში გვაძლევს მდიდარი საღებავებით დახატულ სურათს: „პატარ-პატარა ჯგუფებად, მსგავსად ცხოველთა ჯოგისა, საზრდოს ძებნაში დაძრწიან ისინი აქეთ-იქეთ, ღამეს ათევენ გამოქვამულში ან ხის ქვეშ, რამდენსამე წუთში სახელდახელოთ წქენლისაგან გაკეთებულ საფარს უკან და ხშირად კიდევ ნაჩქარევად ამოთხრილ ორმოში; საზრდოობენ უმთავრესად ხის ნაყოფითა და ფესვეულით, თანაც სქამენ ყოველგვარ ცხოველს, რომელიც კი ხელში მოჰხდებათ: ლოკოკინის, ქიისა და ქიანქველის გამოუკლებლად. მამაკაცები ჩვეულებრივ შეიარაღებული არიან მხოლოდ შვილდ-ისრითა ანდა სასროლი ჯოხით; ქალები კი, როგორც მთავარი იარაღს, ატარებენ სათხრელ ჯოხებს, ხის წვერ წამახვილებულ ნაქერს, რასაც ხმარობენ ფესვეულთა სათხრელად. მხდალნი, როცა უფრო მაღლა მდგომ ტომებს ხვდებიან, ხშირად ვერაგნი და ეშმაკნი, ისინი ეწევიან მოხეტიალურ არსებობას, რომელშიაც თუმცა სხეული აღწევს მოქნილობას და ხერხიანობას, მაგრამ ტენიკური ხელოვნება კი ვითარდება განსაკუთრებით ნელა და ცალმხირვად. ამ ტომთა უმრავლესობამ არც კი იცის მეჭურჭლეობა და ლითონის გადამუშავება — საზოგადოთ. ისინი ნაკლებ ხმარობენ აგრეთვე ხის ქერქსა, ქვასა და ძვალსაც. ჩვენ მათში ვერსად ვერ ვნახულობთ საოჯახო მოწყობილობათა და იარაღების მარაგს, რისი შექმნაც შეუძლებელია მოხეტიალური ცხოვრების დროს, რაც წარმოადგენს სხვას არაფერს, თუ არა საზრდოს განუწყვეტელ ძიებას.

ამგვარად ეხატება პროფ. კ. ბიუხერს აგრეთვე ცხოვრებაც პირველყოფილი ადამიანებისა.

მაგრამ აქ ჩვენ, ამ წუთშივე გვეხატება ასეთი მოსაზრება: შეუძლებელია დაშვება იმისა, რომ ადამიანმა ასეთი უმნიშვნელო იარაღე-

ბით რამდენიმე წუთში მოახერხოს ღამის გასათევე ორმოს ამოთხრა, ან წკნელისაგან თავშესაფარის მოღობვა, ან ხის ქერქის, ქვისა და ძვლების სხვადასხვა ნივთთა კეთება და შვილდ-ისრის გამოყენებაც— და ყოველივე ამაზე მას არავითარი შრომა არ დაეხარჯოს.

მოცემულ საფეხურზე ყოველივე ეს ადამიანისათვის მეტად მნიშვნელოვანი სამუშაო უნდა ყოვილიყო. მაგრამ ამავე დროს ეს ადამიანები შეიარაღებული იყვნენ სათხრელი და სასროლი ჯოხებითა და შვილდ-ისრით. ეხლა წარმოიდგინეთ ისეთი ხალხი, რომელთაც ჯერ კიდევ არა იცოდნენ რა, შედარებით ისეთ რთულ დამხმარე იარაღებზე როგორიც არის შვილდი და ისარი!

ამხ. ჰაინრიხ ჰარპრუდერი თავის წიგნში — „მეურნეული ცხოვრების წარმოშობა და განვითარება“<sup>1)</sup> გადმოგვცემს რა მოკლეთ პროფ. ბიუნერის შეხედულებებს პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრებაზე, გვიხატავს სურათს, რომელიც შეიცავს მრავალ სარწმუნო ნიშნებს:

„ხან მარტოდ-მარტო, ხან კიდევ ადვილად დაშლის უნარიან მცირე ჯგუფებად, ხანაც მშვიერ-მწყურვალნი და ხან კიდევ ძალზე მძიპარი დაეხეტება ტყე-ღრეში, ეძებს ფესვიულს, მცენარეებს და ხილს, ბუზებსა და ქიებს, მკვდარ და ნახევრად დამპალ ცხოველთა ლეშს<sup>2)</sup>. და სჰამს ის ყველაფერს რასაც კი ჰპოულობს. მთელი მისი მოქმედება მიმართულია არა წარმოებისაკენ, არამედ მხოლოდ მოპოებისაკენ (მითვისებისაკენ); მისი მოქმედება პირველ ყოვლისა წარმოადგენს დატაცებას, მითვისებას მოხმარებისა და სიამოვნების იმ საგნებისა, რომელთაც მას ბუნება აწვდის ასე თუ ისე მოხმარებისათვის მზამზარეულ ფორმებში, — მცენარეთა თუ ცხოველთა მიცემულ ნივთიერებათა სახით“.

ეს სურათი საერთოდ თითქმის სისწორით გამოხატავს ცხოვრების პირობებს პირველყოფილი ადამიანებისა, რომელნიც ჯერ კიდევ არ მისულან ცეცხლის გამოყენებამდე, რომელთათვისაც თავწამახვილებული ქვა წარმოადგენს პირველ დამხმარე იარაღს არსებობისათვის ბრძოლაში. და განა შეიძლება რომ ამგვარ ძიებას და ჯაფას, ბრძოლას და ჭიდილს ადამიანისას შრომა არ დავარქვათ? ჩვენ ვერ გავიზიარებთ შეხედულებას, რომ ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში

1) „Entstehung und Entwicklung des Wirtschaftslebens“; აჩის რუსული თარგმანი: „Возникновение и развитие хозяйства“ 1924. М.—Г., გ. ადო-რატსკის რედაქციით.

2) თავის ზემოთხსენებულ წიგნში, ბიუნერიც აღნიშნავს ველურ ხალხთა შორის დამპალ ხორცეულისადმი მიდრეკილებას.

ოითქოს უშრომლად არსებობდა. პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებაც ემყარებოდა შრომას. თუნდაც ეს იმაში მდგომარეობდეს რომ ის სთხრიდა საკმელად ვარგებულ ჯესვეულს, აგროვებდა თესლებსა და ბალახებს, ჰკრეფდა ან ქვის მორტყმით ძირს ჰყრიდა ხიდან ნაყოფებს; ამავე დროს ადამიანი თავს იცავდა მტაცებელ მხეტთა ბრკყალებისა და კბილებისაგან; თავს იცავდა ის აგრეთვე, გარეშე, მტრულად განწყობილ ადამიანთაგანაც და ამრიგად სიცოცხლეს ინარჩუნებდა <sup>1)</sup>.

შეიძლება გვკითხონ: თუ, რომ, ეს ველური მხეტური ძიება საზრდოს მოსაპოვებლად და ბრძოლა არსებობისათვის შესაძლებელია მიჩნეულ იქნას როგორც შრომა, მაშინ თავისუფლად ბუნების წიაღში მონაგარდე ცხოველიც ხომ ეწევა ასეთ შრომას. რადგან ცხოველის არსებობაც ხომ საზრდოს ძებნაში მდგომარეობს. ხომ არიან კიდევაც ისეთი ცხოველები რომლებიც საკვებს ეძებენ არა მარტო მომენტალურად სიმშილის მოსაკლავად, არამედ წინდაწინ ზრუნავენ მომავლისათვის, ცხოველები რომლებიც აგროვებენ საზამთროთ საზრდოს შარავს, ანდა ინახავენ მოპოებული საკვების ნარჩენს, რათა ამით მომავალში მოიკლან სიმშილი; ეს ცხოველები ამგვარად ხომ იჩენენ ერთგვარ წინასწარ მზრუნველობას. ასე იქცევა, მაგალითად, ძაღლი, რომელიც სიმშილის დაკმაყოფილების შემდეგ მარხავს მორჩენილ ძვლებს, რათა შემდეგში კვლავ ამოიღოს და შესჭამოს, გაღრღნას ისინი, ტყეში მელა, იმავე მიზნით, საუზმის შემდეგ დარჩენილ ნასუფრალს თოვლში მალავს. კვერნა საკუქნაოს აწყობს თავისი ბინის გვერდით, რაშიაც პურეულის მნიშვნელოვან მარავს ინახავს ის. უფრო მცირეოდენი ზომით ამასვე აკეთებს მინდვრის თავიცი. შემდეგ მაგალითს წარმოადგენს ფუტკრები და ბზიკები, რომელნიც თავლს აგროვებენ, ციყეები, რომელნიც ისე უყურებენ რკოს როგორც საზრდოს, რისთვისაც ჯერ კიდევ შემოდგომამდე თავს უყრიან ერთად მის დიდ რაოდენობას. თხუნელას შესახებაც გავგიგონია, რომ ის ზამთრისათვის მარავს აგროვებს ცხოველთა სამეფოდანაც. მნიშვნელოვანი რაოდენობა სხვა ცხოველებისა აშენებენ საცხოვრებელ ბინებს თავიანთთვის და შეილების გასამრავლებლად. მაგალითად,

<sup>1)</sup> პროფ. კ. ბ ი უ ხ ე რ ი ს ზემოდმოყვანილი შეხედულების, — რომ თითქოს პირვანდელ საფეხურზე განვითარების ადამიანი უშრომლად ცხოვრობდა, — შესანიშნავი კრიტიკა მოგვცა გ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ე მ ა. თავის წერილებში „Письма нэв адреса“ ((თხზულებათა კრებული. ტ. XIV), განსაკუთრებით მეორე და მესამე წერილში (გვ. 36 — 73); სამწუხაროდ. ამ წერილების დაბეჭდვა წინამდებარე კრესტობატიაში ვერ მოხერხდა — სიმოკლისათვის.



ჩიტები, აგრეთვე ზოგიერთი თევზები, რომელნიც საბუღარს იკეთებენ; თხუნელა, თაგვი, ბაქია, წავი, მელა, თახვი, რომელნიც თავისთვის სოროებს სთხრიან. სხვები საზრდოს საშონელად და ბინის მოსაწყობად დიდ ჯგუფებში ერთიანდებიან. წაეები, რომელნიც ხის ტოტებითა და წკნელებით აგუბებენ მდინარეს, რათა თავისი საბუღარი დაიცივან ნაკადისაგან და იქ სადგომი იქონიონ, ერთდებიან მომუშავე ჯგუფში, საერთო ძალით წააქცევენ ხეს, რომელიც მიაქვთ წყალში დანიშნულ ადგილზე, რომ იქ თავშესაფარი ააგონ. ფუტკრებისა, ქიანქველებისა და ტერმიტების შესახებ რომელნიც ჰქმნიან საცხოვრებელ და სამუშაო საზოგადოებებს, ჩვენ უკვე უფრო ხშირად გვსმენია, რომ მათი დაჯგუფებანი კომუნისტური სახელმწიფოს ნიმუშს წარმოადგენენ, რომელიც ყველას უნიშნავს განსაზღვრულ სამუშაოს და მისთვის შესაფერ საზრდოთი უზრუნველყოფს. და როცა ჩვენ ცალკე მომენტების შესახებ გვესმის, რომ ისინი საქმელის საშონელად ან თავის დასაცავად ჯოხს ან ქვას ხმარობენ — ჩვენ წინაშე არის დასაწყისი ცხოველთა მიერ იარაღის ხმარებისა.

აქ კი კითხვა იბადება: არის თუ არა ის მოქმედება, რომლის საშუალებითაც ცხოველი უზრუნველყოფს თავის არსებობას იმ მოღვაწეობის მსგავსი, რომელსაც ჩვენ უწოდებთ უღაბლეს საფეხურზე მდგარ ადამიანის შრომას, თუ აქ არის რაიმე განსხვავება?

ჩვენ უპასუხებთ: რასაკვირველია მათს შორის არსებობს განსხვავება; და კარლ მარქსი „კაპიტალში“ შემდეგნაირად გამოხატავს ამ განსხვავებას:

„ობობა ისეთ ოპერაციებს ასრულებს, რომელიც ვეიქრისას წააგავს და ფუტკარი ისეთ ვეიქის უჯრედებს აკეთებს, რომელიც არა ერთ ხუროთმოძღვარს შემურდება. მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც იმთავითვე უმდარეს ხუროთმოძღვარს საუკეთესო ფუტკარზე მაღლა აყენებს: ესაა ის, რომ ადამიანი, ვიდრე ფიქის უჯრედებს გააკეთებდეს, ჯერ თავის თავში აკეთებს მას“<sup>1)</sup>).

მაშასადამე ადამიანს ეს მუშაობა წარმოდგენილი აქვს თავში; ის გონებაში ადგენს ამოცანას; რომელიც მუშაობაში მან მიზანშეწონილად უნდა განახორციელოს; ის ამ მუშაობას შეგნებულად ასრულებს.

ამის დამტკიცებას ჩვენ ვპოულობთ ადამიანის მიერ იარაღების დამზადებისა და მის გაუმჯობესების უნარში. როგორც არ უნდა გაგვაკვიროს ჩვენ იმ დახელოვნებამ, რომლითაც აკეთებს ობობა თავის ქსელს, ან აბრეშუმის ქია ართავს თავის ძაფს და იმ ხელოვნებამ,

<sup>1)</sup> „კაპიტალი“ ტ. I (ქართ. გამოც.), გვ. 139.

რომელთაც ფუტკრები და წაგები თავიანთ სადგომს აგებენ, ყველა ეს ცხოველები იმითი დგანან პირველყოფილ ადამიანზე დაბლა, რომ ისინი თავიანთ საქმეს მხოლოდ მუდამ სხეულის ორგანოებით ასრულებენ და რომ იმათ მუდამ ერთი და იგივე საქმის გაკეთება შეუძლიათ. ობობას არ შეუძლია ფუტკრის ფიჭი ააგოს, ხოლო ფუტკარს — ობობას ქსელი გააკეთოს. ადამიანს კი შეუძლია იყოს დამრთავი, ჯეიქარი, ხუროთმოძღვარი, მას შეუძლია ყველაფერი იყოს. ადამიანმა ისწავლა ყოველი ჯურის სამუშაოთა საწარმოებლად საჭირო იარაღების კეთება. ისეთ სულიერ სიმალღემდე, რომელიც მას ცხოველზე ბალა აყენებს, რომელმაც შეაძლებინა მას თავისი სხეულის ორგანოები უფრო მეტად განავითაროს, ვინემ ეს ბუნებისაგან მინიჭებულია, — არც ერთ სხვა ქმნილებას გარდა ადამიანისა არ მიუღწევია.

აქამდე არ მიუღწევია თვით იმ ცხოველებსაც კი, რომელთაც ჯოხისა და ქვის ხმარებამდე მივიდნენ. მაიმუნი დღესაც ისე ისვრის ქვასა და ჯოხს, როგორც ოდესღაც მისი წინაპრები ისროდენ — თავიანთი ცხოველური შეგნებით. მაგრამ არც ერთი მაიმუნის ხელს არ გაუკეთებია სულ ტლანქი ქვის ცულიც კი, არასოდეს არ მიუღწევია მაიმუნს ცეცხლის გაჩენისა ანუ გამოყენებამდე. უპირატესად განვითარებული ცხოველი აღწევს მხოლოდ იმას რასაც ის მის ირგვლივ კპოულობს და სწავლობს, რისაც ხმარება შეუძლია იარაღად ბუნებრივ მდგომარეობაში. ადამიანმა კი ისწავლა იარაღის გაკეთება, მან შესძლო ის მოეფიქრებინა თავში და გაეკეთებინა ხელებით. ამიტომ დიდმა ამერიკელმა მეცნიერმა ბენიამენ ფრანკლინმა ადამიანს უწოდა „იარაღის მკეთებელი ცხოველი“, და კარლ მარქსმაც გაავლო ეს განმასხვავებელი ხაზი:

„შრომის საშუალებათა მოხმარება და შექმნა, თუმცა მათი ჩანასახი ზოგი გვარის ცხოველებს უკვე მოეპოებათ, სპეციალურად ადამიანის შრომის პროცესს ახასიათებს“<sup>1)</sup>. ამისავე მსგავსად კ. კაუცკი თავის წიგნში — „ეთიკა და ისტორიის მატერიალისტური გაგება“<sup>2)</sup>, — სწერს:

„საწარმოო საშუალებათა წარმოებით იწყება ცხოველ-ადამიანის ადამიანად გადაქცევა“.

ამრიგად, ადამიანი, უბრალო მაძიებლიდან იმისა რაც არის, იქცევა გამომგონებლად.

<sup>1)</sup> „კაპიტალი“ ტ. 1, გვ. 140.

<sup>2)</sup> არის ქართული თარგმანი.

ეს გადამწყვეტი განსხვავება წარმოიშვა განვითარების მრავალ პერიოდთა განმავლობაში. ხანგრძლივ დროთა ვითარებაში ეს მხეცა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გადაქცეულიყო ადამიანად, იძულებული იყო ცხოვრების საზრდო მოეპოებია ფრჩხილებითა და კბილებით, — როგორც ყველა სხვა ცხოველი. ჯერ კიდევ დიდხანს ეს ქმნილება, იმპულსითურად ეტანებოდა იმ დამხმარე საშუალებებს, რომელსაც მას გარშემო ბუნება იძლეოდა! ქვებს, ძვლებს, რქებს, გახრწნილ მხეცთა კბილებს, წვეტიან ხამანწყებს, რომელსაც ზღვა იძლეოდა, ტოტებს, რომელსაც ის ხიდან ტეხდა. ძლიერ ნელის თანდათანობით მან ისწავლა სახის შეცვლა ამ საგნებისათვის, მათი მიზანშეწონილი გადამუშავება — იარაღებათ გადაქცევა.

თავდაპირველად ეს გადამუშავება იმაში მდგომარეობდა, რომ ბუნებით მოხერხებული მოყვანილობის ქვას, ნაპირების ჩამოტეხილ ხელში უფრო ადვილად დასაკავებლად აქცევდნენ. ამისათვის ყველაზე უკეთ გამოსადეგი იყო კაჟი, რომელიც მშვენივრად იხეთქება. ასეთი ქვები, რომელთაც აწინააღმდეგებელი პირველყოფილი გონიერი არსების მიერ გადამუშავებისა, დედამიწის ყველა კუთხეში გვხვდება.

ამასთანავე ერთად უძველესი დროიდან იხმარებოდა აგრეთვე ხეც, თუნდაც მხოლოდ როგორც ჩამოტეხილი ტოტი. შემდეგ კი ისწავლეს ხისა და ქვის ერთმანეთთან დაკავშირება; პირველად ხის ცილისა და ცხოველთა ძარღვების საშუალებით ერთმანეთზე მიმაგრებით, შემდეგ კი ქვისათვის ყურის გაკეთების, გახვრეტის გზით. იმის შესახებ თუ როგორ ხერხდებოდა ყოველივე ეს ჩვენ გავიგეთ იმ ხალხებისაგან, რომელნიც დღესაც იმყოფებიან ქვის ხანის საუენხურზე. ქვის ცული გადაიქცა პირველყოფილი ადამიანის „უნივერსალურ იარაღად“, რომელიც მას ყოველგვარ შესაძლებელი მიზნისათვის ემსახურებოდა, რომელიც მისთვის ერთსა და იმავე დროს იყო როგორც საომარი ისე შრომის იარაღიც. სანამ მხეცა-ადამიანი საკუთარი ხელით იარაღის დამზადებამდე მიაღწევდა, მას არ შეეძლო თავი დაეღწია მხეცური მდგომარეობისათვის. პირველად, მას შემდეგ რაც მან იარაღის კეთება დაიწყო, ამაღლდა ის მხეცზე და იწყო უფრო და უფრო მაღლა სვლა, რაც სისტემატიურად აუმჯობესებდა მის არსებობას.

მაგრამ ამასთან ერთად არსებობისათვის ბრძოლაში ის თვითონ უნდა გამოცვლილიყო: მას განუვითარდა ტვინი, რამაც ის გონებრივად ცხოველზე მაღლა დააყენა, შეუმუშავდა გამართული (პორაზონტალური) სიარული და ადამიანური ხელო, ეს საოცარი „იარაღთა იარაღი“, როგორც მას არისტოტელი უწოდებდა.

ვილაცამ, ერთხელ, ადამიანის კულტურის ისტორია განსაზღვრა მოკლედ, როგორც ადამიანის ტვინისა და ხელის ისტორია... იმ ხელმა, რომელმაც შორეულ წარსულში კაეისაგან გამოჰკვეთა ტული და დანა, რომელმაც ბუნებრივ მღვიმეთა კედლები მხეცების სურათებით გაამშვენა, იმ ხელმა შემდეგში შექმნა მილოსის ვენა და დახატა სიკსტინის მადონა, ააშენა ქალაქები და სასახლეები, მოაწყო ვეებერ-თელა გემები და რკინის გზები და დასასრულ ააგო აგრეთვე საფრენი აპარატები და საპაერო ხომალდები რომელთაც ადამიანი მართავს“.

ამ განსაცვიფრებელმა ძალამ ადამიანის ხელისა, რომელიც ჰქმნის და ანგრევს, აწარმოებს იარაღებს აღმშენებლობისა და მოწყობილობათა და იქვე — საშინელი ნგრევის იარაღებსაც — ეს ძალა პირველად მოველინა მაშინ, როდესაც პირველყოფილ ადამიანმა გასიპა (გააშანდაკა) თავისი პირველი ქვა, როგორც დამხმარე იარაღი ნადირობაში. განვითარების პროცესში, რომელშიაც ადამიან-მხეცმა შესძლო ასეთი საქმის გაკეთება, იმავე დროს იყო გადაამიანებისაკენ მიმართული განვითარების პროცესიც. პრეისტორიული ადამიანი ადამიანდებოდა იმისდა მიხედვით, რამდენადაც ის სულ უფრო და უფრო მიდიოდა იქამდე, რომ თავის საზრდოს ჰპოულობდა არა როგორც ცხოველი, არამედ საკუთარი ხელით გაკეთებული იარაღის შემწეობით.

ამრიგად შრომა იყო არა მარტო პირველი უმთავრესი პირობა პირველყოფილი ადამიანის არსებობისათვის, არამედ კიდევ მეტიც: მხოლოდ შრომამ პირველმა აამაღლა ადამიანი ცხოველებზე; და ადამიანის განვითარებისა და წინსვლის ყველა მხარეები ჩვენ უნდა მივაწეროთ შრომის წარმატებას, ანუ როგორც დღეს ვლაპარაკობთ ტენიკურ წინსვლას, ნადირობას მოჰყვა მეჯოგეობა და მიწათმოქმედება, ოჯახში რთვა და ქსოვა, მეჭურჭლეობა და ლითონთა გადამუშავება, ვაჭრობა და განვითარებული წარმოება. ამას ემატება ხელოვნება და მეცნიერება. ყოველი ნაბიჯი, წინ ჰბადებდა ცვლილებებს და აუცილებლობით იწვევდა შემდეგ ნაბიჯებს. შრომა ხდებოდა უფრო სრულქმნილი და მრავალფეროვანი, და მასთანავე ერთად — ადამიანთა საზოგადოებაც. ველურ მოხეტიალე ურდოებიდან წარმოიშვენ ურდოთა კავშირები და ტომები, ტომებიდან კი ერები და სახელმწიფოები. ყოველგვარი საფუძვლიანი ცვლილებანი შრომაში, სცვლიდა სახეს, შემადგენლობას და ცხოვრების წყობას ადამიანთა საზოგადოებისა. შრომის ეს საფუძვლიანი ცვლილებები კი უფრო ხშირად ერთმეორეს მისდევს. უკანასკნელ საუკუნეთა განმავლობაში საზოგადოებრივი ურთიერთობანი მსოფლიოში უფრო მალი-მალ იცვლება, ვინე

წინად ათასი წლების განმავლობაში. მაგრამ შრომა, შეგნებულად წარმოებული ადამიანური შრომა ყველგან იყო ამოსავალი წერტილი; ეს არის კლდე, რომელზედაც განვითარდა წარსული, — დაყარებულა აწმყო და — შენდება მომავალი!

რალა გვევლინებოდა მამოძრავებელ ძალად, რომელიც ადამიანებს მიერეკებოდა შრომის სრულყოფისაკენ?

ჩვენ ვუპასუხებთ: ცხოვრების მოზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება!

ასეთ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ შრომა უფრო ნაყოფიერი შეიქნებოდა, რაიც შრომის იარაღებისა და მუშაობის წესის გაუმჯობესებით უნდა მომხდარიყო. მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობა და მათი ზრდა სულ ადრინდელ დროიდან დღემდე წარმოადგენს ტენიკური პროგრესის მამოძრავებელ ძალას.

როგორღა ვხსნით ჩვენ, ახლა, მოთხოვნილებათა ზრდას?

ეს ძლიერ ნათელი გასაგები განდება, როცა ჩვენ აშკარად წარმოვიდგენთ, თუ დღეს, ჩვენს დროში როგორ ვითარდება ადამიანის მოთხოვნილებები: ისინი ვითარდებიან ერთიანი საზოგადოებრივი ცხოვრების წყალობით!

ჩვენი დღევანდელი მოთხოვნილებები, მოთხოვნილებანი თვითოული ჩვენგანისა ყოველთვის იბადება საზოგადოების წილში. ეს როგორც დღესაა, ასევე იყო ყოველთვის.

მაგალითად, ადრინდელ საშუალო საუკუნოებში საცხოვრებელი სახლები საერთოდ იყო უშნო, დაბალი და ბნელი. არსად არ იყო ჩვენებური ბუხარი, საკვამლე მიღები, ლამფები, არსად არ იყო შუშის ფანჯრები, ღუმელის მაგიერობას ეწეოდა ქოთნის მსგავსი მაყალო, ღია კერა ან დაბალი პურის საცობი. კვამლი გადიოდა პირდაპირ ფანჯრებიდან ანდა სახურავის საკვბურიდან. გასანათებლად ხმარობდნენ კვარს, ანდა ცხოველის ქონით გავსებულ ქურკელს, რომელშიაც ჩაყოლებული იყო მატყლის ძაფისაგან გაკეთებული პატრუქი. შუშის ფანჯრები გაჩნდა — და ისიც პირველად ქალაქებში — მხოლოდ მე-XV საუკუნის შემდეგ.

რატომღა, რომ ჩვენი დღევანდელი მოთხოვნილებანი, რომელსაც ჩვენ წამოვაცენებთ ხოლმე ბინისა და მოწყობილი ოთახების მიმართ ასე მალღა სდგას დღეს?

იმიტომ, რომ საზოგადოებაში განვითარდა ბინისადმი უფრო მაღალი მოთხოვნილება, რამაც იმოქმედა როგორც ყველა ადამიანზე ისე ჩვენზედაც.

საზოგადოების ზეგავლენით განუვითარდა თანამედროვე ადამიანს ის მოთხოვნები, რომელიც წინა დროს უცნობი იყო, როგორც არის: საცვლები, ცხვირსახოცი, საათი, თამბაქო, ციგარა და სხვა მრავალი. თვითეული ამ მოთხოვნებთანაა დაკავშირებული პირველად ცალკე პირებს დაებადათ, — უფრო ხშირად მაღალი კლასებიდან, — და შემდეგ გავრცელებულ იქნა საყოველთაოდ.

მოთხოვნებთან ამ საზოგადოებრივი ხასიათის შესახებ ლაპარაკობს კარლ მარქსი, თავის წიგნაკში „საქირაო შრომა და კაპიტალი“.

„სახლი, დიდია ის თუ პატარა, აკმაყოფილებს ყველა საზოგადოებრივ მოთხოვნებთან, — რომელსაც წამოუყენებენ ხოლმე საცხოვრებელ ბინას, — სანამდი გარშემო სხვა სახლებიც პატარანი არიან. მაგრამ თუ კი პატარა სახლუკას გვერდით სასახლე წამოიჭიმება — პატარა სახლი უკვე ქონად იქცევა. სახლის სიპატარავე, იმას მოწმობს, რომ მის პატრონს არ შესწევს ღონისძიება არაერთი მოთხოვნებთანაა წამოყენებისა, ანდა შეუძლია წამოაყენოს ყველაზე მცირე მოთხოვნები. და ცივილიზაციის პროცესში როგორც გინდ არ გაიზარდოს ეს სახლი, თუ კი მეზობელი სასახლეც იმგვარათვე ანუ უფრო ჩქარა იზრდება, მაშინ შედარებით პატარა სახლის მცხოვრებნი თავის ოთხ კედლებს შორის თავს გრძნობდენ იქნება სულ უფრო ვიწროთ, მოუწყობლად, დაუკმაყოფილებლად, დამცირებულად .. ჩვენი მოთხოვნებიანი და კმაყოფილებანი, სიამოვნებანი წარმოსდგებიან საზოგადოებისაგან“ 1).

ასე, რომ, საზოგადოებაში ერთის მოთხოვნები და სურვილი გავლენას ახდენს მეორეზე — წახალისებისა და აღძვრის გზით. ასეა ეს დღეს — და ასე იყო ყოველთვის.

თუ რომ ადამიანს მარტო, საზოგადოების გარეშე ეცხოვრა, მას არც კი ექნებოდა ახალი მოთხოვნებიანი, პირველ ყოვლისა მას არ განუვითარებოდა მაღალი მოთხოვნები. და ეს ასე კიდევაც რომ მომხდარიყო, მაშინ ეს მოთხოვნები მასთან ერთად გაქრებოდნენ, — ვერ გადაეცემოდნენ შთამომავლობას, ვერც მის ირგვლივ მცხოვრებ ადამიანებს და ვერ მიალწევდნენ განვითარების მაღალ საფეხურებს. კიდევ მეტიც: მაღალ მოთხოვნებთანაა დაკმაყოფილებას განცალკავებით მცხოვრები ადამიანი ვერ შეძლებდა. ეს შესაძლებელია მხოლოდ მრავალ ადამიანთან შეერთებით, რომელნიც საერთო ძალით, ერთმანეთის დახმარებით, შრომის განაწილებით და პროდუქტთა გაცვლით სწყვეტენ მეურნეულ ამოცანებს.

1) არის ცუდი ქართული თარგმანი: კ. მარქსი — საქირაო შრომა და კაპიტალი (საწარმოო ურთიერთობა) 1922. ტფ. იხ. გვ. 21.

ქვემოდ ჩვენ ვაჩვენებთ თუ როგორ იყო ადამიანი მთელ თავის განვითარებაში იმ თავითვე საზოგადოებისაგან დამოკიდებული.

წინამსროლად იარაღების შექმნისა და გამოყენებისა მოგვევლინა დამოუკიდებელი აზროვნებისა, დაკვირვებისა და ცოდნა-გამოცდილებათა დაგროვების უნარი. მაგრამ აზროვნებასთან ერთად აგრეთვე აუცილებელი იყო მეტყველებაც. რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა თავის აზრებისა და დაკვირვებათა გამოთქმა.

როგორ წარმოიშვა მეტყველება?

ამის გასაგებად ჩვენ უნდა მივმართოთ ისევე ცხოველთა სამეფოს. აქაც არის დიდი რაოდენობა ისეთი სახეებისა რომელნიც არა განცალკავებით, არამედ ერთად ჯოგებათ და გროვებად ცხოვრობენ, როგორც, მაგალითად, მაიმუნები, ირმები, გარეული ცხენები, ჯოგად მცხოვრები მცონხაეი ცხოველები, ფრინველთა ზოგი სახეები და სხვა ცხოველები. ისინი ერთად ეძებენ საჭრდობის ადგილს. ამ დროს უფრო ხნიერი ცხოველი წინ უძღვის მთელ ჯოგს, — ნიშნავენ სადარაჯო ადგილებს, ხშირად შეერთებული ძალით იცავენ თავს მტრისაგან, როდესაც მიმართავენ ურთიერთთან კავშირის სხვადასხვა საშუალებებს. გარკვეული ბგერებითა და ხმებით ისინი მოუწოდებენ ერთმანეთს, სტეხენ განგაშს, რათა წინდაწინ შეატყობინონ ამა თუ იმ მტრისა, ანდა რაიმეგვარ ხიფათის მოახლოება, იწვევენ ერთმანეთს სათამაშოდ ანდა საბრძოლველად, გამოხატავენ სიხარულსა და შიშს, სიყვარულსა და სიხელეს და ეს ნიშნები ყოველთვის ყველასათვის გასაგებია. საკმარისია მოვიგონოთ შელის სტეენა, რომელიც ამით აფრთხობს მთელ ჯოგს, სწორედ იმ დროს, როდესაც აღპიური მონადირე ფიქრობს რომ ის მის თოფს ვერ გაექცევა. არა მარტო ერთი სახის ცხოველებს შეუძლიანთ ერთმანეთის გაგება, არამედ ზოგი ცალკე ცხოველები მთელ არემარეს ატყობინებენ რაიმე საშიშროების მოახლოებას. როცა ჩვენ ტყეში შევდივართ ამას შაში და ციყვი თავისი გამაჯრთხილებელი ხმით ყველა ცხოველებს ატყობინებს. კაჭკაჭებსა და დანარჩენ მინდვრის ფრინველებს მსგავს სამსახურს უწევენ ყვავები, და ჭაობის დიდ ფრინველებსაც დარაჯობენ მთელი ჭაობის ახლობელი ადგილების პატარა ჩიტუნები.

მსგავსი უნაწევრო ბგერები უნდა ყოფილიყო თავდაპირველი საშუალება ურთიერთ კავშირისა პირველყოფილ ხალხებს შორის. მაგრამ უკანასკნელის გონებრივად უფრო მაღალი განვითარების წყალობით შესაძლებელი გახდა მრავალ სხვადასხვაგვარ ბგერათა შესაფერ აზრებთან შეხამება. ეს „მეტყველება“ სხეულისა და ცალკე ორგანოების მოძრაობათა წყალობით შემდეგში უფრო გარკვეული ხდებ

ბა — მსგავსად იმისა, როგორც ჩვენ, საეხებით უნებლიეთ, ჩვენს სიტყვებს თან ვაყოლებთ ვესტებს, რათა უფრო აშკარად გამოვხატოთ ჩვენი აზრები. ეს არის ჩვენ მიერ შემკვიდრებით მიღებული, ჯერ კიდევ შეუზღებლად გამოყენებულ ნიშანთა ენის (მეტყველების) ნაშთები, რომელიც ოდესღაც განუვითარებელ ბგერითი მეტყველების გვერდით თამაშობდა მნიშვნელოვანად დიდ როლს, ვინემ დღეს. ჩვენ ვხედავთ ასევე, თუ როგორ მიმართავს მუნჯი ნიშანთა ენას, რათა ეს გასაგები გახდეს.

მაგრამ აქაც ურთიერთთან კავშირის დამყარების ასეთ პრიმიტიული საშუალების წინამსროლადაც მოგვევლინა ისევ და ისევ საზოგადოებრივი ურთიერთზედმოქმედება, — ადამიანთა დიდი რაოდენობის ერთიანი ცხოვრება. მეტყველების განვითარება სრულებით გაუგებარი იქნებოდა რომ ადამიანთა შორის ადგილი არ ჰქონოდა საზოგადოებრივ არსებობას. მაგრამ იმის გამო რომ ისინი ერთად ცხოვრობდნენ, ერთად თავს იცავდნენ, ერთად მუშაობდნენ, იქამდე უნდა მისულიყვნენ, რომ განსაზღვრული საგნები და მოქმედებანი ერთილიმავე ბგერითა და სიტყვით გამოეხატათ. და იმდენად რამდენადაც საზოგადოებრივი ცხოვრება უფრო და უფრო მრავალმხრივი და განვითარებული ხდებოდა, რამდენადაც საჭირო იყო სულ მეტი და მეტი რაოდენობის ნივთთა გამოთქმა, იმდენადვე, იმავე ზომით, უნდა განვითარებულიყო და სრულქმნილი გამხდარიყო მეტყველებაც. ამრიგად უკანასკნელი ფართოვდებოდა ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და შრომის განვითარებისა და მიხედვით. შრომასა და მეტყველებას შორის არსებული შინაგანი კავშირი უფრო აშკარავდება ნაკლებ განვითარებულ ხალხთა საერთო, საგუნდო სიმღერებში, რომელთაც მღერიან მუშაობის დროს. ჩვენშიც კი ვხვდებით ზოგიერთ წრეებს მუშებისას, — მაგალითად, გემზე მომუშავენი და სხვანი, — რომელნიც თავიანთ მუშაობას თან აყოლებენ ხოლმე გარკვეულ სიმღერებს.

მეტყველება სხვა მხრივაც შეიქნა ძლიერი დამხმარე შრომასათვის. მხოლოდ მისი უმთავრესი დახმარებით იყო შესაძლებელი მთელი გამოცდილების, აღმოჩენებისა და ცოდნათა სხვებისათვის გადაცემა, ახალი თაობისათვის ამათი გაზიარება და საყოველთაოდ გავრცელება. თუმცა მეტყველება ვითარდება შრომასა და საზოგადოებაში, მაგრამ თავის მხრივ ის ამ განვითარებას კიდევ წინ ეწევა. ერთი ხელს უწყობს მეორეს. ხოლო იმის და მიხედვით, რამდენადაც შრომითი მიმართებანი იწვევდა ზრდას პირველყოფილ ადამიანთა პატარა თემებისა, ეს მოზარდ კაცობრიულ გაერთიანებათაც ერთ



საერთო ენა უნდა შეეთვისებინათ. პირველ ყოფილ საზოგადოებაში სისხლითი ნათესაობა იყო თავდაპირველი და ბუნებრივი კავშირი. ხოლო საერთო ენა კი იყო მისი ხელოვნური კავშირი. მაგრამ საბოლოო ანგარიშით მაინც შრომითი მიმართებათა განვითარებაზეა დამოკიდებული, რომ მოცემული ენა, — ომისა, ჩაგვრისა ანუ ამოწყვეტისა, ანდა ურთიერთობათა მშვიდობიანი განვითარებისა და ვაქრობის გავლენით, — რჩება მხოლოდ ვიწროდ განსაზღვრული კილოკავად უმნიშვნელო ველურ ხალხისა, თუ შეიქმნება კულტურული ხალხის აზრთა გამოქმნის იარაღად, მსოფლიო ენად, რომელზედაც ლაპარაკობს ასეული მილიონი და კიდევ მეტი ადამიანი. ინგლისური და გერმანული, რომ დღეს მსოფლიო ენებად გადაიქცენ, — როგორც წინად ლათინური ენა იყო. — ამის მიზეზია საბოლოოდ ინგლისსა და გერმანიის შრომის უზარმაზარი განვითარება და სხვა არაფერი. ასეთ უზარმაზარი განვითარებისათვის თავიდანვე აუცილებელი იყო ადამიანთა საზოგადოებრივი, ერთიანი ცხოვრება.

მაშასადამე შრომის გვერდით უნდა დავაყენოთ მეორე ძირითადი და გადამწყვეტი გარემოება: ადამიანთა საზოგადოება! თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ ადამიანთა ურთიერთობას ძლიერ შორეულ წარსულში, ამ ურთიერთობის პირველ დასაწყის მომენტამდე — ყოველთვის ურთიერთობა წარმოსდგება შრომისა და საზოგადოების საფუძველზე. ასეთია ის ისტორიული საშო, რომელშიაც კაცობრიობის განვითარება თავის დასაწყისს ჰპოულობს.

ასეთ დასკვნამდე მივყევართ ჩვენ ლოლიკურ მსჯელობას გარდა, აგრეთვე პრეისტორიულ განათხარათა მოწმობასაც.

მეცნიერება გვაცნობს რომ პრეისტორიულ უღრან ტყეებში, სტეპებსა და ჭაობებში ბინადრობდნენ უზარმაზარი ცხოველები: როგორიცაა უშველებელი სპილოები, ცხვირჩქოსანები, გიპოპოტამები, მამონტები, მღვიმეების დათვები, ველური ღორები, უზარმაზარი ირმები, ზუბრები და სხვ. და ამ ძლიერ მხეცებზე ჯერ კიდევ ძლიერ ადრინდელ დროიდანვე ნადირობდნენ ადამიანები. ამაზე მოწმობდნენ სხვადასხვა სახის მხეცთა ძვლების დიდი რაოდენობა, რომელიც ნაპოვნი იქნა ქვის იარაღებსა და ადამიანის ჩონჩხთან ერთად. ასე, მაგალითად, ტაუბანის ქვის სატენ ადგილებში, ვაიმარის ახლოს ნაპოვნი იქნა უზარმაზარი სპილოს ძვლები, ცხვირჩქოსანის, მღვიმეების დათვის, მღვიმეების ლომის, მღვიმეების ჰიენის, ირემის, შელის, ზუპარის, გარეული ღორის, გარეული ცხენის. მგლის და თახვის ძვლები; და რომ ეს ძვლები იქ შემთხვევით არ მოხვედრილან, და რომ ისინი წარმოადგენენ ადამიანის ნასუფრალს. ეს მტკიცდება განახშირიანე-

ბული ძვლებით, და იქვე ნაპოვნ ქვებით, რომლებითაც დაუმტკრევივით ეს ძვლები ტინის ამოღების მიზნით, გადამუშავებული ძვლის ნივთებით და პრიმიტიული იარაღებით, რომლებიც ამ ძვლებან ერთად იპოვნეს. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ ამ ადგილას ოდესღაც იმყოფებოდა პირველყოფილ მონადირეთა მიერ მოწყობილი სადგომი და ცეცხლის კერა. ასეთივე განათხრები, მსგავსივე ძვლებით, აღმოჩენილ იქნა აგრეთვე კროაციაში, აგრამთან.

სავსებით გამორიცხულია შესაძლებლობა იმისა, რომ განცალკევებულად შობინადრე ადამიანს შეეძლო მოეხერხებია კეტითა და შუბით ამ ბუმბერაზი ცხოველების დაძლევა. ასეთ ნადირზე ნადირობა შესაძლებელი იყო ეწარმოებინა ადამიანთა მხოლოდ დიდ ჯგუფს, რომლებიც ერთად გაედევნებოდნენ, გარს შემოერტყმოდნენ და ერთადვე ჰკლავდნენ მას.

სოლუტეს ახლოს, საფრანგეთში, ერთ დიდი კლდის ძირას, აღმოჩენილ იქნა პირველყოფილი დროიდან შენახული დიდი გროვა დამტკრეული ძვლებისა. ეს გროვა იმდენად დიდია, რომ მის წარმოსაშობად უნდა დახოცილიყო ასი ათასი, და, იქნებ, კიდევ მეტი გარეული ცხენი. უნდა ვიუიქროთ, რომ მხოლოდ ადამიანთა დიდ ჯგუფს, გაერთიანებული ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, შეეძლო დაეტოვებინა ასეთი კვალი, როგორცაა მხეტია ძვლების ეს გროვები.

ბალტიის ზღვის სანაპირებზე, აგრეთვე აზიისა და ამერიკის ხმელეთზედაც გვხვდებიან ეგრეთწოდებული „სამზარეულოს ნაშთები“, ე. ი. პირველყოფილ დროებში წარმოშობილი ბორცვები, რომელთაც 400 მეტრამდე სიგრძე და რამოდენიმე მეტრი სიმაღლე აქვთ, და რომელნიც წარმოადგენენ ნაგავთა და ნასუფრალთა გადაწყარის გორაკებს. ეს ნასუფრალებია ნარჩენები: თევზებისა, ლოკოკინებისა, და ხამანწყებისა, რომლითაც უმთავრესად იკვებებოდნენ ამ ნაპირებზე მცხოვრებლები. ნახრავსა და ნარჩენებს აქვე ჰყრიდნენ, უვარგისობისა გამო გადაგდებულ იარაღებთან ერთად და აქიდან კი დროთა განმავლობაში შეიქმნა ეს ვეებერთელა გროვები.

მაგრამ ის გარემოება, რომ მსგავს ნარჩენებიდან შეიძლებოდა წარმომდგარიყო ასეთი ვეებერთელა ბორცვები, იმას მოწმობს, რომ რომ აქ მთელი მოსახლეობა იყო, რომ ადამიანები აქ დიდ თემებათ გაერთიანებულნი ცხოვრობდნენ. მათი ცხოვრების ცალკე მომენტების გარკვევაში ჩვენ კიდევ შეგვიძლია დაეშორდეთ ერთმანეთს, მაგრამ ერთ რამეში ჩვენ მაინც ყოველთვის იმთავითვე ვრწმუნდებით, და სახელდობრ იმაში, რომ ეს მათი ცხოვრება ჩვენ უნდა წარმოვიდგო-

ნათ, როგორც თავდაპირველადვე საზოგადოებრივობის ფარგლებში განვითარებული ადამიანთა მოქმედება. ამავ დროს სულ ერთია შეადგენდნენ ეს საზოგადოებები, დღევანდელივით, მილიონებს, თუ ათასეულ ანდა ასეულ ადამიანებს. ძველ სამეცნიერო შრომებში წამოყენებული მოსაზრება, თითქოს ადამიანები პირველად განვითარდნენ როგორც ცალკე მცხოვრები ინდივიდუუმები, ისევე ყალბია, როგორც შეხედულემა, რომ პირველყოფილი ადამიანი არავითარ შრომას არ ეწეოდა და ისე ცხოვრობდა. პირვანელ ადამიანთა რობინზონების სახით დახატვა — რასაც მხარს უჭერდა კიდევ ლასალიც, — შეეფერებოდა რამდენიმე ათეული წლის წინანდელი მეცნიერების მდგომარეობას, მაგრამ მის შემდეგ ის უარყოფილ იქნა მეცნიერებისაგან. უკვე ფ რ ი დ რ ი ხ ე ნ გ ე ლ ს ი, 1884 წ. თავის წიგნში, — „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“ <sup>1)</sup> — სწერდა:

„ადამიანის განვითარება რომ ცხოველურ მდგომარეობას გასცილებოდა, რომ მომხდარიყო უდიდესი პროგრესი, რომელიც კი შესაძლებელია ბუნებაში, საჭირო იყო კიდევ შემდეგი ელემენტი: ჯგუფის კოლექტიური მოქმედებით შეცვლა, განცალკევებით მცხოვრებ არსების იმ უნარისა რომელიც არაა საკმარისი თავდაცვისათვის“.

მთელი ეს ფაქტები უცნობი როდია ბურჟუაზიულ მეცნიერთათვის, მაგალითად, პროფ. ბიუხერისა და მის მომხრეთათვის. და თუ ეს ასეა, მაშინ როგორღა მიდიან ისინი მტკიცებამდე, რომ ადამიანები დაუსრულებლად დიდი დროის განმავლობაში უშრომლად ცხოვრობდნენ და რომ თითქოს სწორედ ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი ჩვენს დრომდე არსებულ ველურთა შორისაც?

ასეთ მტკიცებას შეიძლება საფუძველი ჰქონდეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ ეს მეცნიერნი შრომის ქვეშ ჰგულისხმობენ რალაც საფსებით სხვა რამეს, ვინემ ჩვენ. და მართლაც მოცემულ შემთხვევაში ეს ასეა.

ბიუხერი მაგალითისათვის, რათა გამოხატოს, თუ როგორ წარმოუდგება მას პირველყოფილ ხალხთა ცხოვრება, იღებს თანამედროვე ველურ ხალხებს. და უკანასკნელთა მაგალითზე განმარტავს ის აგრეთვე თვით მისთვის შემუშავებულ გაგებას შრომისა.

ამ შეხედულებათა მიხედვით პირველყოფილი ადამიანი, ბუნების ველური შვილი, თავდაპირველად, მეტად ზარმაცი ვინმეა; რომელსაც არაფერი ეზიზღება ისე როგორც ოდნავი გარჯა; ყველაზე სიამოვნებით ის მთელი დღის განმავლობაში მზეზე თბება, და მხო-

<sup>1)</sup> არის ძველი ქართული თარგმანი.

ლოდ საღამოთი როცა სიმშვილი აიძულეებს, ინებებს თავისთვის საკმე-  
ლის დამზადებას. ბიუხერი ამ ცხოვრებას აგვიწერს („სახლო მეურ-  
ნეობის წარმოშობა“ გვ. 20-21) როგორც სრულ უსაქმურობას, დროის  
უმიზნო ფლანგვას.

მაგრამ ბიუხერი გაანცვივრა კიდევ ერთ გარემოებამ ველურთა  
ცხოვრებიდან. იმ შემთხვევაშიაც კი, როცა ისინი ისეთ რამეს ასრუ-  
ლებენ, რასაც შესაძლებელია შრომის ცნება შეუფუარდოთ, ისინი  
ამას აკეთებენ არა როგორც ცხოვრების სერიოზულ ამოცანას. არამედ  
მსგავსად თამაშისა. ბიუხერი ლაპარაკობს:

„პირველყოფილ ხალხებში, შრომა წარმოადგენს საკმაოდ ბუნ-  
დოვან მოვლენას. რაც უფრო ჩავიხედავთ ჩვენ წარსულში, ის მით  
უფრო, როგორც ფორმით ისე შინაარსით, უახლოვდება თამაშს“. ვე-  
ლურები მუშაობენ არა ამისათვის დაწესებულ დროში, ე. ი. არა გა-  
ნუწყვეტლივ, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც ან სიმშვილი აიძუ-  
ლებს, ანდა კიდევ კარგ გუნებაზე იმყოფებიან. ამავე დროს მუშაო-  
ბის წინ ისინი ლამაზდებიან, ირთებიან, ტატუირდებიან და სხვ.  
თვით მუშაობას თან აყოლებენ ცეკვასა და მუსიკას და საერთოდ  
შრომას საეგზიბიტაც არ უცქერიან როგორც ძნელს, სერიოზულს და  
ცხოვრების მთავარ საქმეს; არამედ ცდილობენ შესაძლებლობის  
ფარგლებში ის გახადონ გართობა-თამაშის მსგავს რამედ.

პროფესორ ბიუხერის ეს ფაქტები თავის თავად ძლიერ სარწმუ-  
ნოა, მაგრამ დასკვნები რომელსაც აქედან ჩვენ და ის ვაკეთებთ, ძა-  
ლიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ბიუხერი დაასკვნის, რომ მუ-  
შაობის ის სახე, რომელსაც მისდევენ დაბალ საუბურზე მდგარი ვე-  
ლურები, საარსებო საშუალებათა მოსაპოვებლად სრულიად არ წარ-  
მოადგენს შრომას. ამ ადამიანთა მთელი ცხოვრება წარმოადგენს  
მთლიან უმოქმედობას, რადგან მხოლოდ სიზარმაცესა და უზრუნვე-  
ლობაში ატარებენ ისინი მთელ თავის დროს.

ჩვენ კი ვამბობთ: ამ ადამიანებს ზარმაცები შეიძლება ვუწო-  
დოთ მხოლოდ თანამედროვე ბურჟუაზიული კაცობრიობის თვალსა-  
ზრისით. ამ თვალსაზრისით ზარმაცები იყვნენ აგრეთვე ძველი გერ-  
მანელებიც, ზარმაცები გამოვა საერთოდ ყველა პირველყოფილი ადა-  
მიანები, რომლებიც კიდევ არ იცნობენ არც ჩაგვრასა და არც ექს-  
პლოატაციას.

ეს ადამიანები მუშაობენ მხოლოდ იმისათვის, რათა უშუალოდ  
თავიანთი საკუთარი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილონ. ამაშია მთ-  
ლი შრომის მიზანი და აქედან გამომდინარეობს მათი მუშაობის მთე-  
ლი მანერა, სახე, რაიც უბრალოდ მიზანს ეთანხმება. ისინი შრო-

მოხენ მხოლოდ იმდენს რამდენსაც ჰკარნახებს მათივე მოთხოვნილება. ისინი მხედველობაში ღებულობენ ფიზიკურ შესაძლებლობას, დალილობას, დღის ტემპერატურას, ანგარიშს უწევენ ყველაფერს, რასაც კი შეუძლია, რომ სასიამოვნო გახადოს შრომა და ცხოვრება. ამიტომ შეაზავებენ ხოლმე ისინი თავიანთ მუშაობას მუსიკითა და ცეკვით; და ამიტომვე შრომას განიცდიან არა როგორც მძიმე მოვალეობას, არამედ როგორც ზნეობრივსა და ცხოვრების სასიამოვნო საქმიანობას.

თავისთავად ეს ერთობ გონივრული გაგებაა ცხოვრებისა და შრომისა. ის ისპობა იქ სადაც შრომა ხდება ექსპლოატაციის საგანი. მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაშიც კი, ყველა ვისაც შეუძლია სკდლობს, ამ წესის თანახმად მოაწყოს თავისი მუშაობა.

არსებითად შრომა ყოველი ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა, თავისი ბუნებით ადამიანს სულაც არ ახასიათებს უმოქმედობისაკენ მიდრეკილება. და სწორეთ თანამედროვე კულტურული ადამიანის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მისი იძულება რომ თავისი ცხოვრება სრულ უმოქმედებაში გაატაროს ნიშნავს პირდაპირი გზით მის დაღუპვის კარისკენ წაყვანას. მისთვის შრომა, ეს არის ნამდვილი კულტურული მოთხოვნილება, და ეს მოთხოვნილება მით უფრო დიდია, რაც უფრო მაღლა სდგას კულტურა.

მაგრამ თავისი ბუნების მიხედვით, ადამიანს სურვილი აქვს იძენი იმუშაოს რომ თავის მოთხოვნილებასთან შეფარდებით ცხოვრება სასიამოვნო გახადოს. და ამისათვის აუცილებელი შრომა მას სურს ისე წარმართოს, რომ მისი ცხოვრება არ გადაიქცეს მძიმე და მოსაწყენ ტვირთად, არამედ გახდეს მისთვის კმაყოფილებისა და საიმოვნების წყაროდ. დაუმონავებელი, უკულტურო ხალხები დღესაც ასე ეწევიან შრომას, — მასთან ასეთ დამოკიდებულებაში არიან. მხოლოდ დამონებული, ექსპლოატირებული ადამიანები არიან შევიწროებული შრომის კერპით, და შრომაც მათთვის — ეს ცხოვრების მძიმე ტვირთია.

ამის მიზეზია ის, რომ ექსპლოატაციაზე დამყარებული საზოგადოების წარმოშობის შემდეგ, შრომისათვის მიმართულების მიშცეში მიზანი სულ სხვაგვარი გახდა, და შრომის პირობათა განსაზღვრაც იძყოფება არა იმათ ხელში ვინც ეწევა უმთავრესად შრომას, არამედ იმათ ხელში ვინც აწარმოებს ამ შრომის ექსპლოატაციას.

თავდაპირველად ადამიანები თანასწორნი იყვნენ, და ყოველგვარი ექსპლოატაციის გარეშე ეწეოდნენ შრომას, თავის ვიწრო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მაგრამ იმის გამო, რომ საზოგადოე-

ბის განვითარების პროცესში, საწარმოო საშუალებანი ცალკე პირების ხელში გადავიდა, ეს უკანასკნელი შეიქნენ სხვებზე გაბატონებულნი. და ამის შემწეობით მათ ისე წარმართეს შრომის პროცესი, რომ საბოლოო ანგარიშით, ის უკვე ემსახურებოდა არა თვით მშრომელთა ინტერესებს, არამედ მხოლოდ ექსპლოატატორთა ინტერესებს. ასე მოხდა ყველგან სადაც წარმოიშვა ექსპლოატაციაზე დამყარებული ურთიერთობა: მონები, ბატონყმები, და კაპიტალისტური საზოგადოება.

მაგრამ, რადგანაც: — თითქმის ყველა ბურჟუაზიულ მეცნიერთა შეხედულებით, — კაპიტალისტური საზოგადოება წარმოადგენს ყოველგვარი განვითარების უკანასკნელ და უმაღლეს საფეხურს, ამიტომ ამ საზოგადოების დამახასიათებელ შრომის პირობებსაც არ ექნება დასასრული.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალისტური წარმოება არის მხოლოდ განსაკუთრებული საფეხური — შრომის განვითარების გრძელ ისტორიის მსვლელობაში. და ის ისევე გაჰქრება, როგორც გაჰქრა მონური და ბატონყმური შრომა.

მას მოჰყვება სოციალისტური შრომა; რომლის შემდეგაც შრომა ისევ გადაიქცევა ცხოვრების ნორმალურ და სასიამოვნო თანამგზავრად, რადგან მოისპობა კლასობრივი საზოგადოება და ექსპლოატაცია. ახლა კი ორიოდვე სიტყვა შრომის მეორე მხარის შესახებ: შრომის მიზნისა და მოწესრიგების შესახებ.

პირველად ყოველისა ჩვენ დავინახეთ, რომ შრომა წარმოადგენს ყოველგვარი განვითარების ამოსავალ წერტილს. და, რომ, მეორედ, შრომა და განვითარება ჩვენ უნდა განვიხილოთ საზოგადოებრივი თვალსაზრისით: ადამიანი რომ საკუთარი ძალღონის ამარა დარჩენილიყო, ის რომ იძულებული ყოფილიყო ეცხოვრა და ემუშავნა სხვათა დაუხმარებლად, ის მარტოდენ ფიზიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასაც ვერ შესძლებდა; ის ვერასოდეს ვერ დააღწევდა თავს ამ მდგომარეობას და მუდმივად აბსოლუტურ ბარბაროსობაში დარჩებოდა; ამრიგად უმაღლესი კულტურის ჩანასახიც კი ვერ გაჩნდებოდა. მაგრამ იმის წყალობით, რომ ადამიანები ერთად მუშაობდნენ, რომ ეს ერთიანი მუშაობა გეგმაშეწონილად და მუდამ უფრო და უფრო მოწესრიგებულად წარმოებდა, წარმოიშვა კულტურა და ყოველგვარი დიდი მიღწევანი, წარმოიშვა კაცობრიობის ისტორია.

ჩვენ ვიცით, თუ როგორ იქმნება შრომის პროდუქტი ღღეს. ათასები მუშაობენ ხელიხელ ჩაკიდებულნი, გეგმაშეწონილად, ქარხნებში და სახელოსნოებში, ლაბორატორიებში და ბიუროებში, და ბჭ

ნებისმეტყველი მეცნიერნიც კი მარტოოდენ თანამშრომლებს წარ-  
მოადგენენ ამ საერთო, დიდი, შრომის პროცესში.

ჩვენ ვიცით, რო ეს ათასები ქარხნებსა და სახელოსნოებში მხო-  
ლოდ ცალკე სამუშაოთა ნაწილებს აწარმოებენ და მხოლოდ ერთ-  
მეორეს შევლიან. და ყველა ეს ნაწილობრივი ადამიანები გაერთიანე-  
ბული არიან ერთად უმაღლეს ტექნიკური მმართველობის ხელმძღვა-  
ნელობის ქვეშ. და ამნაირად ყოველი დიდი ქარხანა, ყოველგვარი  
დიდი სავაჭრო წარმოება წარმოადგენს ნამდვილად გეგმაშეწონილად  
მოწესრიგებული ხელმძღვანელობის საძირკველ ნაყოფს. საკმაოა მხო-  
ლოდ გავხსენოთ ისეთი უზარმაზარი დაწესებულებები როგორიც  
არის ფოსტა და რკინის გზა.

ეს საუცხოვო მოწესრიგება ყოველი კაპიტალისტური საწარმოს,  
შიგნით რომ არსებობს, სოციალიზმი ეცდება გადმოიღოს, მაგრამ  
გააჯართოვოს ის და გაავრცელოს შრომის მოწესრიგება მთელ სა-  
ხელმწიფოში, შექმნას საერთაშორისო მოწესრიგება — ქვეყნიდან  
ქვეყნად.

მაგრამ ჩვენ მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ ის გარემოება,  
რომ „შრომის მოწესრიგების ეს დიდი პრინციპი არ არის მხოლოდ  
ახალი დროის ნაყოფი, არამედ ის ყოველ დროში არსებობდა. ყო-  
ველ დროში, ამა თუ იმ სახით, განაწილებული და მოწესრიგებული  
ყო შრომა, იმ მიზნის მიხედვით, რომელსაც ის ემსახურებოდა. ხო-  
ლო ეს მიზანი მუდამ მდგომარეობდა იმ საგნების შექმნაში, რომლი-  
თაც იკმაყოფილებდა კაცობრიობა თავის მოთხოვნილებებს. შრომის  
კავშირით გაერთიანებული, ამა თუ იმ, საზოგადოების ფარგლებში,  
დიდი იქნება ის თუ პატარა, მოხმარების ოდენობა განსაზღვრავს სა-  
ზოგადოებრივი შრომის მთელ მოცულობას და აგრეთვე უკანასკნე-  
ლის განაწილებისა და მოწესრიგების მასშტაბსაც.

თვით ეს მასშტაბი და მოწესრიგების სახე ბუნებრივად სულ სხვა-  
დასხვანაირია, — ადამიანთა განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე.  
ველურთა სრულიად პრიმიტიული, პირველყოფილ ურდოს შიგ-  
ნით მოთხოვნილებები და მოხმარება გაცილებით უფრო შეზღუდუ-  
ლი იყო, ვინემ ერთ ადგილას მოხინაძრე მიწათმოქმედთა შორის;  
აგრეთვე ძველი დროის მონურ საზოგადოებაში და საშუალო საუკუ-  
ნოების ბატონყმურ საზოგადოებაში სულ სხვანაირი იყო მოთხოვნი-  
ლებები ვიდრე ეს თანამედროვე საზოგადოებაშია. მაგრამ ზოგიერთ  
მოთხოვნილებანი განვითარების ყველა საფეხურზე არსებობენ. და  
შრომაც არსებულ მოთხოვნილებებთან შეფარდებით უნდა იქნას წარ-  
მართული და მოწესრიგებული.

მაგალითად, ველურ ადამიანთა რომელსამე ურდოს, რომ მარტო ქვის ცულები ეკეთებია და საარსებო საშუალებათა წარმოებისათვის საკმაო დრო არ დაეხარჯა, ეს ადამიანები, თუმცა შრომას არ აკლებდნენ, — მაგრამ მაინც დაილუპებოდნენ მათი შრომის უეფემობისა და მოუწესრიგებოლობისა გამო, ისინი დაიხოცებოდნენ ქვის ცულების სიჭარბისა და საზრდოს უქონლობის გამო. მაშასადამე იმ თავითვე აუცილებელია არა მარტო შრომის არსებობა საზოგადოთ, არამედ მისი შეუარდება არსებულ მოთხოვნილებებთან. საჭიროა ზრუნვა იმის შესახებ, რომ ცალკე რომელიმე დარგის საქმიანობაზე არ იხარჯებოდეს ერთობ ბევრი შრომა, ხოლო მეორეზე მეტად ცოტა.

ამიტომ იმთავითვე მუშავდება ერთგვარი გეგმა — შრომის მოწესრიგება და განაწილება.

განაწილება შრომისა ყველაზე ადრე მოხდა იმ დიდი და ბუნებრივი განსხვავების საფუძველზე ორ სქესს შორის რომ არსებობს: ჩნდება მამაკაცისა და დედაკაცის საქმიანობა. მაგრამ წარმოიშვა აგრეთვე ისეთი სახის განაწილებაც შრომისა, როცა მისი ერთი ნაწილი უნდა დაიხარჯოს მოხმარების საგნების, განსაკუთრებით საკვებ პრაოდუქტების დამზადება-წარმოებაზე, ხოლო მეორე ნაწილი კი საწარმოო საშუალებათა წარმოებაზე — მიწის საჩიჩქნი ჯოხების, ქვის ცულების, შვილდ-ისარისა და სხვ.

ეს უკანასკნელი პრინციპი ძალაშია აგრეთვე დღესაც. შრომა დღესაც ჰქმნის არა მარტო მრავალგვარ საკვებ პროდუქტს არამედ ყოველთვის საჭირო საწარმოო საშუალებებს. შრომის ამგვარი განაწილება აუცილებელი იქნება სოციალისტურ საზოგადოებაშიაც. მოთხოვნა — რომ მუშას მიეცეს მისი შრომის სრული ნაყოფი ისე კი არ უნდა იქნას გაგებული, რომ სოციალიზმის დროს მთელი შრომა უნდა მოხმარდეს მხოლოდ მოხმარების საგანთა წარმოებას, — საზოგადოებრივი შრომის ერთი ნაწილი, როგორც ეს დღესაა, უნდა მოხმარდეს წარმოებისა და მიმოსვლის (ტრანსპორტის) საშუალებათა დაცვასა და აღდგენს, ამისთვის საჭირო მეცნიერების განვითარებას და სხვ.

ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანის შრომის კუთვნილებას იმთავითვე შეადგენდა მისი პროცესების მოწესრიგება, პირველ ხანებში თუმცა როგორც ჩანასახი მნიშვნელოვანი თვისებები, რომელიც ჯერ, მართალია, საკმაო არ არის მაგრამ მაინც შესამჩნევად იპყრობს თანამედროვე შრომას და რომელსაც ემყარება შრომის ძლევა-გამოსილი წარმატება.

უძველეს დროში, შრომის მაშინდელი აუცილებელი მოწესრიგება ვყარდებოდა თვით თემის მიერ, თავისუფლებისა და თანასწორობის



პირობებში. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ ფლობდენ საზოგადო საკუთრების საფუძველზე ძველი გერმანელი მარკები სახნავე მიწებს, ტყეებს, მინდვრებს და სხვ. მარკის (თემის) წევრთა კრება განსაზღვრავდა ხოლმე დროს, თუ როდის უნდა მოეხნათ, დაეთესათ და მოემკათ. სამუშაოს დაწესებისა და განაწილების დროს გამოდიოდნენ საზოგადოების ინტერესებიდან. თემი ისე აწესრიგებდა შრომას, რომ დაემზადებია ყოველივე ის რაც მოუნდებოდა მისი საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, — იმ დროის საზოგადოებრივად და ტენიკურად შესაძლებელ შრომის წესების მიხედვით. ასე რომ სახელმძღვანელო პრინციპს საზოგადოებრივი მთელის ინტერესები და კეთილდღეობა შეადგენდა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც პირველყოფილი თემური საკუთრება გაჰქრა და კაცობრიობა კლასებად დაიყო, საწარმოო საშუალებათა პატრონებმა ხელთ იგდეს აგრეთვე (წარმოების) მოწესრიგების საქმეც. და ისინი წარმართავდნენ მას არა ისე, როგორც ამას საერთო კეთილდღეობა, როგორც საზოგადოებრივი ინტერესი მოითხოვს, არამედ ისე, როგორც თვით მათი ინტერესი, როგორც გაბატონებული კლასის ინტერესი მოითხოვს. მონობის ხანაში ასე იქცეოდა მიწათმფლობელი, საშუალო საუკუნეების ფეოდალიზმის დროს — მებატონე, დღეს კი ასე იქცევა კაპიტალისტი. დღეს კაპიტალისტები ეწევიან იმ პროდუქტების წარმოებას, რომელიც საზოგადოებას ესაჭიროება; და ამავე დროს თვითეული კაპიტალისტი ეწევა იმ საგნების წარმოებას, რომელიც მას ჰსურს. თვითეული იქცევა თავის პირადი შეხედულებებისამებრ. არც ერთი სახელმწიფო არ აიძულებს რომ ერთ კაპიტალისტმა დაამზადოს ფენსაცემელი, მეორემ ტანსაცემელი ან მსგავსი რამ.

აღბმიანს ისე ეჩვენება, რომ აქ თითქოს არაერთარ მოწესრიგებას ადგილი არა ჰქონდეს. მაგრამ სინამდვილეში კაპიტალისტებს მაინც არ ძალუძთ თავისი წარმოება წარმართონ საკუთარი ნების მიხედვით. გარდამწყვეტ მომენტს, როგორც წინათ, წარმოადგენს საზოგადოებრივი მოხმარება.

წინათ რომ ველურთა ურდოს დაემზადებია მეტად ბევრი ქვის ცულები და შედარებით ცოტადენი მოხმარების საშუალებანი, ეს იმ წამსვე გამოაშკარავდებოდა და ურდო შეუღებდებოდა სახმარ საშუალებების წარმოებაზე მეტი შრომის ხარჯვას, ხოლო საწარმოოზე კი ნაკლებსა. და თუ დღეს გაცილებით უფრო განვითარებულ თანამედროვე საზოგადოებაში დამზადებული იქნება მეტად მრავალი ფენსაცემელი ან ტანისამოსი, ეს იმ წამსვე პირდაპირ არ გამოჩნდება. მაგრამ ერთი ხნის შემდეგ, ის მაინც იჩენს თავს, სახელდობრ ბაზარზე

ფასების დაცემის გზით და საბოლოოდ კრიზისების წარმოშობით. დღეს როგორც კი რომელიმე საქონელი ვერ იპოვის მყიდველთა, ე. ი. მომხმარებელთა საკმაო რიცხვს ადრე თუ გვიან მის ფასებს დაეტყო-ბა დაცემა, და ეს კაპიტალისტისათვის არის ბარომეტრი, რომელიც უჩვენებს, რომ აღნიშნული საგნები დამზადებულია ისეთი რაოდენო-ბით, რომ ის სცილდება მოხმარების საზღვრებს. თუ რომ ამ საქონელ-თა წარმოება თავის დროზე არ შემცირდება იწყება კრიზისი — ან-ცალკე საწარმოსი, ანდა საყოველთაო. კრიზისის გამო წარმოება მცირდება მანამდე სანამ ჭარბად დამზადებული საქონლის გასაღება არ დაიწყება და მიწოდებასა და მოხმარების (მოთხოვნას) შორის არ დამყარდება წონასწორობა. აქედან ჩანს, რომ დღესაც შეუზღუდავ კერძო კაპიტალისტურ წარმოების დროს მაინც არსებობს ძალები, რომლებიც თავის ზეგავლენით ყოველთვის ჰქმნიან შეფარდებას შრომასა და მოხმარების შორის, რომელნიც, მაშასადამე, აწესრიგებენ შრომას. მაგრამ აქ შედარებით წინანდელ საზოგადოებრივ ურთიერ-ობასთან დიდი განსხვავებაა, კერძო მარკასთან (თემთან), საშუალო საუკუნეების საბატონო მეურნეობასთან და ხელოსნურ წარმოებას-თან შედარებით. რადგან მაშინ მოხმარება წინდაწინ იყო გათვა-ლისწინებული და ამისავე მიხედვით შრომაც წინდაწინვე იყო განაწი-ლებული. იგივე მაგრამ უფრო გრანდიოზული მოხაზულობით მოხდე-ბა სოციალისტურ საზოგადოებაში.

პირიქით, თანამედროვე საზოგადოებაში მოხმარება წინდაწინ როდია გათვალისწინებული. ის თავს იჩენს მხოლოდ წარმოების შემ-დეგ, საქონლის ბაზარზე რეალიზაციის დროს. ამის შედეგი ის არის, რომ წარმოება ხდება მოხმარების გაუთვალისწინებლად, მაშასადამე, უგეგმოდ, რისი შემდგომი რეზულტატია კრიზისები და უმუშევრობა.

ამნაირად კრიზისებმა კაპიტალიზმის შიგნით უნდა შეასრულონ მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა. უგეგმობისა გამო, წარმოება კრი-ზისებმა უნდა მოაწესრიგოს, რაც სოციალისტურ წარმოებაში გეგ-მით იქნება მოწესრიგებული ე. ი. კრიზისებმა უნდა დაამყაროს შე-ფარდება წარმოებასა და მოხმარების შორის და გაანაწილოს შრომა ერთიანი საზოგადოებრივი წარმოების ცალკე დარგებს შორის.

ამნაირად დღესაც შრომის რეგულიაცია ხდება მოხმარების მი-ხედვით, სახელდობრ ეს ხდება კრიზისების საშუალებით, მაგრამ კრი-ზისს შეუძლია ასეთი მომწესრიგებელი როლის შესრულება მეტად უხეშად და მრავალი მსხვერპლის გამოწვევით. რადგან ის ყოველთვის ანადგურებს შექმნილ მილიარდიან ღირებულებებს. უამრავ სასარგებ-

ლო საქონელს ღუპავს და მუშათა მრავალ მასებს მთელი წლების განმავლობაში აშორებს მათ მიერ მიღწეულ ეკონომიურ წარმატებას.

ყოველი სხვა საწარმოო და საზოგადოებრივი ფორმა — პირველყოფილი კომუნიზმი, მონათმფლობელობა, ან საშუალო საუკუნეთა მეურნეობა გეგმაშეწონილად ასრულებს შრომის განაწილებას, საწარმოო პროცესის შესრულებამდე, კაპიტალისტურ წყობილებაში კი შრომის მოწესრიგება ხდება წარმოების დასრულების შემდეგ, სახელდობრ კრიზისებისა და კატასტროფების მეშვეობით.

შემდეგ: პროდუქტების მოხმარება კომუნიზმის დროს ნაწილდება შედარებით სამართლიანი შეფარდებით შრომის სხვადასხვაგვარ ხარჯვასთან. თემის შრომის უნარიან წევრთა ჯგუფი ერთად ასრულებს სამუშაოს და ერთად ეპატრონება შრომის ნაყოფს, უკიდურეს შემთხვევაში მას შემდეგ, როცა გამოირკვევა თვითეულის მონაწილეობის ხარისხი წარმოებულ მუშაობაში. მაგრამ მას შემდეგ, რაც კლასიური საზოგადოება წარმოიშვა, მართალია, ადამიანების უმრავლესობა ერთად მუშაობს, მაგრამ შრომის ნაყოფის დიდი ნაწილი გაბატონებულებს უვარდებათ ხელში. როგორც წინათ მონათმფლობელები და მებატონეები, ისე დღეს კაპიტალისტები, შრომის ნაყოფის უდიდეს ნაწილს თვითონ იჩემებენ. ეს წრეები პირველ ყოვლისა იკმაყოფილებენ თავის საკუთარ, უფრო განვითარებულ გემოვნებას; ხალხის ფართო მასებს კი ზშირად ისე ცოტა რჩებათ, რომ ძლივს ყოფნით საცხოვრებლად.

ნამდვილად კი ამ მასებს გაცილებით მეტი მოთხოვნილებები აქვთ, ვინემ მათი დაკმაყოფილება ძალუძთ; — რამდენად უკეთ მოვაწყობდით ჩვენს სადგომებს, ჩავიცვამდით და ჩვენ საჭიროებებს უკეთესად და უკრო მიზანშეწონილად დავიკმაყოფილებდით, რომ შეგვეძლოს ჩვენი ნამდვილი მოთხოვნილებების მიხედვით მოქცევა!

ჩვენი შრომა დღეს იმდენად შესამჩნევად არის განვითარებულ, რომ შესაძლებელი იქნებოდა საზოგადოების ყოველი წევრისათვის საკმარისი სიმდიდრის შექმნა. მაგრამ საფუძველი, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი შრომა, საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრება, ხელს უშლის ამას. ჩვენში რომ არსებობდეს საწარმოო საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება; ჩისი მიღწევაც სოციალიზმს სურს, მაშინ ამ შემთხვევაშიაც შრომა იქნებოდა საზოგადოების საფუძველი, როგორც ეს ყოველთვის იყო. პირველ ხანებიდანვე. მაგრამ ეს შრომა წინდაწინ განაწილდებოდა გეგმაშეწონილად საზოგადოებრივ მოხმარებასთან. მოხმარება, — მაშინ უფრო ფართო, ვინემ დღეს არის — განსაზღვრული იქნებოდა წინდაწინ სტატისტიკოსთა

და სპეციალურ დაწესებულებათა გამოკვლევის საფუძველზე, რაც შეძლებისამებრ კარგად იქნებოდა მოწყობილი. და ამის მიხედვით შრომა განაწილებული იქნებოდა. ყველა დარგებში.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები შესაძლებელს გახდიდნენ ყოველდღიურად აუცილებელ შრომას მონდომოდა იმ დროის ნახევარზე ნაკლები, რაც დღეს იხარჯება. არაფერ არ იცხოვრებდა უსაქმოდ, გარეწარ-ფუტკარისებრ, არამედ ყველა მიიღებდა მონაწილეობას საერთო საქმიანობაში. და იმავე დროს ყველას ექნებოდა საკმაო დრო და შესაძლებლობა, რათა სავსებით განევითარებია თავის მიდრეკილებათა და სურვილების მიხედვით ის სულიერი და ესტეტიური ნიჭი, რომელიც ყველა ადამიანში მარხია.

ასეთია ის გეგმა და შრომის მოწესრიგება, რომლის მიღწევა სოციალიზმს სურს. ვინც ახლოს დაუკვირდება, განა იმ დასკვნამდე არ მივა, რომ გონიერებას მოკლებულია ის საზოგადოებრივი წყობილება, როცა ფართო მასები, რომელნიც ყველაფერს ქმნიან თავისი შრომით, თითქმის სავსებით მოკლებულნი არიან შესაძლებლობას ისარგებლონ მათ მიერ შექმნილი სიმდიდრით; წესწყობლება რომელიც მათებს უსაქიროეს სახსრებს აკლებს, როდესაც იმავე დროს უამრავი სასმელ-საქმელი აწყვიტა მალაზიებში და ღებდა, როცა ადამიანები ძონძებში გახვეულნი დადიან, და ამ დროს კი ტანისამოსის მარაგი ბაზარს ვერ პოულობს; როცა მუშები სახლებს და სასახლეებს აშენებენ და თვითონ კი თავშესაფარი არც კი აქვთ ან და გაქვდილნი არიან ნაჭირავებ ყაზარმებში.

ჩვენ ექვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ კლასიური ბრძოლა ასეთი „წესრიგის“ წინააღმდეგ ბოლოს და ბოლოს იმდენად საყოველთაო და ძლევამოსილი გახდება, რომ სოციალისტური წყობილების დამყარებას გამოიწვევს.

მაშინ კაცობრიობა ისევ დაუბრუნდება შრომას როგორც ნორმალურ და ცხოვრების სასაბუნო საქმიანობას, შრომას იმ მაღალ საზოგადოებრივ საფეხურზე, რომელიც შესაძლებელი გახდა კაპიტალიზმის განვითარებისა და მისი დაძლევის წყალობით! „რაც ხალხს უკლებს აძლევს არა მარტო წამდეს ათასი წლობის ტანჯვისაგან განთავისუფლება, არამედ საქმითაც მიისწრაფოდეს მისკენ, — ეს არის საწარმოო ძალა, ხალხის შრომის ბასწაულებრივი ნაყოფიერება“.

(გ. რეიქესი — შესავალი მეურნეობის ისტორიაში).

## თავი პირველი

# პირველყოფილი მეურნეობა

### § 1. პირველყოფილი საგვარეულო კომუნიზმი

პირველყოფილ ეკონომიურ ურთიერთობათა შესახებ პირდაპირი ცნობები არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. პირველყოფილი ადამიანის შემდეგ რჩებოდა მხოლოდ ჩონჩხის ძვლები, — ძველ გეოლოგიურ ფენებში. და აქ აღმოჩენილი ძვლების მოყვანილობიდან შესაძლებელია გაკეთდეს ესა თუ ის უკუქცევითი დასკვნა და შეგვიძლია გავიგოთ თუ როგორ ეწეოდა პირველყოფილი ადამიანი ბრძოლას თავის არსებობისათვის.

ადამიანის მსგავს მიმუნებზე მოხდენილი დაკვირვებაც იძლევა ერთნაირ წარმოდგენას კულტურის წინაღობინდელი ადამიანის ცხოვრებაზე. მაგრამ აქ საჭიროა უდიდესი სიფრთხილის გაშოვნა. თანამედროვე ობხელებიანი რასაკვირველია დიდად განსხვავდებიან პირველყოფილ ადამიანის იმ წინაპრებისაგან რომლებიც ცხოვრობდნენ პირვანდელი ბუნების წიაღში. ამავე დროს საკმაოდ დასაჯერებელია, რომ ადამიანიც და დღევანდელი ადამიანის მსგავსი მიმუნებიც წარმოიშვენ საერთო წინაპრებისაგან და ზოოლოგიურად ძლიერ გაშორდნენ პირვანდელ ადამიანს.

თანამედროვე ველურების ცხოვრება ძვირფას მასალას იძლევა იმისათვის, რომ დაახლოებით მაინც გამოირკვეს პირვანდელ ეკონომიურ ურთიერთობათა ძირითადი ხაზები.

როცა მკვლევარი გაეცნობა თანამედროვე ველურების მარტივ იარაღებს და ტეხნიკას ის ცოტად თუ ბევრად წარმოიდგენს ადამიანის ცხოვრებას პირვანდელ განვითარების ხანებში, — როდესაც ტეხნიკა კიდევ უფრო დაბლა იდგა. მკვლევარი ერთმანეთს ადარებს თანამედროვე ველურების იარაღებს და გათხრების დროს ნაპოვნს, უკვირდება პრეისტორიულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნაშთებს

რომლებიც შენახულან კულტურულ ხალხთა ადათებში, რელიგიურ წარმოდგენებში, კულტებში, გადმოცემებში, სიტყვის ბრუნვაში, სიტყვათა ძირებში და სხვ., ადარებს ამ ანალიზის შედეგებს შესაფერ მთვლენებთან ახლანდელ ველურთა შორის და ასე ითვალისწინებს განვითარების ამა თუ იმ საფეხურს, რომელიც საერთოა მთელი კაცობრიობისათვის.

მაგრამ ამ მასალის გამოყენებაც მოითხოვს ერთგვარ სიფრთხილეს. ჯერ ერთი ველურები, რომელთა შესახებაც ჩვენ მოგვითხრობენ მოგზაურები, უკვე კულტურის საკმაოდ მაღალ საფეხურზე დგანან. ტენნიკამ ამ ველურებში უკვე შორს ჩამოიტოვა უკან ისეთი პირვანდელი იარაღები, როგორიც იყო, ალბად, ჯოხი და ქვა. ეს ველურები როცა ისინი ევროპელებმა აღმოაჩინეს, უკვე ხმარობდნენ შედარებით რთულ იარაღებს, შუბს, ისარს, ანუ ბუმერანგს და, როგორც ეტყობა ისინი იცნობდნენ თუ ცუცხლის გაჩენას არა, მის გამოყენებას მაინც. ბოლოს ტენნიკის წინსვლასთან დაკავშირებით ამ ველურებმა ყველგან შიდაწიეს საკმაოდ ჩამოყალიბებულ, ადამიანურ (ნაწევროვან ბგერებით) მეტყველებას. მათი ცხოვრების გამოკვლევა, ამნაირად პირველ რიგში იძლევა უშუალო მასალას ურთიერთობის შესახებ, რომელიც იყო კულტურის წინააღმდეგე ხანიდან გამოსული ადამიანი, და ამავე მასალით ჩვენ შეგვიძლია, მხოლოდ და ახლოებით, წარმოვიდგინოთ პირველყოფილი ადამიანის ცხოვრება.

მეორე, — ის ტომები, რომლებსაც მოგზაურები ველურებად სთვლიან არ წარმოადგენენ ერთგვარ მასას. მკვლევარები ანგარიშს უწყვენ ამ გარემოებას და ცდილობენ მათ კლასიფიკაციას, მაგრამ ჯგუფებად დასაყოფ საფუძვლად ჩვეულებრივ იღებენ მხოლოდ რომელსაჲმე გარეგან, წმინდა შემთხვევით ნიშნებს, მაგალითად, საკვების მოპოების საშუალებას და ამავე დროს იჩენენ რაღაც ტლანქ, გამარტივებულ გაგებას: დაბალი და მაღალი საფეხურის მონადირეები, მომთაბარენი, დაბალი შიწათმომქმედნი (გ რ ო ს ს ე). ამ გარეგნულად ერთგვარ ჯგუფებზე მკვლევარი ვერ ატყობს, რომ გაცელა-გამოცვლის განვითარების ხარისხი იწვევს თვითოეულ ჯგუფში ზოგჯერ მეტად მკაფიო სხვადასხვაობას „მეურნეობის ფორმებისა“.

მესამე, — მეცნიერული დაკვირვებების მოხდენა შედარებით გვიან იწყება. აუცილებელ წინასწარ პირობას ამ დაკვირვებისათვის იძლევა მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების განვითარებული წესი, რომელსაც მუდამ შეაქვს გადატრიალებები მთელ საზოგადოებრივ ურთიერთობაში. ძველ მოგზაურებს, რომელნიც პირველად

ზედებოდენ ველურებს, ეუცხოებოდათ ის აზრი, რომ ველურების ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებში შეიძლებოდა აღმოჩენა ისეთი ნიშნების, რომლებიც ახასიათებდენ პრეისტორიულ ყოფაცხოვრებას ცივილიზაციური ხალხებისა. მათი აზროვნება ვერ წვდებოდა განვითარების იდეას, და ეგონათ, რომ ველური ხალხებიდან ცივილიზაციის საფეხურზე მდგომ ხალხებამდე გარდაუვალი ზღუდე იყო ამართული. ზედმიწევნითი დაკვირვება ველურებზე შეიძლებოდა მხოლოდ მას შემდეგ რაც ამას ხელი შეეწყობოდა თვით მოგზაურთა საზოგადოებებში მომხდარ დიდი ცვლილებებით.

მ ე თ ხ ე, — როცა მომზადდა აუცილებელი წინასწარი პირობები, ველურთა ყოფაცხოვრების საფუძვლიანი შესწავლისათვის, ეს ველურები უკვე მოქცეული იყვნენ ევროპიულთა ყოველგვარი ზეგავლენის ქვეშ. ველურ ტომთა ცხოვრებას იმ დროს უკვე მიღებულა ჰქონდა სულ სხვა მიმართულება. დაწყებითა ესა თუ ის მოვლენა პირველყოფილი ხალხის ცხოვრებაში, თუ ის წარმოადგენს მხოლოდ გარეგან ახალ გავლენათა შედეგს, ამის გადაწყვეტა ზოგჯერ ძნელია და თითქმის შეუძლებელიც. თავის პირვანდელი ბინადრობის ადგილიდან გაძევებული და სრულიად ახალ გარემოცვაში ჩაყენებული ტომი მალე ქვეითდება, მისი ტენიკა ეცემა, მისი საზოგადოებრივი კავშირი იშლება და მხოლოდ შედარებით განვითარებული ენა ერთხანს მოგვაგონებს, რომ განვლილა უფრო მკიდრო და ფართო საზოგადოებრივი ურთიერთობის ხანა. იქნებ სწორეთ ასე შეიძლება აიხსნას, მაგალითად, მთელი წყება იმ ფაქტებისა, რომელიც საფუძვლად უდევს ბ ი უ ხ ე რ ი ს გამოთქმით „საკმლის ინდივიდუალურ ძებნას“ — მეურნეობის პირვანდელ საფეხურს.

ფაქტების დაკვირვება მკიდროთაა დაკავშირებული მათ ახსნასთან. მოგზაურები, რომლებიც პირველად შეუდგნენ ველურთა ცხოვრების შესწავლას, უმეტეს ნაწილად მისიონერები იყვნენ. მათ გამოკვლევას დაეტყო მათივე პროფესიის მსოფლმხედველობა, დაეტყო ის რწმენა, რომ მთელი კაცობრიობა წარმოიშვა ერთი კოლქმრისაგან, რომ არსებობს ერთი, ზეციდან ჩაგონებული რელიგია, რომლის საერთო ფესვები დაივიწყეს ხალხებმა უეცარი დაქსაქსვის შემდეგ, ის რწმენა, რომ სხვადასხვა ხალხთა მსგავსი ურთიერთობები, ჩვეულებები და თქმულებები ერთი და იმავე გენეტიური წარმოშობისაა. ამიტომაა აუცილებელი პირველი წყაროების მეცნიერული კრიტიკა, რათა იქიდან ამოკრიფოს ნამდვილი ძვირფასი მასალა.

მაგრამ რელიგიური საღეთისმეტყველო აზროვნება განდევნა საერო მეცნიერულ — საბუნებისმეტყველო აზროვნებამ, მისიონერობა

შემთხვევითი დაკვირვების ნაცვლად დაიწყო სპეციალურად მომზადებული კვლევა, და ცნობების მეცნიერული სისწორე კი შაინც ვერ შეიქნა უზრუნველყოფილი. ბურჟუაზიულ ურთიერთობაში აღზრდილმა მოგზაურებმა დიდ ხანს ვერ შესძლეს განთავისუფლება ამ ურთიერთობის ზეგავლენიდან, ეს კი ხელს უშლიდა მათ უცნობ, სრულიად უცხო ურთიერთობათა გაგებაში. ისინი ვერ იგებდნენ კაპიტალიზმის წინაპრობლად აღდამიანის ცხოვრებას, აქ ისინი იჩენდნენ უილაჯობას. მერე კი რამდენადაც თვითონ ბურჟუაზიული საზოგადოების წიაღში იწყებოდა ბრძოლა ამავე საზოგადოების წინააღმდეგ, უილაჯობის ადგილს იკერდა უკვე დამახინჯება. ისინი უკვე განგებ ამახინჯებდნენ მასალას, რადგან არ სურდათ გაეგოთ ის. ხან შეუგნებლად, ხან კი სრულიად შეგნებულად მოგზაურულ დაკვირვებებზე და მათ თეორიულ დამუშავებაზე გავლენას ახდენს უფრო ესა თუ ის პოლემიკური ამოცანა, ვიდრე შემეცნების მოთხოვნილება. მაგალითად, ძველ პერუს, ამ თავისებურ ფეოდალურ სახელმწიფოს, რომელიც აგებული იყო ძველ — გერმანულ მარკის სამიწადმფლობელო თემის) ნაირ საფუძველზე — გვიხატავენ კომუნისტურ სახელმწიფოთ, და ავითი მასალა ეძლევა ბურჟუაზიულ მწერლებს დაგვაშინონ „კომუნისტურ თეორიების“ საფრთხით. თანამედროვე საკუთრების ჩანასახს, ბატონობის და მორჩილების ურთიერთობას, ინდივიდუალურ; ქორწინებას და ოჯახს და პატრიარქალურ წყობას აპოულობენ კულტურის ისეთს საფეხურებზე, სადაც მათი არსებობა ყოველივე საფუძველს მოკლებულია, და ნამდვილ სასწაულს ჰგავს. ამ უკანასკნელის ასახსნელად მიმართავენ ხოლმე ისევე სასწაულს; ამბობენ, რომ ადამიანის ბუნება უცვლელია, მისი სრული დამოუკიდებელია არსებობის ცვალებად პირობებისაგან.

კოლონიალურმა პოლიტიკამ, განსაკუთრებით თავის უახლეს, იმპერიალისტურ საფეხურზე, მძლავრად წასწია წინ გამოკვლევები, მაგრამ მანვე წინდაწინვე განსაზღვრა მათი შედეგები. მოგზაურები შეუგნებლად, თუ შეგნებულად ცდილობდნენ იმის დამტკიცებას, რომ უმაღლეს კულტურას უფლება აქვს მეურვეობა გაუწიოს დაბოლოს, ე. ი. აწარმოოს ველურების ბარბაროსული ექსპლუატაცია, დაუმორჩილოს ისინი იძულებითი შრომის სასტიკ დისციპლინას, მხოლოდ ასე შეიძლება თურმე „უკულტურო“ ხალხები კულტურას აზიარონ. კაპიტალისტური კულტურის პიონერები თითქმის ერთხმად გაიძახიან, რომ ველურები საოცრათ ზარმაცი ხალხია და განგებ ვერ ზედავენ ამ ხალხს უზოგო ენერჯიას მის განსაცვიფრებელ მუყაითობას და სიმტკიცეს მათთვის ჩვეულ დარგებში ნადირობასა და სამხატვრო



ბრეწველობაში, სამკედლო საქმესა და იარაღის წარმოებაში — მოგზაურები არ ამჩნევენ, რომ ყველა ის ხალხი ხარჯავს იმდენ შრომას, რამდენიც იმისთვის შესაძლებელია და საჭირო ამა თუ იმ ეკონომიურ პირობებში.

მიუხედავად ასეთ სიძნელებისა, მეცნიერებამ მაინც შესძლო ზოგიერთი რამის გამორკვევა კაცობრიობის განვითარების მსვლელობაში. ბევრი რამ გამოურკვეველი რჩება, ბევრი ნაკლებათაა გამორკვეული, მაგრამ სამაგიეროდ აღინიშნა მთავარი მიმართულება, რომლითაც უნდა მოხდეს გამორკვევა. თანამედროვე მეცნიერება უფრო და უფრო დარწმუნებული მიდის იმ მიზნისაკენ, რომ ერთო მეორის კავშირი აღმოაჩინოს განვითარების თანმიმდევრობით საფეხურებში და დაგვანახოს კაცობრიობის ისტორია, როგორც შეუწყვეტილი პროცესი.

## ა) პირველყოფილი კაცობრიობის ტიხნიკა

პირველყოფილი ადამიანის უშუალო წინაპარი არაფრით არ განსხვავდებოდა დანარჩენ ცხოველთა სამყაროსაგან. ეს იყო ოთხფეხა (ან, უფრო სწორედ, ოთხხელა) არსება, რომელიც ბუნებასთან ბრძოლაში ხმარობდა ისეთსავე საშუალებებს, როგორსაც მისი მსგავსი ცხოველები ხმარობდნენ. ბრძოლის შედეგი დამოკიდებული იყო კუნთების სიმაგრეზე, კბილებისა და ფრჩხილების მკრელობა-სიძლიერეზე, თვალის სისწორეზე, სმენის სიმახვილეზე, სირბილისა და ხეზე ცოცვის სისწრაფეზე. ეს არსება არ აკეთებდა იარაღებს და მოკლებული იყო ლაპარაკის უნარს, არ შეეძლო ცნებათა შექმნა, რაც მას ღირსებით ცხოველთა სამეფოზე მალა დააყენებდა. ის ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა ადამიანს.

მისი ადამიანად გადაქცევა დაიწყო იარაღის გამოყენების პროცესში. უკანასკნელი არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, როგორც გამოგონება, ე. ი. როგორც შედეგი მიზანშეწონილი და შეგნებული მოფიქრების. არ იყო ის არც აღმოჩენა, ე. ი. კომბინაცია, რომელსაც ადამიანის წინაპარი შემთხვევით წააწყდა, მაგრამ შემდეგ შეგნებულად მისცა შესაფერი დანიშნულება. ასეთ აღმოჩენებისა და გამოგონებისათვის აუცილებელი წინასწარი პირობები არ არსებობდა: არ არსებობდა აზროვნება, რომელიც ცნებებში აყალიბებს საგანთა კავშირს, მათ ცვლილებების კანონებს და რომელიც ქმნის იმ შესაძლებლობას, რომ გარკვეულ მიზანთა მისაღწევად, გამოყენებული იქნეს განსაზღვრული საშუალებები.

იარაღების გამოყენება არ იყო უეცარი გამოგონება ან აღმოჩენა, ის განვითარდა როგორც ცვლილებათა ნელი პროცესი, მრავალათაესულ წლების, შეიძლება მთელ გეოლოგიურ პერიოდების მანძილზე. ეს პროცესი მიმდინარეობდა შეუმჩნეველად. ძირველყოფილი არსების გონება ამ ცვლილებებს ვერ სწვდებოდა, როგორც ვერ აღწევს ზოოლოგიური ერთეულის შეგნებამდე ვერც ერთი ის ცვლილება, რომელიც მალა სწევს მის შეგუების უნარს.

პირველი იარაღები წარმოადგენდნ გარეგან ბუნებრივ ორგანოების დამატებას, გაძლიერებას ან გაგრძელებას. ქვა, რომლითაც ნაყოფის მაგარ ნაქუქს სტეხენ, ეს იგივე მუშტია, მხოლოდ უფრო მაგარი. ჯოხი, რომლითაც მალა მობმულ ნაყოფს ჩამოადგებენ, იგივეა, რაც ხელი, მხოლოდ ხელოვნურად დაგრძელებული და უფრო გაღონიერებული. განვითარების პირველ საფეხურებზე ადამიანის წინაპარი მიმართავს ჯოხსა და ქვას ხანდახან, შემთხვევით იღებს მათ ხელში ისე, როგორც ხვდება, არავითარი გადაკეთება არ შეაქვს მათში და მუდამაც თან არ ატარებს. მხოლოდ ბუნებასთან ბრძოლის ხანგრძლივ პროცესში განმტკიცდა და რეგულიარი ხასიათი მიიღო იარაღის ხმარებამ, ის იყო გამოსადეგი ცვლილება, რომელიც მოდგმის არსებობას ასე თუ ისე აძლიერებდა.

პირველი იარაღები ძალიან მარტივი იყვენ, მაგრამ მათ მაინც მოახდინეს თავისი ზეგავლენა თითონ ადამიანზე. ამ იარაღების ხმარებაში, ხელი სულ უფრო ვითარდებოდა, როგორც მარტო საგნის წასავლები ორგანო. ამ მიმართულებით, ის ხდებოდა არა ერთი რომელისამე შრომითი ენერჯის ორგანოდ, როგორც სხვა დანარჩენ ცხოველებში. ის იქცეოდა უნივერსალურ ორგანოდ, რომელიც იარაღის ხმარებით ავსებს სხვა ორგანოებს და სწევს მათ მაგიერობას. მაგრამ ხელის ფუნქციების ასეთი განვითარება გულისხმობს ტანის ამართულ მდგომარეობას. იარაღის ხმარება ქმნის წინსვლას, ადამიანის, მომგვანო არსება ამ წინსვლაში, ვითარდება ისე, რომ თითონ აკეთებს მერე და მერე იარაღებს, ამასობაში ის იქცევა ორფეხა არსებად, ნამდვილ ადამიანად.

სხვა ცხოველის აგებულებაში შრომის იარაღია მათივე სხეულის ორგანოები. ის ეგუება ბუნების პირობებს იმით, რომ ეს ორგანოები თანდათან იცვლებიან, ვითარდებიან და სხვადასხვაგვადებიან. ადამიანი ეგუება არსებობის ცვალებად პირობებს იმით, რომ შრომის იარაღი თანდათან ვითარდება, იცვლება, უმჯობესდება და სხვადასხვაგვადება.

იმ უშორესი, ყინულოვანი ხანიდან, რომელსაც ჩვენ მრავალი ათეული ათასი წელი გვაშორებს, როცა ევროპაში ადამიანის უეჭვე-

ლი კვალი სჩანს დღევანდელ დღემდე. ადამიანის სხეულმა შესამჩნევი ცვლილებები განიცადა: შეიცვალა შედარებითი ღონე წინა და უკანა კიდურების, გადიღდა თავის ქალა, შემცირდა წარბის ძვლები, „მზესურთი“ ყბები გადაიქცა ადამიანურ ყბებათ და სხვა. მაგრამ თუ შივილებთ მხედველობაში ცხოველთა ორგანოების ცვლილებებს არსებობის ახალ პირობებთან შეგუებაში თუ შევადარებთ ამ ცვლილებებს. და იმ უფსკრულს, რომლითაც ადამიანის და ველურის ცხოვრება დაშორებულია ერთი მეორისაგან. ჩვენთვის აშკარა იქნება, რომ ადამიანის სხეულმა ათ და ასი ათას წლებში შედარებით ნაკლები ცვლილება განიცადა. საყურადღებოა ამავე დროს, რომ ეს ცვლილებები მეორედი, წარმოშობითი ხასიათისაა. ამ ცვლილებების მიზეზი ის არის, რომ ადამიანი გავლენას ახდენს ბუნებაზე არა უშუალოდ, არა თავისი სხეულის ორგანოებით, არამედ იარაღებით, რომლებიც მუდამ ვითარდებიან. ცვლილებას იმის ორგანოებში — და კერძოდ მის ნერვიულ და ტვინის სისტემაში — იწვევს შეგუებას წარმოებასთან, რომელიც იზრდება და იარაღების ხმარებასთან, ის გამოწვეულია საწარმოო ტექნიკის განვითარებით.

ადამიანის საარსებო ბრძოლაში ბიოლოგიური შერჩევა სულ უფრო და უფრო იკავებდა მეორე ადგილს ტექნიკურ შერჩევასთან შედარებით: იმარჯვებდნენ ის ჯგუფები, რომლებსაც შრომის იარაღები (და საბრძოლველი იარაღები) უფრო განვითარებული ჰქონდათ.

პირველ საფეხურებზე იარაღების ხმარება ძალიან ნელა ვითარდებოდა. ადამიანი მხოლოდ ბუნებასთან ბრძოლის პროცესში იქცეოდა იარაღის მკეთებელ არსებად.

ათასეულ წლების მანძილზე, არსებობისათვის სასტიკი ზოოლოგიური ბრძოლა ახდენდა გავლენას იარაღის განვითარებაზე, მარტივი იარაღის ადგილს იჭერდა უფრო და უფრო რთული იარაღი. ქვისა და ჯოხის ერთმანეთზე მიმაგრებამ საკრავით, მცენარეულის ბოქკოებით შექმნა ჩაქუჩი, ამითი მერე შეიცვალა ქვის ფორმა და ამ დიფერენციაციის პროცესში ის გადაიქცა წერაქვად, ცულად და შუბად, რომელსაც ბოლოში გაკეთებული ჰქონდა წამწვეტებული ქვა, თევზის ძვალი ან ირმის რქა. ხამანწკები და მაგარი ქვის ნამტვრევები გადაიქცა პირველი დანის ფორმად. იარაღების შემდგომი განვითარება გამოიხატება მათ დიფერენციაციაში, თითოეულ მათგანს მიეცა განსაკუთრებული დანიშნულება და გაუმჯობესდა თითოეული მათგანის დამუშავება. ჯოხის მცენარის ბოქკოებით გადაბზა ზოგ შემთხვევაში შესცვალა გახვრეტილი ქვის ხის ტარზე წამოცმამ. შემ-

თხვევით ნაპოვნი ქვის ადგილი დაიკავა გამოტეხილმა და გათლილმა ქვამ. ყოველივე ეს გულისხმობს ადამიანის განვითარების უკვე ძალიან მაღალ საფეხურს, აქ უკვე საკმაოდ დიდი მანძილითაა ის დაშორებული დანარჩენ ცხოველთა საშფოს.

რაც შეეხება პირველყოფილი ადამიანის ბინას, ამაზე ლაპარაკიც კი არაა საჭირო. დროებით თავშესაფარს ის კპოულობდა შემთხვევით შეხვედრილ გამოქვაბულში, ხის ფულტროში ან ხშირ ტოტებში. ტროპიკულ ქვეყნებში ალბად ძალიან ადრე გაჩნდა ხის ტოტებისაგან დაწული ქოლგა გავარვარებული მზისაგან დასაფარავად აქედან შემდეგ წარმოიშვა სხვადასხვა სახის თავშესაფარი, რომელიც ჯერ ალბად კეთდებოდა ცეცხლის დასაფარავად ქარისა და წვიმისაგან. მოძრავი და ბუნებრივი ბინები თანდათან გაჩნდა მერინდელ ხანებში მეჯოგეობის და მიწის მუშაობის განვითარებასთან ერთად. ტანსაცვლის განვითარებაც უგვიანეს შედეგს წარმოადგენს.

ცეცხლის ხმარება კულტურის ძალიან ადრინდელ საფეხურებს ეკუთვნის. რამდენადაც შესაძლებელია მისი დასაწყისის გათვალისწინება, ვიფიქროთ, რომ ის პირველათ გამოჩნდა მეხისაგან ან ვულკანის ამოხეთქილი სითხისაგან. ცეცხლს არ აჩენდენ, მზად ღებულობდენ და გადაიტანდენ ერთი ადგილიდან მეორეზე. პირველყოფილ ადამიანს თან დაჰქონდა ის თავის მოგზაურობის დროს. ცეცხლის შენახვა ადრიდანვე შეიქნა პირველყოფილი ადამიანის ერთ ერთი მთავარი საზრუნავი. ჯერ ცეცხლით ის აშინებდა გარეულ მხეცებს. საქმლის გასაკეთებლად ცეცხლს მიმართეს. უფრო გვიან, — ყოველ ეჭვს გარეშეა, მიწათმოქმედების საკმაოდ მაღალ საფეხურზე ცეცხლს აჩენდენ ხის ნაჭრების ხეხვით ან კაუიდან გამოკვეცებით. იარაღების გაკეთება — ამ იარაღების ქვისა და ხის ნაწილების გათლაგახვრეტა ალბათ თანდათან უწყობდა ხელს ცეცხლის ხელოვნურ გაჩენას. მაგრამ ამ საფეხურზედაც ცეცხლს აჩენდენ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. უმთავრესად კი, ცეცხლს მხოლოდ ინახავდენ ან ღებულობდენ ერთი მეორისგან.

პირვანდელი ადამიანის შრომა თითქმის სულ საქმლის შოვნასა და გარეულ ნადირებთან ბრძოლაზე იხარჯებოდა. პირველად ადამიანი არ იყო მონადირე ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მისი მთავარი საზრდო იყო მცენარეულობა. პრიმიტიულ იარაღებით აღკუთრვილი ის იმდენადვე ნადირობდა გარეულ ცხოველებზე, რამდენადაც ეს უკანასკნელები მასზე. ხორციულობას ის უფრო ეძებდა და აგროვებდა, ვინემ ნადირობით შოულობდა. მიწის დამუშავება

პირველყოფილმა ადამიანმა არ იცოდა, ის მხოლოდ ეძებდა და აგრო-  
ვებდა მცენარეულ ნაყოფს, ფესვეულს და სხვა საკვებს.

ძუძუმწოვარი პირუტყვის ხორცი, თევზი, ხამანწყებს და სხვ. რაც  
ნაპირზე რჩებოდა ზღვის ან მდინარის გადმოდენის გამო, მცენარის  
ფესვეულს, ყლორტებს და თესლს პირველყოფილი ადამიანი სჭაზდა  
ისე, როგორც ჰპოულობდა. მისი ორგანიზმი ითვისებდა ამ საკვებიდან  
შედარებით მცირე ნაწილს. ამიტომ საზრდო ბევრით მეტი იყო სა-  
ჭირო, ვიდრე შემდეგ, როცა მისი შეთვისება ადვილდებოდა სხვადა-  
სხვა მომზადებით: დაფქვით, გამოცხობით, ხარშვით.

საქმლის მოთხოვნილება მთავარი საფუძველი იყო პირველყო-  
ფილი ადამიანის სამეურნეო საქმიანობის. თითქმის მთელი მისი სა-  
ქმიანობა უშუალოდ უნდებოდა საზრდოს შოვნას. შიმშილისგან  
ადამიანი მიემგზავრებოდა საზრდოს საძებრად და ეძებდა, სანამ  
არ წააწყდებოდა იმ შესაძლებლობას, რომ შიმშილი მოეკლა. მისი  
შრომითი ენერჯია იმ დროის პირობებში ბოლომდე იწურებოდა.  
როცა კუჭს ამოივსებდა ძნელად მოსაწვლელი და ნაკლებ ნოყიერი  
საქმლით, ადამიანი მიეცემოდა ხოლმე ძილს, საქმლის შონელებაც  
მოითხოვდა ისევ ორგანიზმის მხრივ დიდი ენერჯიის დახარჯვას.  
როცა ორგანიზმი დასძლევდა ამ ძნელ სამუშაოს, შიმშილი ისევ  
აიძულებდა ადამიანს, ხელახლა ეძებნა საქმელი.

ის არ აკეთებდა მარაგს. მოხეტიალე ცხოვრების დროს საკვების  
შენახვა საერთოდ ძნელი იყო, ხოლო ძუძუმწოვართა ცხოველების  
ხორცი სულ არ შეინახებოდა. მსხვილფეხა ძუძუმწოვარი ცხოველი  
ძალიან იშვიათათ უვარდებოდა ხელში ადამიანს. შრომის ნაყოფიე-  
რება დაბალი იყო, და ზედმეტათ არაფერი მოიპოვებოდა. ჯგუფი  
დაუყონებლივ ნთქავდა ყველაფერს, რასაც კი თავზე წააწყდებოდა.

ამნაირათ პირვანდელ ადამიანს მთელი თავისი შრომა ძლივს  
ყოფნიდა შარტო გამოსაკვებად. მთელი მისი ძალ-ღონე უნდებოდა  
მხოლოდ მის არსებობას. მთელი ენერჯია, რომელსაც ადამიანი იძენ-  
და საზრდოობის პროცესში, მთლიანად საზრდოს შოვნაზე იხარჯე-  
ბოდა. მთელი საქმელი, რომელსაც ის შოულობდა, მიღიოდა შრო-  
მის პროცესში დახარჯული ენერჯიის აღსადგენად. არ იყო ზედმეტი  
შრომა და არც ზედმეტი ნაწარმოები.

ბუნების გავლენა პირველყოფილ ადამიანზე უსაზღვრო იყო.  
მხოლოდ შრომის იარაღების განვითარებამ ის თანდათან გამოიყვანა  
ბუნების სრული, უშუალო, ზოოლოგიური მონობისაგან. მხოლოდ  
ტენნიკის წინსვლაში, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების  
ზრდაში შეიქმნა განსაკუთრებული არე. რომელსაც ადამიანი უპი-

რისპირებდა ბუნების სტიქიურ ძალებს. და მხოლოდ ამ არის განვითარებასთან ერთად განვითარდა ადამიანის გონებაც.

## ბ) პირველყოფილი ჯგუფის სტრუქტურა

გასულ საუკუნის მიწურულში ბიუხერმა წამოაყენა ის თეორია რომ „საზრდოს ინდივიდუალური ძიებნა“, მეურნეობის პირველყოფილი საარჩულია, და არ ჰქონდა სრულიად ადგილი საზოგადოებრივ ურთიერთობას, როგორც გამოსაველ წერტილს პირვანდელ ადამიანის არსებობისასო.

ბიუხერისათვის მთავარ წყაროს წარმოადგენდა ლიბერტი (მისთორტომიანი შრომა ადამიანის კულტურის ისტორიისა). ლიბერტი კი, შეიძლება უნებლიედ ისახავს პოლემიკურ ამოცანებს, ძალიან არ მოსწონს წარმოდგენა პირველყოფილ საგვაროვნო კომუნიზმის შესახებ, ცდილობს მის დარღვევას და ამასობაში ყოველ ნაბიჯზე წინააღმდეგობაში ვარდება. ხან ამბობს, რომ „საზოგადოებრივი ცხოვრება აუცილებელი წინასწარი პირობაა ყოველგვარი კულტურისო. და შემდეგ ამტკიცებს, სანამ საზოგადოებრიობა დაიწყებოდა, ადამიანი უკვე იდგა კულტურის ძალიან მაღალ საფეხურზეო; ხან გადაჭრით უარყოფს პირველყოფილ ადამიანების ყოველგვარ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ხან უკან იხევს და ლაპარაკობს მხოლოდ საზოგადოებრივი კავშირის უქონლობაზე, რომელსაც საფუძვლად ედება „საკუთრების უფლების ცნობა“.

უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით საყურადღებოა, „საზრდოს ინდივიდუალური ძიებნის“ თეორია მჭიდროდ არის დაკავშირებული იმის მტკიცების ცდასთან, რომ ადამიანის კულტურა იწყება ხაკუთრების ან მოწესრიგებული მფლობელობის დაწყებიდან; ხოლო აქედან ის დასკვნაა, რომ კულტურის სათავე დაკავშირებულია ბურჟუაზიულ საზოგადოებისნაირ ურთიერთობასთან. ლიბერტის გზით ბიუხერიც ამტკიცებს, რომ „მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს' ზ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს ს ა კ უ თ რ ე ბ ა ზ ე დ ა მ ყ ა რ ე ბ უ ლ ა დ ა მ ი ა ნ თ ა უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა ს, ქ ო ნ ე ბ ი ს დ ა გ რ ო ვ ე ბ ა ს“. ნამდვილად კი დღეს ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ საკუთრების ურთიერთობებზე აშენებული საზოგადოება წარმოადგენს ხანგრძლივ განვითარების შედეგს და რომ მეურნეობის საძირკველი მრავალათასეულ წლების მანძილზე იყო „არა ქონების დაგროვება“, არამედ სულ სხვა რამ.

ლიბერტი — ბიუხერის პირველი წყარო — უარყოფს პირველ-ყოფილი ადამიანის საზოგადოებრიობას თავისი წიგნის ზოგიერთ ადგილებში, და იმავე წიგნში სხვა ფურცლებზე არღვევს თავისვე ამ უარყოფას. ამბობს, რომ პირველყოფილი ადამიანები წარმოდგენენ პატარ-პატარა და ცალკეებულ ჯგუფებს. ის შესაძლებლად ხედავს დაუშვას რომ სხვადასხვა ჯგუფები ერთდებოდენ ნადირობაში და მხეცებისაგან თავის დასაცავად. კიდევ მეტიც: ჯგუფი, რომელიც წარმოიშვა დედის გვერდით და შეკავშირებული იყო არა მარტო მეზობლობით, არამედ ერთიან შრომითაც, ლიბერტისთვის წარმოდგენს საზოგადოების იმ პირველ სახეს, რომელსაც ადგილი მიეცა უკვე პირვანდელ ადამიანებში. ლიბერტიც სისხლით ნათესაობას, გვარს თვლის იმ ფუძედ, რომელზედაც ვითარდება შეკავშირება შრომის პროცესში.

ამ გვარად, ერთ დროს გავრცელებული ლიბერტ-ბიუხერის თეორია ველარ შეარყევს თანამედროვე მეცნიერებაში დამყარებულ შეხედულებებს: ადამიანი ამთავიდანვე გვევლინება, როგორც საზოგადოებრივი ცხოველი; სისხლის ნათესაობა იყო დაწყებითი საფუძველი საზოგადოებრივ ურთიერთობის და პირველ რიგში შრომის საზოგადოებრივ ურთიერთობის.

უაკანსკენლ დროს, ზოგიერთი მარქსისტებიც უარყოფენ პირველყოფილ კომუნიზმს, როგორც ადამიანის განვითარების საფეხურს. ისინი ახდენენ ამ შემთხვევაში მარქს-ენგელსის შეხედულებათა გადასინჯვას, მაგრამ ეს იმის ბრალია, რომ მათ არ აქვთ სავსებით ნათელი წარმოდგენა, იმ საგანზე, რომელზედაც არის ლაპარაკი.

ლაპარაკია არა იმ კომუნიზმის შესახებ, რომელიც მოყვება ადამიანის ხანგრძლივ განვითარებას, იმის ტენიკას, საზოგადოებრივ ფორმების ცვლას და შეგნების წინსვლას. ლაპარაკია იმ ერთობის შესახებ, რომელიც წარმოიშვა თითქმის ბიოლოგიურად, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში შეეჯახება არ მოსვლია საწარმოო ძალთა განვითარებასთან. პირიქით ეს განვითარება განსაზღვრულ საფეხურებზე და განსაზღვრულ ფარგლებში ხელს უწყობდა იმის განმტკიცებას და ხელუხლებლათ შენახვას. ლაპარაკია ერთობის იმ საფეხურის შესახებ, რომელიც უაკანსკენლ დრომდე ახასიათებდა ეგრედ წოდებულ „დიდ ოჯახს“ და რამდენიმედ — წვრილბურჟუაზიულ ოჯახსაც მის დარღვევამდე.

სწორად საკითხი უნდა დაისვას ასე: პირვანდელი ადამიანი ეგუებოდა თავის არსებობის პირობებს, ინდივიდუალურათ, როგორც ეგუებიან ცალკ-ცალკე ზოოლოგიური ერთეულებ, თუ რომ

გორც თავისუფალ მეტოქეობის დროს ეგუება კაპიტალისტი, ან თავისუფალი ხელოსანი ან განცალკევებული გლეხი? მეორე მხრივ, პირველყოფილი ადამიანი ეგუებოდა იმავე პირობებს თავის ჯგუფში და თავის ჯგუფის შემწეობით. და მერე — ადამიანის მოდგმა თავიდანვე იმდენად გამოყოფილია, რომ მოქმედებს ჯგუფის მეშვეობით, ჯგუფში და შეგნებულად მისდევს თავის პირად ინტერესებს, ჯგუფს უპირდაპირებს თავის თავს თუ ის იმდენად ორგანიულად არის მასთან დაკავშირებული, როგორც ეს მაგალითად შემჩნეულია ჯრგებად შეერთებულ ცხოველებში, რომელთა შორის მეთაურის გამოყოფაც კი ბიოლოგიური შეგუებითაა გამოწვეული არსებობისათვის ბრძოლაში, რომელიც წარმოებს ჯგუფისათვის და არა მისი ცალკე ერთეულისათვის?

როცა ამ კითხვებზე პასუხს ვეძებთ, უნდა ვალიაოთ, რომ პირველყოფილ ადამიანს თავისთავათ არ შეეძლო არსებობა, თუ არ იქნებოდა ერთნაირი ფარგლები ბიოლოგიურად წარმოშობილი და განმტკიცებული კომუნიზმისა, რომელიც მერე და მერე დასაყრდენს კპოულობდა ტენიკის ზოგიერთ ფორმებშიაც.

რასაკვირველია, უკვე ათეულ ათას წლებს წინ მარხავდენ მიცვალებულთან იარაღებს, ზოგიერთ ქურჭლებს და სანოვავს ერთგვარ რაოდენობას. მაგრამ, პირველად, ეს მოვლენა შაინც ეკუთვნის განვითარების ძალიან მაღალ საფეხურებს, როცა მნიშვნელოვანი მარაგის დამზადება უკვე ჩვეულებრივი იყო და როცა ჯგუფს შეეძლო დაეთმო ისიც და იარაღების ნაწილიც და ამით სიკვდილის ხიფათში არ ჩაეგდო თავისი არსებობა. მეორე — ნაჩქარევი იქნებოდა ის დისკენა, რომ ასეთი დამარხვის წესები მოწმობენ „კერძო“, „ინდივიდუალური“ საკუთრების გაჩენას მიცვალებულთან ჩატანებულ ნივთებისა. საოჯახო, განუყოფელი საკუთრების არსებობის დროსაც, ოჯახის წევრს, როცა შორს სადმე მიემგზავრება, შიქვს თან ყველაფერი, რაც მისთვის საჭიროა და რაც ოჯახს არაფრით მოაკლდება. სწორედ ასე იყო, როცა მომთაბარე ჯგუფები იძულებულნი იყვნენ დაეტოვებიათ ავთომყოფი. უტოვებდენ ამ ავთომყოფს არა მარტო მის საკუთრებას, არამედ ყველაფერს, რისიც გამოყოფა შეიძლებოდა საერთო მარაგიდან. „დამარხვაში“ კი პირველ ხანებში თითქმის ოგივე იყო იმის წარმოდგენებში, რაც ავთომყოფი წევრის იძულებითი დატოვება, რომელიც შეიძლება ისევ შეუერთდეს მას. ამნაირად, „დამარხვის წესების“ მიხედვით სულაც არ შეიძლება იმის თქმა, რომ პირველყოფილი ჯგუფი პარტივისცივით ეპყრობოდა ვითომ უკვე განვითარებულს „კერძო საკუთრებას“. შეიძლება უფრო



ითქვას, რომ ეს ჯგუფი ზოგადად მსხვერპლს თავის ჩამორჩენილი წევრის დასახმარებლათ.

საკითხს მეორე მხრივაც უნდა მივდგომა.

პირველყოფილ ადამიანებში, როგორც თანამედროვე ველურებში, ბავშვების ძუძუს წოვა ეტყობა, ძალიან დიდ ასაკამდე გრძელდებოდა, ხოლო მოწიფულობა შედარებით ადრე იწყებოდა. იმ მოკლე დროში, რომელიც ამ ორ ხანას ერთი მეორისაგან ყოფიდა, — როცა ჯერ ქალიშვილს დედის დანმარება ესაჭიროებოდა და მერე, როცა ის თითონ დედა ხდებოდა — ორი თაობის კავშირი კიდევ ვერ ირღვეოდა. ამნაირად, შესაძლებელი იყო არსებობა გვარის, რომელიც შეიცავდა ერთი დედისაგან წარმომდგარ რამდენსამე თაობას.

ახალგაზრდა თაობა იმ ასაკში, როცა მას ესაჭიროებოდა უფროსების მფარველობა და, შეიძლება, ძუძუს წოვაც, მონაწილეობას იღებდა საზრდოს ძებნაში. ის ითვისებდა უფროსებისგან გამოცდილებას, რომელიც მათ შველოდა საკბილო ცხოველის დაქერაში, საზრდოს უფრო უხვი ადგილების პოვნაში. ცალკე პირველყოფილი ადამიანი ადვილათ შეიქნებოდა ამა თუ იმ შემთხვევების მსხვერპლი. შემთხვევითი მოვლენა კი ყვებოდა თან საქმიანობის პირველდაწყებით მეთოდებს და შრომის იარაღების განუვითარებლობას. შრომით შეკავშირება კი ამცირებდა შემთხვევით ხასიათის მომენტებს. ვთქვათ ჯგუფის ერთი წევრი რამდენიმე დღეს ეძებდა და ვერაფერ საშოვარს წააწყდებოდა, სამაგიეროდ მეორეს უხვი საშოვარი ჩაუყარებოდა ხელში და ის მთელ ჯგუფს გადაარჩენდა აუცილებელ სიკვდილისაგან. შედარებით მსხვილი ნადირის დაქერა შესაძლებელია მხოლოდ ჯგუფისათვის. მტაცებელ ნადირთაგან თავის დაცვაც მხოლოდ ჯგუფს შეუძლია. ყოველივე ამის მიხედვით გვარობითი შეჯგუფება იყო აუცილებელი და არა მარტო შესაძლებელი.

არსებობისათვის საერთო ბრძოლა ხელს უწყობდა შეჯგუფებებს, ერთი სისხლის ნათესაობაზე. ჯგუფის სიდიდე და შეკავშირების ხარისხი სხვადასხვა იყო საარსებო ადგილის პირობების მიხედვით. რაც უფრო მდიდარი იყო ბუნება, ე. ი. რაც უფრო ადვილი იყო საზრდოს შოვნა, მით უფრო დიდი იყო ჯგუფი, რომელიც მოთავსდებოდა შედარებით პატარა სივრცეზე; მაგრამ მით უფრო დიდი იყო მისთვის საშიშროება სტიქიურ მოვლენათა და გარეულ მხეცთაგან. აქ არსებობისათვის ბრძოლას უძლებდენ მხოლოდ უფრო დიდი და უფრო მჭიდროდ შეკავშირებული ჯგუფები თავიანთ შრომითს ურთიერთობაში.

ჯგუფის მოცულობა კლებულობს და მისი შემაკავშირებელი ძაფები ნაკლებ სიმტკიცისაა, უფრო ხანმოკლე ხასიათისაა როცა ჯგუფი მოწყვედეულია იქ, სადაც ბუნება აუცილებლათ არ ხდის შეკავშირებას; სადაც გარეშე საფრთხე თითქმის სულ არ არსებობს, და სადაც საკვების ძებნა არ მოითხოვს შრომის შეერთებას, სადაც ადვილათ იშოვება მაგალ. წყლის მიერ გამოჩეული ხამანწყები და თევზი ან მცენარეული ფესვები და აქა-იქ წვრილმანი ცხოველი. მაგრამ ამისთანა სუსტს და ადვილ დასაშლელ მოხეტიალე ჯგუფებში კულტურა არ ვითარდება; ისინი იღუპებიან თუ შეტაკება მოუხდათ იმ ჯგუფებთან, რომლებსაც ბრძოლის სასტიკ სკოლაში გაუძლიერებიათ კავშირი, ან იდენებიან სადმე შორს.

შრომის დანაწილება პირველყოფილ საგვაროვნო ჯგუფში არ არსებობდა. არ სჩანდა შრომის განაწილების ჩანასახი არც ჭქესთა შორის. იმ შრომის პროცესში, რომელზედაც გვარის არსებობა იყო დამყარებული, მამაკაცს არავითარი უპირატესობა არ ჰქონებია დედაკაცთან შედარებით. ისეთ მარტივ იარაღებს, როგორც იყო ქვა და ჯოხი, ერთნაირი მომარჯვებით იხმარდა მამაკაციც და დედაკაციც.

რადგან შრომის განაწილება სრულიად არ არსებობდა, პირველყოფილ გვარში ადგილი არ ჰქონდა არც ბატონობისა და მორჩილობის ურთიერთობას. ამის გამო პირველყოფილი გვარი არც პატრიარქალური იყო და არც მატრიარქალური, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რადგან იქ არ არსებობდა საფუძველი ბატონობისათვის, საჭირო არ იყვენ ორგანიზატორები, საჭირო არ იყო გამოცალკეება შათი, ვისაც ორგანიზაცია უნდა დასჭირებოდა. თუ დედაკაცი საგვარეულო თემის ცენტრათ იქცეოდა, ეს იყო მხოლოდ ბიოლოგიური ხასიათის ფაქტი. პირველყოფილ გვარში განსხვავება არ სცილდებოდა ასაკის ბენებრივ სხვადასხვაობას. ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნ ისინი, ვისაც ესაჭიროებოდა დიდების შზრუნველობა, ვისაც არ შეეძლო შრომაში მონაწილეობა და ისინი ვისაც უკვე ჰქონდათ სრული უნარიანობა შრომაში. მაგრამ ეს უმწეობა მფარველობის ხანა იფარგლებოდა გაცილებით ნაკლებ წლებით თანამედროვე კულტურულ კაცობრიობასთან შედარებით.

განმანაწილებელი ურთიერთობა შეტად მარტივ ხასიათს ატარებდა, ის გამოხატავდა იმ ფაქტს, რომ შრომის ნაყოფიერება დაბალ საფეხურზე იდგა და ცალკე პიროვნება ითქვიფებოდა, გვარს არსებობა შეეძლო მხოლოდ გვართან. გვარში კი კულტურის უფრო მაღალ საფეხურზე ასული ველურებიც როცა რამეს შოულობენ.

ყვირილით ატყობინებენ ახლობლებს და ქამას შეუდგებიან მხოლოდ, როცა ყველანი თავს მოიყრიან. ამ ნაირი უშუალოდით გამოდის სრული თანასწორობა როგორც გასაქირში, ისე ლხინში. მხოლოდ ასეთს შეკავშირებას შეეძლო დაეფარა მისი წევრები პირველყოფილი ცხოვრების უკუღმართობისაგან. იმ დროს, როცა ადამიანი მარაგს არ იმზადებდა ის ძალიან ნელა ანვითარებდა თავის იარაღებს. უფრო სუსტად შეკავშირებულ გვარები განწირულნი იყვნენ. თავისი გვარისაგან მოწყვეტილი ადამიანი ჩქარა ხდებოდა შიმშილის ან გარეულ ნადირების მსხვერპლი.

პირველყოფილმა გვარმა საზოგადოთ არ იცის რაიმე საკუთრება ან რაიმე ქონება, თუ ასეთად არ ჩავთვლით შრომის პირვანდელ იარაღებს. მაგრამ ეს იარაღები იმდენად მარტივი იყო, რომ მათ მოსაძებნათ და დასამზადებლად უნდებოდა მეტად მარტივი შრომითი ოპერაციები, ერთობ ცოტა შრომა. შემდეგში იარაღი რთულდება, მისი დამზადება მეტ შრომას მოითხოვს, არსებობისათვის ნაყოფიერი ბრძოლა იწვევს იარაღების მეტ რაოდენობას. მაგრამ განვითარების ამ უფრო მაღალ საფეხურზედაც არ სჩანს ისეთი რამე, რაც ინდივიდუალურ საკუთრებას მოგვაგონებდეს. იარაღები მთელი გვარისაა; მას ხმარობს საგვარეულო თემის ყოველი წევრი, რომელსაც კი ეს ესაქიროება.

მაგრამ ეს მკიდრო, უშუალოდ კომუნისტური პირველყოფილი ადამიანების შემაკავშირებელი, ძაფები ძალიან ვიწრო ფარგლებში იყო ჭებმული. ამ ძაფების სფეროს არ შორდებოდა გვარის საზღვრებს, ე. ი. სისხლის ნათესაეების ჯგუფს, რომელიც ერთად ეწეოდა არსებობისათვის ბრძოლას. ძველ გვარს გამოეყოფოდა ახალი, ბრძოლა აღარ წარმოებდა ერთად და უკვე უმახლობელს თაობაში ერთი გვარი უცხო ხდებოდა მეორისათვის. მაგრამ რაც უფრო, პირვანდელი ადამიანი იქცეოდა ნამდვილ ადამიანად, რაც უფრო უმჯობესდება იარაღები, იზრდებოდა შეგნება და იწყებდა და წინ მიდიოდა მისი მეტყველება, — მით უფრო ბრძოლის ერთიანობა, რომელიც აკავშირებს ერთსა და იმავე გვარის წევრებს და აშორებს მას სხვა გვარებს. რაც უფრო მკიდროა, შინაგანი ერთობაა ყოველ ცალკე გვარში, მით უფრო ღრმაა მისი განცალკევება სხვებისაგან. რაც უფრო მაღლა დგას მეტყველების განვითარება, მით უფრო აშორებს ერთმანეთს ის ერთმანეთისაგან სხვადასხვა გვარების წევრებს. უცხო გვარები ხდებიან მტრულ გვარებად, მათში ვითარდება დაუნდობელი ბრძოლის ურთიერთობა, დამარცხებულებს სჯამენ.

ყველა მეზობელ ჯგუფებთან ბრძოლა მხოლოდ ახალს დასა-  
ყრდნობს იძლევა იმისათვის, რომ ერთი და იმავე გვარის წევრთა შო-  
რის განმტკიცდეს კომუნისტური ხასიათის ყოველივე ურთიერთობა.  
(ბოგდანოვი და სტეპანოვი — პოლიტ. ეკონომიის კურსი, ტ. I.)

## § 2. პირველყოფილი ოჯახი (მორგანით)

მორგანმა თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი იროკეზთა \*) შორის გაატარა. იროკეზები ახლაც ცხოვრობენ ნეე-იორკის შტატში. მორგანმა, რომელიც შვილობილად მიიღეს ერთერთ იროკეზთა ტომში (სენეკებმა) აღმოაჩინა, რომ იროკეზებში არსებული გვაროვნობის სისტემა ეწინააღმდეგება მათს ფაქტიურ საოჯახო მიმართებებს. იროკეზებში ბატონობდა ისეთი შეუღლება, რომელიც ორივე მხარის მიერ ადვილად დაირღვევა; ასეთ ქორწინებას მორგანი აღნიშნავს სახელწოდებით: წყვილის ოჯახით (სინდიასმია). ამრიგად ასეთი ცოლქმრული წყვილის შთამომავლობა ყველასათვის აშკარაა და ყველაც სცნობს მას. შეუძლებელი იყო რაიმე ეჭვი იმ მხრივ თუ ვინ უნდა აღნიშნულიყო სახელწოდებით: მამა, დედა, ვაჟიშვილი, ქალიშვილი, ძმა, დაი. მაგრამ ამას არ ეთანხმება ამ გამოთქმათა ფაქტიური გამოყენება. იროკეზელი თავის ვაჟად და ქალიშვილად უწოდებს არა მხოლოდ თავის საკუთარ შვილებს, არამედ თავის ძმათა შვილებსაც; უკანასკნელნიც მას მამად უწოდებენ. წინააღმდეგ თავის დების შვილებს ის უწოდებს დისშვილებს და უკანასკნელნი მას — თავის ბიძას. პირიქით იროკეზელი ქალი თავის შვილებად უწოდებს, როგორც საკუთრად თავის, ისე მის დების შვილებსაც და უკანასკნელნიც მას დედას უძახიან. თავის ძმების შვილებს კი ის უწოდებს ძმისშვილებს, და თვით კი იწოდება ბიცოლად. სწორედ ასევე ძმათა შვილები ერთმანეთს უწოდებენ ძმებსა და დებს — ამრიგადვე მათი დისშვილებიც. პირიქით ქალსა და მისი ძმისშვილები ერთმანეთს უწოდებენ მამიდაშვილებათ და ბიძაშვილებათ.

და ყოველივე ეს არა მხოლოდ სიტყვიერი ნიმუშია, არამედ წარმოადგენს ნამდვილად გაბატონებულ შეხედულებათ შორეულზე და ახლობელზე, ერთგვარობაზე და სხვადასხვაობაზე სისხლითი ნათესაობისა. და ეს შეხედულებანი წარმოადგენენ სრულებით დამუშავებულ საფუძვლებს ნათესაობის სისტემისა, რომელსაც ძალუძს გამოხატოს

\*) იროკეზები — ინდოელთა ტომია; ცხოვრობენ ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ ნაწილში. ამჟამათ მათი რაოდენობა არ აღემატება 15.000 კაცს. მისდევენ მონადირეობას და მიწათმოქმედებას.

რამოდენიმე ასეული სხვადასხვაგვარი ნათესაური მიმართებაანი ერთი ინდივიდუმიან. კიდევ მეტიც, ეს სისტემა არა მხოლოდ სავსებით ძალაშია ყველა ამერიკელ ინდოელთა შორის (დღემდე არ აღმოჩენილა არც ერთი გამონაკლისი) არამედ ის მოქმედობს აგრეთვე თითქმის ყოველგვარ ცვლილებათა გარეშე. ინდოეთის უძველეს მცხოვრებლებზედაც, დრავიდელთა ტომებში, დეკანსა და გაურას ტომებში — ინდოსტანს. ნათესაობის გამოხატულებანი სამხრეთ ინდოეთის თამილებში და სენეკა — იროკეზებში ნევ-იორკის შტატისა ორასზე მეტ სხვადასხვაგვარ ნათესაურ მიმართებებში ახლაც ერთმანეთს ხვდებიან. და სწორედ ისევე ამ ინდოელ ტომებში, როგორც ყველა ამერიკელ ინდოელებში, ნათესაური მიმართებაანი, რომელიც გამომდინარეობს მათში არსებულ ოჯახთა ფორმის სისტემიდან წინააღმდეგობაში არიან ნათესაურ სისტემასთან.

როგორ უნდა ავხსნათ ეს? იმ გადამწყვეტ როლთან, რომელსაც თამაშობს ნათესაობა ყველა ველურ და ბარბაროს ხალხთა საზოგადოებრივ წყობაში, ასე ფართოდ გავრცელებული სისტემის მნიშვნელობა, არ შეიძლება რომ ცარიელი ჟურაზებით დაყვანილ იქნას არაობაზე. სისტემა, რომელიც მთელ ამერიკაში გავრცელებულია, რომელიც აზიაშიც სულ სხვა რასის ხალხებშიაც არსებობს, რომელიც ძლიერ ხშირად, ასე თუ ისე სახეშეცვლილ ფორმებში, ყველგან გვხვდება აფრიკასა და ავსტრალიაშიც. — ასეთი სისტემა ითხოვს ისტორიულ განმარტებას, მისგან არ შეიძლება ახსნის გარეშე თავის დახწევა, როგორც ამას სცდილობდა, მაგალითად, მაკ-ლენანი. აღნიშვნანი — მამა, ბავში, ძმა, დაი, — არა უბრალოდ საპატივცემლო სახელწოდებანი, არამედ თავის თავში ითვლიან ფრიად სერიოზულ ურთიერთ ვალდებულებათ, რომელთა ჯამი წარმოადგენს მეტად არსებით ნაწილს ამ ხალხთა საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

და ახსნაც ნახულ იქნა. სანდვიჩევის კუნძულებზე (გავი) ჯერ კიდევ მიმდინარე (XIX) საუკუნის პირველ ნახევარში არსებობდა ფორმა ოჯახისა, რომელიც იძლეოდა სწორედ ისეთს მამებსა და დედებს. ძმებსა და დებს, ქალიშვილთა და ვაჟიშვილებს, ბიძებსა და ბიცოლებს, შვილისშვილებს, როგორსაც მოითხოვს ამერიკულ, ძველ ინდოელთა ნათესაური სისტემა. მაგრამ საკვირველია! ნათესაობის სისტემა, რომელიც გავაიში მოქმედობს, თავის მხრივ არ ხვდება იქ ფაქტიურად არსებულ ოჯახის ფორმას. სახელდობრ, იქ შვილები ყველა ძმებისა და დებისა, გამონაკლისს გარეშე, იწოდებიან ძმებათ და დებათ, და ითვლებიან საერთო შვილებათ არა მხოლოდ თავიანთი დედისა

და მისი დებისა, ანუ თავიანთი მამისა და მისი ძმებისა, არამედ თავი-  
წმობლების ყველა ძმებისა და დებისა, განურჩევლად.

თუ კი ნათესაობის ამერიკული სისტემა ჰგულისხმობს ამერიკაში  
უკვე არ არსებულ, უფრო პრიმიტიულ ფორმას ოჯახისა, რომელსაც  
ჩვენ ჯერ კიდევ და ნამდვილად ვნახულობთ გავაიში, მაშინ მეორეს  
მხრივ გავაიური ნათესაობის სისტემა გვიჩვენებს კიდევ უფრო პირ-  
ველყოფილ სისტემას ოჯახის ფორმისას. რომლის არსებობა, ჩვენ მარ-  
თალია, უკვე არსად არ შეგვიძლია აღმოვაჩინოთ, მაგრამ რომელიც  
უნდა არსებულყო, რადგან წინააღმდეგში შეუძლებელი იყო ნათე-  
საობის სათანადო სისტემის წარმოშობა. „ოჯახი, სწერს მისკანი, წარ-  
მოადგენს აქტიურ ელემენტს, ის ერთ ადგილას არასოდეს არა სდგას,  
არამედ მოძრაობს დაბალი ფორმიდან მაღალისაკენ, იმისდამიხედვით,  
როგორც საზოგადოება ვითარდება დაბალი საფეხურიდან უმაღლესი-  
საკენ. პირიქით, ნათესაური სისტემები პასიურია: ისინი დროის მხო-  
ლოდ ხანგრძლივი ინტერვალების შემდეგ აღნიშნავენ პროგრესს, რო-  
მელიც გაკეთებულ იქნა ოჯახის მიერ და მხოლოდ მაშინ განიცდიან  
რადიკალურ ცვლილებებს, როდესაც რადიკალურად შეიცვლება ოჯა-  
ხი“. — „და სწორეთ ასეთსავე, უმატებს მ ა რ ქ ს ი, მდგომარეობას  
აქვს ადგილი პოლიტიკურ, იურიდიულ და რელიგიოზურ-ფილოსო-  
ფიურ სისტემებში საერთოდ“.

იმ დროს, როდესაც ცოცხალი ოჯახი ვითარდება, ნათესაური  
სისტემა ერთ ადგილას იყინება, ხოლო მაშინ როდესაც უკანასკნელი  
ჩვეულების ძალით განაგრძობს არსებობას, ოჯახი უკვე გადადის მისი  
ჩარჩოებიდან. მაგრამ სწორეთ იმგვარადვე უდავო სახით, როგორადაც  
კ ი უ ვ ე ს, პარიზის ახლოს ნახული ცხოველის ჩონჩხის ძვლებით,  
შეეძლო დასკვნა, რომ ეს ჩონჩხი ეკუთვნოდა ჩანთიან ცხოველს, და  
რომ იქ ოდესღაც ცხოვრობდნენ, აწ გადაშენებული, ჩანთიანი ცხო-  
ველები, იმნაირივე უდაობით ჩვენ შეგვიძლია, ისტორიულად მექ-  
კვიდრეობით მიღებულ ნათესაური სისტემიდან დავასკვნათ, რომ არ-  
სებობდა მისი შესაფერი, უკვე გადასული ფორმა ოჯახისა.

მხოლოდ რომ მოხსენებული ნათესაური სისტემა და ოჯახური  
ფორმა განსხვავდებიან ახლა გაბატონებულისაგან მითი, რომ ყოველ  
ბავშვს ჰყავს რამოდენიმე მამა და დედა. ნათესაობის ამერიკული სისტე-  
მის დროს, რომელსაც უდგება გავაიური ოჯახი ძმა და დაი არ შეიძ-  
ლება იყონ მამათ და დედათ ერთი და იმავე ბავშვისა; გავაიური სისტემა  
კი გულისხმობს ოჯახს სადაც ეს წესი შებრუნებული იქნება. ამრიგად  
ჩვენ წინ სდგას მთელი წყება ოჯახური ფორმისა, რომლებიც პირდა-  
პირ ეწინააღმდეგებიან იმას, რაიც აქამდე ითვლებოდა ერთადერთ

არსებულ ფორმად. ტრადიციული წარმოდგენა იცნობს მხოლოდ ერთ ცოლქმრობას, მისსავე გვერდით ერთი მამაკაცის მრავალ ცოლიანობას და აგრეთვე კიდევ ერთი ქალის მრავალ ქმრიანობას; და ამავე დროს როგორც შეეფერება მორალის დამცველ „ობივატელს“ ის სდუმს, რომ პრაქტიკას ჩუმათ, მაგრამ შეუფერხებლად მაინც შეაქვს შესწორება ამ ვიწრო ჩარჩოებში, რომელიც დადგენილია უფიციალური საზოგადოების მიერ.

პირველყოფილი ისტორიის შესწავლა, პირიქით, გვიჩვენებს ჩვენ მდგომარეობას როდესაც მამაკაცები ცხოვრობენ მრავალცოლიანობაში და მათი ცოლებიც ერთდამივე დროს — მრავალქმრიანობაში, ამიტომ მათი და სხვების შვილებიც ითვლებიან მათი საერთო შვილებათ; — მდგომარეობა, რომელიც, თავის მხრივ, მის ერთცოლქმრიანობაში საბოლოოდ გარდასვლამდე, განიცდის მთელ რიგ ცვლილებებს. ეს ცვლილებები კი ხდებიან იმ მიმართულებით, რომ წრე, რომელსაც გარშემოიცავს მეუღლეობის საერთო კავშირი პირველდაწყებით ხანებშია ცდიერ ფართეა, და სულ უფრო და უფრო ვიწროვდება, სანამ, ბოლოს და ბოლოს, არ დარჩება მხოლოდ ერთი წყვილი, რომელიც ახლა სჭარბობს.

მიყვება რა, ამრიგად უკან და აღადგენს რა ოჯახის ისტორიას მორგანი, თავისი კოლეგათა უმრავლესობასთან ერთად მიდის პირველყოფილ მდგომარეობამდე, როდესაც ტომებს შიგნით ბატონობდა ყოველმხრივ შეუზღუდველი სქესობრივი მიმართებანი, ისე რომ ყოველი ქალი ერთრიგად ეკუთვნოდა ყოველ მამაკაცს, ხოლო ყოველი მამაკაცი — ყოველ დედაკაცს. ამრიგ პირველყოფილ მდგომარეობაზე ლაპარაკობდნენ ჯერ კიდევ წარსულ (XVIII) საუკუნეშიაც. მაგრამ მხოლოდ საერთო ფრაზებით; ბახოფენმა პირველმა, — და ამაშია მისი ერთი დიდი დამსახურებაც, — მოეკიდა სერიოზულად ამ საკითხს და ეძებდა ის ამ მდგომარეობის ნიშნებს ისტორიულსა და რელიგიოზურ თქმულებებში. ახლა ჩვენ ვიცით, რომ მის მიერ აღმოჩენილ ნიშნებს მიეყავდით არა საზოგადოებრივ საფეხურებისაკენ მოუწესრიგებელ სქესობრივი მიმართებებისა არამედ ბევრად უფრო გვიანდელი ეპოქის ჯგუფობრივი შეუღლებებისაკენ. ეგ, პრიმიტიული საზოგადოებრივი საუბეხური, თუ კი ის ნამდვილად არსებობდა, ეკუთვნის იმდენად შორეულ ეპოქას, რომ საეჭვოა შეიძლებოდეს სოციალურ ამონათხარებში, დარჩენილ ველურებში, პირდაპირი დამამტკიცებელ საბუთების გამონახვა მისი წარსულში არსებობისა.

მორგანის აზრით, სქესობრივი მიმართებათა პირველყოფილ მოუწესრიგებელ მდგომარეობიდან, ალბად, ძლიერ ადრე განვითარდა

ოჯახი, რომელიც იქნებოდა აშენებული სისხლი-  
თი ნათესაობაზე — პირველი საფეხური ოჯახ-  
ისა. აქ შეუღლებული ჯგუფები დანაწილებულია თაობებათ: ყვე-  
ლა ბაბუები და ბებიები ერთი ოჯახის ფარგლებში ერთი მეორისა-  
თვის არიან ქმრები და ცოლები, ასევე მათი შვილებიც, ე. ი. მამები  
და დედები; ამრიგადვე უკანასკნელთა შვილები წარმოადგენენ ასეთ  
საერთო ცოლქმართა მესამე წრეს, ხოლო მათი შვილები, პირველთა  
შვილისშვილის შვილები, მეოთხე წრეს. ამრიგად ოჯახის ამ ფორმა-  
ში დაუშვებელია მეუღლეობრივი უფლებების და ვალდებულებათა  
არსებობა (თანამედროვე სიტყვით რომ ვსთქვათ) მხოლოდ წინაპართა  
და შთამომავალთა შორის, მშობელთა და შვილთა შორის. ძმები და  
დედები, ბიძაშვილები, ა. შ. ძმები და დები — ყველანი ითვლებიან ერ-  
თიმეორეში ძმებად და დებათ და უკვე ამის ძალით ქმრებათ და ცოლე-  
ბათ ერთიმეორისა. ოჯახის ამ საფეხურზე საკმარისია იყო ძმათა და  
დათ, რომ თავისთავად საგულისხმებელი იყოს ურთიერთ სქესობრივი  
კავშირი. ამგვარი ოჯახის ტიპური მაგალითი იქნებოდა ერთი წყვი-  
ლის. შთამომავლობა, სადაც ყოველ შემდგომ თაობაში ყველანი წარ-  
მოადგენენ ძმებსა და დებს და მამასადამე ქმრებსა და ცოლებს ერთ-  
მანეთისა.

სისხლითი ნათესაობაზე აშენებული ოჯახი გადაშენდა. თითქმის  
ყველაზე ველური ხალხები, რომელთა შესახებ მოგვითხრობს ისტო-  
რია, არ გვაძლევენ ჩვენ არც ერთ უდავო მაგალითს ამისას, მაგრამ,  
რომ უნდა ვალიაროთ, რომ ასეთი ოჯახი უნდა არსებულყო. გვაი-  
ძულებს ჩვენ გავაიური, მთელს პოლინეზიაში დღემდეც კიდევ ძა-  
ლაში დარჩენილი სისტემა ნათესაობისა, რომელიც გამოიხატება სის-  
ხლითი ნათესაობის ხარისხში, და რომელსაც წარმოშობა შეეძლო  
ოჯახის ფორმის მხოლოდ ამგვარ სისტემაში და რომელიც ამრიგად  
ჰგულისხმობს ამ ფორმის არსებობას, როგორც აუცილებელ მის პირ-  
ველდაწყებით საფეხურს.

(ენგელსი — ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა).

## § 8. ნადირობა და მისი მნიშვნელობა უძნულოვან პერიოდში

რამდენადაც პირველყოფილ ადამიანს ყინულოვანი პერიოდი-  
სა, — როგორც ეს ახლა ავსტრალიელ ზანგს, — არ ჰქონდა შვილდ-  
ნისარი, ხოლო სასროლი შუბისა და სასროლი 'კომბლი', გამოჟყენება  
შეიძლება მხოლოდ არა დიდ მანძილზე, ამიტომ ადვილი საფიქრებ-



ლია, რომ მაშინდელი მონადირენი, როგორც თანამედროვე ავსტრალიელი მონადირენი, ჯერ კარგა მიეპარებოდენ ნადირს და შემდეგ მიუხალოვებოდენ რა მხეცს, ყველანი სწრაფად და ერთბაშად მიუხტებოდენ მას და დაუშენდენ თავიანთ სასროლ იარაღებს. მაგრამ ასეთი ხერხიანობა, მიპარვისა, ნადირისათვის მიხტომისა და მისი მოტყუებისა, მოითხოვს მახვილ დამკვირვებლობით უნარიანობას და აგრეთვე მხეცის ხასიათისა და ცხოვრების ჩვეულებათა ცოდნას. ეს თვისებები, როგორც გასაკვირველი უნარიანობა ცხოველთა ნაკვალევის შეცნობისა და მისი ამ ნაკვალევით გადევნებისა, ცნობილია ყველა დაბალ საფეხურზე მდგარ მონადირე ხალხებში. და, ალბად, პირველყოფილი მონადირე მეოთხედიანი ეპოქისა ფლობდა ამრიგ უნარიანობას.

მხოლოდ ერთ მიმართებაში ჰქონდა პირველყოფილ მონადირეს უპირატესობა ავსტრალიელებისა და თითქმის სამხრეთ-აფრიკელ ბუშმენებისა და გაუტეხელ ბრაზილიის ტყეებში მცხოვრებთა წინაშე. სამხრეთი და შუა ევროპა, ყინულოვანი პერიოდების თბილ შუალედებში, ბევრად უფრო მდიდარი იყო მსხვილი ძუძუმწოვარა ცხოველებით ვინემ სამხრეთ აფრიკის ოლქები და ბრაზილიის ტყეები.

ადამიანი ნადირობდა ამ ცხოველებზე და სჭამდა მათ, როგორც ამას ამტკიცებს ყოველგვარ ცხოველთა ძვლების დიდი რაოდენობა. ნახული ქვის იარაღებთან და ადამიანთა ჩონჩხის ნაწილებთან ერთად. ასე, მაგალითად, ტაუბახის კირიან თირში, ვაიმართან ახლოს, ესე იგი, საკმაოდ სამხრეთ ადგილას, ნახულ იქნა: მეოთხედიანი ეპოქის უზარმაზარი სპილოს ძვლები, ასევე ცხვირქოსანის, მღვიმეების ლომის, მღვიმეების დათვისა, მღვიმეების ძაღლის, ირმის, თხის, ბიზონის, გარეული ღორის, გარეული ცხენის, მგლისა და თახვის ძვლებიც. და, რომ ეს ძვლები კირიან თირში, იქ სადაც ნახეს, არა შემთხვევით არიან მომხვდარი, არამედ წარმოადგენენ, ყოველ შემთხვევაში თავის მნიშვნელოვან ნაწილში მაინც, ადამიანთა ნასუფრალს (ნამუსრეფს), მტკიცდება იმ გარემოებით, რომ ეს ძვლები ნაწილობრივ ატარებენ ცეცხლის (განახშირების) ნიშნებს.

ამის მსგავსავე ფაუნას (ცხოველთა სამეფოს) წარმოადგენს კრაპინის, აგრამთან ახლოს (კროატია) ნახული ნარჩენები, რომელშიაც ისევე გამწვარ, გადამტვრეულ ადამიანთა ძვლებსა და ქვაზ იარაღებთან ერთად ელაგნენ ცხვირქოსანის, ბანჯგელიანი დათვის, მღვიმეების დათვის, სხვადასხვაგვარი ირმების, ბიზონის, გაზელის, თახვის, გარეული ცხენის, გარეული ღორის და მგლის ძვლები; და სახელდობრ ცხვირქოსანისა და დათვის ძვლები ნახულ იქნა ქვედა

ფენებში, რომლებიც უმთავრესად უნდა მიკუთვნილ იქნას მეორე ყინულოვანი პერიოდის შუალედისათვის, ხოლო ძვლები გარეული ღორის, მგლის. თახვის და გარეული ცხენისა ელაგნენ ზედა ფენაში, რომლებიც რამდენადაც გამოკვლევებმა გვიჩვენეს. წარმოსდგნენ მხოლოდ მესამე ყინულოვანი პერიოდის შუალედის დასასრულს.

მიუხედავად ნადირის ასე სიმრავლისა, უნდა ვიფიქროთ, რომ მეოთხე ყინულოვანი პერიოდის ევროპიელი ხშირად ითმენდა ხორცეული საკვების უქონლობას და არ წუნობდა ადამიანისავე ხორცსაც. ერთერთ ჭვედა ფენაში კრაპინის განათხრებისა ნახულ იქნა მრავალი ასეული ადამიანის დამტკრეული ძვლები და ქალები, რომელთაც ამტკრევედენ რათა ამოეღოთ ტვინი და სიმსუქნე, — უღაო ნაშთებია კანიბალელთა სუფრისა.

(ჰაინრიხ კუნოვი — ნარკვევები პირველყოფილი კულტურის ისტორიიდან).

#### § 4. პირველყოფილი ჯგუფის რიცხვობრივი შემადგენლობა და მისი შინაგანი წყობა.

არ შეიძლება დებეჯითებით ითქვას, თუ რა სიდიდისა უნდა ყოფილიყვნენ პირველყოფილ ადამიანთა ჯგუფები. თუ ვიმსჯელებთ ავსტრალიელების, აეტების (ფილიპინის კუნძულებზე) და ბუშმენების (სამხრეთ აფრიკაშია) ჯგუფთა სიდიდის მიხედვით მაშინ ისინი არ უნდა ყოფილიყვნენ 50 — 60 კაცზე უფრო მრავალრიცხოვანნი. როდესაც პირველად იქნა აღმოჩენილი ახალი ჰოლანდია (ავსტრალია), მაშინ ადგილობრივი მოსახლეობა ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი იყო ვინემ ახლა არის. მიუხედავად ამისა ჩვენ იშვიათად ვხვდებით იმ დროინდელ ანგარიშმოსხსენებებში ისეთ ჯგუფებს, რომლებიც შესდგებოდენ 50 — 60 მეტი კაცისაგან. მხოლოდ განსაკუთრებით მდიდარ და ნოყიერ ადგილებში, სადაც მდინარეები და ტბები თავიანთ თევზეული სიმდიდრით იძლეოდენ საზრდოობისათვის მნიშვნელოვან მასალას, ეს ჯგუფები აღწევდენ ზემოსხსენებულზე უფრო მეტ-რიცხოვანობას. აეტებისა (ლიუსანის კუნძულზე) და აფრიკელ ბუშმენების ჯგუფებში ჩვეულებრივად ასევე ითვლიან 50 — 80 კაცს; მაშინ როდესაც ბოტაკულების \*) ჯგუფები (ბრაზი-

\*) ბრაზილიის მივარდნოლი ადგილების მცხოვრებლებია (სამხრ. იმერიკაში). ეწვეიან მოხეტიალე ცხოვრებას; არ იცნობენ არც მიწათმოქმედებას და არც ექოვროებას. ითვლება სულ 3 — 4 ათას სულამდე.

ლიაში), რომლებიც ბევრად უკეთეს საარსებო პირობებში არიან, ნშირად შესდგებიან 100 და კიდევ მეტი კაცისაგან.

ამ პირველ ყოფილ ადამიანთა ჯგუფებს შიგნით გაბატონებულნი იყო სახეებით თავისუფალი სქესობრივი კავშირი, ე. წ. „პრომისკუიტეტი“, ე. ი. არავითარი ზნეობრივი ცნებანი არ უშლიდა მოცემული ჯგუფის მოწიფულ ქალსა და მამაკაცს ერთმანეთთან სქესობრივი კავშირის დაქვრას, ყურადღებაში არ მიიღებოდა რა ნათესაური მიმართებანი. მაგრამ ასეთ მდგომარეობას უკვე ვერ ვხვდებით თანამედროვე ველურ ტომებში, რადგან ყველამ უკვე გაიარა ეს დაწყებითი საფეხური. მაგრამ ნათესაური და ქორწინებითი მიმართებანი და ასევე თანამედროვე ველურ ხალხებში ნათესაური სახელები; აუცილებლად ჰგულისხმობენ ასეთ, პირველყოფილ მდგომარეობას სქესობრივ მიმართებაში, — როგორც წინამსრბოლ საფეხურს გვიანდელი განვითარებისა.

უკვე ამ პირველყოფილ ეპოქას შეუძლია ჰქონდეს თავისი განვითარება, თავისი პროგრესი. ათასი წლები, რომლის განმავლობაშიაც ნაგულისხმევია მისი გაგრძელება, არ შეიძლება რომ ერთგვარად, ყოველგვარ ცვილვლებათა გარეშე გასულიყო, რათა შემდეგ ერთბაშით გაკეთებული ნახტომით მიეღწია იმ საფეხურზე, რომლიდანაც ჯერ კიდევ დარჩენილა ესოდენი ნაშთები უცივილიზაციო ხალხებში, რომლებიც განვითარების ყველა დაბალ საფეხურზე სდგანან. ისე როგორც პირველყოფილ ეპოქაში საომარი და შრომითი იარაღების ტექნიკა თანდათან სრულქმნილი სახისაკენ მიისწრაფოდა. თუმცა მეტისმეტად ნელა, მაგრამ ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებასაც, პრიმიტიული ხალხებისა, უკვე პირველყოფილ ეპოქაშიც უნდა განეცადა გარკვეული განვითარება. ეს ბუნებრივია, უნდა ყოფილიყვნენ ისეთი ქვედაყოფანი, რომლებიც წარმოიშობოდნენ უბრალოდ, როგორც შედეგი ჯგუფის წევრთა შორის ბუნებრივ და ბიოლოგიური განსხვავებისა: განსხვავებანი ასაკისა და სქესის მიხედვით. მიიღე რ-ლი იერი პირველყოფილ ეპოქაში ასეთი განვითარების სამ საფეხურს ლებულობს, რომელთა დაბეჯითებით მტკიცება თვით მას ვერ ძალუძს; და რომელთაც ის აფასებს, როგორც ჰიპოტეზას. როგორც სინამდვილის მაგვარ კონსტრუქციებს:

1. ადამიანთა ჯგუფის უორგანიზაციო ცხოვრების მხეცური პერიოდი,

2. ასაკობრივი ფენებთ დაყოფილი ჯგუფის პერიოდი,

და 3. სქესობრივი დიფერენციაციის პერიოდი. როდესაც წარმოიშვა ქორწინება და ოჯახი.

პროგრესიულ განვითარების დროს, ჯგუფის ცალკე ნაწილებს შორის ბუნებრივად ნაწილდება გარკვეული სამუშაო: უცხო ჯგუფთან ბრძოლა, მონადირეობაში მონაწილეობის მიღება და სხვ., იქცევიან უმთავრეს საქმიანობათ დიდებისა და ძლიერებისა; თათბირები ადგილებიდან ადგილზე გადასვლის, მტერთა წინააღმდეგ გალაშქრების, ასევე, ძველ ჩვეულებათა დაცვისა და შესრულების შესახებ, იქცევა გამოცდილთა და უხუცესთა კუთვნილ საქმიანობად. ამრიგად ნელნელა ჩაისახებიან განსხვავებანი ასაკთა ანუ თაობათა შორის. ასე წარმოიშობიან: ყ მ ა წ ვ ი ლ თ ა ფ ე ნ ა, რომელთაც ჯერ კიდევ არ შესწევთ ბრძოლისა და მონადირეობის უნარი; დ ი დ ე ბ ი ს ფ ე ნ ა, რომლებიც დახელოვნებული არიან ომებში და მომწიფებულნი სქესობრივად; უ ხ უ ც ე ს თ ა ფ ე ნ ა. შემდეგ იწყება შრომის გარკვეული განაწილება, მამაკაცთა და დედაკაცთა, სქესობრივობის მიხედვით. მოწიფული ქალების მოვალეობაში შედის არა მხოლოდ ძუძუს წოვება, ტარება და მოვლა ახალი თაობისა, ისინი თავის თავზე ლებულობენ აგრეთვე ერთიდან მეორე ადგილზე გადასვლის დროს, თავიანთ საცოდავი, პრიმიტიული საცხოვრებელი ნივთების გადაზიდვასაც, მცენარეთა ფესვების და ველური ხეხილების მოგროვებას და მათ დამზადებას, — მაშინ როდესაც გარეული მხეცის მოკვლა, მისი გატყავება და ქურჭის აღება იქცევა მამაკაცის განსაკუთრებულ ფუნქციათ. ამ დაყოფას სქესობრივი ფენების მიხედვით, ბუნებრივად მოეყვართ პირველყოფილი ქორწინების შემდგომ განვითარებისაკენ და ცალკე ოჯახისაკენ. ამ ნიშნის ქვეშ მიღერ-ლიერი ჰგულისხმობს ჩვენს, თანამედროვე მონოგამიას, ერთცოლქმრიანობას და მასზე დამყარებულ ცალკე ანუ მცირე ოჯახს — მაგრამ გამონაკლისად დროებითს — ორი პირის სქესობრივ კავშირს ხშირად მოკლე დროთი ნახულობს. ამიტომ პირველდაწყებით ხანებში ქორწინება მამაკაცისათვის არ წარმოადგენდა საყვარელ საქმეს — სქესობრივი ვნებიანობის დასაკმაყოფილებლად ენდოგამიურ ოჯახში ის არ საჭიროებს განცალკევებულ სქესობრივ კავშირს, არამედ მხოლოდ შეუზღუდულ მოწყობილებას, რითაც მას შეუძლია სარგებლობა. ის ანა თუ იმ გვარად საჭიროებს მეგობარს, უკანასკნელის შრომითი უნარიანობის თვალსაზრისით, რომელიც ავსებს მის საკუთარ შრომას.

(პ ა ი ნ რ ი ხ კ უ ნ ო ვ ი — ქორწინებისა და ოჯახის წარმოშობა).

## § 5. პირველყოფილ აღამიანთა ასაკობრივი ჯგუფები

ვერც ერთი თანამედროვე ველური ხალხები ვერ წარმოგვიდგენენ ჩვენ პირველდაწყებით უბრალო, მარტივ ფორმას ფენებად დაყო-

ჟისა. მაგრამ განვითარების ეს საფეხური ეხლაც ადვილად შეიძლება რეკონსტრუირებულ იქნას ასაკობრივ ჯგუფებათ დაყოფიდან და მასთან დაკავშირებულ ქორწინებითი წესებიდან მრავალ ველური ხალხებისა, განსაკუთრებით ავსტრალიელებისა.

ავსტრალიელ ნეგრებში, — და ყველაზე აშკარად აღბეჭდილია ეს ისეთებში, როგორცაა მაგ., კურნაები, რომელთაც ჯერ კიდევ არა აქვთ ტოტემები (საგვარეულო სახელები), — თითოული ჯგუფის თაობათა სამ ფენად დაყოფილს:

1) მცირეწლოვანთა ფენა — რომელშიაც ითვლება: მამრობითი სქესის წარმომადგენელი წვერის ამოსვლამდე, ხოლო დედრობითისა კი მენსტრუაციის დაწყებიდან 1-2 წლის გასვლამდე.

2) დიდების ფენა — გრძელდება მანამ სანამ მათი უფროსი შვილები თვითონ გადაიქცევიან დიდებათ, ე. ი. სანამ, დაახლოებით, მამაკაცს არ შეუსრულდება 40-50 წელი, ხოლო დედაკაცს — 35-მდე.

3) მოხუცების ფენა, ე. ი. ისინი ვინც გადასცილდნენ ზემოხსენებულ ასაკს.

უმცროსთაგან უფროსთა თაობაში გადასვლა მუდმივად სწარმოებს, გარკვეული ცერემონიალებისა და გამოცდების შესრულების შემდეგ. რაც ზოგ ავსტრალიელ ტომებში მრავალი წლის განმავლობაში გრძელდება და ხშირად ძლიერ სიძნელეს წარმოადგენს. ეს უნდა ითქვას განსაკუთრებით განდობის წესსზე, როდესაც ყმაწვილმა მრავალი წამება უნდა გაიაროს დიდების ჯგუფში გადასვლისათვის. ამ დროს ხშირად სწარმოებს „წინდაცვეთა“, პირველი ტატუირება ქრილობებით, გარკვეულ კბილების ჩამტერება, ცხვირის ბრტყე-თალების გახვერება და შიგ ისრის გაყრა, — ასე რომ ადამიანმა, რომელიც იცნობს ცალკე ტომების ჩვეულებებს, უმეტეს წილად უკვე გარეგანი ნიშნებით იცის, თუ რომელ თაობას ეკუთვნის ესა თუ ის პიროვნება. ასეთივე ცერემონიალები უნდა გაიარონ ქალებმაც.

პირველყოფილ ჯგუფებში, — რომლებიც ამრიგად, სამ თაობად არიან დაყოფილი — სასტიკადაა აკრძალული სხვადასხვა თაობის წევრთა შორის ურთიერთთან სქესობრივი კავშირი. რადგანაც უნცროსი თაობა ჯერ კიდევ არ არის სქესობრივად მომწიფებული, ამიტომ ამ ამკრძალავ წესებს მივყევართ იქითკენ რომ საშუალო თაობის მამაკაცს სქესობრივი კავშირი უნდა ჰქონდეს საშუალო თაობისავე ქალთან, ხოლო უფროსი თაობის მამაკაცს უფროსი თაობისავე დედაკატან. სხვა სიტყვით: ყოველს შეუძლია შეერთოს ცოლი მხოლოდ თავისი თაობის შიგნით.

ბუნებრივია, რომ ახლა შეუძლებელია იმის აღდგენა, თუ როგორ წარმოიშვა ეს ტაბუ-აკრძალვა: შეიძლება დაკვირვებიდან, არა ერთნაირი ასაკის პირთა შორის სქესობრივი კავშირი, უმრავლეს შემთხვევაში, უნაყოფო რჩება, თუ იმ ფაქტიდან, რომ ახალგაზრდა მოწიფული მამაკაცები თავიანთთვის ყოველთვის ირჩევენ ცოლს, თითქმის მათივე ასაკისა. ყოველ შემთხვევაში, ეს, თაობათა ფენების მიხედვით დაყოფა, რომელიც კრძალავდა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთა შორის ქორწინებას, ოდესღაც არსებობდა არა მხოლოდ ავსტრალიელებში, და სხვა მონადირე ხალხებშიაც, არამედ პოლინეზიელებში, მელანეზიელებში და მიკრონეზიელებშიაც (წყნარი ოკეანის კუნძულთა ჯგუფის მცხოვრებნი); რადგანაც მათი გვაროვნული სისტემები ზუსტად უდგებიან ზემოხსენებულ სამშავ დაყოფას, თუმცა ნაწილობრივ წინანდელი საგვარეულო სახელწოდებათა გვერდით უკვე წარმოიშვენ ახლები, რომლებიც ტოტემურ დაყოფას ეკუთვნიან. ყველა ამ სისტემებში გვაროვნება იყოფა სახელდობრ სამ ასაკობრივ თაობათ:

1) მოხუცთა თაობა (წინაპრები), 2) დიდების თაობა (მშობლები) და 3) ბავშთა თაობა.

ყველა წევრები მესამე ასაკობრივი ჯგუფისა — ბავშვები — საშუალო ჯგუფის ყველა წევრებს უწოდებენ თავიანთ მშობლებს (მამებათ და დედებათ) და ყველა წევრებს მოხუცთა ჯგუფისა — წინაპრებს (ბებიებათ და ბაბუებათ); პირიქით, მოხუცების ჯგუფის ყველა წევრები საშუალო ჯგუფის წევრებს უძახიან თავიანთ შვილებათ, ხოლო უნცროსი ჯგუფის წევრებს კი — შვილისშვილებათ (შთამომავლებათ). ერთი თაობის წევრები იწოდებიან დებათ და ძმებათ, — ორი სახელით, რომლებიც თავისი პირველდაწყებითი ეთნოლოგიური მნიშვნელობით, უცვივილიზაცია ხალხთა უმრავლესობაში ნიშნავს სხვას. არაფერს, როგორც მეგობარს, ამხანაგს, სხვადასხვა თანამგზავრთ.

როდესაც წარმოიშვა თაობათა ფენებათ დაყოფა, მაშინ ჯგუფი არ უნდა ყოფილიყო შემდგარი განმტკიცებულ ცალკე ოჯახებისაგან, რადგან მაშინ ამგვარი დაყოფა შეუძლებელი იქნებოდა. ადვილად შესაძლებელია, რომ პირველყოფილი ჯგუფის წევრები დედრობითი და მამრობითი სქესისა შემთხვევით ერთიანდებოდენ წყვილულ ამხანაგობაში, შვილოსნობის დროს, რომელიც თვეების და შეიძლება წლების განმავლობაშიაც გრძელდებოდა, მაგრამ ამ დროებით „ქორწინებას“ არ შეეძლო მიეღო პირველყოფილ საზოგადოებისათვის რაიმეგვარი მნიშვნელობა, რადგან გვაროვნობას დეტალური ნომენ-

კლატურები ახლაც კი გვიმტკიცებენ, რომ იმ ეპოქაში სრულებითაც არ ყოფილა ცალკე სახელწოდებანი ქ მ რ ი ს ა და ცოლისათვის, და ისინი იმავე თაობის სხვა წევრთა მსგავსად იწოდებოდნენ უბრალოდ — ამხანაგებათ. აპრიგად თაობათა ფენებათ დაყოფის წარმოშობის ეპოქაში პირველყოფილ ადამიანთა ჯგუფი (ურდო) წარმოადგენდა განუყოფელ ერთგვაროვნულ ამხანაგობას.

ასაკობრივ ჯგუფებათ დაყოფამ, პირველმა შემოიტანა ჯგუფში თავისებური სოციალური დანაწილება.

(პაინრიხ კუნოვი — ქორწინებისა და ოჯახის წარმოშობა).

## § 6. პირველყოფილი ღრმების ნაუთმაგი თანამედროვე ჩამორჩენილ ხალხების მიუხრანობაში

### ა. მიუხრანობის სისტემაში

კულტურისნობის ხარისხის მიხედვით დედამიწის მოსახლეობა ადვილათ შეიძლება გავყოთ ორ დიდ ეკონომიურ ჯგუფათ, რომელთაგან ერთში თავს იყრიან ისინი, რომელნიც ითვისებენ რა ბუნების უშრომელ დოვლათებს, ცხოვრობენ მისი სიუხვით, მეორე ჯგუფს კი ეკუთვნიან ყველა ის ხალხები, რომლებიც თავს ირჩენენ მიწათმოქმედებითა და მეჯოგეობით. მასალის დამუშავება, ვაჭრობა და ხალხთა შორის მიმოსვლა ანგარიშში მისაღები არ არის, რადგან არ მოიპოვება ხალხი, რომლისთვისაც საფასვით უცნობი იყოს ასეთი ცოდნა და ურთიერთობა.

გაყოფა მიმთვისებელ და დამმუშავებელ ხალხებათ თუ ძალიან მკაფიოდ არა, მაგრამ მაინც საკმაოდ ანსხვავებს ერთი მეორისაგან ამ ჯგუფებს; ამავე დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ პირვანდელი საწეურნეო ფორმა — მითვისება — საბოლოოდ განვითარების უმაღლეს საფეხურებზედაც არ ქრება; ის მხოლოდ მეორე ადგილს იჭერს. განვითარების ძალიან დაბალ საფეხურზე მდგომ ნიკობარის კუნძულების მცხოვრებლებისათვის საზრდოობის მთავარი წყაროა — თევზის ჭერა; მაგრამ როცა ბერლინის მცხოვრები კვირა საღამოს მდ. შპრეში ანკესით ერთ ორ თევზს დაიჭერს, ის ამ საათებში ხელს ჰკიდებს — მეურნეობის პირველყოფილ სახეს — მითვისებას; გამოდის, რომ ტყუილა ყოფილა ის დიდი ქალაქის მცხოვრებელი.

ამით არ თავდება დაჯგუფების შესაძლებლობანი. მკაფიოდ განსხვავების ჩვენება შეიძლება სხვა მხრივაც — მამაკაცისა და დედამიწის მეურნეობის შორის, თანაც ეს განსხვავება მოსჩანს, ხან რო-

გორც აშკარა ხაზი, ხან კი ვიწროვდება და ძლივს მოსჩანს, როგორც შეუმჩნეველი გამყოფი ძაფი. ყველაზე უფრო გარკვევით და ადრე ეს განსხვავება ისახება მასში, რომ მამაკაცი მისდევს ხორცეული საჭრდოს შოვნას, ხოლო დედაკაცი მცენარეულის, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ თითოეული მათგანი მეტს პატივს სცემდა საჭრდოს განსაზღვრულ სახეს, არამედ იმიტომ, რომ ნადირობას სჭირდება მეტი გამბედაობა და ძალის დაკვიფვა, ვინემ საქმელად გამოსადეგ მცენარეების შეგროვებას. ამიტომ აქ არ არის აშკარა განსაზღვრა: როგორც დედაკაცი, მცენარეულობას რომ ეძებს, არ თაკილობს წვრილ ცხოველებს, კიბებს, ხამანწყებს და სხვ., რაც მას დიდი შრომის დაუხარჯავად უყარდება ხელში, ისევე მამაკაციც მოუკრეფავს არ გაუშვებს ნაყოფს, თუ ნადირობის დროს ხილის ხეს წააწყდება. ამისგან კი თანდათან ვითარდება მეურნეობის უფრო მუდმივი ფორმები და მყარდება კავშირი მათსა და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებს შორის. მამაკაცები ერთდებიან რა ჯგუფებად მით მონობოლიას ლეზულობენ ნადირობასა და ქერაზე; დედაკაცები გამოკდილებით სწავლობენ საჭრდოს წყაროს გაფართოებას, უფრო გემრიელად ამზადებენ საქმელს, რის გამო მამაკაცი მეტი ხალისით უთმობს დედაკაცს ნანადირევს და მასთან ერთად საჭრდობს. ეს დასაწყისის აძლევს მეურნეობის ორივე ფორმის შეერთებას და იმ დროს, როცა მამაკაცის სახლში კერა ცარიელია, დედაკაცის კერის ირგვლივ თავს იყრიან გვარები და შემდეგ ოჯახები, რომლის საფუძველს წარმოადგენს ცოლქმრული კავშირი მამაკაცსა და დედაკაცს შორის.

(გ. შუ რ ც ი — პირველყოფილი კულტურის ისტორია).

## § 7. პირველყოფილი მეურნეობის ნაშთები ჩამოკჩენილ ხალხებში

### ბ. მიმთვისებელი მეურნეობა

როგორც თანამედროვე, წმინდა პრიმიტიული, მიმთვისებელი მეურნეობის წარმომადგენლებზე. ჩვენ შეგვიძლია მიუთითოთ აფრიკის ხალხების ორ ჯგუფზე. ორივე ესენი წარმოადგენენ მორჩილ ტანიან და ღია (ნათელ) ჯერიან მცხოვრებლებს დედამიწის ამ ნაწილისა. ესენი არიან ეგრედ წოდებული კარლიკები, და ანტროპოლოგიურად, ალბად, ერთმანეთის მონათესავენი, მაგრამ სხვადასხვა ადგილმდებარეობის მცხოვრებლებს წარმოადგენენ. ესენი განლაგა ცენტრალური აფრიკის ტყეების მორჩილ ტანიანი მცხოვრებლები და



სამხრეთ აფრიკის ველების ბუშმენები. მათი მეურნეობა უკვე აღარ არის პირველყოფილი; მაგრამ ისინი ტიპიურებია, როგორც ნიმუშები ერთი და იმავე რასის სრული შეგუებისა ცხოვრების სხვადასხვა პირობებზე. თავის კულტურით ისინი უქველად ეკუთვნიან დედამიწის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ხალხებს. შესანიშნავია, რომ სწორედ კულტურული განვითარების დაბალი დონის გამო ისინი უფრო მსგავსნი ჩანან ერთმანეთისა; ვიდრე ეს მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო.

ტყის პიგმეების ეკონომიური ცხოვრების შესახებ შტულჰანი ამბობს: „აფრიკის პიგმეების კულტურის დონე — ეს არის დონე მომთაბარე მონადირეებისა. მათ არსად არ აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, არ მისდევენ მიწის მუშაობას, არამედ ნადირის დევნაში გადადიან ერთიდან მეორე ადგილზე. კარგ აგილებზე ისინი რჩებიან რამდენსამე კვირას, ზოგჯერ რამდენსამე თვესაც, შემდეგ, რა რომ ნადირი შემცირდება, აიყრებიან. უმთავრესად ნანადირევით ირჩენენ თავს. მაგრამ რადგან მარტოდ მარტო ხორციეული არ ყოფნით თავის სარჩენად, ამიტომ აგროვებენ ტყეში სოკოსა და ხილს“. აქ ჩვენ ვხედავთ მთავარ დამახასიათებელ ნიშანს დაბალი ტიპის მიმთვისებული პეურნეობისა: მის შემთხვევითობას, რაც აიხსნება საკვები წყაროების სიმცირით. ხალხის ასეთს ჯგუფს, თუნდაც ის მრავალრიცხოვანი არ იყოს, გამოსაკვებად ესაჭიროება დიდი სამფლობელო ადგილები. რადგან ის ბინადრად კი არ ცხოვრობს, არამედ ადგილიდან ადგილზე გადადის. რასაკვირველია, ამ ქოჩადმეულობასაც აქვს საზღვარი და ის უფრო რიტმიულ მოძრაობას წარმოადგენს — წინა და უკან — განსაზღვრულ ადგილებში.

შტულჰანი იხსენიებს რა პიგმეებს, უწოდებს მათ „ნომადიზირებულ მონადირეებს“. ეს გამოთქმა არ არის სავსებით მოხერხებული. სიტყვა „ნომადები“ უფრო უდგება მოხეტიალე მეგობგეობას რომელთანაც აფრიკელ კარლიკების მეურნეობას საერთო არაფერი აქვთ. უმჯობესია ვუწოდოთ მათ „შემგროვებლები“, როგორც ედუარდ ჰანი უწოდებს, ან მოხეტიალე ხალხი. მის სიტყვებს, იმის შესახებ. რომ კარლიკები იძულებულნი არიან ეძიონ ხილი და ფესვები ტყეში. ადვილად შეუძლიათ აგრეთვე გაუგებრობის გამოწვევა; აქ ლაპარაკია მხოლოდ ორმაგ მეურნეობის შესახებ, რომელსაც ყველგან აქვს ადგილი, რადგან მხოლოდ პოლიარულ ოლქებში ცხოვრობს ადამიანი სავსებით მცენარეული საზრდოს გარეშე. სანადირო იარაღებად კარლიკები ხმარობენ შვილდ-ისარს; მაგრამ, გარდა ამისა აქვთ აგრეთვე მახეები და მარყუჯები; მათი ერთად ერთი გაშინაურებული ცხოველია ძაღლი. მიუხედავად თავიანთი არსებობის სრული სისაწყ-

ყლისა, კარლიკებს ბევრი რამ აქვთ შეთვისებული თავიანთ უფრო განათლებულ მეზობელთაგან და ცხოვრობენ მათთან უფრო ხშირად ურთიერთ სარგებლობის კავშირში.

თუ ცენტრალური აფრიკის ულრან ტყეებში ნადირის სიცოცხვე აიძულებს პიგმეებს ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე იარონ, სახრეთ აფრიკის ველებში, მიმთვისებელი მეურნეობის მიზეზებს გარდა, ხეტიალს იწვევს წყალის ნაკლებობა. ნადირი აქ, ყოველ შემთხვევაში წინად, საკმაო იყო, ხოლო საზრდოდ გამოსადეგი მცენარეულობა კი — ცოტა; ამით აიხსნება მეტ ნაწილად ხორცის ხმარება. „ბუშმენები, — სწერს ფრიჩი, — მზად არიან დალიონ ყოველგვარი სითხე, ოღონდ საწამლაღი ნუ იქნება; აგრეთვე არ ერიდებიან ისინი არაერთარ საქმელს, განსაკუთრებით ხორციელს; ეს უდაბნოს შვილები არაფერს არ ერიდებიან, ოღონდ კი დაღეკვა შეიძლებოდაც მისი; თუ მსხვილი ცხოველი ვერ დაიჭირეს, ისინი სქამენ ხელიკებს, გველებს, კალიას და ტერმიტებს, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი ითვლება გემრიელ საქმელად; ისინი არც ძველ, დამპალ ხორციეიტყვიან უარს და სრულებით არ უწევენ ანგარიშს გემოვნების გრძობებს; ბუშმენები უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მსუბუქად სწვავენ ხორცს და ნახევრად უმს შეეკცევიან; მოკლული ნადირის გამოშიგნვა და გასუფთავება სრულიად უსარგებლო მუშაობად ითვლება“. თავის თავად ცხადია, რომ ბუშმენებს კარგათ აქვთ განვითარებული მონადირის ყველა თვისებები. თავიანთ მოშხამულ ისრების, მახეების და ხაფანგების შემწეობით ისინი ჩინებულად სარგებლობენ ტყის სიუხვით. რადგან ნადირობა ყველა სხვა საქმიანობაზე უმეტესად არის განვითარებული, მათში თითქმის სულ არ არის განვითარებული განცალკევებული დედაკაცური მეურნეობა, მაგრამ ქალის მოვალეობას მაინც შეადგენს წყლის და ცეცხლისთვის ფიჩხის შოვნა, აგრეთვე მცენარეულობის შეგროვებაც, რამდენადაც იგი მოიპოება; ამიტომ ქალი მუდამ თან ატარებს ტომარს.

პრიმიტიური ორმაგი მეურნეობის უფრო თვალსაჩინო ნიმუშებზე რომ შევისწავლოთ, ჩვენ უნდა მივმართოთ ავსტრალიის მატერიკის. იქაური ცხოვრების პირობების გამოკვლევა მეტად ძვირფასია შედარებითი ეთნოგრაფიისათვის; თუმცა საერთოდ ბუნებისაგან დარობად დაჯილდოებულს, მაგრამ ნაყოფიერების მხრით ფრიად სხვადასხვაგვარ ადგილების შემცველ, ავსტრალიაში ევროპელების შემოსვლამდე ცხოვრობდა ერთგვარი მოსახლეობა, რომელიც კულტურის დონით, ძალიან ცოტათი განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ავსტრალიელები იძულებულნი არ იყვენ, ბუშმენების მსგავსად, დაეჭი-

რათ მიწის ყველაზე ნაკლებად ნაყოფიერი კუთხეები; პირიქით, მათ შორის არის ტომები, რომელთა განკარგულებაში იმყოფება ძალიან მდიდარი სასურსათო მარაგები, უმთავრესად მცენარეული საზრდოსი. და ამ ტომებშიაც პირველი ადგილი უკავია ქალის მეურნეულ საქმიანობას.

„ავსტრალიელ ზანგთა შორის, — ამბობს ჰელმ-ჰოლცი, ჩრდილოეთ კვინსლენდის მცხოვრებთა შესახებ, — ოჯახის ყოველდღიური საზრდოზე უმთავრესად დედაკაცები ზრუნავენ. და ამ მიზნით მათ ხშირად უხდებათ შორეული ექსკურსიების მოწყობა. საერთოდ ქალის მდგომარეობა, როგორც ყოველ ველურ ტომთა შორის, ძალიან დამოკიდებულია. მას აწევს მთელი სიმძიმე შავი სამუშაოებისა, ის დაეხეტება კალათითა და ჯოხით, აგროვებს ხილს, თხრის ფესვეულს, ჰკრეფს ხეებზე მწერთა კვერცხებს და სხვ. ხილს ის ჰპოულობს მიწაზე და ხეებზე, რომელზედაც მან კარგად იცის ასეა, თუმცა ისე კარგად არა, როგორც მამაკაცმა. ზემოდ მოხსენებული ჯოხი, — ერთადერთი იარაღია ქალის, — მეტისმეტად აუცილებელია მისთვის მოგზაურობის დროს. კეთდება ის მაგარი ხისაგან, სიგრძით არის 1½ — 2 მეტრამდე და ბოლო წამწვეტებული აქვს. დღესასწაულებისა და ცეკვის დროსაც კი ქმრიანი ქალი თან ატარებს ამ ჯოხს, როგორც ნიშანს თავისი ღირსებისას — ოჯახის მარჩენალის. ის ხშირად მთელი დღეები დაათრევს ზურგით ბავშვს და დაუშვებს მას მიწაზე მხოლოდ მაშინ, როცა უნდა თხაროს ან ხეზე ავიდეს. როცა სახლში ბრუნდება, საქმე აქაც ბლომად დახვდება: უნდა მოამზადოს შეგროვილი ხილი, კარგად გარეცხოს და დააღბოს უხამიანი ნაყოფები. მამაკაცს მოაქვს სახლში ჩვეულებრივი თაული, მაგრამ ზოგჯერ აგრეთვე კვერცხები, ნადირია ხორცი, ხელიკი და სხვ. ხორციელს ის ჩვეულებრივ თავისთვის იტოვებს; ხოლო მისი ცოლი, ქამს და ბავშვებს აკმევს, მის მიერვე შეგროვილ ფესვეულსა და ხილს. მამაკაცი მომეტებულად გასართობად ნადირობს, ვინემ ოჯახის სარგებლობისათვის, რომელზედაც ის, საერთოდ, ნაკლებად ზრუნავს და სულაც არ ფიქრობს, რომ მას აწევს მამისა და ოჯახის მარჩენალის მოვალეობა. ის თავის თავზე უფრო მეტს ფიქრობს, სანადიროდ უფრო ადრე არ წავა, სანამ ბალახებზე ნამი არ გაშრება, და უფრო ხშირად ხელცარიელი ბრუნდება სახლში, რადგან ნანადირევს იქვე, ადგილობრივ სქამს.

არსებობის ეს დაუდევრობა ემჩნევა მიმთვისებელი მეურნეობის ყველა წარმომადგენლებს, თუმცა სხვადასხვა ოდენობით. მდიდრად დაჯილდოებულ აგილებში ის თავს იზღუდავს ორი რეზიდენციას სარგებლობით: ერთი საზაფხულო, მეორე საზამთროთ, ან დროებითი

გადასახლებით, მოკლე ვადით: საგანგებო სამოხეტიალო ადგილას, რომელიც მოწყობილია ჩვეულებრივ სანადირო ან სათევზაო ადგილებზე. ექვი არ არის, ასეთი ცვალებადი, არა მუდმივი, ცხოვრება წარმოადგენს უმთავრეს დაბრკოლებას საზოგადოებრივი განვითარებისათვის. თაობიდან თაობამდე მოხეტიალე ცხოვრებისადმი განმტკიცებული შიღრეკილება ხასიათის აღმოუფხვრელ თვისებად ხდება. „ჩვეულება საცხოვრებელი ადგილის მუდმივი გამოცვლისა — ამბობს ვილჰელმი ავსტრალიელების შესახებ — იმდენად დიდია, რომ მათ დიდხანს გაძლება არ შეუძლიათ ისეთ ადგილებზედაც კი, სადაც სავსებით შეუძლიათ მთელი თავიანთ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მათ იპყრობს დაუძლეველი მოთხოვნილება ნახონ ესა თუ ის ადგილი, რომელიც მათ განსაკუთრებით მოეწონებათ და ვერავითარი ზეეწნა-მუდარით მათ ერთ ადგილზე ვეღარ გააჩერებთ; მოხეტიალური ცხოვრების ეს ჩვეულება მხოლოდ თანდათანობით მცირდება, დროთა ვითარების გამო“.

(შუ რ ც ი გ. — პირველყოფილი კულტურის ისტორია).

## § 8. ნებაყოფლობითი სიკვდილი

(ჩუქჩების მოთხრობა \*)

ბევრი ინისიაეა იაკუტ ვაქარ ელიგიასაგან. რამდენიმე წელი გავიდა, ვალი ეტრ დაჰფარა. ბოლოს სახლიდან გავიდა, ტუნდრებიდან შორეულ კალიმსკში გაეგზავნა. ამ დროს ხალხი ნაწილობრივ მდინარე ომოლონზე გადავიდა, მისი ევორე ძმა რულტუვია იქ ლოთობდა, ტუნგუს უნკულისას არაყს სვამდა; მისი მზრუნველობის საგანი — გამოსული წვრილი ნაწლავები (თიქარი) გაიყინა და მისი უკან შებრუნება შეუძლებელი გახდა. უბედურება შეემთხვა მას, — ეს მან შეამთხვია თავის თავს სნეულება, — აღარ შეეძლო ნაწლავის შებრუნება. ამიტომ სთხოვა სიკვდილი თავის ამხანაგს ქორწინებაში — უნკულს. მეზობლად მცხოვრები იყო უმცროსი ძმა. ის კი კალიმსკში, სხვის ოჯახში გაემგზავრა. რადგან მისი ცოლი პატარა ბავშვებთანაა. სწორედ ამ გზით შეიძინა სენი. მამაც ასე მიიცვალა მოკვლით, ისიც მას ბაძავს... უხ! რატომ უფრო ადრე არ ახსენა მამა: ისიც კუდათ ხმაურობდა უკანალით, გარედ ვერ გადიოდა, იმიტომ რომ უკანალში რალაც ქვა გაუჩნდა თეთრი, მაგრამ რბილი, სრულიად რგვალი: გრძელ ნაწლავში ნახეს სიკვდილის შემდეგ. და ასე მოითხოვა მან სიკვდილი. უფროსმა შვილმა გააკილა; მან სასიკვდილო ამოხვრა გააკეთა. მაგრამ უცებ დანა ამოაძრო, ისევ გამოცოცხლდა, სავსებით გამოიღვიძა. არ იქნა, არ მოკვდა. ამიტომ

\*) ჩუქჩები — მცირე რიცხოვანი ხალხია (7—8 ათასი კაცი), რომელიც ცხოვრობს ციმბირის უჩიდურეს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთში; ნაწილი (ზღვის პირის ჩუქჩები) მისდევნენ მეთევზეობას და ნადირობას; დანარჩენები (მეირამე ჩუქჩები) ხეტიალობენ ირმის ჯოგებთან ერთად.

თითონ წარმოსთქვა „მომიქირეთ ყელში, სჯობია“. მართლაც ღვედით დააღრჩვეს, ამით მოჰკლეს. როგორც კი მორჩნენ, წაიღეს მინდორში და უკანალი გაუსინჯეს. მაგრამ სიცოცხლეშიაც ქეას გადიოდა, ქვიშას და სხვ. მაშინაც ქეა დაინახეს. და აი, ახლა შვილიც ავით არის. და მან ცოლით ამხანავს მიმართა სიკვდილის თხოვნით. ზოგმა გაიგონა, სურვილის ასრულება მოინდომა. მოინდომეს ასრულება და უმცროს ძმასთან წაიყვანეს. იქ მოიყვანეს სისრულეში. მართლა გააცილა უმცროსმა ძმამ. მაგრამ მანაც ვერ შესძლო მოკვლა. მართალია, ის თითონ ამბობს: „გესმის, ცოტა ვანზე ვაატარე დანა“. მაგრამ მან ვერ შესძლო. ამიტომ, როგორც მამამ, ასეთი სიტყვა იხმარა: „სჯობია, ღვედით დამახაროთ“. მართლაც დაახარვეს ღვედით. მაშინ მოკვდა. ამით მოველო ბოლო.

(ბოგორაზი — „მასალები ჩუქების ენისა და ფოლკლორის შესწავლისათვის“; § 7 — 9, 12 და II თავში 7 — 10 ამოღებულია პ. კუშნერის ქრესტომატიიდან — „პირველყოფილი და საგვარეულო საზოგადოება“).

## § 9. მოხუცებულთა მოკვლა ესკიმოსებში \*)

დასუსტებულ და ყოველად უსარგებლო მოხუცებულებს ეკითხებიან. საკმაო თუ არა რაც ისინი ცხოვრობენ. ისინი კი სთვლიან თავიანთ ვალდებულებათ, ისინი კეთილშობილებათ სთვლიან რომ უპასუხონ: „დაიხ!“ ამის შემდეგ სასაფლაოზე სთხრიან რგვალ საფლავს, აშხებენ მას ხავსით, ნაპირებზე დებენ დიდ და მძიმე ქვებს, რომლებიც ჰორიზონტალურად ამაგრებენ ორ ლატანს. ჰკლავენ ირემს. რომლის თავსაც სდებენ ქვაზე; სისხლი რუებით გადადის ხავსზე და ამ აღისფერ. თბილ და რბილ საწოლზე გაერთხმება მოხუცი. თვალის დახამხამებაში მას ბოჭკოვან თოკებით და ეკითხებიან: მზად არის თუ არა იგი. ამ მომენტში სირცხვილი და უფუნურობაც იქნებოდა უარყოფითი პასუხი: რადგან ასეთ შემთხვევაში ადვილად მიიღებენ სახეს, თითქოს მისი ვერ გაიგონეს. „შვიდობით, მეგობრებო“, უპასუხებს ის. მას ნეშტოებში ასუნთქებენ ტუივილების გამაბრუებელ წამალს, გადასჭრიან ძილის არტერიას და ხელზე კი დიდ ეენას, რის შემდეგაც სულ მალე სავსებით გამოიწურება სისხლი. ამ ჭირურგიულ ოპერაციას ასრულებენ წარჩინებული პირები, ან და უბრალო ქალები, იმ პატივისცემისდა მხედვეთ, რომლითაც სარგებლობდა ეს ადამიანი. წარჩინებულის პროცესისაზე მიცვალებულის სხეულს სწვავენ ირემთან ერთად, რომელიც დანიშნულია იმ ქვეყნიური ნადიმისათვის. თუ მიცვალებული უბრალო ადამიანია, მაშინ მას პირდაპირ ჩასთხრიან მიწაში, ხოლო „დამწუხრებული“ ნათესავები თავის ვალდებულებად სთვლიან შესკამონ ირემი და დაამტერიონ მისი ძვლები... რატომ? — ალბად იმისათვის, რომ ცხოველი ხელმეორედ არ გააცოცხლდეს მიწაზე და დარჩეს მიცვალებულის საკუთრებათ იმ ქვეყანაში.

(ე. რ. კ. ლ. ი. უ — პირველყოფილ ხალხთა ცხოვრება).

\*) ესკიმოსების სახელით ცნობილია ჯგუფი ტომებისა (ინოიტები, ალუტები და სხვ.), რომლებიც ჩრდილოეთ ამერიკის უკიდურეს ჩრდილოეთით ცხოვრობენ — გრენლანდიისა და ბერინგის სრუტეს სანაპიროებზე. ესკიმოსები მისდევენ მეთევზეობას და მონადირეობას.

## § 10. ცეცხლოვანი მიწის მკვიდრნი

ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელნიც მარტოდ მარტო ლოკოკინებით იკვებებიან, იძულებულნი არიან საცხოვრებელი ადგილი მუდმივ იცვალონ, მაგრამ დრო გამოშვებით ისინი უბრუნდებიან ძველ ადგილებს, როგორც ეს სჩანს ძველ ხამანწყების გროვიდან, რომელიც წონით ხშირად რამდენსამე ტონას აღწევს.

ამ ადგილებში გვხვდება ერთი მცენარე, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იმით, რომ ჩინებულ საზრდოს წარმოადგენს პეშერესებისათვის. ეს არის ბურთის მსგავსი ღია ყვითელი ფერის სოკო, რომელიც უზვად ამოდის წიფლის ხეებზე. სანამ ახალია, ის გამწვევია და ფუნთუშა, სწორი ზედაპირი აქვს; მაგრამ როცა სიმწიფეში შედის, ის იკუმშება, მაგრდება და მთელი მისი ზედაპირი იფარება ღრმა ნაოჭებით.

ცეცხლოვან მიწაზე ქალები და ბავშვები ბლომად აგროვებენ მწიფე სოკოს, რომელსაც უმად ჰამენ. მას აქვს ლორწოიანი ცოტათი მოტკბო გემო და სუსტი სუნის, რომელიც შამპინიონს მოგვაგონებს. აქაურები არც ერთს მცენარეულს არ ხმარობენ საზრდოთ გარდა ამ სოკოისა და ზოგიერთი ხილისა, რომელიც დაბალ ბუჩქნარზე იზრდება.

ახალ ზელანდიაში, კარტოფილის შემოღებამდე ბლომად ხმარობდნენ გვიმბრის ძირს; ახლა კი, მე ვფიქრობ, — ცეცხლოვანი მიწა ერთად ერთი კუთხეა მთელს დედამიწაზე, სადაც სპორებიანი მცენარეული მცხოვრებლების საზრდოს მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენა.

პეშერესების ვიგვამი <sup>1)</sup> გარეგნობითა და სიდიდით თივის ზვინსა ჰგავს. ის შესდგება რამდენისამე მიწაში ჩარქობილ ტოტისაგან. ეს ტოტებზე ზევადან ასე თუ ისე დახურულია ბალახისა და ლერწმის კონებით. მთელი ამ ნაგებობის მოწყობას უნდა ერთ საათზე ნაკლები დრო და ამ ქოხში ცხოვრობენ სულ რამდენსამე დღეს. გიორი-როდეს ნაპირის ერთ-ერთ მხარეში მე შევხვდი საცხოვრებელ ბინას, რომელშიაც ერთ-ერთ ამ ტიტველ ადამიანთაგანს ეძინა. გადაჭრით შემიძლია ვსთქვა, რომ ის ბინა კურდღლის სოროზე უკეთესი არ ყოფილა. ეტყობა, ეს ველური განმარტოებული ცხოვრობდა და მე მითხრეს, რომ „ის ძალიან ცუდი კაცია“, რომ მან, ნამდვილად, რაღაც მოიპარა; დასაფლეთ ნაპირზე თუმცა ვიგვამი უკეთესათაა მოწყობილი: ის აქ ზღვის ღორების ტყავით არის დახურული.

<sup>1)</sup> ასე ეწოდება ამ ველურების ქოხს, ალაჩუნს.

ერთხელ, კუნძულ უნიალსტოკის ნაპირების ახლოს ჩვენ წავაწყულით ნავს, რომელშიც ექვსი პეშერესი იმყოფებოდა. ესენი იყვნენ ყოვლად საწყალი ქმნილებანი, რომელთა მსგავსიც კი მე ოდესმე მინახავს. აღმოსავლეთ ნაპირზე ადგილობრივი მცხოვრებლები, როგორც მე უკვე ვთქვი, გახვეულნი არიან გუანაკოს<sup>1)</sup> ქურქში, — ხოლო დასავლეთ ნაპირზე ისინი ეხვევიან ზღვის ღორების ტყავში.

ცენტრალურ ტომთა შორის მამაკაცები ჩვეულებრივ ატარებენ ზღვის ცხოველის ტყავს ან რაიმე ნაჭერს, რომელიც სიდიდით ცხვირსახოცს არ აღემატება, რომელიც არც კია საკმაო ზურგის წელამდე დასაფარავად. ეს ნაჭერი დაკიდულია თოკით, რომელიც შემოხვეულია ტანზე მკერდის გასწვრივ და, იმის მიხედვით, თუ საიდან ჰქრის ქარი, ერთი მხრიდან მეორეზე გადააქვთ. მაგრამ ის პეშერესები, რომლებიც ჩვენ ნავზე ვნახეთ სრულიად ტიტვლები იყვნენ, თუმცა მათ შორის მოზრდილი ქალიც იყო. ძლიერი წვიმა მოდიოდა და იმ ქალის ტანიდან წვიმის წყალი ზღვის ნაშხეფებთან ერთად ღარებად ჩამოდიოდა. მეორეხელ, როცა ჩვენ ნაპირს მივადექით, პირველი შეხვედრის ადგილიდან ახლოს, ქალი, რომელიც ძუძუს აწოვებდა ახლად შობილ ბავშვს, მოუახლოვდა ერთხელ გემს და ერთხანს იდგა იქ მხოლოდ ცნობის მოყვარეობის გამო და იმავე დროს თოვლი, რომელიც მის ძუძუებზე ცვიოდა ადნებოდა მას და მისი ჩვილი ბავშვის ტიტველ ტანზე! ეს უბედური ქმნილებანი რაღაც დაუსრულებელი ტანისანი იყვნენ; მათი საზიზღარი სახეები თეთრი საღებავით იყო შეთხუპნული. კანი გაჭონილი და ჭუჭყიანი ჰქონდათ, თმები აბურძღვნილი, ხმები შეუწყობელი. მოძრაობა უხეში. ძნელი დასაჯერებელია. რომ ესენი ისეთივე ადამიანებია, როგორც ჩვენ, რომლებიც მათთან ერთად ერთ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ხშირად ისმება საკითხი, რაშია ველურთა ცხოვრების სიამოვნება. ღამით ეს ადამიანები, — შეკრებილნი ჯგუფებად. 5-6 კაცი ერთად, ტიტვლები და წვიმასა და ქარის ქვეშ, რომელნიც ამ შფოთიან ჰავაში მძვინვარებენ — იძინებენ ტიტველ მიწაზე, მოკუნტულები ცხოველების მსგავსად. ზღვის მიმოქცევის დროს როგორც ზამთარში, ისე ზაფხულში მიუხედავად იმისა დღეა თუ ღამე, მათ უხდებათ ადგომა ლოკოკინების მოსაგროვებლად; ქალები კი ან ყვირთავენ, წყალში შესაფერი საჭმლის საძებნელად, ანდა მოთმინებით სხედან ნავებში და ძუის ანკესით, რომელიც მარტო ხისაგან შესდგება. იჭერენ პატარა თევზებს. თუ რომ ზღვის ღორს მოჰკლავენ, ან თუ იპოვნენ ვეშაპის გახრწნილ გვამს, ეს ხომ ნამდვილი დღესასწაუ-

<sup>1)</sup> ლამას ერთ-ერთი სახე.

ლია; ამ უგემური საქმლის დამატებას წარმოადგენს კიდევ რამდენიმე უგემურივე ხილი და სოკო.

ცეცხლოვანი მიწის მცხოვრებლები ხშირად განიცდიან სიმშლილს: მე მიაჩნია ბ. ლოუმ, ზღვის ღორების მრეწველმა, რომელიც ახლოს იცნობს ამ ქვეყნის მცხოვრებლებს, საინტერესო ამბავი იმის შესახებ. თუ რა მოუვიდა დასავლეთის ნაპირის 150 მცხოვრებს. ეს ადამიანები ძალიან დაიმშენ და მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ხანგრძლივი ქარი ხელს უშლიდა ქალებს შეეგროვებიათ ლოკოკინები ნაპირის კლდეებზე და ზღვაში გასვლაც კი არ შეეძლოთ ნავეებით, ზღვის ღორებზე სანადიროთ. ერთ მშვენიერ დღეს ამ ადამიანების მცირე რაზმმა დასტოვა სადგომი და დანარჩენმა ინდოელებმა აუხსნეს ბ. ლოუს, რომ ისინი წავიდნენ 4 დღით, რათა საქმელი ეშვავათ. როცა ექსპედიცია დაბრუნდა, ლოუმ ინახულა ეს ველურები და აღმოჩნდა, რომ ისინი ძალიან დაქანცულები იყვნენ, თვითუღო მათგანი მოათრევდა ვეშაპის ქონის დიდ ოთხკუთხ ნაჭერს, შუაგულში გახვრეტილს, რომელიც მათ თავზე ჰქონდათ ჩამოცმული.

როგორც კი შეიტანეს ქონი ვიკვამში, მოხუცმა ჩამოსკრა მას პატარა ნაჭრები და ბუტბუტით წამზე შესწვა; შემდეგ კი დაურიგა დაქანცულ პარტიას, რომელიც ამ დროს ღრმა სიჩუმეს იცავდა. ლოუ ფიქრობს, რომ თუ ვეშაპს ზღვა ნაპირზე გამოაგდებს, ადგილობრივი მცხოვრებლები დიდ ნაჭრებს ფლავენ ქვიშაში, შიმშილის შემთხვევისათვის; ერთ ადგილობრივ პატარა ბიჭმა, რომელიც მასთან გემზე მსახურობდა, ერთხელ იპოვა ამრიგად შენახული მარაგი. როცა ეს ტომები ერთმანეთს ეომებთან, მაშინ ესენი კაციკამიები ხდებიან.

მთელი რიგი ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი ჩვენებები ეთანხმებიან ერთმანეთს მასში, რომ სიმშლილი შევიწროებული ველურები ზამთრობით სჭამენ თავიანთ მოხუცებულ დედაკაცებს უფრო აღრე, სანამ ჯერი ძალღებამდე მივიდოდეს. ლოუს შეკითხვაზე, თუ რატომ იქცევიან ისინი ასე, მის მიერ გასაზრდელად აყვანილმა ბავშვმა უპასუხა, რომ ძაღლები ზღვის ნადირებს იჭერენ, ხოლო ბებერი ქალები კი — ვერაო. ამ ბავშვის სიტყვით საწყალი ქალების მოკვლა ხდება ასე — მათ გააჩერებენ კვამლში მანამდე, სანამ არ გაიგულებიან; ის მასხრობით იმეორებდა მათ კვნესას და ხშირად ამტკიცებდა. რომ ბებერ დედაკაცების ხორცი ყველაზე გემრიელად ითვლება. თუმცა საშინელია ასეთი სიკვდილი მახლობელთა ხელით, მაგრამ კიდევ უფრო სატანჯველია თითონ შიში, რომელმაც უნდა შეიპყროს ეს დედაკაცები სიმშლილის მოლოდინში. ჩვენ გვიამბეს, რომ ისინი მაშინ



ხშირად მირბიან მთებში, მაგრამ მამაკაცები მათ მისდევენ და მოჰყავთ სახლში იმისთვის, რომ საკუთარ კერასთან მოკლან.

საერთო მთავრობა ან მეთაური ამ ტომებს არა ჰყავთ. თითოული ტომი გარშემორტყმულია სხვა მტრული ტომებით, რომელნიც სხვადასხვა კილოზე ლაპარაკობენ და მოშორებულნი არიან ერთი მეორეზე მიწის უდაბური ზონით ან ნეიტრალური ტერიტორიით: მათი ურთიერთი მტრობის მიზეზს, როგორც ეტყობა, საარსებო საშუალებები წარმოადგენენ. მთელი ქვეყანა წარმოადგენს მაღალი მთების ველურ კლდეების ხროვას, ყოვლად გამოუსადეგარ ტყეებს, რომელნიც მუდამ ნისლშია გახვეული და ქარების ასპარეზს წარმოადგენს.

საცხოვრებლად გამოსადეგად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ სანაპირო ქვიანი ზოლი. საკმლის მუდმივ ძებნაში, ეს ველურები იძულებულნი არიან განუწყვეტლივ გამოიქცეალონ საცხოვრებელი ადგილი და ნაპირი იმდენად მაღალია, რომ მათ სხვა გზა არ დაჩენიათ თუ არა ნავეებით შემოუარონ ზღვაში ჩაწოლილ კლდეებს. პეშერესებისათვის უცნობია ოჯახური კერის სიამოვნება, ხოლო ოჯახური სიახლოვე და კავშირი მათთვის კიდევ უფრო ნაკლებად არის ცნობილი: ქმარი ცოლისათვის არის მხოლოდ უხეში ბატონი, რომელიც მონის სამუშაო ძალის განმკარგულებელია.

რა შეიძლება იმაზე უფრო საშინელი, რის მოწამეც ბაირონი იყო დასავლეთის ნაპირზე; მან ნახა, თუ როგორ აყენებდა საბრალო დედა გასისხლიანებულ, მიწაზე დანარცხებულ მომაკვდავ ბავშვს: შეუბრალებელმა მამამ ქვებზე დაახეთქა ის იმისთვის, რომ მას უტახედათ ხელიდან გაუეარდა ზღვის კუს კვერცხებით საგსე კალათი! კლდეზე რომ ლოკოკინა აიღოს კაცმა, ამისათვის საჭირო არც კია ეშმაკობა, ეს დაბალი სულიერი ნიჭი. აქაურ ადგილობრივ მცხოვრებლების ხერხიანობა ზოგიერთის მხრით შეიძლება შევედაროთ ცხოველთა ინსტინქტს, რადგან ის გამოცდილებითგან არ ვითარდება: ველურის ყველაზე უფრო რთული ნაგებობა, — ნავი, — მიუხედავად მთელი თავისი სისრულისა, უკანასკნელი ორას ორმოცდაათი წლის განმავლობაში ისეთივე დარჩა, როგორც ის პირველად დრენმა ნახა.

ამ ველურების შემხედვარე, თავის თავს ეკითხები — საიდან გაჩნდენ ისინი? ბედის რომელ უკუღმართობას შეეძლო ადამიანების მთელი ტომი იძულებული გაეხადა მიეტოვებია მონებზე მთელი ადგილები ქვეყნის ჩრდილოეთში დაშვებულ იყო ძირს კორდილიერებით ამ ამერიკის მთავრებით, გამოეგონებია და აეშენებია ნავეები, რომელიც არ გვხვდება ჩილის, პერუს და ბრაზილიის მცხოვრებთა შორის და შემდეგ დასახლებულიყო დედამიწის ყველაზე უფრო ნაკლებად

სტუმართმოყვარე ქვეყანაში? თუმცა ასეთი მსჯელობა პირველად იპყრობს ჩვენს გონებას, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ ის მცდარია. არა გვაქვს არავითარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ პეშერესების რიცხვი კლებულობს, ამიტომ ჩვენ უნდა დაუშვათ, რომ ისინი საკმაო კმაყოფილებას განიცდიან, — რა ხასიათისაც არ უნდა იყოს ეს კმაყოფილება — და საბუთი აქვთ თავისი სიცოცხლე მოსწონდეთ. ჩვეულებამ, ბუნების ამ ყოვლის შემძლე და მემკვიდრეობითმა ძალამ შეაჩვია პეშერესი მისი უბადრუკი სამშობლოს ჰაეასა და ნაწარმოებთ.

მეორე დღეს ჩვენი მცირე ჯგუფი წინ გაემართა და ჩვენ მივალწიეთ უფრო დასახლებულ ადგილს.

ნაკლებად არის დასაჯერებელი, რომ რომელსამე აქაურთაგანს თეთრი ადამიანი ენახოს; მართლაც, წარმოუდგენელი იყო მათი გაცვიფრება ჩვენი ნაგების გამოჩენისას. ყოველ ნაღობზე აინთო ცეცხლი (აქედან წარმოსდგა სახელწოდება ცეცხლოვანი მიწისა), — როგორც ჩვენი ყურადღების მისაქცევად, აგრეთვე ახალი ამბის შორს მისაწოდებლად. ზოგიერთი ველური რამდენიმე მილის მანძილზე გარბოდა ნაპირის გასწვრივ. მე, არასოდეს არ დამავიწყდება ერთი ველური და ახირებული ჯგუფი: მოულოდნელად ოთხი თუ ხუთი ველური გამოჩნდა ატყორცნილი კლდის კიდეზე; ისინი სრულიად ტიტვლები იყვნენ და გრძელი თმები მათ სახეზე ეფარებოდათ; ხელში ეჭირათ ტლანქი ჯოხები და ადგილზე ხტუნაობით და ჯოხების მალა ტრიალით, ისინი მეტის მეტი მუქარის ყიჟინას სცემდნენ. დაახლოებით სადილობის დროს ჩვენ გავედით ნაპირზე, პეშერესების პარტიისაკენ; პირველად ისინი მაინცადამაინც მეგობრულად არ მოგვექცენ; სანამ კაპიტანი არ წარსდგა წინ, მათ ხელში ეჭირათ თავიანთი შურდულები. მაგრამ ჩვენ ჩქარა დავამშვიდეთ ისინი, სულ უბრალო საჩუქრებით, როგორც არის, მაგალითად, წითელი არშიები, რომელიც ჩვენ მათ თავზე შემოვასხვიეთ. მათ მოეწონათ ჩვენი ორცხობილი („სუხარი“), მაგრამ როგორც კი ერთ-ერთი ველურთაგანი თითიან შეეხა ჩემს წინ მდებარე ხორცის კონსერვს და ნახა რა, რომ ის რბილი და ცივია, მან გამოიჩინა ისეთი ზიზღი, რომელზე მეტს ვერც შე გამოვიჩენდი მისი დამპალი თევზის ქონისადმი. ამ ველურების გახარება ისევე ადვილი იყო, — როგორც ძნელი იყო მათი დაკმაყოფილება. ახალგაზრდა და მოხუცი, დიდი და პატარა განუწყვეტლივ იმეორებდა სიტყვას „იამერაშუნერ“, რაც ნიშნავს: „მომეცი“. ისინი ერთი მეორეზე აშფერდნენ ხელს, გვთხოვდნენ ყოველს საგანს, ჩვენი ტანსაცმელის დილებსაც კი, ყოველნაირად წარმოსთქვამდნენ თავიანთ

საყვარელ სიტყვას, ბოლოს გაურკვეველი მნიშვნელობით და უაზროდ იმეორებდნენ: „ამერშუნერ“. როცა ძალიან დიდი სურვილი ჰქონდათ რაიმე საგნის მიღებისა, ისინი მიმართავდნენ პირველყოფილ ეშმაკობას: უჩვენებდნენ თავიანთ ახალგაზრდა ცოლებზე ან პატარა ბავშვებზე, თითქოს უნდა ეთქვათ: „თუ მე არ მომცემთ, ეჭვი არ არის ამათ შაინც მისცემთ“.

ზოგიერთ პეშერესების მიმართ ნათელი იყო, რომ მათ ჩინებულად ესმის გაცვლის მნიშვნელობა. ერთს იმათგანს მე მივეცი დიდი ლურსმანი (ძალიან კარგი საჩუქარი), ხოლო სამაგიეროდ არაფერი მომიტხოვია; მან იმ წამსვე ამოიყვანა ორი თევზი და მომაწოდა ისინი შუბის წვერზე. როცა ერთი ნავისათვის დანიშნული საჩუქარი შეორეს ახლოს დავარდებოდა, მას უეჭველად მისცემდნენ იმას, რომლისთვისაც იყო დანიშნული. ბ. ლოუს გემზე მოსამსახურე ბავში, ცეცხლოვანი მიწიდან, თავისი ძლიერი გაჯავრებით ააშკარავებდა, რომ მას კარგად ესმოდა საყვედური ქურდობისათვის, რაშიაც ის მართლაც იყო დამნაშავე. ამ ხელად ჩვენ, როგორც წინათ, ძალიან გვაოცებდა ის უმნიშვნელო, ან უკეთ რომ ვსთქვათ, სრული უყურადღებობა ველურებისა მრავალ საგნისადმი, რომელთა ხმარებას მათში ადგილი არ უნდა ჰქონოდა. ისეთი უმნიშვნელო რამ, როგორც არის წითელი ლენტის ნაჭერი ან ცისფერი კრიალოსანი, ჩვენ შორის ქალების არ ყოფნა, ჩვენი ზრუნვა სისუფთავეზე — გაცილებით მეტ განცვიფრებას იწვევდა მათ შორის, ვინც ისეთი დიდი და რთული საგანი, როგორც იყო ჩვენი გეჰი. ბუგენვილმა მოხდენილად შენიშნა ამ ტომების შესახებ, რომ ისინი ადამიანის ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებს ისე უტყპრიან, როგორც ბუნების კანონებსა და მოვლენებს.

სრული თანასწორობა ერთისა და იმავე ტომის პეშერესებს შორის დიდი ხნით. დააშორებს, ალბად, მათ ცივილიზაციას. როგორც იმ ცხოველებს აქვთ განვითარებისათვის მეტი უნარი, რომლებსაც ალლო აიძულებს იცხოვრონ ჯგუფებად და დაემორჩილონ მეთაურს. ისე ადამიანთა ტომებსაც. უეჭველია, რომ უფრო განათლებულ ხალხებს უფრო მეტად ხელოვნური მმართველობა აქვთ, — სულ ერთია მიზეზად ჩავთვლით ამას თუ შედეგად. სანამ ცეცხლოვანი მიწაზე არ ამალდდება რომელიმე მეთაური ხელისუფლებით, — რომელიც საკმაო იქნება იმისთვის, რომ დაიმკვიდროს თავის მიერ შექმნილი რომელიმე ქონება, როგორც მაგალითად, მოშინაურებული ცხოველები, — მანამდე ნაკლებად არის შესაძლებელი ქვეყნის პოლიტიკური განვითარება. დღეს, ტილოს ნაჭერიც კი, რომელიც ვიზმეს მიეცა, ნაჭრებად იხვევა და ნაწილდება ისე, რომ არც ერთი არ

გახდეს მეორეზე მდიდარი. მეორე მხრით ძნელი წარმოსადგენია. რომ რომელიმე ველურთავანი შეიძლებს მიიღოს უპირატესობა, სანამ არ არსებობს რაიმე საკუთრება, რომლის შემწეობით მას საშუალება მიეცემა გამოიჩინოს უპირატესობა და გაადიდოს თავისი ძლიერება.

მე ვფიქრობ, რომ სამხრეთ ამერიკის ამ განაპირა კუთხეში ადამიანი განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე დგას. ვინემ დედამიწის რომელსამე სხვა ნაწილში. ავსტრალიასა და წყნარი ოკეანეა კუნძულებზე მცხოვრებ ორი რასის წარმომადგენლებს რამდენიმედ მეტი განათლება აქვთ, ვინემ ცეცხლოვანი მიწის მცხოვრებლებს. ესკიმოსები თავიანთ მიწისქვეშა ქოხებში ცხოვერბის ერთგვარი მოწყობილობით სარგებლობენ, ხოლო მათი კაიაკების ზელოვნური გამართულობა მოწმობს მათს საკმაო ხერხიანობას. უბადრუკი და საცოდავია სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი ტომი, რომელიც დაძრწის მცენარეთა ფესვეულის ძებნაში და ძლივს იფარავს თავს თავაზ გრძელ უწყლო ვაკეებზე. ავსტრალიელი თავისი სახლის მოწყობილობის სიმარტივით ყველაზე უფრო უახლოვდება პეშერესს; მაგრამ მას მაინც შეუძლია იამაყოს ამათ წინაშე თავისი ბუმერანგით, შუბით და ჯოხით, თავისი მოხერხებით აცოცდეს ხეზე, უთვალთვალოს ნადირს და ინადიროს. მართალია თუმცა ავსტრალიელმა ზოგიერთი მხრით გაუსწრო პეშერესს, მაგრამ აქედან კიდევ არ გამოდის რომ ის რითიმე მალლა იდგეს მანე თავისი მოსაზრებით და გონებრივი ნიჭით: ჩემი პირადი დაკვირვებით პეშერესებზე, რომელნიც ჩვენთან იყვნენ გემზე, მე პირიქით განწყობილი ვარ სულ საწინააღმდეგო დასკვნა გამოვიტანო.

(ჩ. დარვინი — დედამიწის ირგვლივ მოგზაურობა ხომალდ „ბიგლ“-ზე. თხზულებანი, ტომი I).

## § 11. ველური ხალხი ველა

### ა) მოგზაურის შთაბეჭდილებანი

კუნძულ ცეილონის ცენტრალური პროვინციის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ათეულ მილის სიგრძეზე გადაჭიმულია ტყიანი ქვეყანა, რომელსაც ზოგჯერ უწოდებენ ძველებურ სახელს „ვედა-რატ“, ე. ი. ვედების ქვეყანას. ვედები — მცირერიცხოვანი ხალხია, რომლის ნახვას ცდილობს თითქმის ყველა, ვინც კი ზღაპრულ კუნძულს ეწვევა, ამდენი სხვადასხვა საკვირველებით სავსე რომ არის. მაგრამ ამ ხალხის ნამდვილი წარმომადგენლები

ნახვა სულაც არ არის ასე ადვილი და მგონი სულაც არ შეიძლება ადგილობრივი ხელისუფლების დაუხმარებლად. ქალაქებში თავისი ნებით ვედები არ შედიან, ისინი ხეტიალობენ და ნადირობენ ულრან ტყეებში. ადგილობრივი, პირველყოფილი ვედა მეზობელ სინგალუზების სოფლებსაც კი ერიდება. მოხდება ხოლმე ზოგჯერ, რომ ადგილობრივი ხელისუფალნი ზოგიერთ საპატივცემლო პირთა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად იკერენ რამდენსამე ვედს და გამოჰყავთ ისინი საჩვენებლად. ასე მოხდა კუნძულ ცეილონზე ედინბურგის ჰერცოგის მოსვლის დროს. მას წარუდგინეს საკვირველი მსროლელები კანდში. ესენი იყვენ, ასე ვსთქვათ, საჩვენებელი ვედები: სახით დაღვრემილები, ბანჯგვლიანები, ქუჭყიანები; ჩუმად აკეთებენ ისინი ზოგიერთ რამეს, დიდი პიროვნებისა და მისი ამაღლის თვალწინ: ისერიან, იცეკვებენ და სხვ. და შემდეგ წავლენ თავისთვის, ვინ იცის, რა შთაბეჭდილებებით თეთრი ადამიანის შესახებ. ვედები დარჩენ ველურ და თითქმის პირველყოფილ ხალხად ყავის პლანტაციების, შარაგზების და ევროპიული ცივილიზაციის ყველა წარმატებათა მეზობლად, რომელნიც ანგლო-საქსონელებმა შემოიტანეს ახალშენში. ეს ხალხი შორს არ წასულა იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც მას ორი ათასი წლის წინედ შეხვდა ისტორია. ვედა დღესაც ისევე გვაგონებს დემონს, როგორც იმ შორეულ დროს, როცა უფრო კულტურულმა სინგალელმა უწოდა მას იაკკჰო (Yakkho) — დემონი. თუმცა, ბევრს ეცადა ადგილობრივი მთავრობა რათა ვედები გადაექცია ბინადარ და მიწის მუშა ხალხად. მაგრამ ვედა დღესაც ნახევრად მომთაბარე ან სავსებით მომთაბარე ტომია; თუმცა ცოტა ნაყოფი კი გამოიღო მთავრობის მეცადინეობამ: ვედების უპნიშვნელო ნაწილი ცხოვრობს სოფლებში და რის ვაი-ვაგლახით ამუშავენს თავიანთ მიწდერებს; ხალხის უმრავლესობა წინანდებურად მოხეტიალე მსროლელებად დარჩა; ისეთი ვედების ნახვა, რომელნიც ტანზე ხის ტყავს იფარებენ ყველაზე ძნელია: ისინი იმალებიან ულრან ტყეში და ერიდებიან ადამიანებს, რომელნიც მათ არ გეანან.

მათი ჩვეულებების შესახებ ბევრს ახირობულს და ბევრ შეუსაბამობას გვიამბობენ. ისეთი საოცარი საღებავებით გვისურათებენ ტყის მსროლელების ცხოვრებას, რომ ვედები უფრო ადვილად წარმოგვიდგებიან ჩვენ როგორც ნადირები, ვინემ ადამიანები. როცა ბადულაში მივედი, მე იმ დღესვე შეუდექი მეცადინეობას ვედების ქვეყანაში მოგზაურობის მოსაწყობად. ადგილობრივ ხელისუფალთა სახელზე წამოღებულ სარეკომენდაციო წერილებმა მიშველა და ორი დღის შემდეგ ალუტ-ნუეარას გზაზე ვიყავი. აქ, ალუტ-ნუეარ-

რაში, ღრმა სიძველის, თუმცა ძალზე განახლებულ ნაშთებს შორის  
 ჰე ვიხილე პირველი ვედები. მაგრამ ესენი იყვენ ნიმუშნი ხალხი-  
 იმ ნაწილისა, რომელსაც ურთიერთობა აქვს ახლო-მახლო სოფლებ-  
 ში მცხოვრებ სინგალეზლებთან; ყველაზე ველურ ვედებს მათ ვერ  
 მივაკუთვნებთ. ტანათ ისინი პატარები იყვენ, ბანჯგვლიანები, და-  
 ღვრემილი გამომეტყველებით: ცხვირები ჰქონდათ ბრტყელი. ტუჩე-  
 ბი სქელი და ტიტველი, მათი ტანი იყო ძალიან ჭუჭყიანი. სინგა-  
 ლეზლები ამტკიცებენ, რომ ვედები არასოდეს არ ბანაობენ, რად-  
 გან ეშინიათ, რომ ბანაობა მათ დაასუსტებს. ლაპარაკობენ ძალიან  
 მყვირალა, მეტად მაღალი ხმით, თითქოს ერთნაირი ჰმუნვითა და მრის-  
 ხანებით. მუცელს ქვევით დაკიდული ჰქონდათ ჩვარი და არა ხის-  
 ტყავი. ხის კანის ჩვრით შეცვლა აღნიშნავდა ერთგვარ პროგრესს,  
 მაგრამ ეს პროგრესი ამ ნაქერს იქით არ მიდიოდა. ხელში ეკირათ  
 ცულები, შვილდი და ისრები; ისრების რკინის წვერები — სინგალე-  
 ზელების გაკეთებული იყო და ვედების მიერ, ნანადირევზე და ვე-  
 ლურ თაფლზე გაცვლით შექმნილი. ისინი ატარებდენ წვერ-ულ-  
 ვაშს, მათი სხეული, თუმცა არც ისე ხშირათ, მაგრამ მაინც ბალ-  
 ნით იყო დაფარული. ყველაზე ველურ ვედებს, იმათ, რომელთაც  
 გაღვედებს ეძახდენ, ე. ი. მღვიმეების ვედებს, ტანი სქლად აქვთ  
 ბალნით დაფარული. ასე გადმომცა მე ბაბულში მიმავალ გზაზე  
 შეხვედრილმა მავრმა-ვაქარმა. ეს მავრი ბევრს დადიოდა ტყეებ-  
 ში და მუდამ ხვდებოდა ვედებს, როგორც ისეთებს, რომელნიც გა-  
 მოქვაბულებში ცხოვრობენ, ისე იმათ, რომელნიც ქოხებს იშენებენ.  
 ველურები აშენებენ ასეთს ქოხებს ან ყოველგვარი ხის კანისაგან, ან  
 ლობავენ მათ მცენარე varang-ისაგან და ზედ აფარებენ ბალახს  
 mona-ს ანუ ilu-ს. ძირითადი ვედები, ისინიც კი, რომელნიც მე  
 ბლუტ-ნუფარაში ვნახე, ვერცხლს ძალიან გულგრილად უტკებრიან  
 და მათ არც კი უნდოდათ ჩემგან ფულის მიღება, რადგან არ იცო-  
 დენ, რაში უნდა მოეხმარად ის. ისინი საერთოდ ხარბები არ არიან,  
 არაოდეს არაფერს არ იპარავენ, მაგრამ არც ისე უწყინარნი არიან,  
 როგორც მათ ზოგჯერ გვიხატავენ. ვედები უმთავრესად ნადირობენ  
 და ამიტომ უფრო ხშირად ხორციულით იკვებებიან; სჭამენ აგრეთვე  
 „kukurang“-ის თესლს და პირს მაიმუნებისა და სპილოების ხორ-  
 ცითაც იტკებარუნებენ. მიწათმოქმედება მათ არ იზიდავს, თუმცა  
 ადგილობრივი მთავრობა ბევრს ეცადა, რომ ეს საქმე მათ შეესწავ-  
 ლათ. ვედა ძველებურად, უმთავრესად, მომთაბარე მსროლელია.  
 შოულობენ ისინი აგრეთვე ველურ თაფლს და მას ხმარობენ ვაჭ-

რობაში უმთავრესად მავრების მეშვეობით, რომელნიც ბლოპაჟ მოიპოვებინ ამ ტყიან ადგილებში.

(ა. მინაევი — ნარკვევი ცეილონსა და ინდოეთზე).

## ბ) ველურ ველების ცნობრება

(Sarasin-ით)

პირველყოფილი ვედა გამართული დადის, მაგრამ რაიქე სან-ხედრო გაწვრთნას მოკლებულია; მისი სიარული — დიდი ნაბიჯებითა მხნედ მიმავალი ქვეითი კაცის სიარულია. ცული, რომელსაც ის არ იწორებს, მას მხარზე აქვს გადებული. სიარულში ის არ იღლება. ათი ან თხუთმეტი ინგლისური მილი მისთვის არაფერს არ წარმოადგენს. ის თითქოს მოძრაობისთვის იყოს გაჩენილი. ვედა ისე ჩქარა გარბის, რომ ირმების ჯოგს, რომლის კვალსაც მან მიაგნო, არ შეუძლია მისგან თავის დაღწევა. 1817 წელში, როცა ვედა სინგალეზებთან ერთად გამოვიდა ინგლისელების წინააღმდეგ, მათ პირდაპირ დასტანჯეს მტერი თავიანთი არაჩვეულებრივად ჩქარი მოძრაობის წყალობით.

როცა ვედას ერთს ადგილას უხდება დიდ ხანს დგომა, ის ასწევს. ხოლმე მარჯვენა ან მარცხენა ფეხს და განაგრძობს ცალ ფეხზე დგომას. აწეულ ფეხს ლანჩით მიიბჯენს მეორე ფეხის მუხლს, ხოლო ცალი ხელით კი ველური ებჯინება ცულს, რომლის ტარი მიწაშია ჩარქობილი. ვლებულობთ იმავე პოზას, რომელიც შენიშნა შვეინფურტმა ნეგრთა ერთერთ მეთაურს, მხოლოდ ის დაყრდნობილი იყო მუბზე და არა ცულზე. როცა ვედას ხელში შეილდი უჭირავს, ის ყოველთვის ცალი წვერით მიწაზე აბჯენს მას.

ვედას ძილის დროს, უყვარს ზურგზე წოლა თუმცა გვერდზედაც გადაბრუნდება ხოლმე, თუ ახლოს სადმე რბილი საგანი აიპოვება მაშინ როგორც მამაკაცი, ისე დედაკაცი პირდაპირ ცარიელ მიწაზე წეება; ზღვის სანაპიროებზე ჩვენ ვნახეთ ახალგაზრდა ქალი, რომელიც ტიტველ ფილაქანზე იწვა, მისი ბავში სულ ტიტველი იწვა მის ახლოს და ძუძუს სწოვდა. როცა ვედა გამზადებულია დასაძინებლად ის დიდი ხალისით წეება ნაცარში. არ არის იმის მაჩვენებელი არავითარი ცნობები, რომ ეს ველურები ფურცლებსაგან რბილ ქვეშსაგებს იკეთებდნ.

დემანმა დაათვალიერა, თუ როგორ აღიოდენ ხეზე ველურები. როცა ხის ტანი ტიტველი იყო, ისინი ხელებით შემოეხვეოდნ მას, ხელებითვე იწვედნ ზევით, ფეხებით კი მიეყრდნობოდნ; ვედა

ისეთი სიმსუბუქით აცოცდებოდა ხოლმე ხეზე, როგორც ჩვენი ბალები. საკმაო იყო ტოტებამდე მიეღწია ვედას, რომ ის წამსვე ხის კენწეროზე მოქცეოდა. ხოლო ყველა ხელისშემშლელი ტოტები გზა და გზა ცულით იჭრებოდა.

ვედა თითებით იღებს. საქმელს, თითებითვე ისწორებს თმებს, ისე, რომ როგორღაც შუაზე ჰყოფს მას.

ვედა ძალიან მგრძობიარეა წვიმისადმი, რადგან წვიმის დროს ის ცივდება. ერთხელ მოწამენი გავხდით იმისი, თუ რა საშინელი ღრიალით უჩვენა ტომის მამასახლისმა ჩამავალი შავი ღრუბელი და როგორ გაიქცნენ ყველანი მახლობელ თავშესაფარში. მოგზაურები აღნიშნავენ, რომ ვედა კანკალებს სიცივისაგან, როცა წვიმა მოდის. ღამით ისინი აუცილებლად აჩაღებენ ცეცხლს. სადგომს ჩვეულებრივ შემოავლებენ რკალს ხმელ ტოტებიდან, რათა ტოტების მტკრევის ხმამ ამცნობოს მათ ნადირის მოახლოება. ამასში შეიძლება დავინახოთ ღობის გაჩენის ჩანასახი.

ვედა არასოდეს არ იბანს ხელ-პირს და არც ბანაობს. მთელი ღამე რომ ნაცარში სძინავთ, დილას არც კი გაიბერტყავენ ხოლმე. მხოლოდ შხაპუნა წვიმა წარმოადგენს მათთვის უნებლიე ბანაობას. მიუხედავად ამისა ველურების კანზე არ იყო შემჩნეული ტალახის განსაკუთრებული ლაქები და თმაში არც ისე ბევრი მკბენარები ჰყავდათ. ამ მხრით კულტუროსანი ველები<sup>1)</sup> უფრო ცუდ მდგომარეობაში იყვნენ.

ველურების ტანს საგრძობი სუნი უდის, მაგრამ სრულიად ასატანია ეს სუნი. აქ საქმეს ის გარემოება შველის, რომ ველურები არავითარ ტანისამოსს არ ატარებენ გარდა თოკისა, რომელიც წელზე შემორტყმული აქვთ ჩვრით ან ხის კანით.

თავის ცხოვრების უფრო დიდ დროს ვედა ატარებს სუფთა ჰაერზე. ხშირად რჩება დასაძინებლად ცის ქვეშ და არ ზრუნავს რაიმე ხელოვნური თავშესაფარის შესახებ. მეტი ხალისით წვება ის დიდი ხის ძირში, რომელიც მას ქარისაგან იფარავს; ხოლო თუ ვედა ისეთ ადგილას იმყოფება, სადაც სპილოების ჯოგი დადის, მაშინ ის ადის ხეზე და ეწყობა ტოტებსა და ტოტებს შუა. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ეძებს ის თავშესაფარს ხის კენწეროზე. ფიკუსის ტოტებში ვედა ხშირად ჰპოულობს ისეთ თავშესაფარს, რომელიც სავეგებით უდრის ხელოვნურად აგებულ ქოხს. წლის წვიმიან დროს ვედა თავს აუარებს გამოქვაბულში კლდეებს შორის, სადაც ზოგჯერ.

<sup>1)</sup> რომელნიც სინგალეზთა სოფლების ახლოს სახლობდნენ.



რამდენიმე ოჯახია ერთად ერთ სადგომში. მაგრამ ზაფხულის დად-კომისთანავე ისევ წყვილ-წყვილად იფანტებიან ტყეებში.

თეძობებზე შემორტყმული თოკი, რომელიც ჩვეულებრივ ვედას ერთად-ერთი ტანისამოსია, საჭიროა როგორც ტანსაცმელის სხვა ნაწილების მისამაგრებლად, (ე. ი. ხის ტყავის ან ჩერის, — თუმცა ზოგჯერ ველურები იკეთებენ ტანსაცმელს ტოტებისაგან, რომლებსაც სარტყელში ირქობენ ისე, რომ ფოთლებით ტანის ზედა ნაწილს სწვდებიან), ისე სხვადასხვა გვარი ნივთების გასარქობად, როგორცაა: ისარი, ჯოხი და სხვ. ნადირობის დროს მოკლულის ტყავს ვედის ოჯახში ვერაფრად იყენებენ და უცვლიან სხვა საგნებში უფრო კულტურულ მეზობელ მოსახლეობას.

როგორც უკვე ზემოდ იყო აღნიშნული ვედები ერთრიგად ხმარობენ საზრდოთ როგორც ხორცეულს, ისე მცენარეულს. მხოლოდ მცენარეული საჭმლის შოვნის იმედი მათ უქველად აქვთ, მაშინ როდესაც ხორცის შოვნა დამოკიდებულია ცოტად თუ ბევრად მოჭერხებულ ნადირობაზე (თუმცა ველურები არც მკვდარ ნადირთა ლეშის კამას ერიდებიან).

საზრდოთ გამოსადეგი მცენარეთა ფესვეულის საძებნელად ველური მიემგზავრება წვეტიანი ჯოხით ხელში, რითაც ის ქეჭავს ხის ქვეშ ფოთლების ფენას და ნიადაგს. განსაკუთრებულ სანუკვარ საჭმელად ითვლება მანგოს ხის კანი (ამ მოყვითალო მასას, რომელიც ხის კანს შიგნით არის მოთავსებული, ჩვენებური ბოლოკის გემო აქვს) და ველური თაფლი. უკანასკნელი სამნაირია: ზოგს ჰპოულობენ ტოტებში, ზოგს ფულუროში და ზოგს კლდის ნაპრალებში. პირველი ორი ჯიშის ფიჭას თითქმის ყოველ სიძნელის გარეშე იღებენ, თითქმის ცარიელი ხელებით (ამ სახის ფუტკრები საგრძნობლად არ იკბანებიან); პირიქით მესამე ნაირი თაფლის შოვნა, ძალიან დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ვედა წინ და წინ ემზადება ამ ექსპედიციისათვის, წნავს განსაკუთრებულ კიბეებს ლერწმისაგან. როცა ის ამ კიბეს საფეხურიდან საფეხურზე სწევს, ის პირდაპირ დაკიდებულია უფსკრულზე. ყველაფერი ეს ღამით ხდება, რადგან ამ დროს ფუტკრები ნაკლების გაბოროტებით ესხმიან თავს ფიჭვის მომტაცებლებს. საინტერესოა ჩვეულება ნანადირევის ხორცის თაულში შენახვისა. ხის ფულუროში ჩასდებენ მოკლულ ნადირის ხორცის ნაჭრებს, ზედ დაასხამენ თაფლს და შემდეგ ერთად კარგად დაფარავენ ხის კანით. ამ სახით ხორცი არ ფუჭდება და ასე ინახება მთელი წლის განმავლობაში.

ვედას მთავარ საქმიანობას ნადირობა შეადგენს. ძირითადი ია--  
რალი ამისათვის არის შვილდი. შვილდიცა და ისრებიც დიდი და-  
ხელოვნებით კეთდება ხის ნაჭრებისაგან, შვილდზე ლარად გაბმულია  
ხის ცილი (ქერქი), რომელიც განსაკუთრებით მაგარია; მოღუნული  
ხის ორსავე ბოლოში ლარი მიმაგრებულია ძალიან რთული მარყუ-  
ჯების მთელი სისტემით. ისრების სისხო სამნაირია ნადირის სიდი-  
დის მიხედვით. პატარა ზომის ისარი, გატყორცნილი 35 ნაბიჯის  
მანძილზე, მოხვედრილ ველურ ღორს ან ძალს გახვრეტს და მეორე  
მხარეზე გაივლის. ყველაზე მსხვილი ისრებით სპილოს მოკვლაც კი  
შეიძლება. ისრის გასროლა რომ უფრო ძლიერი იყოს ველური წვება  
ზურგზე, შვილდის ქვედა ბოლო ზემოთ ამართული ფეხის თითებით  
უჭირავს და ლარს ორივე ხელით სჭიმავს.

ისრები რელიგიური თაყვანისცემის საგნებს წარმოადგენენ. ერ-  
თად-ერთი დღესასწაული, რომელსაც ვედებში ადგილი აქვს, იმაში  
მდგომარეობს, რომ მიწაში ჩარქობილი ისრის ირგვლივ სწარმოება  
ცეკვა, თუ, რასაკვირველია, ცეკვა შეიძლება ეწოდოს განსაკუთრე-  
ბული ტალღისებური მრუდე ხაზით ირგვლივ ტრიალს; ამ მოძრაობის  
დროს ველური მიუბრუნდება შუაში ჩარქობილ ისარს ხან პირით, ხან  
ზურგით.

ნადირების დაჭერის დროს ხმარებაშია მონადირეთა განსაკუთ-  
რებული ჟარგონი.

მიუხედავად ვედის დაბალი კულტურული დონისა, ოჯახური  
ცხოვრება მათში მტკიცე საფუძველს ემყარება. გაბატონებულია  
სასტიკი მონოგამია<sup>1)</sup>, რომელიც იმით აიხსნება, რომ ქალები ნაკლე-  
ბია, ვინემ კაცები. ცოლქმარი უკავშირდება ერთმანეთს თითქმის  
მთელი სიცოცხლის განმავლობაში და ცოლქმრული ერთგულებას  
დარღვევა თითქმის არასდროს არ ხდება. ვედა ცდილობს მოარიდოს  
თავისი ცოლი მოსულების შეხედვას და ყოფილა შემთხვევები, როცა  
ეჭვიან ველებს მოუკლავთ მათ ბანაკში შემთხვევით მოსული  
გზააბნეული მოგზაურები, რომელნიც ვითომ მოურიდებელი თვა-  
ლებით უტყეროდენ მათ ცოლებს.

1-2 ბავშვზე მეტი იშვიათად ჰყავთ. დღიური ლუკმისათვის ტყე-  
ში ხეტიალის დროს ვედები-მშობლები იძულებულნი არიან სულ  
პატარა ბავშვებიც კი დასტოვონ სადმე ფარულ ალაგას. ამ ადგილს

---

<sup>1)</sup> მონოგამია — ქორწინების სახეა, როცა ქმარს მხოლოდ ერთი ცოლი ჰყავს; ქორწინების მოწინააღმდეგე სახეა — პოლიგამია: ოჯახი შესდგება ერთი ქმრისა და რამდენიმე ცოლისაგან, როგორც მაგალითად, ეს არის მაჰმადიანთა შორის.

ნიშნავენ ორი ისრით, რომელიც საღამოს, საღვამში დაბრუნების დროს, სახელმძღვანელო ნიშნების დანიშნულებას ასრულებენ.

ვედები საესებით კმაყოფილნი არიან თავისი ბედის. „როცა მომშვიდებო“, ამბობდა ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც აწონებდნენ კულტურული ცხოვრების სიკეთეს, „ხის ჭერქს ვლექავ და მიწაში ფესვეულს ვთხრი; როცა შემცივდება — ცუცხლს გვაჩაღებ. მე არ მესაჭიროება არც ფული, არც წიგნი და არც სწავლა. მომეცი მე მხოლოდ ცული და ბედნიერი ვიქნებო“.

## § 12. კანიბალიზმი ფიჯის კუნძულებზე

(პ ა რ ტ ვ ი ე)

წყნარ ოკეანეს ნაპირებზე მცხოვრებ ხალხთა დიდი უმრავლესობა ცოტად თუ ბევრად კანიბალიზმს მისდევდა, ზოგიერთები დღესაც განიცდიან მისდამი ლტოლვას, მაგრამ კმაყოფილებიან ომში მოკლულებით ან ტყვედ ჩაეპარდნილ მტრების შექმით, ან დაბოლოს განსაკუთრებული რელიგიურ დღესასწაულების დროს ადამიანების მსხვერპლად შეწირვით. ფიჯის მცხოვრებლები კი ნებაყოფლობით მისდევნენ კანიბალიზმს უკანასკნელ დღემდე და მიუხედავად ქრისტიანობის წარმატებისა, კიდევ ბევრნი მისდევნენ ამ ჩვეულებას. ადამიანის ხორცის ჰამის სურვილი ხშირად ერთად ერთ მიზეზს შეადგენს მათი ომისა და მტერი მხოლოდ იმისთვის მოჰყავთ ტყვედ, რომ ის შემდეგ ნადიმისათვის გაასუქონ. როცა დადგება მსხვერპლის შეწირვის დრო, — ეს საზიზღარი ნადიმი ყოველთვის იმართება ცნობილ რელიგიურ ცერემონიების დროს მბურეს ანუ ტაძრის შიგნით, — საბრალოები მოჰყავთ მაგრად ხელ-ფეხ შეკრულები ისე, რომ მათ ხეულის არც ერთი ნაწილის განძრევაც არ შეუძლიათ. შემდეგ მათ დასვამენ მათი ჩვეულებრივი ღუმელის ცხელ ქვებზე, ზედ აფარებენ ფურცლებს და მიწას და ნელა წვავენ, სანამ არ მოკვდებიან.

მხოლოდ დიდებულებს და ქურუმებს აქვთ ნება ამ ნადიმებში მონაწილეობის მიღებისა; ქალებს უფლება არა აქვთ მბურეში (ტაძარში) შევიდნენ, მაგრამ დიდებულების საყვარელი ცოლები კი სტკებებიან აკრძალული საქმელით. ამ ხალხს ისე უყვარს ადამიანის ხორცი, რომ როცა უნდათ რომელიმე საქმელი აქონ, მას ადამიანის შემწვარ ხორცს ადარებენ. ქალის ხორცს კაცის ხორცზე უფრო მაღლა აყენებენ; ადამიანის ტინი, ხელის ნაწილი მკლავს ზემოდ და თეძოები ყველაზე გემრიელ ნაჭრებად ითვლება. ზოგიერთი თეთრები, რომელნიც ამ ველურებს შორის ცხოვრობენ, არწმუნებდნენ უილკს, რომ მტრების ღემი ზოგჯერ ისეთი სიზორედან მოჰქონდათ, რომ სრულებით მწვანე ხდებოდა და ხორცი ძვლებს შორდებოდა, იხრწნებოდა, მაგრამ ამის მიუხედავად მას მაინც ხარბად სჭამდნენ. საბედნიეროდ თეთრების ხორცი ამ ველურებს არ მოსწონთ, რადგან მარილიანია და არა სასიამოვნო გემო აქვს. თუ ომში საკმაო მსხვერპლს ვერ მოიპოვებენ სახორცეთ, მაშინ უკანასკნელს ყიდულობენ და ადამიანის სიცოცხლე ისე ცოტა ღირს, რომ მასში კაშალორის კბილზე მეტ ფასს არ იძლევიან.

ზოგჯერ დიდებულები აწყობდნენ საზოგადოებრივ დღესასწაულს. რომელზედაც ყოველ იმათგანს მოჰქონდა ღორი, მაგრამ ძლიერ ტანოას ამ შემთხვევი-

სათვის ადამიანი მოჰყავდა თავის მოსაწონებლად და საამაყოდ. განსაკუთრებით დიდი ზემოების დროს ასობით ქალებსა და პატარა გოგოებსა სწვავდნენ და ჰკამდნენ. ერთხელ ტანოას შვილი, რივალეტო, ნავით მიცურავდა ჩრდილოეთის უკიდურეს ნაპირ ოვოლაუს ახლოს და ნაპირზე რამდენიმე კაცი დაინახა, რომლებიც თევზს იკერდნენ. მან გადასწყვიტა თევზის ხელში ჩაგდება, მიადგა ნაპირს და დაიწყო სროლა. ტყვიამ მოკლა ძმისწული ტუმლეეუკისა, კუნძულ ოვოლაუს მფლობელის, რომელიც ტანოას მოკავშირე იყო; მიუხედავად ამისა, გვამი მაინც ამბაუში მოიტანეს შესაქმელად, ხოლო კვლის დასაფარავად სახე-კი დაუხრუკეს. მაგრამ ტანოამ მინც გაიგო მოკვლის ამბავი და შესარიგებლად ტუმლეეუკს გაუგზავნა კამალოტის ძილი და მრავალი ნეცი, რომლებიც მისი ბრძანებით მოსკრეს მის ვასალებს ამბაუში. ეს ძღვენი საკმაო ჯილდოთ იქნა ჩათვლილი, ასე რომ შემდეგში აღარავის მოჰგონებია მკვლელობის ამბავი.

როგორც საშუალო საუკუნოების ევროპაში სიცოცხლისა და ქონების გადასარჩენად გაიშვებულნი ქალაქები და ბურგები იყო საპირო, ისევე კუნძულ ფიჯზე სოფლებს აშენებენ მიუვალ კლდეებზე და კედლები აქვთ შემოვლებული. მტრის დაცემის შიში იმდენად ძლიერია, რომ ხშირად ხელს უშლის დამცემთა წარმატებას, რადგან სულ მცირე საშიშროების შემთხვევაში უფრო სუსტი ტომები იმალებიან თავიანთ სიმაგრეებში; აქ კი იშვიათად აღდგენენ მათზე აშკარა თავდასხმას, რადგან თუ უეცარი თავდასხმა წარმატებით არ დასრულდა, მაშინ ხელახალი თავდასხმა სხვა უფრო მოხერხებული დროისათვის უნდა გადაიდოს. მკვლევოების მრავალ ისტორიებიდან, რომლითაც საესეა ამ ქვეყნის მატინე. მე მოვიყვან მხოლოდ ორს. ოდესღაც კუნძულ მალიკივე ცხოვრობდნენ მეთევზეები, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ ყოველწლიურად მიერთმით ტანოასთვის კუების განსაზღვრული რაოდენობა. საუბედუროთ ერთხელ მათ თითონ შესკამეს ერთი ამ ცხოველთაგანი, რომელიც მეფისთვის იყო დანიშნული. მეფის შეურაცხოვისათვის დაუყოვნებლივ იქნა გაგზავნილი დამსჯელად ექსპედიცია, რომელმაც კუნძულზე დახოცა ყველა ქალი და კაცი. ამბაუში დაბრუნებისას ნაბრძანები იყო, რომ მრავალი ამ უბედურთაგანი ანძებზე და იალქნებზე ჩამოეკიდათ, სამხედრო ტროფების სახით, სხვებს კი სიცოცხლე აჩუქეს, რათა მოზარდ თაობას მათზე ესწავლა მოკვლის ხელოვნება.

## § 13. პირველყოფილი კოოპერაციის ნაშთები ჩამორჩენილ ხალხებში

შრომის მარტივი კოოპერაცია—თევზაობაში, ნადირობაში, თავდასხმა-თავდაცვაში, ჯოგის მოვლაში, დასამუშავებლად ტყიანი ადგილის გაწმენდაში, მორწყვასა და მიწის დამუშავებაში, სახლები აშენებასა და დიდი ზომის იარაღ-მოწყობილობათა დამზადებაში, როგორცაა: ბადეები, ნავეები და სხვა, — ბუნებრივია, რომ მთელი წარმოების ერთად მოხმარებას იწვევს და მით ჰქმნის საზოგადო საკუთრებას უძრავსა და მოძრავ ქონებაზედაც-კი, რამდენადაც ის შეიძლება დაცულ იქნას მეზობელ ჯგუფების ძალადობისაგან. წარმოადგენს ჩიპრველყოფილი ეკონომიური წყობილების არსებობის პირობას, ან

სახის კოოპერაცია იმავე დროს არის წყარო მთელ რიგ ზნეობრივ და აურიდიულ შეხედულებათა წარმოშობისა და განვითარებისათვის, შეხედულებებისა რომელიც ხშირად მრავალი ასი წლების განმავლობაში არსებობენ მას შემდეგ, რაც რომ მათი გამომწვევი საზოგადოებრივ-ეკონომიური ორგანიზაცია გამქრალია და ამით ააშკარავენ ცხოველმყოფელობას და მნიშვნელობას მათი გამომწვევი საფუძვლებისა. ასეთია მაგალითად, შეხედულებები, რომელნიც ეხებიან სტუმართ-მოყვარეობის საჭიროებას, ჩუქებას, ქურდობას, კოლექტიურ პასუხისმგებლობას და ყველა წევრებისათვის მხარის დაჭერას ამა თუ იმ წესრიგის დარღვევის ან ვალდებულების შესრულების შემთხვევაში.

მაგალითისათვის, მკითხველს მოვავრთოთ, რომ თანამედროვე ევროპიულ საზოგადოებაში შრომის საზოგადოებრივი განაწილების სისტემის სრული ბატონობის დროს, სიუხვე ან პირველყოფილი ორგანიზაციის მიერ შექმნილი ხასიათის თვისება, ისევ სათნოებად ითვლება, მაშინ როდესაც მისი მოპირდაპირე გრძობა-სიძუნწე, მიუხედავად შრომის განაწილებასთან მისი ორგანიული კავშირისა, პირდაპირ ნაკლად ითვლება.

ამავე სახით გაცვლა და ყიდვა-გაყიდვა მახლობელ ნათესავეებს შორის უხერხულ, არასაკადრის საქმედ ითვლება, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს მტკიცე და მეგობრული ნათესაური კავშირი, რაშიაც ნათლად გამოკრთის ის ჭეშმარიტება, რომ შრომის განაწილებიდან გამომდინარე ურთიერთობანი წინააღმდეგ იმ ურთიერთობათა, რომელნიც მიწ გაერთიანებაზეა დამყარებული, არის ანატგონისტური, სიმტკიცეს მოკლებული ურთიერთობები. საზოგადოებრივი აზრის და საზოგადოებრივი ტემპერამენტის ამ შეუგნებლად მომწონებელ განაჩენებში ყველა იმის შესახებ, რაც პირდაპირ ან არა პირდაპირ გამომდინარეობს შრომის მარტივი კოოპერაციისა ან თანასწორობისაგან არსებითად გამოსჭვივის ის ფაქტი, რომ სამუშაოების შეერთების ეს სახე წარმოადგენს უნივერსალურ ფორმას საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, რომლისგანაც კაცობრიობა მხოლოდ დროებით არის მოშორებული, რათა მოძებნილ იქნას გზები მის აღსადგენათ ახალ უფრო რთულ ფორმებში. ეგრედ წოდებული „ბუნებრივი სამართალი“ სხვა არაფერს არ წარმოადგენს, თუ არა მხოლოდ ათასი წლის ეკონომიურ წესწყობილების მსგავს ნაშთთა გროვას.

შრომის პირველყოფილი შეერთების სისტემა არ განისაზღვრება მარტო ზნეობრივი და იურიდიული შეხედულებებით და კვალს აჩენს ადამიანების ფიზიკურ და გონებრივ ორგანიზაციას. მოგზაურ

მ ი შ ი ე ს შემდეგი სიტყვები, რომელნიც მან სთქვა მონგოლების შესახებ, ეხება ყველა დანარჩენ ხალხებს, რომელნიც კი განვითარების აღრინდელ საფეხურებზე დგანან: „მსგავს ნაციათა შორის, — ამბობს ის, — ინდივიდუალურობა თითქმის სულ არ არსებობს. თვითელი ინდივიდუუმის ზნე-ჩვეულება და აღზრდა ერთი და იგივეა. მთელი ტომი მრავალ თაობათა განმავლობაში მიმართავს ერთისა და იმავე ნიჭის, უნარიანობის ხმარებას, ასე რომ ის იქცევა მემკვიდრეობით და განუშორებლად შეეზრდება რასას. მონღოლი, რომელსაც არ ეცოდინებოდა კარგი ცხენოსნობა, ისეთივე ანომალია იქნებოდა, როგორც ისეთი მონღოლი, სტუმართმოყვარეობა რომ არ იცის“.

ამ მომთაბარე ხალხის ყველა წევრთა ცხოვრების ერთფეროვნება ხელს უშლის რა მრავალ ნიჭთა განვითარებას, რომელთა მოხმარება აუცილებელია ცივილიზირებულ ხალხების არსებობისათვის, აქცევს მთელი ტომის ტიპს მუდმივად, ასე რომ ამ ტომის არც ერთი წევრი შესამჩნევად არ განსხვავდება თავის დანარჩენ თანამემამულეთაგან გარეგნული შეხედულებით. განათლებულ საზოგადოებაში, რომელშიაც შრომის განაწილება იმდენად აუცილებელი შეიქმნა, რომ თითონ გახდა ცივილიზაციის დიად კრიტერიუმად, ტიპების სხვა და სხვაობა ერთი მოდემის განმავლობაშიაც კი ვითარდება. ყოველთვის შეგიძლიათ გაარჩიოთ თერძი — მეწალისაგან, ჯარისკაცი — მეზღვაურისაგან; მაგრამ ის ტომები, რომელთა ჩვეულებები აიძულებს თითოეულ ოჯახს იყოს დამოუკიდებელი, ტომები, რომელთა მოთხოვნილებები, — როგორც ეს მართალია ყველა სხვა დანარჩენი ქვეყნის (ეგროპას გარდა) მიმართაც, — შეზღუდულია მათ დასაკმაყოფილებლად საჭირო საშუალებებით და რომელთა შორის სხვადასხვა ხელობები თითქმის უცნობია, ეს ტომები აუცილებლად მნიშვნელოვან ერთფეროვნებას წარმოადგენენ. მკითხველი, იმედი გვაქვს, არ გვისაყვედურებს, თუ ჩვენ შევეცდებით შრომის შეერთების აღნიშნული მნიშვნელობის გამო პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიური ორგანიზაციის დასახსიათებლად, დაწვრილებით დაეხატოთ პირობები და წესი სამუშაოების ამ გვარი კომბინაციისა — რამდენადაც ეს აშკარადდება ჩვენთვის მოგზაურთა და სხვა მკვლევართა ჩვენებებში: ჩვენ მიერ მოყვანილი ფაქტები ცალ-ცალკე შეიძლება და არც დამახასიათებელს და არც ახალს რასმეს წარმოადგენენ, მაგრამ, ერთად თავმოყრილნი და შეერთებულნი, ისინი სულ სხვა ელფერს ღებულობენ.

„ავსტრალიის ჟარათო მდინარეებში, ამბობს ე ი რ ი, სადაც წყალი სუფთაა და დაბალი, ადგილობრივ მცხოვრებთა ჯგუფები, 40 და 50 კაცამდე, იჭერენ თევზს მაგარი ხის შუბებით, რომელთაც 6

ფუტბალზე სიგრძე და წვეტიანი თავები აქვთ; ფართე ნახევარ წრედ ჩამწკრივებულნი ისინი ერთ დროს ჩაიყურყუმალებენ წყალში თავიანთი იარაღებით და საკმაოდ დიდხანს რჩებიან წყალ ქვეშ. თუ ვერაფერს დაიჭერენ ისინი გაცურდებიან რამდენსამე იარაღის მანძილზე და ხელახლა ყვინთავენ იარაღით ხელში. ამ რიგად ისინი ხშირად ერთი ორი მილის მანძილზე გადიან, სანამ იმდენ თევზს არ დაიჭერენ, რამდენიც მათთვის საჭიროა“. ავტორს უნახავს 30 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელსაც ერთი საათის განმავლობაში დაუჭერია 7 თუ 8 თევზი, რომელიც სიგრძით არა ნაკლებ 15 ფუტისა, და ზოგი მეტიც ყოფილა. ის სისწორე, რომლითაც ისინი ღვებიან ერთი მეორის ახლოს, მოხერხება და წესი, რომლითაც ისინი ყვინთავენ ქეშმარიტად განსაცვიფრებელია იმისათვის, ვინც ასეთს შემთხვევას პირველად ხედავს. იგივე მოგზაური შემდეგი ცოცხალი ხაზებით გვისურათებს ველურების დამით თევზაობას: „მოძრაობა ნაგების მთელი ფლოტილისა, რომელნიც უამრავ ცეცხლის ბურთების მსგავსად შორს დასრიალებენ და კიდევ უფრო სქელ ბურუსს აყენებენ იმ წყვდიადს, რაიც მყურებელს გარს ახვევია და მთელ სცენას მეტად რომანიულ სახეს აძლევენ, რითაც საუცხოვო და ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენენ. წყლის ზედა-პირი თითქოს გამოცოცხლდაო, მთლად დაფარულია ბრჭყვიალა ცეცხლებით, რომელნიც აქეთ-იქით ირხვეიან, მსგავსად ქაობის ცეცხლებისა, და სწრაფად და გაუგებრად ქრებიან, როგორც კი უცხოელთა ფეხის ხმა მოისმის“. ასეთივე სათემო ხასიათი აქვს, ავტორის სიტყვით, ნადირობას კენგურუზე, რომელთაც ბავშვების ბრბო ყვირილით და ღრიანცელით მიერეკება შუბებით შეიარაღებულ დიდებისაკენ ან ხრამისაკენ, და აგრეთვე ბადებით ქერას ბატების, იხვების, პელიკანების, მტრედებისა და სხვ. მაგრამ ნადირობის ასეთი წესი არ უარყოფს ცალკე, დამოუკიდებელ ნადირობასაც, კარგად მოფიქრებულ და მოხერხებულ იარაღების საშუალებით.

იმ ცხოველებს, რომელზედაც ჯგუფ-ჯგუფად გასული მონადირეები ნადირობენ, გ რ ე ის სიტყვით, ან ბუჩქებში მოამწყვდევენ. — სადაც ისინი დღის სიციხისაგან იუპარავენ თავს, — ან და გაშლილ ალაგას. პირველ შემთხვევაში მათ შემოერთყვებიან და ბუჩქებს ცეცხლს წაუკიდებენ, შეშინებული ცხოველები გარბიან ცეცხლიდან გაშლილ ალაგისაკენ, მაგრამ სანამ ტყის მეორე ნაპირს მიაღწევენ, წინ ელობებათ მეორე მხრიდან დანთებული ცეცხლი, ისინი, შიშის ხარისხით მომგვრელ ყვირილით დამფრთხალნი უკან უნდა დაბრუნდნენ. ნადირები გაცოფებულებივით დარბიან იქით-აქეთ, სანამ გონება დაბნეულნი არ გაეშურებიან მღვენელებისაკენ, რომელთა რისხვას ცო-

ტანი დააღწევინ თავს. მონადირეთა ჯაჭვი ცხოველების ირგვლივ თანდათან ვიწროვდება, სანამ ზოგიერთ მათგანს მოუსვენრობა არ შეიპყრობს და არ გაიქცევა. მაგრამ სანამ ისინი რამდენსამე ნაბიჯს გადასდგამენ, მათ მოძრაობას აჩერებს ველურების საშინელი ყვირილი; შიშით შეპყრობილი ცხოველები ამხანაგებთან ერთად მიწაზე ეცემიან, მაგრამ შეიარაღებული ველურები შუბების ქნევით და ხმამალალი ყვირილით ყოველი მხრიდან მოცვივდებიან, და სანამ ცხოველები პირველი გაკვირვებისა და შიშისაგან გონს მოვიდოდნენ, ხოცვა უკვე დაწყებულია და იშვითად გათავდება ისე, რომ უმრავლესობა არ იქნეს დახოცილი.

ასეთი დიდი საერთო ნადირობა ხდება ზოგიერთი წესების დაცვით. მიწის პატრონი (?) იწვევს სხვა ადგილობრივ მცხოვრებლებს და თითონაც უნდა დაესწროს ნადირობის დროს, რადგან ამ წესების დარღვევის შემთხვევაში ალბად სისხლისმღვრელი შეტაკებები დაიწყება. პირველი შუბი, რომელიც კენგურუს მოხვდება, მიუხედავად იმისა, მსუბუქ ქრილობას მიიღებს უკანასკნელი თუ მძიმეს, სწყვეტს საკითხს, ვის (ე. ი. მცხოვრებთა რომელ ჯგუფს) ეკუთვნის ცხოველი.

ავსტრალიაში მამაკაცები ხშირად გროვდებიან მრავალ რიცხოვან ჯგუფებად, ნადირობენ და თევზაობენ დღეში რამდენსამე საათს. ქალები კი აგროვებენ სიმინდს, ფესვეულებს ანუ სხვა საზრდოს წელიწადის დროის მიხედვით და ყველანი ერთად იყრიან თავს სალაყბოთ და ზოგჯერ საცეკვაოდაც. ზოგიერთ შემთხვევაში კენგურუზე ნადირობაში მონაწილეობას იღებს მთელი ტომი. „როცა სანადირო ადვილს ამოიჩქევენ, მამაკაცები ქალების გასწვრივ ბალახში გაწვებიან. ახლო-ახლო ერთმანეთისაგან, ხოლო ქალები და ბავშვები აკეთებენ რა გრძელ მწყრივს, ადიან გორაკზე და ცდილობენ გარეკონ კენგურუს ქალაში, სადაც მამაკაცები არიან ჩასაფრებულნი. ცხოველები ინსტინქტიურად ირჩევენ ამ მიმართულებას, რადგან აქეთ გაქცევა უფრო ადვილია. რამდენადაც ჯოჯი ხმაურობით გაიბრუნს მონადირეების ახლოს, თვითთული მათგანი დგება საფარიდან და შუბს ჩაარტყამს ერთს ან ორ ცხოველს. ამნაირად ისინი ეხმარებიან ერთმანეთს, სანამ ჯოჯი არ გაივლის უკანასკნელი მონადირის ახლო და შემდეგ იწყებენ ნანადირევის შეგროვებას. ასეთი ნადირობა ერთერთი დიდი მოვლენათაგანია ველურების ცხოვრებაში; განუწყვეტელი ხმამალალი ყვირილი ქალებისა და ბავშვებისა გორაკებზე, ხმაურობა და ბრაზაბრუნბი, რომელსაც მრავალ რიცხოვანი კენგურუს ჯოჯის სიბილი აყენებს, საფრიდან გამომხტარ მამაკაცების ველური შეძახილი — ყოველივე ეს საყოველთაო აღელვებას იწვევს. მაგრამ ამ გვარი ნადი-



რობა შეუძლებელია ვაკეზე და ჩირგვენარებში, სადაც კენგურუ ცოტაა, როგორც მაგალითად. ვატჩანდის ტომში და მის მეზობლებში. აქ ტომის საერთო საქმიანობა გამოიხატება ჩირგვებში მცხოვრებ წვრილ ცხოველებზე ნადირობაში. ამ მიზნით აქაურები შემოლობდნენ ხოლმე ჩირგვენარის ნაწილს იმ მხრიდან, საიდანაც ქარი არ ჰქრის. და შუბებითა და კეტებით შეიარაღებულები დადგებიან ამ ლობის გასაველელში. როცა ყველაფერი მზად არის, ქალები და ბავშვები ანთებენ ცეცხლს ქარის მხრიდან, ერთდროულად მრავალ ადგილას, და აიძულებენ ცხოველებს გაქცევას ქარის მიმართულებით, სადაც ისინი შეეჩებებიან რა ლობეებს, ცდილობენ გაძერენ ნახვრეტებში, რომელთაც შეიარაღებული მამაკაცები იცავენ. ამ გზით აქაურები ბლომად იძენენ საზრდოს, მაგრამ რადგან გადამწვარი ბუჩქნარი ხელახლა მხოლოდ რამდენსამე წლის შემდგომ იზრდება და მხოლოდ მაშინ ივსება ცხოველებით, ამიტომ ასეთი ბედნიერი დრო ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის ხშირად არ დგება...

ჩვეულებები, რომელნიც მონაწილეთა შორის ნანადირევის გაყოფას აწესრიგებენ, კარგად არის მოფიქრებული და ძალიან სასტიკად სრულდება. როცა 8-10 კაცს შორის გასაყოფია ემა, ძალიან ან კენგურუ, გაყოფას ახდენს ერთერთი მოხუცთაგანი. რომელიც თავისთვის ყველაზე დიდ წილს იტოვებს. ყველა, რომელიც კი თავის წილს მიიღებს, მაშინვე კმაყოფილი რჩება და მიეშურება ცეცხლისაკენ, რომ ხორცი შესწვას. ასეთ შემთხვევებში მათ არაოდეს ჩხუბი არ მოსდით, რაც ხშირად ემართებათ თეთრებს მოუსავლობის დროს.

ტიტიტელები, — ამბობს მორენგო, — მცენარე inatifiens tinctoria-ს კანისაგან ამზადებენ სხვადასხვა ზომის ბადეებს, რაზედაც თითქმის მთელ ოლქს უნდა ემუშავა, უნდა ეზიდა უფროსის სახლში. მისი ცალკე ნაქრები, სადაც მათ აწყობდნენ და აერთებდნენ. თავისთავად იგულისხმება, რომ ასეთი ბადეებით თევზაობა მხოლოდ საერთო ძალით სწარმოებდა. ახალ ზელანდიაში ღამ-ღამობით თევზის ქერაში მთელი სოფლები ღებულობენ მონაწილეობას. „მამაკაცები, დედაკაცები და ბავშვები პენზაის კუნძულებზე ერთნაირად უშიშრად ყვინთავენ აქაუბელულ წყალში, რომელშიაც, ეტყობოდა, ისევე კარგად გრძობდნენ თავს, როგორც ხმელეთზე. მრავალი, ზღვაში მოცურავე ადამიანი, რომელნიც ჯერ დიდ მანძილზე იყვნენ გაფანტულნი, იწყებენ ერთ ადგილას შეკრებას და არა მარტო განუწყვეტელი ხმაურობას აყენებს ყვირილით, არამედ სანახევროდ ახტება რა წყალიდან და შემდეგ ისევ ეშვება რა შიგ. მკლავებს გვერდებზე იცემს და ხელებს ატყაპუნებს. რაც ისეთ ხმაურობას იწყებს ხოლმე, რომ რევოლ-

ვერის გასროლას მოგვაგონებს. და მე აქ შევნიშნე გროვა აფრენილი თევზებისა, რომელნიც ამოხტებოდნენ წყლიდან და სხვადასხვა მიმართულებით მიხტოდნენ, ხშირად გადაახტებოდნენ ადამიანების წრეს და თავს აღწევდნენ კალათებს და ქალებისა და ბავშვების ზღუდეებს. როცა წრე თევზების ერთად თავმოსაყრელად საკმაოდ შეიკუმშა, მამაკაცებმა ჩაყვინთეს თავიანთი ბადეებით, რომელიც თევზებით გაავსეს. ბადეებს ცლიდნენ კალათებში, რომელნიც გარედ მდგომ ქალებს ეჭირათ; ეს ქალები მიეშურებოდნენ ნაპირისაკენ, აღწევდნენ წრის უკანა ადგილს, რასაც ჩვეულებრივი მცურავი ვერ გადაურჩებოდა, და დაცარიელებული კალათებით ისევ უკან ბრუნდებოდნენ. ნახევარ საათში მთელი ბრბო იფანტებოდა, ხოლო თვითველ ოჯახს მფრინავი თევზის დიდი მარაგი რჩებოდა“.

„ბადეებით თევზის ქერაში, — ამბობს უ ე ს ტ ი, — ტოტანელეზი დაჩვეულნი არიან მეტად თავისებურ ხერხიანობას. ჩვენ ხშირად ღრმა ინტერესით ვადევნებდით თვალყურს ამ ოპერაციას, რომელსაც შემდეგში მდგომარეობს: ამოირჩევენ ზღვის ერთ საკმაოდ ღრმა ადგილს, რომლის ფსკერი თანდათან ამალღებულა ნაპირისაკენ. ორი შეერთებული კანოე (ნავი) ქოქოსის ხისაგან გაკეთებული ბადეებით (სიგრძით 5-6 საყენამდე და სიგანით 2 საყენამდე) აკეთებენ ფართო წრეს და მისცურავენ ერთმანეთისაკენ, ხოლო ბადეებს წყალში უშვებენ მოძრაობისდა მიხედვით. იმავე დროს ორ სხვა კანოეზე, რომელნიც ქვიშიან ნაპირას არის დაყენებული გაიბმება თოკი იმ მიზნით, რომ გაკეთდეს მეორე დიდი წრე, რომლის შუა ალაგას მოთავსებულია მოძრავი კანოები (ნავები) და დიდი ბადე. ეს თოკები კეთდება ქოქოსის კაკლის ფურცლებიდან და იმდენად მაგარია, რომ ზღვის ფსკერზე ჩაშვებულნი საკმაოდ უშლის ხელს გაქცევას თევზისა, — მოძრავი ბადე რომ წინ ერეკება. ყოველივე ამის გარდა ერთ ადგილას დაყენებულ კანოეს შუა ჩაშვებულია უზარმაზარი და მაგარი ბადე. საბოლოოდ ამ ბადეში მიერეკებიან მთელ თევზს — იმისდა მიხედვით, რაც უფრო და უფრო ვიწროვდება წრე, რომელსაც წინ მიმავალი კანოები აკეთებენ. ამ შემთხვევაში მსგავს საშუალებით დაჭერილ იქმნა 3000 მეტი თევზი სხვადასხვა ხარისხისა და სისხოსი, გარდა კუსი და აქულეებისა. თევზს ანაწილებენ ბადეების და ხელსაწყოების სხვადასხვა მეპატრონეთა შორის“.

„ფიჯიელები გამოცდილი მეთევზეებია, — სწერენ კ რ ი ს ტ მ ა ნ და ო ბ ე რ ლ ე ნ დ ე რ ი, — ამისთვის ისინი ხმარობენ ბადეებს, ანკესებს და გოდრებს. ზოგიერთ ადგილებში იხმარება ერთგვარი ბადე, რომელსაც რაუ ეწოდება; გრებილი მცენარის გრძელ და ადვილად

ძოსალუნ ჯოხებზე მიამაგრებენ ქოქოსის ხის მრავალ ნახერცებთან ფურცლებს და ამ გვარად კეთდება მნიშვნელოვანი სითარისა და სიგრძის ბახრომა; ასეთ რაუს ზოგჯერ 3400 მეტრი სიგრძე აქვს ერთი თავიდან მეორემდე. როცა აქაურები თევზის დასაქერად მიდიან, ისინი რაუს წყალში უშვებენ, ბოლოებს კი მიაბამენ ნავს, რომელითაც მას მიათრევენ. შემდეგ ისინი მიდიან პატარა ყურესკენ, რომელსაც ამ რაუთი ჰკეტენ, ხოლო შემდეგ პატარა ბადეებითა და მარცხებით იქერენ თევზსა და ყოველგვარ საქმელად გამოსადეგ ცხოველს. უფრო ხშირად მიმართავენ ისინი ბადეს კუს დასაქერად. ასეთ ბადეს ქსოვენ მაგარი თოკისაგან, სიგრძით 200-400 მეტროსა და სიგანით 3½ მეტრამდე. ბადეებს აგებენ ზღვის ნაპირას, ასე რომ კუ, როცა ის ნაპირიდან ბრუნდება უქვევლად იხლართება ფეხებით ბადის ფართო თვლებში“.

„ცნობის მოყვარეობის აღმძვრელია, ამბობს ე რ ლ ი, ამ ხალხის (ფილიპეს კუნძულების ნეგრიტოსების) ნახვა, როცა ის სანადიროდ მიემგზავრება; კაცები, ქალები, ბავშვები — ყველანი მიდიან ერთად, მსგავსად ტაციობა-ქურდობაზე მიმავალ ორანგ-გუტანგების ჯოგისა“.

„პალაუზის კუნძულების შიგნითა ზედაპირზე დაბალ წყალში ვითარდება ახალი ცხოვრება. ადგილობრივ მცხოვრებლების მთელი ბრბო დიდი ნაევით გადის „რულის“ დასაქერად — ეს არის დიდი ჯიშის სკატი, რომლის ხორცი მათ გაგიეებით უყვართ და ხორკლიან კუდს კი, რომელსაც მრავალი მაგარი კავი ასხია, ხმარობენ შუბების წვერებად. პირველ ნავს მოჰყვება მეორე, მეორეს კიდევ მესამე, რადგან ამ ზღვის ცხოველის დაქერა ძნელია და ზოგჯერ საშიშიც არის. როცა წყალი კლებულობს; ასეთი სკატი ხშირად მიყვება წყალის დენას და მაშინ ის შორიდან ძალიან ჰგავს მძინარე კუს. როცა ის არხის ღრმა წყალში მოჰყვება, მისი დაქერა შეუძლებელია, მაგრამ თუ იმას მიათრევენ ფართე რივის ზედაპირზე, მაშინ რამდენიმე ნავი ისე დგება, მის ირგვლივ, რომ ის თანდათან მიაქვს წყალს ზღვიდან ამოწეულ ნაპირისაკენ. წრე სულ უფრო და უფრო ვიწროვდება თევზს აღარ ჰყოფნის საცურავედ წყალი, ის ეყრდნობა ხორკლიანი კუდით მიწას და თავგანწირული ხტომით ცდილობს გაარღვიოს ადამიანების რკალი, რომელნიც უკვე გადმოხტენ ნაპირს მიმდგარი ნავეებიდან. მაშინ იწყება ველური მისევა, რომელიც მალე თავდება. ყოველ მხრიდან ესერიან შუბებს და ისრებს ცხოველს, რომელმაც საბედნიეროდ ვერავის ვერ მოარტყა კუდი; შემდეგ მას სიხარულის ყიფინით აათრევენ ერთერთ ნავზე. თუ სიკვდილის წინ სკატი მოას-

წრებს ვისმესთვის კულის დარტყმას, მას უეჭველად მძიმე დაშავება არ ასცდება“.

ე ი რ ი ამბობს: „ავსტრალიის რომელსაჲმე ადგილას თუ მოიპოება დიდი რაოდენობით რაიმე საზროდო, ან ისეთი საკმელი, რომელიც სხვაგან არ არის, აქ თავს იყრის მთელი ტომი, რათა საერთო ნადიმში მიიღოს მონაწილეობა. მაგრამ თუ ასეთი საზროდო არ მოიპოება, მაშინ ისინი მთელს მიდამოში ცალკე ჯგუფებად ან ცალკე ოჯახებად იფანტებიან. წლის განსაზღვრულ დროს, განსაკუთრებით შემოდგომით და ზაფხულობით, როცა საზროდო ძალიან ბლომად იშოვება, რამდენიმე ტომი თავს იყრის ერთად ერთერთ ტერიტორიაზე, საერთო ნადიმას გადასახდელად ან საკმლის, ტანისამოსის, საშუშაო და სანადირო იარაღების და სხვა საგნების გასაცვლელად, რაც კი ცალკე ტომს მოეპოება“. „მე არა ერთხელ მქონია შემთხვევა, ამბობს ლესსონი, გამეტარებია დრო კუნძულ უალანის მცხოვრებთა შორის (ოკეანიაში), როცა აბორიგენები ჭამდნენ და ინაწილებდნენ საკმელს, და ყოველთვის ვხედავდი, ერთად მოსადილე მამაკაცების დიდ რიცხვს, მათ ემსახურებოდნენ ახალგაზრდები, რომელნიც შემდეგ საკმლის ნარჩენებს შეექცეოდნენ“.

როცა რომელიმე ავსტრალიელი, ყოველგვარი მეცადინეობას მიუხედავად, სახლში ხელცარიელი ბრუნდება, ადგილს იქერს ცეცხლის პირას სხვებთან ერთად, რომელნიც საკმელს ამზადებენ და ისე იქცევა, თითქოს არც კი აქცევდეს ყურადღებას, თუ რას აკეთებენ სხვები. ის არავითარი თხოვნით არ მიმართავს, არც კი ანიშნებს სხვებს, რომ ხელცარიელი დაბრუნდა; პირიქით, ის ხუმრობს და იცინის ისე უღარდელად, თითქოს მასაც ნადირის საუკეთესო ნაჭერი ჰქონდეს შესაწვავად დამზადებული. როცა ჭამა დაიწყება, ჯერ ერთი, მერე მეორე ხმა ამოუღებლივ აწვდის მას შემწვარს და ისიც სწრაფად ლებულობს მადლობის გადაუხდელად. მეორე მხრით, თუ ჰონადირეს განსაკუთრებული ბედი ეწვევა, ის დამალავს ბანაკის ახლოს, საიმედო ალაგას ნადირს და ბანაკში ჩუმად დაბრუნდება ხელცარიელი, თითქოს მას ვერაფერი ეშოვნოს, ჯდება ამხანაგებს შორის და თავის გამარჯვებაზე ერთხანს სდუმს. რამდენიმე ხნის შემდეგ ის მიმართავს, ვისაც კარგად არ უვანშმია ან სულ არ უვანშმია და უღარდელად ეუბნება მას მოიტანოს ამა და ამ ალაგას შენახული ნადირი, — თითქოს კენგურუს ან ემას ნაკვლა მისთვის ყოველდღიური საჭმე იყოს.

ამხანაგი ხალისით თანხმდება და მთელი ტომი მოწონების ყიჟინას დასცემს, აქებს მის მოქნილობას და მონადირულ მოხერხებას, რაც

ქას წარსულის, აწყყოს და მომავლის ყველა შევკანთან მოკეთებზე მალლა აყენებს.

თუ რომელსამე ინდოელს უქირს, მაშინ ტომის ყველა წვერები უგროვებენ მას დახმარებას. როცა მეზობელს პური არა აქვს, მას პპატიუობენ სახლში.

„ჩვენი ნათესაეები, — სთქვა ერთმა მეთაურთაგანმა, — შორეული ქვეყნიდან გვესტუმრენ და ჩვენ ვერ დაუშვებთ, რომ ისინი უარა-რაოდ იმყოფებოდენ ჩვენს შორის. ყველა მამაკაცმა წინადადება მოგეცა და თანხმობა განაცხადა, რომ ინადირებდენ ჩვენთვის და მოგვეცემდენ ნანადირევის ნაწილს. ჩვენ ისევე კარგად ვიყავით მომარაგებული საკმლით, როგორც დანარჩენი მონადირეები და თუ ჩვენ საკუთარი საკმელი ხორცი არ გვექნებოდა, დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენი მეგობრები მოგვეცემდენ“. ინდოელების ჩვეულებით, პირველი დათვი, რომელსაც ახალგაზრდა მონადირე კლავს, მეზობლების გამასპინძლებას ხმარდება. იგივე ჩვეულებაა გრენლანდიელების შორის, პირველი ზღვის ღორის მიმართ.

როცა რომელსამე კამჩადალს ესაქიროება რაიმე ნივთი, ის მიდის მეზობელთან და თუნდაც არ იცნობდეს მას, მაინც უბოდიშოთ უხსნის თავის საქიროებას. არსებული ადათების მორჩილი მეზობელი მას ყველაფერს აძლევს, რასაც კი სთხოვენ. საქიროების დროს ეს უქანასქენელიც ასე ექცევა და ამ გვარად ყველას აქვს ის, რაც კი ესაქიროება.

ესკიმოსებში, როცა საზამთრო სადგურზე დაიქვრდენ ზღვის ღორს, საზამთრო სადგომებში მათი ყოფნის სეზონის განმავლობაში, მოსახლეობის ყოველ წევრს ეძლეოდა ხორცის პატარა ნაჭრები ქონის შესაფერი რაოდენობით; ხოლო როცა ხორცი საკმაო არ იქნებოდა. მოსახლეობის ყველა წევრთათვის, მაშინ საერთო სახლის მცხოვრებლები პირველ რიგში ღებულობდენ თავიანთ წილს. ასეთ შემთხვევებში არავის არ სტოვებდენ და ამ გვარად ყველაზე უღარიბესიც აო განიცდიდა საქმელის უქონლობას, სანამ საერთოდ საკმაო იყო ზღვის ღორის ჩვეულებრივი მარაგი. გარდა ამ საერთო განაწილებისა, თვითეული, ვინც კი პირველ ზღვის ღორს მოჰკლავდა, პატიუობდა სხვებს სადილად. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ როცა მოსახლეობის რაოდენობა განსაზღვრულ რიცხვზე მეტი იყო ან ზღვის ღორები ბლომად იშოვებოდა, ხორცის და ქონის ასეთი განაწილება, ალბად მახლობელ სახლებს ან ნათესაეებს არ შორდებოდა. ამასვე ამტკიცებდა ასი წლის წინად კრანცი, რომელიც უმატებდა: „არავინ იმათგან, ძალიან ღარიბიც კი, არ ითხოვს საქმელს; და ეს, მგონი, არც კი უნდა

ფოს საქირო, რადგან სტუმართ-მოყვარეობა მთელს ქვეყანაშია და-  
ცული როგორც ნაცნობების, ისე უცნობების მიმართ“.

ლოპარებში, რომელთა ოჯახები შესდგება რამდენისამე ძმის ან  
ძმისშვილებისაგან, ყველას საკუთარი მეურნეობა აქვს; ისინი მხო-  
ლოდ ერთად სჭამენ საქმელს; ზოგჯერ მათში ყველაფერი საერთოა  
სანამ ვისმეს არ შეამჩნევენ ნამუშევარის გადამალვას და რაკი შეამ-  
ჩნევენ — იმ წამსვე იწყება გაყოფა.

ბურიატების ყოველ გვარში არა მარტო ერთად მუშაობენ, არა-  
მედ ზოგჯერ ერთად სადილობენ კიდევ. საერთოდ ყოველი „შე-  
წვის“ დროს, სტუმრების ყოველგვარ შეყრილობის დროს ყველანი  
ღებულობენ მონაწილეობას, როგორც ერთი ოჯახი. როცა რომელსა-  
მე ქოხში ცხვარი დაიკვლება და შემწვარი მზადდება, ყველა მეზო-  
ბელ ქოხების ბურიატებს, მოურიდებლად შეუძლიათ მოვიდნენ აქ,  
როგორც საერთო სადილზე: მასპინძლები ყველას ურიგებენ ხორცს.  
თანასწორ ნაჭრებად, ქონს კი თანასწორ ნაწილებად.

სამხრეთ ამერიკელებში სადილს ესწრებიან როგორც ერთ ქოხში  
მცხოვრებლები, ისე მეზობლები და ნათესაეები, რომელნიც ამ დროს  
იქ მოხვდებიან; თითოეული მათგანი ღირსების გაურჩევლად მოიჭრის  
ხოლმე თავისთვის შემწვარი ხორცის ნაჭერს და ჯდება ქოხის კუთხე-  
ში ან ხის ქვეშ ცეცხლის მოშორებით და სხვებისაგან განცალკევებით:

როცა პოტენტოტი ხარს ან ცხვარს ჰკლავს, იმართება საერთო  
ნადიმი; და იმ პირს, რომელსაც მოკლული ცხოველი ეკუთვნოდა, ხვა-  
ლისთვის ისევე ცოტა საქმელი რჩება, როგორც თითოეულ მის მეზო-  
ბელთაგანს. იმავე ადათს მისდევენ კაფრები, ბუშმენები და ნამაკეები.  
ათი კაცი რომ წავიდეს სანადიროთ და მხოლოდ ერთს გაუღიმოს ბედ-  
მა — ბედნიერი მონადირე დანარჩენებსაც უნაწილებს ნანადირევს.

კომინკოების ტომი სამხრეთ აფრიკაში გამოცხადდა ლე-ვალ-  
იანიის ბანაკში მის სანახავად. ლე-ვალ-იანიის საკმაო არაყი  
არ ჰქონდა და ამიტომ თითო ქიქა მიაწოდა მეთაურს და ყველა იმათ  
რომელნიც გარეგნული შეხედულებით და წლოვანებით მან მეტი პა-  
ტივის ღირსად მიიჩნია: მაგრამ როგორ გაკვირვებული დარჩა ის, რო-  
ცა შენიშნა, რომ არაყი ყველას პირში ჰქონდა ჩაგუბებული და კი არ  
ულაპავდენ, — არამედ მიდიოდნენ ამხანაგთან, რომელსაც არაყი არ  
ერგო და თავის პირიდან უსხამდნენ პირში სწორედ ისე, როგორც ცის  
ფრინველნი ნისკარტით უდებენ ერთმანეთს პირში საზრდოს.

(ნ. ი. ზიბერი — პირველყოფილ ეკონომიური კულტურა).

თავი მეორე

## საგვარეულო თემი

### § 1. კ. მარქსი საზვარეულო თემის შესახებ

მაურერის შესახებ. მის წიგნს დიდი მნიშვნელობა აქვს. არა მარტო პირველყოფილი დრო, არამედ თავისუფალ საიმპერიო ქალაქთა მერმინდელი განვითარება, მემამულეთა შეუვალობა (იმუნიტეტი), სახელმწიფო ხელისუფლება, ბრძოლა თავისუფალ გლეხობასა და ბატონყმობის შორის, — ყოველივე ეს სრულიად ახალნაირად და თავისებურად არის გაშუქებული.

აღამიანთა ისტორიაში ხდება იგივე, რაც პალეონტოლოგიაში. თვით უდიდესი გამოჩენილი მოაზროვნენი, ცრუმორწმუნეობით დაბრმავებულნი, პრინციპიალურად, ცხვირის წინ ვერ ამჩნევენ მოვლენებს. დადგება დრო და ყველას გაუკვირდება, რომ აღრე ვერ შეამჩნიეს ის, რისი კვალიც ყველგან აშკარად სჩანს. პირველი რეაქცია საფრანგეთის რევოლიუციის და მასთან დაკავშირებულ განმანათლებელ მოძრაობის წინააღმდეგ ბუნებრივი იყო: მაშინ ყველაფერს საშუალო საკუნისებურად; რომანტიულად უყურებდნენ. ამისაგან ისეთი ადამიანებიც კი ვერ განთავისუფლებულან, როგორიც გრიმია. მეორე რეაქცია (შეესაბამება სოციალისტურ მიმართულებას, თუმცა მასთან რაიმე კავშირს არც კი გრძნობენ სწავლულნი) იმაში მდგომარეობს, რომ საშუალო საუკუნეს სულ გვერდს უვლიან და მთავარ ყურადღებას აქცევენ პირველყოფილ დროებას. და თავისდა გასაოცებლად ისინი თვით უძველესში ნახულობენ უახლესს და იმგვართანასწორობის მომხრეებსაც, რომ თვითონ პრუდონიც კი შეძრწუნდებოდა.

ჩვენ ყველანი დაბრმავებული ვართ ცრუმორწმუნეობით. სწორედ ჩემს სამშობლო მხარეში, ჰუნსრიუკენში<sup>1)</sup> უკანასკნელ

<sup>1)</sup> Hunsrück — მალაობი ადგილია მდინარე რეინს, მოზელსა და ზაარს შუა.

წლამდე არსებობდა ძველი გერმანული სისტემა. ახლა მახსენდება, მაშა ჩემი, როგორც ვეჭილი, ამაზე ხშირად მელაპარაკებოდა ზოლმე. მეორე საბუთი: როგორც გეოლოგები, მათ შორის უკეთესებიც კი, მაგ., კიუვე, შემცდარათ ხსნიდენ ზოგიერთ ფაქტებს; სწორედ ისე იმგვარი ყალიბის ფილოლოგები, როგორც გრიმია, უბრალო ლათინურ ფრაზებს შეცდომით სთარგმნიან, მხოლოდ იმიტომ, რომ იმყოფებიან მეზერის გავლენის ქვეშ. (მეზერი, მახსოვს, აღტაცებული იყო იმით, რომ გერმანელებს არასოდეს არ ქონიათ თავისუფლება, რომ „ჰაერსაც კი ითვისებნო“). მაგ., ტაციტის ცნობილი ადგილი: „arva per annos mutant et superest ager“, რაც ნიშნავს: ისინი ყოველწლიურად კენჭისყრით ცვლიდენ ყანებს (arva), აქედან არის აგრეთვე sortes ყველა მერმინდელ „ბარბაროსულ სამართალში“ (Leges Barbarorum), ხოლო სათემო ადგილი რჩება (ager წინააღმდეგ arva-სი), როგორც ager publicus, — გრამი ასე თარგმნის: ისინი ყოველწლიურად ამუშავებენ ახალ მიწებს და ყოველთვის რჩება ზედმეტი, დაუმუშავებელი მიწა.

აგრეთვე ეს ადგილი: „Colunt discreti ac diversi“ (ხნავენ ცალ-ცალკე და თითოულად) უნდა ამტკიცებდეს, რომ გერმანელები ძველადვე ეწეოდენ ცალ-ცალკე მოსახლეობას, როგორც ვესტფალიის იუნკრები. მაგრამ იმავე ადგილას, ცოტა ქვემოთ ნათქვამია: *Vicos locant non in nostrum morem connexis et cohaerentibus aedificiis: suum quisque locum spatio circumdat* (ჩვენებურად არ აშენებენ სოფლებს ერთმანეთზე გადაბმული შენობებით: თითოეულის კარმიდავოს გარს აკრავს სივრცე) და აი ასეთი პირველყოფილი გერმანული სოფლები აქა-იქ დღესაც არსებობენ დანიაში. სკანდინავიას ისეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს გერმანული უფლებისა და ეკონომიკისათვის, როგორც გერმანული მითოლოგიისათვის. აქედან თუ გამოვალთ, ჩვენ შევსძლებთ ავხსნათ ჩვენი წარსული. გარდა ამისა გრამიც და სხვებიც ნახულობენ კეისარის თხზულებაში იმის საბუთებს. რომ გერმანელები ყოველთვის სახლდებოდენ ჯგუფ-ჯგუფად. გეარობით და არა ცალ-ცალკე და განთვითებით: *gentibus cognationibusque qui uno coiereant* (გეარებად და ოჯახობად, რომელნიც ერთად სახლდებოდენ).

რას იტყოდა მოხუცი ჰეგელი რომ საიქიოს გაეგო, რომ das Allgemeine (საზოგადო) გერმანულს და ჩრდილოეთურ ენებში სათემო მიწას ნიშნავს, ხოლო das Sondere — Besondere (განსაკუთრებული) ნიშნავს საზოგადო მიწიდან გამოყოფილ განსა-



კეთრებულ მფლობელობას? ამნაირად სრულიად აშკარაა, რომ ლო-  
ლიკური კატეგორიები იზადება „ჩვენი ურთიერთობის“ ნიადაგზე  
(პრაქტიკიდან).

ძალიან საინტერესოა ფრაასის წიგნი—„ჰავა და მცენარე-  
თა ს ა მ ე ფ ო დ რ ო შ ი, მ ა თ ი ის ტ ო რ ი ა“ (1847) სწო-  
რედ იმის დასამტკიცებლად, რომ ჰავა და მცენარეულობა განიცდია  
ცვალებადობას თვით ისტორიულ ხანაშიც. იგი ჯერ კი-  
დედ დარვინამდეა, დარვინისტი. მისი აზრით, გვარი ჩდება ისტო-  
რიულ ეპოქაშიაც. იგი ამავე დროს აგრონომიცაა. ის ამტკიცებს.  
რომ კულტურასთან და მის საფუძვურებთან ერთად თანდათან ჰქრება  
გლენების საყვარელი „სინესტი“ (ამიტომ მცენარეულობა სამხრე-  
თიდან ჩრდილოეთისაკენ იწევს) და, ბოლოს, ჩნდება ველები. თავდა-  
პირველად კულტურის მოქმედება საკეთილო და სასარგებლოა, ბო-  
ლოს კი ტყეების მოსპობის წყალობით — გამანადგურებელი. ეს ადა-  
მიანი ისეთივე საფუძვლიანი სწავლული ფილოლოგია (უწერია წიგ-  
ნები ბერძნულად), როგორც ქიმიკოსი და აგრონომი და სხვ. დასკვნა  
შემდეგია: კულტურა, თუ იგი სტიქიურად ვითარდება და შეგნე-  
ბულ ხელმძღვანელობას. არ ემორჩილება (ამის  
შეგნებამდე ის, როგორც ბურჟუა, რასაკვირველია, ვერ მინის)  
უდაბნობებს, — სპარსეთს, მესოპოტამიას, საბერძნეთს, — გვიტოვებს.  
აი კიდეც, თუ გნებავთ. შეუგნებელი სოციალისტური მიდრეკილება!..  
(ქ. მარქსი — წერილი ენგელსს. 1868 წ. 25 მარტიდან).

## § 2. პირველყოფილი მიწათმოქმედებისა და მეჯოგეობ- ის წარმოშობა. — იარაღის განვითარება. — მოთხოვ- ნილებათა ზრდა

მიწათმოქმედებისა და მეჯოგეობის განვითარება თანდათან  
ზღუდავდა შემთხვევათა მოვლენების ბატონობას პირველყოფილ  
ადამიანის ცხოვრებაზე.

პირველი ნაბიჯი მიწათმოქმედებაში მჭიდროთაა დაკავშირებუ-  
ლი მცენარეული საკვების — იმ სახით, როგორც მას ბუნება იძლე-  
ოდა — უბრლო მოგროვებასთან. მოხეტიალე ჯგუფი პირველყო-  
ფილი ადამიანებისა, რომელსაც ეკავა განსაზღვრული არე, დრო და  
დრო უბრუნდებოდა იმ ადგილს. სადაც მან უხვათ იპოვნა მცენა-  
რეული საკვები: ფესვეულობა. ნაყოფი, ლეროები და თესლები. ასეთი  
დაბრუნება პირველხანებში შემთხვევით ხასიათს ატარებდა, მერე კი  
კვადაიქცა წესად და პერიოდულ მოვლენათ, როცა წლის ამა თუ იმ

დროში თავის დაბრუნებისას ადამიანი ყოველთვის ნახულობდა იმავე საკვებს, როგორც წინათ ჰქონდა ნახული. მცენარეული საკვების მოგროვება ასე თუ ისე ღებულობდა რეგულიარულ ხასიათს.

წესიერ ნადირობაზე გადასული ტომები თავიანთ არეს არ სტოვებდნენ, სანამ იქ ნადირი საკმაოდ არ გამოილეოდა. მაგ., ზომიერ და ცივ სარტყელშიაც კი. რომლებიც შემოიცივენ მცირე არეს—400-500 კვადრატულ ვერსტს, მონადირე ტომები ხანდისხან 20 — 30 წლობით ჩერდებიან. მაშასადამე მათთვის საკვებით განსახორციელებელია, განსაზღვრულ ადგილებზე, მცენარეული საკვების პერიოდულ წესზე გადასვლა.

დაბრუნებისას ადამიანი, თავის სასარგებლო მცენარეებს ნახულობდა არა მარტო იქ, სადაც წინად აგროვებდა მათ, არამედ თავის წინანდელ ნაცხოვრებ ადგილებზედაც, სადაც მისი ჯგუფის ყველა წევრები, მათი მონაპოვართ ერთად გროვდებოდნენ. იმ ადგილის ნიადაგი, რომელზედაც დიდი ხნით იდგნენ, განზრხვის გარეშე მზადდებოდა განუზრახველი თესვისათვის: სუფთავდებოდა ბუჩქებიდან, ბალახებიდან, ხეებიდან. აქა-იქ სათბობის დამზადებისა და კარავის გამაგრების ადგილას დაიმშხალებოდა მიწაც, და ა. შ. გაბნეული თესვები, ფესვები და კაკლები ნახულობდნენ ხელსაყრელ პირობებს. ამრიგად მომავალი კულტურული მცენარეებით ინიშნებოდა პირველყოფილი ადამიანის ადგილიდან ადგილზე გადასვლა ისევე, როგორც თანამედროვე ადამიანის საცხოვრებელ ადგილებზე ამოდის ხომლე ქინკარი.

ასე წინასწარ მოუსაზრებლათ იკიდებდა ფეხს მცენარეულის შეუტრნეობა. აქედან ადვილი იყო ხოლმე გადასვლა მიწათმოქმედებაზე, მცენარეულობის მოთქმებულ კულტურაზე. რასაკვირველია, ეს ხდებოდა ჯერ უაღრესათ პრიმიტიულ ფორმებში. წამახვილებული ჯოხით მიწაში აკეთებდნენ ნახვრეტს და სდებდნენ თესლს. უბრალო ჯოხიდან გამოდიოდა „თოხი“: ჯერ ორი ტოტი, რომელთაც კუთხის ქვეშ ამაგრებენ; შემდეგში ჯოხი, რომლის ბოლოს მიმაგრებულია გრძელი, ვიწრო და პირ წამახვილებული ქვა. „თოხი“ რამოდენიმე ათასი წლის განმავლობაში რჩებოდა ძირითად სამიწათმოქმედო იარაღად. ძველი აღმოსავლეთის მიწათმოქმედება არ გასცილებია საერთოთ თოხურ მიწათმოქმედებას (Hackbau). სამხრეთ-აფრიკის მკვიდრე მოსახლეობა დღემდე ამ საფეხურზე დგას. იაპონელებიც ი, მართალია დიდი ხანია იქნობენ გუთანს, მაგრამ სულ ახლო წარსულში ხნარობდნენ ამ იარაღს. მხოლოდ ბრინჯისათვის. სხვა მცენარეებისათვის კი მიწას ამუშავებდნენ თოხით. აჩაჩი (კავი) განვითარდა

და გავრცელდა ბევრად უფრო გვიან. და ამავე დროს მისი თანამედროვე ფორმა, განსაკუთრებით მისი თანდათანობრივი განვითარება ისეთია, რომ აშკარათ ემჩნევა თოხიდან წარმოშობის ნიშნები.

პირველყოფილი მიწათმოქმედება არ მოითხოვდა ბინადრობას ნახევრად ტროპიკულ ქვეყნებში, სადაც ის, ალბად, ყველაზე ადრე წარმოიშვა, მრავალ კულტურულ მცენარეთა დამწიფებისათვის საჭიროა სულ 5 — 6 კვირა. ეს ისე მოკლე ხანია, რომ გვარსაც კი რომელიც უმთავრესად ნადირობით ცხოვრობს, არ მოუხდებოდა თავისი სადგომის გადატანა ახალ ადგილზე.

შემდეგში, როდესაც მიწათმოქმედებას ეძლევა მეტი მნიშვნელობა გვარის ცხოვრებაში, უკანასკნელი თანდათან აგუებდა ამ დარგს თავის გადასვლა-გადმოსვლას. ის რჩება ერთ ადგილას ჭირნახულის აკრეფამდე. ასეთი მოხეტიალური მიწათმოქმედება არსებობდა უგვიანეს დრომდე. ასე, ძველი ფინიკიელები, — რომლებიც სახმელეთო გზების ნომადებიდან \*) საზღვაო ნომადებად განვითარდნენ, — თავიანთ აფრიკის ირგვლივ მოგზაურობის დროს, რამოდენიმეჯერ გამოდიოდნენ ხმელეთზე, სთესავდნენ, და უცდიდნენ მოსავალს, და მხოლოდ შემდეგ გააგრძელებდნენ თავიანთ გზას. ჰეროდოტეს ეპოქაში ერთი სკვითების ტომი მიწათმოქმედებას მოხეტიალურ ცხოვრებასთან აერთიანებდა; ახლაც, ჩვენს დროშიაც, ზოგიერთი მოხეტიალე ტომები მისდევდნენ ერთსა-და იმავე დროს მიწათმოქმედებასაც და ნადირობასაც.

რაც უფრო ვითარდებოდა საკვების საპოვნინ იარაღი, რაც უფრო გადადიოდა ადამიანი ხორცეულის უბრალო დაგროვებიდან ნადირობაზე. მით უფრო და უფრო მცენარეული საკვების ძებნა ხდებოდა ქალების და ბავშვების განსაკუთრებულ საქმიანობათ. ზოგიერთ შემთხვევაში გამოჩნდებოდა მკაფიო დიფერენცია: მონადირე მამაკაცები — (ანუ მეჯოგენი) საზრდოობენ თითქმის სულ ხორცეული საკვებით; მიწათმოქმედი ქალები — მხოლოდ მცენარეულით. როცა არსებობს ცვალებად პირობებში წეტი ადგილი ეძლეოდა მიწათმოქმედებას, როგორც მთელი ჯგუფის საარსებო წყაროს, სავსებით ბუნებრივი იყო, რომ ქალები აღწევდნენ უფრო გავლენიან მდგომარეობას.

საჭირო იყო განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები, რომ მთელი ტომების ცხოვრებაში მიწათმოქმედებას მიეღო უმთავრესი მნიშვნელობა. ასეთ პირობებს, უწინარეს ყოვლისა, ადამიანი წააწყდა

\*) ნომადები — მომთაბარე ხალხი.

ხეობებში ისეთ მდინარეებს, რომლებიც გადადიოდნენ ხოლმე ნაპირზე და სტოვებდნენ სქელ და ნოყიერ შლამს. აქ, ცხოვრების ახალი პირობებისათვის, ყველაზე უფრო — შეგუებული გამოდიოდნენ ის ტომები, რომლებშიაც მიწათმოქმედება უკვე წარმოადგენდა შრომის მთავარ დარგს. ტყისაგან და დამბარდენელი ბალახებისაგან თავისუფალი და ამავე დროს საკმაოდ ფხვიერი ნიადაგი მოითხოვს ნაკლებ შრომას და მეტად ელემენტარულ მომზადებითი საქმიანობის შემდეგ იძლევა მდიდარ მოსავალს. მიწათმოქმედი ტომები იტაცებენ ნოყიერ ველებს, ხოლო შემდეგ აქედან განდევნილთ, გადააქეთ მიწითმოქმედება სხვა ოლქებში სადაც უკვე საჭიროა მიწის ნიადაგის წინასწარი მომზადება: გასუფთავება, ჯირკების ამოთხრა, ბალახების, ბუჩქების ამოწვა და ხელოვნური დაფხვიერება. ამრიგად მიწათმოქმედების ტექნიკა კიდევ უფრო უკან იტოვებს მცენარეთა უბრალო დაგროვებას.

ახლა არ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომელ მცენარეებიდან დაიწყო მიწათმოქმედება. საჭირო იყო შერჩევის ხანგრძლივი პროცესი რათა გამოყოფილიყო თანამედროვე კულტურული მცენარეულობა. ბევრია ისეთი მცენარე, რომელიც ახლა საზრდოობისათვის სრულიად უვარგისად ითვლება, დიდი ხნის განმავლობაში კი მცენარეულ საზრდოს ძირითად ნაწილს წარმოადგენდა. მეორე მხრივ მიწათმოქმედება დედამიწის სხვადასხვა პუნქტებში წარმოიშვა, საესებით დამოუკიდებლად და სარგებლობდა იმით, რასაც იძლეოდა გარშემომცველი ბუნება. ასე, პირველყოფილ ამერიკულ მიწათმოქმედებას შეეძლო განეფითარებია მხოლოდ ერთი ხორბლეულის კულტურა: სიმინდის (მაისის). ძველი ქვეყნის ზომიერთბილ სართყელში უფრო გავრცელებული იყო ქერი, ფეტვი, შემდეგ მათ მიემატა შვრია, კიდევ უფრო გვიან ღომი და ქვავი; ცხელ სართყელში ბრინჯი ძლიერ მალე იქერს უმთავრეს ადგილს. სხვა მცენარეთა შორის მიწათმოქმედების პირველ საფეხურებზე სხვადასხვა ოლქებში გვხვდებიან კვახი, ხახვი, ლელვის ხე და სხვადასხვაგვარი ლობიო და ა. შ.

საერთოდ უკვე ნეოლითის ეპოქაში ქვის ახალ ეპოქაში, როცა უკვე გალესილი და საერთოდ გულმოდგინეთ დამუშავებული ქვის იარაღი იხმარებოდა, დედამიწის სხვადასხვა ნაწილებში ადამიანმა დაიწყო უმნიშვნელოვანეს თანამედროვე კულტურულ მცენარეთა უმეტესი ნაწილის გამოამუშავება. ევრეთწოდებულ „ისტორიულ ეპოქას“ აქ, შედარებით, არ შეუტანია დიდი მრავალფეროვნება. წინ

არ წაწეულა ის აგრეთვე მოსაშინაურებელ ცხოველთა სახეების შერჩევაშიაც.

ველურ ცხოველთა მოშინაურება — მეჯოგეობა ასევე წარმოადგენდა ნელი განვითარების პროცესს, რომლის, შემდეგ, თანმიმდევნო საფეხურებზე არ შეტანილა მნიშვნელოვანი ცვლილებები პირველყოფილ ადამიანის ცხოვრებაში. მხოლოდ ამგვარ პატარა-პატარა ცვლილებათა დაუსრულებელი რიგი ამზადებდა ნიადაგს იმისთვის, რომ საფუძვლიანი გადატრიალება მომხდარიყო საწარმოო საშუალებებში და გამოყოფილიყვენ ზოგიერთი ტომები, როგორც უმთავრესათ მეჯოგეები.

შესაძლებელია, რომ პირველი ნაბიჯთაგანი ამ გზაზე იყო მოშინაურება ჩვილი ცხოველებისა, რომლებიც თავის მოკლულ დედას თან მიყვებოდნენ პირველყოფილი ადამიანის დროებით სადგომ ადგილას. მათი მოშინაურება არ იყო წინდაწინ განზრახული და არც ისახავდა სამეურნეო მიზანს. ისინი უფრო გასართობ, თავშესაქცევ საგანს წარმოადგენდნენ, ვინემ საზრდოს მარაგს; მაგრამ საჭიროების დროს კი იკვებებოდნენ მათი ხორციით.

სხვადასხვა სახის ცხოველთა მოშინაურების პროცესი, დედამიწის სხვადასხვა პუნქტებში ლებულობდა სხვადასხვაგვარ ფორმებს. ასე მაგ., ძალი ძველი დროიდანვე ჯოგად დასდევდა ადამიანს — როგორც თანამედროვე ადამიანს თანდასდევს ცხელ ქვეყნებში აფთარისა და ტურების ჯოგი, რომლებიც დაესევიან ხოლმე ადამიანთა მონარჩენ საკმელს. ძაღლები, თავისთა ყუფით თავის დროზე ატყობინებდნენ ადამიანს საშიშ მტერთა მოახლოებას, ხოლო ხშირად მონაწილეობასაც ლებულობდნენ მათს მოგერიებაში. თაობიდან თაობამდე ერთად ხეტიალში ადამიანი და ძაღლი უახლოვდებიან ერთმანეთს, ველური თანდათან იშინაურებს ძაღლს. ბოლოს და ბოლოს, ძაღლი გვხდება მხოლოდ როგორც მოშინაურებული ცხოველი, როგორც ერთი უძველესი თანამგზავრთაგანი ადამიანისა.

პირველყოფილი ადამიანი, რომელიც ცხოვრობდა ნაწილობრივ მცენარეული და წვრილ ცხოველთა ხორცეული საკვებით, ნაწილობრივ მსხვილფეხა ცხოველებზე ნადირობით, დროთა ვითარებაში თანდათან მიდის იმ მოსაზრებამდე, რომ თავისი ხეტიალი შეუგუოს ნადირის მოძრაობას — ირმებისას და ანტილოპების, ძროხებისას და ცხვრებისას. ვითარდებოდა ისეთი ნადირობა, ისეთი მონერხებული დაჭერა, რომ ცალკე ცხოველის ხელში ჩაგდება ნაკლებად აამღვრევდა მთელ ჯოგს. ამ საქმეში არამცირედ დახმარებას უწევდნენ ადამიანს მოშინაურებული ცხოველები, რომლებიც ადამიანმა წაიყვანა

ჯერ კიდევ ჩვილები — ბარტყები, ლეკვები. მათის დახმარებით ადამიანს უფრო ადვილად შეეძლო დაახლოვებოდა, ან თავისთვის დაეახლოვებინა ჯოგი, შეეძლო მოედუნებია მათი უნდობლობა. ამრიგად თანდათან ვითარდებოდა თავისებური სიმბიოზი პირველყოფილ ადამიანისა და ველური ცხოველების. უკანასკნელთა განვითარების საფეხურები ირჩევდნენ ერთი მეორისგან ველურ ცხოველთა მოშინაურობის ხარისხით. ჩრდილოეთში, ჯერ კიდევ არა შორეულ წარსულში, ემჩნეოდა ხშირათ, ახლაც ემჩნევა თანმიმდევრო საფეხურები პირველყოფილ ნადირობიდან პირველყოფილ მტაცებელურ მეჯოგეობაზე გადასვლის — ველური ირმების თანდათან მოშინაურობის. ირმები ესლაცაა — ზოგი სულ გარეული. — რომლებიც ნადირობის ობიექტებს წარმოადგენენ, ნახევრად მოშინაურობებული, — და სავსებით მოშინაურობებული. ნახევრად მოშინაურობებული ჯოგის გამოყენება ისეთია, რომ ძალიან მოგვაგონებს ნადირობას. მოშინაურობული პირუტყვი განაგრძობს არსებობას შეჩვეულ ბუნებრივ პირობებში. აქ უფრო ადამიანი ეგუება მათ, ვინემ პირიქით, როგორც ნამდვილად მოშინაურობული ცხოველი, რომლებიც გვიან ჩნდებიან, — ბინადარი მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად.

მოშინაურობის პროცესი ჩქარდებოდა, როცა ჯოგების უკან მოხეტიალე ადამიანი ახერხებდა მათ შედენას ჯერ ბუნებრივ, მერე ხელოვნურ მახეში: საძოვრებში რამოდენიმე გამოსავლით, სადაც უდარაჯებდნენ ადამიანი და ძაღლი. ჩვეულებრივ გარემოში ცხოველები არ დაჰკარგავდნენ გამრავლების უნარიანობას, რომელსაც ისინი ხშირად ჰკარგავენ, გარეულობიდან შინაურ მდგომარეობაში სწრაფი გადასვლის დროს.

ნადირობასთან უშუალოთ დაკავშირებული მეჯოგეობა, ჯერ მხოლოდ ნადირობის შემდგომ განვითარდა და ემსახურებოდა ადამიანს როგორც განსაკუთრებით ხორციეული საკვების მომცემი. ძაღლი, ეს საკლავი — სახორციე ცხოველი თავისი ამნაირი უპირატესობით შედარებით ადრე გახდა ადამიანის თანაშემწე ნადირობაში. ცხოველთა გამწევი ძალის გამოყენება (როგორც გადასაზიდი საშუალებისა) განვითარდა უფრო გვიან და ისიც ყველგან არა. ამერიკაში, მისი აღმოჩენის ხანაში, მხოლოდ პერუანელებს ჰყავდათ გამოყენებული ლამის ერთ-ერთი სახე როგორც სასაპალნე ცხოველი; ავსტრალიელ ტომებს საერთოდ არ ყოლიათ გადამშინდელი ცხოველები. დასასრულს, ძალიან გვიანდელ ეპოქას ეკუთვნის პირველი ნა-

ბიჯები სარძეო მეურნეობაში, და ცხოველთა გამოყენების საქმეში ამა თუ იმ საშუალოზე, განსაკუთრებით მიწათმოქმედებაში.

თანამედროვე კულტურული ცხოველები თანდათან გამოიყვენ შერჩევის ხანგრძლივი პროცესიდან. ზოგი მათგანის მოშინაურობა ხდებოდა ჯერ სულ სხვა მიზნით, ვინემ შემდეგ დროებში. ასე, მაგალითად, ძალი ყოველგან იყო, — ხოლო ზოგ ტომებში დღემდეც ის ყავდათ როგორც საკლავი ცხოველი, რომელსაც აშენებდენ განსაკუთრებით ხორცისათვის. ბევრი ცხოველი, რომელიც მოშინაურებულ იქნა მეჯოგეობის დაწყებით ხანებში, მერე შეიცვალა სხვა სახეობით და ეხლა გვხვდება მხოლოდ ველურ მდგომარეობაში. ასე, მაგალითად, ეგვიპტეში აშინაურებდენ ანტილოპების ზოგიერთ სახეს, ხოლო შემდეგ მისი ადგილი დაიკირა თხამ და ცხვარმა.

მეჯოგეობა თავის წარმოშობის პირველდაწყებით ხანებში იყო ნადირობის ნაირი საქმიანობა, და თავისი შინაარსით თითქმის სრულიად არ განსხვავდებოდა უბრალო ნადირობისაგან. ხოლო მოსახლეობის გაძრავების და შემქიდროების გამო, მეჯოგეობა დებულობდა გადამწყვეტ მნიშვნელობას მთების ფერდობებზე, ბალახით დაფარულ ველებზე და ტუნდრებში, რომლებიც უფრო საზრდოს იძლევიან ირმებისათვის. ამ ადგილებში სწორეთ მეჯოგეობა იძლევა, შედარებით მცირე შრომით, რაც შეიძლება მეტ საარსებო საშუალებებს და აქ მცხოვრებ მეჯოგე ტომებს აქვთ შესაძლებლობა ჩქარი გამრავლების. ამრიგად აქ ვითარდებიან მეჯოგეობის მიმდევარი ტომები, მაშინ როდესაც ნოყიერ ველებზე მდინარეებისა — მიწათმოქმედი ტომები.

მზათ ნახულ საკვების უბრალო მოგროვებიდან ნადირობაზე გადასვლა უკვე გულისხმობს შესაფერ იარაღის მნიშვნელოვან განვითარებას. მეჯოგეობის წინსვლის მიხედვით თანდათან ხშირდება შეტაკებები ტომებსა და გვარებს შორის. ეს იწვევს შეტევისა და თავდაცვისათვის ახალ იარაღების განვითარებას. პრიმიტიულ კომბალსა და ქვის ადგილს იქერს რთული იარაღი; ხმარებაში შედის და უმჯობესდება ჩაქუჩი და შუბი, დანა და ნაჯახი, შუბთსასროლი, შურდული, ბუმერანგი და შვილდ-ისარი. სანაპირო არეებში ჩნდება ტივი, რომელიც ნელნელა ვითარდება ნავად — შუაში ამომწვარი ხის მორი, რომელსაც ჯერ უბიძგებდენ ლატანით, შემდეგში ნიჩბებით. ფეხს იკიდებს და რთულდება სათევზაო მოწყობილობა: ქვილთი (მარცახი) და რბილ წკნელებისაგან. ფესვებისაგან და მცენარეთა ღეროებიდან ორაგანები, ძვლის ანკესები. პრიმიტიული მიწათმოქმედებაც მოითხოვს განსაკუთრებულ იარაღებს; ვითარდება თახჩი,

ბარი, საფქვევი ქვები და დანა ნაყოფების და ბალახეულის მოსაჭრელად.

ნაცვლად პირველყოფილ მარტივ და განსაზღვრულ იარაღებისა, რომლებშიაც თითოულის გამოყენება ხდებოდა მრავალგვარი მიწებისათვის, გამოდიან შედარებით დიდი რაოდენობის სხვადასხვა იარაღები, თითოული მათგანი იმთავითვე უკვე მიჩნეულია გარკვეულ, ასე თუ ისე განსაზღვრული ფუნქციებისათვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა წინა პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვანი სირთულით განსხვავდება. იარაღების რაოდენობა და მრავალგვარობა მრავლდება, იზრდება.

ვითარდება ტენიკა იარაღების წარმოებისა. გულმოდგინე და მუშავეებით ქვეს ეძლევა ამა თუ იმ მიწისათვის შესაფერისი ფორმა. ხდება მისი გაჩარხვა, გასიპვა და საჭიროების დროს გაბურღვა; ამავე დროს თანდათან ვითარდება ამ ოპერაციებისათვის საჭირო იარაღი, ვითარდება იარაღის საწარმოო იარაღი: ჩაქუჩი, ჩანასახი ფორმა გრდემლისა, ბურღვი.

ამ ცვლილებებთან ერთად ვითარდება ისეთი საწარმოო მასალა, რომელიც ყველაზე უფრო შეეფერება ამა თუ იმ მიწას. პირველყოფილი განურჩევლობის მაგივრათ ამ საქმეში იწყება შეგნებული და გეგმაშეწონილი შერჩევა. კაუჩი, ობსიდიანი, ნეფრიტი იქცევა იარაღების გასაკეთებელ მთავარ მასალათ. ამავე ეპოქაში მათ უერთდება ბრინჯაო და რკინაც. ლითონის იარაღები ძლიერ ნელა ვითარდებოდნენ. ასე, მაგალითად, ისე გვიანდელ პერიოდში, როგორც იყო საულის ეპოქა, უკანასკნელის არმიას ერთ-ერთ შეტაკებებში ჰქონდა მხოლოდ ორი ლითონის მახვილი; ყველა დანარჩენი იარაღი ქვისა და ხისაგან იყო გაკეთებული. თავის წარმოების წესებში პირვანდელი ლითონეული იარაღები არაფრით განსხვავდებოდნენ ქვის იარაღებისაგან. მხოლოდ მეტისმეტად ნელნელა, გამორჩევის, გასიპვის და გაბურღვის პროცესში განვითარდა სამჭედლო საქმე.

ახალი იარაღის წარმოება, რომელიც ხასიათდება რაოდენობის მატებით, მრავალგვარობითა და სირთულით, მოითხოვს მნიშვნელოვან დახელოვნებას, მიჩვევას და ამტანობას. ეს წარმოება გამოიყოფა როგორც განსაკუთრებული დარგი შრომისა. გამოყოფის ეს პროცესი ყველაზე ჩქარა სრულდება იქ, სადაც უხვათაა აუცილებელი მასალა. გარკვეულ პირობებში ზოგიერთი გვარები (ტომები) ცალმხრივად ან ვითარებენ იარაღების (და მათ რიცხვში საომარი იარაღების) წარმოებას. სწორეთ ისევე, როგორც ზოგნი — მიწათმოქმედებასა და მეჯოგეობას. ასეთ გვარებში იარაღების წარმოება უმთავრესად იქ-



ცევა მამაკაცთა საქმიანობად, ხოლო საზრდოს მოგროვება და საქმლის დამზადება აწეება განსაკუთრებით მარტო ქალებს.

პირველყოფილი ადამიანის შრომა, მთელი მისი სამუშაო დღე იხარჯება საკვების მოპოვებაზე. მიწათმოქმედებისა და მეჯოგეობის საფეხურებზე, ახალ სულ უფრო და უფრო გაუმჯობესებულ იარაღთა გამოყენების პროცესში და თვით საკვების დამზადების გაუმჯობესებაზე, მის მოპოვებასა და დამზადებაზე იხარჯება უკვე არა მთელი სამუშაო დღე, არამედ მისი მხოლოდ ერთი ნაწილი, რომელიც თანდათან კიდევ უფრო მცირდება ტექნიკის განვითარების მიხედვით. თუ რომელიმე გვარი, პირველყოფილ ხანებში მთელ თავის სამუშაო დროს ხარჯავდა საკვების მოპოვებაზე, ახლა კი ხარჯავს წინანდელი დროის მხოლოდ ნახევარს, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი შრომის ნაყოფიერება ორჯერ გაიზარდა. საკვების წინანდელ რაოდენობის დამზადებაზე ახლა იხარჯება ორჯერ ნაკლები შრომა. საკვების მარტივი მოგროვებიდან მიწათმოქმედებასა და მეჯოგეობაზე გადასვლას, მდიდარ ბუნების ცხელი ქვეყნებიდან ზომიერობილ სარტყელში გადაბარგებას, სადაც ბუნების წილი უფრო ძუნწია, თანასდევს არა „კლებადი ნაყოფიერება“, არამედ პირიქით, აწევა შრომის ნაყოფიერებისა.

ენერჯის ნაწილი, რომელიც წინად პირდაპირ საკვების მოპოვებაზე იხარჯებოდა, თავისუფლდება. და ეტანება ახალ დარგებს, უწინარეს ყოვლისა იარაღების წარმოებას. მაგრამ არც ამას უნდება მთელი განთავისუფლებული სამუშაო ენერჯია, შესაძლებელი ხდება ისეთ მოთხოვნილებათა ზრდა, რაც უკვე უშუალოთ არ უკავშირდება მარტო სიცოცხლეს — წმინდა ზოოლოგიური არსებობის შენარჩუნებას. შეტაკებები და ბრძოლები ცალკე გვარებს შორის აჩქარებენ ახალ მოთხოვნილებათა განვითარებას.

გვართა შორის ბრძოლებში მომხდარ შეხლა-შემოხლიდან წარმოიშვენ პირვანდელი „სამკაულები“. გამარჯვებული ახდიდა დამარცხებულს მის საომარ იარაღებს: ფარს, ცულს და ა. შ., მოსჭრიდა ყურსა და ცხვირს და სხვ. ზოგ ამ ტროფეიმ მის ხელში მიიღო პირველდაწყებითი მნიშვნელობა: მოიხმარებოდნენ როგორც საომარი იარაღები. სხეები, — ცხვირი, ყურები და სხეულის სხვა ნაწილები წარმოადგენდნენ მხოლოდ ტროფეებს, და როცა საკმაოდ გროვდებოდნენ, იმთავითვე უნდა გამხდარიყვენ ახალი მტრების საფრთხილათ. სარტყელი, მასზე დაკიდული ტროფეებით, შეიქნა წინსაფარის ჩანასახ ფორმად, რამდენადაც შემდეგში განვითარდა გვიანდელი ტანსაცმლის ძირითადი ფორმები. სწორედ ასევე, მაგალითად, მო-

კლულ მტრის კბილებს, გამარჯვებული თმებზე იმაგრებდა და ამით მიეცა სათავე თავსაბურის განვითარებას. მხოლოდ „ობივატე-ლური“ წარმოდგენა, რომელიც ბიბლიურ ზღაპრებს ეყრდნობა, ეძებს ტანისამოსის დასაწყისს სირცხვილის გრძობაში. პირიქით, სირცხვილის გრძობა ტანისამოსის განვითარების ნაყოფია: „სირცხვილი“ შეიქნა გამოჩენა ჩვეულებრივ დაფარული ადგილების — რაც იფარებოდა იმ ტანისამოსით, რომლის ტარებაც არსებობისათვის ბრძოლის პროცესში დაუწყია ამა თუ იმ ტომს.

პირველხანებში ტანსაცმელი წარმოიშვა „სამკაულღებრივ“ მოთხოვნილებიდან. მერე ადამიანის უფრო სუსხიან ჰაერის ადგილებში გადასვლის მიხედვით ტანისამოსს არ დაუქარგავს თავისი პირავანდელი მნიშვნელობა. მაგრამ აქ, (მკაცრ ჰაერიან პირობებში) ტანისამოსი გადაიქცა, აგრეთვე აუცილებელი საჭიროების საგნათ. მისი ახალ დანიშნულებამ — სასიცოცხლო სითბოს დაქარგვისაგან დაცვამ — მიგვიყვანა ტანისამოსის როგორც ფორმის, ისე ცვლილებამდე იმ მასალებისა, რომლიდანაც ის კეთდება.

ტანისამოსმა და ცეცხლმა, სადგომთან ერთად, როგორც გინდ პრიმიტიული არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, შესაძლებლობა მისცეს ადამიანს ისეთ ოლქებში არსებობისა, — როგორც, მაგალითად, ყინულის საზღვრებზე ყინულოვან პერიოდში, — რომლებიც უამისოდ ადამიანთაგან დაუპყრობელი იქნებოდნენ.

იარაღებისა და განსაკუთრებით საომარი იარაღების წარმოება გადაიქცა მხატვრული მრეწველობის თავისებურ დარგად. სადგომები გადაიქცენ შემთხვევითი ხასიათის თავშესაფარ ადგილებიდან მუდმივ შენობებთან მიწათმოქმედ გვარებში და მოძრავ კარვებთან — მოხეტიალებში. ამ სადგომებში არის უკვე ყოველგვარი მოწყობილობა, რომელიც ნაწილობრივ წარმოდგენენ მხოლოდ სამკაულს, ნაწილობრივ აგრეთვე სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობაში მოსახმარ საგნებს. ქურქების დამუშავება, წვნის და ქსოვის სხვადასხვაგვარი სახეები, რომლებიც საფეიქრო წარმოებაში გადადიან, მოჩუქურთმება ქვებისა, ძვლებისა, რქებისა და ხეებისა, მექურქლეობა, რომელიც აერთიანებდა ჩუქურთმასა და მხატვრობას, წარმოდგენენ შრომის ახალ დარგებს, ახალ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. მხატვრობის სფეროში ცნობილია ისე განსაცვიფრებელი მიღწევები, რომლებიც ეკუთვნიან „ქვის ხანას“, მის შედარებით ადრინდელ პერიოდს.

რამდენადაც ახალი ნივთები გვარის არსებობისათვის აუცილებელი ხდებიან, იმდენადაც მთელი შრომაც, რომელიც მათს წარმოე-

ბაზე იხარჯება, წარმოადგენს იმგვარად აუცილებელ შრომას, როგორც საკვების მოპოებაზე დახარჯული შრომა. რამდენადაც შრომიანი მოქმედებაში, მონაწილეობას ღებულობენ გეარის ყველა წევრები, იმდენადაც ყოველი მათგანი ასრულებს შესაფერ ნაწილს ამ აუცილებელ: საწარმოო შრომისა.

შრომით დანახარჯთა საერთო ჯამი განვითარების წინამსრობლ საფეხურთან შედარებით არ დაკლებულა. მაგრამ არ დაკლებულა მხოლოდ იმიტომ, რომ გეარის მოთხოვნილებანი ფართოვდებოდენ. თუ მას წინადა შეეძლო ეტარებინა შიშველი ზოოლოგიური არსებობა, ახლა მისთვის აუცილებელი ხდება ყველა ახალ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

(ა. ბოგდანოვი და ი. სტეპანოვი — პოლიტ. ეკონომიის კურსი, ტ. I)

### **§ 3. ბუშმენებისა და ავსტრალიელების ველური მინდვრები. — გარეული ბრინჯის მინდორი. — თხევის დასაწყისი**

მცენარეთა კულტურა კაცობრიობის განვითარების შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე ჩნდება, მაგრამ ამ კულტურის ცალკე პროცესები ძალიან ადრე იწყება. პრიმიტიული ხერხების საშუალებით მიწას ამუშავებენ ისეთი ტომებიც კი, რომლებიც დღეს ცივილიზაციის ერთობ დაბალ საფეხურზე დგანან. ამ ხერხების მიხედვით, მთელ პერიოდს, რომლის განმავლობაში მათ მისდევდენ, შეიძლება ეწოდოს ველური მიწათმოქმედების პერიოდი ეს პირველი რგოლია იმ ჯაჭვში. რომლის უკანსაკნელ რგოლს წარმოადგენს მცენარეთა კულტურის ჩვენი თანამედროვე ტექნიკა.

ბუშმენები ზოგჯერ იღებენ რათა არ გამოფიტონ ერთი წლის განმავლობაში თავიანთი „სახნავ-სათესი მინდვრები“ და უზრუნველჰყონ თავი მოსავლით შემდეგ წლებშიც. როცა საკმელ მცენარეს აგროვებენ, მის ნაწილს სტოვებენ, როგორც ველურ სათესლეს. ამ ჩვეულების შესრულება გარანტირებულია მეტად სასტიკი სასჯელით მის დამრღვევთა წინააღმდეგ. ასეთი ველური თესვიდან შეგნებულ თესვაზე გადასვლა სრულიად ბუნებრივია. გრეის სიტყვით, ავსტრალიელებს აქვთ „კანონი“, რომელიც კრძალავს იმ მცენარის ძირიანად ამოგლეჯას, რომლის მარცვლები საკმელად არის გამოსადეგი, და ადგილობრივი მცხოვრებლები არაოდეს არ არღვევენ ამ „კანონს“. ავსტრალიელებს მოჰყავთ მაღლობი ადგილების კალთებზე განსაკუთრებული სახის ველური ბალახი, რომელიც მარცვლებს იძლევა. როცა ის დამწიფდება, ისინი ხმარობენ მას და „ლეწავენ“, ე. ი. აცლიან მარცვლებს.

ამნაირად ავსტრალიელებმა იციან მკა და ლეწვა. მიწათმოქმედების ეს ორი პროცესი თესვაზე აღრე გაჩნდა, ხოლო თესვა გაჩნდა მიწის მოჩიჩქნის მარტივ საშუალებებზე აღრე (დაბარვა და შემდეგ მოთხნა). „როცა იხილეს ეს ძეთა ისრაელისათა, ერთმანეთს ეკითხებოდნენ: მან გუ? რადგან არ იცოდენ, თუ რა იყო ეს და რქვა მათ მოსემ: ეს არის პური, რომელიც თქვენ უფალმა მოგივლინათ“. ამნაირად, ებრაელებმაც იწყეს მკა უდაბნოში დაუმუშავებელ, ველურ მინდორზე.

ეკვი არ არის, ჩვენებური მეპურეობა გაჩნდა ვეულრი მკისაგან, ე. ი. გარეულ მცენარეთა მარცვლების შეგროვებისაგან. მარცვლების შეგროვებიდან მათ თესვაზე გადასვლაზე შეიძლებოდა თვალი გაგვედევნებია ჩრდილოეთ ამერიკის მრავალ ინდოელ ტომთა შორის.

წყლის ანუ გარეული ბრინჯი (*Hihania aquatica*), რომელსაც ფრანგები გარეულ შერის ეძახიან (*Folle avoine*) ჩრდილოეთ ამერიკაში იზრდება პატარა ტბებზე, წყლებში და რუებში ჩრდილოეთის განივის 50° დაწყებული მექსიკის ყურემდე და კლდოვან მთებიდან ატლანტის ოკეანემდე.

ერთ პატარა ტბას, რომელიც გარეული ბრინჯით იყო დაფარული, შეეძლო გამოეკვება 2000 კაცი, და რადგან გარეული ბრინჯის ოლქი სადღეს იყო ასეთი ტბებით, გასაკვირი არაა, რომ აქ მოსახლეობა უფრო მჭიდრო იყო, ვინემ სხვა ადგილებში. თუმცა ამ „სათეს მინდვრებს“ არ ამუშავებდნენ, მაგრამ ყოველ ოჯახს აჩემებული ჰქონდა ცალკე ადგილი, ნაჭერი რომელსაც ის ცნობილობდა თავ-თავების შეკერის წესით. უკანასკნელს აწარმოებდნენ ქალები დამწიფების დროს, რათა მარცვალი არ ჩამოცვინულიყო და ჩიტებს არ აეკენკათ ის. აგვისტოს ბოლოს იწყებოდა მკა: ქალები ნაგვით მიცურდებოდნენ შეკრულ თავთავებთან და ბრინჯს ჩამობერტყდნენ ხოლმე ნაგვებში. მაგრამ გარეული ბრინჯი ყველგან ქრებოდა, სადაც კი იმის ყველა მარცვლებს სისტემატიურად აგროვებდნენ. მაშინ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იწყეს თესვა, ე. ი. ისინი ხელუხლებლად სტოვებდნენ გარეული თესვისათვის თავ-თავების ნაწილს. ამნაირად, წარმოიშვა ნამდვილი, თუმცა ჯერ კიდევ გარეული სათესი მინდვრები.

გარეული ბრინჯის და სხვა პურეულ მცენარეების მინდვრებს შეუძლია გამოკვებოს ადამიანების დიდი რიცხვი და ამნაირად საზრდოობის სერიოზულ წყაროს წარმოადგენს.

გარეულ მინდვრებთან ერთად არსებობს აგრეთვე ბოსტნეულობის გარეული კვლები. ახალ კოლანდიაში დიდ მანძილზე იზრდება

იამსი (*Dioscorea hastata*), რომელიც გაირჩევა საქმელად ვარგებულ ძირების სიგრძითა და სისქით. იამსის დამწიფების დროს იმ ადგილას, სადაც ის იზრდება, მრავალრიცხოვან ჯგუფებად იკრიბებიან ადგილობრივი მცხოვრებლები. ქალები მიწიდან თხრიან ძირებს, რომელთა ქვედა ნაწილი წყდება და რჩება მიწაში, რაც ხელს უწყობს მცენარეს მოსპობისაგან გადარჩეს.

ბუნებამ შექმნა ეს შინდვრები, მანვე ჩაუნერგა ადამიანს აზრი დაეწყო მიწის დამუშავება: ძირის ნაწილი მიწაში რჩება იმიტომ, რომ ავსტრალიელმა ქალმა არ იცის მისი მთლად ამოგლეჯა; ბალახის მარცვლების ჩამოყრა ქარის მიერ; უფრო კარგად ამოსვლა ამ მარცვლებისა შემდგომ წელიწადში; გარეული ბრინჯის თავთავების ნაწილის დატოვება ველური თესვისათვის — ყველაფერს ეს, რასაკვირველია არ წარმოადგენს კიდევ მცენარეთა კულტურას, მაგრამ, ექვი არ არის, რომ მისი დასაწყისია.

მაგრამ სულაც არ არის ადვილი ასეთ პრიმიტიულ და შემთხვევით კულტურაზე გადასვლა: გარეული ბრინჯის სრული მოსპობის შიშის ქვეშაც მხოლოდ ზოგიერთმა ტომებმა იწყეს ცოტა თავთავის დატოვება სათესლედ; უმრავლესობა ვერც ამას მიხვდა. კიდევ უფრო ძნელად წარმოიშვა მიწათმოქმედების მთავარი პროცესი — მიწის მოჩიჩქნა პურეულთა დასათესად ან ძირნაყოფა მცენარეთა გასაშენებლად. ამ პროცესის გამოყენება ითხოვს ძალიან დიდ დროს, დამოუკიდებლად იმ სტიმულისა, რომელიც ადამიანს მისკენ მიერეკებოდა.

(კ რ ე ვ ი ც კ ი — პირველყოფილი ხალხების მეურნეული და საზოგადოებრივი წყობა).

#### § 4. ცეცხლის როლი მიწათმოქმედების განვითარებაში

მიწათმოქმედება თავის გაჩენის პირველ საფეხურზე არის ცეცხლზე დამყარებული მეურნეობა. უკანასკნელის ფესვები ღრმა წარსულშია დამარხული. პირველყოფილი ადამიანის ყურადღება უნდა შეეპყრო ტყესა და ველში მუხის დაცემისა ან ცეცხლთან გაუფრთხილებლობისაგან გაჩენილ ხანძრების შედეგებს. სჩანს, ავსტრალიელებს არა ერთხელ მიუმართავთ ნადირობის დროს ცეცხლისათვის, რასაც მოწმობს კენგურუს ყოფა-ქცევა: ეს ცხოველი ძალიან ერიდება ამომწვარ ადგილებს, თუნდაც ძაღლები მოსდევდნენ უკან. ადამიანი ხშირად მიმართავდა ხოლმე ცეცხლს იმ მხრივაც, რომ საფარად გადაიქცია ის თავისა და მღევარ მტერს შორის. ცეცხლს

მიმართავდა ის იმ შემთხვევაშიაც, როცა მას უნდოდა გაეწმინდა ადგილი ჩირგვებისა და ბალახისაგან, რომელნიც მის ადგილიდან ადგილზე გადასვლას და ნადირობას აბრკოლებდენ; ის სისტემატიურად იქცეოდა ასე წელიწადის მშრალი დროის დადგომისთანავე. ხანძრის შემდეგ ვაკეები საშინელ სანახაობას წარმოადგენენ. მაგრამ წვიმიანი დროის დადგომისთანავე უხვად იმოსება მცენარეულობით. მონადირე და მეჯოგე ხალხებმა შენიშნეს ეს დაშოკიდებულიება ბალახის ზრდასა და ტყის ხანძრებს შორის: ავსტრალიელები და ბუშმენები ცეცხლს უკიდებდნენ ველებს, რადგან იციან, რომ ხანძრის შემდეგ იქ მშვენიერი ბალახი ამოვა და დიდი რაოდენობით მოიყრიან თავს ცხოველები.

უფრო ფართოდ იწყო ხანძრის მეურნეობის პრინციპების გამოყენება ბარბაროსული პერიოდის მიწის მუშაში. და ეს სავსებით გასაგებია. საქმე იმაშია, რომ მხოლოდ რამდენიმე მარტივი იარაღის პატრონ მიწის მუშისათვის სახანაოდ გაწმენდა ტყეებისა და ველების ძალიან რთული და ძნელი მოსახერხებელია, მაგრამ ხანძრის შემწეობით კი ეს საქმე შესამჩნევად ადვილდება. ეს განსაკუთრებით მართალია ცხელი ზონისათვის. სადაც წლის წვიმიან დროის მიწათმომქმედს უზარმაზარი გარჯა სჭირდება მცენარეულობასთან ბრძოლაში. ამ ზონაში ნიადაგის გაწმენდა მცენარეულობისაგან ყველაზე ძნელ ჯაფას მოითხოვს, ხოლო თითონ დამუშავება მიწისა კი ძალიან ადვილი საქმეა: საკმაოა ცოტა მოიჩიჩქნოს მიწა და ჩაიყაროს თესლი, რომ ის ამოვიდეს. კერძოდ ტყეების ამოწვას მიწისმუშა იმიტომ მიმართავს, რომ, ტყის ქვეშ მიწას ყოველთვის აქვს უფრო სქელი ნოყიერი ნიადაგი, ვინემ ღია ადგილებში, სადაც ბალახის გარდა არაფერი იზრდება.

რასაკვირველია, ცეცხლის ხმარება არ ანთავისუფლებს მიწის მუშას შრომისაგან, რომელიც ზოგჯერ ძალიან მძიმეა. ჩრდილოეთ ინდოეთის ერთერთ ადგილობრივ ტომს თავის განკარგულებაში მართოდ მართო ერთი იარაღი მოეპოება — ცული. და ცულისა და ცეცხლის შემწეობით ის დიდ ადგილებს ასუფთავებს მდიდარი ულრანი ტყისაგან და თანაც ანოყიერებს ნიადაგს უზარმაზარი დამწვარი ხეების ნაცრით.

ხანძრის მეურნეობის სისტემას ჩვენ ვხვდებით ყველა ქვეყნების ბარბაროსებში. ბარბაროსი ცეცხლის შემწეობით ყოველ წლიურად სწმუნდს დიდ მანძილს ტყისაგან, რის გამო წლის განსაზღვრულ დროს ქვეყანა ცეცხლის ალით არის განათებული, თითქოს მთლად ცეცხლში იყეს გახვეული. ასეთი ალი შეიძლება შენიშნოთ სიერ

ლეონის ნაპირებზე და ზემო ნილოსის მიდამოებში. დაიაკების ქვეყანაში „შავი კვამლის მძიმე ღრუბლები ჩამოეთარებიან მთელ მხარეს. რომელიც ცეცხლშია გახვეული; მოგზაურებს სწორად ისინი ქარიშხალის ღრუბლებად ეჩვენებათ. გორაკები მომქმედ ვულკანების შთაბეჭდილებას სტოვებენ; სიცხე აუტანელია, მზე გახურებული სპილენძის დისკოთ გეჩვენებათ. უკვე შორიდან ისმის ცეცხლმოკიდებულ ხეების ტყაცანი და ვაი იმ გაუფრთხილებელ მგზავრს, რომელიც ძლიერი ქარის დროს მოუახლოვდება ალში გახვეული გორაკის კალთას.“<sup>1)</sup>)

ცხელჰავიან ქვეყნებში ტყის მუდმივი წმენდა ცეცხლის შემწეობით აუცილებელი პირობაა მიწათმოქმედებისა, მისი განვითარების დასაწყის საფეხურზე. და ეს მრავალ მიზეზებით აიხსნება.

პირველად, მცენარეულობის სიმდიდრის გამო მიწის მუშაშ მას შემდეგ, როცა რამდენსამე მოსაველს აკრეფავს უნდა მიატოვოს დამუშავებული ნაკვეთი და სათესად ახალი ადგილი გასწმინდოს, რადგან ძველ ნაკვეთს იმდენად ერევა გარეული ბალახი, რომ მასთან ბრძოლა შეუძლებელი ხდება. დაიაკები ამბობენ, რომ დამუშავებულ ნაკვეთს სტოვებენ იმდენად არა იმიტომ, რომ მიწა გამოფიტულია რამდენადაც იმიტომ, რომ ახალი მიწის გაწმენდა ტყისაგან უფრო ადვილია, ვინემ გარეულ ბალახთან ბრძოლა, რომელიც მოსაველის ალების შემდეგ იზრდება. ბისმარკის არქიპელაგზე ადგილობრივი მკვიდრნი იმავე მიზეზით სწმენდენ ახალ ადგილებს.

მეორედ, ადამიანს თავისი განვითარების სულ დაბალ საფეხურზედაც არ შეეძლო არ შეენიშნა — ნაცრის გავლენა ნიადაგზე. ხანძრის შეურნეობა წარმოიშვა ტყესთან ბრძოლის საჭიროებით და განმტკიცდა ნაცრის გამანოყიერებელი გავლენის გამო. ჩვენ დავინახეთ, რომ მონადირესაც შეუძლია საკმაოდ დააფასოს ეს თვისებები, მაგრამ მისი სრული გამოყენება შეუძლია მხოლოდ ბარბაროსული პერიოდის მიწისმუშას. გამოცდილებამ ასწავლა მას, რომ მიწა გამოფიტება „დაბერდება“, თუ რომ მასზე რამდენსამე წელიწადს სთესენ გაუნოყიერებლად. ამიტომ ბარბაროსი-მიწისმომქმედნი რომელნიც უფრო მაღალ საფეხურზე იდგენ, ცდილობდნენ ესარგებლათ ნაცრის ღირსებებით. ოქროს ნაპირზე მკვიდრნი რომ ხეებს დასწვავენ, მთელს ნაცარს თანასწორად მოჰფანტავენ მთელს შინდორზე. ასევე იქცევიან სხვა ადგილებშიაც.

<sup>1)</sup> Low. H. Sarawak, 226, L., 1848.

რადგან ნაცრის რაოდენობა დამოკიდებულია დასაწვავ ხეების სიდიდეზე, ამიტომ ხანძრის მეურნეობა სისტემატიურად, წლიდან წლობით სპობს ტყეების საუკეთესო ნაჭრებს. ამიტომ ხანძრის მეურნეობის ხანა ხასიათდება ტყის სიმდიდრის ყოველად უგუნური და შეუკავებელი მოსპობით. მაგრამ ბარბაროსი-მიწათმოქმედი სპობს რა ტყეებს, თითონვე უთხრის ძირს თავის მეურნეობას. გაუვალი ულრანი ტყეები თხელდება და მოგზაურები ხანძრის მეურნეობის ქვეყნებში ტყეების ნაცვლად ხვდებიან უზარმაზარ ადგილებს დაბალი ბუჩქნარით დაფარულებს. ასე, მაგალითად, შუა აფრიკაში ტყის ტერიტორია ყოველწლიურად მცირდება, ქვეყანა იფარება ველ-მინდვრებით, ხეები იზრდება მხოლოდ მდინარეების გასწვრივ და ტყისგან გაწმენდილ ადგილებზე იზრდება ბალახი, რომელსაც ყოველწლიურად სწვავენ; ასეთ პირობებში შავი ნიადაგი მერყევი ფენა ხდება: ის ირეცხება წვიმის მიერ და მიდის მდინარეებში. ზოგჯერ მთელი ქვეყანა წარმოადგენს სრული გამოფიტვის სურათს, როგორც ამას ადგილი აქვს ინდოეთის ზოგიერთ ქვეყნებში, სადაც ერთ აკრ ტყეზე მოდის ათასი აკრი უკვე გამოყენებული და მიტოვებული მაწისა. ამასვე ვხედავთ ჩვენ ტრევირის მხარეში, სადაც წვიმებმა ჩამორეცხეს ნიადაგის ნაწილი და გამოაჩინეს ქვის ნიადაგის ქვეშა ნაწილი. ეს მოვლენა ყველგან მგორდება, სადაც კი ანალოგიური მიწეზები მოქმედებენ. ანნამის მთის მცხოვრებლები ყოველწლიურად სპობენ ტყეებს, წვიმა რეცხს ნოყიერ ნიადაგს და მიწა ყოველდღიურად იფიტება.

ამნაირად, ცეცხლის მეურნეობა იწვევს თავისთავის ნელ, მაგრამ აუცილებელ დაღუპვას. ბოლოს და ბოლოს დგება მომენტი, როცა მიწათმოქმედი ულრანი ტყის ნაცვლად თავის ირგვლივ ჰხედავს მხოლოდ მიტოვებულ გადახრუკულ ადგილებს. მაშინ ძალაუხერხურად იძულებული ხდება ის დაუბრუნდეს ოდესღაც მიტოვებულ ნაკვეთს, რომელიც უკვე ხშირი ბუჩქნარით არის დაფარული და დაიწყოს სისტემატიური გამოცვლა ნაჭრებისა ამომწვარ მინდვრების ფარგლებში. ყოველ ნაკვეთს იჭერენ მეტი თუ ნაკლები ხნით უმთავრესად მოსახლეობის რიცხვის მიხედვით; თუ მოსახლეობა ხშირი არ არის, მიტოვებულ ნაკვეთზე დაბრუნება ხდება 20 — 40 წლის შემდეგ, როგორც ამას ირვადის აუზში აქვს ადგილი. ზოგიერთ ადგილებში კი, როგორც მაგ. მდინ. სიტტანგის მიდამოებში, რომელიც ძალიან ხშირად არის დასახლებული, დატოვებულ ნაკვეთზე დაბრუნება უხდებათ 3 წლის შემდეგ.



გასაგებია, რაკი მოსაბლეობა მატულობს და თავისუფალი მიწა სულ უფრო ნაკლები რჩება, მიწის დასვენების ვადა მოკლდება და ბოლოს და ბოლოს ცეცხლის მეურნეობა იქცევა სამ მინდვრიან მეურნეობად. მაშინ ბარბაროსი-მიწათმოქმედნი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ნაცარს. როგორც სასუქს, და აყრიან მას მინდორს თანასწორად. ისინი აგროვებენ ხმელ ბალახს და მცენარეების გამხმარ ტოტებს, სწვავენ მათ და ამგვარად ამრავლებენ სასუქის რაოდენობას. სულ დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც რომ გერმანიაში (შვარცვალდში) ერთ მორგენ მიწაზე გლეხებს მოჰქონდა: 400 — 500 კონა ფიხი და სწვავენ, ხოლო ნაცარს თანასწორად ფანტავდენ მინდორში, რომელსაც შემდეგ ხნავდენ. დამუშავების ასეთი წესი, ექვი არ არის, წარმოადგენს ბარბაროსული პერიოდის ცეცხლის მეურნეობის ნაშთს.

ცეცხლის მეურნეობის პირობებით აიხსნება ბარბაროს-მიწათმოქმედის ყოფა-ცხოვრების პირობები, კერძოდ მისი ქოჩადმავლობა, მოხეტიალობა.

ცხადია, რომ მიწისმოქმედი ცდილობს თავისი მინდვრის ახლოს ცხოვრობდეს და რადგან თითონ მინდორი ხანძრის მეურნეობის პირობებში ჩვეულებრივ დიდ მანძილზე მოძრაობს ერთი ადგილიდან მეორეზე, ამიტომ საცხოვრებელი ბინების გადატანაც აუცილებელი ხდება. ბინების გადატან-გადმოტანას ადგილი აქვს ადამიანის კულტურული განვითარების სულ დაბალ საფეხურზედაც, მაგრამ აქ მოქმედებენ ცოტა განსხვავებული მიზეზები: მიწათმოქმედებას იმ დროს დამატებითი ხასიათი ჰქონდა და პირველყოფილი მინდვრებიც ისე არ იყო მუდმივი, როგორც მთელი პირველყოფილი ცხოვრება.

ბინების არამუდმივობა ამ შემთხვევაში აიხსნება არა ცეცხლის მეურნეობის პირობებით, არამედ ქოჩადმავალ ცხოვრების ზეგავლენით.

მაგრამ მიეუბრუნდეთ ხალხებს, რომელთა საცხოვრებელი ადგილის არამუდმივობა აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ ხანძრის მეურნეობის პირობებით. „კარენების ყოველ სოფელს აქვს თავისი მინდვრები; თუ მიწა ბლომდაა, კარენები 6-7 წლის განმავლობაში ამუშავებენ სულ ახალახალ მიწებს; ხოლო თუ მიწა ცოტაა, ისინი მითრეებულ მიწებს უბრუნდებიან 3-4 წლის შემდეგ. ამგვარად ისინი ტრიალებენ თავიანთი მინდვრების ირგვლივ მსგავსად მთეარისა, რომელიც დედამიწის ირგვლივ ტრიალებს“. <sup>1)</sup> ცხელ ზონაში მოქცეული

<sup>1)</sup> Journal of the Asiatic Society of Bengal XXXVII. II 125.

ზოგიერთ კუნძულების მცხოვრებლები, რომელნიც ტაროსთვის წმენდენ ტყეებს, მუდამ გადადიან ადგილიდან ადგილზე და მათ არ აქვთ არც მუდმივი ბინები და არც მუდმივი მინდვრები. ჩერქეზები ამუშავებდენ მიწას განსაზღვრულ ადგილას 2-3 წლის განმავლობაში და შემდეგ იქერდენ სხვა ადგილს, სადაც გადაჰქონდათ თავიანთი სახლების ზოგიერთი ნაწილები, ხოლო რისი გადატანაც არ შეიძლება, — სწევადენ.

ასეთი გადასვლები, ერთ ადგილიდან მეორეზე, როგორც შედეგი ცეცხლის მეურნეობისა უფრო იშვიათი ხდება იმის მიხედვით, რაც რომ ძველ ადგილზე დაბრუნების პერიოდი მოკლდება; ეს გადასვლები შებრუნებულ პროპორციულობაშია საოჯახო ნივთების რაოდენობისა და საცხოვრებელი ბინის სიმკვიდრის მიმართ. ხოლო როცა ცეცხლის მეურნეობა მეორეხარისხოვანი როლის თამაშს იწყებს და მიწათმოქმედებაში პირველ ადგილს ხელოვნური სასუქის ხმარება იკავებს, მაშინ საბოლოოდ მყარდება მკვიდრი ბინადრობის წესი და მინდვრები თავს იყრიან მუდმივ სამოსახლეობის ირგვლივ, რომელნიც დაფანტულნი არიან ოდესღაც გაწმენდილ ტყეების მიდამოებში.

მინდვრების ეს კონცენტრაცია წარმოადგენს აშკარა წინააღმდეგობას ცეცხლის მეურნეობის ერთი არსებითი თავისებურობის მიმართ — მინდვრების ან როგორც პოლონეთში ამზობდენ ყანების დაფანტულობის მიმართ. შეეჩერდეთ ამ თავისებურობაზე.

პირველყოფილ პერიოდში დამუშავებული მიწა იკარგება ადამიანის ხელშეუხებელ უზარმაზარ მიდამოებს შორის. ახალ გეონეიაზე, მაგალითად, ის შეადგენს მხოლოდ ერთ-მეასედს მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგი მთელი ტერიტორიისას: „როგორც წყნარ ოკეანეზე პატარა კუნძულები,“ ერთი მეორისაგან ასეულ კილომეტრით დაშორებულნი, გაფანტულნი არიან ყველგან უზარმაზარ წყლის სივრცეზე, ისე ადგილობრივ მკვიდრთა პატარა პლანტაციები გაფანტულნი არიან უღრან ტყეების თვალუწვდენელ სივრცეში“.<sup>1)</sup>

---

ამასთანვე ძალიან ხშირად ხდება, რომ ერთი სოფლის მინდვრები მდებარეობს სხვადასხვა. ერთმანეთისაგან დაშორებულ ადგილებში. იუკატანის ინდოელები მინდვრების ასეთ მდებარეობას ხსნიან მიწათმოქმედლის სურვილით, რათა უზრუნველჰყოს თავი მოსავლით: თუ ის (მოსავალი) ერთ ალაგას დაიღუპება, სამაგიეროდ შეიძლება გა-

<sup>1)</sup> Zöllner, H. Deutsch — Neu Guinea, 245. B. 1891.

დარჩეს მეორე ალაგას. აფრიკის ზოგიერთი ტომები ერთსა და იმავე მცენარეს სხვადასხვა ადგილას აშენებენ. ერთი მეორისაგან მოშორებით, რომ „მთელი მოსავალი არ დაჰკარგონ, თუ ვინიცობაა კალია, მაიმუნები, გარეული ტახები ან სპილოები გაჩნდებიან“. <sup>1)</sup> ირავადის აუზში შეიძლება მცხოვრებთ 20 და 30 ალაგას აქვთ დამუშავებული მიწები. ხშირად ველურების პლანტაციები დაფარულია უცხო თვალთაგან გაუვალი ტყის წიაღში. ამას ჩვენ ვხედავთ მ.-მაკლაიას (ახ. გვინეია) ნაპირებზე, ზანგთა ტომების დასახლებულ აფრიკის მიდამოებში, ინდოეთში. შედარებით მახლობელ ხანებში ზირიანები სწმენდდნენ სახნავ-სათეს ადგილებს ერთი მეორისაგან 60 — 70 ვერსის მანძილზე დაშორებით. ასეთივე ჩვეულება არსებობდა პოლონეთშიაც. ასეთი მდგომარეობა უნდა აიხსნას სურვილით გადაარჩინონ თავიანთი ყანები განადგურებას მტრების შემოსევის დროს. ამ დაფარულ მიწების ახლოს აწყობდნენ დროებითს საცხოვრებელ ბინებს, რომელშიაც მიწისმუშა ატარებდა განსაზღვრულ დროს; ზოგჯერ ის იქ თავის მონებს ასახლებდა. იმის მიხედვით, რამდენათაც მიწები მუდმივ ხასიათს ღებულობენ, მიწისმომქმედნი თანდათან ესახლებიან თავიანთ მივდვრების ახლოს და ამნაირად მიწებებს დაშორებული სოფლები ქრება.

კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომ მიწისმომქმედთა მიწები განიჩევიან მცირე, ზოგჯერ პირდაპირ მინიატურული სივრცით. მ ა რ ტ ი უ ს ი გადმოგვცემს, რომ ბრაზილიელ ინდოელთა შორის მას არ შეხვედრია მიწდორი, რომლის დამუშავება არ ყოფილიყოს შესაძლებელი საშუალო ოჯახის ძალებით ერთი დღის განმავლობაში. დაახლოებით ამასვე ვამჩნევთ ბალაკის, იუკატანის, მალაის. არხიპელაგის და სხვ. ტომებს შორის. მიწების მცირე სივრცე პირველყოფილ მიწისმომქმედ ტომთა შორის, მაგალითად, მალაკის და ბრაზილიის ხალხთა შორის, აიხსნება პირველ ყოვლისა იმით, რომ მიწის დამუშავება მათთვის არსებობის მეორეხარისხოვან წყაროს შეადგენს, რადგან უმთავრესად ისინი თავს ირჩენენ ნადირობით და გარეულ მცენარეთა ნაყოფების შეგროვებით. კულტურის უფრო მაღალ საფეხურებზე მიწების სივრცეზე გავლენას ახდენს სამიწათმომქმედო იარაღების განუვითარებლობა, რის გამო შეუძლებელია რამდენიმედ დიდი მანძილის დამუშავება. აქ საჭიროა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ბევრ ქვეყანაში ცხელი ჰავით და ნო-

<sup>1)</sup> Merker, M. Rechtsverhältnisse u. Sitten der Wadschagga, 10. Gotha, 1902.

ყერი ნიადაგით შეიძლება დაკმაყოფილება პატარა ადგილების და მუშავეებითაც.

ჩვენმა თანამედროვე სამიწათმოქმედო იარაღებმა თავის სისრულეს შედარებით გვიან მიაღწიეს: გუთანი, სახნისი და რამდენიმედ ფარცხი განვითარდნენ ჩვეულებრივი დიდი ტოტიდან. რომელთანაც კუთხეს ქვეშ შეერთებული იყო მეორე ტოტი, უფრო პატარა. პერმელები, რომელნიც უკვე დიდი ხანია იმყოფებიან უფრო მაღალი სამიწათმოქმედო კულტურის გავლენის ქვეშ, სულ ცოტა ხნის უკან მიწას ჩიჩქნიდნენ თოხებით, ხოლო ფარცხის ნაცვლად ხნარობდნენ ფიჭვის ხეს, რომელსაც შტოებს აჭრიდნენ და ტოტებს უტოებდნენ. და მათი სამიწათმოქმედო იარაღები ახლაც ბევრი არაფრით განსხვავდება წინანდელისაგან <sup>1)</sup>.

შვეციაში შედარებით ახლო ხანად შეიძლებოდა სატყეო მეურნეობებში შეხვედროდით ეგრედწოდებულ შვედურ თოხს: ეს იყო მაგარი არყის ხის ჯოხი, რომელსაც მიმაგრებული ჰქონდა წაწვეტიანებული მოკლე ტოტი. სუანდინავიის მცხოვრებლები შემდეგნაირად წარმოგვიდგენენ ასეთი თოხიდან გუთნის წარმოშობის პროცესს. პირველ ხანებში თოხს აკეთებდნენ ძალიან მძიმეს და ათრევდნენ მიწაზე, რომ კვალი გაეყვანათ. შემდეგ ამ იარაღს გაუკეთეს ორი ნაწილხ — სახელური მხვნელისათვის (ერქვანი) და უღელი, რომელშიაც ებმოდნენ კაცები, ხოლო სახნისის აკეთებდნენ რკინისას. დაბოლოს ადამიანების ნაცვლად იწყეს ძროხის ან ცხენის შებმა: ჩვენი ძირითადი სამიწათმოქმედო იარაღის ასეთი წარმოშობის შესახებ მოწმობს რუსული სიტყვის „соха“-ს (კავი, აჩაჩი, ოგათა) პირვანდელი მნიშვნელობა (ветвь, жердь).

მაგრამ პირველყოფილ მეურნეობაში ისეთ იარაღებს, როგორც არის გუთანი, ფარცხი და სხვ., რომელთა მიზანია მიწაში კვლევის გაყვანა, მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ასე, მაგ., სულდანში, სადაც ნიადაგის ზედა ფენა უფრო ღრმაა, ზანგები ჩიჩქნიან მიწას პატარა პირიანი თოხით, რომელიც პერპენდიკულიარულად არის ტარზე მიმაგრებული. თოხით მუშაობას ისინი აწარმოებენ ვერტიკალურად დამდგარნი. სულ სხვაა, როცა მიწა ნაკლებ ნოყიერია და ნიადაგის თხელი ფენის ქვემოთ მოთავსებულია ქვიშნარი ან სხვა უნაყოფო ფენები. აქ მიწის ღრმად მოთხრა მიზანშეუწონელი იქნებოდა. ასეთ მიწას ზანგები აფხვიერებენ წაკუზულნი ან მუხლებზე

---

<sup>1)</sup> Смирнов. Пермьяки (Известия общества археологии и этнографии при Казанском университете, т. IX, 1891 г.).

დაჩოქილნი. თოხის პირი მიმაგრებულია ტარზე, კუთხის ქვეშ, ისე რომ, მიწის დამუშავების დროს ის ეხება მიწას განით. ნამდვილად ასეთი თოხით მიწას კი არ თხრიან, არამედ ფხეკენ, — ეს პროცესი მოხვნას გვაგონებს.

მიწათმოქმედების ყველაზე ადრინდელი პერიოდის მთავარ იარაღს წარმოადგენდა ჯოხი წაწვეტებული ბოლოთი ან ჯოხი წვერით, რომელიც კუთხის ქვეშ იყო მასთან მოთავსებული: ეს იყო ტოტი კვილით, ე. ი. თოხის წინამორბედი. ასეთი იარაღების მხოლოდ ცოტათი გაუმჯობესებული სახით, დღესაც სარგებლობენ მებოსტნეობაში, მიუხედავად მის მიერ მიღწეული დიდი სრულყოფისა. ცხადია, რომ რა რიგ ბეჯითადაც არ ხდებოდეს თოხით მუშაობა, დიდი სივრცის დამუშავება ცალკე ოჯახებისათვის, მაინც არ არის შესაძლებელი. გუთანი კი ჩნდება იმის შემდეგ, რაც რომ აღორძინდა მეურნეობა პურეული მცენარეებისა, — ესე იგი პურის მოყვანა. თუმცა ასეთი აზრიც არსებობს, რომ პირველყოფილი გუთნის, ე. წ., სახნისის, შემოღება სამიწათმოქმედო ტენიკაში წარმოადგენენ ნაბიჯს უკან. „პირველყოფილი გუთნით უფრო ცუდად მუშაობდნენ, ვინემ თოხით ან ჯოხით. თუმცა მისი შემწეობით უფრო მეტი სივრცის გაფხვიერება შეიძლებოდა, მაგრამ ის ძალიან ზერეულეთ თხრიდა მიწას; გარდა ამისა მოხვნის შემდეგ კიდევ საჭირო იყო გორბების დაფშენა“<sup>1)</sup>.

აღვნიშნავთ კიდევ პირველყოფილი მიწათმოქმედების ერთს თვისებას, რომელიც ცეცხლის მეურნეობასთან არის დაკავშირებული. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მიუხედავად ცეცხლით სარგებლობისა, ტყის სივრცეების მომზადება სახნავ მიწებად პირველყოფილი მიწის მუშისათვის ძალიან ძნელი საქმე იყო. მაგრამ გაწმენდილი მინდორი უნდა შემოღობილიყო გარეულ ცხოველებისაგან დასაცავად; ეს შრომაც აგრეთვე ძალიან მძიმე იყო. ყველა იმ შემთხვევებში, როცა რომელისამე სამუშაოს შესრულება მიუწოდებელი იყო ერთი კაცისათვის, მიმართავენ კოლექტიურ შრომას, რაც ძალიან დიდ შედეგებს იწვევს. სუდანში, სადაც მიწა ნოყიერია, ზანგი თითონ ერევა სამუშაოს: მარტოდ ამუშავებს მიწას და მარტოდვე აგროვებს მოსავალს. მაგრამ იქ, სადაც მიწა ნოყიერი არ არის ან დაფარულია ხშირი ტყით, ერთ კაცს არ შეუძლია მინდვრის მუშაობას გაუმკლავდეს და ის იძულებულია მიმართოს საზოგადო ძალებით დამუშავე-

<sup>1)</sup> Lesch R. D. Landwirtschaft d. Naturvölker (Ztsch. Socialwissenschaft).

ბას. ასეთ შემთხვევაში მოსაყვალს ინაწილებენ დახარჯული შრომის მიხედვით. ზოგიერთი ტომები ტყის გასაჩენათ მთელი სოფლებით გამოდიან სამუშაოზე. ისინი დგამენ ქოხებს ტყეში; ქალები ზოგი საქმელს ამზადებენ, ზოგი კი კაცებს ეხმარებიან ტყის გაჩენვაში. საღამოობით, მუშაობის დასრულების შემდეგ, იწყება საერთო ღიმღერა და ცეკვა-თამაში. „მიწის მცირე ნაკვეთის გაწმენდა ტყისაგან და შემოღობვა ისე, რომ ნაღირი ვერ შევიდეს, ძალიან მიძიმე შრომას მოითხოვს ახალი გვინებისა და მელანეზიის პირველყოფილი მცხოვრებისაგან. მართალია, ცეცხლი აადვილებს შრომას, მაგრამ მას არ შეუძლია ტყის სრული მოსპობა: კიდევ ბევრი საბუშაო რჩება ქვის ცულებისათვის. ამიტომ ამ ქვეყნების მცხოვრებლები ერთდებიან ტყის მოსასპობად და სახნავ ადგილების შესაკავებლად“<sup>1)</sup>. თუ მიწას სახნავად საერთო ძალებით ამზადებენ, ტყისაგან გაწმენდილ ადგილას კოლექტიური შრომის ყოველ მონაწილეს აქვს თავისი ზოლი და რადგან ზემოდ ნახსენებ მოსაზრებით მიწას ამუშავებენ მრავალ ადგილას, ცალკე ოჯახების მინდვრები ჩვეულებრივ უზარმაზარ ტერიტორიაზე იმყოფება. მაგრამ არა მარტო გაწმენდა და შემოღობვა ხდება კოლექტიური შრომით: ზოგიერთ შემთხვევაში შეერთებული ძალით სრულდება ყველა სამიწათმოქმედო სამუშაოები. ასე, მაგ., მ. მაკლასის ნაპირას (ახ. გვინეა) მიწის გაფხვიერება ხდება კოლექტიურად. რამდენიმე კაცი დგება ერთად და ერთდროულად არქობენ მიწაში თავის „უდიებს“ (ჯოხი ორი მეტრის სიგრძით, ბოლოში წაწვეტებული), და შეერთებული ძალით სთხრიან მიწაზე გორბებს. მათ მიყვებიან ქალები, რომელნიც დაჩოქილნი, პატარა ბარებით ანამცეცებენ ამ გორბებს, ხოლო შემდეგ მათ ბავშვები ხელებით ფშვნიან. ასეთი დამუშავებით მიწა იმდენად ფხვიერდება, რომ ევროპიელ მიწისმუშას ეს ოცნებაშიაც არ მოუვა.

(ლ. კ რ ე ი ე ც კ ი — პირველყოფილი ხალხების მეურნეული და საზოგადოებრივი წყობა).

## § 5. შრომის განაწილება საზვარძელო თემში

შრომის ნაყოფიერების ზრდას, გვარის საწარმოო ურთიერთობაში, თან ახლავს მნიშვნელოვანი ცვლილებები.

პირველყოფილი ჯგუფი ხასიათდება შრომითი ოპერაციების ერთნაირობით. პრიმიტიული წარმოების პროცესში გვარის ყველა

<sup>1)</sup> Finsch. O. Samoafahrten. 56. Leipzig, 1881.

წევრები ერთნაირ როლს ასრულებენ. ასაკობრივი განსხვავებით ირ-  
კვევა რაოდენობრივი განსხვავება დახარჯულ სამუშაო ენერჯისა.  
მაგრამ თვისობრივად, თავისი მიმართებით, ეს დანახარჯი ასე თუ  
ისე ერთგვარია. გვარის ყველა წევრი, თავისი ღონის მიხედვით ერთ-  
გვარ მონაწილეობას ღებულობს საზრდოს მოპოებაში და მტრისაგან  
თავის დაცვაში, სულ ერთია, ადამიანი იქნება ეს მტერი, თუ მხეცი.

რამდენად მრავლდებოდა ჯგუფის წევრთა რიცხვი და სხვადა-  
სხვაგვარი საწარმოო საქმიანობანი, თანდათან ვითარდებოდა შრო-  
მის განაწილება ერთსა და იმავე გვარის წევრთა შორის. „და იყო  
აბული მწყემსი ცხვართა, ხოლო კაენ მუშა მიწისაჲ“ (დაბადება, IV, 3).  
„...ცობელმაც ჰშვა თობელი, რომელიც იყო მჭედელი ყოველგვარ ია-  
რალთა რკინისა და სპილენძისაგანო“ (IV, 22). „ბავშვები მოიზარდ-  
ნენ და ისააკი გახდა მხეცთა ქერაში დახელოვნებულ კაცათ; ხოლო  
იაკობი იყო კაცი მშვიდობიანი, ცხოვრობდა კარავსა შინა... და მი-  
ყიდა ისააკმა უფროსობა თავისი იაკობსა... და მისცა იაკობმა ისააკს  
პური და საქმელი ოსპისა“. (XX, 27, 28, 33, 34).

ეს არის საქმიანობის სპეციალიზაცია, შრომის განაწილება: სა-  
გვარეულო ჯგუფის ერთი წევრი მისდევს განსაკუთრებით მონადი-  
რეობას, მეორე — მეჯოგეობას, მესამე — მიწათმოქმედებას, მეოთ-  
ხე — იარაღის წარმოებას. მაგრამ ბიბლიური წარმოდგენა შრომის  
პირვანდელ განაწილებაზე ჩამოყალიბდა იმ ეპოქაში. როცა არა მარ-  
ტო დავიწყებული იყო მატრიარქალური გვარის ორგანიზაცია, ანა-  
მედ პატრიარქალური გვარის რღვევასაც ძალიან ღრმად ჰქონდა ფე-  
სვები გადგმული. ხანგრძლივი პროცესებით მოცემული შედეგები აქ  
გამოხატულია როგორც გამოსავალი წერტილი შრომის ტენზიკური  
განაწილებისა.

ყველაზე უფრო მისაღებია ის აზრი, რომ შრომის განაწილება  
პირველათ ფენი მოიკიდა ერთსა და იმავე ჯგუფში, ასაკობრივ სხვა-  
დასხვაობის ხაზზე.

ადგილიდან ადგილზე გადასვლის დროს ჯგუფს წინ მიუძღო-  
დენ ყველაზე უფრო ღონიერი წევრები, შეიარაღებული შამაკაცები,  
რომლებიც მზად იყვენ ყოველ მომენტში თავდასხმის მოსაგერიებ-  
ლათ. უკან მიყვებოდნენ მოხუცები, ქალები და ბავშვები, რომლებსაც  
თან მიჰქონდათ თავშესაფარის გასამართავი მოწყობილობა და მცი-  
რეოდენი საოჯახო ნივთები. ქალები ზიდავდნენ ცეცხლს, და აჩაღებ-  
დნენ ახალ საბინადრო ადგილას. ამრიგად უძველეს დროიდანვე ქალი  
შეიქნა „კერიას მფარველი“; ამით, წინააღმდეგ შემდეგი ეპოქებისა,  
ქალს ეძლეოდა ჯგუფში, გავლენიანი მდგომარეობა. ის ასრულებდა

სხვა ფუნქციებს, ვინემ მამაკაცი, მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანს. ამ ფუნქციებს, ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა ჯგუფისათვის.

სრულ ასაკს მიწევნული ყმაწვილები უკანა ფალანგიდან გადადიოდნენ წინ, მოწიფულთა რიგებში.

შრომის უფრო და უფრო ღრმა, მკაფიო განაწილებას წინ მიუძღოდა პატარპატარა, მეტად უმნიშვნელო განსხვავება ერთსა და იმავე გვარის, ერთსა და იმავე მწარმოებელ ჯგუფთა საქმიანობაში. პატარპატარა განსხვავება თანდათან ღრმავდებოდა, ერთგვარი სამუშაო, რამოდენიმე სამუშაოთ იყოფოდა, თვითეული საქმიანობა იქცეოდა ჯგუფის ამა თუ იმ წევრთა საგანგებო ხელობათ. თანდათან ხდებოდა აგრეთვე საკვების შოვნის დიფერენციალიც. იწყებოდა მიწადმოქმედება, რომელსაც ეწეოდნენ უმთავრესათ ქალები. ცალკე დარგათ ვითარდებოდა ნადირობა — ხორცეული საკვების შოვნა (მეთევზეობის დამატებით), რომელსაც ეკიდებოდნენ უმთავრესათ მამაკაცები. რაც უფრო რთულდებოდა, რაც უფრო უმჯობესდებოდა მერე და მერე საწარმოო იარაღი, სანადირო საშუალებები, მით უფრო გამოდიოდნენ გვარის ფარგლებში ერთის მხრით დახელოვნებულ მეთევზენი და მეორეს მხრით — დახელოვნებული მონადირენი. იარაღის წარმოებაც ცალკევდებოდა ჯერ უმთავრეს, ხოლო შემდეგ, უფრო გვიანდელ ეპოქაში, განსაკუთრებულ დარგად. საგვარეულო ჯგუფის გამრავლება შესაძლებლობას იძლეოდა ამისთვის: საჭიროა იყო იმდენი იარაღი, რომ მის წარმოებას უნდებოდა „სპეციალისტების“ მთელი სამუშაო დრო. თვით იარაღის გაუმჯობესება და გართულება აუცილებლათ ხდიდა ამ გამოყოფას. მხოლოდ წარმოებინს ამა თუ იმ დარგზე დახელოვნებულ მუშას შეეძლო სასურველ შედეგის მიღწევა (გაუმჯობესებული იარაღის კეთება).

შრომის განაწილების განვითარება იძლეოდა ისეთ შესაძლებლობას, რომ სამუშაო ენერჯის მინიმალური დახარჯვით, აღწევდნენ მაქსიმალურ შედეგებს. შრომის ნაყოფიერება იზრდებოდა, ე. ი. წინანდელი სამუშაო ენერჯის დახარჯვით მზადდებოდა პროდუქტების მეტი რაოდენობა.

ამ საფეხურზე შრომის ტენიკურ განაწილების პროცესში მხოლოდ ნელნელა ხდება სხვადასხვა დარგების გამოცალკევება. თვითეულ დარგს ევლება ასე თუ ისე ურყევი საზღვარი, იყოფიან, ასე ვთქვათ, განსაკუთრებული სპეციალისტები, რომლებიც წარმოადგენენ დახელოვნებულ და გამიჯნულ პროფესიონალურ ჯგუფებს.

შრომის ტენიკურ განაწილებასთან ერთად ფეხს იკიდებს აგრეთვე ორგანიზაციული შრომის გამოცალკევება და ცალკე დარგის კალა-



პოტში დგება აღმასრულებელი მუშაობა. როცა წარმოება იყო ერთ-გვარი და პირველყოფილი-მარტივი, ორგანიზატორული შრომის გაზო-ყოფას არ ჰქონდა არც შესაძლებლობის და არც აუცილებლობის პირობები. გარდამავალ ასაკობრივი განსხვავებით ხასიათდებოდა შრომითი უნარიანობის გარდამავალი სხვადასხვაობა. გვარის უმცროსი წევრი აუცილებელ გამოცდილებას ღებულობდა თვით შრომის პროცესში. დედისა თუ მისი ძმების ხელმძღვანელობით. დროებითი ხელმძღვანელის შრომა განსხვავდებოდა დანარჩენ წევრთა შრომისაგან, იმითი, რომ განსაზღვრულ დროში უფროსი წევრი ხარჯავდა მეტ სამუშაო ენერჯიას, ვიდრე დანარჩენები, და ამიტომ მისი შრომაც შესაუფრად მეტ ნაყოფს იძლეოდა. თვისობრივად კი ხელმძღვანელის სამუშაო ძალა იყო ისეთივე და იხარჯებოდა იმავე მიმართულებით, როგორც გვარის დანარჩენი წევრების.

რაც უფრო იზრდება გვარი, მით უფრო ფართოვდება და მრავალშრივდება მისი წარმოება და მით უფრო ჩამორჩენილობა ემჩნევა იმ დაბალ ორგანიზაციულ წყობას, რომელიც სტიქიურად განვითარდა და რომელიც ვერ სცილდებოდა ჩანასახ ფორმებს თანამშრომლობისას. ჯერ ზღვის პირზე გარიყულ თევზებსა და კია-ღუებს აგროვებდნენ და მერე რთულ მოწყობილებებითა და ორგანებით რეგულიარულ მეთევზეობაზე გადავიდნენ, ჯერ პატარაპატარა ცხოველებს კრეფდნენ, მერე ლომ-მეფეზისა და ზღვის ძაღლების, სელაპებია კერა დაიწყეს; ჯერ მცენარეულ უესეულობას და ნაყოფს ეძებდნენ და მერე თანდათან გადავიდნენ სარწყავების მოწყობაზე, წესიერ მაწადმოქმედებაზე. ასეთ გადასვლის პროცესში ნელ-ნელა აუცილებელი ხდებოდა ყველგან გეგმაშეწონილი ხელმძღვანელობა, წესიერი ორგანიზაცია, სხვადასხვაგვარ მოქმედებათა მოფიქრებული შეთანხმება.

დედა ან მისი ძმა, რომელიც ჯერ დროებითი ხელმძღვანელი იყო, იქცევა მუდმივ ორგანიზატორად. მისი როლი იზრდება იმდენათ რამდენათაც რთულდება და სხვადასხვავდება წარმოება, — რამდენათაც ვითარდება შრომის განაწილება. პირვანდელი გვარი, რომელშიაც დედას ეჭირა, უბრალოთ, ცენტრალური ადგილი, ვითარდება მატრიარქალურ (დედამთავრულ) გვარად, სადაც დედას, ან უფროს ნათესავს დედის ხაზით ეძლევა გავლენიან ორგანიზატორის როლი, და ის ხდება გაფართოების გზაზე შემდგარი ჯგუფის მეთაური.

ეს პროცესი ჩქარდება როცა მიწათმოქმედება დამხმარე (მეორე რიაგის) საქმიანობიდან იქცევა საარსებო საშუალებათა მთავარ

წყაროთ და იმავე დროს რჩება ქალთა შრომის მთავარ დარგათ. მონადირეობას აკლდება ეკონომიური მნიშვნელობა და ის უკან იწევს ასეთ პირობებში. მამაკაცი ხშირად იწყებს ნახევრად პარაზიტულ ცხოვრებას და მისი მდგომარეობაც გვარში ეფარდება იმის უმნიშვნელო როლს. ამ საფეხურზე ყველაზე დიდხანს რჩებოდენ ის ტომები, რომლებშიაც მიწათმოქმედებას ეკუთვნოდა უპირატესობა. ყველაზე ადრე პატრიარქალური გვარი დაირღვა იმ ტომებში, ვისთვისაც უმთავრეს საარსებო წყაროს წარმოადგენდა მონადირეობა ანდა მოხეტიალე მეჯოგეობა. როცა ქალის შრომაზე დამყარებული მცენარეული საკვების მოგროვება და პრიმიტიული მიწათმოქმედება, იქცეოდა მონადირეობა-მეჯოგეობის უმნიშვნელო დამატებათ, და ამათთანავე ერთად ომისა, მაშინ დედას ეკარგებოდა წინანდელი გველენიანი მდგომარეობა, მამა ჯერ იწყებდა ბრძოლას ჯერ თავის ცნობისათვის, შემდეგ კი უპირატესობისათვისაც. ალბათ ამავე მიმართულებით იმოქმედებდა ცეცხლის ხელოვნურად გაჩენის პროცესიც, რამაც შეამცირა ის მნიშვნელობა, რომელიც მანამდის ეძლეოდა უქრობი ცეცხლის შენახვას.

გვარის შინაგან მიმართებაში ეს იყო ერთერთი უღრმესი რევოლიუცია რომელიც კი მოსწრებია კაცობრიობის ისტორიას და ეს დამთავრდა მამაკაცის გამარჯვებით. თანმიმდევარი საფეხურები საერთოდ ამგვარივე იყვენ. დედაკაცი, რომელიც პირველათ მთელ თავის სიცოცხლეს თავისსავე გვარში ატარებდა, შემდეგ იძულებული შეიქნა თავისი ქმრის გვარში გადასულიყო. მან დაჰკარგა თავისი ცმებისა და სხვა თავისივე დედის ნათესავების მფარველობა, თანდათან გადაიქცა ახალი გვარის საკუთრებათ. გვარის დადგენა ხდება არა მარტო დედის, არამედ მამის ხაზითაც. შემდეგ შვილები მამის გვარში უნდა დარჩენილიყვნენ. მამაკაცი, რომელიც წინად ხელმძღვანელობდა გვარს, მისი დის შვილებისაგან შემდგარს ხდება ახალი საგვარეულო ჯგუფის ორგანიზატორი. ამ ჯგუფში უკვე შედიან მხოლოდ მისი საკუთარი შვილები, მისივე ძმის შვილები და გვარის სხვა წევრები მამაკაცთან ნათესაობის ხაზით. ორგანიზატორის ფუნქციები, ხოლო შემდეგ, მისგანვე წარმომდგარი გაბატონებული მდგომარეობა გადადის მამიდან უფროსი ვაჟის ხელში. ამრიგად თანდათან ნიადაგი ეცლება მატრიარქალურ გვარს, ის თავის ადგილს უთმობს პატრიარქალურს. პირველყოფილი მატრიარქალური გვარის ადგილს იჭერს მამაკაცის ბატონობა და დედაკაცის დაქვემდებარებული მდგომარეობა.

უფრო ნელა, მაგრამ იმავე მიმართულებით ხდებოდა გადატრიალება ისეთი გვარების შინაურ მიმართებებშიაც, სადაც მიწათმოქმედება იყო მთავარი დარგი.

პირველ ხანებში ხელმძღვანელობა არ წარმოადგენდა განცალკევებულ საქმეს. ხელმძღვანელი — ქალი იყო თუ მამაკაცი — საერთოდ იმგვარსავე სამუშაოს ეწეოდა, როგორსაც გვარის დანარჩენი წევრები; ის მხოლოდ მაგალითს აძლევდა ამათ. მას, როგორც ყველაზე გამოცდილს უფრო ჰბაძავენ, ვიდრე ემორჩილებიან.

თვით ომი და მონადირეობაც კი, მხოლოდ ნელნელა ქვნიან მეთაურებისა და დაქვემდებარებულთა ურთიერთობას, ძლიერი და გამოცდილი მიდის წინ და თავისი მაგალითით სხვებსაც იზიდავს. ცენტრალური აფრიკისა და კალიფორნიის ზოგ მემოარ ტომებში წინაპროლოის ხელისუფლება ამ საუკუნურს საერთოდ მხოლოდ ცოტაოდენად არის გაცილებული.

გვარისა და მისი წარმოების გაფართოებით გვარის ამა თუ იმ წევრის ორგანიზატორად გადაქცევა ახალ ნაბიჯს აკეთებს წინ. მონეტიალეებში უკვე უხუცესობა მხოლოდ იწყებს მუშაობას: სასროლს გადაადგებს ყველაზე გაუხენდავ ცხოველს; მიწათმოქმედების მიმდევარ ტომებში უხუცესობა მხოლოდ პირველად დაჰკრავს თოხს. ანდა გაავლებს პირველ კვალს. შემდეგ ყოველივე მუშაობას ასრულებენ გვარის დანარჩენი წევრები. ხელმძღვანელის მოვალეობად რჩება მხოლოდ უზენაესი კონტროლი, შეცდომების გასწორება, საერთო მითითება.

მიწათმოქმედი გვარები, სანამ ისინი ატარებდნენ ასე თუ ისე, განცალკევებულ არსებობას, მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში გასცილდნენ იმ ხანას, როცა ორგანიზაციული შრომა გვარის ცალკე წევრთა საგანგებო დარგს წარმოადგენდა.

სამხრეთ სლავიანური „ზადრუგა“ და რუსული საოჯახო თემი განვითარდნენ იმ გარდამავალ ხანაში, როცა მატრიარქალური გვარი თანდათან ირღვეოდა, როცა მის ადგილზე ფუნს იკიდებდა პატრიარქალური გვარი. ისინი არსებობენ იმ საზოგადოებაში, სადაც გაცვლა-გამოცვლის ურთიერთობა კერძო საკუთრებაზეა აშენებული, სადაც ერთი ადამიანი მეორეზე ბატონობს და სადაც მიუხედავად ამისა თემის მეთაური მხოლოდ მისი კოლექტიური ნების აღმასრულებელია, მისი შრომითი მოქმედების ხელმძღვანელია და სხვა თემებთან ურთიერთობის დროს მისი წარმომადგენელია. ჩვეულებრივად ის თავის ადგილს იჭერს არა მემკვიდრეობით, არამედ მთელი თემისაგან ამორჩევით. ასეთივეა ზოგი მეზობელი თემების წარმომადგენელთა

მდგომარეობა, რომლებიც უმეტეს წილად ერთიანდებიან დროებით; ამა თუ იმ საერთო მიზნების მისაღწევად.

ორგანიზატორის ხელისუფლება უფრო ჩქარა ვითარდებოდა მონადირე და, განსაკუთრებით, მეჯოგე გვარებში.

მონადირეობის, მეჯოგეობის მიმდევარ გვარებს უხდებოდათ ხშირი შეტაკება მეზობელ გვარებთან ტერიტორიისა, ჯოგებისა და სასმელი წყლისათვის. ომი ამ საფეხურზე იქცევა ნორმალურ, მუდმივ მოვლენად. უწესო შესევების მაგივრათ იწყება ხანგრძლივი, დეტალურად მოფიქრებული და მწყობრი ორგანიზაციული თავდასხმები, ბრძოლები, რომელშიაც ადგილი ეძლევა შრომის მნიშვნელოვან განაწილებას: გვარის ერთი ნაწილი წინასწარ მოფიქრებული, ყალბი მოძრაობით მტრის ყურადღებას ადუნებს იმ ადგილზე, სადაც გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გაიმართოს, მეორე ნაწილი ეცემა მტრის სადგომებს, მესამე — ჯოგს, მეოთხე აწყობს საჯარს. წინამძღოლი ჯერ დროებითი ხელმძღვანელია, მხოლოდ მაგალითის მიმცემია, მერე კი თანდათან ხდება მუდმივი ორგანიზატორი, მიმართულებას აძლევს მცირერიცხოვან ორგანიზატორთა მოქმედებას, რომელთაც ბრძოლაში მიჰყავთ გვარის ცალკე ნაწილები. ორგანიზაცია კიდევ უფრო რთულდება, როცა ომს აწარმოებს არა კერძო გვარი, არამედ მოკავშირე გვარების ჯგუფი.

მაგრამ ნადირობისა და მეჯოგეობის ხანაში არა მარტო გახშირებულია საშხედრო შეტაკებები. იმავე ხანამ მოგვცა პირველათ საშხედრო ორგანიზაციის ჩანასახი ფორმები. ეს მეტათ ბუნებრივია. ონი განსაკუთრებით პირველ საფეხურებზე, როგორც მიზნით, ისე საშუალებებითაც იგივე ალყაა, იგივე ნადირობაა; მხოლოდ მისი ობიექტია არა ცხოველი, არამედ ადამიანი. შემდეგში ეს ნადირობა, ვითარდება თავისებურ პირველყოფილ „მეჯოგეობათ“. ასე იყო ძველ მექსიკაში, სადაც დამარცხებული ტომების ჯოგი გამარჯვებულთათვის საკვების მარაგს წარმოადგენდა.

პირველ ხანებში წინამძღოლი გამოიყოფოდა მხოლოდ ბრძოლაში და ბრძოლის დროისათვის. შემდეგში ესა თუ ის გვარი რომელიც საბრძოლველად, შესასევად, ემზადება, წინდაწინ ირჩევს მას თავის თათბირზე. ომის გათავების შემდეგ წინამძღოლი იქცევა გვარის ჩვეულებრივ, უშრალო, წვერად, სხვებთან თანასწორ საფუძველზე ის მონაწილეობას ღებულობს ყოველდღიურ სამუშაოებში, რომელსაც ხელმძღვანელობს გვარის მეთაური, ან უხუცესი, და რომელიც ორგანიზირებულია გვარის მთელი შრომითი მოღვაწეობისა. ომის დროს ის ისეთივე აღმასრულებელია გვარის ნებისა, როგო-

როც უხუცესობა — მშვილობაან დროში. უხუცესობა, გვარის დანა-  
ჩენ წევრთა თანამშრომლობით ითვალისწინებს საერთო მოთხოვნი-  
ლებას და, გვარის ყველა მოწიფულ წევრების თანხმობითვე ანაწი-  
ლებს სამუშაო ძალებს გართულებულ წარმოების სხვადასხვა დარ-  
გებში. სწორეთ ასევე კრება იმუშაებს სამხედრო კომპანიის გეგმა-  
საც; წინამძღოლი — ქალი თუ მამაკაცი — ის პიროვნებაა რომელ-  
საც კრება ავალებს გეგმის განხორციელებას.

როცა არსებობა თითქმის უძრავ საწარმოო პირობებშია, როცა  
ეს პირობები დიდხანსობით არ იცვლება, მაშინ ნიადაგი ეძლევა მტკი-  
ცვ. ურყევ ჩვეულებებს თაობათა მთელ წყებაში, ფეხს იკიდებს უხეში,  
პრიმიტიული დამოკიდებულება ბუნების მოვლენათა და საწარმოო  
მოქმედებათა შორის. მეჯოგეობის მიმდევარი პირვანდელი გვარი,  
რომელიც თაობიდან თაობამდე დაძრწის ნახევრად ველურ ჯოგების  
კვალზე, დროთა ვითარებაში იწყებს მათი მოძრაობის წინდაწინ გა-  
მოცნობას, შესაფერ მობენტში ეწყობა ამ დროისათვის და შემდეგ  
კი თვითონვე აძლევს მას მიმართულებას. სწორედ ასევე პირველყო-  
ფილი. მიწის მუშა ცდილობს თესვა შეუფარდოს იმ დროს, როცა  
იწყება მარცვლების გაღვივება, ამა თუ იმ მცენარის გამოყვავილება.  
ამა თუ იმ ფრინველის მოფრენა. ხელმძღვანელის მოვალეობა უკავ-  
შირდება წინასწარმეტყველებას და გვარის ჩვეულებრივ წევრთათვის  
მიუწვდომელი ნიშნების მიხედვით მკითხაობის უნარიანობას. ორგა-  
ნიზატორი თავის მოღვაწეობაში სარგებლობს გვარის შრავალ საუ-  
კუნოვანი გამოცდილებით. ის — უწინარეს ყოვლისა იცავს იმის  
თქმულებებს, მის მიერ ემპირიული დაკვირვებით მიღებულ მარაგს.  
მთელ საწარმოო ურთიერთობათა ისე ნელ განვითარების დროს კი  
ეს საკმარისია გვარის მეურნეული საქმიანობის ხელმძღვანელო-  
ბისათვის.

წინაპართა გამოცდილება ორგანიზატორს საერთოთ ხელს უწყ-  
ყობს, რომ გაერკვეს წარმოების ჩვეულებრივ მიმდინარეობაშიაც. თუ  
ნიშნები უჩვენებენ, მაგალითად, რომ თევზის ქერა არ იქნება ნაყო-  
ფაერი, აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს ნადირობას, თუ  
მეჯოგეობისთვის არ სჩანს ხელსაყრელი პირობები, მაშინ უნდა გა-  
ფართოვდეს სათესი მიწა. თუ ეტყობა, რომ მოახლოვებულია ქვა-  
რითის დასაყრელი დრო, მაშინ თევზის საჭერ მოწყობილებათა წარ-  
მატებაში უნდა ჩაებას გვარის, რაც შეიძლება, მეტი წევრი. გამოც-  
დილება, რომელსაც ითვისებენ წინაპრებისაგან, ფართოვდება მეტის  
მეტათ ნელა. ახალი ორგანიზატორის ახალ დაკვირვებაში ცოტ-ცო-  
ტათი უფართოვდება ჟარგლები ძველ გამოცდილებას.

ამრიგად ორგანიზატორი ქმნის გარკვეულ მიმართებებს წარმოების სხვადასხვა დარგებში და მიზანშეწონილად ანაწილებს სამუშაო ძალებს. ორგანიზატორი აღწევს ისეთ მდგომარეობას, რომ გვარის მთელი წლიური მოთხოვნილება იფარება მისი წარმოებით და არ გროვდება ზედმეტი მარაგი ერთი პროდუქტისა, როცა შეიძლება სრულიად არ მოიპოვება.

ემპირიულ წესებს, რომლებითაც ხელმძღვანელობს ორგანიზატორი, დიდ ხანს ენახებათ თავიანთი პირველდაწყებით საცვებით კონკრეტული ნიშნების ხასიათი. თვით თავიანთი კონკრეტულობის გამო ისინი ხელს უშლიან ამა თუ იმ სისტემაში ჩამოყალიბებას. ამ ნიშნების დიდი წილი არაა დამყარებული იმდენად შეგნებულ ცოდნაზე, რამდენადაც წმინდა მექანიკურ შეთვისებაზე. მთლიანათ ისინი ცნობილი არიან მხოლოდ ორგანიზატორისათვის. მას შეუძლია ეს საიდუმლოება, გაანდოს ვისთანაც მოისურვებს. მაშასადამე, განვითარების გარკვეულ საფეხურზე ორგანიზატორს შეუძლია მოამზადოს ნიადაგი, რომ მასზე იქნეს დამოკიდებული მემკვიდრის ამორჩევა. ამნაირათ თვით ორგანიზატორული შრომის პროცესში ეყრება საუფძველი ისეთ მდგომარეობას, როცა ორგანიზატორობა მემკვიდრეობით გადადის.

(ბოგდანოვი და სტეპანოვი — პოლიტ. ეკონომიის კურსი, ტ. 1).

## § 6. ნეოლითის ეპოქის ტექნიკა

ნეოლითის ეპოქაში ქვის იარაღების დამზადების ტექნიკამ უმაღლეს განვითარებამდე მიაღწია. რადგან კაჟი ჯერ კიდევ ყველაზე უფრო გამოსადეგი მასალა იყო მკრელ ან წვეტიან იარაღების დასამზადებლად, ნეოლითური ხანის მცხოვრებლებს ის არ გადაუგდიათ და ამზადებდნენ მისგან უმთავრესად წვირილ იარაღებს და ინსტრუმენტებს, რომელნიც კულტურის ამ საფეხურზე ძალიან დიდი რაოდენობით გვხვდება. თანაც არ კმაყოფილდებოდნენ კაჟის ნამტვრევების შეგროვებით ნარიყალებში ან იქ, სადაც გაშრობის გამო აქა იქ მიწის ზედაპირზე მოიპოვება — კაჟს ეძებდნენ უკვე სისტემატიურად, ცდილობდნენ რა მის გეოლოგიურ ბუდობების აღმოჩენას, და ამნაირად ჯერ კიდევ ლითონების აღმოჩენამდე, საუფძველი ჩაეყარა სამთა-მადნო საქმის წარმოშობას. 1867 წელში სპიენნაში მონსის ახლოს (ბელგიაში) აღმოჩენილ იქნა ვერტიკალური მალაროები, რომელიც გადიოდა ოთხმაგ და სამმაგ ჯენებში 0,6 — 1 მეტრამდე სიგანით და ხშირად 12 მეტრამდე სიღრმით — ეს მალაროები გადიო-

დენ კაჟის ბუღბობისკენ ცარცოვან ფენებში, და ჰქონდათ სიღრმეში განის ჰორიზონტალური დერეფნებიც, — სიმაღლით 2 მეტრამდე და განით 2,5 მეტრამდე. ნეოლითიური სამთა-მადნო მუშები შეიარაღებულნი იყვენ ქვის ჩაქურებით, მაგრამ ისინი იღებდენ კაჟს, მარგულეებს ჯერ ირმის რქის მასიური წერაქვებით, რათა როგორმე უხეშად, გამოუსადეგრად არ დაემტვრიათ იგი. ანთებული კვარი ანათებდა მიწის ქვეშა გასასვლელებს, ზოგჯერ როგორც ეტყობა ქვას ახურებდენ ცეცხლით ხოლო შემდეგ ასხამდენ წყალს და ამ გზით იწვევდენ მის დახეთქას. უფრო დიდ დერეფნებში დგამდენ ქერას დამქერ ბოძებს და ზოგჯერ ხის საძირკვლებსაც აკეთებდენ, მიუხედავთ ამისა ზოგჯერ ნიადაგი ჩამოინგრეოდა ხოლმე, რაც მაღაროს მუშებს სიცოცხლეს ასალმებდა. ასეთი სამთა-მადნო რეწობა კაჟი ამოსაღებად ცნობილია ბელგიაში, საფრანგეთში (დუპარტამენტები რაზის, მარნის და ავეირონის), ინგლისში (ნორფოლკის საგრაფო), შვეიციაში (ბალზე) და სიცილიაში.

გასიპული კაჟისაგან ვაკეთებულნი ნეოლითიური იარაღები და ინსტრუმენტები რამდენიმედ წააგავენ ქვის პერიოდის ასეთსავე იარაღებს: ჩვენი აქ ვხვდებით უბრალო ქანების „სტამსი და ბურღეს, სტენხსა და ხერხს და ქლიბებს, რომელთა არქეოლოგიური ხასიათი სრულიად შეუძლებლად ხდის შეცთომას მათი წარმოშობის დროის შესახებ. კაჟის ნეოლითიურ მარგულეებს, რომელსაც მასალად ხმარობდენ, ხშირად ძალიან დიდი მოცულობა აქვთ. ასეთია ძალიან მძიმე ნაცრისფერი კაჟი გრან-პრესინიდან (ენდრის და ლუარის დეპარტამენტი), აქედან ხერხდებოდა 30 სანტიმეტრიანი სიგრძის მქონე ნამტვრევის მიღება. ამგვარ ქვის იარაღების გვერდით ჩნდება აგრეთვე სრულიად ახალი ტიპები, — ასე, მაგალითად, ორივე მხრიდან ზედმიწევნით კარგად ჩამოთლილი ისრის წვერები ხშირად კბილიანი ბოლოთი, ნამდვილი მისამაგრებელი ტარით და უკან მიშვერილი კბილით.

ახალს და ძალიან მნიშვნელოვან პროგრესს ქვის იარაღების დამზადების საქმეში წარმოადგენს ხელოვნება ქვის გაშანდაკებისა, გასიპვისა, რომელიც წარმოადგენს ნეოლითიური ხანის გამოგონებას, რომელიც ამის გამო ხშირად იწოდება „გაშანდაკებული, გასიპული ქვის ხანა“. ეს ტექნიკა პირველ ხანებში შემოფარგლული იყო ქვის იარაღების განსაზღვრული ჯგუფით — სახელდობრ ქვის ცულებით და მათგან წარმოებული იარაღებით (ჩაქურები, სატენები, შუბების წვერი და სხვ.), თანაც როგორც ნედლ მასალას ხმარობდენ სხვადასხვა მგვარ ქვის ჯიშებს, — მაგალითად, კაჟს, დიორიტს, გრა-

ნიტს (ხაქსი), სერპენტინს, კვარცს, (თაგვ-მარილას), ნეფრიტს, უადეიტს, ხლორომელანიტს და სხვ. ამავე დროს უპირატესობას აძლევდენ ბუნებრივ ნატეხებს, რომელნიც ფორმით უკვე ცოტად თუ ბევრად შეეფერებიან განზრახული იარაღის ტიპს — ასეთ ძირითად ფორმებს გამოსჭრიდენ ხოლმე აგრეთვე ხის ნამოკების და ქვის მსხვილ ნატეხებიდან მიღებულ ნედლი ქვიშის შემწეობით, ანდა წინასწარ ჩამომტვრეოდენ ხოლმე გვერდებს საერთო აუცილებელი მოხაზულობის ფორმის მისაცემად. შემდეგ დიდის მოთმინებით წარმოებული ხეხვის საშუალებით ხდებოდა გასიკვა-გაშანდაკება, როდესაც მომტვრეულ ნაქერს უხახუნებდენ ძირს დადებულ ქვას ან შშრალად ან კიდევ წვრილი დასველებული ქვიშის გამოყენებითაც. ასეთი გაშანდაკების დროს უპირატესობა ეძლეოდა ქვებს ქვიშნარიდან, რომლებზედაც ამის გამო ხშირად ემჩნევა გაშალაშინებული ზედაპირი ან ღრმა დამრგვალებული ღარები.

თუ როგორ უკეთებდენ ხის ან ქვის ტარს ამ ქვის ცულებს, ამის შესახებ ჩვენ წარმოდგენას გვაძლევს დღევანდელ ველურების ქვისა ან ხამანწყის ცულები. ტარის გაკეთების სწორედ ასეთ წესს ეპოულობთ ჩვენ ევროპის ბოძებიანი სადგომების ნეოლითიურ ნაშთებს შორის: ჩვენ აქ გვიხდება ან ისეთივე უშუალო მიმაგრება ქვის იარაღისა ხის ტარზე ან მიმაგრება ირმის რქისაგან გაკეთებული სალტის შემწეობით, — რომელიც გარდამავალ მისამაგრებელ რგოლს წარმოადგენს. ასეთი ცულები შეილდ-ისრისა და შუბთან ერთად წარმოადგენდენ ნეოლითიური ხანის მცხოვრებთა სამხედრო საქურველსაც, მაგრამ იმავე დროს ისინი, რასაკვირველია, ვარგოდენ სხვადასხვაგვარ სადღურგლო და სხვა სამუშაოების საწარმოებლადაც. პატარა სატეხები, როგორც სახელდახელო იარაღები, უნდა ვიფიქროთ. რომ მიმაგრებული იყვენ შედარებით უფრო მაგარ ტარებზე.

ქვას გარდა, რასაკვირველია, ფართოდ იხმარებოდა აგრეთვე ხეც. ხის ნაკეთობებით განსაკუთრებით მდიდარი იყო ბოძებიანი ნაგებობანი რობენჰაუზენთან ბოდენის ტბაზე, სადაც აღმოჩნდენ მშვენივრად შენახული ქურქლები, თეფშები, კოვზები, კეტები, ნიჩბები, დანები და შეილდები. იქვე იქნა ნაპოვნი ნავი სიგრძით 3,6 მეტრი და სიფართით 0,75 მეტრი. ასეთი ნეოლითიური ნაგებობი ამოღებულ იქნენ ბიულლის ტბიდან (მერინგენთან) და შალენის ტბიდან, სადაც იპოვეს უზარმაზარი ნავი 9,35 მეტრის სიფართისა და 75 მეტრი სიგრძის, რომელიც ამოქრილი იყო უზარმაზარი მუხიდან. იმის მსგავსად, როგორც ბოძებიანი შენობების მცხოვრებლები ალპებში, სკანდინავიის ნეოლითიური მცხოვრებლებიც ჩინებული მეზღვაურე-



ბი იყვენ, — ისინი მოგზაურობდენ არა მარტო კუნძულსა და კუნძულს შორის, არამედ ურთიერთობას ამყარებდენ ევროპის მატერიკთანაც; ისინი, როგორც ეტყობა, გაბედულად შედიოდენ გაშლილ ზღვაშიაც, რადგან დანიურ სამზარეულო ნარჩენებში ურევია ისეთი თევზების ძვლები, რომელნიც ნაპირების ახლოს არ ცხოვრობენ. არა ერთხელ იყო უკვე აღნიშნული, რომ ხშირად სხვადასხვა მიწებისთვის იხმარებოდა ი რ მ ი ს რ ქ ა, იგივე შეიძლება ითქვას ცხოველების ძვლების შესახებაც, რომელნიც გასიპვისა და წაწვეტანების შემდეგ იძლეოდენ: ხანჯლებს, სადგისებს, შუბის წვერებს. მოწყობილებას დასატკეპნად და სატეხს, ანდა კეთდებოდენ გარკუნების წვერებად და ანკესებად და ნიჩბებად. სამკაულის სახით ვხვდებით მარგალიტებს, რქიდან გაკეთებულ ლილებსა და ჩამოსაკიდებს. აგრეთვე თიხნარი ფიქალისა და ნაცრისფერი ნახშირისაგან. ხამანწყისაგან და სხვ. გაკეთებულ სამკაულებს. კიდევ უფრო ლამაზი იქაჩავისაგან, სპირალურ ოქროს ძაფებისაგან, და ნახევრად ძვირფას ქვებისაგან, გაკეთებული ჩამოსაკიდები, რომელნიც იშვიათად გვხვდება. მასიური რგოლები გამოიქრებოდენ მსხვილ ხამანწყიდან Spondylus, და აგრეთვე მარმარილოსა და სერპინინისაგანაც; ძვლის წვრილ ქინძისთავეებს უკეთდებოდა ბოლოში ნახერეთიანი თავი, (ყური) რომელშიც უყრიდენ ყაითანს, რათა თმის ნაწნავეები დაემაგრებიათ.

საწინავე და საქსოვ მასალად ევროპის მცხოვრებლები ნეოლითურ ხანაში ხმარობდენ ლუნია ძეწნას, ხის ქერქს, ჩალას და, რაც ყველაზე უფრო საფიქრებელია, ტორფის დროინდელ ცხვრის მატყლსა და სელს. შევიცარული ტბების შლამში ნაპოვნი იქნა სელის ყოველნაირი ნაწარმოები: ძაფი, ყაითანი, თოკი, სირმა, ბადე, კალათები, ქსოვილები და ნაბლანდები. მაშასადამე, ექვი არ არის, რომ იმ შორეულ დროშიაც იცოდენ სელის დამუშავება და ქსოვა, რაც მტკიცდება აგრეთვე ნაპოვნი ხის საჩეჩლებით, თიხის და ქვის თითისტრებით. თიხის კოჭებით და სხვ. ბლანდვა შეუმჩნეველად გადავიდა ქსოვაში; მართალია, იმ დროინდელი ხელოვნების ნაქსოვი წარმოადგენს ბადის მსგავს ნაწარმოებს, რომლის მომზადება შეიძლება უშუალოდ ბლანდვითაც, მაგრამ ზოგი მათგანი მაინც იმდენად სწორად არის ნაკეთები, რომ მაჩვენებელია იმ დროს ძალიან პრიმიტიული საქსოვი დაზვის არსებობისა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ქვის საუკუნის ბოძებიანი შენობების მცხოვრებნი თეთრსა და შავ საღებავს გარდა იცნობდენ კიდევ სამს — წითელს, ყვითელს და ლურჯს, უნდა ვიფიქროთ, რომ მათი ხშირად ბუნებრივებით, ფოჩითა და არშიით

ზორთული ტანსაცმელი, სულაც არ ატარებდა ღარიბულსა და საბრალო სახეს.

შემდგომი ახალი ელემენტი კულტურისა, ამ საფეხურზე, იყო მექურქლეობა. ის სრულიად არ იყო ცნობილი. პალეოლითურ ხანაში, როცა სითხეთა გადასატანად იხმარებოდა თავის ქალა, გუდუნები ცხოველთა ტყავისაგან, ხის ქურქლები, ხამანწკები და ან ნაყოფის ნაქუჭი, ქერქი. ექვი არ არის მექურქლეობის აღმოჩენა მოხდა დამოუკიდებლად სხვადასხვა კუთხეში; თანაც ადგილობრივი მექურქლეობის ძირითად ტიპების შესახებ ჩვენ ძალიან ცოტა ვიცით, რადგან უძველესი მექურქლეობის ნაწარმოები, რომელსაც დანიის სამზარეულო ნარჩენებში და კამპანიის ფენებში ვხვდებით, მხოლოდ არასრული რეკონსტრუქციის შესაძლებლობას იძლევა და გვაიძულებს დავუშვათ „მექურქლეობის წინა საუკუნისას“, არსებობა როცა იხმარებოდა ქურქლეულობა, რომელიც ორგანიული მასალისაგან მზადდებოდა და, შეიძლება, უკვე ერთნაირ დეკორატიული საშუალების მაგიერობასაც ასრულებდა. ასე, შავალითად, შესაძლებელია, რომ პირველად იხმარებოდა ცარიელი (გამოხრული) კვახი და დაწნული კალათები, რომელსაც თიხით ამოლესავდნ და ცეცხლგამძლე ხდიდნ, რაც იმავე დროს წყალს იმაგრებდა. თუ ასეთი ქურქული შემთხვევით ცეცხლში მოხვდებოდა, ორგანიული ნაწილი იწვოდა, ხოლო მისი თიხის კანი კი რჩებოდა და მაგრდებოდა. შემდეგში ქურქლის კეთება იწყეს საერთოდ მარტო თიხისაგან და პირველად მხოლოდ ხელებით: მექურქლის ხელსაწყო კიდევ დიდხანს უცნობი იყო ჩრდილოეთ და შუა ევროპაში, ის აქ შემოვიდა პირველად მხოლოდ რკინის საუკუნეში, როცა გაჩდა აგრეთვე პირველი ნამდვილი დახურული ღუმელი თიხის ქურქლის გამოსაწვავად.

(ო ბ ე რ შ ე ი ე რ ი — პრეისტორიული ადამიანი).

## § 7. სპილენძის დამუშავება

ჩვენ ახლა უნდა გავეცნოთ კულტურის ახალ ფაქტორს, რომელმაც მეტად დიდი მნიშვნელობა მიიღო, სახელდობრ ს პ ი ლ ე ნ ძ ს. ჯერ ჯერობით კიდევ დაუმტკიცებელია, რომ ჩვენს კონტინენტზე ბუნებრივ პირობებში თავისთავად სპილენძი ყოფილიყოს, როგორც მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკაში. ამრიგად პირველყოფილი დროების მთელი სპილენძი მოპოებულია ხელოვნური გამოდნობის საშუალებით. მრავალ მკვლევარს, ეს პროცესი მეტისმეტად რთულად წარმოუდგენია, რადგან ისინი ფიქრობენ. რომ სპილენძის მოსაპოებლად,

მის ყველაზე მნიშვნელოვანი საბუღოებიდან, რომელშიაც ის შერეულია გოგირდთან, — როგორც არიან სპილენძის ალმადანი, სპილენძის ბრწყინვალეობა და ჭრელი სპილენძის მადანი, — საჭიროა დნობის ტემპერატურა, რომელიც 1100° უნდა აღწევდეს ცელსიუსით. მაშასადამე საჭიროა განსაკუთრებული ხელოვნური მოწყობილობანი. ნამდვილად კი, საკმარისია სპილენძის მადანის ნატეხთა დიდი გროვის მოგროვება და მის ირგვლივ კოცონის გაჩაღება, რათა სპილენძმა თვითონ დაიწყოს დნობა, თუ კი მადანში საკმარისია გოგირდი. და ჰაერსაც უხვი მისავალი აქვს მასთან, — არაერთი ლუმელები, და სხვა, როგორც გინდ არ იყოს ხელოვნური მოწყობილობანი ამ დროს საჭირო არ არის; საჭირო აღარაა აგრეთვე არც განსაკუთრებული გამოცდილება, ამავე დროს სპილენძი კი მიიღება განსაცვივრებელი სიწმინდისა.

სპილენძის მადნების ბუღოები ცნობილია ესპანისა და პორტუგალიაში, განსაკუთრებით გვიანასა და გვალაკვივირის ოლქებს შორის, იტალიაში და სარდინიაში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში, გერმანიაში, ვენგრიაში და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ინგლისში, შვეციაში, ნორვეგიაში და რუსეთში. რამდენადაც ჩვენ ახლა ვიცით პრეისტორიულ დროებაში გამოყენება ხდებოდა მხოლოდ ესპანეთის, სამხრეთ საფრანგეთის, ტიროლის, ვენგრიისა და ინგლისის მადნებისა.

ჩვეულებრივად სამთო სარეწაოებში მოპოებული სპილენძის მარაგები, ჩამოჰქონდათ ვაკეზე და მხოლოდ აქ, რამოდენიმე სოფლებში, საბოლოოდ ხდებოდა მისი გადამუშავება სხვადასხვაგვარ იარაღებად და საგნებათ. ლითონს ხელახლა აღნობდენ გრძელ მორგვალბულ სადნობ ქილებში, ანდა ნიჩბის მსგავს გობებში. ამათ თიხისაგან აკეთებდენ; ის ძლიერ სქელი იყო და ზედაპირზე ხშირად დაფარული იყო ნაჩრეტებით; იგი ხშირად სქდებოდა სიცხისაგან. ცნობილ იყო აგრეთვე დნობისათვის საჭირო სქელტარიანი კოვზები, რომლებიც ხის ტარზე იყენენ მიმაგრებული; ეს ტარი ადვილებდა ცეცხლიდან გამდნარი მასით სავსე კოვზის გამოტანას, გაძნარ ლითონს შეზღვევ ასხამდენ ან პირდაპირ ქვიშაში, ანდა შესაფერ თიხისაგან გაკეთებულ ფორმაში. ხშირად კიდევ გამოყენებას ჰპოებდა ნაუდვილი ჩამოსასხმელი ფორმები, რომელსაც ქვიშანარევ ქვისაგან აკეთებდენ; ის ორი ფიცრისაგან შესდგებოდა, რომელთა შიდა პირში საკეთებელი საგნის ფორმის შესაუფერი ამოჭრილი ადგილი იყო. ამ ფიცრებს მჭიდროთ მიაკრავდენ ერთმანეთს და ისე გააჩრებდენ, რის შემდეგაც, ძაბრის შემწეობით, ზედა ნახერტიდან იმ ფორმაში შიგ

ასამდენ გამდნარ ლითონს. მას შემდეგ რაც ფორმა საკმაოდ მაგრ-  
დებოდა, ცივდებოდა, ფიცრებს ხსნიდენ და მისგან ამოჰქონდათ მზა  
იარაღი, რომლის ზედაპირს შემდეგ ჩაქუჩით ამუშავებდენ და აშან-  
დაკებდენ.

სპილენძისაგან გაკეთებული უუძველესი იარაღები, ძლიერ ან-  
ლოს ენათესავეებიან უახლოესი, ქვის საუკუნის ქვის იარაღებს, და რო-  
გორცაღ წარმოადგენენ თითქოს უშუალო, მაგრამ გაუმჯობესებულ  
შთამომავალთ უკანასკნელებისა. ესენია, უწინარეს ყოვლისა ბრტყე-  
ლი ცულები, რომელთაც ხშირად შეილდისებური მოღუნული გა-  
ფართოებული პირი აქვთ, წალდები, რომელთაც აქვთ ნახვრეტი ტა-  
რისათვის, ნაჯახები ვიწრო პირით და ზგვალი თავით, ანუ ორივე მა-  
ხვილი პირით. თავდაპირველად ისინი, როგორც სჩანს, ძლიერ ძვირ-  
ფასნი და იშვიათნი იყვნენ, რისთვისაც, ხშირად მათ ასეთივე ფორმი-  
სას აკეთებდენ ქვისაგან.

ძნელად თუ შეიძლებოდა, რომ სპილენძის დამუშავება ევრო-  
პაში ადგილობრივად უშუალოდ ყოფილიყო აღმოჩენილი — გარე-  
დან მოსული ყოველგვარი წამაბიძგებელი მომენტის გარეშე, ნეო-  
ლითიური პერიოდის ადამიანთა ხელში შემთხვევით ჩავარდნილ სპი-  
ლენძის მადანს, თავდაპირველად ისე მცირედი ყურადღების მიქცე-  
ვა შეეძლო, როგორც პრეისტორიულ მოსახლეთა შორისაც ხშირად  
მოხვედრილ რკინის მადანს. ამ ლითონთა სისტემატიური დამუშავება  
ისეთია, რომ ექვს გარეშეა, რეცეპტები და ტექნიკური მითითებანი  
ჩვენი წინაპრების მიერ მიღებული იყო უფრო მაღალ განვითარე-  
ბულ ხალხებისაგან. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ რაც ჩვენს ქვე-  
ყანაში ლითონთა მოპოების საშუალებანი ცნობილი გახდენ და განმტკი-  
ცდენ, მათ მიიღენ თავისებური განვითარება, ისინი ადგილობრივნი  
შეიქნენ და ორგანიულად შეედულენ მთელ დანარჩენ კულტურას. ეს  
გარემოება აშკარად გამომდინარეობს უკვე იმ მდგომარეობიდან, რომ  
სპილენძის მოპოება აღმოსავლეთში შეუღარებლად უძველეს მოვ-  
ლენას წარმოადგენს ვინემ ჩვენში. იმ დროს როდესაც იქ ლითონთა  
მოპოებას მიაწერენ V ათასეულ წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე  
ჩვენში, საყოველთაოდ მიღებულ გამოანგარიშების თანახმად, ის  
დაიწყო მხოლოდ 2500 წ. ახლოს, ახალ წელთაღრიცხვამდე. ჩვენ პი-  
რდათ ვფიქრობთ, რომ, უკიდურეს შემთხვევაში, სამხრეთ ევროპი-  
სათვის მიღებულ უნდა იქნას უფრო დაშორებული ეპოქა, სახელ-  
დობრ 3000 წ. ახალ წელთაღრიცხვამდე.

აღსანიშნავია, რომ უძველეს იარაღებთან ერთად უკვე ყველგან  
ჩნდებიან პირვანდელი ნაკეთობანი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ა გ ა ნ — წვრი-

ლი ბექდები და ლენტები, წვრილი ქინძისთავეები და სამკაულეზო, მოკლე ხანჯლები და ბრტყელი ცულები. კულტურის საერთო სურათში ესენი მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს თამაშობენ, ასე რომ თხრობის სიმოკლისათვის ჩვენ აქ არ შეუდგებით მათს ახლო განხილვას. აღენიშნავთ მხოლოდ, რომ, განსაკუთრებით სპილენძის საუკუნეზე, — უკიდურეს შემთხვევაში, იმ აზრით, რომ მთელ ევროპაში ანუ ყოველ შემთხვევაში, მის მნიშვნელოვან ნაწილში ზოგი პერიოდის განმავლობაში ხმარებაში იყო მხოლოდ სპილენძი, და რომ ბრინჯაო სრულებით უცნობი ყოფილიყო, — ლაპარაკიც არ შეიძლება. ამგვარად, უფრო სწორი იქნება თქმა, რომ უახლოესი ქვის პერიოდის დასასრულს პირველად იწყებენ ლითონთა გამოყენებას, და მათგან პირველად ჩნდება სპილენძი, რომელიც ევროპის სხვადასხვა ნაწილებში გვევლინება როგორც ყველაზე ხელმისაწვდომი ლითონი. უპირატესად სპილენძის გამოყენების ეს სტადია იმდენად მკიდრით ეხლართება ნეოლითური კულტურის პერიოდის დასასრულს, რომ უაზროა მისი როგორც დამოუკიდებელი სატექურის გამოყოფა.

(ო ბ ე რ მ ე ი ე რ ი — პრეისტორიული ადამიანი).

## § 8. ძალის მოშინაუროება

თუმცა ძველი სკანდინავიის მეთევზეები ჯერ კიდევ არსად არ გადასულან მიწათმოქმედებაზე, მაგრამ მაინც ძალიან სარწმუნოა, რომ თავიანთ სოფლებში ისინი ინახავდნენ ძაღლებს მოდარაჯეებათ, მცველებად და დაჰყავდათ თან სანადიროდ, — ცხოველთა გაშინაურების თავდაპირველი მოვლენაა. როგორც დანიურ სამზარეულოს ადგილებში ნაპოვნი ძაღლის თავისქალები და დამტვრეული ძვლები გვიჩვენებს, ტურას მსგავს გარეულ ძაღლს პირველად სწორედ ისე, როგორც მგელს, მელიას და გარეულ კატას იჭერდნენ და ჰამდნენ, და ბოლო ხანებშიაც, თუ ხორცის ნაკლებობა იყო, როგორც სჩანს, მას საჭმელად ჰკლავდნენ. მაგრამ დაქერილ ძაღლის ლეკვებს ყოველთვის იმ წამსვე არ ჰკლავდნენ, არამედ იტოვებდნენ ბინაზე გასასუქებლად, რათა შემდეგში, საჭიროების დროს მოეხმარათ ის საჭმელად. მათ უყრიდნენ გახრულ ძვლებს, ხორცის ნარჩენებს, აჩვენებდნენ ადამიანებთან ცხოვრებას, რის შედეგად ძაღლები ხდებოდნენ ადამიანების მეგობრებად და თამაშობდნენ ბაღლებთან. თუ ხორცი საჭირო არ იქნებოდა, ბავშვებს უტოვებდნენ მათს მეგობარ-მხეცებს, ხოლო როცა ძაღლი ლეკვებს დაყრიდა იმათაც კი ზრდიდნენ. ასე გაჩნდა სოფლებში ნახევრად გაშინაურებული გარეული ძაღლების ჯიში, რომლე-

ბიე მიუხედავად მკაცრი მოპყრობისა, მიანც ერთნაირ სიყვარულს გრძნობდენ სოფლისადმი. მათი სიფხიზლის და იმის გამო, რომ სულ მცირე ხმაურობა მათ ძილს უფროთხობს, დაიწყეს მათი გამოყენება ღამის დარაჯების სახით.

როგორც ცნობილია, ავსტრალიელებიც-კი დღეს მცველად და სანადიროდ იყენებენ ნახევრად გაშინაურებულ დინგოს. ეს ნადირები თავისუფლად დარბიან ბანაკებში და ახლო-მახლო ადგილებში; ხშირად მოხდება ხოლმე, რომ თუ დინგო ვერ მიიღებს თავისი პატრონისაგან საკმაო საკმელს, გარბის მისგან და იწყებს ხეტიალს, ე. ი. ხელახლა ხდება გარეულ დინგოთ, ან და ეკედლება სხვა ურდოს. რადგან გაშინაურებულ დინგოს ძალიან ცოტა საკმელი ეძლევა, ხშირად ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მარტო მცენარეული საკვები — მისი ტანის ზრდა ნახევრად მშვიერი მდგომარეობის გამო ფერხდება, და ის სიდიდით შესაძინევად ჩამორჩენილია თავისუფლად მცხოვრებ გარეულ დინგოსთან შედარებით. ეს გაშინაურებული დინგო ალბად სულ მოისპობოდა, რომ მისი სისხლის განახლებას არ იწყევდეს შემთხვევით დაქერილ ახალგაზრდა გარეულ დინგოსთან ხშირი შეუღლება.

(3. კ უ ნ ო ვ ი — ნარკვევები პირველყოფილი კულტურის ისტორიიდან).

## § 9. ბოქმების ნაგებობათა პერიოდი

სამზარეულოს გადანაყართა გროვა ნაპოვნი იქნა არა მარტო დანიასა და შვეციაში, არამედ აგრეთვე უელსის ნაპირებზე (დილა ბრიტანეთი), ირლანდიაში, საფრანგეთში, პორტუგალიაში, სარდინიაში, შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკის დასავლეთ ნაპირზე, მალაის კუნძულებზე და ეგვიპტეშიაც კი, თუმცა ყველგან არა ერთი რაოდენობისა და ძველი თევზეული კულტურის არა ისეთივე შინაარსისა, როგორც დანიაში. ეს ამტკიცებს, რომ ადამიანი, როცა მან განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე თევზის ჭერა და საზრდოდ ხმარება ისწავლა, ეტანებოდა თევზით მდიდარ ზღვის ნაპირებს, რათა ადვილ დასაჭერ კიბოებით და თევზეულით შეეცო ხორცის ის ღარიბი მარაგი, რომელსაც ის დიდის ვაივაგლახით იძენდა, ნადირობის საშუალებით. მაგრამ არა მარტო ზღვის ნაპირებზე სახლდებოდა ევროპიელი ადამიანი ყინულოვანი ეპოქის დასასრულში, ქვეყნის შიგნითაც ეძებდა ის დიდი მდინარეებისა და ტბების ნაპირებს დასასახლებლად. უკვე მესამე შუაყინულოვან პერიოდის და ყინულოვანის შემდგომი პერიოდის მონადირეებშიაც ვხვდებით ჩვენ მისწრაფებას

მოწყონ სამოსახლოები და ბანაკები მდინარეთა წიაღში ან წყლის ნაკადულების მახლობლად. რატომ? ალბად, არა მარტო იმისთვის, რომ სასმელი წყალი ჰქონოდათ ახლოს, არამედ იმისთვისაც, რომ იქ მიდიოდა ნადირი წყლის დასალევად, და კიდევ იმისთვის, რომ მეთევზეობა უკვე საზრდოს მნიშვნელოვან ნაწილს იძლეოდა.

როცა შემდეგში, ყინულოვანი დროის მერმინდელ ხანაში. თევზის ქერისა და თევზის საზრდოთ მომზადების საშუალებები გაუქვობესდა და თევზმა, როგორც საზრდომ მიიღო მეტი მნიშვნელობა რიცხვობრივად გაზრდილი ტომისა და ურდოსათვის, ადამიანები ბუნებრივად კიდევ მეტ მისწრაფებას იჩენდნენ რათა დასახლებულიყვენ მდინარეთა და ტბების ნაპირებზე. ამიტომ გასაკვირალი არაა რომ უახლესი ქვის ხანის. ეგრედ წოდებული ნეოლითიური პერიოდის ნაპოვნი ძველი მოსახლეობა, უმეტეს შემთხვევაში, მოთავსებულია მდინარეთა და ტბების ნაპირებზე. პირველად სოფელს აშენებდნენ პირდაპირ ნაპირზე. შემდეგ ნაპირიდან რამდენსამე მანძილზე ასობდნენ მდინარის ან ტბის ძირში ბოძებს; ცალკე ბოძებს აკავშირებდნენ წურილი ხის ტოტებით, აგებდნენ დვიროებს და ფიცრებს და ამ ბაქანზე აკეთებდნენ ქოხებს. ასე გაჩნდა ბოძებიანი ნაგებობანი.

ზოგჯერ ადამიანი არჩევდა დასახლებულიყო არა უძრავ ბინებში, არამედ მოეწყო წყალზე მოძრავი ბინები, რომლის გადატანასაც ის შეიძლებდა ერთიდან მეორე ნაპირზე და რომლითაც, — ნაპირიდან დაცემის შემთხვევაში. — მას შეეძლო წასულიყო სხვა ადგილას მდინარით ან ტბით.

ასე გაჩნდა შენობები ტივებზე. ბოძების მაგივრობას ახლა ასრულებს ტივი, შეკრული მსხვილ მორებისაგან, რომელნიც რამდენიმე რიგებად არიან. დაწყობილი და მაგრად გადაბმული. სისველის ასაშორებლად ტივს მოსხმული ჰქონდა კირის ხსნარი. ასეთ ტივზე აგებდნენ რამდენსამე დაბალ ქოხს. ამგვარ ტივებზე იპოვნეს მსგავსი ქოხები არა მარტო შვეიცარიაში (კანტონი ტარგაუ), არამედ მასსუნდაც მასტრიხტთან (ჰოლანდია) და წინანდელ, ამჟამად დიდ ქაობად გადაქცეულ ტბა მაგლემოზეზე, კუნძულ ზელანდიაზე (დანიაში). მაგრამ, რასაკვირველია, დაბეჯითებით არ შეიძლება იმის თქმა ასეთი ტივზე მოწყობილი ქოხები, ეს უძველესი შენობები ნამორებისაგან. მუდმივი საცხოვრებელი ადგილები იყო თუ დროებითი ბინები. რომელშიაც მაგალითად, მარტო ზაფხულობით ცხოვრობდნენ ან ომის დროს იფარავდნენ თავს.

ძნელი გადასაქრელია საკითხი, თუ ადამიანი იმ დროს რად გაუბოდა ხმელეთზე ცხოვრებას და აშენებდა სოფლებს ტივებზე ან

ბოძებზე. ალბად იგივე მოსაზრება არსებობდა, რომელიც შემდეგში აიძულებდა ზოგიერთ ხალხებს გაეკეთებინათ საცხოვრებლის ახლოს ბილიკები, მესერი და თხრილი ან მოეწყოთ ბინები ციცაბო კლდეებზე, მიუღღამელ მწვერვალებზე და მალა აშვერილ გორაკებზე — მტრულ მოხეტიალე ურდოებისა და ულრან ტყეების გარეულ ნადირთა თავდასხმის შიში. თავის მორების ტივზე ბოძების მშენებელი უფრო უშიშრად გრძნობდა თავს, ვინემ ტყის ნაპირას, რომელიც მდინარემდე ან ტბამდე უწევდა. თავის მაღალი ქოხიდან მას უფრო აღვილად შეეძლო შეენიშნა ნავით ან ხმელეთიდან მოახლოებული მტერი და თავდაცვისათვის ფეხზე დაეყენებია მთელი თავისი მოსახლეობა. და თუ მტერი მაინც მოახერხებდა ხმელეთიდან სოფელში შეჭრას, მაშინ გადარჩენის უკანასკნელ საშუალებას წარმოადგენდა გაქცევა, წინდა-წინვე მომარაგებული, ნამორებზე მიბმული ნაგებობით, სხვა დაფარულ ადგილას, მდინარის მეორე ნაპირას. იმავე დროს თუ ნაპირიდან მტერი ალყას შემოარტყამდა ამ შემთხვევაში. მდინარე ან ტბა არა მარტო სასამელ წყალს, არამედ საზრდოს უშრეტ წყაროსაც იძლეოდა თევზის სახით.

როცა შემდეგში ბოძებიან სადგომებზე მცხოვრებლები თანდათან გადადიოდნენ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე, მაშინ გამოირკვა, რასაკვირველია, რომ წყალზე ცხოვრებას თავისი ცუდი მხარეც აქვს, რადგან სხვილფეხა საქონლისა და მისთვის საზრდოს შენახვა ტივებზე ძნელი იყო. მაგრამ წყალზე ცხოვრების ჩვეულება ისე მტკიცე იყო, რომ არავითარი სურვილი არ არსებობდა ხმელეთზე გადასახლებისათვის და საქონლის სადგომი და საკვების შესანახი ეწყობოდა სადმე ნაპირზე. დაცულ ალაგას, რომელსაც არტყამდნენ მესერსა და ყორეს ქვისა და მიწისაგან. ამნაირად მდინარის სიმაგრეს უერთდებოდა ხმელეთის სიმაგრე, რომელშიაც თავს აფარებდნენ წყლიდან თავდასხმის დროს. წყლის მობინადრე ვერ ელეოდა თავის ბინადრობას იმიტომ, რომ უშიშროებას გარდა წყალზე ცხოვრება მას აძლევდა სხვა მნიშვნელოვან უპირატესობებს: მდინარის ნაპირას გაშენებული სოფელი, თოვლის დნობის დროს, როცა მთის ნაკადულები ნიაღვრებად ევლინებოდა ქალებს, წყალდიდობით იფარებოდა, ხოლო ბოძზე აგებული შენობა, თუ ბოძი მაღალი იყო, სრულებით უზრუნველყოფილი იყო მსგავსი კატასტროფისაგან. გარდა ამისა ბოძებზე აგებულ სოფლებს ნაკლებად აწუხებდა წყლის ვირთხები და ხის ქიები, ვინემ ნაპირზე გაშენებულ ბინებს და რაც მთავარია, იქ სისუფთავეც მეტი იყო, რადგან მაშინ, როცა ხმელეთზე დაყრილი ნაგავი საშინელ მყარალ სუნს აყენებდა და ყოველგვარ



ქვეწარმავალს იზიდავდა, ტბის ტალღებს ადვილად მიჰქონდათ შორს ყოველი ნაგავი ან ჰუარავდა მას შლამითა და ქვიშით. ამ ბოძებზე და ტივებზე მოწყობილი შენობები გავრცელებული იყო მთელს შუა ევროპაში ოთხიათას წელზე დიდხანს — რამდენადაც შინაგანი ტბები და მდინარეები წარმოადგენდნენ ხელსაყრელ პირობებს ამრიგ ბოძებზე და ტივებზე აგებული შენობებისათვის — ზემო იტალიისა და მეკლენბურგის ტბებიდან დაწყებული და აღმოსავლეთით ირლანდიიდან შავი ზღვის ნაპირებამდე.

ტენნიკური განვითარების სხვადასხვა ეპოქები წარმოიშობოდნენ და გადიოდნენ ამ დიდი დროის განმავლობაში და ბოძებზე აგებულ სოფლებს ქვეშ შლამში და ქვიშაში სტოვებდნენ ძველ ისტორიულ დოკუმენტებს: ქვის, ბრინჯაოს და რკინის იარაღების, სამზარეულოს კურკლეობის, ძვლების, თავის ქალების, ქოთნების და სხვ. სახით იმ დროს, როცა პეფეციონის ტბაზე რაბენჰაუზენთან ბოძებზე გაშენებულ სოფლების მცხოვრებლები, როგორც აღმოჩენათა ფენები გვიჩვენებს, ცხოვრობდნენ ჯერ კიდევ ძველ ნეოლითურ ხანებში (5000-6000 წლებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე), სხვა ბოძებზე აშენებული სოფლები, როგორც, მაგალითად, ვოლლინჰოფენში (ციურიხის ტბა). მეილში (ციურიხის ტბა), ბინელიცში (ბილერის ტბა), სენტბლეზში (ნაიენბურგის ტბა), შტეინში რეინზე — გაჩნდნენ მხოლოდ გარდაამავალ ხანაში ქვისა და ბრინჯაოს საუკუნეს შუა ან, — როგორც გვიჩვენებს ბოძებზე აგებული სოფელი მორგენი, ჰენფის ტბის ჩრდილოეთ ნაპირზე და უახლოესი ბოძებზე აგებული შენობა მერინგენისა ბიულლის ტბაზე — ბრინჯაოს საუკუნის უკანასკნელ ეპოქაში. ზოგაერთი უახლოესი ბოძებზე აგებული სოფლები, პირველ ყოვლისა, შენობა ლა-ტენ ნაიენბურგის ტბასთან, ეკუთვნიან რკინის საუკუნეს.

(კ უ ნ ვ ი — „ნარკვევები პირველყოფილი კულტურის ისტორიიდან“).

## § 10. ავსტრალიელთა მოხებითაღწერილ ცხოვრებას

თავისი მთავრობის მიერ გადასახლებული ვილიამ ბერკლი ავსტრალიელთა ტომის ერთი ჯგუფის მიერ ნახულ იქნა უგრძობელ მდგომარეობაში: ეს ჯგუფი ცხოვრობდა სანაპირო სარტყელში, სადაც ახლა ვიქტორიაა; ხოლო ვილიამ ბერკლი გამოქცეული იყო ის ჯგუფის წევრთა რიცხვში იქნა მიღებული და მასთან ერთად მან გაატარა 32 წელიწადი. ვ. ბერკლი იძლევა მეტად გარკვეულ სურათს

ტოტემურ ჯგუფთა განუწყვეტელი მოძრაობისა, ერთი ადგილიდან მეორისაკენ და საერთოდ ავსტრალიელთა ცხოვრების შესახებ.

„ახლა მე უკვე შემიძლია მათი ენის გაგება, სწერს ბერკლი. ჩვენ პირველად შეუერთდით ბენგალის ტომს (ტოტემურ ჯგუფს) და წავედით მის მასაზრდოებელ ოლქში. ყოველი ტომი (ჯგუფი) ჰვლობს თავის მასაზრდოებელ ოლქს, რომელიც, სხვა იმავე ტომის ჯგუფთა აზრით, მიღებული აქვთ წინაპრებისაგან მემკვიდრეობით. ჩვენ აქ მოვაწყვეთ ჩვენთვის ჩოდოლი (ხარგა) და დავხოცეთ აუარებელი კენგურუ. გავატარეთ რა ამ მასაზრდოებელ ოლქში რამოდენიმე თვე — რამდენი არ მახსოვს — ჩვენ ისევ დავადექით გზას ახალი ადგილებისაკენ, რადგან ჩვენი განუწყვეტელი ნადირობის წყალობით ნადირთა მარაგი უკვე თავდებოდა... ახალ ადგილზე ხანგრძლივი დგომის შემდეგ ჩვენთან მოვიდა შიკრიკი, რომელიც გვიწვევდა (თავისი ჯგუფის სახელით) სანახავად. ერთი დიდი ტბისა — რამოდენიმე მილის სიფართის. ნაპირიდან 4 მილის დაშორებით არის პატარა კუნძული — ორი კვადრატული მილის სიდიდისა. ტბის ერთი მხრიდან ამ კუნძულზე მისვლა ადვილად შეიძლება, ამ მხრით მხოლოდ სამუხლუე წყალია. მეჩეჩი, რომელიც თანდათან ზევით იწევა და კუნძულისაკენ მიიმართება ჰქმნის რალაც გადასავალი ყელის მაგვარს. ამ ადგილას ჩვენ ვნახეთ ურიცხვი გედები და სხვა მრავალი ფრინველები.

ჩვენ ჩვენი ჩოდოლი ავაშენეთ შორი-ახლოს ამავე ტომის მეორე ჯგუფისა, რომელმაც ჩვენ აქ მოგვიპატიჟა. აქაც ჩვენ გვქონდა იმდენი გედის კვერცხი, რომ მათი მოხმარება არ შეგვეძლო. ახალ ადგილას ერთი დღის გატარების შემდეგ, ჯგუფმა, რომელმაც ჩვენ მოგვიწვია, გვითხრა, რომ ისინი ჩვენ წავგიყვანენ მათთან ერთად და, მას შემდეგ რაც ჩვენ ვნახავთ იმ კუნძულს, გამართავენ „კორობ-ბორს“ (ე. ი. დღესასწაულს ცეკვითა და სიმღერებით). მივედით თუ არა კუნძულზე, ჩვენ ვნახეთ რომ ის მთლიანად დაფარული იყო კვერცხებით, ასე რომ ჩვენ ძლიერ ჩქარა გავაძსეთ მით ჩვენი კალათები. ჩვენმა მეგობრებმა, რომელთა რაიონშიც ჩვენ ვიმყოფებოდით ჩვენ ნება დავგვრეთ — პირველად გაგვემსო კალათები, ხოლო თვითონ კი თავიანთი კალათები შემდეგ გაიშეს.

ასე ეცხოვრობდით ჩვენ რამოდენიმე დღის განმავლობაში და ყოველ დამე გვქონდა „კორობორი“. ბოლოს ჩვენმა მეგობრებმა დაგვტოვეს ჩვენ და, როგორც სჩანს, დიდის სისწრაფით; მაგრამ მე ვერ შევძელი გამეგო, თუ რა მიზეზით. მათი ქცევის მიხედვით მე ვფიქრობდი, რომ, შესაძლებელია მათ შორის მოხდა რალაც უთან-

ხმოება, ჩხუბი, იმ დღეს, როდესაც მე არ წავსულვარ კუნძულზე. მეორე დღეს ჩვენი ქალები გამოეყვენ მამაკაცებს და თავიანთი სხეული შეიმკენ თეთრი თიხით, მამაკაცებში შეიმკეს თავი ოხრითა და ემუს ფრთებით, რომელნიც თეძოებზე მიიმგარეს. თვითონ კი როგორც ყოველთვის ტიტველნი იყვნენ. შემდეგ ამას მოჰყვა ცეკვა-თამაში, რომელიც ჩხუბით დამთავრდა — შურისძიების ნიღაღზე.

ამის შემდეგ ჩვენ წავედით ერთ ადგილისაკენ, სანამდიც დაახლოებით იყო 40 მილი. ეს ადგილი იმყოფება ტბასთან, რომლის წრე დაახლოებით 10 მილს უდრის. ახალ ადგილზე გადასვლამ რამოდენიმე დღე მოინდომა, რადგან ჩვენ გზადაგზა სულ ვნადირობდით. ჩვენ გავჩერდით ერთი მტკნარი წყლის წყაროსთან, რადგან ტბა მლაშე იყო. მის ახლოს იმყოფება დიდი ველი. ჩვენ გავაკეთეთ ბადეები ხის ცილისაგან და დავიჭირეთ აუარებელი თევზი. აქ დავყავით რამოდენიმე თვე, მშვიდობიანი და უხვი ცხოვრებით; ხოლო შემდეგ წავედით მეორე ტბის ნაპირისაკენ. სანამ ჩვენ ამ ახალი ადგილიდან წავედოდით ჩვენთან მოვიდა შიკრიკი. მას ხელი ჰქონდა დახაზული მთელი რიგი ზოლებით, რომელიც ნიშნავდა დღეების რაოდენობას, რომელიც საჭირო იყო, რათა ჩვენ შეგვეძლებოდა მიღწევა იმ რაიონამდე, საიდანაც ის მოვიდა. მოწვევის მიზანი იყო ურთიერთ გაცვლა სოკოებისა და ფესვების შარავისა. დადგენილ იქნა რომ გადასვლა მოინდომებს 14 დღეს. ჩვენ თევზები მოგვქონდა კენგურუს ტყაებში და მივალწიეთ შეხვედრის დანიშნულ ადგილს. სადაც ვნახეთ 80-მდე კაცი, ქალი და ბავშვები.

თვითა გაცვლა ხდებოდა შემდეგ-ნაირად: ორ მამაკაცს თითო-ული მხრიდან მოჰქონდათ სოკოები და ფესვები, ხის ქერქის გრძელ ნაქერზე, რომელიც გადაჰქონდათ თავის ერთიდან მეორე მხარეზე, სანამ მთელი რაოდენობა არ იქნა გაცვლილი. საღამოთი მოეწყო გრანდიოზული „კორობორი“, ხოლო მეორე დილას ჩხუბი, რადგან ერთ ქალმა, — მიატოვა რა თავისი ქმარი — გაიქცა უცხო ჯგუფის მამაკაცთან ერთად. საქმე გათავდა მითი რომ ის დასჭირეს ისრით, და საკმაო მძიმეთაც. რამოდენიმე ხნს შემდეგ ეს ჯგუფები ერთმანეთს დაშორდნენ, ხოლო მანამდე კი შეთანხმდნენ რათა ისევ შეხვედრილიყვნენ სურსათ-სანოვარის გასაცვლელად. იმ ადგილიდან ჩვენ წავედით მეორეში... სადაც ეჩერდებოდით რამოდენიმე თვის განმავლობაში, სანამ არ დაღვა დანიშნული დრო — თევზისა და ფესვების გასაცვლელად. ამავე დროს ამ შემთხვევაში ჩვენ გასაცვლელად წავიღეთ კენგურუ“ (სპენსერი და გილენი).

(ტ ა ხ ტ ა რ ე ვ ი — ნარკვევები პირველყოფილ კულტურის ისტორიიდან).

ძლიერ გავრცელებულია შეხედულება, რომ ეგრეთწოდებულნი „ველურები“ იმდენად უზრუნველი, დაუდევარი და წინდაუხედავი არიან, რომ ხვალინდელი დღე მათთვის ნამდვილად არ არსებობს. ამავე დროს წინდახედულობა და წინდაუხედაობა პირველყოფილი ადამიანისა სავსებით დამოკიდებულია გარშემომცველი პირობებისაგან. ეგრეთწოდებული წინდაუხედაობა გვევლინება იქ, სადაც სა-არსებო საშუალებანი უხვად მოიპოვება, როგორც, მაგალითად, დიდი ოკეანის სანაპირო, სარტყლის ოლქებსა და ავსტრალიის ალპებს ზეგანებზე, აქ ბალახიანი ველები სავსეა კენგურუს ჯოგებით და სხვა ბალახისმძოველი ცხოველებით; ტყიანი ადგილები წარმოადგენენ ოპოსუმებისა და იგუანების თავშესაფარს; მდინარეები და ტბები სავსეა თევზებით; სხვადასხვანაირი ბუჩქნარები იძლევიან ფესვებს, თესლებსა და ხილებს; წყალზე და ნაპირებზე აუარებელი ფრინველებია. ამრიგად აქ საკვები მასალა უხვად არის.

თავისთავად იგულისხმება, რომ ამ ქვეყნის ადგილობრივი მცხოვრებნი ბევრად ნაკლებ არიან წინდახედულებაში იძულებულნი, ვინემ ავსტრალიის რომელიმე სხვა ნაწილებში მცხოვრებნი. მიუხედავად ამისა, ამ მდიდარი რაიონის მცხოვრებნიც კი წინდახედულობის გამოისობით ხშირად აგროვებენ სასურსათო მარაგს. ეს მით უმეტეს შეიძლება ითქვას ისეთ რაიონების მცხოვრებთა შესახებ, სადაც ბუნებრივი პირობები არა ხელსაყრელია, სადაც ხანგრძლივი გვალვები ხდებიან და საარსებო საშუალებანი მცირეა — ლარიბია.

იქ ადგილობრივი მცხოვრებნი აგროვებენ მარაგს და ინახავენ მას ხეების ფულუროებში, ქვეების ქვეშ, ან ჩათხრიან მიწაში. თუმცა რასაკვირველია, ამას შვრებიან მას შემდეგ, რაც ჯერ თვითონ მოიკლავენ სიმშოლს, და თუ ნახული საკვები, იმ დროს სიმშოლის მოსაკვლავ საქიროზე მეტი აღმოჩნდება.

ჩ ა რ ლ ზ კ ო კ ს ე ნ ი ს მოწმობით, მას, თავისი მოგზაურობის დროს შიდა ავსტრალიაში, უნახავს ბალახეულთა ფესვების, ხის წებობის და სხ. მნიშვნელოვანი რაოდენობის მარაგი. ყოველივე ეს ყოფილა კენგურუს ტყავისაგან გაკეთებული დიდ ტომრებში შეფუთული, და დაფარული ხის ქერქებით, რათა წვიმისაგან დაცული ყოფილიყო. როცა ავსტრალიელი ველური თაფლს ნახავს, თუ მას იგი იმ წამსვე საჭმელად არ უნდა, მაშინ რაიმეგვარად ზეს ინიშნავს.

როდესაც პირველყოფილი ადამიანის წინდაუხედველობაზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ ივიწყებენ, რომ მას ჯერ კიდევ არ გამოუ-

გონია არავითარი საშუალება რათა შეეძლოს ხორცის დაცვა ვაფუქებისაგან. ხოლო ასეთ პირობებში ოდნავათ თუ შეიძლება რაიმე ხორცეული მარაგის გაკეთება: რადგან ხორცეული საკვები არც ფუტრკის თაფლია და არც მცენარეთა თესლი. ყოველ შემთხვევაში ადგილობრივი მცხოვრებნი საკვების დიდ მარაგებს აკათებენ სატომთაშორისო ყრილობის დროისათვის, რომელიც ხშირად მთელი თვეების განმავლობაში გრძელდება.

რაც შეეხება არა საკვების, არამედ მასალათა მარაგებს, ასეთს კი რასაკვირველია ხანგრძლივი დროისათვის აკეთებენ. იარაღების გასაკეთებელი ქვების, მორთულობათა ოხრების, \*) ვნების აღმძვრელი პიჩერის ბუჩქთა ყლორტების მომარაგებისათვის ეწყობიან მთელი ექსპედიციები და ამათი მარაგი ხშირად მთელი წლისთვის მზადდება.

„დეირის ტომი, მოგვითხრობს ხ ა უ ი ტ ი, ყოველწლივ გზავნის ამტან და გამძლე ვაჟაკათა რაზმს პიჩერის ბუჩქებიან მხარეში. ეს რაზმი დიდის მონდომებით აგროვებს ბუჩქებიდან ფოთლებს და ქორფა ტოტებს. შემდეგ ქვიშაში ამოსთხრიან ორმოებს, ორი ფუტის სიღრმისას, რომელსაც ნაკვერჩხლებით ათბობენ. გასუფთავებულ ფოთლებს და ქორფა ტოტებს პიჩერისას, რომელსაც ამ ორმოში ჰკრიან, ზემოდან ქვიშით ჰფარავენ და აცხობენ. როდესაც მცენარეული წვენი აორთქლდება, მაშინ პიჩერებს ორმოდან ამოიღებენ და ჩატყპნიან დაწნულ ტომრებში და პატარა ტყავის მახლებში. ყოველ მამაკაცს შიამქვს დაახლოებით 70 გირვანქამდე“.

(ტ ა ხ ტ ა რ ე ვ ი — ნარკვევები პირველყოფილ კულტურის ისტორიიდან).

## § 12. ავსტრალიელთა სარეწარმოები

ავსტრალიელები საკვებათ ხმარობენ ყოველივეს, რისი ჭამაც კი შეიძლება. ბალახი, მცენარეთა ფესვები, ყოველგვარი ბალახის თესლები, სხვადასხვაგვარი ნაყოფები, ნივრებები, ხეხილი, ყვავილები, ველური თაფლი, სოკოები, ყოველგვარი მწერები და ქიანჭველათა კვერცხები, ლოფორთქინები, ყოველგვარი მდინარისა და ტბების კიბოები, თევზეულის სხვადასხვა ჯიშები, ბაყაყები და ხელიკები, ნიანგები, გველები, ფრინველები, ხორცი ყოველგვარი ძუძუმწოვარა ცხოველებისა — ყოველივე გამოიყენება საკვებათ. ბალახების, თესლების, ფესვების, ნაყოფთა მოგროვება და წვრილ ცხოველებზე ნადირობა, ასევე ჩაუქრობელი ცეცხლის დაცვა და წყლის მოტანაც შეადგენს ქალების და ბავშვების საქმიანობას. მამაკაცთა საქმეა —

\*) ოხრა — ყვითელი სამღებრო ქვის სახელი.

ნადირობა უფრო მსვილ ცხოველებზე, როგორც კენგურუ, ემუ და სხვა.

ნადირობენ ერთად ანდა ცალცალკე. უკანასკნელ შემთხვევაში ყარაულობენ მწყურვალ ნადირს წყაროსთან და ჰკლავენ მას შვილდითა ანუ ბუმერანგით. ხანდისხან მამაკაცები ორ-ორად, ანუ სამსამათ ერთიანდებიან. ერთი ჩაუსაფრდება ხოლო დანარჩენები ნადირს მისკენ ერეკებიან. ხანდისხან კენგურუზე სანადიროთ იკობება ადგილობრივ მცხოვრებთა დიდი რაოდენობა და ადგენენ მთელ რაშმს მონადირეთა. ამ შეთხვევაში საზოგადო ნადირობა სწარმოებს უფრო გამოცდილ მონადირეთა ხელმძღვანელობის ქვეშ. ისინი განაგებენ მთელ მსვლელობას ნადირობისა, არკვევენ მონაწილეთა ადვილს ნადირობაში. ნახევარი კილომეტრისა და უფრო მეტი სივრცეც გარშემოირტყმება მონადირეთა მიერ. ყვირილითა და იარაღთა ჩხარუნით ისინი თანდათან ავიწროებენ წრეს, და როდესაც მხეცები იმყოფებიან უკვე საკმაო სააბლოეს, მაშინ მათ სცევენ კომბლებსა ან ესვრიან ისრებს, იმ დროს როდესაც უბედური კენგურუები დაჰქრიან ერთი მხრიდან მეორისაკენ. ხანდისხან ამოქმედებენ ცეცხლსაც, ეს თუ არის მოთხოვნილება დახოცონ ძლიერ დიდი რაოდენობა ნადირისა. ასეთ შემთხვევაში მამაკაცები ადგენენ წრეს და ანთებენ ჩირგვებს და ამრიგი საშუალებით ცხოველებს შეყრიან ერთ ადგილას. ბ ე რ კ ლ ე ს აღწერიდან ჩვენ ვნახეთ, რომ ხშირად ადგილობრივი ტომთა ორი ჯგუფი აწყობენ ერთად თავისებურ ნადირობას; და თუ ნადირი უხვათ არის, მაშინ ისინი ნადირობის ადგილას ხანგრძლივით რჩებიან. დასასრულ, ახალგაზრდა ვაჟკაცთა განდობის დროსაც და განდობილთა ტომის წევრად მიღების დღესასწაულებში, როდესაც მოცემული ტომის ჯგუფები ერთ ადგილას იკრიფებიან, ეწყობა კიდევ უფრო გრანდიოზული ნადირობა. ამავე დროს თავისთავად იგულისხმება, რომ რაც უფრო ფართეთ, რაც უფრო საზოგადოებრივად სწარმოებს ნადირობა. ვით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობის საზოგადოებრივ საწყისებს, შრომის განაწილებას და ნადირობის მსვლელობისათვის ხელმძღვანელობას.

თევზის ქერა სწარმოებს სხვადასხვა საშუალებებით, დაწყებული მისი ხელით ქერიდან და ისრით მოკვლიდან, გათავებული ბადეებით, ქვებისა და ქვიშებისაგან გაკეთებული საგუბრებით და ზოგიერთი მცენარეების დანმარებით წყლის მოწამვლით. უკანასკნელ შემთხვევაში გაბრუებული თევზი ამოსტურავს წყლის ზედაპირზე. თევზაობის ჯგუფობრივი წარმოება ძლიერ გავრცელებულია; ის განსაკუთრებით ყვაოდა სანაპიროებზე მცხოვრებ ტომთა შორის.

ფილიპე ჩაუთსი მოგვითხრობს თევზის ქერის ერთ საშუალებას, რომელიც მას თვითონ დაუნახავს. ორი ან სამი ქალი თვალყურს ადევნებდნენ თევზებს საჩენ ნაპირიდან; იმავე დროს ტოტებით შეიარაღებული 20 ანუ 30 კაცი და ქალი აკეთებენ ნახევარ წრეს და მიდიან გუბის დაბალი ადგილით სანამ არ მოუხდებათ ცურვა; მაშინ ისინი მეორე სივრცეზე ავიწროებენ წრეს და თევზს თანდათან დენიან ნაპირთან ახლოს, იმავე დროს, როდესაც სხვები იქერდნენ მათ ხელეზით და ისროდნენ ნაპირზე. ადგილობრივი მცხოვრებნი თევზებს იქერენ აგრეთვე ძვლის ანკესებით. თევზაობის დროს ხანდისხან გამოიყენებენ ხოლმე ხის ქერქისაგან გაკეთებულ პატარა ნავებსაც.

(ტ ა ხ ტ ა რ ე ე ი — ნარკვევები პირველყოფილ კულტურის ისტორიიდან).

### § 13. მარიანების პაპუასეები

(Christman und Oberlaender)

მარიანის კუნძულების მცხოვრებ პაპუასეების იარაღი შესდგება შვილდ-ისრისა და შუბისაგან. ბოლოები გაკეთებულია კენგურუ-დათვის ფრჩხილებისაგან, ან გამოცდობილ პალმის ხისაგან ან კაზუარის (სირაქლემას ჯიშის ცხოველი) ძვლებისაგან, მაგრამ ყველას აქვს გაკეთებული კავი, რომელიც წვეტიანი წვერის წინააღმდეგ არის მიმართული, რის გამოც შუბისა და ისრის ქრილობიდან ამოძრობა თითქმის შეუძლებელია.

პაპუასეების სიმაგრე, მოქნილობა და სიმარღე გასაოცარია. ზღვის ნაპირის გასწვრივ თითქმის განუწყვეტელ ზოლად მიდის მანგროს ტყეები; ტყე გაზრდილია ქაობიან, შლამიან ადგილას, რომელიც თითქმის გაუვალია როგორც ადამიანისათვის, ისე ნადირისათვისაც, განსაკუთრებით მანგროს ხეების ფესვთა ერთმანეთში გადახლართვის გამო: ეს ხეები ისე გადაბნულია ერთი მოერზე და დაბარდნილია ხეიარებით, რომ უტულოთ ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შეიძლება; წყლის მოქცევის დროს, ეს ტყეები წყლით არის დაფარული; ხოლო უკუქცევის დროს გავლა არ შეიძლება სქელი ტალახისა და დაბარდნილი ხეიარა მცენარეების გამო. ამისდა მიუხედავად მცხოვრებლები სწორედ წყალში შოულობენ საარსებო საშუალებას, — იქერენ თევზს და ყოველგვარ ზღვის რბილტანიან ცხოველებს; ამიტომ მათ ყოველდღე რამოდენიმეჯერ უხდებთ მანგროების ტალახიანი სანაპირო ზოლის გარბენა. მაგრამ ისინი დადიან და ხტიან არა მიწაზე, არამედ მანგროების ტოტებზე, ძალიან მაღლა, იქ, სად ყ ეს ხეები ერთდებიან რა ერთად, ჰქმნიან ერთ მთლიან თალს. ბავშობიდან გაჩეული

პაპუასები, სარგებლობენ რა ამ გზით, მოვზაურობენ: ისინი ეკიდებიან ტოტებს და არა ჩვეულებრივი სისწრაფით, მაიმუნის სიმარდით, გადადიან ერთი ხიდან მეორეზე, თანაც მათ ზურგზე აქვთ აკიდებული ტვირთი და ყველაფერი, რაც კი საჭიროა. აქ რომ ევროპელები დასახლებულიყვნენ, ისინიც მიეჩვეოდნენ ხის ტოტებზე სიარულს, თუმცა, ალბად, ვერასოდეს ვერ მიაღწევდნენ ისეთ მოქნილობას, რომელიც ჩვეულებრივია ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის; მაგრამ ეს გზა მაინც არ წარმოადგენს დაუძლეველ სიძნელეებს მით უმეტეს, რომ ერთხელ, საზღვაო ჯარისკაცების რაზმმა თოფებითა და ამუნიციით უკვე გაირა ამ გზით, რადგან სხვა საშუალება არ იყო გაეცლოთ მანგრების ტყით დაფარული ტლაპო.

აქაურებს უყვართ თავისი მანგრების ტყეები, რადგან იქ შეუძლიათ დამალვა როგორც მომხდურთაგან, ისე მდევართაგან; როცა შაძებარი რაზმი პაპუასების სოფელში შედის, მცხოვრებლები იფანტებიან, მირბიან ტყეში და იმალებიან ხეებზე; ამიტომ თითონ სოფლები ტყეებშია გაშენებული ან ერთი მხრით მაინც ტყე აკრავს.

ნაპირის მცხოვრებლები ძალიან მოხდენილად მართავენ თავიანთ პრაუს ნავს, ისინი მოხერხებულად და ძლიერად უსვამენ ნიჩბებს. ისინი ნავს ფეხზე დგომით მართავენ, რადგან, როგორც თითონ ამტკიცებენ, დამსხდარნი ვერ შეხედავენ, სად ცურავს კუ და, როცა ის დაჭრილია, სად ყვინთავს. სიტყვა პრაუ მალაურია — ის ერთნაირად აღნიშნავს როგორც იალქნიან ნავს, ისე პატარა სანიჩბე ნავსაც.

პაპუასების ნადირობა, ეტყობა, უფრო სწორად უშედეგოდ თავდება, რადგან მათ მორთულობაში ვერ ვხედავთ ვერც ფრინველების ბრკყვილა ფრთებს, ვერც ძუძუმწოვართა კბილებს, ტყავს და სხვა ნაწილებს და მოვზაურებს არასოდეს არ დაუნახავთ მათ კალათებში სხვა რაიმე, გარდა თევზისა, კიბოებისა, კუებისა და უძვლო ცხოველებისა. მივეუმატოთ ამას კიდევ ქოქოსის კაკლები და ჩვენ წარმოდგენილი გვექნება საზრდოს ის შეზღუდული საშუალებები, რაიც პაპუასებს მოეპოვებათ.

## § 18 ა. პაპუასების უოველდღიური ცხოვრება

(მიკლუხო-მაკლაჲ)

მაკლაჲს ნაპირის პაპუასი ადრე ირთავს ცოლს, ჩვეულებრივ მხოლოდ ერთცოლიანია და ზნეობრივი მხრით ძალიან მკაცრ ცხოვრებას ეწევა; რამდენადაც მე შემთხვევა მქონდა თვალყური მედევნე-



ბია, ქორწინების გარეშე კავშირები ან თითქმის სულ არ არის, ან ძალიან იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. ცოლის შერთვის პროცესი ძალიან მარტივია. თავის ოჯახისა და საცოლოს ოჯახის ნებართვით, საქმროს მოაქვს საჩუქრები (5 — 10 ტაბირი, იშვიათად 15 და მეტიც, რამდენიმე შალი — წინსაფარი — და სხვ.). რამდენისაზე დღის შემდეგ კლავენ ღორს ან ძაღლს, მართავენ სადღესასწაულო სადილს და საქმროს თავის ქონში გადაჰყავს საცოლო. კიდევ უფრო უბრალოდ შორდება ქმარი ცოლს (რადგან ამ შემთხვევაში სადილის გაშარბვა საჭირო აღარ არის), როცა ის (ცოლი) აღმოჩნდება შრომის უნარ მოკლებული, მაგალითად, როცა მას ფეხები სტკივა და სიარული უძნელდება, ირთავს სხვა ცოლს.

საერთოდ ქმრები კარგად ექცევიან ცოლებს და იშვიათად სცემენ. დედაკაცს ყოველდღე მოაქვს ნაყოფები მინდვრიდან და აგროვებს შეშას ცეცხლის გასაჩაღებლად; წყალიც მას მოაქვს ზღვის ნაპირიდან ანდა წყაროდან. ხშირად შეხედებით საღამოობით მინდვრიდან დაბრუნებულ, დატვირთულ ქალებს. ზურგზე ორ-ორი ტომარი ჰკიდიათ. ზევითაში ბავშია, ქვევითაში — ნაყოფები, ხეხილი. თავზე, რომელიც ძალზე დახრილია წინ, რადგან შუბლზე თოკები აქვთ მობმული და ტომრები უჭირავთ, მათ ადევთ დიდი შეკვრა ხმელი შეშა, მარჯვენა ხელში კიდევ შაქრის ლერწმის კონა უჭირავთ, ხოლო მარცხენა ხელზე კი მეორე ბავში ჰყავთ ჩამოკიდებული. ასეთი ტვირთი დიდი სიძხისა და ვიწრო ბილიკების გამო ძალიან დამქანცველი უნდა იყოს: ამის გამო ახალგაზრდა ქალი მალე ჰკარგავს ჯანსა და სილამაზეს. ბავშვები ჩვეულებრივ მხიარულები არიან, იშვიათად ტირიან და ყვირიან; დედ-მამა მათ ძალიან კარგად ექცევა, უფრო კი მამა, რადგან დედა ნაკლებ სინაზეს იჩენს, ვინემ მამა. საერთოდ პაპუასებს შორის ბავშვებისადმი სიყვარული ძალიან დიდი აქვთ. მე მათში სათამაშოებსაც კი შეეხვდი, რაც ველურებში, ხშირი არ არის: კუბების მაგვარი რამ, პატარა ნავეები, რომელსაც ბავშვები წყალზე უშვებდნენ და ბევრი სხვ. მაგრამ ბიჭი ადრე მიჰყვება მამას პლანტაციაზე, ტყეში ხეტიალისა და თევზის დასაჭერად წასვლის დროს. ბავში უკვე პატარობიდანვე ეჩვევა მომიჯნაველ პრაქტიკულ საქმიანობას. და კიდევ პატარაა, მაგრამ დინჯი და მოქცევაში ფრთხილი.

მე ხშირად შეეხვედრივარ კომიკურ სცენას, როცა პატარა ბიჭუნა: ოთხი წლისა, დიდი სიღინჯით ანთებდა ცეცხლს, ზიდავდა შეშას, რეცხდა ჭურჭელს, ეხმარებოდა მამას ხილის გასუფთავებაში და შემდეგ უცებ წამოხტებოდა. მივარდებოდა დედას, რომელიც ჩატუტებული რაიზე საქმეს აკეთებდა, ეცემოდა ძუძუებში და მიუხედავად

დედის წინააღმდეგობისა; იწყებდა წოვას. აქ ყველგან გავრცელებული ჩვეულებით ბავშვებს დიდხანს აქმევდნენ ძუძუს.

ინათებს თუ არა, პაპუასი დღიურ საქმიანობას იწყებს. პაპუასებს ძალიან უყვართ მამალი, რომელიც დღის მოახლოვებას აცნობებს ხოლმე და კიდევ ჰყავთ სოფელში. ქათმები უფრო იშვიათად ჰყავთ, რადგან წიწილებს ძაღლები სჭამენ ხოლმე. როცა პაპუასი სადმე შორს არ არის წასასვლელი ტყეში ან მთებში, ის, სანამ კიდევ გათენდებოდეს, მიდის ზღვის ნაპირას, შალში გახვეული და სიცივისაგან მოკუნტული, კანკალით ელოდება მზის ამოსვლას. ჩვეულებრივ მთელი საზოგადოება იკრიბება, სიტყვას არც კი დასძრავენ და ისევ დუმილით იშლებიან. მზე უკვე მალაა წასული, როცა პაპუასები სახლში ბრუნდებიან და უბრძანებენ ცოლებს ან ბავშვებს მოუტანონ გუშინდელი ვახშმის ნარჩენები ანდა ცოტაოდენ საქმელს იმზადებენ თავისთვის. ქალები პლანტაციებზე სამუშაოდ წასვლისათვის ემზადებიან, ისინი ბამბუკის ჯოხებითა და ქილოებით ხმავენ თავიანთ ქოხების კარებს, მიაქვთ თავიანთი ტომრები და უღიასაოები (მიწის სამუშაო პაწია ბარი). პატარა ბავშვებს საბავშვო ტომრებში სვამენ, არ იეიწყებენ არც ანთებული მუგუზლის წაღებას და ჯგუფ-ჯგუფად, ბავშვებისა და ძაღლების თან ხლებით, მუსაიფით სტოვებენ სოფელს. მამაკაცები თავიანთ ქოხების წინ რჩებიან, დამშვიდებით სჭამენ საუზმეს, რის შემდეგ ლეკავენ ბეტელს და სწევენ თავიანთ მწვანე სიგარებს. ამ დროს სოფელში დიდი სიწყნარება, თუმცა აქ ჯერ კიდევ მრავალი მამაკაცია დარჩენილი. დღის 10 საათისათვის მამაკაცებიც იწყებენ წასვლა-წამოსვლას; ზოგი პლანტაციებზე მიდის, ზოგი სათევზაოდ, ზოგი კიდევ მეზობელ სოფელში: ყველა შვილდითა და ისრებით არის შეიარაღებული, ზოგჯერ შუბითაც, თუმცა ჩვეულებრივ ისინი კიდევ მრავალი სხვა იარაღით არიან დატვირთულნი (ანკესები, ბადეები, ნიჩბები და სხვა). ისინიც ჰკეტავენ თავიანთ ქოხებს.

თუ შუადღისას მიხვალთ სოფელში, ხშირად იქ ვერავის ვერ იპოვით; მხოლოდ რამდენიმე ღორი და ძაღლი შემოგხედვენ თქვენ და ისევ ბუჩქებში შიიმალებიან. ყველა ქოხი დაკეტილია, და მხოლოდ ბაუმრამრა (მამაკაცების კარგად მოწყობილი ქოხი) გიზიდავთ თავისი სიგრძლით, გაიშლართოთ ფართო ბარლაზე (გრძელი ტახტი) და მოისვენოთ. 4-5 საათზე მოისმის მამაკაცთა ფეხის ხმა, სამუშაოდან ან სეირნობიდან რომ ბრუნდებიან; მათ ჯერ კიდევ წურწურით ჩამოსდით წყალი, რადგან სოფელში შემოსვლის წინ უბანავიათ და საპნის მაგიერ ქვიშითა და ბალახით გაუხეხიათ ტანი. მიუხედავად

იმისა, რომ მრავალი კანის სენია მათში გავრცელებული — პაპუ-სებს ვერ ჩავთვლით ბინძურებად, — ისინი ყოველდღე, ზოგჯერ დღეში რამდენჯერმე ბანაობენ და ქვიშითა და ბალახით იხეხენ ტანს. შინ დაბრუნებისას ისინი ვაიშხლართებიან თავიანთ ბარლაზე და ელოდებიან საკმლის დამწაღებას. ტყეში უჩიამულის ხმები ამცნობს ქალების მალე მოსვლას; ისინი მძიმე ტვირთით, ოფლიანები მიდიან ქოხთან, აგდებენ ძირს შეშის შეკვრებს და ფრთხილად სდებენ ძირს ტომარებს ბავშვებითა და ნაყოფებით. ინთება ცეცხლი, მოზრდილი ბავშვები შევლიან მშობლებს ქოთნებისა და ტაბირების მოტანაში, ყურს უგდებენ ცეცხლს, ასუფთავებენ ნაყოფებს და ქოთნებში ალაგებენ. ზოგჯერ რამდენიმე მეზობელი იყრის ერთად თავს; ყველას მოაქვს ნაყოფები, ბოსტნეული და პატარა ქოთნების მაგიერ ერთ დიდ ქოთანსა დგამენ. ამ დროს ახალგაზრდა ქალებს ბამბუკის ქურქლებით მოაქვთ ზღვისა და წყაროს წყალი. სანამ ქოთანში ჩასდებენ რასმეს, ჯერ ძირში მშრალ ფოთოლს ჩაუფენენ, რათა დახაკაცისაგან გადაარჩინონ საკმელი; აგრეთვე მამაკაცებიც ჰყრიან ქოთანში რაიც მათ მოეძებნებათ ბამბუკის ქილებში — ამ ქილებს მამაკაცები თან ატარებენ სეირნობის დროს. ამ ქილებში ბევრი რამ არის; იქ ნახავთ: ბუზანკალს, ხოკოს, კიბოს, ცხრაფეხას, კიებს, პატარა ხელიკებს და სხვ. ყოველივე ამას ქოთანში ყრიან მიწიანად და შიგ მოყოლილ ბალახ-ფურცლებიანათ. ჯერ კიდევ ცოცხალი ცხოველები ცდილობენ გაქცევას, მაგრამ ქოთანში ყრიან აიანს, ბაუს, ანუ დეშარგოლს, ასხმენ წყალს, (ამაში მესამედი ზღვისაა), შემდეგ ახურავენ მწვანე ფოთლებს და ქოქოსის კაკლის ნაჭუქს და დგამენ ცეცხლზე. იმის მიხედვით, თუ შიგ რა არის, ქოთანი რჩება ცეცხლზე ერთი საათი ან მეტი ხანი. კაცები ქვაზე ან მუხლზე იმტვრევენ ხის ტოტებს, ქალები — თავზე.

როცა საკმელი მოიხარშება, რველძირიან ქოთანს დგამენ ჩალის გროვაზე. უფროსი ირველივ დალაგებულ ტაბირებში ანაწილებს საკმელს; უკეთეს ნაჭრებს სტუმარს სთავაზობს და თითონ მიირთმევს, ყველაზე ცუდი კი ქალებსა და ბავშვებს რჩებათ. ამ დროს უკვე საგსებით ბნელა, მაგრამ ცეცხლს არ უმატებენ, უფრო არ ანთებენ, არამედ სხედან ბნელაში და ნელა ღეჰენ ძნელად მოსანელებელ საკმელს. მარლიის მსგავსი გემო რომ მიიღონ, სვამენ ტაბირიდან სითხეს, რომელშიაც მოხარშული იყო ცოტაოდენი ზღვის წყალის დამატებით, კიები, ობობები და ხელიკები. ქალები ქოხებში მიდან, დროგამოშვებით ისმის ბავშვების ყვირილი და წყნარი მუსაიფი მამაკაცებისა, რომელნიც ბეტელს ღეჰვენ და სიგარებს სწევენ. მაგრამ ეს ხმები მალე

წყდება. მამაკაცები ნელ ცეცხლს ანთებენ ბარლებს ქვეშ და იძინებენ; მაგრამ მათ ხშირად უხდებათ აღვომა, რადგან ცეცხლი ქრება და ლამის ჰაერის სიცივე მათ აღვიძებს.

ასე გადის დღეები მაკლას ნაპირის მცხოვრებთა შორის. ცვლილებას წარმოადგენს მხოლოდ ომები, მეზობელ სოფლების უფრო მნიშვნელოვანი სტუმრობა და დღესასწაულები, რომელნიც მათ სოფლებში ან მეზობელ სოფლებში იმართება.

## § 14. ზანზუმის ცხოვრების მატერიალური პირობები

(დიღ-შალაუ)

სპილოს ძვალი გაბონის მთავარ ნაწარმოებს წარმოადგენს; სანაპირო ქვეყნების ნაწარმოებთა შორის ის საუკეთესოდ ითვლება. იქვე ჰპოულობენ წითელ ხეს, საღებავ ხეს, რომლისგანაც ამზადებენ შუქ-წითელ საღებავს და შავ ხეს, რაც გამოაქვთ გაბონის შესართავის დიდ ტყეებიდან, რომელიც ასეთი ხის ჯიშებით არის მდიდარი.

მე ვნახე, როგორ ზიდავენ მას დიდი რაოდენობით, მაგრამ მნიშვნელოვან მარაგს არ აკეთებენ მისგან. წითელი ხე ბლომად გვხვდება ამ მდინარისა და მის მრავალ პატარა ყურეთა ნაპირებზე. ის გვხვდება აგრეთვე მდინარე მუნდახისა და დანჟერის ნაპირებზე. ამ ქვეყნებში ხის წებოც („კამელ“) იცის, მაგრამ იმ მაღალი ღირსების არაა და გასასყიდათ არ გადის.

სპილოს ძვალი გააქვთ შიდა ქვეყნებიდან მდინარით დიდი რაოდენობით. 80.000 გირვანქაზე მეტი გააქვთ ყოველ წლიურად გაბონიდან. როცა საზღვარგარეშდ მისი ფასი არაა დაცემული. მისი ფასები აფრიკაში იმდენად დიდია. რომ ვაჭრები მას მომგებიანად ვერ ყიდულობენ, თუკი საზღვარგარეთიდან არ არის ნამდვილი დაკვეთები. მე ვფიქრობ, ბანოკადან დაწყებული ლოანგომდე, ეს ქვეყანა იძლევა კარგ წელიწადში არა ნაკლებ 15.000 გირვანქა სპილოს ძელისა. მაგრამ რა რიგ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს გაბონის სავაჭრო შემოსავალი, მე მაინც ვფიქრობ, რომ მისი მოსახლეობა ვერასოდეს ვერ აყვავდება, სანამ სერიოზულ ყურადღებას არ მიაქცევს მიწათმოქმედებას, რადგან ადრე თუ გვიან სპილოები მოიხპობიან. ექვს გარეშეა, რომ დასავლეთ აფრიკის ყველა მცხოვრებთა უბედურებამ სწორედ იმაშია, რომ იქ მიწათმოქმედება არ არსებობს. მამაკაცები ზიზლით უცქერიან მუშაობას, და ქალებსა და მონებს აიძულებენ მიწის დამუშავებას. ეს დამუშავება არასოდეს არ აღწევს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა, ასე რომ სანოვავე არასოდეს არ არის საკმაოდ.

თითქმის ყველა ტომები, გამოუკლებლივ, დღიურ ლუკმას ძლივს შოულობენ და ნახევარი წელიწადი ნახევრად მშვივრები არიან.

შპონგვენების მცენარეული საზრდო თითქმის იგივეა, როგორც სხვა მრავალი სანაპირო ტომების; ის შესდგება ბანანების, ინიამის, ტკბილი კარტოფილის, მანნაკის, სიმინდის, ამერიკული გოგრის და ფისტაშკებისაგან\*). ეს უკანასკნელი ძალიან ბლომადაა და მისგან შეიძლება ზეთის დიდი რაოდენობის მიღება, რომ ამ მიზნისთვის შეუღლებოდენ მის მოყვანას; ტყეები საესეა ველური ნაყოფებით და კაკლით; ზოგიერთი ამათგან საუცხოვოა, მაგალითად, ანანასი, რომელიც ამ ქვეყნის დიდ ნაწილში ველურად იზრდება.

პლანტაციები ყოველთვის გაშენებულია არა სოფლების ახლოს, არამედ რამდენიმე მილის მოშორებით სოფლებიდან. ამის გამო წლის მშრალ დროს სოფლები დაცარიელებულია, რადგან კაცი, ქალი და მონა-სთველისათვის ნიადაგის დამზადებაზე მუშაობენ, რომელიც წვიმების დაწყებამდე უნდა იქნეს შეკრებილი. ეს საჩქარო მუშაობის დროა, რადგან ჩვეულებრივ ახალი ადგილების გაკაფვაა საჭირო; ამისთვის მამაკაცები სჭრიან ხეებს და სწვავენ, შემდეგ ქალები სთესენ, მაგრამ არც გუთანს და არც თოხს არ ხმარობენ, არამედ პატარა იარაღს, რომელიც ბარსა ჰგავს, ჩვენს ბაღებში რომ იხმარება; გადმოაბრუნებენ მიწის ნაქერს, დააყრიან თესლს, ზედ გადააყრიან მიწას და შემდეგ ამ სახითვე აგრძელებენ მუშაობას. თუმცა აქ ძალიან ტლანქი შეხედულება აქვთ მიწათმოქმედების შესახებ, მაგრამ ზოგჯერ კარგ მოსავალს კი ჰკრეფენ.

აქაურ მიწაზე შეიძლება იხაროს ძალიან ძვირფას სავაჭრო ნაწარმოებმა. შაქრის ლერწამი მრავლად იზრდება გაბონის ნაპირას. ვილსონის მიერ თხუთმეტი წლის წინად აქ დარგული ყავის ხეები ამ უამად კარგ მოსავალს იძლევა; მისიის მეზობლად მიწებზე უმთავრესად მუხუდოა დათესილი, და ექვი არაა სხვა ტროპიკული მცენარეებიც, თუნდაც აქაური არ იყოს, ასევე კარგად იხარებს აქ, თუ რასაკვირველია, ისე იქნება ის დარგული, როგორც საჭიროა.

შპონგვენები თითქმის ყველა ცხოველს ჭამენ, რომელიც კი აქაურ ტყესა და მდინარეში ცხოვრობს, ანტილოპებსა და ტახებს. ცივილიზაციამ მიაჩვია ისინი არ ჭამონ სხვა ცხოველების ხორცი, როგორც არის შიმპანზე, ნიანგი, ვირთხები და სხვ. ისინი თავიანთ მონებს უტოვებენ ამ საქმელს. ხშირად, როცა მონადირეები კლავდნენ ჩემთვის იშვიათს და უცნობ ცხოველს, მე სამწუხაროდ არ შემეძლო

\*) გარეული თხილის ერთერთი სახეობათაგანია.

მისი შენახვა, რადგან ისინი ფარულად ქამდენ ხორცს და ტყავს მი-  
ფუჭებდნენ.

სოფელი, რომელიც გაშენებულია ნავთსაყურ მბატის შესა-  
სვლელთან, გარსშემორტყმულია მეტის მეტად ნაყოფიერი მინდვრე-  
ბით. მცხოვრებლებს მრავლად ჰყავთ მონები; ქალებს განსაკუთრე-  
ბით უყვართ მიწის მუშაობა, რადგან თავიანთ გაბონურ სოფლებში  
ისინი ხედავენ მხოლოდ პონგარის მალლობს, ქვიშიან ვაკეს, რომელ-  
ზედაც არაფრის მოყვანა არ შეიძლება. აქვე მარჯვნივ და მარცხნივ  
და რამდენიმე მილის მანძილზე ყოველი მხრით მე ვნახე მინდვრები  
ბანანების, ქვევის, შაქრის ლერწმის, იმბირის, ინიამის, მანიოკის, კვა-  
ხისა (ზანგების საყვარელი ბოსტნეული), მაშინ როცა მათ ქოხებთან  
იზრდებოდნენ ხეები: ნესვი, ლიმონი, ველური ფორთოხალი უამრავ  
ბანანისა და ანანასის ხეებში არეული. ამათმა წყნარმა და სამრეწვე-  
ლო ცხოვრებამ მე მომცა მაღალი წარმოდგენა ამ პატარა ხალხზე,  
რომელიც თავის საქმიანობაში განსხვავდება ყველა მეზობელ ხალხე-  
ბისაგან განსაკუთრებული თავგამოდებით. ისინი მგონი შინაურ ცხო-  
ველების მოშენებასაც მისდევდნენ, რადგან მე ყველგან ვხედებოდი  
პატარა ციკნებსა და აფრიკის წვრილი ჯიშის წიწილებს.

## § 15. დინკას ცხოვრება

(შვეიფურტი)

ჩვენ გავიარეთ ადგილი, რომელიც სავსე იყო აქა-იქ გაფანტული  
სამოსახლოების დიდი რიცხვით და მრავალ ჯერ გადავჭყერით ფართე  
მინდვრები, რომელზედაც უკვე მოკრეფილი იყო სორგუმის მოსა-  
ვალი. ტოტები სიმაღლით 15 ფუტამდე და თითის ოდენა სისქით ჯერ  
კიდევ ყველგან ეყარა მიწაზე და საგრძნობლად აძნელებდა წინ მო-  
ძრაობას, რადგან აქ რომ პური მოჰყავთ ყველაზე უფრო მსხვილია  
მცენარეულობათა კულტურებში. მის დამწიფებას უნდება სრული  
9 თვე და ამის გამო ტოტი იქცევა ძალზე გახვევებულ ლერწმად,  
რომელსაც ისევე ნაკლებად შეიძლება ვუწოდოთ ჩალა, როგორც ამ  
მინდვრებს — ყანები ამ სიტყვის ჩვენი გაგებით.

„დინკა“ პირდაპირ რკინის საუკუნეში ცხოვრობს, ე. ი. რკინას  
მათში ყველაზე მეტი ფასი აქვს. ამის გამო სპილენძი აქ ისე არ ფა-  
სობს, როგორც ყველგან აფრიკის სხვა ადგილებში. მდიდარი ქალები  
ისე არიან დატვირთული რკინის სამკაულებით, რომ მე გაბედულად  
შემიძლია ვსთქვა: ზოგიერთი იმათგანი ატარებდა ბეჭდებს და სამკაუ-

ლებს სიმძიმით ნახევარ ცენტერამდე \*). მძიმე ბეჭდები, რომელნიც ქალებს ხელზე და ფეხზე აქვთ ასხმული, ისეთს ხმაურობას გამოსცემენ სიარულის დროს, რომ მონების ბორკილებს მოგვაგონებენ. ამ წმებით აქ საესეა ირგვლივ ყველაფერი და ამ ხალხს, მიუხედავად თავისი თავისუფლების მოყვარეობისა, არ შეუძლია ამ მოდის ბორკილებისაგან თავის განთავისუფლება. მაშაკაცების საყვარელ სამკაულად ითვლება რგოლები სპილოს ძვლებისა, ძალიან მკვრივები, მათ იკითებენ ზელზე, მაჯის ზემოდ. მთელი ხელები მაჯის ქვევით თითებამდე დაფარულია რგოლების მთლიანი ფენით, რომელნიც ერთი მეორეზეა ასხმული.

უფრო სადა სამკაულს წარმოადგენს ჩალიჩი („უგუტი“), ტყავის ნაკრებისაგან შედგენილი და ყელზე შემოხვეული, ჰიპოპოტამის ტყავისაგან გამოჭრილი სამაჯურები და თხისა და ძროხის კულები, რომლითაც ყოველი პრანქია „დინკა“ — ამკობს თავის ტანისამოსს ან იარაღს. რადგან „დინკა“ ვერაფერს უხერხებს თავის მეტად ულაზათო თმებს, ის მიმართავს ყოველგვარ ქუდებსა და ხელოვნურ თმებს.

თითონ „დინკა“ მარტოოდენ თავის ჯოჯობის მოვლას უნდობა და ამიტომ მას ძალიან ცოტა დრო რჩება მკედლობის ძნელი ხელობისათვის. თუმცა ძალიან მრავალრიცხოვანი და სხვადასხვანაირია პირველი შეხედვით მათი რკინის სამკაულები, ისინი მაინც საერთოდ და მთლიანად მოწმობენ ამ ხელოვნების ძალიან დაბალი განვითარების შესახებ.

„დინკა“-ს მთავარ იარაღს წარმოადგენს შუბი. მათთვის ცნობილია შვილდისრის ხმარება. ის, რაც ზოგიერთ მოგზაურს შვილდი ეგონა, ნამდვილად აღმოჩნდა დამცველი მოწყობილება, რომლითაც კეტით დარტყმას იგერიებენ. კეტები და ჯოხები — ეს ჩვეულებრივი ფარალია ჩვენი ველურებისათვის. აკეთებენ ზეგელიჯის (bulanites) მაგარი გულისაგან ან და შავი ხისაგან. ასეთი შეიარაღება სასაცილოდ იჩვენება აფრიკის სხვა ტომებს, და ამიტომ მათ უწოდეს „დინკას“ „ა-ტაგბონდო“-ს, რაც ნიშნავს: „ჯოხიან ადამიანებს“.

ცხოვრების ერთნაირ პირობებს სხვადასხვა ადგილებში და ტომობრივი შემადგენლობის მხრით სხვადასხვა ხალხებშიც კი უნდა გამოეწვიათ ერთნაირი იარაღები და დაწესებულებები. ეს სჩანს მთელი რიგ წვრილმანებიდან, რომელნიც „დინკას“ კაფრებთან აახლოებს: პირველთაც და მეორეთაც ერთნაირად უყვართ კეტები და ჯოხები ერთი და იგივე მოგრძო სახის ფარები, კამეჩის ტყავიდან გამოჭრილი

\*) დაახლოებით ერთნახევარ ფუნტამდე.

და შუაში ჯოხ გარქობილი, რომლის ბოლოები შედის ნახვრეტებში, რომელნიც გაკეთებულია სქელ ტყავში. მაგრამ „დინკას“ სპეციალურ გამოგონებად ითვლება მოწყობილება დარტყმის ასაცილებლად. ის არის ორნაირი: ერთია მეტრიანი სიგრძის ჯოხი, რომელსაც მსხვილ ადგილას აქვს შიგნით ხვრელი და ამ ხვრელში შეყოფილი ხელი დაცულია მოპირდაპირის დარტყმიდან, ამ ჯოხს ეწოდება: „კუურა“; მეორენაირ მოწყობილებას ეწოდება „დანგ“, მას აქვს შვილდის სახე, რომელზედაც გადაქიმულია მსხვილი ღარი და დარტყმის მთელი ძალა ამ ძაფს ხვდება.

კულტურული მხრით მე თამამად შემძლია დავაყენო „დინკა“ არაბებსა და ეგვიპტელებზე უფრო მაღლა, ნუბიის მცხოვრებლებზე ხომ ლაპარაკიც მეტია. მათი პურეულისა და რძის შექმანდი არ ჩამოუვარდება ჩვენს საუკეთესო საქმელებს. მხოლოდ „დინკას“ მონაქალებს ეხერხებათ სრულიად გასწმინდონ სარეველასაგან Lorghum-ის და Pennisetum-ის მარცვლები და შემდეგ გასცრან ფქვილი ხაგოს მსგავსად. სიმშლიან წლებში გაჭირვებამ აიძულა ისინი ეხმარათ თავიანთი მზარეულის ნიჭი ახალ საკვებ საშუალებათა გამოსაგონებლად. ინდუსებისა და აფრიკის ზოგიერთ ტომების, — მაგალითად, ბიგირმის, მუსგუს და ადამაუზანელების, — მსგავსად, ისინი ამზადებენ რბილ თოვლივით თეთრ ფქვილს პალმა Borassus ყლორტების კრახმალისაგან, მას მერე რაც რომ გამოხარშვისა და დაღობის შემდეგ მოაშორებენ სიმწარეს. ამ გვარადვე საქმელად გამოსადეგი ხდება მრავალი სხვა მცენარეთა ყლორტებიც.

სამზარეულოს საუცხოობა შეეფერება მათი ქცევის საუცხოობას სუფრაზე, და ამ მხრით ეს „ველურები“ გაცილებით უფრო ახლოს არიან ჩვენთან, ვინემ აღმოსავლეთის ყველა ხალხები. საერთო სუფრის დროს „დინკა“ არ ურევს ხელს ერთსა და იმავე საქმელში თურქებისა და არაბების მსგავსად, არამედ მისდევენ შემდეგ წესს: დიდი ჯამი წვენით ან ფაფით იღვმება იატაკზე და მის ირგვლივ დასხდებიან სტუმრები, რომელთაგან თითოეულს აქვს თან კვანის ქურქული რძით. პირველი დაასხამს რძეს ფაფიანი ჯამის ერთ თავის წინ კუთხეში (დიდკაცობა რძის მაგიერ ერბოს ხმარობს) და ჰამის გათავების შემდეგ გადასცემს ჯამს მეორეს, და ასე რიგ-რიგობით სკამენ ყველანი.

„დინკას“ სადგომი შიგნით ისევე სუფთად არის შენახული, როგორც „შილლუკისა“. როგორც ერთის, ისე მეორე ტომის ველურებს უყვართ ღამით ნაცარში ჩაწოლა. განსაკუთრებით შესანიშნავი ის არის, რომ მკბენარები არ იციან; საერთოდ აფრიკის ამ ნაწილში მო-



გზაურები არ განიცდიან შეწუხებას ტილებისა და რწყილებისაგან. განსაკუთრებით აუტანელ ტანჯვის შესახებ მოგვითხრობენ მოგზაურები დასავლეთ სუდანში; ასევე მოუხერხებელია ამ მხრით გოტენტოტების სადგომები, მაგრამ არაფერს ამის მსგავსს ჩვენ არ ვხვდებით „დინკას“ შორის. ერთადერთი, რაც „დინკას“ ქოხში მოხვედრილ მოგზაურს აწუხებს, ეს არის გველების ხროვა, რომელნიც შრიალებენ სახურავის ჩალაში მძინარე მგზავრის თავზე. გველები — ერთადერთი ცხოველებია, რომელთაც „დინკა“ და „შილლუკი“ ერთნაირ ღვთიურ თავყანს სცემენ. „დინკა“ გველებს „ძამიებს“ ეძახის და გველის მოკვლა დანაშაულს უდრის. დამსწრეთა მთელი რიგი, — რომელთადაც მე შემთხვევა მქონდა ამის შესახებ მესაუბრა, — მარწმუნებდა კიდევ, რომ ცალკე გველებს სათითაოდ იცნობდა სახლის პატრონი, ყველას თავისი სახელი ჰქონდა და მათ ისე ექცეოდნენ, როგორც შინაურ ცხოველებს. მე ყოველთვის მათ ებრადა გველების სიმრავლე „დინკას“ ქვეყანაში. ბონგოებთან მე მთელი ექვსი თვის გატარება მომიხდა, სანამ მე პირველ გველს დავინახავდი. როგორც ცნობილია, გველები ხშირად არ გვხვდება ტროპიკულ აფრიკაში, უფრო ხშირად კი გვხვდება მახრჩობელა (Python lebae). „დინკას“ ქოხებში რომ გველები ბუდობენ, ისინი სრულიად უვნებლები არიან.

ყოველგვარ ქვეწარმავალთა საზრდოთ ხმარება „დინკას“ მხრით ზიზღს იწვევს, თუშუა ბონგო და „ნიაშ-ნიაში“ \*) არც ამ ცხოველების ჰამას თაკილობენ ნიანგი, ინგუანი, კიბო, თავიერ საქმელად აქ არ იზმარება, მხოლოდ კუს ხორცისაგან აკეთებენ წვენს. საჭირო აღარცკია აღვნიშნოთ, რომ „ნიაშ-ნიაშ“-თა შორის კაცობრიობის შესახებ ხმები ისეთსავე შეძრწუნებას იწვევს „დინკას“ მხრით, როგორც ჩვენში. არა ნაკლებ უზიზღებათ მათ ძაღლის ხორცი, რომლის ხმარება მიშტუს ტომში ჩვენთვის იმის დამამტკიცებელი იყო, რომ ისინი მიდრეკილნი იყვნენ კანნიბალიზმისადმი. „დინკა“ და „ბონგო“ მცუბუნებოდნენ მე, რომ უფრო ჩქარა თავს მოიკლავენ შიშვილით, ვინემ ძაღლის ჰამას დაიწყებენ. მაგრამ საუცხოო ნადირის ხორცათ მათში როგორც ყველგან აფრიკაში, ითვლება კატა. ველების კატა, წინაპარი ჩვენი კატისა, რომელიც ჩვენი შინაური კატისაგან უფრო ნაკლებ განსხვავდება, ვინემ შავკანიანი განირჩევა ევროპიელისაგან. მაგრამ ყველაზე უფრო მალა მანც კურდღელს აყენებენ და იმის გამოსახატავად, თუ რაწდენად გემრიელია კურდღელი, ჩემთან მო-

\*) ნიაშ-ნიაშ, ბონგო, შილლუკი — აფრიკის ტომთა სახელებია.

საუბრე „დინკამ“ მიმართა ასეთ სახვით გამოთქმებს: „იცი, როგორ იქცევა დინკა, როცა კეტის მოხერხებული დარტყმით ის კურდღელს ჰკლავს, — ის ანთებს ცეცხლს, შესწევას ნადირს და მარტო შესანს-ლავს, სახლში კი ამას არ გაამხელს“.

„დინკა“ იმ თავიდანვე გატაცებით სწევდენ, დიდი ხნით ადრე მანამდე, სანამ ისლამის ხალხებთან დაიქვედნენ ურთიერთობას. ამისათვის სმარობდენ უზარმაზარ ყალიონებს. სხვილი ლერწამი გარკობილი იყო კვახის გოგრაში, რომელიც მუნდშტუკის დანიშნულებას ასრულებდა და ავსებული იყო წერილად დაქრილი ხის კანით, რომელსაც უნდა შეესრუტა ნარკოტიული ზეთები. ამ გვარად ნიკოტინის გამოცლა (დენიკოტინინზაცია) წარმოადგენს ძველს, ჯერ კიდევ აფრიკაში მიღწეულ გამოგონებას. მაგრამ აქ, რადგან თამბაქო ძნელად ხარობს, ხის კანი ასრულებს კიდევ სხვა დანიშნულებას. სახელდობრ ყალიონს ხსნიან და თამბაქოს ანაორთქლით გაუდენთილი მასსა იხმარება საღებად. მსგავსი მოსაწევი აპარატის მონუმენტალური სიმკვრივე აიძულებს ყველას, ვინც მით სარგებლობს, იჯდეს გაუნძრევლად ერთს ადგილზე. როგორც კი აპარატი ამუშავებული იქნება.

„დინკას“ სამოსახლოები გაშენებულია პატარ-პატარა, ჯგუფებად — დათვისილ მინდვრებ შორის რამდენიმე ქოხია ერთად აშენებული. სოფლები არაა, ხოლო მთელი ნახირი თითოეული ცალკე კუთხისა იმყოფება ერთ დიდ ჩიხში, რომელსაც ხარტუმელები ეძახიან „Murach“-ს (რაც ნიშნავს ნახირის დასასვენებელ ადგილს). ჩიხი ჩვეულებრივ მოთავსებულია „სორგუმის“ (Sorghum) მინდვრებს შორის. შუაგულში იმყოფება ოჯახის მამის ბინა, რომელსაც ორმაგი გალავანი აკრავს, მარცხნით ქალების საცხოვრებელი სახლი, მარჯვნივ კი ფართო და ლამაზი ქოხი, რომლის დანიშნულება ის არის, რომ მოათავსონ იქ ავადმყოფი ძროხები, რომლების მოვლა საერთო, ათასეულ თავისაგან შემდგარ ჯოგში ძნელი იქნებოდა. ქოხებთან ფარდულს ქვეშ გაკეთებულია კერა საქმლის დასამზადებლად, რომელიც დაფარულია ქარისაგან ნახევრად მრგვალი თიხის კედლით. პატარა გადაღობილი წარმოადგენს განყოფილებას თხებისათვის, რომელნიც სახლში არიან დატოვებული იმისათვის, რომ ყოველთვის შეიძლებოდეს რძით სარგებლობა.

„დინკას“ ქოხი უფრო დიდია და უფრო მეტი ხნით არის ნავარაუდები, ვინემ აფრიკის სხვა ხალხებში. დიდ ქოხებს აქვთ დიამეტრი 40 ფუტი; ქვევითა ნაწილი გაკეთებულია თიხისა და დაქრილი ჩალისაგან, სახურავს ქვეშ გადებულია აკაციის ტოტები და სხვა

მაგარი ჯიშის ხეები. სახურავის გასამაგრებლად „დინკა“ არ კმაყოფილდება მარტო ერთი ცენტრალური ზოძით, არამედ შუაზე სდებს ხეს ყოველ მხარეზე გაშვერილი ტოტებით. სახურავად იხმარება დაქანებით დაწყობილი ჩალა. მსგავსი შენობა სძლებს 8 ან 10 წლამდე, სანამ სავსებით არ ინგრევა მატლების მიერ გამოხვრის გამო. „ბონგოს“ ბამბუკისაგან აშენებული ქოხები ვერც სამ წელიწადს სძლებენ.

„დინკა“ უმთავრესად სხვილფეხა რქოსანი ჯოგის მოშენებას მისდევს; გარდა ამისა ბლომად ჰყავს ცხვარი და თხა. მიწის მუშაობას აქ სხვათა შორის მისდევენ, — თუმცა უიმისოდ ცხოვრებაც არ შეუძლიათ. ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ის ცუდათ არის განვითარებული. აქ განსაცვიფრებლად მრავალრიცხოვანი ჯოგები ჰყავთ. ეს რესურსები დაუშრეტელ სიმდიდრეს წარმოადგენენ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ნუბიელები ყოველწლიურად ათასობით ყიდულობენ და მიდენიან მათ. ამ სიმდიდრის თვალსაჩინო დამტკიცებას წარმოადგენენ უზარმაზარი მინდვრები, რომელთაც მთელი დღეები რომ იარო ვერ გაივლი, და ნახირის ბინები, რომელნიც ისევე ახლოა ერთი მეორისაგან, როგორც გერმანიის სოფლები. ზოგიერთი ეს ბინები იტევენ 10.000 ძროხას, — თანახმად ჩემ მიერ დათვლილ ბოძებისა, რომელზედაც ძროხებს აბამენ.

„დინკას“ ყველა ჩვეულებები და გამოცდილება დაკავშირებულია ნახირის გაშენებასა და მოვლასთან. მეტიც: ეს ცხოველები შეადგენენ რელიგიური თაყვანისცემის ობიექტს და ყველაფერი, რაც ძროხიდან გამოდის, ითვლება სილამაზისა და კეთილშობილების სათავედ: განავალი ხდება ნაცრად, რომელზედაც სძინავთ და შემდეგ ამ ნაცარს ხმარობენ, როგორც უმარულს. ძროხის შარდით ხელპირს იბანენ და ეს შარდი აუცილებელ საოჯახო ნივთს შეადგენს აფრიკის ამ ნაწილში, რადგან იგი სწევს მარილის მაგიერობას. უკანასკნელი გარემოება ამართლებს ჩვენს თვალში ხალხურ ჩვეულებას, რომელიც ძნელი შესათანხმებელია სისუფთავის ცნებასთან. ძროხას არასოდეს არ კლავენ; ავადმყოფ ძროხებს დიდი მზრუნველობით უვლიან, ამისათვის საგანგებოდ მოწყობილ ფართო სადგომებში; ხორცს ხმარობენ მხოლოდ იმ ცხოველებისა, რომელნიც ქირისა ან უბედურ შემთხვევისაგან დაიხოცნენ. თუ ვინმე იფიქრებს, რომ ეს ჩვეულებები, — რომელნიც აფრიკის მეჯოგე ხალხების უმრავლესობას აქვს, — თავის უფრო გარკვეულ ფორმებით წარმოადგენენ უკვე დიდიხნით აღრე გამჭრალ ძროხების კულტს, რომელიც, როგორც თვით ჯოგების ბუნება, იქნებ ინდოეთიდან მომდინარეობს, ან პირ-

ქით შეტანილი იყო ინდოეთში, მე მინდოდა მიმეთითებინა მისთვის იმ გარემოებაზე, რომ „დინკა“ არასოდეს არ იტყვის უარს მონაწილეობა მიიღოს ნადიმში, სადაც ძროხის ხორცი იქნება, მხოლოდ ეს ხორცი მისი საკუთარი ძროხის არ უნდა იყოს. ამნაირად ანგარების მოყვარება ხდის მათში ძროხას თაყვანისცემის საგნად. აუწერელია აგრეთვე მწუხარება და დიდი დაღონება, ვისაც ძროხა მოუკვდება ან ვისაც უტულო უტხოვლები მოსტაცებენ ძროხას. ასეთ შემთხვევაში „დინკა“ მზად არის ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოს შის დასაბრუნებლად, რადგან ძროხა მას ცოლსა და შვილებს ურჩევნია. მიუხედავად ამისა მკვდარი ძროხა არ იკარგება, ამისათვის ზანგი არ არის საკმაოდ სენტიმენტალური; გარეშე პირები ამ გარემოებას სიხარულით ზედებიან, მეზობლები აწყობენ ნადიმს, რაც დიდ ამბავს შეადგენს „დინკას“ ერთფეროვან ცხოვრებაში; მაგრამ ხარობენ მხოლოდ მეზობლები, თითონ პატრონი კი იმდენად არის შეძრწუნებული, რომ საკუთარ ძროხას ვერ მიუკარება. ხშირად ეს უბედურები მრავალ დღეების განმავლობაში განიცდიან მწუხარებას და ადამიანებს ერიდებიან. ასეთი უბედურება რაღაც აუტანელ რამედ ითვლება.

ჯრთადერთი შინაური ცხოველები, რომელსაც ზანგი ჰკლავს — ეს არის თხა, რომილს ღირებულება უდრის ძროხის ღირებულების 1/10. (თუ ხბო ღირს ხარზე სამჯერ მეტად, მაკე ძროხა ორჯერ მეტად ფასობს). პირუტყვის დაკვლა ხდება სულ განსაკუთრებული წესით, რომელსაც მისდევენ აფრიკის ამ ნაწილში აგრეთვე ყველა დანარჩენი ხალხები იმ შემთხვევაში, როცა დაკვლა აუცილებელია. მაგარი დარტყმა შუბით კისერში უეცრივ სიკვდილს იწვევს: მთელი ცონდა იმაში გამოიხატება, რომ მოხერხებულად დაარტყან შუბი.

## § 18. ზანგთა მუშის სასახლე

(კარლ ვეილდ)

მატოლის სახლი მეტად ლამაზი შენობაა. მთელ შენობას ირგვლივ, თავის თავად ცხადია, შემოვლებული აქვს აუცილებელი აივანი, რომლისთვისაც სახურავის ბოლოები შორს არის წინ წაწეული. ეს აივანი მთელი ფუტის სიმაღლეზეა მიწას ზევით, რათა დაცულ იქნას იგი წვიმისა და ყოველგვარ მწერ-ქვეწარმავალთაგან. მატოლა აქ ყოველდღიურად აწარმოებს სასახლის მიღებებს. ჩემთვის ეს საინტერესოა, მაგრამ არც ისე სასიამოვნოა, რადგან მიღების ადგილი ჩემი ბანაკიდან დაშორებულია 25 მეტრით და ზანგებს აგრე რიგად არ უყვართ დაბალი ხმით ლაპარაკი. პირდაპირ სასოწარკვეთილებას ვეძლევი, როცა სცენაზე

ქალები გამოდიან, რათა მონაწილეობა მიიღონ საერთო თათბირში ანდა თავი დაიკვიან სასამართლოს წინაშე ბრალდებებისაგან.

მატოლას სახლის მოკულობასთან შეხამებული არაა მისი შიგნითა მორთულობა. მთელი წინა კედლის გასწვრივ პირველ ყოვლისა გაკიშულია გრძელი ვიწრო სადგამი, საღამოს დასასვენებელი ადგილი, როგორც მას თითონ მატოლა ეძახის, სადაც სახლის მდგმურები და სტუმრები თავს იფარვენ საღამოობით დარის ცვალებადობისაგან. ერთდ-ერთ მორთულობას წარმოადგენს კიტანდა, დასაძინებელი გრძელი სკამი, რომელიც გაკეთებულია ზღვის სანაპირო ქვეყნებში შემოდებულ საწოლების ყაიდაზე. სახლის დანარჩენი ნაწილი უკირავს 3 ოთახს 25 კვადრატული მეტრის ფართობით. ორი განაპირა ოთახი დანიშნულია დასაძინებლად, რასაც მოწმობს იქ მოწყობილი საწოლი და ნაცრის გროვები, შედეგი დიდი ცეცხლისა, რომელიც აქაურებს მთელი ღამის განმავლობაში უნთიათ საწოლის ახლოს. ამ ორ ოთახში შესვლა შეიძლება მხოლოდ შუა ოთახიდან: ფანჯრები არ არის და ამიტომ იქ ისე ბნელა, რომ თვალში თითს ვერ მიიტან. შუა ოთახი სამზარეულოდ იმზარება; მაგრამ რამდენად პირველყოფილია და მარტივი მატოლას კერა იმასთან შედარებით, რაც ჩვენ ვნახეთ მის კოლეგა სუხასთან. სუხას ჰქონდა ტენიკურად სწორი შენობა შესაფერი მასალისაგან გაკეთებული: მთელი სისტემა ქვის ლორწინებისა და კურკლებისა, საკმლის მოსახარმად და ნოსამზადებლად; მატოლასთან კი იყო გამჭრალ ნაკერცხლების გროვა და ამ გროვაში მოსჩანდა ორიოდე კაცის თავის ოდენა ჯამი, რომელმაც იმ ადგილს აღნიშნავდა, სადაც სამეფო სადილი იქნა მომზადებული და, მიუხედავად ამისა, ტომის მბრძანებელს ნამდვილი მდიდრის სახელი აქვს გავარდნილი აფრიკელთა შეხედულებების მიხედვით, მატოლა ითვლება ისეთ კაცად, რომელსაც სახლში შენახული აქვს მრავალი ბრკვეიალა რუპი.

მაგრამ სამაგიეროდ მით უფრო საინტერესოა მატოლას სახლ-კარი. სახლის მორთულობის სიღარიბე უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა მატოლას ჩემი პირველი სტუმრობის დროს და ამიტომ მან მეტი სიამაყით წამოიყენა მე სახლის უკანა ნაწილში. მას სრული საფუძველი ჰქონდა სიამაყისათვის. მთელი უკანა კედელი დაფარული იყო ჩამოკიდებული სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის კურკლებით, აქ იყო სკის მსგავსი კურკლები ქერისა და სიმინდისათვის; ისინი კაცის სიმაღლეს აღწევდნენ; ბევრად უფრო დაბალი იყო იქ დადგმული ცილინდრიული კურკლები ტკბილი ფესვეულებისა, მუხუდოსა და ცერცვისათვის; და ამ დიდ კურკლებს შორის ნახევარ სიბნელეში მოსჩანდა ხის კანისა და თიხისაგან გაკეთებულ უფრო პატარა კურკლები: ამათში უნდა შენახულიყო მეორეხარისხოვანი საკვები მცენარეულობა. ყველა ეს კურკლეულობა დაკულია, მკენებელ ცხოველთა და ატმოსფერულ გავლენისაგან, თიხის სქელი ფენით. ჩვიხედოთ დიდი სწორკუთხოვანი ეზოს უკანა ნაწილში, რომელიც მალალი გალავენით არის დაფარული გარეშეთა მებეზარი თვალისაგან, და ჩვენ აქაც ვნახავთ ფართო და წინდახედული განმკარგულებლობის საბუთებს, რადგან აქაც ყველაფერი შეხამებულია ახლად შეგროვილი მოსავლის შენახვასთან შემდეგი წლის მოსავლამდე. ყველგან მარცვლეულობის კურკლები როგორც დიდები, ისე პატარები, მაგრამ ყველა ამათ შორის მოსჩანს უზარმაზარი ბეღელი, რომლის ქვეშ რამდენიმე დედაკაცი ფუსფუსებს კერასთან, მთელი უზარმაზარი ხხენი კი სასხვა თავთავედით და პურეულ მცენარეთა ძნებით. ხოლო თუ ვახვალთ ეზოდან აღმოსავლეთის ალაყაფის კარებით, წააწყდებით გრძელ ბოგირს, რომელიც გალავენის მოპყვება სიგრძეზე და სიმაღლით 2 მეტრს აღემატება. ის დაყრდნობილია ბოძებზე, მისი

განი 2 მეტრზე დიდია. თუმცა სთვებს შემდეგ დიდი ხანია გასული, მაგრამ მოკილ თავთავების დიდი რაოდენობა კიდევ მზეზე გასახმობად. დაბოლოს თუ გაივლით სასახლის ირგვლივ იმ ადგილისაკენ, სადაც სახურავის მარცხენა მხარეა დაშვებული, თქვენ მოულოდნელად თვალწინ წარგიდგებათ მთელი სამეურნეო სისტემის გვირგვინი — მართლაც რომ გიგანტიური მოცულობის ბე-  
 ლელი, უქველად ძალიან რაციონალური კონსტრუქციისა. ის აშენებულია ბო-  
 ძებზე, როგორც ყველა სხვა მარცვლელულობის შესანახი ნაგებობა; მაგრამ მაშინ, როცა ჩვეულებრივ იატაკი იმყოფება მიწიდან მხოლოდ 50 — 70 სანტიმეტრის სიმაღლეზე და წარმოადგენს ფართობს ერთიდან ერთნახევარ მეტრამდე, ეს გი-  
 განტი ადამიანის სიმაღლეს ორჯერ აღემატება და ფართობი მისი უდრის 3 — 4 მეტრს მაინც. პლატფორმა-ბოგირზე დაყრდნობილია, ასე ვთქვათ, თვით მარ-  
 ცვლელის ჩასაყარი, ის საკმაოდ ღრმა და დიდი მოცულობისაა, ყველაზე უფრო კი ჰგავს ევროპაში ლუდის სახდელად ხმარებულ ქვაბს. ამჟამად ის ნა-  
 ხევრად საესეა ქერის თავთავებით და ამის გამო არაა დაკეტილი, როგორც ეს საკიროა; ამის ზემოდ კი გაკეთებულია ჩვეულებრივი სახურავი, რომელიც შორს არის წინ წაწეული და მაგრად აწევბა ბელელს თავისი სიმძიმით.

## § 17. ესკიმოსების ცხოვრება

(Rink \*)

ესკიმოსის არსებობა საესებით დამოკიდებულია ზღვის ძაღლებისა და ვე-  
 შაპის მაგვარ ზღვის ცხოველების დაქერაზე, რის გამო ეს ხალხი მუდამ ზღვის  
 პირად ცხოვრობს. ორივე ცხოველი, უმთავრესად იმით, რომ ქონს იძლევა, ხოლო  
 ზღვის ძაღლი კიდევ ტყავით ნებას აძლევს ესკიმოსს ებრძოლოს შკაცრ ჰავს  
 და იშოვოს საზრდო მიუხედავად ყოველგვარი მცენარეულობის უქონლობისა.  
 მხოლოდ ეს აძლევს ესკიმოსს საშუალებას იცხოვროს უკიდურეს ჩრდილოეთში,  
 ისეთს ქვეყნებში, რომელს იქით პოლიარული ქვეყნების არც ერთი მკვლევარი  
 არ შეხვედრია ადამიანის კვალს. ზღვის ძაღლი რომ არ იყოს, აქ ცხოვრება შე-  
 უძლებელი იქნებოდა. ამ ცხოველებს ნაწილობრივ კიაიკებიდან, ე. ი. ერთნაირი  
 ნაგებიდან იქერენ, ან პირდაპირ ყინულიდან, ან კიდევ პირდაპირ ნაპირიდან.  
 როგორც სათევზაო მოწყობილობა, რომელიც მეტად თუ ნაკლებად დამახასია-  
 თებელია ესკიმოსისათვის, ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ: 1) კაიკები ანუ ნაგები,  
 რომელშიაც ხის ნაწილები შეერთებულია უმთავრესად ღვედებით; ამ ნაგებს  
 გადაკრული აქვს ზღვის ძაღლის ტყავი, რომელშიაც წყალი ვერ გადის; 2) თითონ  
 ნაგის მოწყობილობა, რომლის მიზანია დამალოს ნაგში მდგომი მონადირე ისე,  
 რომ არც ზღვის ძაღლმა შეამჩნიოს და არც წყალი მოხედეს; მხოლოდ ზოგიერთს  
 აქვს ესკიმოსებში ისეთი კიაკი, რომელიც ერთ კაცზე მეტს იტევდეს; კიდევ  
 უფრო არაიშვიათია შემთხვევები, როცა უკიდურეს ჩრდილოეთში გხვდებით  
 ესკიმოსები, რომელთაც სულ არ აქვთ ნაგები, რადგან ზღვა აქ მუდამ ყინულით  
 არის დაფარული; 3) ჰაერით გაბერილი ბუშტი, რომელიც მიმაგრებულია ჩან-  
 გალსა და ჯოხზე. ამ მოწყობილების მიზანია ცხოველების გაჩერება-დაკავება-  
 მათთვის გაპარვის საშუალების წართმევა მას შემდეგ, როცა გასროლილი ჩან-

\*) §§ 10, 11, I თავში და 6 — 14 II თავში ამოღებულია ი. კოლუბოვი-  
 სკის ქრესტომატიიდან — „პირველყოფილი მეურნეობა“.

გალი ნიშანს მოხვედრილია და თუ ჩანგალი (კვილთი) ნიშანს ვერ მოხვდა, მაშინ მისი გადარჩენა ჩაძირვისაგან; 4) მოხერხებული საშუალება ამგვარ იარაღზე და შუბებზე მიამაგრონ წვეტიანი საგანი. რთაც საბოლოოდ კლავენ ცხოველებს ისეა იარაღი მოწყობილი, რომ როცა მას სხეულზე ატაკებენ ცხოველს, წვეტიანი ბოლო (კავი) შორდება ტარს, ასე რომ უკანასკნელი ან სასენებთ განთავისუფლდება, რის გამო მხოლოდ თოკი ბუშტთან ერთად რჩება ნადირს ტანზე მიმაგრებული ან და ჩამოკიდული რჩება წვეტთან. ასეთი სიფრთხილე იმისთვის არის საჭირო რომ უამისოთ აგონიის დროს ცხოველი გასტეხდა ტარს ანდა ამოიგლეჯდა კავს ტანიდან; 5) მარხილი ძაღლებით, რომელნიც მიჩვეულნი არიან მარხილში გაბმას და მის გაწევას.

ესკიმოსების სადგომები ყოველთვის ორგვარია: საზაფხულო ფარდულები და საზამთრო ქოხი-სახლები. ფარდულებში, რომელშიც უნდა მოთავსდეს ათი, უფრო იშვიათად-კი არა უმეტეს 20 კაცისა, დამაგრებულია ბოძებზე, რომელთა რიცხვი 10 — 14-მდეა. ერთი მხარე მალაა აწეული და ეყრდნობა ხის ჩარჩოს, რომელიც შესასვლელს წარმოადგენს. მთელი ეს ნაგებობა ტყეის ორმაგი ფენით არის დახურული. ფარდულები, როგორც ჩანს, ერთნაირად უნდება ყველგან, სადაც კი ესკიმოსები ცხოვრობენ და მეზობლების მსგავს შენობებისაგან იზოტი განსხვავდება, რომ უმეტესი სიმაღლე აქვს წინა შესასვლელთან და ამ ადგილიდან სახურავი ძირს ეშვება ყოველ მხარეზე და ყველგან ეყრდნობა დაბალ კედელს, აგებულს ქვებისა და ბელტებისაგან. მეზობლებს ფარდულებს კი კონუსის ფორმა აქვთ და ისინი შუაზე აწეულია. საზამთრო სახლები გაცილებით უფრო მრავალნაირია თავისი ნაგებობით. უმეტეს შემთხვევაში ისინი აგებულია ქვებისა და ბელტებისაგან. ხის ლარტყები და ბოძები ამაგრებენ სახურავის შუაგულ ნაწილს. მხოლოდ ცენტრალური ჩაიონის ესკიმოსები აშენებენ თავიანთ სადგომებს თაღებად დაწყობილ ყინულის ბელტებისაგან, მაშინ როდესაც დასავლეთის ესკიმოსები თავიანთ სადგომებს აშენებენ უმთავრესად ფიცრებისაგან, რომელთაც გარედან აფარებენ მწვანე ბელტებს. უკიდურეს ჩრდილოეთში მცხოვრებ ესკიმოსების ნაწილი იძულებულია ხის მაგიერ იხმარონ ქვა და ძვლები. რაც შეეხება სახლების მორთულობას შიგნით, უნდა აღინიშნოს, რომ შესასვლელი ხერელი ძალიან გრძელი და ვიწროა; ის შესაფერისად აწეულია წინიდან და უკანიდან შესასვლელ-გამოსასვლელთან; ასე რომ როცა სახლში შედიხართ, ვერ უნდა დაეშვათ და შემდეგ ისევ ზევით ახვიდეთ, სანამ შიდა სადგომში არ მოხვდებით; უკანასკნელი შესვლება ერთადერთი ოთახისაგან; მხოლოდ კედლებთან გაყოფილი გრძელი სკამები, დასასვენებლად და დასაძინებლად დაწინიებული, გაყოფილია განსაკუთრებულ ნაწილებად, რომელიც ცალკე ოჯახებს უჭირავთ. გრენლანდიაში ამ სკამს (brix — დაინურად) — უჭირავს სადგომის მხოლოდ ერთი მხარე. მისი სიგრძე შეთანხმებულია ოჯახთა რიცხვთან, რომელთა სადგომები ერთი მეორისაგან დაბალი შირმით განცალკევებულია; თითოეულ ამ განყოფილებაში იატაკზე, საწოლის წინ, სდგას განსაკუთრებული სანათური. ყინულისაგან გაკეთებული ქოხები, რომელთაც რგვალი ფორმა აქვთ, ცხადია, სულ სხვანაირად არის აშენებული; იგივე უნდა ითქვას დასავლეთის ესკიმოსების ფიცრულ ქოხების შესახებ, სადაც კერა მოთავსებულია შუა ალაგას სახურავში დატანებული საკვამლე ხერელის ქვეშ მსგავსად იმისა, რასაც ადგილი აქვს მეზობელ ინდოელებს შორის. მაგრამ სახლში შესასვლელთან ჩვეულებრივ ყველგან აშენებულია პატარა გვერდის სადგომი, რომელშიც მოწყობილია კერა. მარაგი ზოგჯერ ინახება სადგომებში, რომელნიც შეერთებულნი არიან საცხოვ-

რებელ ოთახთან ან ამ ოთახში შესასვლელი აქვთ; მაგრამ ისეც ხდება, რომ ცალკე საკუქნაოში ინახება, ან კიდევ გამოქვამულში, ორმოში და კლდეებში, რასაც ქვები აქვს მიჯარებული.

ტანისამოსი თითქმის ერთნაირი აქვთ როგორც მამაკაცებს, ისე დედაკაცებს. ის შედგება შარვლისა და ზედა ტანისაგან ქუდით, რომლის თავზე ჩამოცმა შეიძლება (ყოველ შემთხვევაში მამაკაცებისათვის); ტანისამოსი მაგრად აქვთ შემორტყნილი და გაქრილია მხოლოდ სახისა და ხელების გამოსაყოფად. ასეთივე ფორმა აქვს ზევითა ტანსაცმელს მენაეისათვის; მისი შიგნითა ნაწილი მკიდროთ ეკვრის იმ ნახერცს, რომელშიც კაცია მოთავსებული; ხელზე ტყავის თათმანები აქვთ, რომელნიც წყალგაუფალია; დეხზე იცემავენ საუცსოვოდ გაკეთებულ სხვადასხვანაირ ჩექმებს; ფეხსაცმელისათვის საქირო ტყავის დამზადებას ბევრი შრომა და გამტკიანობა ხმარდება.

ესკიმოსები უფრო მოზინადრე მცხოვრებლებად უნდა ჩაითვალოს, ვინემ მომთაბარებელად, რადგან ისინი ჩვეულებრივ ერთსა და იმავე ადგილზე ატარებენ ზამთარს, ერთ თაობაზე უფრო დიდხანს, ასე რომ სამშობლო ადგილებისადმი სიყვარული მათი სასიათის საკმაოდ ნათლად გამოხატული თვისებაა. წელიწადის სხვა დროს ისინი მუდამ მოძრაობაში არიან, ათრევენ რა თან თავიანთ ფარდულესს და მთელ თავიანთ მოწყობილობას. მოგზაურობის დროს ისინი ხელმძღვანელობენ სხვადასხვა მოტივებით, ჩვეულებრივ უპირატესობას აძლევენ ჩრდილოეთის ირემზე ნადირობას, მაგრამ არც ზღვის ძაღლების დევნას ანებებენ თავს და არც თევზაობასა და ვაქრობას; ამნაირად ისინი ხშირად ძალიან შორს მიდიან თავიანთ მოგზაურობის დროს; ხშირად დაბრკოლებები ელობებათ გზაში და ჩერდებიან ზამთრის გასატარებლად მანამდე, სანამ დანიშნულ ადგილს მიადგვიან.

რადგან თავიანთი ცხოვრებით ესკიმოსები უმთავრესად მონადირეები და მეთევზეები არიან, ამიტომ ისინი სხვა ხალხებს რომ შეადაროთ, უნდა აღიაროთ, რომ მათ მტკიცედ ჩამოყალიბებული საკუთრება არ აქვთ. თითოეული ფლობს მხოლოდ უსაკიროესი იარაღითა და მოწყობილობით და აგრეთვე სურსათ-მანოვავის ერთი წლისათვის საქიროზე ნაკლები მარაგით. ეს ქონება არასოდეს არ აღემატება იმ საზღვრებს, რომელიც ტრადიციით ან ჩვეულებითაა დაწესებული. ამ შეზღუდვისთან დაკავშირებით, — რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური ცხოვრებისა და მთელი წესწყობილებისათვის, რომელიც ამ ტომში ბატონობს, — შეიძლება აღენიშნოთ საკუთრების შედეგი სახეობა:

1) საკუთრება. რომელიც ეკუთვნის კავშირს, რომელშიც ერთ ოჯახზე მეტი შედის, მაგალითად, საზამთრო სადგომი, რომლის მთავარი რეალური ღირებულება მხოლოდ ტყის იმ მასალაში გამოიხატება, რაც სადგომის აშენებას დასჭირდა, რადგან სახლის ყველა დანაზრენი ნაწილი ისეთი მასალისაგან კეთდება, რომლის შოვნა ყველგან შეიძლება: იმის საშოვნელად საკმაოა ქალების შრომა.

2) საკუთრება, რომელიც კუთვნილებას შეადგენს ერთის ან უკიდურეს შემთხვევაში სამ მონათესავე ოჯახისა; მაგალითად, ფარდული და ყოველგვარი საშინაო მოწყობილობა, როგორცაა: სანათურები, კასრები, ხის ხონჩები, ქონის ქოთნები, ნავი, რომელზედაც შეიძლება მოთავსდეს ყველა ეს ნივთები ფარდულთან ერთად; მარხილი ან წყვილი მარხილი ძაღლების გაბმულობით (სამხრეთ გრენლანდიაში ჩვენ მარხილებს ვერ ვხვდებით). აქვე უნდა მივაკუთვნოთ სურსათის მარაგი ზამთრისათვის, რაც აუცილებელია საცხოვრებლად ორი ან საპი თვის განმეჯობაში; დაბოლოს სხვადასხვა გვარი, მაგრამ ყოველთვის მცირე



კოლხეობის მარაგი იმ საგნებისა. რომელნიც, გაცვლითი ეპრობისათვის არის საჭირო.

3) რაც შეეხება პირად საკუთრებას, ე. ი. იმას, რაც თითოეულ ცალკე პირს ეკუთვნის, აქ უნდა მოვიხსენიოთ: ტანისაშისი, რომელიც ოჯახის თავს მაინც, ორი ხელი აქვს; ორხელ ტანისაშისზე მეტი იშვიათად თუ ექნება ვისმეს; საკერაზე ხელსაწყო ქალებისათვის; კაიაკები მამაკაცების შესაფერი მოწყობილობით და იარაღით; სხვადასხვა გვარ ინსტრუმენტების მცირე რიცხვი, რაც სადურგლო სამუშაოსთვის არის საჭირო და ხმელეთზე საჭირო სანადირო იარაღი. მხოლოდ მცირე რიცხვს პირველ ხარისხიდან ზონადირებებისას აქვს ორ-ორი ნაეი. მხოლოდ ზოგიერთს აქვს ორი ხელი ხელსაწყო, სახელდობრ: დიდი სამთითი (ჩანგალი, კვილთი) სპეციალური ბუშტითა და თოკით; ჯოხი, პატარა სამთითა ბუშტით, რომელიც ტარზეა მიმაგრებული; შვილდ-ისარი ფრინველებზე სანადიროდ; შუბი უწყვერ-უკაოდ; სათევზაო ნივთები და სხვადასხვა უფრო წვრილი საგნები.

## § 18. დედაკაცის მდგომარეობა ახალ გვინეაზე

(Detzner)

დედაკაცებსა და ახალგაზრდა ქალებს ბევრი მუშაობა უხდებათ, პირველ ყოვლისა ყანაში. ისინი ეხმარებიან მამაკაცებს გაკაფული უღრანი ტყის ტოტების დაქრაში, მუშაობენ ქვის ცულებით. მამაკაცებთან ერთად მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე ტყის ამოწვაშიაც. თითქმის მარტო მათ უხდებათ გაკაფული ტყის გაწმენდა; შემდეგ უკვე კაცების დაუხმარებლად აწარმოებენ ისინი თესვას, ნათესის გაწმენდას სარეველა ბალახებისაგან, მკას და მომკილის სოფელში მიზიდვას. მაგრამ ყველაზე ძნელი და მძიმე სამუშაოს შესრულება — ხეების მოჭრა და ტოტების მოშორება მაინც მამაკაცებს საქმეა და იგინივე ჩიჩქნიან ჯოხებით ძნელად დასამუშავებელ ტყის ნიდაგას.

მაგრამ, რასაკვირველია, არა სათუთმა გრძნობებმა და რაივე ზნეობრივმა მოსაზრებებმა უკარნახეს მამაკაცებს ეკისრათ ეს ძნელი სამუშაო და ისიც ქალებისათვის არ დაევალებიათ. რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ველური არც ამ სამუშაოსაგან გაათავისუფლებდა დედაკაცს, მაგრამ მან კარგად იცის, რომ ქალი ამ სამუშაოს ვერ მოერევა და რომ ის სიმშლით მოკვდება, თუ ხეების წაქცევას და მიწის მოჩიქნას თითონ არ იკისრებს. ასეთი დაუძლეველი სამუშაოს დაკისრებით, ის სიკვდილის პირამდე მიიყვანდა თავის ცოლს და ამით დაჰკარგავდა იმ ქონებას, რომლის ხელში ჩასაგდებათ დიდი სასყიდლის გამოღება დასჭირდა თავის დროზე. მაგრამ ის არ დაგიდევს, თუ ამოკლებს თავისი მეუღლის სიცოცხლეს, რადგან არ სურს ზილის

სათბობი მასალა, რომელიც ყოველდღე სჭირდება; ის მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში მოჰკიდებს ამ საქმეს ხელს — როცა მოწყენილია ანდა ზეტად კარგ გუნებაზეა. ღმერთმა ნუ ჰქნას: შეიძლება ვინმემ დაინახოს ის ამ დამამცირებელი მუშაობის დროს. და მუდამ ერთი და იგივე სამწუხარო სანახაობაა: ფიჩხის არა ჩვეულებრივი დიდი ტვირთით და ასეულ მოზრდილ ნაყოფით დატვირთული და ზემოდან კიდევ ბავშვით ზურგზე, მილასლასებს დედაკაცი მოზრილი, კენესით, სახლში სოფლისკენ, რომელიც არც ისე ახლოსაა.

როგორ ხშირად აღძრულა ჩემში აღშფოთება იმის გამო, როცა აქაურები ოჯახობით ბრუნდებოდნენ სახლში, მისიაში თავიანთ სოფლის ნაწარმოებზე გადაცვლით მიღებული მარილით, ტყავითა და სხვა ძვირფას პროდუქტებით. წინ კენესით მიდიოდნენ ქალები მძამე ტვირთის ქვეშ; ისინი ჩერდებოდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ ძუძუ ეწოებიანთ ბაღებისათვის; უკან ნელის ნაბიჯით მიდიოდნენ მამაკაცები თუთუნის წვეითა და მუსაიფით; მათ თან ჰქონდათ მხოლოდ იარაღი და მსუბუქი ბოხჩები ზოგიერთი ჯაოჯახო ნივთებით. არც ერთი იმათგანი არ ფიქრობდა თუნდაც ცოტა ხნით შესცლოდათ მძიმე ტვირთის ქვეშ მიმავალ დედაკაცებს. ამპარტავენობა ნებას აძლევს ველურს ასე მოიქცეს. ამპარტავენობა, რომელსაც უფრო მალა აყენებს, ვინემ ცოლის შესაძლებელ დაკარგვას, თუმცა ეს უკანასკნელი დიდი ფასით ჰყავს შეძენილი.

## § 19. ქორწინების მომდევნო საფუძველი

(გ რ ო ს ს ე)

ჩვენი მორალის მქადაგებლები ყველაზე მეტს მხოლოდ იმაზე ჰფიქრობენ, რომ თავიანთ თანამედროვეთ უსაყვედურონ: ცხოვრების თანამოგზაურის არჩევის დროს ურთიერთი სიყვარულის შესახებ ნაკლებად ჰფიქრობენ და პირველ ადგილას სამეურნეო ინტერესებს აყენებენ. ჩვენი მორალისტები სინამდვილეში სავსებით მართალნი არიან, მხოლოდ მათ ავიწყდებათ ის, რომ ამ მხრით ყველა ხალხები არა თუ არ იყენენ ჩვენზე უკეთესები, არამედ უარესებიც იყენენ. იდეალური ქორწინება სიყვარულით უფრო იშვიათი გამონაკლისია, მაგრამ ასეთი ქორწინება ჩვენ შორის უფრო ხშირია, ვინემ წინანდელ თაობათა ან სხვა ხალხებს შორის, სადაც ცოლქმრული შეუღლების დროს არაოდეს არ ყოფილა დაშვებული ურთიერთისადმი სიყვარულის მოსაზრებანი იმ გაგებით, რომელსაც ჩვენს დროში აქვს ადგილი. ყველგან სამეურნეო ინტერესები შეადგენდნენ ქორწინების საფუძველს, თუმცა არა ისეთი მორიდებული სამოსლის ქვეშ, რომელიც ესაპირებდა ისეთ სათუთ ქმნილებას, როგორც თანამედროვე ადამიანია. პირველ ყოვლისა, ვინც კი დაქორწინებას აპირებს, თავისი თვალსაზრისით ისე უიქტროს იმას, ვისთანაც შეუღლებას აპირებს, როგორც სამუშაო ძალას. ავსტრალიელი თავის ცოლებს აკისრებს ყოველგვარ ზრუნვას საზრდოს მოპოებისა და

სხვა სამსახურის შესახებ. რაც უფრო მეტი ცოლი ჰყავს მას, მით უფრო სასიამოვნოდ ატარებს ის ცხოვრებას. კოლუმბიაში სასიძო ყოველთვის უპირატესობას აძლევს ისეთ საცოლეს, რომელიც მუშაობისათვის უფრო გამოსადეგია; თურქ-მენები ახალგაზრდა ქვრივებში ორჯერ მეტს აძლევენ, ვინემ ახალგაზრდა გაუთხოვარ ქალებში, რადგან პირველნი უფრო გამოცდილნი და მოხერხებულნი არიან საოჯახო საქმეებში. დიდათ განათლებული ბერძნებიც კი ცოლის შერთვის საქმეში მსგავს საზომს იყენებდნენ, რასაც მოწმობს დემოსთენი შემდეგ სიტყვებში: „ჩვენ გვყავს ცოლები იმისათვის, რომ კანონიერი შვილები დაბადონ და საოჯახო საქმეებზე იზრუნონ“. ჩინეთში დღესაც უპირატესობა დედაკაცის ამტანობას ეკუთვნის. რასაკვირველია, იმ ხალხებში, რომელთაც მზითვის ჩვეულება აქვთ შემოღებული, ყურადღებას იმას კი არ აქცევენ, თუ დედაკაცი როგორია, არამედ იმას, თუ რამდენი მზითვეი აქვს მას. სინამდვილეში ყოველთვის და ყველგან ადგილი ჰქონდა ჭორჭინებას სიმდიდრის შესაძენად და უკვე საკმაოდ არის შენიშნული, რომ ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში მოსახლეობის სწორედ ის კლასი, რომელსაც ჩვენებური მორალისტები ყველაზე საღად და ღირსეულად თვლიან — გლეხობა — სიმძიმის ცენტრს ხედავს იმ სამეურნეო პირობებში, რომელშიაც კოლქმრულ კავშირსა ჰკრავს. აგრეთვე დედაკაცი, რამდენადაც მას არჩევნის უფლება ეძლევა, სულაც არ აყენებს უკანასკნელ ადგილზე თავისი ქმრის ქონებრივ შეძლებას. ზოგიერთ, განვითარების დაბალ დონეზე მდგარ ხალხებში, საქმრამ უნდა გამოსცადოს თავისი მომავალი ცოლის მეურნეული უნარიანობა; ხოლო ქალიშვილი, რომელიც ღარიბ ახალგაზრდაზე უფრო მაღლა მდიდარ მოხუცს აყენებს, ყოველ შემთხვევაში ახალი დროის კულტურის მოვლენას არ წარმოადგენს. მაგრამ დედაკაცი თავისი ქმრისაგან სარჩოს გარდა მფარველობასაც მოელის. ამიტომ სწორედ მეომარ ტომებს შორის განსაკუთრებით აღასებენ საქმროს სამხედრო თვისებებს. ტომრას ატაპუებს შორის ცოლის შერთვის ნებართვა ეძლევა მხოლოდ იმას, ვისაც შვიდი მტერი ჰყავს მოკლული. გალას ტომის ახალგაზრდა მხედარმა უნდა მიუძღვნას თავის საცოლოს მოკლული მტრის სხეულის რომელიმე ნაწილი, როგორც საბუთი თავისი ვაჟკაცობისა. მაგრამ სხვაგვარ ურთიერთობის დროსაც, როცა არსებობისათვის ბრძოლა უფრო ნაკლებად ტლანჭი ფორმით სწარმოებს, ქალის სიყვარული იმავე მიზნებით შეიძლება მოიპოვოს კაცმა თავისი სოციალური მდგომარეობით ან და სხვების წინაშე გონებრივი უპირატესობით.

## § 20. სოციალური დიფერენციაცია

პირველყოფილ ურდოს, — ჩვენ მას ვფიქრობთ პირველყოფილ ტომს, — რომლის წევრთა ნაწილი, როგორც ჩვენ დავინახეთ, შეიძლება მიეკუთვნოს საკუთრივ მწარმოებელთა რიცხვს, უნდა განევითარებია თავისი მოღვაწეობა სხვადასხვა მიმართულებით, რათა თავი დაეღწია საზრდოს შემადგენლობის ერთფეროვანებისაგან. შეუძლებელი იყო ნადირობის ხერხებისა და სანადირო იარაღების გამოყენება ნადირთა ერთ რომელსამე ჯიშზე, შეუძლებელი იყო ტენიკურ გაუმჯობესებების მიღწევა მხოლოდ ერთი რომელსამე მიმართულებით და უკუგდებული ყოფილიყო ნადირობისა და საზრდოს

მოპოვების ყველა სხვა საშუალებები. რა რიგ მცირეც არ უნდა ყოფილიყო მისი რიცხვი, ურდო უნდა დანაწილებულიყო რამდენსამე ცალკე მწარმოებელ ჯგუფებად და თავისი ძალები დაექუცმაცებია. ამის გამო ურდოს პროდუქტიულობა საერთოდ დაბალ დონეზე იდგა.

მიუხედავად ამისა, ურდოს კოლექტივი მაინც ერთ მთლიანს სხეულს წარმოადგენდა, რამდენადაც მომთაბარეობის დროს ყველას შორის დაცული იყო მჭიდრო კავშირი და დროებით გასაჩერებელ სადგომ ადგილებშიაც ჩვეულებრივ ერთად იყვნენ.

დროთა ვითარების გამო ეს წონასწორობა, რამდენადაც ლაპარაკია ასეთის შესახებ, შეიძლება დარღვეულიყო. ასე, მაგალითად, რომელსამე ურდოს სანადირო ადგილას, ნადირთა რომელიმე ჯიში, მაგალითად, კენგურუ ბლომად არის და ყველაზე უფრო მოხერხებული და თავგამოდებული მონადირეები ყოველდღე ნადირობენ ამ ჯიშზე. მათ გამოიგონეს ან განავითარეს სასროლი ხელსაწყო (ბუმერანგი) და დიდ დახელოვნებას მიაღწიეს მის ხმარებაში, სხვა საქმიანობამ საზრდოს მოპოებაში ამგვარ ნადირობასთან შედარებით უკანასკნელი ადგილი დაიკავა. მაგრამ რადგან კენგურუს ხორცის მისაღებად ურდოს დანარჩენი წევრები იძულებულნი იყვნენ მიეცათ სამაგიეროდ რაიმე თანასწორი ღირებულების საგანი, ამიტომ ნადირობის მიმდევარ მამაკაცთა გარდა დანარჩენი ნაწილი შეუდგა საზრდოს ძებნას სხვა მიმართულებით და იძულებული შეიქნა ადგილმდებარეობითაც მოშორებოდა კენგურუსზე მონადირეთა ჯგუფს, რომელნიც იქნებ შეუერთდნენ სხვა კლანებს და შეჰქმნეს ახალი ურდო, ამოირჩიეს ადგილი, სადაც ბლომად იყო ის ნადირი, რომელზე ნადირობაც მათ თავის მოღვაწეობის ობიექტად გაიხადეს. სიტყვა „კლანი“ აქ ნახმარი გვაქვს პირობითი მონადირეთა ნადის მნიშვნელობით. ამგვარად ჩვენ აქ ვხედავთ ერთგვარ დასაწყისს შრომის განაწილებისა, რომელიც გარეგნულად ტომების დაქუცმაცებაში გამოიხატება. ჩვენ უკვე ვეღარსად ვპოულობთ ავსტრალიელთა ტომს თავისი პირველყოფილი სახით, როცა ის, ჯერ კიდევ დაუქუცმაცებელი ურდოს სახით, 50-100 კაცისაგან შემდგარი, ჰფლობდა დიდ სანადირო იდგილს და მუდამ გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე. განვითარების სულ უფრო დაბალ საფეხურზე, რომელსაც ჩვენ ავსტრალიელებს შორის ვხვდებით, მათში მაინც ჩამოყალიბებულია ტომი, ე. ი. ცოტად თუ ბევრად მოზრდილი რაიონის ფარგლებში მცხოვრები ერთგვარი მოსახლეობა, რომელიც შიგნით ხასიათდება მარტო დიალექტების განსხვავებით და შესდგება მხოლოდ განსაზღვრული

რიცხვის დამოუკიდებელ ურდოებისა ან რაზმებისაგან, თითოული ურდო იჩემებს მთელი კუთხის რომელსამე ნაწილს, როგორც თავის კერძო საკუთრებას და მუდამ მის საზღვრებში მომთაბარეობს, აგებს რა, ხან იქ, ხან აქ თავის საცოდავ აჩალუხს — სადგომს; ეს ურდოები ერთად შეიკრიბებიან დრო გამოშვებით მხოლოდ რაიმე დავის გადასაქრელად, — იარაღით იქნება ეს, თუ მოლაპარაკებით, — და საზოგადო ცეცვა-თამაშისა და დღესასწაულების მოსაწყობად.

ტოტემური <sup>1)</sup> სახელწოდება ჩნდება პირველად მხოლოდ როგორც დამატება ურდოს სახელისა, რომელიც ადგილობრივ სახელს წარმოადგენს.

დავუშვათ, რომ ზღვის სანაპიროს ახლოს მცხოვრები რომელიმე ტომი იშლება ისეთ ნაირად, რომ მისი უფრო მსხვილი განშტოება ყოველთვის ცოტად თუ ბევრად ეტანება, სანაპიროების ახლობელ მიდამოებს, მაშინ როდესაც მისი მეორე ნაწილი ნადირობას მისდევს ქვეყნის შიდა მხარეში. სწორედ ზღვის სიახლოვით გამოწვეულს ასეთ გათიშვას უნდა ჰქონოდა ადგილი უფრო ხშირად: ის შეიძლება აღინიშნოს, მაგალითად, ადამიანის და სხვა კუნძულების მცხოვრებთა შორის და ამასვე მოწმობს საშაზარეულოს ნაშთების ან ხანმანწყების გროვების პერიოდის ადამიანთა საქმლის ნარჩენები — გერმანიისა და დანიის სანაპიროებზე.

ამგვარ მაგალითს ავსტრალიაში წარმოადგენს ტურრა ანუ ატმატურა, რომელიც დასახლებულია იორკის ნახევარ კუნძულზე სამხრეთ ავსტრალიაში, სპენსერის ყურეს აღმოსავლეთით. ესენი გარყვენ ორ მთავარ ჯგუფად, რომელიც შემდეგში კიდევ გაიყო რამდენსამე ურდოდ, რომელთაგან თითოული ჰყოლობდა თავის საკუთარ ტერიტორიას და დროთა მსვლელობაში ღებულობდა საკუთარს, საზრდოთ დანიშნულ ცხოველს (ტოტემური ცხოველი) მასზე უპირატესი ნადირობის უფლებით.

მთელი მხარის ჯგუფის ნაწილები, თავ-თავისი ნადირობის საგანთა მიხედვით სახელდებულნი, ჰყოლობდნენ შემდეგ ტოტემებს: ვომბატ, ვალლაბი, კენგურუ, ზვლიკი, იგუანი, გველი, ბანდიკოტი, შავი მელია, ყვავი, მთის ვალლიაბი და ემა. ზღვის ნაპირას მცხოვრები ჯგუფები კი თავისად თვლიდნენ შემდეგ ტოტემებს: გარეულ ბატს, წითელ წვერას, კიბოს, აკულას (ნათელ თევზას) და ლლავს.

ამჟამად ტურრას მომეტებული ნაწილი მოყოლია მისიების მეურვეობის ქვეშ (1880 წ.). წინად კი თითოულ ტოტემურ ურდოს ჰქონ-

<sup>1</sup>ტოტემი — პირველყოფილი ხალხების საზოგადოებრივი ჯგუფი.

და თავისი საკუთარი რაიონი და დამოუკიდებელი მმართველობა. დო როგორც ეტყობა კიდევ უფრო ადრე მოხდა პირველყოფილი ურდოს გაყოფვა კონტინენტალურ და ზღვის სანაპიროების მცხოვრებლებად: ვილტუს (ქორ-არწივის) და მულტას (ზღვის ღორის) ჯგუფებად (112).

აქ, როგორც ყველა ველურ ხალხებში, რომელთაც ასეთი ორგანიზაცია აქვთ, ტომის ერთი ნაწილის მამაკაცებს შეუძლიათ იყოლიონ ცოლები მხოლოდ მეორე ნაწილიდან. მაშასადამე, ტურრას ტომში ვილტუ-მამაკაცს შეუძლია ცოლად იყოლიოს მხოლოდ მულტა დედაკაცი და მულტა მამაკაცს — მხოლოდ ვილტა-დედაკაცი. ამგვარად ჩვენ საქმე გვაქვს ორ მთავარ ეკზოგამიურ ჯგუფთან.

როგორც სჩანს, ოდესღაც ტურრა, როცა ის ჯერ კიდევ იყო პირველყოფილი ურდო ან ტომი, გაიყო ორ ურდოდ, რომელთაგან ერთი ზღვის მიდამოებში დაჩნა საცხოვრებლად, მეორე კი წავიდა ქვეყნის შუაგულისაკენ და ნადირობას მოჰკიდა ხელი. გათიშვა, მაშასადამე, ერთსა და იმავე დროს იყო შრომის განაწილების აქტი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა შემთხვევებში ერთგვარად უნდა მრმხდარიყო ცვლილება, ე. ი. პირვანდელი ტომის მის ნაწილებად დაყოფა: ორ მეზობელ ტომს შეეძლო მკიდრო კავშირში შესულიყო ერთი მეორესთან საქონლის გაცვლის მიზნით და ბოლოს და ბოლოს ერთი სამეურნეო სხეული შეექმნათ. ყოველ შემთხვევაში შრომის მოხსენებული განაწილება ყველგან მოხდა, თუმცა შეუძლებელია გამოცნობა, რატომ პირველად ყველა შემთხვევებში უსათუოდ ჯგუფები უნდა გაჩენილიყო. შეიძლებოდა, როგორც, მაგალითად, კურნაებს შორის გაჩენილიყო ხუთი მთავარი ჯგუფიც: ამან, რასაკვირველია, ხელი არ შეუშალა იმას, რომ შემდეგში მომხდარიყო ამ ჯგუფების შეერთება, ასე რომ კურნაები ბოლოს და ბოლოს შეჩერდნენ ორად გაყოფაზე. და ჩვენს შემთხვევაში არაფერი არ გვიშლის ხელს დაუშვათ, რომ ტურრას ტომში ერთბაშად მოხდა ორმაგი გაყოფა.

ამ გაყოფის შემდეგ საქონლის გაცვლა ყოველ შემთხვევაში ძალიან ჩქარა უნდა მოწესრიგებულყო. და თუ ის ჯერ კიდევ არ იყო რეგულარული, ეს იმას ნიშნავდა, რომ გაცვლა ქალებისა ძალიან იშვიათად ხდებოდა. უფრო საფიქრებელია, რომ საქმე იწყებოდა ცოლქმრული დამოყრებით და შემდეგ სულ უფრო და უფრო ხდებოდა სისხლის არევა თითოულ ჯგუფში მსგავსად ჩვენი ზღვის სანაპიროების მოსახლეობისა.

ამავე დროს შრომის განაწილება სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა. ლოქოების მკერელი მეთევზე აძლედა თავის ქალს ცოლად

კიბოების მკერელს ან ის ცოლად მიჰყავდა ველურ ბატებზე მონადირეს. ადგილობრივ ჯგუფებში გაჩნდენ ამხანაგობანი, რომელნიც ან-ეთარებდენ რომელსამე ცალკე წარმოებას უფრო და უფრო ფართო მასშტაბით, აქცევდენ თავის განსაკუთრებულ ყურადღებას რომელსამე ცხოველს და განაგრძობდენ მუღმიეს საქონლის გაცვლას სანაპირო მოსახლეობასთან. და აგრეთვე შიგნითა ქვეყნებთან. ქვეყნის შუაგულში მცხოვრები ტომის შიგნით შრომის განაწილების და ნათესაური დაახლოების პროცესი სწორედ ასეთივე გზით სწარმოებდა. და აი ორი მხრიდან იღვებოდა ნაბიჯი იმისკენ, რომ ურდოს სახელისათვის მიემატებიათ სახელი ტოტემისა, როგორც ფირმის ერთგვარი მარკა. მთავარი ჯგუფები სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდენ ერთმანეთს საქონლისა და ქალების გაცვლის წყალობით. მიუხედავად ამისა, თვითეული ჰქმნიდა თავისთავად კომპაქტიურ მასას, პირველ ყოვლისა თავისი საწარმოო საქმიანობის თვისებისა და მიმართულების ხასიათის მიხედვით.

ტომის შიგნით ფრატრიების <sup>1)</sup> შექმნა წინანდელის თანახმად უნდა ცნობილ იქნას დიდი მასშტაბით შრომის განაწილების აქტად. მხოლოდ ადვილი არ იყო ერთი მხარის მთელ რიგ ტოტემურ ჯგუფთა პროდუქტების მეორე მხარის ტოტემურ ჯგუფების რაც შეიძლება, მეტი ნაწილისათვის ხელმისაწვდომად გახდომა სანამ ტოტემური გაერთიანებები სრული ადგილობრივი განცალკევების მდგომარეობაში იმყოფებოდენ, ე. ი. სანამ თითოეული წარმოდგენდა განცალკევებულ ადგილობრივ ჯგუფს და ეკუთვნოდა მხოლოდ ერთ ფრატრიას, როგორც დიდს, მაგრამ ისეთსავე განცალკევებულ ადგილობრივ ჯგუფს. ჩვეულებრივ, მართალია, იქ გამოსავალს იმაში ჰპოვობდენ, რომ თითოეულ ტოტემურ გაერთიანებას (gens <sup>2)</sup>) ავალბდენ პირველ რიგში მიეცა ნაწარმოები ტომის მეორე ნახევრის ერთ-ერთი gens-ისათვის. რაკი მოხდებოდა თანასწორი განაწილება ორ მთავარ ჯგუფს შორის და რაკი ყველანი წყვილ-წყვილად იყვენ შეერთებულნი, ერთი ფრატრია შეერთებული ხდებოდა მეორესთან არა ერთი რომელსამე მხრით, არამედ ძალიან ბევრ შემთხვევაში. გასაცვლელ ნაწარმოებთა ტრიალის მთელ ჯამს ტომის ორსავე ნაწილს შორის უნდა გაეგლო იმდენი შემაერთებელი რგოლი, რამდენიც gentes <sup>3)</sup> იყო თითოეულ ცალკე მხარეზე. თითოეულ gens-სი პასუ-

<sup>1)</sup> უფრო წერილი (სამურწნეო) ნათესაური ჯგუფები, მეორე უფრო მსხვილი ჯგუფის შიგნით.

<sup>2)</sup> Gens — ჯგუფი, გვარო, უჯრედი.

<sup>3)</sup> Gentes — Gens-ის მრავლობითი რიცხვია.

ხისმგებელი იყო თავისი საკუთარი პროდუქტის მეორე ფრაქციისათვის მიწოდებისათვის, ხოლო თავისი ფრაქციის წინაშე პასუხს აგებდა მისი მომარაგებისათვის მეორე მხარის ერთი სპეციალური ჯგუფის მარაგებით. ამგვარად თითოული gens-ი ღებულობდა ან შეიძლო მიეღო დაახლოებით ყველაფერი, რისი წარმატებაც კი ტომის მიერ დაკავებულ მიდამოებში შეიძლებოდა. რადგანაც თითოული gens ერთსა და იმავე დროს „სისხლის ნათესაობის“ ურთიერთობაში იმყოფებოდა ტომის ნახევართან, ამის გამო ის უკვე ისედაც იმყოფებოდა ცოცხალ რეგულიარულ ურთიერთობაში მისი საკუთარი ფრაქციის gentes-თან.

ჩვენ იმას არ ვამბობთ, რომ პროდუქტების მოძრაობა და ერთი ტომის ფრაქციებს შორის კავშირი უსათუოდ ზემოდ აწერილი გზით უნდა მომხდარიყო; მაგრამ ის ცნობები, რომელიც ჩვენ გვაქვს ავსტრალიელ ტომთა სოციალური ორგანიზაციის შესახებ, შეტად სარწმუნოდ ხდის ამ ან ამის მსგავსი გზით განვითარების შესაძლებლობას. რაშია საიდუმლოება ყოველგვარი „სისხლის ნათესაობისა“, რომელიც მიეწერება საკუთრივ ტოტემურ გაერთიანებას და აგრეთვე ფრაქციას? რომ ჩვენ მსგავს შემთხვევაში საქმე გვაქვს ეკონომიურ ურთიერთობებსა და ორგანიზაციებთან, თავის თავად ცხადია და რაიმე განმარტებას არ საჭიროებს. ხოლო სისხლის ნათესაობა ყოველთვის მაჩვენებელია ამ ურთიერთობათა განსაკუთრებული უშუალობისა და ძველი საწარმოო ამხანაგობისა, რომელიც განმტკიცებულია არა მარტო ერთი ზანდაზმულობით. ეს, დაბოლოს, თავის დასრულებას ჰპოულობს სოციალურ და რელიგიურ ინტერესებში, ფაქტში, რომელიც, ბუნებრივად, წარმართავს ჩვენს გულისყურს მაღალი ასაკის კლასის მხარეზე.

ყოველი სისხლის ნათესაობის ნამდვილი საიდუმლოება უდაოდ ჩამარბულია საზოგადოებრივ და სამეურნეო ურთიერთობებში, რომლებშიაც იმყოფებიან გვარის უფროსები ერთმანეთის მიმართ. იმ ფარგლებში, რომლებამდეც აღწევს სისხლის ნათესაობის წრე, უხუცესნი, უნდა ვიფიქროთ, მხარს უჭერენ ერთმანეთს: კრებებზე ერთმანეთს აწვდიან საქმელს და სხვა საგნებს, არ ივიწყებენ აგრეთვე გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი მოსაზრებები შესახებ „მმართველობითი ხასიათის ზომებისა“, ასე რომ ისინი საჭიროდ თვლიან დაცვან თავიანთი ღირსება და ინტერესები არა მარტო წინააღმდეგ უმცროს ასაკის კლასებისა, არამედ სხვა ნათესავ წრეების წინააღმდეგაც. ასე, ჰავალითად სხვა ფრაქციის უხუცესთა წინააღმდეგ, უხუცესთა თითოული ჯგუფი, როგორც ცნობილია, ვალდებულია, საკუთარი



სისხლის ნათესაობის წრეში აღძრან „შვილები“ რათა რეგულიარული გამოსაღები აძლიონ ტომის მეორე ნახევრის უზუცესებს. აქ მუდამ უხდებთ აძლიონ რჩევა, აღმოუჩინონ დახმარება და ყოველთვის მზად იყვნენ. მაგრამ უზუცესთა საბჭოს დღის წესრიგის მთავარი მუხლი, რასაკვირველია, იყო სამუშაო ძალთა მიზანშეწონილი განაწილება დაქორწინების მოწესრიგების გზით. ამასთან ერთად უნდა ეწარმოებიათ დაკვირვება, თუ რამდენად მცირდება ნანადირების მარაგი ქვეყანაში და რა შემოდის ნადირობისაგან; რადგან აუცილებელი იყო ბუნებისა და ადამიანის საწარმოო ძალის სწორ დამოკიდებულებაში მოყვანა და მუდმივად თვალყურის დევნება რომ ეს ურთიერთობა არ დარღვეულიყო.

(ჰაინრიხ ეილდერმან — პირველყოფილი კომუნიზმი და პირველყოფილი რელიგია).

## § 21. პატრიარქალური წარმოების განმტკიცება

ფრატრიათა განსაზღვრული რიცხვი წარმოადგენს ტომს. ეს სოციალური ორგანიზაცია ისე გამძლე და მაგარი იყო, რომ როცა საგვარეულო წყობილება დაირღვა, იგი საუფუძვლად დაედვა მის ნანგრევებზე ახლად აღორძინებულ სახელმწიფოთა საშხედრო ორგანიზაციას.

ტომი იზრდება და იყოფა რამდენიმე ახალ ტომათ, რომელთაც ყველას ერთგვარი წყობილება აქვთ და ყველაში შეხვედებით უწინდელ საგვარეულოებს. მაგრამ უარსა ჰყოფს რა დაძმებსა და დედის ნათესაებს შორის სისხლის შერევას, საგვარეულო წყობილება ამით თავის თავს თვითონვე ანგრევს. სოციალური და ეკონომიური განვითარება ართულებს გვარეულობათა ურთიერთობის დამოკიდებულებას და სხვადასხვა გვარეულობის წევრთა შორის ქორწინების აკრძალვა შეუძლებელი ხდება, რის გამო საგვარეულო წყობილება თავისთავად ეცემა ან სრულიად ირღვევა.

სანამ ცხოვრების საშუალებათა წარმოება დაბალ საფეხურზე იდგა და მხოლოდ სულ უბრალო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა, მამაკაცისა და დედაკაცის როლში არსებითი გარჩევა არ იყო. მარა შრომის განაწილების ზრდასთან ერთად იზრდება, როგორც სამუშაო ხელსაწყობების, ისე თვით საქმის განაწილებაც. მეთევზეობა, ნადირობა, პირუტყვთა მოშენება. მიწათმოქმედება განსაკუთრებულ ცოდნას მოითხოვენ, მარა ამაზე უფრო თხოულობს ასეთ ცოდნას სხვადასხვა იარაღების და მასალების დამზადება, რომელნიც უმთავრესად მამაკაცების საკუთრებად გადაიქცნენ. ამით მამაკაცი მოექცა.

ეკოლიუციის სათავეში და სიმდიდრის წყაროს მესაკუთრე და ბატონი შეიქნა.

მაგრამ მრავალდება ხალხი და მასთან ერთად იზრდება მისწრაფება ვრცელ და საუკეთესო სახნავ-სათესი და საბალახო ადგილების დასაკუთრების, იზრდება ამასთანვე მოთხოვნილება სამუშაო ძალის და ამ ნიადაგზე იმართება ომები, ჩაღდება ბრძოლა. რაც უფრო მრავალია მუშა ხელი, იმდენად მეტი ნაყოფი მოაქვს, იმდენად უფრო მრავალ რიცხოვან ჯოგების მოვლა-მოშენება შეიძლება. ამან გამოიწვია პირველად ქალების მოტაცება, შემდეგ დამარცხებულთა და ტყვეთ წაყვანილთა მონებათ გადაქცევა, წინეთ კი ასეთებს ხოცავდენ. ამასთან ერთად ძველ საგვარეულო წყობილებაში შეიქრა ორი ელემენტი, რომელნიც მასთან დიდხანს ვერ მოთავსდებოდენ.

ამას სხვა რამეც დაერთო ზედ. როცა იარაღის, ხელსაწყოთა და სასროლ მასალის მოთხოვნილება საკმაოდ გაიზარდა, შრომის დანაწილებისაგან წარმოიშვა ხელოსნობა, რომელიც მალე დამოუკიდებელი შეიქნა და თანდათან ჩამოშორდა მიწათმოქმედებას. აქედან ჩნდება ხელოსანთა ცალკე ჯგუფი, რომელსაც სრულიად განსხვავებული ინტერესები აქვს როგორც მესაკუთრეობის, ისე მემკვიდრეობის საკითხში.

სანამ დედისაგან წარმოშობას მნიშვნელობა ჰქონდა, მემკვიდრეები ღებულობდენ დედისა და მისი ნათესავების ქონებას. ამნაირად მემკვიდრეობა გვარშივე რჩებოდა. ახალ წყობილების დროსაც კი, როცა მამა უკვე მესაკუთრეა, ჯოგების, მონების, იარაღის და მასალის მფლობელია ან ხელოსანი, ან ვაჭარი, მისი ქონება, მისი სიკვდილის შემდეგ, თუ კი ის დედის საგვარეულოში ითვლება, მაინც მის ძმებზე, დებზე და დის შვილებზე, ანუ მისი დის შთამომავლობაზე გადადის, — და არა შვილებზე. საკუთარი შვილები პიტრში ჩალაგამოვლებული რჩებიან. ცხადია, ასეთი წესების შეცვლის სურვილი მეტად უნდა გაძლიერებულიყო და ისინი შეეცვალა კიდევ. პირველად მოისპო მრავალცოლიანობა და მრავალქმრიანობა და ამის მაგიერ შემოვიდა ერთცოლიანობა და ერთქმრიანობა. ერთი კაცი ერთ რომელიმე ცოლთან ცხოვრობდა და მათი შთამომავლობა მათ საკუთარ შვილებათ ითვლებოდენ. ასეთ წყვილთა ოჯახის რიცხვის ზრდას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ საგვარეულო წესებით ცოლის შერთვა მეტად გაძნელებული იყო. ზემოხსენებული ეკონომიური მდგომარეობა კი თხოულობდა ოჯახური ცხოვრების ამ ახალ ორგანიზაციის შემოღებას. თუ წინეთ საცხოვრებელ ადგილის ამორჩევაში მთავარ როლს თამაშობდა ნათესაობა, ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა

მიეცა მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ს და ხ ე ლ ო ბ ა ს. საქონლის წარმოების აღორძინებამ გამოიწვია ვაჭრობის განვითარება მეზობელ და უცხო ხალხებთან და ამნაირად გაჩნდა ფულის მეურნეობა. ამ განვითარებას ხელმძღვანელობდა მამაკაცი და ის კიდევაც გაბატონდა ამით. მის კერძო ინტერესებს არაფერი საერთო აღარ ჰქონდა ძველ საგვარეულო ორგანიზაციასთან, პირიქით მისი ინტერესები ხშირად ეხლე-ბოდენ კიდევ ერთმანეთს. ამნაირად საგვარეულო ორგანიზაციის მნიშვნელობა თანდათან ეცემა. უკანასკნელად გვარს შერჩა მხოლოდ ოჯახის სარწმუნოებრივი ფუნქციები, ღვთის-მსახურების შესრულება. მისი ეკონომიური მნიშვნელობა გაჰქრა და ასე საგვარეულო წყობილების სრული დარღვევა აუცილებელი შეიქნა.

ინგრევა ძველი საგვარეულო წყობილება და მასთან ერთად ეცემა დედაკაცის გავლენა და მღვთმარეობაც. დედის უფლება (მატრიარქატი) გაქრა, მისი ადგილი მამის უფლებამ (პატრიარქატმა) დაიჭირა. ქმარი, როგორც კერძო მესაკუთრე დაინტერესებულია საკუთარი კ ა ნ ო ნ ი ე რ ი შვილები ჰყავდეს, რომ შეეძლოს მათი თავის მემკვიდრეებათ აღიარება, ა მ ი ტ ო მ ის უ კ რ ძ ა ლ ა ვ ს დ ე - დ ა კ ა ც ს ს ხ ვ ა მ ა მ ა კ ა ც ე ბ თ ა ნ ს ქ ე ს ო ბ რ ი ვ ი კ ა კ - შ ი რ ი ს დ ა ჭ ე რ ა ს.

ამავე დროს ის უფლებას იტოვებს კანონიერ ცოლს ანუ ცოლებს გარდა, იყოლიოს იმდენი მხევალები, რამდენის ყოლის ნებასაც შეძლება მისცემს. ყველაზე მრავალი ცოლი, როგორც ვიცით, სოლომონ მეფეს ჰყავდა, რომელიც, თუ მეფეთა წიგნს დაუჯერებთ, 700 ცოლს და 300-მდე მხევალს ინახავდა.

მაგრამ, როცა ებრაელთა საგვარეულო ორგანიზაციაში გაბატონდა მამის უფლება, ე. ი. დამყარდა მამისგან წარმოშობა, ქალები თავისებოთა გამორიცხეს მამის მემკვიდრეობიდან. შემდეგში დედის უფლებას იმ შემთხვევაში ჰქონდა ძალა, თუ მამას შვილი არ დარჩებოდა. ეს მოსეს მეოთხე წიგნიდან მტკიცდება, სადაც ნათქვამია, რომ ზულაფეხი მოკვდა და ძე არ დარჩა, ასულნი კი მწარეთ სტიროდენ. რომ მანის მემკვიდრეობიდან გამორიცხეს და მისი ქონება ისევ ათლების შთამომავლობას უნდა დაბრუნებოდა, მოსემ კი გადასწყვიტა, რომ ამ შემთხვევაში მემკვიდრეობა ქალებს უნდა დარჩენოდათ. მაგრამ, როდესაც მათ ქმრების ძებნა ძველი ჩვეულებისამებრ სხვა ტომებში დაიწყეს, იოსების ტომმა უკმაყოფილება გამოაცხადა, რადგან ამით მემკვიდრეობას ჰკარგავდენ. მაშინ მოსემ ახალი განმარტება მისცა თავის გადაწყვეტილებას, რომ თუმცა მემკვიდრე ქალებს შეუძლიათ თავისუფლად აირჩიონ ქმრები, მაგრამ მხოლოდ იმ ტომში,

რომელსაც მათი მამა ეკუთვნოდა. ამნაირად, საკუთრების გულისათვის შესცვალეს წინანდელი კანონი.

ძველი აღთქმის დროს და, მაშასადამე, პრეისტორიულ ხანაში, ებრაელებში გაბატონდა მამის უფლება და კლანის ანუ ტომის ორგანიზაცია ისე, როგორც რომაელებში — პატრიარქატზე დაფუძნება. ამისდა მიხედვით ქალი ამ ეპოქაში უკვე გამოირიცხა მემკვიდრეობიდან, როგორც ამას მოსეს პირველ წიგნში ვკითხულობთ, სადაც ლაბალის ასულნი — ლია და რახილი, სამღუარვეს ამბობენ მამაზე: „გვაქვს თუ არა ჩვენ კიდევ რაიმე წილი და მემკვიდრეობა მამის ოჯახში? უცხოთ ხომ არ გვთვლის ის ჩვენ? ვინაიდან ჩვენი ვერცხლიც გაყიდა და გაფლანგა“.

როგორც ყველა ხალხში, სადაც პატრიარქატი (მამის შტო) იქერს მატრიარქატის (დედის) ალაგს, ისე ებრაელებშიაც დედაკაცის რეალური მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებას. ქორწინება ყიდვა-გაყიდვის აქტია, დედაკაცს მოეთხოვება სრული უმანკოება, მაშინ როდესაც მამაკაცისთვის ეს მცნება სრულიად არ არის სავალდებულო და, ამასთანავე მას უფლება აქვს იყოლიოს რამდენიმე ცოლი. თუ ქორწინების პირველ დამეს ქმარი შეამჩნევს, რომ მის ცოლს ქალწულობა ქორწინებამდე დაუკარგავს, მას უფლება აქვს გააგდოს ის და საბრალო ქალი ქვებით უნდა ჩაიჭოლოს. ასეთივე სასჯელი მოელის ქმრის მოლაღატე ქალს, მამაკაცი კი, მხოლოდ იმ შემთხვევაში ისჯება, თუ იგი ქმრიან ებრაელ ქალთან მრუშობს. ... ძველ ებრაელთა წარმოდგენით ათ კაცმა თუ მოიყარა თავი, მათ შეუძლიათ ღვთის მსახურება შეასრულონ, ქალებს კი, რამდენიც უნდა შეიკრიბონ, მაინც არ შეუძლიათ ეს.

ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანი კი არაა საკუთრების ბატონი, არამედ საკუთრებაა მისი ბატონი და მფლობელი.

კერძო საკუთრების გაბატონებამ განამტკიცა მამაკაცის მიერ დედაკაცის დამორჩილება. დადგა დრო დედაკაცის დამცირებისა და შეურაცხოფისა.

დედის უფლების (მატრიარქატის) აღიარება ნიშნავდა კომუნისზმს, საყოველთაო თანასწორობას; მამის უფლების (პატრიარქატის) აღორძინება კი — ნიშნავს კერძო საკუთრების გაბატონებას და მასთან ერთად დედაკაცის დაჩაგვრასა და დამონებას.

ეს შეგნებული ჰქონდა კონსერვატორ არისტოფანსაც, რომელსაც თავის კომედიაში — „დედაკაცთა სახალხო კრება“ — გამოყვანილი

ყავს ქალების გაბატონება სახელმწიფოში და კომუნისმის შემოღება. და რომ სახელი გაუტეხოს დედაკაცს საზოგადოების თვალში კომუნისმს სულ დამახინჯებულად, კარიკატურულად ხატავს.

როგორ მოხდა ასეთი გადატრიალება თითოულ კერძო შექთხევაში, ეს ძნელი გამოსარკვევია, რადგან ეს პ ი რ ვ ე ლ ი დ ი დ ი რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ა, რომელიც განიცადა კაცობრიობამ, — ყველგან ერთ დროს და ერთნაირად არ განხორციელებულა ძველ კულტურულ ქვეყნებში. საბერძნეთში ასეთმა წყობილებამ პირველად ათინაში იჩინა თავი.

ზრიდრიხ ე ნ გ ე ლ ს ი ფიქრობს, რომ ეს დიდებული გადატრიალება სრულიად მშვიდობიანათ მოხდა: როდესაც მზად იყო ყველა პირობები ახალი უფლებისათვის, საკმარისი იყო მხოლოდ უბრალო კენჭის ყრა თემებში, რომ დედის უფლების მაგიერ მამის უფლება შემოეღოთ. ბ ა ხ ო ფ ე ნ ი კ ი, პირიქით, ძველ მწერალთა მოწმობის თანახმად ფიქრობს, რომ ასეთ სოციალურ ცვლილებებს ქალებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს. განსაკუთრებით ზღაპრული ვადმოცემები ამაზონელთა სამეფოებზე, რომელთაც ჩვენ ვხვდებით აზიის და საერთოთ აღმოსავლეთის ისტორიაში, რომელიც გავრცელებულია აგრეთვე ამერიკასა და ჩინეთშიც, მისი აზრით, იმის საბუთს წყაძლევს, რომ ქალებს დიდი ბრძოლა და წინააღმდეგობა გაუწევიათ ახალ წყობილებისათვის.

მამაკაცის გაბატონებით, დედაკაცმა დაჰკარგა თავისი ადგილი თემის დაწესებულებებში, ისინი გამოირიცხეს საბჭოს კრებიდან და დაუკარგეს ყოველგვარი გადამწყვეტი გავლენა მის საქმეთა მსვლელობაზე. მამაკაცი მოითხოვს დედაკაცისაგან, რომ მან არ უღალატოს მათ კავშირს, მაგრამ თვითონ კი იტოვებს ამის უფლებას; თუ ქალი ღალატობს ქმარს, ეს ყველაზე მძიმე ცოდვაა, რომლის ჩადენაც კი შეიძლება ახალ მოქალაქეს წინაშე: აქედან შემოდინა ოჯახში სხვისი შვილები, როგორც მისი საკუთრების მემკვიდრენი, ამიტომ ძველ ხალხში ცოლ-ქმრული კავშირის მოღალატე ცოლს სკვდილით სჯიდენ ან მონათ აქცევდენ.

(ა. ბ ე ბ ე ლ ი — დედაკაცი და სოციალიზმი).

## § 22. პატრიარქალური საზოგადოებო თემი. — პატრიარქი ორგანიზატორი. — მსხლმოატაციის დასაწყისი

რაკი თემი გაფართოვდა და მის შიგნით შრომის განაწილება განვითარდა, რაკი მარაგის დამზადებისა და შენახვისათვის ზრუნვა აუცილებელი შეიქმნა, ამიტომ თემის მთელს სამეურნეო საქმიანობას

ერთი მთლიანი გეგმაზემეწონილი ხელმძღვანელობა ესაჭიროებოდა. პირველყოფილ ურდოში მარტივ თანამშრომლობის არსებობის გამო ასეთი ხელმძღვანელობა მხოლოდ დროებით იყო საჭირო — გარეულ მხეცთა დაჭერისა ან ნადირობისა და სამხედრო ექსპედიციების დროს; ამიტომ ხელმძღვანელობასაც დროებით ასრულებდნენ ტომის ყველაზე უფრო თაოსნიანი წევრები. პირიქით საგვარეულო თემის რთულ მეურნეობის პირობებში უფრო მუდმივი ხელმძღვანელობა შეიქმნა საჭირო და უფრო აუცილებელიც იყო იგი. ამ საჭიროებას შედეგად ის მოჰყვა, რომ საზოგადოების ყველა წევრის მწარმოებელ შრომას გამოეყო თემის სათავეში მოქცეული პირის განსაკუთრებული საორგანიზატორო მოღვაწეობა. ორგანიზატორი ხელმძღვანელობას უწევდა თემის მთელ სამეურნეო ცხოვრებას და ამიტომ მწარმოებელ შრომაში უშუალო მონაწილეობას აღარ იღებდა.

რამდენადაც ასეთი საორგანიზატორო როლი საჭირო იყო პატრიარქალურ გვარების პირველსავე საფეხურებზე, იმდენად ამ როლს ჩვეულებრივად დედის ბიძა, ესე იგი გვარის უხნიერეს დედაკაცის უახლოესი ნათესავი ასრულებდა. მესაქონლეობის განვითარებამ და პრიმიტიულ მიწათმოქმედების მაგიერ გუთნით ხენის შემოღებამ მნიშვნელობა მიანიჭა ჯოგის მფლობელსა და მიწის მხნელ მამას. ამასთან ერთად წარმოიშვა პატრიარქალური ანუ მამამთავრული საგვარეულო თემი, სადაც მამა-პატრიარქს ცოტათუ ბევრად განსაკუთრებული ძალა-უფლება ჰქონდა გვარის დანარჩენ წევრების მიმართ. პატრიარქი გვარის სათავეში ჩადგა; იგი აწესრიგებდა მთელ სამეურნეო საქმიანობას, გვარის ცალკე წევრთა შორის ანაწილებდა შრომასა და მოვალეობას, აგრეთვე მეურნეობის პროდუქტებსაც. პატრიარქალური გვარი შეიცავდა რამდენსამე ოჯახს, რომელნიც საერთო შთამომავლობის იყვნენ და კვლავ საერთო ცხოვრებასა და საერთო მეურნეობას მისდევდნენ.

თავდაპირველად ერთი მთლიანი გვარი შემდეგ ცალკე ოჯახებად დაიყო. თითქმის ყველა იმ მეჯოგეობის მიმდევარ ხალხს, ჩვენ რომ ახლა ვიცნობთ, საგვარეულო თემი უკვე დაშლილი აღმოაჩნდათ. მაგრამ იმ ცალკე ოჯახებს, რომლებდაც გვარი დაიშალა, ჩვეულებრივ კიდევ დიდ ხანს შერჩათ წინანდელი საგვარეულო წესები. თითოული ოჯახი უმეტეს ნაწილად შესდგება ნათესავთა რამდენიმე თაობისაგან, რომელნიც კომუნისტურ ნიადაგზე საერთო მეურნეობას მისდევდნენ. პირვანდელ ნამდვილ საგვარეულო ერთობიდან ბევრ მოჯოგე ხალხს ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს მონათესავე ოჯახების საერთო საკუთრება საძოვარ ადგილებზე; შენარჩუნებული

აქვს აგრეთვე ზოგიერთი ჩვეულება, რომელიც იმას მოწმობს, რომ ან ხალხში ოდესღაც ასეთივე საერთო საკუთრება არსებულა ნახირისა ჯოგზედაც. ბევრ მომთაბარე ტომში საძოვრის ამორჩევა, ერთი ადგილიდან აყრა და მეორეზე გადასვლა დამოკიდებულია ტომისა ან გვარის უხუცესის ნებაზე.

ერთის მხრით, საკვების შემთხვევითი მოგროვების მაგიერ მიწათმოქმედებასა და მეჯოგეობაზე გადასვლას, მეორე მხრით ტენიკის განვითარებასა და შრომის განაწილებას შედეგად მოჰყვა შრომის ნაყოფიერების თვალსაჩინო ზრდა. ახლა უკვე მთელი დრო მხოლოდ განსაზღვრულ წუთის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას აღარ უნდებოდა. ამგვარად, აუცილებელ შრომასთან ერთად გაჩნდა ზედმეტი შრომა, რომელიც შეიძლებოდა მოხმარებოდა საოჯახო მარაგის შემქმნელ ზოგიერთ პროდუქტების დამზადებას, სამეურნეო იარაღის უფრო უკეთესად და მუყაითად გაკეთებას და სხვ.

რაკი ზედმეტი შრომა გაჩნდა, უკვე შესაძლებელი შეიქმნა სხვისი შრომის ექსპლუატაცია. სანამ ადამიანის შრომა მხოლოდ არსებობისათვის აუცილებელ შრომას წარმოადგენდა, სანამ ადამიანის მთელი დრო იმას უნდებოდა, რომ საკუთარი სიცოცხლე შეენარჩუნებია, ცხადია, მანამდე სხვისი შრომით სარგებლობას ადგილი არ ექნებოდა. სხვისი ზედმეტი შრომის პროდუქტთა მითვისება მხოლოდ მას შემდეგ შეიქმნა შესაძლებელი, როცა ადამიანმა იმაზე მეტის წარმოება დაიწყო, რაც მისთვის იყო საჭირო. ზედმეტი შრომის პროდუქტთა მითვისების სხვადასხვა საშუალებასთან ერთად თავდაპირველი ექსპლუატაციაც სხვადასხვა ფორმად ჩამოყალიბდა; შრომის ექსპლუატაციის ყველაზე მარტივ და უშუალო ფორმას მონობა წარმოადგენდა. სამხედრო ტყვეებს წინანდებურად აღარ უღებდნენ; მათ უკვე მონებად აქცევდნენ. მონები და მხევალნი ეზმარებოდნენ დედაკაცებს სამიწადმოქმედო და სხვა სამეურნეო მუშაობის დროს, დასდევდნენ საქონელს, ზიდავდნენ მძიმე ტვირთს, ასრულებდნენ სხვადასხვანაირ, უფრო მძიმესა და არასასიამოვნო საქმეს. ექსპლუატაციის მეორე საშუალებას წარმოადგენდა მთელ დამარცხებულ ტომის დამორჩილება და მისი დაბეგვრა განსაზღვრულ სავალდებულო ხარკის დაკისრების გზით. ხარკი არსებითად მხოლოდ ის იყო, რომ დამორჩილებული ტომი გამარჯვებულს ზედმეტი შრომის პროდუქტების ნაწილს უთმობდა. ექსპლუატაციის მექანიზმად ფორმა განვითარდა თვის კატორიარქალურ თემის შიგნით. რამდენადაც კატორიარქი-ორგანიზატორი და მისი ოჯახი ნაკლებ უშუალო მონაწილეობას იღებდნენ ეწარმოებულ საქმიანობაში, იმდენად მათი არსებობის წყაროდ თემის:

სხვა წევრთა ზედმეტი შრომა გადაიქცა. დროთა განმავლობაში თემის საზღვართა გაფართოებასა და მისი საზოგადოებრივ წყობილებას გართულებასთან ერთად პატრიარქის ოჯახის გვერდით გამოეყვენ სხვა, მისი მახლობელი მმართველი ოჯახები, რომელთაც აგრეთვე პრივილეგიური მდგომარეობა ჰქონდათ და, ამგვარად, გაბატონებულ კლასების ჩანასახს წარმოადგენდნენ.

### § 23. კერძო საკუთრების განვითარება. — ალექსანდრე-პეტროვიჩის წარმოშობა

სანამ ადამიანი მხოლოდ იმით სარგებლობდა, რასაც გარშემომცველი ბუნება ანიჭებდა, მანამდე კერძო საკუთრების შესახებ არა-ეითარი წარმოდგენა არ არსებობდა და ვერც იარსებებდა. კერძო საკუთრება მხოლოდ მას შემდეგ გაჩნდა, რაც წარმოიშვა ნამდვილი საწარმოო მოქმედება. საკუთრების პირველ საგნებს წარმოადგენდა სამეურნეო იარაღი და საკუთრველი. გარდა იმისა, რომ ეს საგნები ადამიანის საკუთარი მარჯვენით იყო გაკეთებული, ისინი ყოველთვის დასჭირდებოდა ადამიანს და ამიტომ მუდამ თან უნდა ჰქონოდა. შემდეგ, როდესაც ადამიანმა გეგმაშეწონილი სამეურნეო საქმიანობა დაიწყო, ყველა სამეურნეო საგანი, ისევე როგორც საკვების მარაგიც, ბუნებრივად ჩაითვალა თითოეულ ცალკე მეურნეობის თითოეულ ცალკე საგვარეულო ან საოჯახო თემის კუთვნილებად. მოშინაურებული ნახირიც გარეულ პირუტყვების მსგავსად თითოეულ იღბლიან მონადირის დავლად აღარ ითვლებოდა; იგი შეადგენდა საგვარეულო ან — გვარის დაშლის შემდეგ — საოჯახო საკუთრების საგანს, ხოლო ბოლოსა და ბოლოს ცალკე ოჯახების უფროსთა კერძო საკუთრებად გადაიქცა. სამხედრო ტყვეების დამონების შემდეგ გაჩნდა საკუთრება ადამიანზედაც.

ყველაზე გვიან მიწის საკუთრება განვითარდა. მიწის საკუთრების წარმოდგენა ფრიად ნაკლებად განუვითარდებოდა პირველყოფილ მონადირეს, რომელიც მუდამ გადადიოდა ერთი აგილიდან მეორე ადგილზე. იგი უშუალოდ არ სარგებლობდა მიწით, ამიტომ მიწა მის თვალში არაერთგვაროვნად არ წარმოადგენდა. მაგრამ რაც უფრო მრავლდებოდა მოსახლეობა, მით უფრო მეტს ვიწროობას გრძობდნენ მონადირეთა ცალკე ჯგუფები სანადირო ტერიტორიას ფარგლებში, მით უფრო უძნელდებოდათ საჭირო საზრდოს მოპოვება. ამიტომ თითოეული ურდო თავის უფლებას აცხადებდა განსაზღვრულ სანადირო რაიონზე და ცდილობდა, რომ იქ მეზობლები არ



შეეშვა. ურდოს უფლება წადირობის რაიონზე ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა მიწის საკუთრებას, საკუთრება მხოლოდ რაიონის ფარგლებში მოქცეულ ნადირზე ვრცელდებოდა. ასეთივე უფლება მთელ საგვარეულო თემის საძოვარ ადგილებზე შეჯოგეთა შორისაც არსებობდა. მაგრამ ამათაც საძოვარ მიწების მხოლოდ საგვარეულო ან ზათემო საკუთრება სწამდათ და არა კერძო საკუთრება. როგორც უკვე ვიცით, საძოვარი ადგილები მას შემდეგაც რჩებოდა გვარის საერთო საკუთრებად, რაც ჯოგები უკვე ცალკე საოჯახო თემების საკუთრებად გადაიქცენ. შეჯოგეობასთან შედარებით პრიმიტიული მიწათმოქმედება კიდევ უფრო ნაკლებ საფუძველს წარმოადგენდა მიწის კერძო საკუთრების წარმოშობისათვის, რადგან თვით პრიმიტიული მიწათმოქმედება ჯერ კიდევ საბინადრო ცხოვრების ნიადაგზე არ იყო დამყარებული. რამდენჯერმე დათესვის შემდეგ ნიადაგი იფიტებოდა, მას თავს ანებებდნენ და ახალ ადგილას გადადიოდნენ. ამიტომ საკუთრების უფლება მხოლოდ ნათესით განისაზღვრებოდა. თვით მიწას კი არ ეხებოდა. ამგვარად განვითარების ამ საფეხურზე არსებობდა მხოლოდ მიწის საერთო საკუთრება და არა კერძო საკუთრება.

კერძო ქონების წარმოშობას მოჰყვა ქონებრივ უთანასწორობას გაჩენაც. სანამ საკუთრება საქურველის ან სამკაულის საგნებით განისაზღვრებოდა, ქონებრივ უთანასწორობასაც ჯერ კიდევ დიდი მნიშვნელობა ვერ ექნებოდა. სულ სხვანაირად იყო მესაქონლეთა საქმე. იქ, საცა ადამიანის კეთილდღეობა დამოკიდებული იყო საკუთარ საქონლის რაოდენობაზე, ცხადია, ქონებრივ უთანასწორობასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა. ამიტომ პირველად მხოლოდ მწყემს ხალხთა შორის იჩინა თავი განსხვავებამ მქონებელთა და ხელმოკლეთა შორის, მდიდართა და ღარიბთა შორის.

საწარმოო მოქმედების განვითარებამ, რასაც თან მოჰყვა შრომის ორგანიზაციის ფორმათა აშკარა ცვლილებაც და აგრეთვე თითოეულ ცალკე ჯგუფის საზოგადოებრივ პირობების ცვლილებაც, გავლენა მოახდინა სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფთა ურთიერთობის პასივობაზედაც. მესაქონლეობა და მიწათმოქმედება რომ წარმოიშვა, საწარმოო ტექნიკა რომ განვითარდა, მაშინ მონადირე ტომების გვერდით თავი იჩინეს იმ ტომებმა და თემებმა, რომლებმაც ამა თუ იმ იარაღისა და ნაწარმოებთა დამზადების საქმეში უფრო მაღალ ტექნიკას მიაღწიეს. ამგვარად, შრომის განაწილებამ უკვე აღარ ეტეოდა ცალკე თემების ფარგლებში, იგი შეეხო სათემთაშორისო ურთიერთობასაც. სხვადასხვა თემის სამეურნეო პროდუქტები უკვე სრულიად

განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მონადირე თემებს ხორცი და ტყავი ჰქონდათ, მესაქონლეებს, გარდა ამისა, რძე და რძის ნაწარმოებნი, მატყლი, ჯაგარე და სხვა. მიწათმოქმედებს მეურნეობა აძლევდა პურს, ბურღულს, სხვადასხვა ნაყოფსა და ბოსტნეულობას; ზოგი თემი თავს ირჩენდა საქურველის ხელობით, ზოგი ჰურჭლის გაკეთებით. ამავე დროს ზედმეტი შრომის წყალობით შესაძლებელი შეიქმნა მართო მარაგის დამზადება კი არა, არამედ მოქარბებულ საოჯახო პროდუქტების გაჩენაც. ამგვარად, ზოგიერთ სათემო ჯგუფებს ზედმეტი პროდუქტები ჰქონდათ, რომელნიც, პირიქით, დანარჩენებს აკლდათ.

რაკი ზოგ თემში მოქარბებული პროდუქტები დაგროვდა ზოგში კი ამავე პროდუქტების ნაკლებობას განიცდიდნენ, ამიტომ საჭირო შეიქმნა მათი განაწილება და გადანაწილება მართო ცალკე თემში წევრთ შორის კი არა, არამედ სხვადასხვა თემთა შორისაც. მაგრამ თემთა შორის განაწილება ისე წინასწარ მოწესრიგებულის ფორმით ვერ მოხდებოდა, როგორც ცალკე თემის შიგნით. თემთა შორის სამეურნეო პროდუქტთა გადანაწილების ერთად-ერთ შესაძლებელ უორმას წარმოადგენდა ზედმეტ ნაწარმოებთა საურთიერთო გადაცვლა. თუ სხვადასხვა სამეურნეო პროდუქტების მფლობელი თემები ერთმანეთის მეზობლად სცხოვრობდნენ, ალებ-მიცემობა მათ შორის ბოლოსა და ბოლოს აუცილებლად უნდა წარმოშობილიყო. ამასთანავე ერთად წინანდელ მტრულ ურთიერთობის ადგილი უნდა დაქირა უფრო მშვიდობიანსა და მუდმივ კავშირს. მაგრამ მტრული ურთიერთობა უცებ კი არ ყოფილა დაძლეული. თავდაპირველად ერთიცა და მეორე მხარეც უშუალო ურთიერთობას გაურბოდნენ ერთმანეთის შიშით. ალებ-მიცემობა სწარმოებდა ეგრეთ-წოდებულ მუნჯურ ვაჭრობის გზით. ერთ-ერთი მხარე დააწყობდა შეპირებულ ადგილას თავის საქონელს და მოშორდებოდა, შემდეგ მოვიდოდა მეორე მხარე და გვერდით მოულაგებდა გადასაცვლელად შეთავაზებულ პროდუქტებს. პირველი ჯგუფი დათვალთვალავდა მათ და ამ თან წაიღებდა და თავის საქონელს კი დასტოვებდა, ან ხელახლა მოშორდებოდა; ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი მეორე მხარისაგან საქონლის მომატებას მოითხოვდა. ორივე მხარე რიგ-რიგობით გამოცხადდებოდა (ზოგჯერ რამდენჯერმეც) შევაჭრების ადგილას, ვიდრე საქონლის გადაცვლა მოხდებოდა. კურილიის კუნძულებსა, სუმატრასა. ცეილონსა, ამერიკის ანდებსა და აფრიკის სხვადასხვა ხალხში ასეთი მუნჯური ვაჭრობა ნაწილობრივ დღევანდლამდეც არსებობს. სხვა ადგილებში, მაგალითად, პოლინეზიის კუნძულებზე, იგი 100 — 150

წლის წინად არსებობდა. მუნჯური ვაჭრობა მოხსენებული აქვს ძველი დროის ზოგიერთ მწერალსაც, აგრეთვე რუსეთის მენატიანესაც. ზოგჯერ თავით-ფეხამდე შეიარაღებულნი, საქონლის გადასცვლელი მხარენი, განსაზღვრულ მანძილის დაშორებით ერთმანეთის პირდაპირ დადგებოდნენ, თვით საქონლის გადაცვლა კი შუა ადგილას სწარმოებდა, ნეიტრალურ ზოლზე.

დროთა განმავლობაში სხვადასხვა თემის საზღვრებზე იმართებოდა საგანგებო საბაზრო ადგილები ვაჭრობის საწარმოებლად. საბაზრო ადგილების ფარგლებში აკრძალული იყო, ზოგჯერ სიკვდილით დასჯის შიშითაც, ყოველგვარი შეიარაღებული შეტაკება. ალებ-მიცემობა ყოველთვის სწარმოებდა მხოლოდ საქონლის საქონელზე გადაცვლის გზით. ამასთანავე თავდაპირველად ერთმანეთს საქონელს უცვლიდნენ არა ცალკე პირები და თემის ცალკე წევრები, არამედ თვით სათემო ჯგუფები. კერძო პირთა ვაჭრობა ერთმანეთ შორის მხოლოდ მაშინ შეიქმნა შესაძლებელი, როცა კერძო საკუთრება წარმოიშვა და მეზობელ ჯგუფთა მშვიდობიანი ურთიერთობა განმტკიცდა. შემდეგ, საკუთრების განვითარებასთან ერთად, კერძო ალებ-მიცემობამ დაჩრდილა სატომთაშორისო და სათემთაშორისო ალებ-მიცემობა და, ბოლოს, ალებ-მიცემობის გაბატონებულ და ერთად-ერთ ფორმადაც კი გადაიქცა.

რაკი კერძო ვაჭრობა გაძლიერდა, პროდუქტების ერთმანეთზე უშუალოდ გადაცვლა უფრო და უფრო მეტს უხერხულობას იწვევდა. თითოეულ შემთხვევაში რომ ასეთი ალებ-მიცემობა მომხდარიყო, ორივე ალებ-მიცემ პირისათვის შეთავაზებული პროდუქტი თუ საგანი საჭირო უნდა ყოფილიყო. თუ რამდენად უხერხული იქნებოდა ვაჭრობის ასეთი ფორმა, ამას მოწმობს მოგზაურ კამერონის მაგალითი აფრიკის ტბის — ტანგანაიკის ნაპირად რომ ჰქონდა ადგილი. კამერონს ნავი სჭირდებოდა. ნავის გამყიდველს სპილოს ძვალზე უნდოდა გადაეცვალა თავის საქონელი, კამერონს კი მხოლოდ მავთულის მიცემა შეეძლო. კამერონი იძულებული იყო იგი თანდათან რამდენიმე პირისათვის გადაეცვალა; წყალებისა და ძიების შემდეგ, მან მავთული მაუდზე, ხოლო მაუდი სპილოს ძვალზე გასცვალა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძინა ნავი.

ამგვარ სიძნელეთა თავიდან აცილება ბოლოს და ბოლოს შესაძლებელი გახდა: ზოგიერთი განსაზღვრული საგანი აღიარებულ იქმნა ღირებულების საერთო საზომად. ასეთ საგანს ყველა იღებდა და ის ახლანდელ ფულის მაგიერობას სწევდა. ცხადია, ღირებულების საზომად უფრო ხშირად ცხოველი იყო; სხვა ხალხში იმავე როლს ასრუ-

ლებდა სხვადასხვანაირი საგანი: გამხმარი თევზი, ნიჟარა, რომელიც  
სამკაულის საგანს შეადგენდა (აფრიკაში), წავის ბეწვი (ამერიკაში),  
კვერნის ბეწვი (ძველ რუსეთში). საკმლი მარილის ნატეხები, აგურის  
ჩაი (ცენტრალურ აზიაში), და, ბოლოს, ძვირფას ლითონის ნაჭრები,  
რომელთაგან კარგა ხანს შემდეგ ნამდვილ ვულის ნიშნებს ჭრიდენ.

(ა. ტ ი უ მ ე ნ ე ვ ი — შრომის ისტორია).



## მონათმფლობელური მეურნეობა

### § 1. გარდამავალი ხანა და მოსოვის წარმოშობა

ნატურალური მეურნეობიდან გადასვლა მეურნეობაზე, რომელიც ჰქმნის ზედმეტ ღირებულებას, როგორც ყოველ, უმაღლეს ეკონომიურ ფორმებზე გადასვლა, განხორციელებულ იქნა მხოლოდ ნელ-ნელა; ეს იყო საწყისი პერიოდისა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი შემდგომი მეურნეული ევოლიუციისათვის. წინამსროლ პერიოდში კაცობრიობამ ისწავლა შრომა (უწინარეს ყოვლისა ქალებმა), ისწავლა ბუნებისაგან არსებობისათვის; აუცილებელ დოვლათთა დაპყრობა და მისი, ადამიანის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გადამუშავება, მაგრამ, როგორც ტენიკის, ისე შრომის ორგანიზაციის ფორმების უსრულობის გამო, — ენერჯის მარაგის უქონლობა, მისი მფლანგველობა, სამუშაო ძალათა და მასალათა მიმართ უზრუნველობა, — შრომის ნაყოფიერება ძლიერ დაბალი იყო და არსებითად შეეძლო დაეკმაყოფილებინა მხოლოდ ყველაზე აუცილებელი საარსებო მინიმუმი. მართალია, ნატურალური მეურნეობის დროსაც გვხვდება გარკვეული მარაგები, მაგრამ მთელი ეს დაგროვილი პროდუქტები და მოხმარების საგნები, იხარჯებიან უახლოეს კვირებში, თვეებში; ზაფხულის თვეში დაგროვებული მარაგები ზამთრობით გამოილევიან. არსებობის განმტკიცებისათვის მარაგების შექმნაზე ფიქრი და მუშაობა, რომელიც ყველაზე ღირსეული მიღწევაა ამ ეპოქისა, ჯერ კიდევ წარმოადგენს ადვილად საგრძნობელ, უშუალო გაგების ამოცანათა განხორციელებისაკენ მიმართულ მოღვაწეობას. პირველყოფილი ადამიანის ფსიქიკისათვის სავსებით უცნობია რამოდენიმეთ გარკვეული ამოცანების დასახვა და მათი განხორციელებაზე მუშაობა. მისთვის მხოლოდ აწმყო დრო

არსებობდა, თავისი სიამოვნებითა და უბედურებით; ის ძლიერ ახლოს იხედებოდა; მხოლოდ უშუალო განცდას ჰქონდა მისთვის მნიშვნელობა. და თუ კიდევაც ხდებოდა საგნების წარმოება ხანგრძლივი მოხმარებისათვის, ეს ნივთები, უმეტეს წილად ჰკარგავდნენ ნივთის. როგორც ასეთის ხასიათს, და ითქვიფებოდნენ მესაკუთრის პიროვნებაში, თითქოს, მისი სხეულის ნაწილებად იქცეოდნენ, — განსაკუთრებით საომარი იარაღები (რომლებიც ზოგიერთ ენაზე „სხეულის იარაღებათ“ იწოდებიან). საომარი იარაღები მაშინ განუწყვეტლივ დაკავშირებული იყო მის მგპატრონის სხეულთან: ის თან მიყვებოდა მას სამარეში. ის იმდენად გათქვეფილი იყო მასში, რომ პატრონის სიკვდილს აუცილებლად თან მოყვებოდა მისი იარაღების განადგურებაც. ასეთივე გარემოება ვრცელდებოდა სხვა ნივთებზედაც — სამკაულებზე, მის პირად ცხოვრებაზე, ფუფუნების საგნებზე. ამრიგად ესენი სრულებით რომ ჰქვია არ წარმოადგენენ მეურნეულ ღირებულებათ, არამედ საგნებს, რომლებიც აკმაყოფილებენ თავმოყვარეობისა და პატივმოყვარეობის ინსტინქტებს და იმავე მიზნებს ემსახურებიან. შედარებით ბევრათ უფრო გვიანდელ დროებშიაც ნივთთა მეურნეულ ღირებულებაზე წარმოდგენა იმდენად სუსტადაა განვითარებული, რომ ძვირფას ნივთებს შეგნებულად ანადგურებენ. სპობენ ღირებულებათ, რომლებიც ხელახლა შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ დიდი შრომის დახარჯვით.

ჯერ კიდევ ახლაც, მრავალ დაბალ საფეხურზე მდგარ ხალხებში დატულია ჩვეულება, რომლის თანახმად მამაკაცის სიკვდილის შემდეგ ცეცხლს აძლევენ მთელ მის ქონებას, ქობს მიწასთან ასწორებენ, მოწყობილობათ ამტვრევენ და სწვამენ, მთელი სურსათ-სანოვაგე შეიკმება დაპარხვის რიტუალის მონაწილეთაგან. ოჯახს, შვილებს, შშობლებს სავსებით არა რჩებათ რა. მეშვიდრეობის უფლების ჩანასახები ცივილიზაციის ბევრად უფრო გვიანდელ ეტაპს ეკუთვნის. აი, რამდენად უუნარო იყო პირველყოფილი ადამიანი ეფიქრა რაიმეზე. გარდა საკუთარი თავისა. ის ჯერ კიდევ არ იცნობს ცოლსა და შვილებზე ზრუნვას, ამ პირველ გამოვლინებას ალტრუისტული გრძნობისა. გასაგებია, რომ ამ პერიოდში სიმდიდრეთა დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ ძლიერ მცირე ზომით. და, თუ, რომ შრომის აწეულ ნაყოფიერებას კიდევაც შეექმნა ამისათვის განსაკუთრებულად ხელსაყრელი პირობები, მაინც რჩებოდა დაბრკოლება, რომელიც იყო ფსიქიური ხასიათისა — ჩვეულება.

საერთოდ მიღებულ ცნებებზე, რომლებიც ეკონომიურ პირობათა ნიადაგზე წარმოიშვენ, რომ არ შეიძლება ზრუნვა არავიზე,

გარდა საკუთარი თავისა, რომ არ შეიძლება შეილებისათვის მემკვიდრეობის დატოვება და ა. შ., დროთა ვითარებაში მიიღეს აუცილებელ და დაურღვეველ რელიგიოზურ ნორმათა ხასიათი და განაგრძობდნენ არსებობას მაშინაც კი, როდესაც გამოცვლილ ეკონომიურ მიმართებებში მათი არსებობა უაზრო გახადეს. მაგრამ ჩვეულებები წარმოადგენენ დაბრკოლებებს პროგრესისათვის: თუ რომ სიკვდილის შემდეგ ყოველი ქონება უნდა დაიღუპოს, მაშინ რაღა აზრი აქვს სიმიდირეთა დაგროვებას. ეს საზოგადოებრივი შეხედულებანი ასუსტებდნენ საწარმოო ძალთა პოტენციონალურ ენერჯიას. ხელს უშლიდნენ მის განვითარებას, იმ ზომამდეც კი, რომლის შესაძლებლობაც მაშინდელი ტექნიკის დაბალი დონე იძლეოდა და ანელებდნენ გზას პროგრესისა. ამიტომ ნატურალური მეურნეობა გამოიცვალა უფრო მაღალი ფორმით არა იმ მომენტში, როდესაც შრომის ნაყოფიერების ამაღლებამ შესაძლებელი გახადა სიმიდირეთა დაგროვება, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს დაგროვება, ყოველგვარ დაბრკოლებათა მიუხედავად, ფაქტიურად უკვე მომხდარი იყო.

ზედმეტ პროდუქტთა დაგროვება ხანგრძლივ, სამუდამო დროისათვის, მათი მემკვიდრეობად მიღება შემდგომ თაობათა მიერ, წარმოშობა საშუალებისა, რომ ყოველივე დაწყებულ იქნას არა თავიდან, არამედ გამოყენებულ იქნას მშენებლობისათვის წინაპართაგან უკვე შექმნილი მატერიალურ დოვლათთა ფონდები, სიმიდირითა დაგროვება დაგროვებისათვის — აი, უდიდესი მიღწევანი მეურნეული ცხოვრებისა. რადგან დაგროვება არის აუცილებელი წინამსრობილი დაჩქარებული პროგრესისა, დაგროვება ადვილებს ბრძოლას არსებობისათვის, ჰბადებს ახალ მოთხოვნილებათ, აღძრავს ახალი გზებისა და საშუალებათა ძიებას, ჰკლავს მეურნეულ პასიურობას, რომელსაც ცვლის მეურნეულ მოღვაწეობად; ჰქმნის ქონებრივ უთანასწორობას და სწორეთ მითი — უღრმეს სტიმულსაც აქტიურობისა: ამდენნანს ერთგვარ საზოგადოებას ჰყოფს მრავალგვარ ჰრელ ჯგუფებად; სიღარიბეში თანასწორობის ნაცვლად ჰქმნის უთანასწორობას. წარმოიშობიან უმაღლესი კლასები, — რომელთა განცხრობითი ცხოვრება დაწყარებულია ადამიანთა შრომის ექსპლუატაციანც. — კლასები, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ აწარმოონ უფრო კეთილმოწყობილი, უფრო უზრუნველი არსებობა, რომელიც განხსვავდება უფრო მაღალ მატერიალურ და კულტურული მოთხოვნილებებით.

მაგრამ მსგავს პრივილეგიურ ჯგუფთა წარმოშობა ყოველად შეუძლებელი იყო მანამ, სანამ ადამიანის შრომამ არ იწყო შექმნა უპაულოობათა, რომელიც აღემატებოდა წარმოების ხარჯებს. მანამ სა-

ნამ მშრომელი არ აღმოჩნდა მდგომარეობაში, როდესაც მას შეეძლო ეწარმოებინა უფრო მეტი რაოდენობა დოვლათებისა, ვინემ საჭირო იყო თვით მის შესანახად, არსებობისათვის. ამიტომ მეურნეული განვითარების პირველ საფეხურებზე ჯერ კიდევ აზრი არა აქვს დატყვევებულ, უუფლებო ადამიანის ექსპლოატაციას, რადგან მას არ ძალუძს მოუტანოს პატრონს რაიმე შემოსავალი. ამიტომ ადამიანი თავისთავად ჯერ კიდევ არ წარმოადგენს არავითარ ღირებულებას, გარდა მხოლოდ როგორც ცხოველისა, რომელიც შეიძლება დაკლულ იქნას სახორცედ. ადამიანი როგორც სამუშაო ძალა ჯერ კიდევ არ ფასობს. პირიქით, მრავალ შემთხვევებში ადამიანი არა ფასეულს, არამედ ზედმეტ ბარჯსაც წარმოადგენს. პირველყოფილი ხალხების ამ შეხედულებამ მათს ცხოვრებაში ღრმა კვალი დასტოვა. სხვადასხვაგვარ ჩვეულებათა და რელიგიურ რწმენათა სახით, რომელიც დაბალი განვითარების საფეხურზე მდგარ ხალხების ცხოვრებაში ჩვენს დრომდეც ძალაში რჩება: ბავშებისა და მოხუცების მოკვლა, რომელიც ხშირად რელიგიის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ხდება, დამახინჯება და კასტრაცია ვაჟებისა, (ჩვეულება, რომელიც განსაკუთრებით განვითარებულია ავსტრალიელ ტომებში), გაყიდვა ბავშებისა, ჩვეულება ზათი ბედის ამარა მიგდებისა. ეს ჩვეულებანი ხანდისხან გვხვდებოდა და გვხვდებიან უფრო მაღალი კულტურის ხალხებშიაც. ის ნაწილობრივ კიდევ გვხვდება არქაიულ საბერძნეთში, რომში და ა. შ. მთელი ეს ჩვეულებანი სხვა არაფერია, თუ არა ძველ. საზოგადოებრივ განმტკიცებულ ჩვეულებათა და წესების ნაშთთა განცდანი, რომელნიც გამოხატავენ პირველყოფილი დროების ეკონომიურ მიმართებებს. მათი წარმოშობა შეიძლება აიხსნას პირველყოფილი ხალხების დამახასიათებელ ჩვეულებაში, რაიც ადამიანის პიროვნებისა და მისი შრომითი ენერჯის დაფასებაში მდგომარეობდა.

დამარცხებულ მტერს ჰკლავდენ და იქვე სჭამდენ მის ცხედარს. სჭამდენ ყველაფერს, რისი ჭამაც ერთბაშად შეეძლოთ. ხოლო დანარჩენს მტაცებელ ცხოველებს მსხვერპლად უტოვებდენ. მაგრამ ადამიანისადმი ასეთი მიმართებანი რადიკალურად გამოიცვალენ მას შემდეგ, რაც ადამიანის შრომამ იწყო ისეთ ღირებულებათა შექმნა. რომელიც არა მხოლოდ ჰვარავდა თვით მშრომელის შენახვაზე გაწეულ ხარჯებს, არამედ წარმოადგენდა ჰარბ პროდუქტსაც, ზედმეტ ღირებულებას. ამ მომენტიდან დაწყებული, ადამიანის პიროვნებამ, იმ შემოსავლის წყალობით, რომლის მოტანაც შეეძლო მის. როგორც სამუშაო ძალის ექსპლოატაციას, ერთბაშად მოიპოვა ღირებულება..



ამ დროში წარმოიშვა პირვანდელი ფორმა სხვათა შრომის ექსპლუატაციისა — მონობა, რითაც მეურნეულ ცხოვრებას მოხვდა ძლიერი მუჯღუგუნე, რამაც ბევრად დააჩქარა მისი განვითარება.

(პ ა რ პ რ უ დ ე რ ი — მეურნეული ცხოვრების წარმოშობა და განვითარება).

## § 2. მონობა

ა) მონობა, როგორც საყოველთაო მოვლენა ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში. — კულტურული განვითარების რომელ საფეხურზე ჩნდება მონობა. — ნიბურის ტაბულა. — რომელი ხალხები იძლევიან მონებს

არსებობს საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, რომ მონობა წარმოადგენს განვითარების განსაკუთრებულ საფეხურს, რომელიც უნდა გაიაროს ყოველმა ხალხმა, სანამ ცივილიზაციის უმაღლეს საფეხურამდე მიიღწევდეს. თუ ჩვენ არ შევჩერდებით ახლად აღორძინებულ ბატონყმურ დამოკიდებულებასა და საკუთრივ მონობას შორის არსებულ განსხვავებებზე, მაშინ შეიძლება ასეთი აზრი მივიღოთ, მაგრამ თუ ჩვენ მოვინდომებთ ვიქნეთ უფრო გარკვეული ჩვენს მსჯელობებში, მაშინ უარი უნდა ვთქვათ ასეთ კატეგორიულ მტკიცებაზე, რადგან სინამდვილეში მონობა თავისი პირვანდელი სახით ისეა გადახლართული ადამიანის ადამიანზე დამოკიდებულების სხვა ფორმებთან, რომ მათი ერთმანეთისაგან გამოცალკევება ძნელია. მაგრამ ეჭვს გარეშეა ის, რომ ყოველი ხალხი თავის სამეურნეო განვითარებაში გადის მძიმე, სასტიკი, დამოკიდებულების საფეხურს და ეს დამოკიდებულება ზოგჯერ ღებულობს მონობის ფორმებს.

ამასთან დაკავშირებით ისმება საკითხი: სოციალური განვითარების რომელ საფეხურზე ჩნდება მონობა, როგორც მუდმივი ინსტიტუტი.

„არც ერთი ხალხი, რომელსაც არ მიუღწევია მეჯოგეობამდე ან მიწისმოქმედებამდე, მონების შრომით არ სარგებლობს“.

„მონადირეობის პერიოდში მეომარი-ველურს დამარცხებული მტერი ტყვედ კი არ მიჰყავს არამედ ჰკლავს მას; ტყვედ მიჰყავს მხოლოდ ქალები და ხდის მათ ცოლებად ან მონებად... მეჯოგეობის პერიოდში მიჰყავთ ტყვეები, რომ შემდეგ ისინი გაჰყიდონ... მაგრამ მიწათმოქმედების განვითარებასთან და მასთან ბინადრობის გაჩენასთან ერთად მოთხოვნილება მონების შრომაზე იზრდება: მონები ამუშავებენ რა მიწას, საარსებო საშუალებებს აძლევენ თავიანთ ბა-

ტონებს და ანთავისუფლებენ მათ ძძივე საშინაო სამუშაოებიდან. ამ პერიოდში მონობა არის საყოველთაოდ გავრცელებული და, შეიძლება ითქვას, აუცილებელი ინსტიტუტი“.

მხოლოდ ნიბური, (Nieboer, H. I.), ემხრობა რა ტელიორის მიერ წამოყენებულ სტატისტიკურ მეთოდს, უფრო სისწორით განსაზღვრავს კავშირს საშეურნეო განვითარების სხვადასხვა საფეხურებსა და მონობას შორის.

ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დედამიწის ზურგზე არსებობს მონობის რამდენიმე კერა.

ერთი იმათგანი იპყოფება ჩრდილოეთ ამერიკაში წყნარი ოკეანის ნაპირების გასწვრივ. ბერინგის სრუტედან დაწყებული კალიფორნიის ნაპირებამდე; აქედან მონობა გადავიდა აზიაში, — კამჩადელების ქვეყანაში. ამ ზღვის რაიონის საზღვრებს იქით მონობას ხვდებოდნენ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შუაგულ და სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ ხალხთა შორის.

მონობის მეორე კერას წარმოადგენს შალაის არხიპელაგი, საიდანაც ის, ალბად, გადავიდა ახალი გინეის დასავლეთ ნაპირზე. ოკეანიაში მონობას ხვდებოდნენ ტაიტის და ახალი ზელანდიის კუნძულებზე: ინდოჩინეთში ის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს.

მაგრამ მონობის უმთავრეს კერას წარმოადგენს აფრიკა, განსაკუთრებით გინეის სანაპიროები. ვიუხედავად ამისა იქაც არის ოლქები, რომლებშიაც საეხებით, რომ ქვია არ მიმართავენ მონურ შრომას. (მთელ ტერიტორიაზე ზაგბეზის სამხრეთით და ზემო ნილოსის ტერიტორიაზე არაბეთის სამხრეთ-დასავლეთით).

ამ კერებს გარედ მონობა შემჩნეული იყო, იშვიათ შემთხვევებში. კავკასიაში და აზიის მეჯოგეობის მიმდევარ ხალხებს შორის.

უკვე ასეთი განაწილება მონობის კერებისა გვაფიქრებინებს, რომ მონური შრომით სარგებლობა იწყება მხოლოდ ბინადრული ცხოვრების განვითარებიდან. ამას ამტკიცებს აგრეთვე ნიბურის სტატისტიკური ტაბულები. ამ ტაბულების თანახმად 83 მეჯოგე ხალხთაგან მხოლოდ 18 სარგებლობდა მონური შრომით. მაგრამ საკმაო სულ ზერელედ გარკვევა ამ ტაბულაში რათა შევნიშნოთ, რომ ნიბურმა ერთ ხაზზე მოაქცია საკუთრივ მონადირეები და მეთევზეები, რომელნიც ცხოვრობენ წყნარი ოკეანის გასწვრივ ჩრდილოეთ ამერიკაში. ნამდვილად კი ჩრდილოეთ ამერიკის ზოგიერთი ტომები, კამჩადალები აზიაში და საზოგადოდ მეთევზეები ბინადარ ცხოვრებას ატარებენ; საქონლის გაცვლამ მათ შორის განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია და საერთოდ მათი განვითარების დონე

უფრო მაღლა დგას, ვინემ მრავალ ბარბაროს მიწისმომქმედთა განვითარების დონე. და სწორედ ამ ტომებზე მოდის მონობის 14 შემთხვევა 18-დან, რომელსაც ნიბური აღნიშნავს. რაც შეეხება დანარჩენ 4 ხალხს, რომელიც ნიბურის ტაბულების მიხედვით მონებით სარგებლობს, 2 იმათგანი იმყოფება მეთევზეთა გავლენის სფეროში, ხოლო აბიპონებსა და ტეუელიხებს შორის მონობის არსებობის ფაქტი საიქცეოა. ვიღებთ რა ამას მხედველობაში ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მონადირე ხალხებში, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მონობა არ არსებობდა, ხოლო განვითარდა კი ის ბინადარ მეთევზეთა შორის. ნიბურის ტაბულებში მოთავსებულია 30 მეთევზე ხალხები. რომელთა შორის 47% სარგებლობს მონების შრომით მაშინ როდესაც 53 მონადირეობის მიმდევარ ხალხთაგან მონური შრომით სარგებლობს მხოლოდ 9,5%. მეჯოგეობის პერიოდში მონობა გვხვდება უფრო ხშირად. 22 მეჯოგე ხალხთაგან, რომელნიც ნიბურის ტაბულებშია მოთავსებული, 50% ჰყავთ მონები.

სრულ განვითარებას მონობა აღწევს მხოლოდ მიწათმოქმედებისა და საქონლის გაცვლის პერიოდში. ნიბური არჩევს მიწათმოქმედების სამ პერიოდს: პირველს, როდესაც მიწათმოქმედება წარმოადგენს არსებობის მეორე ხარისხოვან წყაროს მეთევზეობასთან, ნადირობასთან და გარეულ მცენარეთა ნაყოფების შეგროვებასთან ერთად; მეორეს, როცა ცხოვრების მთავარ სახსარს წარმოადგენს მიწათმოქმედება, მაგრამ ზემოდ ჩამოთვლილ საქმიანობანიც დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებენ, და მესამეს, როცა არსებობის სხსარს მხოლოდ და მხოლოდ მიწათმოქმედება შეადგენს. ბარბაროს ხალხთა შორის, რომელნიც მიწათმოქმედების პირველ საფეხურზე დგანან, მონური შრომით სარგებლობს 43,6%; საშუალო საფეხურზე მდგომთა შორის — 54,3% და მაღალ საფეხურზე კი — 100%.

ვაჭრობა ყოველთვის ხელს უწყობს მონობის განვითარებას. რამდენიმედ იმიტომ, რომ ის ტომები, რომელნიც ვაჭრობას მისდევენ. საჭიროებენ უფრო მორჩილ სამუშაო ძალას. ნაწილობრივ კიდევ იმიტომაც, რომ მონა თავის თავდაც წარმოადგენს ვაჭრობის საგანს.

მაგრამ გარდა საკითხისა, თუ ეკონომიური განვითარების რომელ საფეხურზე ჩნდება მონობა, ისმება მეორე საკითხი: როგორ იხალხები იძლევიან თავიანთ წრიდან მონებს? ეს საკითხი დღემდე არავის არ გამოუჩვენებია დეტალურად. მონადირეობისა და მეჯოგეობის მიმდევარი ხალხები ძალიან ნა-

კლებად არიან შეჩვეულნი რევულიარულ შრომას და უვარგის მასალას წარმოადგენდენ მონათა არმიის შესავსებად. ამიტომ არის, რომ მონები ყოველთვის მობინადრე ტომებიდან გამოდიან, რომელთა წევრები მიჩვეულნი არიან მორჩილებას და სისტემატიურ შრომას. ადამიანს ამ თვისებებს განსაკუთრებით უნერგავს მიწათმოქმედება, და სწორედ მიწათმოქმედ ხალხთაგან გამოდიოდენ ის მონები, რომელთაც ამერიკის პლანტაციებზე ეზიდებოდენ, როცა ევროპიელებმა ვერ შესძლეს რათა ადგილობრივი ინდოელები შეებათ შრომის უღელში. ხოლო მონებით მოვაჭრეთა გამოცდილებამ აფრიკაში დაგვანახა, რომ ერთგვარი ღირსების ადამიანურ მასალებს მეზობელი ტომებიც კი არ იძლევიან. ყველაზე მეტად ფასობენ მონები ბონგოს ტომიდან, რადგან ისინი წყნარნი, ერთგულნი და შრომის მოყვარულნი არიან; მიტტები ცოტას ფასობენ, რადგან მათ არ შეუძლიათ ბეჯითი შრომა. დიდი შედგრობაც ვერ მოსტეხს ბაბუკების, აბაკებისა და დიუბების თავისუფლებისადმი სიყვარულს: ისინი პირველ შესაძლებლობისთანავე გარბიან. ჩვეულებრივ მონებით მოვაჭრეები მონის პირად ღირსებებს კი არ კითხულობენ, არამედ მის ტომებრივ შთამომავლობას.

## ბ) დამოკიდებულება ტყვეებთან. — მონობის წარმოშობა

ამერიკის პირველყოფილ ტომთაფის მონობის წყარო იყო ომი: სამხედრო ტყვეებს ძალიან ხშირად მონებად აქცევდენ. ინდოელი ტომები ერთნაირად არ ექცეოდენ ტყვეებს. სხვადასხვა წყაროები ერთისა და იმავე ტომის შესახებ სრულიად ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობებს იძლევიან: ერთი და იგივე ტომი ხან საშინლად სტანჯავს ტყვეებს, ხან კი ძალიან კარგად ექცევა და შვილადაც კი აპყავს ის. ეს იმით აიხსნება, რომ ყოველი მკვლევარი ანზოვადებს იმას, რისი მოწმეც თვითონ იყო.

ეს ერთი მეორის საწინააღმდეგო აღწერილობა მოწმობს, რომ ინდოელები თავიანთ დამოკიდებულებებში სამხედრო ტყვეების მიმართ განსაზღვრული წესებით არ ხელმძღვანელობდენ. ყველაფერი დამოკიდებული იყო იმათ გუნებაზე და შემთხვევაზე. პირველი წუთები როცა ტყვეები სოფელში მიჰყავდათ, ძალიან საშიში იყო ტყვეებისათვის, რადგან სოფლელები შურისძიებით იყვენ ანთებულნი. ნათესავების ახლად, დაღვრილი სისხლისათვის. ბრბო (უმთავრესად ქალები: ჯოხებით და მუგუზლებით შეიარაღებულნი) დგებოდა ორ-

წყებად ხოლო ტყვეებს გაატარებდნენ „წყებას შუა“; რომელი მათგანიც შესძლებდა ცემის ქვეშ მირბენას წყების ბოლოში დასობილი, წითლად შეღებილ ბოძამდე, ის ცოცხალი რჩებოდა. დანარჩენები კი საშინელ ტანჯვაში იღუპებოდნენ. განსაკუთრებით სასტიკად იგვემებოდა ხანში შესული მხედარი, რომელსაც არა ერთი და ორი კაცი ყავდა მოკლული. იმ ტომებს შორის, რომელნიც დროგამოშვებით ერთმანეთს ეომებოდნენ ხოლმე, მუდამ არსებობდა უთანხმოება და ერთმანეთისადმი მტრობა მათ შორის ყოველთვის ძალიან დიდი იყო. ის შეუბრალებელი ტანჯვა, რომელსაც ძალიან ხშირად აყენებენ ბარბაროსობის ხანაში ტყვეებს, კალმით ვერ აიწერება და შიშისა და ზიზღის მომგვრელია. ეს მოწმობს, რომ ეს საშინელი ტანჯვა სრულდებოდა არა გულგრილად, არამედ შურისძიებითი აღტყინების დროს, ზოგჯერ შეშლილობის მდგომარეობაში, რადგან ჩვეულებრივ პირველი სიცოფვის განვლის შემდეგ, ცოცხლად გადაჩენილ ტყვეებს სახლში უშვებდნენ და შეილადაც აიყვანდნენ ხოლმე. ჩვეულება ტყვეების მონებად გადაქცევისა თანდათან შემოდის; მაშინ ისპობა მათი დახოცვა. მაგრამ ცოცხლად დატოვებულების მდგომარეობა უარესდება.

ნელ-ნელა ჩნდება წესიერი ვაჭრობა მონებით, რაც მრავალ ტომთათვის საეაქრო ბრუნვის ძალიან მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა; საქონელი ერთი ტომის ხელიდან მეორე ტომის ხელში გადადიოდა, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ცოცხალი საქონლის მოსაპოვებლად იტაცებდნენ სხვა ტომების წევრებს, რისთვისაც აწყობდნენ სპეციალურ სამხედრო ექსპედიციებს; ამ ექსპედიციების შედეგი იყო მთელი რიგი ტომების მოსპობა.

ინდოელ ტომთა შორის ბატონის ხელისუფლება საესე იყო სიმკაცრითა და თვითნებობით: მონებს კლავდნენ მკვდრების მოგონების დროს, სახლის საძირკველის ჩაყრის დროსა და უბრალოდ გაჯავრების დროსაც. ისიც ხდებოდა, რომ პატრონს გამოჰყავდა მოედანზე რამდენიმე მონა, დააყენებდა მათ მწყკრივში და კლავდა ყველას თვალწინ, რასაც მას არავინ უშლიდა. ზოგჯერ წინამძღოლები კლავდნენ ყველა თავის მონებს, რომ ამით გამოეჩინათ თავის მიერ ამ ქვეყნიური კეთილდღეობის არარად ჩაგდება და დაემტკიცებიათ თავიანთი სულის კეთილშობილება.

მონა ფასდებოდა მხოლოდ როგორც მუშა ძალა; როცა ძალ-ლონე გამოეღოდა, მას უბოდიშოდ კლავდნენ; მონები სძაგდათ: ისინი ატარებდნენ მოკლე თმას, და თავისუფალისათვის მონათ წოდება საშინელ შეურაცხყოფად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, მონების ქო-

ნებრივი მდგომარეობა, როგორც სჩანს, ცუდი არ უნდა ყოფილიყო: ისინი ბატონთან ერთ ქოხში ცხოვრობდნენ და მასთან ერთად ერთი სუფრიდან სკამდნენ.

ამ ნაირად, ჩრდილოეთ ამერიკის საზღვრებში მონობის წარმოშობა საესეებით განსაზღვრული და ნათელია: მონა — ეს არის ტყვე, რომელსაც სიცოცხლე აჩუქეს და ტანჯვა ააცილეს. იგივე იყო სხვა ადგილებშიაც, რასაკვირველია, ზოგიერთი ცვლილებებით. სამხრეთ ამერიკაში, მაგალითად, გავრცელებული იყო ჩვეულება ტყვეების შექმნისა.

მონობის ასეთი წარმოშობა ბეჭედს ასვამს მის პირვანდელ ისტორიაზე. ტყვე წყალობად თვლიდა რომ მას სიცოცხლე აჩუქეს; მას რომ გაემარჯვა და ახლანდელი თავისი ბატონი ტყვედ წაეყვანა, შეიძლება ის მას ტანჯვით მოეკლა და ყოველ შემთხვევაში უკეთესად არ მოექცეოდა, — ვინემ მისი ბატონი მოექცა თავის ტყვეებს.

ჩვენი თვალსაზრისით, მონობა არის ინსტიტუტი, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენს ყველაზე ელემენტარულ შეხედულებებს სამართლიანობის შესახებ. მაგრამ თავის წარმოშობის დასაწყისში მას მორალური სანქცია ჰქონდა არა თუ ბატონების, არამედ თითონ ტყვემონების მხრიდანაც. მხოლოდ შემდეგში მონობის განვითარების შემდეგ, როცა დავიწყებულ იქნა მისი წყარო, მონები იწყებდნენ პროტესტის გამოცხადებას თავიანთი უუფლებო მდგომარეობის წინააღმდეგ.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ომი არის მხოლოდ პირვანდელი წყარო მონობისა. როგორც კი რომელსაზე ტომში გავრცელდა მონობა, ის ხდება ნიმუშად, რომლის მიხედვით შენდება ადამიანის ადამიანისადმი ყოველგვარი დამოკიდებულება. მონათ გადაქცევა ვალის გადაუხდელობისა და რაიმე მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, მონად გაყიდვა ოჯახის ერთი წევრისა მეორეს მიერ, პირადი მორჩილება — ყველაფერი ეს აღიღებს მონების რიცხვს და უსაზღვროდ აფართოებს მონობის გავლენის სფეროს.

## ბ) მონათმფლობელობის გავრცელება ანტიურ კვეყანაში. — მონობის შედეგები

იმ ქვეყნებს შორის, რომელნიც ელინთა კულტურის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, ძალიან გავრცელებული იყო მონობა მცირე აზიასა და სირიაში. მონობით ვაჭრობის ცენტრი იყო ხიოსი, კიპრო-

სი, სამოსი, ეფესი, შემდეგში დელოსი, სადაც ზოგჯერ ერთ დღეში 10.000 მონას ჰყიდდნენ. მცირე აზიის ბევრ ქალაქში მონების რიცხვი რამდენჯერმე სჭარბობდა თავისუფალ მოქალაქეთა რიცხვს. ევროპის საბერძნეთში მონების რიცხვის მხრით პირველი ადგილი ეჭირათ ატიკასა და კორინთს. ბელოსი განსახლებავს საბერძნეთის მთელს მოსახლეობას ჩვენი წელთაღრიცხვის 432 წლისათვის 3.051.000-ით, მათში 1.000.000-მდე მონა იყო.

მონობა რომში და საერთოდ იტალიაში ძველად უფრო დიდ როლს თამაშობდა, ვინემ საბერძნეთში, პირველად იმიტომ, რომ ქალაქი რომი იყო უზარმაზარი ცენტრი მოხმარებისა და ფუფუნებისა და მეორედ იმიტომ, რომ იტალიის, როგორც სამიწათმოქმედო ქვეყნის სამეურნეო წყობილება, უფრო პირველყოფილი იყო. იტალიის პროვინციებში მონების სიმრავლით პირველი ადგილი ეჭირა სიცილიას, სადაც ჩვენი წელთაღრიცხვის 140 წლის ახლოს ითვლებოდა 400.000 მონა, და როგორც ეტყობა ამდენივე თავისუფალი მოქალაქე. აპენინის ნახევარ კუნძული ჯერ კიდევ მესამე საუკუნეში, ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე, წარმოადგენდა თავისუფალი შრომის ქვეყანას, მაგრამ უკვე I საუკუნეში იტალიის მოსახლეობა შეადგენდა, როგორც სჩანს, 2.500.000 კაცს, ხოლო მონობის რიცხვი აღიოდა 1.500.000 — 2.000.000-მდე; რომში კი ჩვენი წელთაღრიცხვის 5 წელით ადრე იყო 500.000 სული თავისუფალი მოსახლეობა, 70.000 უცხოელი და დაახლოებით 280.000 მონა.

ზემოთ მოყვანილ ციფრებს მიეყვებათ მეტად სერიოზულ აზრებამდე. მონები ზოგჯერ სჭარბობდნენ რაოდენობით თავისუფალ მოსახლეობას. მონების ასეთი მრავალრიცხოვანობა არ შეიძლებოდა არ დასტყობოდა თავისუფალი მოსახლეობის როგორც ყოფა-ცხოვრებას, და შეხედულებებს, ისე იმ საზოგადოების ბედ-იღბალს, რომელიც მონების შრომით სარგებლობდა. ამ გავლენის შედეგად პირველ ყოვლისა თავისუფალმა მოსახლეობამ შეიმუშავა მეტად ღრმა ზიზლით აღსავსე დამოკიდებულება შრომისადმი: შრომა — ეს არის მონის მოვალეობა. რომელიც სასიარტცილოა თავისუფალი მოქალაქისათვის. ძველი ქვეყნის ისეთი დიდი მოაზროვნენიც კი, როგორც იყვენ არისტოტელი და სენეკა, ახალი გვინების ველურების მსგავსად ფიზიკურ შრომას სამარტცინო და საზიზლარ საქმედ სთვლიდნენ. მონობაზე დამყარებულ საზოგადოებების გახრწნის ჩანასახი დამარტულია სწორედ შრომისამდი ამ ზიზლიში: მუქთა ზორობამ გამოიწვია გონებრივი და ფიზიკური გადაშენება. ეს მუქთაზორობა მით უფრო წარმარტებით ასრულებდა თავის საქმეს, რომ ის

კულტივირდებოდა თავაშვებული გარყვნილების პირობებში, რომლისათვისაც ნიადაგს იგივე მონობა აწვადებდა.

ზნეობის დაცემა მონათმფლობელურ საზოგადოებაში მთლიანად ხოწნის მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას. მონები, რომელნიც მთელი მოსახლეობის თითქმის  $\frac{1}{4}$  შეადგენენ პირდაპირ აფეთქებენ საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა საღ მხარეებს. ერთხელ რომის სენატში შეტანილი იყო პროექტი მონებისათვის სპეციალური ტანისამოსის ტარების ვალდებულების შესახებ. მაგრამ ეს პროექტი უარყოფილ იქნა სენატის მიერ, რომელიც ძალიან სახიფათოდ თვლიდა: „რომ ჩვენმა მონებმა ჩვენ თვლა დაგვიწყონ“ („si servi nostri numerare nos coepissent“) მონათმფლობელური საზოგადოების განვითარების მთელ დიალექტიკას მის დაცემამდე მიეყვებოდა. ფიზიკური შრომისადმი სიძულვილი, გარყვნილება და სხვა შედეგები მონური წყობილებისა აგდებენ ბატონებს მუქთახრობაში; აჩვენებენ ბოროტმოქმედებასა და ექსპლოატაციას, სპობენ საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობას. იმის შესავსად, როგორც ხის დამპალ ძირზე ამოდის ახალგაზრდა ხეები, ისე გახრწნილი მონობის პირობებში ჩნდება ახალი წყობილება. ხალხი, რომელიც დროებით ცვლის ბატონების ენას უარგონით, სტოვებს ბატონების ღმერთებს და ამსხვრევს მათ საკურთხეველს. აქამდე დავიდა რომის ისტორია მისი დაცემის ხანაში.

(ლ: კ რ ე ი ც კ ი — პირველყოფილი ხალხების მეურნეული და საზოგადოებრივი წყობა).

### § 3. ანტიური კვიჰნის მონათმფლობელური მუშაობა

ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ რითი განსხვავდება უმთავრესად ადამიანის შრომა ცხოველის შრომისაგან. ადამიანი შეგნებულად შრომობს. ის ჯერ თავში მოისაზრებს მიზანს რისთვისაც მუშაობს და სისრულეში მოყავს იგი მის მიერვე გაკეთებული იარაღებით. შემდეგ ჩვენ დავინახეთ აგრეთვე, რომ ადამიანი თავის მუშაობას აწარმოებს სხვა ადამიანებთან თანაცხოვრებაში, საზოგადოებაში. მრავალი ხნის განმავლობაში დაეხეტებოდნენ პირვანდელი ადამიანები პირველყოფილ კომუნისტურ მონადირეთა ჯგუფებად (ურდოებათ). მათ უფრო მაღალ საფეხურს მიაღწიეს მაშინ, როდესაც მონადირეობიდან მომთაბარე მეჯოგეობამდე და ბოლოს მიწათმოქმედებამდე და ბინადრობამდე მიაღწიეს. უკანასკნელ, შედარებით უფრო განვითარებულ მიწათმოქმედების საფეხურზე ადამიანებმა თანდათან შექმნეს გლეხუ-



ნი თემები, ეგრეთწოდებული მარკა (ჩვენ მხედველობაში არ ვღებულობთ ისეთ ადგილებს სადაც ბუნერივი პირობები ხელს უშლიდა: განვითარების ამგვარ საფეხურის წარმოებას). და მაშინ ისინი გარდა ნადირობის თავს ირჩენდენ კიდევ მიწათმოქმედური შრომით. პირველყოფილ კომუნალიზმში მარკაში მიაღწია უფრო მაღალ ფორმას.

მაგრამ გარკვეულ საფეხურზე ეს პირველყოფილი კომუნისტური ურთიერთობა დაბრკოლებად იქცევა შემდგომი განვითარებისათვის. და სადაც ასე მოხდა ეს ურთიერთობა უნდა გამჭრალიყო, მას ადგილ-უნდა დაეთმო წარმოების ახალი, უფრო მაღალი ფორმისათვის. მაშინ პირველყოფილი კომუნალიზმის ადგილი დაიჭირა ეკონომიკური საკუთრებან. ხოლო უკანასკნელმა, როგორც ჩვენს ძველ გერმანელების ისტორიიდან დავინახეთ, გამოიწვია ეკონომიური და პოლიტიკური უთანასწორობის წარმოშობა. ამავე მიზეზებისა გამო, მსგავსად გერმანელე-აისა, პირველყოფილი კომუნალიზმი და მასზედ დამყარებული თავისუფლება და თანასწორობა გაჰქრა სხვა ქვეყნებშიაც და გზა გაუყავ: კლასიურ საზოგადოებას და ექსპლოატაციას.

განვითარება, ახალ პირობებში, უფრო ჩქარი და ძლიერი ნა-ბიჯით წავიდა წინ, ვინემ ეს შესაძლებელი იყო პირველყოფილი კომუნალიზმის დროს. მაგრამ ამ დროიდან კაცობრიობის უდიდეს, გაყვლე-ფილ ნაწილს, უკვე არას დროს აღარ უსარგებლია, სრული შესაძლებ-ლობის ფარგლებში, იმ სიმდიდრითა და კულტურით, რომელიც სულ უფრო ვითარდებოდა. კერძო საკუთრების ქვეშ უძველესი დროიდან ჩვენს დრომდე ყოველგვარი ეკონომიური და კულტურული მონო-პოვარი უთავრესად ემსახურება გაბატონებულ კლასების ინტერე-სებს. ამიტომ მას შემდეგ ისტორიამ დაჰკარგა ხასიათი კაცობრიობის მიერ ერთად და ერთიმეორის სასარგებლოდ შრომის წარმოებისა, -- შრომის, რომელიც წინად ჰარმონიულად ვითარდებოდა, — და იგი გადაიქცა, როგორც კომუნისტური მანიფესტი ამბობს, ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მომქმედ მტრულად განწყობილ კლასების ბრძოლის ისტორიად, ისტორიად კლასთა ბრძოლებისა, რომლის განსაკუთრე-ბული ფორმები, მნიშვნელობა და ისტორიული ბედობალი ხასიათ-დება ექსპლოატაციის ურთიერთობით.

დღემდე ჩამოყალიბდა სამი მთავარი ფორმა ექსპლოატაციისა: მონობა, ფეოდალიზმი და ბატონყმობის და თანამედროვე თავისუფალი დაქირავებული შრომა.

ზემოთ, ძველი გერმანელების ურთიერთობათა განვითარების და-ხასიათების დროს ჩვენ მივედით ჩვენი წელთაღრიცხვის მეოთხე საუ-კუნის ბოლომდე ამ დროისათვის გერმანელთა შორის, შინაგანი ძა-

ლების წყალობით, უკვე განვითარდა ფეოდალიზმის ჩანასახი. მეორე მხრით ასეთი განვითარება განმტკიცებულ იქნა გარემო პირობების მიერაც, სახელდობრ ხალხთა დიდი გადასახლებით, რომლის ზეგავლენით გერმანელები რომის იმპერიაში შეიჭრენ, დაანგრიეს მისი კულტურა და საუკუნეებით უკან დასწიეს იგი.

იმავ დროს ჩვენ ზემოდ ისიც მოვიხსენიეთ, რომ თითქმის ასი წლის წინეთ, სანამ გერმანელები, როგორც უბრალო მეომარი, მონადირე და მეჯოგეობის მიმდევარი ტომები დასავლეთ გერმანიას მიაღწევდნენ, ბერძნებისა და რომაელების წინაპრები, აგრეთვე მომთაბარენი, შეესივნენ დღევანდელ საბერძნეთსა და იტალიას და აბორიგენებთან ბრძოლით დაიპყრეს, — ჯერ საბერძნეთში, — ეს ქვეყნები და იქ გაბატონდნენ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბერძნების მიერ ბინადარ მცხოვრებლების დაძლევა უმთავრესად იმის გამო მოხდა, რომ ბერძნებს ამ დროს უკვე ჰყავდათ მოშინაურებული ცხენები. ბერძნები ისტორიული ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდნენ ჩვენი წელთაღრიცხვამდე ათასი წლით ადრე. პირველ ყოვლისა მოსახსენებელია მათი ზღაპრული პოეტი ჰომეროსი, რომელიც, გადმოცემით, ჩვენი წელთაღრიცხვამდე ათასი წლით ადრე ცხოვრობდა და რომელიც თავის „ილიად“—სა და „ოდისეა“—ში ცოცხალი საღებავებით გვიხატავს ამ დასაწყისი პერიოდის ბერძნთა გმირებს და მათ ბრძოლას ამ ქვეყანაში ბატონობისათვის.

სწორედ იმ დროებაში, როდესაც, როგორც ჩვენ ვიცით გერმანელები ბარბაროსობის საუკუნურზე იმყოფებოდნენ ბერძნებსა და რომაელებს უკვე საუკუნოებით ადრე ჰქონდათ ფრიად მაღალი კულტურა და მათში ჰყვარდა. მდიდარი ცხოვრება, რომელიც ზოგიერთ თავისი თვისებებით თითქმის უახლოვდებოდა დღევანდელ ცხოვრებას. არსებობდა განვითარებული მიმოსვლა და ვაჭრობა, ერთგვარი საქარხნო-საქონლური წარმოება და ამასთანავე ერთად აყვავებული იყო ხელოვნება და მეცნიერება.

მაგრამ ამ მაღალი კულტურის საფუძველი, სამეურნეო ცხოვრება, დამყარებული იყო მონურ შრომაზე. როგორც დღევანდელი გაბატონებული კლასები „თავისუფალი“ მუშების საშუალებით, ისევე მაშინდელებიც ყველა საქმეო სამუშაოებს მონების საშუალებით აკეთებდნენ. კერძოდ რომის მსოფლიო იმპერიაში იმდენად განვითარდა ფულადი მეურნეობა და მსხვილი საქალაქო ურთიერთობანი, რომ ეს თითქმის ერთნაირ უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ, განსაზღვრულ ფარგლებში, თავისებური კაპიტალისტური მეურნეობისა და კაპიტალისტური საზოგადოებრივი წესწყობილების შესახებ.

მაგრამ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობდა სასტიკი განსხვავება შრომის უორმისა და მისი ანაზღაურების მხრივ. დღეს კაპიტალისტები და მუშები ერთმანეთის წინააღმდეგ დგანან, როგორც უორმალურად თავისუფალი ადამიანები. კაპიტალისტებს ხელთ უპყრიათ საწარმოო საშუალებები და ნედლი მასალა როგორც საკუთრება, მუშებს — სამუშაო ძალა. დაბოლოს კაპიტალისტები საკუთრებად ღებულობენ შექმნილ პროდუქტებსაც რადგან ისინი საწარმოო საშუალებებსა და ნედლეულთან ერთად ყიდულობენ, როგორც საქონელს, საჭირო სამუშაო ძალას.

პირიქით, ძველი დროის „კაპიტალისტი“ ყოველგვარ მუშაობას აწარმოებდა მონების შემწეობით, რომელნიც მსგავსად მკვდარ საწარმოო საშუალებებისა მის საკუთრებას შეადგენდნენ. ყველა დამზადებული პროდუქტი მას ეკუთვნოდა იმიტომ, რომ მასვე ეკუთვნოდა თვით მშრომელი ადამიანიც, და, მაშასადამე, ყველაფერი, რასაც ეს უკანასკნელი ჰქმნიდა. მუშები დღეს ეწევიან მუშაობას „თავისუფალი“ ხელშეკრულების ნიადაგზე და ხელფასისათვის; უფლებო, თავისუფლებას მოკლებული მონები კი ეწეოდნენ თავის შრომას, პირდაპირი ფიზიკური იძულების ქვეშ და ღებულობდნენ მხოლოდ სარჩოს ნატურით. ამგვარად, დღევანდელ კაპიტალისტურ წყობილებაში საქონლად გადაქცეული შრომის თავისუფალი და ფულადი ყიდვით კაპიტალისტური რაობა გაცილებით უკრო მძაფრად არის გამოხატული, ვინამ ეს იყო ძველი ქვეყნის კაპიტალიზმში.

მაგრამ დიდი განსხვავება აგრეთვე იმაშიაც მდგომარეობს, რომ მაშინ არ არსებობდა მანქანა, და მაშასადამე ის უდიდესი შედეგებიც რომელიც შექმნა მანქანამ. და იმიტომ საქონლის გაცვლა და საერთაშორისო ურთიერთობა მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ქვეყნებს ეხებოდა. გარდა ამისა, დღევანდელ დროსთან შედარებით, ვაჭრობა არსებობდა მხოლოდ ზოგიერთი საგნებით, თუნდაც იმ დროისათვის მას ძალიან დიდი მნიშვნელობაც ჰქონოდა მოპოებულ.

უკვე მიმოსვლის სიძნელისა გამო, — ხმელეთზე მოგზაურობა შეიძლებოდა შარა-გზებზე და ქარავენებით, ხოლო ზღვაზე-კი ნიჩბიანი ნაევებით და მძიმე იალქნიანი გემებით, — ვაჭრობა შესაძლებელი იყო მხოლოდ ისეთი საგნებით, რომლებიც უძლებენ გადატანის ხანგრძლივობას და იმავე დროს არა მარტო ფარავენ დიდ სატრანსპორტო ხარჯებს, არამედ მოგებასაც სტოვებდნენ. ასეთი საქონელი იყო იმდენად არა მასიური მოხმარების საგნები, რამდენადაც ფუფუნების საგნები, რომლებიც მდიდრებს ესაჭიროებოდათ: ძვირფასი ლითონები, მაღალი ხარისხის ხე, ლითონეულის ნივთები, მაღალი ხარის-

ბის ქურკლეული და სხვ. პირიქით, მასიური მოხმარების საგნებს, გარდა პურისა, ნაკლებად აქცევდენ ყურადღებას.

ახლა. განვიხილოთ მონათვლობელური მეურნეობა მის ცალკე ნაწილებში, როგორც მოვიქეცით ჩვენ მარკის მეურნეობის განხილვის დროს.

მონობა პირველი და მაშასადამე უძველესი სახეა ექსპლოატაციისა; მისი წარმოშობა ხშირად ისე აუხსნიათ ჩვენთვის, რომ თითქოს ეს მოხდა სამხედრო ტყვეების მონებად გადაქცევის გამო. მაგრამ ეს ახსნა ისევე ნაკლებად გვაკმაყოფილებს ჩვენ, თუ საქმეს ჩაუყვირდებით, როგორც ის, რომ კერძო საკუთრება, რომელმაც დაანგრია მარკის ძველი კომუნისში ვითომ მარტოოდენ ძალდატანების საშუალებით იქნა შემოღებული. როგორც ერთი ისე მეორე შემთხვევაში ჩვენ უფრო ღრმა საფუძველი უნდა ვეძიოთ და უნდა ვიკითხოთ: რატომ უწინ, იმთავიდანვე არ აქცევდენ მონებად სამხედრო ტყვეებს? რადგან ბრძოლა და ომები — ქალებისა და საჭირო საგნებისათვის, სანადირო და საძოვარ ადგილებისათვის — წინადაც მუდამ ხდებოდა სხვადასხვა ურდოებსა და მათ კავშირებს შორის, ე. ი. სხვადასხვა ერთმანეთისათვის უცხო თემებს შორის. რატომ მაშინ, განვითარების დაბალ საფეხურზე, მტრებს რომ ხელში ჩაიგდებდენ ჰკლავდენ, ჰამდენ ან ღმერთებს შესწირავდენ ხოლმე მსხვერპლად და მონებად კი არ აქცევდენ.

სანამ შრომა იმდენად განუვითარებელი იყო, რომ ძლივს ახერხებდა შრომელისა და ურდოს წევრებისათვის მარტოოდენ არსებობის წყარო შეექმნა, მანამ არავითარი აზრი არ ჰქონდა უცხო ადამიანების დამორჩილება-დამონებას. უკანასკნელთ არავითარი დახმარების, არავითარი შვების მიცემა არ შეეძლოთ გამარჯვებული ურდოსთვის; პირიქით ისინი საშიშროებას და ზედმეტ ტვირთს წარმოადგენდენ, და ამიტომ იყო, რომ მათ ამ დაბალ საფეხურზე ჰკლავდენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც შრომა განვითარდა და ის გაიყო მიწათმოქმედებად და მეჯოგეობად, აგრეთვე ხელოსნობის წარმოშობიდან, შრომას შეეძლო მეტის მოცემა, ვინემ ეს საჭირო იქნებოდა ერთი კაცის შესანახად, და მაშინ სასარგებლო გახდა შეპყრობილი მტრის მუშაობის უღელში შებმა, და მისი ყვლევა. ეს შესაძლებლობა სულ უფრო და უფრო მატულობდა მიწათმოქმედების აყვავებისა და ბრადარი ცხოვრების დამყარებასთან ერთად და ამან დასაბამი მისცა მონობას. მონადირე და მეჯოგე ტომებს შორის მკვლევარნი დღესაც ვერ ჰპოულობენ ვერავითარ მონებს. მომთაბარე ცხოვრების დროს მონებს ძალიან ცოტა სარგებლობის მოტანა შეუძლიათ.

რამდენადაც დაბალ საფეხურზე ადამიანები თავის მატერიალურ ინტერესებს იმაში ხედავდნენ, რომ მათ მიერ დაკავებული კუთხიდან გაეძევებიათ ყველა ისინი, რომელნიც მათ წრეს არ ეკუთვნოდნენ, რამდენადაც ველური ვნება ისე მძვინვარებდა, რომ ომი სწარმოებდა მოწინააღმდეგების სრული მოსპობისათვის, იმდენად მიწათმოქმედების და ბინადრობის პირობებში ამავე ადამიანებს ესმის, რომ ეს ველური ვნება უნდა აილაგმოს. უარესი შურისძიების გრძნობა ჰქრება, როცა ადამიანი ხედავს, რომ დამარცხებულის ცოცხლად დატოვება და მისი შრომის უღელში გაბმა სასარგებლოა. ძალადობა და ომი, რომელნიც სამხედრო ტყვეებს მონებად აქცევდნენ, სინამდვილეში წარმოადგენდნენ მხოლოდ საშუალებას, მიზეზი კი ეკონომიური ხასიათის იყო. ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია დავინახოთ, რომ მომხდარ საზოგადოებრივ ცვლილებათა საუშუალებლს პირველყოვლისა წარმოადგენს ეკონომიური ურთიერთობის განვითარება ან რაც იგივეა, შრომის განვითარება. შრომის განვითარების საქმეში პირველმა დიადმა პროგრესმა — მიწათმოქმედებაზე და ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლამ მაშინდელ ისტორიულ ურთიერთობებთან ერთად აუცილებლად დაბადა აზრი მონობის შესახებ, რომელიც — ომის შემწეობით იქნა განხორციელებული.

გამარჯვებულებს არა მარტო მიჰყავდათ დამარცხებულნი თან სახლში და აიძულებდნენ მათ ემუშავათ სხვის თემში, როგორც უფლებო წევრებს, არამედ ომებსაც იწყებდნენ სწორედ იმისათვის, რათა სხვის ქვეყანაში ბატონობა ეგდოთ ხელში და დამორჩილებული ადგილობრივი მცხოვრებლები აეძულებიათ ემუშავათ ადგილობრივე საკუთარ მიწა-წყალზე და გაეყვლინათ.

ამას გავლენა ჰქონდა აგრეთვე პოლიტიკურადაც, სახელმწიფოს შექმნის თვალსაზრისითაც. წინათ საზოგადოებრივი შენაერთები უფრო შორს, ვინემ სისხლის ნათესაობის საზღვრებია, არ მიდიოდნენ. ახლა-კი დგებიან შეკავშირებანი, რომელნიც აერთებენ სხვადასხვი შთამომავლობის, კულტურისა და ზნე-ჩვეულების ტომებს. იქმნება სახელმწიფო. გამარჯვებულნი, როგორც გაბატონებული კლასები, ხელს ჰკიდებენ სახელმწიფოს დაცვას და მის წარმომადგენლობას :— გარეო საქმეებში. მათ ხელთუპყრიათ პოლიტიკური ხელისუფლება, აწესებენ კანონებს და სასამართლოს დაპყრობილთა დასამორჩილებლად და ეწევიან მათი შრომის ექსპლოატაციას. ჩვენ საქმე გვაქვს კლასიურ საზოგადოებასთან გაბატონებულებითა და დამორჩილებულებით, მყვლეფლებითა და გაყვლეფლებით. და რაკი ერთხელ

წარმოიშვა კლასიური საზოგადოება, შემდგომი დანაწილება და უთანასწორობა სულ უფრო და უფრო მრავალგვარ სახეს ღებულობს.

პირველი მსხვილი მონური სისტემა ევროპაში, რომელსაც ჩვენ ისტორია გვასწავლის, შექმნეს ძველმა ბერძნებმა. როცა ბერძნებმა ისტორიის ასპარეზზე შესდგეს ფეხი, თემური წყობილება მათში უკვე გამჭრალი იყო. და ამ შემთხვევაში ისე, როგორც ეს ჩვენ დავინახეთ ძველი გერმანელების მაგალითზე, თემის მამასახლისთა და სამხედრო მეთაურთაგან წარმოიშვენ გაბატონებული დიდებულები, რომელთაც ხელთ ეპყრათ უამრავი სიმდიდრე და პრივილეგიები. შესული ბერძნების გამარჯვებით ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებლებზე, ეს უკანასკნელნი ნაწილობრივ მონებად და ნაწილობრივ ყმებად გადაიქცენ, ხოლო ამის შედეგად კი თვითონ ბერძენი ხალხის შვილების სულ მეტი და მეტი ნაწილი ხდებოდენ მონებად და ყმებად.

გაბატონებული წიეები პირველ ხანებში მონებს უმეტესად ამუშავებდენ დიდ პლანტაციებში, რომლებშიაც ამზადებდენ ზეთსა და ღვინოს ფუფუნების საგნებზე გადასაცვლელად კიდევ უფრო ძველ და კულტურულ აღმოსავლეთის ხალხებში, ჩვენთვის უკვე ბიბლიიდან კნობილ ხალხებში, რომელნიც ბინადრობდენ ნილოსის, ტიგროსის და ეფრატის ნაპირებზე და შავი ზღვის ახლოს და მის სამხრეთით, — კაცობრიობის დასახლების ამ უძველეს აკვანში. სიმდიდრის ზრდასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან ერთად დიდებულებმა და მდიდრებმა იწყეს პლანტაციების მითოვება; ამნაირად წარმოიშვა და თანდათან განვითარდა ანტიური ქალაქი ყოველგვარი ხელოსნობით, ვაჭრობით მოხელეებით და შინამოსამსახურეებით. თავისი სიმდიდრით რომ ეამაყნათ დიდებულები როგორც სახლში, ისე გარეთ გამოსვლის დროს გარშემორტყმული იყვენ მონებით, სამსახურისათვის და თავის გამოსაჩენად.

წარმოების სფეროში მიწათმოქმედებას გარდა მონებს ამუშავებდენ სამთა-მადნო სარეწავებში და მალაროებში, ნაოსნობასა და ნავთმშენებლობაში, ვაჭრობა და ხელოსნობაც-კი მონებით იყო სავსე. ხელოსნობაში წარმოიშვენ მსხვილი მანუფაქტურული წამოწყებება, დღევანდელი ქარხნების წინამორბედნი, რომელთა მსგავსი ჩვენ, გერმანელებმა, გავიჩინეთ საშუალო საუკუნეების გასულს. აქ არა მარტო ფიზიკური მომუშავეები, ზედამხედველები და ნოქრებიც კი მონები იყვენ.

უკვე მაშინაც, — სწორედ ისე, როგორც დღეს, — მსხვილი საწარმონი ავიწროვებენ წვრილ ხელოსნობას, რომელიც ვერ უძლებდა კონკურენციას იაფფასიანი მონური შრომისა, რომელსაც მდიდარი

მსხვილი მწარმოებლები იყენებდნენ თავიანთ მამულებში, დროთა განმავლობაში, როგორც ხელოსნობაში ისე მეურნეობის სხვა დარგებში, თავისუფალი შრომა გაძევებულ იქნა მონური შრომით და ამ გამოძევებულთაგან წარმოიშვა ვალატაკებულის პროლეტარ-მოქალაქეთა წრე. მონები მუშაობდნენ როგორც ნოქრები და შუამავლები ბანკებსა და ზარაფხანებში, დიდ სავაჭრო სახლებში, დუქნებში და სასადილოებში. მონებს აქირავებდნენ აგრეთვე სხვადასხვა სამუშაოსათვის განსაზღვრული ქირით. სახლებში მონური შრომა იხმარებოდა მეჯინიბეებისა და შინამოსამსახურეების, აღმზრდელების და გამყოლების თანამდებობებზე, და არა იშვიათად, აგრეთვე, მემუსიკეებათ და მოცეკვავებად. გარდა ამისა მონების დიდი რიცხვი მუშაობდა აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებში: ტაძრებში, სასამართლოში, საფინანსო დაწესებულებებში. საბერძნეთის ერთ-ერთ დედაქალაქის ათინის პოლიციაც კი უმთავრესად მონებისაგან სდგებოდა, იქ ფლოტსა და ჯარშიც კი მონები იყენებდნენ მუშებად, ხშირად აგრეთვე ჯარისკაცებადაც. მონების უაღრესად განვითარების ხანაში, - ფ რ ი დ რ ი ხ ე ნ გ ე ლ ს ი ს გამოანგარიშებით, ათინაში თერთულ თავისუფალ ადამიანზე მოდიოდა 18 მონა (თუმცა სხვადასხვა ისტორიულ მკვლევართა ცნობები ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან, ახალი მკვლევარნი კიდევ ახალ ციფრებს იძლევიან).

მონების შესაძენად ბერძნები საგანგებო ომებს აწარმოებდნენ. მაგრამ დროთა ვითარების გამო მონობაში ჩავარდნენ არა მარტო სხვა ქვეყნების და ტომების ადამიანები, არამედ საკუთარი მოქალაქეების შინაშენელოვანი ნაწილი. საქონლური წარმოებასთან ერთად უფროდა-უფრო ძლიერად ვითარდებოდა ფულადი მეურნეობა. ამის შედეგად ბატონყმურ დამოკიდებულების ქვეშ მოქცეული სოფლის მოსახლეობის ნაწილი იძულებული იყო გადაეხადა ბატონებისათვის სავალდებულო ბეგარა ფულით და არა ნატურით. გლეხი იძულებული გახდა ბაზარზე გაეტანა თავისი ნაწარმოები და იქ უფულზე გაეყიდა ის. საქმეში ჩაერია ვაჭარი-შუამავალი, გამოჩნდა სავაჭრო და საკრედიტო კაპიტალი, რომელიც გლეხის გაჭირვებულ მდგომარეობის გამო მალე სავაზხო კაპიტალად გადაიქცა. გლეხები სულ უფრო ძლიერად ეფლობოდნენ ვალებში. გაბატონებულმა კლასებმა გამოსცეს მაშინ სასტიკი კანონები ვალების შესახებ, რომელნიც ნებას იძლეოდნენ ჯერ კიდევ დაუმონებელი გლეხი მონად გაეხადათ მთელი თავისი ოჯახობითურთ იმ შემთხვევაში, უკეთუ მისი ქონება საკმარისი არ აღმოჩნდებოდა ვალის დასაფარავად. ამან გამოიწვია ის, რომ შვიდი თუ ექვსი საუკუნე ადრე, ჩვენი წელთაღრიცხვამდე, დაიწყო მსხვილი აგ-

ზარაული მღელვარება. უმაბულოდ დარჩენილი გლებობა მხურვალე მოსურვე. იყო იმისი, რომ 'დაბრუნებულ იყო უკან იმ მდგომარეობაში, როცა მიწის თემი არიგებდა. ისინი ცდილობდნენ ძველი უფლების დაბრუნებას, და მოითხოვდნენ მიწის ყველასათვის თანასწორად განაწილებას. ამ მოძრაობის შედეგი იყო აკანონმდებლო რეფორმები, რომლებმაც განსაზღვრული დროის განმავლობაში მყუდროება ჩამოაგდო.

იმდროინდელი ისტორიკოსები გადმოგვცემენ, რომ წერილ გლებობა მიწებზე ყველგან მოსჩანდა ჰიპოტეკური ქვები, რომელზედაც აღნიშნული იყო მევალის სახელი და ვალის რაოდენობა. სოლონი, ბერძენი კანონმდებელი-რეფორმატორი, ჩვენ წელთაღრიცხვაზე 600 წლით ადრე, სჩიოდა: „გირაოს ქვები მრავალ ჯაჭვებად ჰბოქვენ მუქფერადი დედა-მიწის ნიადაგს. თვითნება და სასტიკმა კანონმა ბევრი შეაბა მონობის სამარცხვინო უღელში; ზოგი სასოწარკვეთილი გაქცევია ვალის უღელს და დაეხეტება უცხოეთში სოფელ-სოფელ, უთვისტომოდ და სამშობლო ენა დავიწყებია“.

მონობის სრულმა ბატონობამ ბოლოს იქამდე მიაღწია, რომ ხელოსნობა, მიწის მუშაობა და საერთოდ ყოველგვარი ფიზიკური შრომა გამოცხადებული იყო საზიზღარ და, თავისუფალი ადამიანისათვის, სათაკილო საქმედ. თავისუფალი და გაბატონებული კლასები სავსებით გადაეჩვიენ შრომას, არავის აღარ ჰქონდა რაიმე ინტერესი წარმოების ფორმის გაუმჯობესებისა, — რაიც კულტურული წინსვლის პირობას წარმოადგენს. ამასთან ერთად მოხდა საზოგადოების ფიზიკური გადაგვარება და ძლიერი მორალური დაქვეითება, რასაც მოჰყვა საყოველთაო დაწვრილმანება და დაკნინება, პოლიტიკური კარიერიანობისა და დემაგოგების თარეში, სახელმწიფოებრივი უძლურება, და ასეთ პირობებში უპარესად განვითარებული ბერძენთა საზოგადოება ბოლოს და ბოლოს დაინგრა.

ამ აუცილებელ შედეგებზე ჩვენ დაწვრილებით შევჩერდებით რომის მონობის განხილვის დროს.

ახლა-კი შევეხებით სხვა ხასიათის მოსაზრებებს — სახელდობრ საკითხს: შესაძლებელია თუ არა ამ მონობას საზოგადოებრივი წინსვლა ვუწოდოთ. თუ ჩვენ პირველ გრძნობას ავყვებით და მოვიგონებთ, რომ ადამიანი ჯერ თავისუფალი იყო, და შემდეგ კი დაჩაგრული და დამონებული გახდა, ამ კითხვაზე უეჭველად ვუპასუხებთ „არა“. მაგრამ ფ რ ი დ რ ი ხ ე ნ გ ე ლ ს ი ლ ა პ ა რ ა კ ო ბ ს თ ა ვ ი ს „ ა ნ . ტ ი დ ი უ რ ი ნ გ შ ი “, რომ დღეს ძალიან ადვილი საქმეა, თანამედროვე პირობებში და ურთიერთობებში, ზნეობის დამცველი ფრაზე-



ბით სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ მონობა და ჩვენი უმაღლესი მორალური წყრომა მივმართოთ მის წინააღმდეგ. მაგრამ ისტორიკოსი-მკვლევარის ამოცანას ის კი არ შეადგენს, რომ თავისი მორალური აღშფოთება გამოთქვას არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მიმართ. მისი ამოცანა ის არის, რომ გამოარკვიოს, თუ რა მიზეზთა გამო წარმოიშვენ ეს ურთიერთობანი. ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, რამდენად დასაბუთებულა ის ისტორიულად და რა როლს თამაშობდა ისტორიაში.

და ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას — რა რიგ უხეშადაც არ მოგვეჩვენოს ეს — რომ მაშინდელ პირობებში მონობის შემოღება დიდი პროგრესი იყო. ის გამოწვეული იყო იმ დროის სამუშაო ძალის შედარებით სუსტი ნაყოფიერებით, და მონობა იმ დროს იყო პირველი კემმარტი საშუალება შემდგომი ეკონომიური და სოციალური წინსვლისათვის. ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი არისტოტელე აღნიშნავდა, რომ მანქანას შეეძლო მონობა ზედმეტად გაეხადა. ის ამბობს, რომ თუ ოდესმე საქსოვი მაქო და სხვა სამუშაო იარაღები შეიძლება თავისთავად შეასრულონ სამუშაო, მონები საკირონი აღარ იქნებიანო. მაგრამ მაშინდელ პირობებში საწარმოო ძალთა მნიშვნელოვან სიმადლეზე აყვანა — პირველ რიგში შრომის განაწილება: მიწათმოქმედებასა და სამრეწველო წარმოებას შორის, შემდეგ გაცულისა და სახელმწიფო ცხოვრების განვითარება, უფრო განვითარებული ხელოვნებისა და მეცნიერების გაჩენა, ყველაფერი ეს შესაძლებელი შეიქნა პირველყოვლისა შრომის საზოგადოებრივი განაწილების, ე. ი. ისეთი განაწილების წყალობით, როცა თავისუფლებას მოკლებულ ადამიანთა მასას დაეკისრა მთელი ფიზიკური მუშაობა და ამის გამო თავისუფალ და გაბატონებულ კლასებს საკმაო დრო ჰქონდათ უფრო ჰალალი გონებრივი შრომისათვის: წარმოების უკეთესი ორგანიზაციის, სახელმწიფო ცხოვრების განვითარებისა და სახელმწიფოებრივ საქმეების წარმოებისათვის, ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარებისათვის.

თუ ეკონომიური თვალსაზრისით მივუდგებით საკითხს. მაშინ ნათელი გახდება, რომ გაყვლეფა დიდ ფაქტორს წარმოადგენდა პროგრესისათვის. ისტორიულად ასეთი როლი პირველად ითამაშა მონათმფლობელურმა ექსპლოატაციამ, რომელმაც მრავალი საწარმოო ძალები გაანთავისუფლა, რაც პირველყოფილი კომუნისმის წინანდელ საუკუნურზე შეუძლებელი იყო. ძველი მონობა, მაშასადამე, არ შეიძლება შეფასებულ იქნას, როგორც კულტურის ხელისშემშლელი უდიდესი შეცდომა. რათა ყველგან გაშლილიყო პირველად განვითარების

ჯერ კიდევ შებოქილი ძალები, საქირო იყო მონობის გავლა, როგორც განვითარების აუცილებელი, დროებითი საფეხურისა, რომელც მაშინდელ პირობათაგან გამომდინარეობდა.

და არა მარტო მონობის დროს, არამედ ეკონომიური განვითარების შემდგომ საფეხურზედაც საშუალო საუკუნოებში და კაპიტალიზმამდე — ექსპლოატაცია და კლასიური ბატონობა ისტორიული აუცილებლობა იყო.

სანამ შრომის ნაყოფიერება იმდენად სუსტად იყო განვითარებული, რომ ფიზიკური შრომა უმძიმეს ტვირთად აწევებოდა მოსახლეობას და მშრომელთ დრო აღარ რჩებოდათ უფრო მაღალი სახელმძღვანელო საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, მანამ უნდა ყოფილიყო განსაკუთრებული კლასი, რომელიც განთავისუფლებული იქნებოდა ფიზიკური შრომისაგან და იზრუნებდა უმაღლეს საზოგადოებრივ საქიროებებზე.

და ამ ახალი კლასობრივ-ისტორიული განვითარების ამოსავალი წერტილი იყო მონობა, რომელმაც ფიზიკური შრომისაგან გაანთავისუფლა გაბატონებული კლასები და ამით საფუძველი შექმნა ძველი ქვეყნის, კერძოდ საბერძნეთის, აყვავებისათვის. მონობის გარეშე, ანბობას ფ რ ი დ რ ი ხ ე ნ გ ე ლ ს ი, არ იქმნებოდა არც საბერძნეთის სახელმწიფო და არც ხელოვნება და მეცნიერება, შემდეგ არ იქნებოდა არც რომის იმპერია და ქრისტიანობა და არც ყველა სხვა მონაპოვარი, რომელთანაც დაკავშირებულია ის შემდგომი განვითარება, სოციალიზმისაკენ რომ მივყევართ.

ამასვე ამბობს იოსებ დიცგენი, დიდი მუშა-ფილოსოფოსი:

„ანტიური მონობა შრომის ისეთ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელმაც შესაძლებელი გახადა ანტიური ქვეყნის კულტურა. ამ კულტურამ შთამომავლობას შეუქმნა საძირკველი, რომელზედაც შესაძლებელი გახდა თანამედროვე განსაცვიფრებელი ცივილიზაციის აშენება... სანამ ხალხის მასა საკმაოდ გათვითცნობიერებული არაა, მანამ ცალკე პირთა მხრით იძულების ხმარება არის კულტურული აუცილებლობა. მონების იძულებითი მუშაობა პირველ ხანებში ერთადერთი საშუალება იყო ბარბაროსების სამუშაო ძალის გამოსაყენებლად... ყველაზე პირველი და უდიდესი დესპოტია — შეუცნობელი ბუნებაა. ის რომ ძლეულ იქნას, საჭიროა მისი ორგანიზაცია. მონობა იყო მორჩილების დროებითი მდგომარეობა, შექმნილი ადამიანის სასარგებლოდ და ბუნების ექსპლოატაციის მიზნით. თუ ამ ექსპლოატაციის უახლოესი ნაყოფი მოხმარდა არა კაცობრიობას, არა ხალხს, არამედ მის შემავიწროებელთ და მჩაგვრელთ, მტარვალთ და მოძა-

ლადეებს, ამან ჩვენ ხელი არ უნდა შეგვიშალოს ვალიაროთ.... რომ თუმცა მასები სარგებლობიდან გამორიცხულნი არიან, მაგრამ მათ ხელს ვერავინ შეუშლის მინც გამოიყენონ ისტორიული განვითარების შედეგები. მონობის დროს შრომის პროდუქტი ბატონს ეძლეოდა, მაგრამ სამუშაო იარაღების და მუშაობის მეთოდების გაუმჯობესებანი კაცობრიობას რჩება. გაუმჯობესებული იარაღები და შრომის მეთოდები, თანამედროვე დიდი საწარმოო ძალა, ჰქმნის კაპიტალს, რომლის პროცენტებს მარტოდენ გაბატონებულნი ნთქავენ, მაგრამ თვით კაპიტალი ეკუთვნის კაცობრიობას და ის ბოლოს და ბოლოს მას დარჩება, როგორც მემკვიდრეობა“.

ასეთი შეხედულების შემდეგ ისევ დაეუბრუნდეთ მონობის ისტორიას, სახელდობრ რომისას. ის საბერძნეთის მონობაზე გვიან წარმოიშვა. თუ საბერძნეთის წინაისტორია მეთორმეტე — მეცამეტე საუკუნით ქრისტემდე აღრე იწყება, რომის ისტორია იწყება მერვე საუკუნიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე, და როგორც საბერძნეთის, ისე რომის ისტორიის დასაწყისი ზღაპრების ბურუსშია გახვეული. რომის დაარსების დატად თვლიან ქრისტემდე 753 წელს. პირველად ის შეიკაედა პატარა ტომის სახელმწიფოს ტიმბრის ნაპირად, რომლის მიდამოები დაპყრობილ იქნა, და შემდეგი დაპყრობების საშუალებით წარმოსდგა რომის მსოფლიო იმპერია.

მეურნეობის ტიპს აქაც წარმოადგენდა განცალკევებული გლეხური საოჯახო მეურნეობა, თუმცა მის გვერდით გვხვდება აგრეთვე ძველი პატრიარქალური მეურნეობის ნაშთები. მაგრამ ასეთ მდგომარეობას წინ უძლოდა — როგორც გერმანელებში და საბერძნეთში — პერიოდი თემური მიწათმფლობელობისა. ძველად თემის არსებობის აღმნიშვნელია იტალიის მთელ რიგ ადგილებში შენახული სახელები. ძველ გვაროვნულ ურთიერთობათა მაჩვენებელია სხვათა შორის, ლეგენდა საბინელ ქალების მოტაცების შესახებ; რომლის თანახმად რომის ძველმა ტომმა ერთხელ ყველა ახალგაზრდა ქალები მოსტაცა მეზობელ ტომს, როცა ეს უკანასკნელი სასოფლო დღესასწაულზე დროს ატარებდა. მაგრამ იმ მომენტისათვის, როცა რომის ისტორია იწყება, თემური თანასწორობა აქ უკვე მოშლილი იყო: უკვე არსებობდენ წარჩინებული გვარიშვილები, რომელთაც მსხვილი მამულეები და პოლიტიკური უპირატესობები ეპყრათ. და ეს წარჩინებული გვარიშვილობა გაჩნდა, როგორც ბერძნებსა და გერმანელებს შორის — იმ დაწინაურებულ ოჯახებიდან, რომელთაც თემის მეთაურობა და სამხედრო ხელმძღვანელის თანამდებობათა მემკვიდრეობათა ბელში ჩაგდების წყალობით გაბატონებული ადგილი დაიკავეს.

მონობაც უკვე შემოღებული იყო. დიდ-დიდ მამულების პატრონებს მრავალრიცხოვანი მონები ჰყავდათ, ხოლო წერილ გლენობას ცოტა, ან სულაც არა. წარმოება უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო იყო, თუმცა მის გვერდით უკვე არსებობდა წერილი ხელოსნობა და ვაჭრობა. მაგრამ თვითელი გლენის მეურნეობა და თვითელი მსხვილი მამული უმთავრესად მხოლოდ საკუთარ საჭიროებისათვის ეწეოდნენ წარმოებას. რასაკვირველია, მსხვილ მემამულეს გაცილებით მაღლა შეეძლო აეწია თავისი წარმოება, ვინემ გლენს, რადგან მას გაცილებით მეტი ჰყავდა მონები. ასეთ მსხვილ მამულს რომაელები „სოფლის ვილლას“ ეძახდნენ (Villa rustica) და ის ჩვეულებრივ შესდგებოდა სამეურნეო შენობებისა, საქონლის სადგომისა და ბედელისაგან და სხვა, საცხოვრებელი სახლისაგან მონებისათვის, მათ შორის „ვილიკუს“-ისათვის, — ასე ეწოდებოდა მთავარ მოურავს, რომელსაც მემამულე ნიშნავდა მთელი მეურნეობის ხელმძღვანელად. ჩვეულებრივ ისიც აგრეთვე მონა იყო. თვითონ მემამულეებისათვის უმეტეს შემთხვევაში აშენებდნენ ცალკე შენობას, ხოლო შემდეგში მემამულეები, როგორც ეს საბერძნეთშიაც ხდებოდა, უფრო ხშირად ქალაქებში გადადიოდნენ. მონები პერიოდულად ღებულობდნენ ყველაფერს, რაც კი საცხოვრებლად საჭირო იყო, ტანისამოსს, ფეხსაცმელს და სხვა, და ყოველთვიურად ხორბლის განსაზღვრულ რაოდენობას, რომელსაც ყოველი მათგანი თვითონ ფქვავდა, გარდა ამისა ღვინოს, მარილსა და ზეთს და შესატანებლად ზეთისხილსა და დამარილებულ თევზს. შემდეგ „ვილიკუს“-ის გვერდით გაჩნდა „ვილიკა“, ე. ი. მთავარი დიასახლისი, ჩვეულებრივ „ვილიკუს“-ის ცოლი, რომელიც საჭმელ-სასმელს ყველასათვის ამზადებდა. საჭმელს მონები ყველანი ერთად სჭამდნენ — რაიც პირვეყოფილ კომუნის ნაშთს წარმოადგენდა. ურჩ მონებისათვის ყოველ მემამულეს ცალკე საპყრობილე ჰქონდა. გაქცევაში ეჭვმიტანილს ან მძიმე დანაშაულის ჩამდენ მონებს შეკრულს აგდებდნენ მიწის ქვეშე საპყრობილეში, ჯურღმულში. ცალკე მონებს ევალებოდა თავის ამხანაგების დასჯა. მაგრამ პირველ ხანებში ასეთი სასჯელი გამონაკლის შეადგენდა. საერთოდ მონებს მაშინ კიდევ კარგად ექცეოდნენ. დღესასწაულებზე მათ სამუშაოდან ანთავისუფლებდნენ და ისინიც მონაწილეობას ღებულობდნენ საერთო საოჯახო კულტის ჩატარებაში, საოჯახო ღმერთების თაყვანის ცემაში. მონები საზოგადოთ სავსებით ეთვისებოდნენ ოჯახს, რომელსაც ისინი აკენიდან ეკუთვნოდნენ და მათი ცხოვრების პირობები ხშირად ბატონისაზე უარესი არ იყო.

ასეთი სახის მონობა მაინც-და-მაინც საძნელო არ იყო მონებისათვის. შერბობლებული მონობის ასეთ საფეხურზე იმყოფებოდა აგრეთვე ჰომიროსის დროის საბერძნეთი; მსგავსავე მდგომარეობაში კპოულობენ დღევანდელი მოგზაურები ყველგან, სადაც კინატურალური მეურნეობაა დაცული. მაგრამ როგორც ადრე საბერძნეთში, ისე რომში, მონობამ სრულიად სხვა ხასიათი მიიღო, როცა ეს მარტივი ურთიერთობა გაჰქრა. მონობა გადაიქცა ფულის შეძენის საშუალებად და გამოიყენება ამ მიზნისათვის მოწყობილ მსხვილ წარმოებებში, — პატრონის საოჯახო მეურნეობის გარეშე.

ეს ძლიერი ცვლილებები მოხდა პირველყოვლისა ჩვენი წელთაღრიცხვამდე სამი საუკუნით ადრე. იწყება რომის სახელმწიფოს უსაზღვრო გაფართოება მსოფლიო ბატონობამდე, რასაც თან სდევდა მთელი რიგი ომები.

პირველად დაიწყო პუნიური ომი — კართაგენთან, აფრიკის ჩრდილოეთ კუთხეში. იქ, სადაც ამ უამად ტუნისი იმყოფება, ყვაოდა დიდი ქალაქი კართაგენი, რომელიც ფინიკიელების მიერ იყო დაარსებული და რომლის მოსახლეობა ამის გამო „პენნებად“ ან „პუნიელებად“ იწოდებოდნენ. ისინი მისდევდნენ ვაჭრობას და მეზღვაურობას, და, როგორც ზღვის მეკობრენი, შიშის ზარს ჰგვრიდნენ ყველას. მათ დაიპყრეს და დაიმორჩილეს მთელი ახლომახლო მდებარე ადგილები და გადაიქცნენ რომის მთავარ კონკურენტად, და პირველ ყოვლისა ესპანიაში, სარდინიის, კორსიკისა და სიცილიის კუნძულებზე აყვავდნენ მათი ახალშენები. ყველაზე შესამჩნევი კართაგენის მხედართმთავართ შორის იყო ჰანნიბალი — დიდი პუნიელი. მეორე პუნიური ომში (218-201 წ.) მან ასი ათასზე მეტი მეომრით გადალახა ესპანეთის მოსაზღვრე მთები — პირენეები, შემდეგ განვლო გალლია, ე. ი. თანამედროვე საფრანგეთი, და ესპანეთიდან გამოსვლის მეხუთე თვეზე თავი ამოჰყო შვეიცარიის ალპების ძირში. მან გადალახა თავისი ჯარით ეს თოვლიანი მწვერვალები, რომელნიც ცას სწვდებიან და რომელნიც მანამდე გაუვალად ითვლებოდნენ და დარჩენილი 26.000 ჯარით, რომელმაც ამ მოგზაურობის ყოველ სიძნელეს და დაბრკოლებას გაუძლო, მიიღწია მდინარე პოს ვაკეებს, ჩრდილოეთ იტალიაში, საიდანაც რომის კარებს მიადგა. მხოლოდ მესამე პუნიური ომში (149-146 წლ.) შესძლო რომმა კართაგენელების დამარცხება და მათი მთავარი ქალაქის — კართაგენის დანგრევა.

ორ პუნიურ ომს შუა მოხდა სამი ომი მაკედონელებთან: პირველი 215 წლიდან 205 წლამდე, მეორე 200-197 წლამდე, მესამე 171-168 წლამდე, ორ უკანასკნელ ომს შუა 192-189 წლ. სწარმოებ-

და ომი სირიასთან. მესამე პუნიურ ომის დროს სწარმოებდა აგრეთვე ომი ეთოლიის ბერძენთა კავშირთან 146 წ. და აგრეთვე ომი ესპანეთის დაპყრობისათვის, რომელიც გრძელდებოდა 153-133 წლამდე. შემდეგ მოხდა ომინუმიდიასთან 111-დან ვიდრე 105 წლამდე და იმავე დროს 113-101 წლამდე გერმანელ ტომებთან, კიმვრებსა და ტევტონებთან, რომელნიც ჩრდილოეთ იტალიაში შეიჭრენ. შემდეგი ომი იყო პონტოს სამეფოსთან 88-84 წლებში. შემდეგ მოდის ომი გალიასთან, რომელიც სწარმოებდა კელტების წინააღმდეგ. თანამედროვე საფრანგეთში 58-დან 51 წლამდე. შემდეგ ეგრედ წოდებული ალექსანდრიის ომები ეგვიპტეში, რომელიც დასრულდა ქრისტეს დაბადებამდე 30 წლით ადრე. ყველა ეს ომები თავდებოდა რომის გამარჯვებით, რომელიც ამის შედეგად გადაიქცა მსოფლიო იმპერიად.

დედამიწის იმ დროს ცნობილი თითქმის მთელი ნაწილი რომის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა. იმპერია სჭრიდა ხმელეთის იმ დროს ცნობილ ყველა სამ ნაწილს და გადაჭიმული იყო ატლანტის ოკეანედან მდ. ევფრატამდე, ჩრდილოეთის ზღვის, რეინის და დუნაის ნაპირებიდან შავ ზღვამდე, და აფრიკისა და არაბეთის უდაბნოებამდე. დღევანდელი ინგლისი (ბრიტანეთი) შეადგენდა რომის პროვინციას, დღევანდელი საფრანგეთი (გალია) რომის პროვინცია იყო, აგრეთვე დღევანდელი ესპანეთი, თანამედროვე საბერძნეთი, მცირე აზიის ნაწილი და აფრიკის დასახლებული ნაწილი — ხმელეთთა შუა ზღვის ნაპირების გასწვრივ — რომის პროვინციებს შეადგენდნენ. რომის მაღალი მოხელეები — პროკონსულები — რომის სახელით ბატონობდნენ დედამიწის ამ უმშვენიერეს ქვეყნებში. ქალაქ რომის მცხოვრებთა რიცხვი ზოგიერთ ცნობებით მილიონ ნახევრამდე აღწევდა.

იმ დროს, როცა რომი ამ ძლევამოსილ ომებით მსოფლიო იმპერიაში აერთიანებდა თითქმის მთელ იმ დროს ცნობილ მსოფლიოს, როცა სარდლები და მმართველები გარედ უამრავ სიმდიდრეს ეპატრონებოდნენ და სავაჭრო ურთიერთობები ფართოდ ვითარდებოდა, — ქვეყნის შიგნით ხალხის კეთილდღეობა საფუძვლიანად იყო შერყეული. მუდმივმა ომებმა დასცა წვრილი გლეხური მეურნეობა. დამოკიდებული გლეხობა, რომელზედაც ემყარებოდა რომის ძლიერება, მისი ზრდის ხანაში, განადგურებული იყო და დნებოდა. ასეთი იყო ისტორიული შედეგი აღნიშნული ომებისა მეურნეულ ურთიერთობათა სფეროში.

ეს იყო შედეგი, რომელიც აუცილებლად უნდა დამდგარიყო. იმ დროს, როცა გლეხები სამშობლოს მოშორებულნი, განუწყვეტლად

ომის ველზე იმყოფებოდენ, შინ მათი მეურნეობა იქცეოდა. უკვე მარტოდენ ამ სამხედრო სამსახურს შეეძლო ბოლოს გლებთა მასების გალატაკების გამოწვევა. მაგრამ ამას ზედ ერთვის მეორე გარემოება — ფულადი მეურნეობის მძაფრი განვითარება. სახელმწიფო, ომების საწარმოებლად საჭირო ფულის საშოვნელად, სულ უფრო ხშირად მიმართავდა ფულად გადასახადებს, რომელიც გლებებს უნდა გადაეხადათ. ამან კი მათი კეთილდღეობა საბოლოოდ დასცა. რომის სახელმწიფომ გადასახადების აკრეფა მებარკეებს გადასცა იჯარით, რომელნიც უმოწყალოდ ატყავებდენ გლებებს. ეს უკანასკნელი მევახშეებს უვარდებოდენ ხელში და შედეგად ჰკარგავდენ თავის კერძო საკუთრებას და პროლეტარდებოდენ. ცხადია, გლების მიწა ომში გამდიდრებულებს და ხარკის ამკრეფთ უვარდებოდა ხელში, რომლებიც ამ მიწებით მსხვილ მამულებს ქმნიდენ.

მაგრამ გაპროლეტარებული გლებები მესაკუთრებელთან დაჭირავებულ მუშებად ან მოიჯარებებად არ ხდებოდენ. მემამულეებისათვის ეს არც იყო ხელსაყრელი: პირველად, ყოველთვის შესაძლებელი იყო, რომ გლებს, როგორც რომის მოქალაქეს, ომში გაიწვევდენ; მეორედ ის, რომ ომი უამრავ ტყვეს იძლეოდა, რომელთაც მონებად აქცევდენ.

მაგრამ დაპყრობილი ადგილები იძლეოდენ არა მარტო ტყვეებს, არამედ ვალდებულნი იყვენ რომის სახელმწიფოსთვის ხარკიც ეძლიათ ნატურის სახით. აფრიკა და სიცილია მათი სრული დაპყრობის შემდეგ, რომის ბელღებად გადაიქცენ. სახელმწიფო ამ გზით იმდენ პურს ღებულობდა, რომ მით არა მარტო ამარაგებდა ჯარსა და მოხელეებს, არამედ თითქმის მუქთი ფასადაც ჰყიდდა მას ბაზარზე. ეს კი ბუნებრივად კიდევ უფრო ანადგურებდა წვრილ სოფლის მეურნეობას. ამის გამო გლებობა ბოლოს და ბოლოს სრულებით განადგურდა. ისინი გადაიქცენ პროლეტარებად, ესე იგი, ადამიანებათ, რომლებმაც დაჰკარგეს თავისი საწარმოო საშუალებები, თავისი მიწები. რომის საზოგადოება გაიყო საკუთრებას მოკლებულ ხალხის მასად და გაბატონებულ, მდიდარ და ძლიერ ზედაფენად.

რა უნდა ექნათ ამ უმიწა-წყლო გლებებს?

სოფლის დაჭირავებულ მუშებად ისინი ვერ გახდებოდენ, რადგან მონები უფრო იაფი იყო. ამიტომ უმიწა-წყლოდ დარჩენილი გლებები ათასობით მიეშურებოდენ ქალაქებში — პირველ ყოვლისა რომში, რადგან იგი იყო პოლიტიკური ცენტრი — და აქ მოითხოვდენ სახელმწიფოსაგან პურს, ცხოვრების სახსარს. ეს გლებები, თუმცა საკუთრება დაკარგულნი, მაინც თავისუფალნი და თანასწორუფლები-

ნი მოქალაქეები იყვენ, და საარჩევნო უფლება ჰქონდათ (რომი დაახლოებით 31 წლამდე ქრისტიანობამდე რესპუბლიკას წარმოადგენდა). ამიტომ ისინი პოლიტიკურ ფაქტორად გადაიქცენ, რომელსაც გაბატონებული კლასები ანგარიშს უწევდენ და ცდილობდენ მისი ძალა ხან შეესუსტებიათ და ხან კი გამოეყენებიათ. თავის წიგნში: „არა თავისუფალი მუშების აჯანყებები“, კ. ბ ი უ ხ ე რ ი სწერს: „თავისი გაუნათლებლობისა და სიღატაკის, უმუშევრობისა და მრავალრიცხოვანობის გამო და, გარდა ამისა, კიდევ თავისი პოლიტიკური წონის გამო, ეს უქმყოფილო მასები სახელმწიფოსა და მდიდართა ბატონობისათვის მუდმივ საფრთხეს წარმოადგენდნო“. უკანასკნელნი ცდილობდენ ამ მასების მიმხრობას, რისთვისაც აწვდიდენ მათ გასართობებსა და არსებობის საშუალებებს, „პურსა და სანახაობას“.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ შესანიშნავ მოვლენას: უცხო, დაპყრობილ ხალხთაგან პური იძულებით, როგორც ხარკი, მოაქვთ რომში და აქ ის, სახელმწიფოს უშიშროების გულისათვის, ურიგდება რომის გლეხებს, რომლებმაც თავისი საკუთრება დაჰკარგეს. გაპროლეტარებულ პირთა რიცხვი, რომელიც მარტოოდენ ამ მოწყალებით ცხოვრობდა, სულ უფრო იზრდებოდა.

ამნაირად, რომში გაჩნდა ბოლოს მრავალრიცხოვანი პროლეტარიატი, მაგრამ თუ დღევანდელი პროლეტარები ისეთი ადამიანებია, რომელნიც თავისი შრომით საზოგადოებას არჩენენ, რომის პროლეტარები საზოგადოების ხარჯზე ირჩენდენ თავს. რომის მთელი საზოგადოება — როგორც მისი მალალი, ისე დაბალი კლასები — ცხოვრობდა მონების შრომით და დაპყრობილ ხალხთა ხარკით.

ბუნებრივია, რომ მაშინდელი გლეხობა უბრძოლველად და უწინააღმდეგოდ როდი შერიგებია თავის მეურნეულ დალუპვას. ქრისტეს დაბადებამდე მეორე საუკუნეში რომში ადგილი ჰქონდა აგრარული რევოლუციონური მოძრაობის მრავალ განმეორებითი აფეთქებას. აქ გაპროლეტარებული მასები იბრძოდნენ მიწების დაბრუნებისათვის. აგრარული მოძრაობის ერთი უშესანიშნავესი ხელმძღვანელთაგანი, ტ ი ბ ე რ ი უ ს გ რ ა კ ს ი, რომელიც ქრისტემდე 134 წ. სახალხო ტრიბუნად იქნა ამორჩეული, შემდეგი განცხადებით გამოვიდა, რაც შექმნილ მდგომარეობას ახასიათებს:

„მხეცებს აქვთ იტალიაში საკუთარი სორო და თავშესაფარი, მაგრამ იმათ, ვინც იბრძვის და კვდება იტალიისათვის, არაფერი არ აქვთ, გარდა თავისი სისხლისა და ომისა. ისინი იძულებულნი არიან ცოლშვილიანად იხეტიალონ უსახლ-კაროდ. მხედართ მთავარნი სტყუიან, როცა ბრძოლის წინ მოუწოდებენ მათ იბრძოლონ მამა-



პაპათა საფლავებისა და სამლოცველოებისათვის; რადგან არც ერთს რომის მეომართაგანს არ გააჩნია არც მშობლიური სამლოცველო და არც წინაპართა სამარხი. და ისინი, რომელთაც ქვეყნის მპყრობელი უწოდებენ, იბრძვიან უცხო ადამიანთა სიმდიდრისა და ხელგაშლილობისათვის იმ დროს, როცა თვითონ მათ ერთი ნაპერი მიწაც კი არა აქვთ“.

გლენტა მოძრაობის ყოველი ცდა სისხლში იქნა ჩახრჩობილი. ტიბერიუს გრაქსი მისი 300 მომხრეებთან ერთად მოკლულ იქნენ მსხვილ მემამულეთა მიერ მოწყობილ აჯანყების დროს და მისი გვამი ტიბრში იქნა გადაგდებული. ასეთივე ბედი ეწვია მის ძმას კაისარს, რომელიც ათი წლის შემდეგ თავის რამდენიმე ათას მომხრესთან ერთად დაეცა ბრძოლის ველზე სახალხო მოძრაობის დროს.

რასაკვირველია, ამ რევოლუციონური მოძრაობის შესაჩერებლად ზომებს ლებულობდენ — როგორც წინად საბერძნეთში, როგორც ახლა ჩვენ დროშიაც, — საკანონმდებლო რეფორმების, ესე იგი, სოციალური პოლიტიკის შემწეობით; გამოცემული იყო კანონები, რომელიც მოითხოვდა, რათა სოფლის მეურნეობაში მონებთან ერთად დაშვებული ყოფილიყო აგრეთვე თავისუფალი მუშების განსაზღვრული პროცენტი. მაგრამ საბოლოო ანგარიშით ამ კანონებს არავითარი შედეგი არ მოჰქონდათ, რადგან ისინი ეწინააღმდეგებოდნენ გაბატონებული კლასების სამეურნეო ინტერესებს და მეურნეობის განვითარების ნამდვილ მსვლელობას არ ეთანხმებოდნენ.

გლენტი, რომელსაც ოჯახი ჰყავდა და რომლის ომში გაწვევა ყოველთვის შესაძლებელი იყო, გაცილებით ნაკლებ საიმედო მუშა იყო და ძვირათაც ჯდებოდა, ვინემ მონა, რომელსაც, უმეტეს შემთხვევაში, უფლება არც კი ჰქონდა ოჯახი ჰყოლოდა. მონები, სანამ მათი იაფად ყიდვა შეიძლებოდა და სანამ მათი გაყვლეფაც უსაზღვროდ ზდებოდა, გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყვენ; ხოლო მონებს დროგამოშვებით ისე ბლომად იძლეოდნენ ომები, რომ, მკვალითად, სარდინიასთან ომის შემდეგ (ქრისტემდე 177 წ.) ანდაზად გადაიქცა: „იაფია, როგორც სარდინიელი“. რამდენიმე წლის შემდეგ მხოლოდ მარტოდ მესამე მაკედონიის ომმა (168 წ. ქრისტემდე) მისცა ბაზარს 150 ათასამდე მონა. ზოგიერთი ომები სხვას არაფერს წარმოადგენდენ, თუ არ უბრალო ნადირობას მონებზე. მონას ყიდულობდენ მაშინ, თანამედროვე გერმანული ფულის ანგარიშით, სამ მარკად.

ბოლოს და ბოლოს გლენტმა არა მარტო შესაძლებლობა, არამედ ხალისი და სიყვარულიც დაჰკარგა სასოფლო სამეურნეო შრომისად-

მი. ომმა სულ სხვა აზრები და მიდრეკილებები წარმოშვა. გლენმა დროთა ვითარების გამო თავისი გლენური ბუნება დაჰკარგა. ის, ვინც მხედრული სისასტიკით მთელი წლების განმავლობაში ძარცავს უცხო გლენტა კარ-მიდამოს, არბევს ქალაქებს, ჰკლავს ან ტყვედ მიჰყავს გლენის ოჯახი, ყოველგვარ სერიოზულ სურვილს ჰგარგავს რომ საკუთარი მიწის დამუშავებას მოჰკიდოს ხელი. ოდესღაც საყვარელი საქმე სრულ უყურადღებობას და გულგრილობას იწვევს. გლენი პროფესიონალ ჯარისკაცად გადაიქცა, რომელსაც სამხედრო ცხოვრება და ძარცვა-გლეჯა უფრო იზიდავდა, ვინემ მძიმე გლენური მუშაობა, და რომელიც მშვიდობიან დროს მოწყალებით ცხოვრობდა, როგორც რომში უქმად მოხეტიალე პროლეტარი.

ამნაირად, დამარცხება უნდა განეტადა ყველა იმ ხელოვნურ ზომებს, რომელნიც მიმართულნი იყვნენ გლენობის დაღუპვისაგან გადარჩენისაკენ; რადგან ეს ხელოვნური ზომები ცხოვრების ფაქტიურ განვითარებას ეწინააღმდეგებოდა. კანონს არ ასრულებდენ, ის ცარიელ სიტყვად რჩებოდა. მსგავსადვე ჩვენს დროშიაც დამარცხებას განიცდის ყველა იძულებითი ზომები, მიმართული იქითკენ, რათა ხელოვნურად შენარჩუნებულ იქნეს ძველი ხელოსნობა.

განვიხილოთ ახლა მეურნეობას თუ რომელი ტიპი ჩამოყალიბდა რომის იმპერიაში წვრილი გლენობის განადგურების შემდეგ.

სოფლის მეურნეობაში საბოლოოდ დამკვიდრდა მსხვილი მფლობელობა, რომელიც ცნობილია ლატიფუნდიის სახელწოდებით, — სახელწოდება, რომელიც გერმანიაში ახლაც იხმარება აღმოსავლეთ ელბის მსხვილ მამულების აღსანიშნავად. მუშაობას ამ ლატიფუნდიებში აწარმოებდენ მონების საშუალებით, თვითონ მემამულეები კი რომში ცხოვრობდენ ფუფუნებაში გახვეულნი.

და რადგანაც პური გარედან საკმაოდ შემოჰქონდათ, ამიტომ მარცვლეულის მოყვანა თითქმის სულ მოისპო და, რამდენადაც კი შეიძლებოდა, შეცვლილი იყო მეჯოგეობით, მეღვინეობით, ზეთის ხილის მოყვანით; და ყველაფერი ეს უმთავრესად ბაზრისათვის იყო დანიშნული. მდიდრები აგრეფევე დიდ და საუცხოვო ბაღებს აკეთებდენ, გაჩნდა ყოველგვარი ბოსტნეულობის კულტურა.

სოფლის მეურნეობაში ასეთი ცვლილების გამო ადგილი ჰქონდა მოსახლეობის შემცირებას და სოფლების ჭავერანებას. უზარმაზარი ადგილები, სადაც წინად მჭიდროდ დასახლებული იტალიური სოფლები იყო, სადაც მრავალი დამოუკიდებელი გლენის ოჯახი ეწეოდა შრომას, ახლა საძოვრებს ექირათ, მრავალ ათასი ცხვრის, ცხენის და რქოსანი ნახირის ჯოგებით, — მონათა რაზმის ზედამხედველობას

ქვეშ. მწყემსებად ინიშნებოდენ უმთავრესად ახალგაზრდა, ღონიერი კაცები, რომელნიც ჩვეულებრივ ცხენზე ჯდომას და იარაღის ხმარებას იყენენ ჩვეულნი, რომ ყაჩაღთა და ნადირთაგან დაეცვათ ჯოგი. ესენი იყვნენ თავზე ხელაღებული ნახევრად ველური ადამიანები, რომელნიც პატრონის ბეჭდით იყვნენ დადაღულნი და რომელნიც მალე სრულიად ჰკარგავდენ ადამიანურ სახეს. საკმელი მათ არ ეძლეოდათ, სადგომს მათ არ უშენებდენ. დიდი ავდრის დროს, უკიდურეს შემთხვევაში, კარებებს თუ დადგამდენ მათთვის. საკმელს მათ ჯოგი და ნადირობა აძლევდა. და ძალიან ხშირად ამ მენახირეების რაიონებში ცხოვრება ნამდვილ ყაჩაღურ ელფერს ღებულობდა.

ასე გაცარიელდა მცხოვრებლებისაგან წინად მკვიდროდ დასახლებული იტალიის სოფლები. მისი წინანდელი მოსახლეობა — გლეხები ან ლაშქრად იმყოფებოდენ მთელი დედამიწის ზურგზე, ან მშვიერ, უმუშევარ პროლეტარების სახით დაწანწალებდენ რომში.

რაც შეეხება ქალაქის სამრეწველო წარმოებას, ხელოსნობაც დროთა ვითარების გამო აგრეთვე სრულიად დაეცა, რადგან მრეწველობის ყოველგვარი ნაწარმოები შემოაჭონდათ განსაკუთრებით აღმოსავლეთიდან. მსხვილი მანუფაქტურული საწარმონი კი, — საბერძნეთის მსგავსად — რომში გავრცელებული არ იყო. ჩვენ დაეინახეთ, რომ საბერძნეთში გაბატონებულმა კლასებმა ისარგებლეს იმ თავისუფალი დროით, რომელიც მონობის წყალობით ჰქონდათ მათ, უფრო მაღალი სულიერი ცხოვრების განსავითარებლად, მეცნიერებისა და ხელოვნების შესაქმნელად. რომში გაბატონებულ კლასებს ბოლოს და ბოლოს არც ამის გაკეთება დასჭირებიათ. მათ შიითვისეს სხვისი პური და სწორედ ასევე შეეძლოთ მიეთვისებიათ სხვისი გონებრივი შრომა, სხვისი მეცნიერება და ხელოვნება; რადგან მონები ასრულებდენ მათთვის არა მარტო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს, არამედ ყოველგვარ საქმეს ქალაქშიაც, კერძოდ ინტელექტუალურ სამუშაოსაც. ჩვენ ვხვდებით მონებს ბანკირების, სამეურნეო წამოწყებათა ხელმძღვანელების, მასწავლებლების, ბიბლიოთეკების გამგეების, მოცეკვავეების, მსახიობების, ხუროთმოძღვრების, მოქანდაკეების, ექიმების, მეცნიერების და პოეტების როლში. უმაღლესად განათლებული საბერძნეთის ან აღმოსავლეთის ყოფილი არისტოკრატები მოჰყავდათ რომში, როგორც მონები, და იქ ისინი იძულებულნი იყვნენ გონებრივი შრომა ეწარმოებიათ. თვითონ რომაელებმა, — განსაკუთრებით უფრო შემდგომ ეპოქებში, — ძალიან მცირე შრომის უნარიანობა გამოიჩინეს. ამნაირად მონური შრომის წყალობით არა მარტო დაბალმა კლასებმა დაჰკარგეს სამუშაო, არამედ მაღალმა კლასებმაც

განთავისუფლეს თავი გონებრივი შრომისაგან. გაბატონებული კლასები მხოლოდ ითვისებდნენ და ფლანგავდნენ მონების შრომას, ხოლო ღარიბებს ნასუფრალს უყრიდნენ. ყველანი მონობის ხარჯზე ცხოვრობდნენ. მონური შრომა შესაძლებლობის უმაღლეს საფეხურამდე იქნა აყვანილი.

ბუნებრივია, რომ მეურნეობის ასეთ განვითარებას მარტოდენ ექსპლოატატორული და ფულადი მიმართულებით ძალზე უნდა გაეუარესებია მონების მდგომარეობა. წინაღ, როცა მონური შრომა გამოიყენებოდა მხოლოდ ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მის გამოყენებას ამით ერთნაირი საზღვარი ჰქონდა დადებული. ახლა კი, რამდენადაც მას მიმართავდნენ, როგორც ფულის შეძენის, ბაზრისთვის საქონლის შეძენის საშუალებას, მისი გამოყენება უკვე აღარაერთარ ზღუდეს არ ხვდებოდა. ახლა მხოლოდ ერთი სურვილია არსებობდა — გამოეწოვათ მონისაგან ყველაფერი, რის გამოწოვაც კი შეიძლებოდა.

კ. ბ ი უ ხ ე რ ი თავის წიგნში, „არა თავისუფალი მუშების აჯანყებები“ შემდეგ სურათს გვიხატავს სიცილიაში მონებისადმი სასტიკი მოპყრობის შესახებ:

„მოპყრობა სასტიკზე უსასტიკესი იყო. სადაც კიდევ არსებობდა მიწის მუშაობა, ის ეს უბედურები ჯგუფებად ცხოვრობდნენ ისევ არა თავისუფალი მოურავის ზედამხედველობის ქვეშ. მათი სადგომი წარმოადგენდა კარგად დაცულ მუშათა ყაზარმას, ნახევრად მიწაში ამოყვანილს, მრავალი ვიწრო ფანჯრით, რომელნიც ისე მალლა იყვენ იატაკს ზემოდ; რომ ხელით მიწვდომაც შეუძლებელი ყოფილიყო. ხუნდებ გაყრილი, შუბლზე და სხეულის სხვა ნაწილებზე დაღამომწვარი მონები გათენებისას გამოჰყავდათ მძიმე სამუშაოზე. დაწესებული იყო თვალყურის გდება, რომ მონებს ემუშავათ მზის ჩასვლამდე და დაუსვენებლად. „მონა ან უნდა მუშაობდეს ან და დაძინებული იყოს“ ამბობდა ბებერი კ ა ტ ო ნ ი, იმ დროისათვის ცნობილი რომაელი მეურნე. არც ერთი თავისუფალი დღე, არც ერთი დღესასწაული ამ უბედურებისათვის არ არსებობდა. რა ზარალი მოუვიდოდათ იმის გამო, თუ ამ ცუდ საბინაო პირობებში, უხეირო ჩაცმადანურვისა და ჯიბეგელი საზრდოობის გამო ამ უამრავი მასიდან ათეული ან მეტი მონა დაიხოცებოდა. ბაზარზე იათად შეიძლებოდა ახლების შოვნაც. სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ერთი განათლებული რომაელის აზრით, ნაწილდებოდა სამ ჯგუფად: მეტყველ, ნახევრად მეტყველ და მუნჯ იარაღებად — ესენი იყვენ მონები, შინაური ცხოველები და ურმები. ადამიანს (მონას),<sup>1</sup> თუ ის დაბერებული ან დას-

ნეულებული იყო, ისევე ჰყიდდენ, როგორც უვარგისად გამხდარ გუთანს“-ო.

ასეთ პირობებში მონები სიკვდილის კარამდე მიჰყავდათ რამდენისამე წლის განმავლობაში, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ამერიკის ბამბის მეურნეობებში, სადაც მონური შრომა იყო გამოყენებული და სადაც შრომის უნარის მქონე ზანგს შვიდი წლის განმავლობაში მთელ ძალღონეს აცლიდენ.

ამის შედეგად იქ, სადაც მონების დიდი მასები იყო თავშეყრილი, ხშირად თავს იჩენდა ხოლმე აჯანყებები. „ევი ჩვენ, თუ მონებმა ჩვენთან ანგარიშის გასწორება იწყესო“ — სწერდა ერთი რომელიმე მწერალი. და მონებმა არა ერთხელ სცადეს გაესწორებიათ ანგარიში, — განსაკუთრებით შორეულ პროვინციებში. აზიაში და სიცილიაში მონებმა საკუთარი სახელმწიფოს შექმნაც კი სცადეს. სიცილიაში აჯანყებულებმა სარწმუნოებრივი ქადაგის მეთაურობით ერთხელ მთელი ათეული წლის განმავლობაში შესძლეს რომის ჯარებს გამკლავებოდენ. იტალიაშიც კი განუწყვეტელი ჰქონდა ადგილი მონების მღელვარებას, მაგრამ აქ მათ არ ჰქონდათ მტკიცე ორგანიზაციული კავშირი და სახელმწიფო ხელისუფლებაც უფრო ძლიერი იყო. აჯანყებების დროს ხშირად ნამდვილი ომები იმართებოდა რომის არმიასთან, მონები ათასობით იღუპებოდენ ბრძოლის ველზე, ხოლო აჯანყებულთა ყოველი დამარცხების შემდეგ მათ, სხვების დასაშინებლად, ათასობით სიკვდილით სჯიდენ, კერძოდ ჯვარს აცვამდენ ხოლმე. ჩვენ წელთაღრიცხვამდე უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში მონების განუწყვეტელ მღელვარებას ჰქონდა ადგილი. ამ პერიოდში ისტორიული როლი ითამაშა სპარტაკმა, როგორც ფიქრობენ, მონად გადაქცეულმა ურაკიელმა პრინცმა. სამხედრო და ორგანიზაციული ტალანტით დაჯილდოებული, ის გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე, რომელსაც კალაბრიაში აწარმოებდა, როგორც მონების არმიის მეთაური.

ამნაირად, სოციალური საკითხი და კლასთა ბრძოლა უკვე ძველ საზოგადოებაში არსებობდენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პირველყოფილი საზოგადოება კლასობრივ საზოგადოებად გადაიქცა.

მაგრამ მონობას კიდევ მეორე აუცილებელი შედეგი მოჰყვა. მიაღწია რა ერთგვარ საფეხურს მონური შრომა გაიყინა თავის ჩამორჩენილ ფორმებში და შემდგომი ტენიკურის წინსვლისათვის დაბრკოლებად გადაიქცა.

მონა; რომელიც სასტიკ ჩაგვრას განიცდიდა, სულაც არ იყო მუშაობაში დაინტერესებული. ყოველ დღე გვემულმა ადამიანმა არ

შეიძლება იმედი არ დაჰკარგოს და სიძულვილით არ აიკოს ბატონებისადმი. და რამდენადაც ეს უკანასკნელები მისთვის მიუწვდომელია, მონა, სიბრაზით და შურისძიების გრძობით აღესილი, მთელ თავის აღშფოთებას სამუშაო იარაღებზე და მუშა საქონელზე იქარევის. ასეთ პირობებში ადამიანები იმდენად მხეცდებიან და ველურდებიან, რომ საზოგადოთ შეუძლებელია მათ სათუთი იარაღი მისცეხელში. ისინი შეიძლება ამუშაო მხოლოდ ძალიან მოუქნელი, მძიმე და მაგარი და იმავე დროს ჩამორჩენილი იარაღით. ცხადია, რომ არც შრომის პროდუქტი გამოუვათ უკეთესი.

კ. მარქსი მოგვითხრობს „კაპიტალში“<sup>1)</sup>, თუ როგორ იხმარებოდა დახვესებული დროის სახნისი გასულ საუკუნეში ამერიკის სამხრეთ მონათმფლობელურ შტატებში. მონისათვის რომ დღევანდელი გლეხური გუთანი მიეცათ, ის მის ხელში ალბად ერთ დღესაც ვერ გასძლებდა. ცხენის მაგიერ კი ჯორებს ამუშავებდნენ იქ, რადგან ცხენს არ შეეძლო დიდხანს აეტანა მონების მხრით უხეში მოქცევა.

მონათმფლობელური მეურნეობა, მაშასადამე, მოკლებული იყო მიდრეკილებას შეექმნა ახალი იარაღები და შრომის უკეთესი მეთოდები, მით უმეტეს მანქანები. ასეთ მეურნეობაში პროდუქციის გაუმჯობესების საშუალებას წარმოადგენდა მხოლოდ ერთად ერთი იძულება: ბაზარზე ყოველთვის იშოვებოდა აუარებელი მონა და საჭირო არ იყო სიფრთხილე, რომ უზომო მუშაობით ისინი არ დაუძლურებულყვნენ. შეუძლებელი იყო მონათმფლობელურ მეურნეობაში რაიმე ტენიკურ გაუმჯობესების შემოღება, რაც ჩვენს დროში ასე სწრაჲად მოსდევს ერთი მეორეს.

მაგრამ რაკი ეს მეურნეობა არავითარ შესაძლებლობას ტენიკური განვითარებისათვის აღარ იძლეოდა, თავისთავად ცხადია, ეს უნდა დაღუპულიყო, როგორც კი მონების შეუზღუდავი შექმნის შესაძლებლობა მოისპობოდა.

რადგან ზედმეტი პროდუქტი, მონათმფლობელური წარმოება რომ იძლეოდა, ოდნეადაც არ ხმარდებოდა ტენიკისა და საწარმოების გაუმჯობესებას, მას არც შეეძლო შეექმნა ახალი, უფრო მაღალი სამეურნეო ცხოვრება. ის მხოლოდ პატრონს აძლევდა საშუალებას ეცხოვრა განცხრომით, ბრწყინვალედ, ფუფუნებით და ხელგაშლილად.

<sup>1)</sup> იხ. ამ კრესტომატიის ამავე თავში § 6, სადაც კ. მარქსის მოლიანად მოჰყავს „კაპიტალის“ I ტომიდან ხსენებული ადგილი.

ისტორიულად დამტკიცებული ფაქტია, თუ რა უგუნურებამდე აღწევდა რომში მფლანგველობა და განცხრომით ცხოვრება; და თუ რომის გაბატონებული კლასების არსებობა, თანამედროვე გაბატონებულ კლასების წინააღმდეგ. მხოლოდ მფლანგველობაში გამოიხატებოდა, საბოლოო ანგარიშით, ეს გამოწვეული იყო მონათმფლობელური მეურნეობის დაუძლეველი ტენდენციებით.

თანამედროვე კაპიტალისტების კლასიც აგრეთვე მოიხმარს და ფლანგავს, მაგრამ ის მოიხმარს მის ხელში გადასულ ზედმეტ პროდუქტს არა მთლიანად. მიუხედავად ვუფუნებაში ცხოვრებისა, კაპიტალისტები ზედმეტი პროდუქციის ნაწილს ხმარობენ იმისთვის, რომ ტენზიკურად გააუმჯობესონ კაპიტალისტური წარმოება და გააერცლონ ის ყველგან. მთელი დედამიწის ზურგზე. ეს არის კაპიტალიზმის აუცილებელი კანონი, რომლის დარღვევა, კიდევ რომ სურდეს, მაინც არ შეუძლიათ თანამედროვე კაპიტალისტებს და რომელიც საბოლოოდ სოციალიზმისაკენ მიაქანებს ჩვენ საზოგადოებას.

მაგრამ არც მონების კლასობრივ გამოსვლებს ჰქონდა მიზნად წარმოების უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლა და საზოგადოების უფრო მაღალი ორგანიზაციის შექმნა, რა მიზანიც აქვს მუშების თანაქედროვე კლასობრივ ბრძოლას.

ცხადია, მონებს სურდათ ბორკილების დამსხვრევა, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ სახლში დაბრუნებულიყვნენ თავისუფალი ადამიანების მდგომარეობაში. თანამედროვე მუშები მიისწრაფვიან სხვა მიზნის განხორციელებისაკენ, ისინი თავის ბრძოლას საზოგადოებრივ ურთიერთობაში აწარმოებენ, რომელნიც განვითარების მსვლელობაში სულ უფრო ნათლად ცხადჰყოფენ უფრო მაღალი საზოგადოებრივი, სოციალისტური ურთიერთობის აუცილებლობას. დღევანდელ მებრძოლთ ექსპლოატაციის წინააღმდეგ შეგნებული აქვთ დღევანდელი შესაძლებლობანი, მათ გაგებულნი აქვთ თავის საერთო კლასობრივი ინტერესების დაცვა ყველა იმ საშუალებებით, რომელთაც ორგანიზაცია და სოლიდარობა იძლევა, ისინი იბრძვიან სახელმწიფო ხელისუფლების დაპყრობისათვის, რათა მისი შემწეობით შეუწყონ ხელი ზემოდ აღნიშნულ ახალ შესაძლებლობათა განხორციელებას. მონების აჯანყებები ასეთ მიზნებს სრულიად არ ისახავდნენ.

სავსებით ნათელია, რომ იმ ტენდენციებით, რომელნიც რომში შეიქმნა, საზოგადოება უნდა დანგრეულიყო, როგორც კი მისი მაცოცხლებელი უშრეტი წყარო — მონების უსაზღვრო შემოზიდვა — დაშრებოდა.

ამ წყარომ კი ჩენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში უფრო და უფრო ძლიერად იწყო შრომა. რადგან იმპერიის დაუძღვრება იზრდებოდა, უკვე შეუძლებელი იყო დამპყრობი ომების გზით სიარული. გასულმა ომებმა შთანთქა ოდესღაც ქვეყნის დამპყრობი რომის ჯარის მთავარი ძარღვი — თავისუფალი გლეხობა. მოსახლეობამ საშინლად იწყო შემცირება. ვინც დარჩა, მათ აღარ შესწევდათ საკმაო ძალა, რომ შეერჩინათ ეს გიგანტური იმპერია. გაბატონებული კლასები განცხრომას მისდევდნ და სქესობრივ ბიწიერებაში ჩაიფლნ. უცოლობა, უშვილობა, ბავშვების მოკვლა გავრცელებულ მოვლენად გადაიქცა. გაჩნდა ფიზიკურად უძღვრი, სულიერად და მორალურად გადაგვარებული ხალხი. „რამდენია თქვენში, თუნდაც მოსამართლეთა წოდებაში, რომელსაც შეილები არ მოეკლათ!“ — მიმართავდა თავის თანამემამულეებს რომელი ტერტულიანი — „თქვენ მათ ახრჩობთ წყალში, ჰყინავთ, ჰკლავთ სიმშლით, უგდებთ შესაქმელად ძალებს“—ო. ქალაქის განაპირა უბნების და გაოხრებულ სოფლების ღარიბი მცხოვრებლები, მონები მამულეებში და საწარმოებში და შინამოსამსახურეთა უამრავი ბრბოები, — ყველანი საშინელი სიძულვილით იყვენ გამსქვალულნი მდიდრებისა და ბატონებისადმი. წინანდელი ჯარისკაცების, — თავისუფალი მოქალაქეების და გლეხების ნაცვლად, რომელთა რიცხვი საკმაო აღარ იყო ქვეყნის დაცვისათვის, — გაჩნდნ დაქირავებული ჯარები, რომელთა ერთგულებაზე დაყრდნობა ყოვლად შეუძლებელი იყო: ფულით ყველას შეეძლო მათი მოსყიდვა. 120 წლის განმავლობაში ქრისტეს შემდეგ, 180-300 წლამდე, რომის ტახტი ეჭირათ არა ნაკლებ 36 იმპერატორისა, რომელთაგან 27 იმპერატორი მოკლული იყო მოსყიდული ჯარის საშუალებით. წარმოდგენელი პოლიტიკური მექრთამეობა იყო გამეფებული. ერთი მაშინდელი მწერალი სჩიოდა: „იმისგან, რაც წინად იმპერიას ეკუთვნოდა, დიდი აღარაფერი დარჩენილა, გარდა სახელისაო“.

როგორც კი რომის სისუსტე გამოაშკარავდა. დამონებულმა ხალხებმა ყოველ მხრით იწყეს იმპერიაში შესევა. ახალ დაპყრობებზე ვინლა ფიქრობდა, იმპერიას ახლა შემოსეულთა შეჩერება ჰქონდა საზრუნავი. მონების შემოზიდვა უმნიშვნელო რაოდენობამდე ჩამოვიდა. ლატიფუნდიები და სამთო საწარმონი ცარიელდებოდა და ინგრეოდა. რომის დიდება დაცემისაკენ მიიმართებოდა. დადგა დრო, როცა აყვავებული ადგილები სრულებით დაყრუვდა, ოდესღაც დიდი ქალაქები სოფლებად გადაიქცა და საუცხოოვო შენობები ნანგრევებად გახდა, სადაც ყაჩაღები და გარეული ნადირები აფარებდნ თავს.



ამ საყოველთაო დაქვეყნის პირობებში სცადეს ცოტა რამე მაინც გადერჩინათ მარცვლეულობისა და წვრილი გლეხური მეურნეობისადმი დაბრუნებით. ლატიფუნდიები, რომელნიც გლეხთა თავისუფალი მიწებისაგან შეიქმნა, ისევ დაანაწილეს წვირლ გლეხურ ნაკვეთებად, შეიქმნა ეგრედ წოდებული კოლონათი.

კოლონების (დასახლებულების) სახით აქ ათავსებდნენ ან ყოფილ მონებს, ან სიკვდილის პირზე მიმდგარ გლეხობის ნაშთებს, ან სანაპირო ადგილების მცხოვრებთ, რომელნიც ბარბაროსების შემოსევას გამოქცეოდნენ. მიწის ნაკვეთებს აძლევდნენ არა საკუთრებად, არამედ პირველად თავისუფალი ფულადი იჯარის საფუძველზე. მაგრამ რადგან მალე აღმოჩნდა, რომ მათ ფულის გადახდა არ შეუძლიათ, ისინი მობეგრეებად გადააქციეს. კოლონებს მემამულეებისათვის უნდა ეძლიათ ღალის სახით მოსავლის ნაწილი და განსაზღვრულ დროს უნდა ემუშავნათ მამულის იმ ნაწილში, რომელიც მემამულეს თავისთვის ჰქონდა დატოვებული.

ამ ახალ ურთიერთობას არ შეეძლო შეეჩერებია ის სამეურნეო და პოლიტიკური რღვევა, რომელიც მონების შემოზიდვის შეჩერების გამო აუცილებელი გახდა. ახალი სისტემა აგრეთვე ტენიკური განვითარებისათვისაც არ წარმოადგენდა არავითარ შესაძლებლობას: კოლონების იძულებითი შრომა ისევე ნაკლებად უწყობდა ხელს წარმოებას, როგორც წინად მონური შრომა.

მემამულეები ისე დიდ ბეგარას და მაღალ ნატურალურ იჯარას (ღალას) აწესებდნენ, რომ კოლონი ძლივს ახერხებდა თავისი უბადრუკი არსებობა შეენარჩუნებინა. თანაც კოლონების გაქცევისათვის რომ ხელი შეეშალათ, მალე პირადი თავისუფლების ნაშთებსაც ბოლო მოუღეს. რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა 332 წ. (ქრ. შემდ.) სამუდამოდ მიწაზე მიმაგრებულად გამოაცხადა კოლონები. ვინც თავის ნაჭერ მიწას დასტოვებდა, ის იძულებით იქნებოდა მოყვანილი და სასჯელსაც მიიღებდა. დაისჯებოდა აგრეთვე ისიც, ვინც გაქცეულს თავშესაფარს მისცემდა. კოლონს მხოლოდ პატრონის მფლობელობის საზღვრებში შეეძლო საცოლოს ამორჩევა. შთამომავლობა დაბადების დღიდანვე ვარდებოდა ასეთსავე ბატონ-ყმურ მდგომარეობაში: გამოცემულ იქნა კანონი, რომლის თანახმად კოლონების შვილები და შვილისშვილები „საუკუნოდ“ მიმაგრებულნი იყვენ მიწაზე და ბეგარასთან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა განთავისუფლებულიყვენ.

ასეთ ურთიერთობაში, რომელიც ძალიან ცოტათი განსხვავდება მონობისაგან, არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო მრავალრიცხოვანი,

მაგარი, წინააღმდეგობისათვის გამოსადეგი თაობა. მონათმფლობელურმა მეურნეობამ რომი ჩიხში მოამწყვდია, საიდანაც გზა მიდიოდა არა წინ, არამედ უკან, რადგან მონათმფლობელობამ ვერ შექმნა ვერავითარი წინასწარი პირობა და ძალა უფრო მაღალ კულტურაზე გადასასვლელად.

როცა მეოთხე საუკუნის დამლევს გერმანელები ახალგაზდა ხალხი ძლიერებით და ახალ-ახალი მიწების დაპყრობის წყურვილით მოაწვენ რომის იმპერიის საზღვრებს, უკანასკნელს უკვე აღარ შეეძლო გაძლება. გერმანელების შემოსევა ნიშნავდა დასასრულს ოდესლაც ბრწყინვალე დიადი კულტურისა, რომელიც შინაგან ძალების გაელენით გახრწნას განიცდიდა.

რომი დაიღუპა იმიტომ, რომ ვერ შესძლო თავისი სოციალური საკითხის გადაჭრა. და მაინც, „სახელმწიფო დაიქცა, მაგრამ რომი კი დარჩა“. ეს იმას ნიშნავს, რომ ისტორიის მიერ მონაგარი „კაპიტალი“ ბოლოს და ბოლოს კაცობრიობის სამემკვიდრეო კუთვნილებად გადაიქცა.

მართალია, რომის იმპერიის დაპყრობის შემდეგ ყველგან გაბატუნდა მარტივი გერმანული კულტურა. ანტიურმა ქვეყანამ პირი „ბარბაროსების წყვდიადისაკენ“, ძველ, უკვე გავლილ ურთიერთობისაკენ იბრუნა, რომლიდანაც ხალხმა მხოლოდ ხანგრძლივი დროს გავლის შემდეგ შესძლო გამოსვლა დიდი შრომის წყალობით. მეურნეობის მხრივ მომდევნო ორი საუკუნე დახასიათდება სრული ჩამორჩენით ან, უკეთეს შემთხვევაში, ძალიან ნელი წინსვლით. მაგრამ სავსებით არა დროს არ გამჭრალა ანტიური კულტურის გავლენა. და როცა შემდეგ, — დაახლოებით მეათე საუკუნიდან, — გერმანიაში შეიქმნა წინასწარი პირობები ქალაქთა აღმშენებლობისა და ვაჭრობამრეწველობისათვის, როგორც რომში იყო, ყველამ ბერძენებისა და რომაელების მემკვიდრეობას მიაპყრო თვალი. და ამან ხელი შეუწყო გერმანელი ხალხის განვითარების დაჩქარებას.

(ვ. რეიმესი — შესავალი მეურნეობის ისტორიაში \*).

---

\* ვ. რეიმესის დასახელებული წიგნი მთლიანად თარგმნილია ქართულად კ. ნინიძის მიერ და ახლო ხანში დაიბეჭდება ამ ქრესტომატიის ავტორის საერთო რედაქციით.

#### § 4. ვაჭრობის განვითარება რომის იმპერიაში

##### ა) უმთავრესი საკონტაქტო და სავაჭრო აღბილები

იტალიაში სულ გვიანდელ ხანებშიაც კი გატანის უმთავრეს საგნებს ისევ ღვინო და ზეთი წარმოადგენდა. ძველი მწერლები ზოტბას ასხამენ საუცხოვო იტალიურ ღვინოებს; ხოლო ძვირფას ღვინოების შემოტანა მაინც უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვინემ გატანა, თუნდაც ამიტომ, რომ საზღვარგარეთ უშვებდენ მხოლოდ დაბალი ღირსების ღვინოებს. ზეთის ხილის გაშენება რესპუბლიკის სულ უკანასკნელ წლებამდე ძალიან მოგებიანი იყო. შემდგომში კი იმდენიც არ მოჰყავდათ, რაც საკუთარი ხმარებისათვის იყო აუცილებელი. სახმარ საგნების უმეტესი ნაწილი, როგორც უბრალო, ისე ყველაზე ძვირფასიც, ვაჭრობის სახით უნდა შემოეტანათ პროვინციებიდან. მაგრამ რომს არ შეეძლო საკუთარი ნიადაგისა და მრეწველობის ნაწარმოებით გაესწორებია შემოტანილი საქონლის ღირებულება, მისი ვაჭრობა პასიური იყო. მიწათმოქმედება და სარეწაოები ყვაოდა მხოლოდ ალპების იქითა გალიაში, რომელიც საიმპერატორო ეპოქის დაწყების ახლო ხანებში იყო შეყვანილი იტალიის პოლიტიკურ საზღვრებში; იქედან შემოჰქონდათ ბუნებისა და მრეწველობის ნაწარმოებანი; პლაცენცია, კრემონა, პარმა და პატავია (პადუა) იტალიის უმდიდრესი ქალაქები იყვნენ. ალპებს იქითა გალიის მანუფაქტურებიდან მოქონდათ იტალიაში შალის უხეში ქსოვილები, ძვირფასი ტანისამოსები და ნოხები: იქ დამზადებული ტილო ისევე იყო განთქმული, როგორც ესპანური და მილეტისა.

სიცილია, „რომის ბეღელი“, იძლეოდა პარკიან ბოსტნეულს, ქერს, ხორბალს, საკლავ ჯოჯს, ტყავს, მატყლს, თაფლსა და ზაფრანას. რაც შეეხება პურს, მემამულეები ვალდებულნი იყვნენ, მოსავლის მეათედს გარდა, — რომელსაც იძლეოდენ სიცილიის მინდვრების უმრავლესობიდან, — მთელი დანარჩენი რაოდენობა უექველად გაეყიდათ.

ესპანია, რომელიც რომისათვის მნიშვნელოვანი იყო ნიადაგის სიმდიდრითა და თავის ნაწარმოებთა სიუხვით, გზავნიდა სატახტო ქალაქში პურს, ღვინოსა და ზეთს. ესპანური მატყლი, განსაკუთრებით მუქწითელი ფერისა, ტილო, თაფლი, ცვილი, კუპრი, სინგური, დამარილებული თევზი და ლოკოკინები შეჰქონდათ დიკეარხიასა და ოსტიას ნავთსადგურებში: გალერი და კორდუბა (კადიქსი და კორდოვა) უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ქალაქები იყვნენ; პირველი ეწეოდა გაზიდვას თითონ შიგნით არ ხმარებულ საგნების უმრავლესობი-

სას და ამ ცოცხალ და მომგებიანი ვაქრობის წყალობით შექმნილი ჰქონდა უამრავი სიმდიდრე.

აღზის იქითა გალიიდან ლებულობდენ შალის ქსოვილებს, უმათავრესად კი ღორის მსგავს დამარილებულ ხორცს, ქონს და სხვ... განსაკუთრებით განთქმული იყო საუცხოვო ღორი სეკვანიანებისა; მათ ისე ბლომად ჰყავდათ ღორის ჯოგები, რომ არა მარტო რომს, მთელს იტალიასაც აწვიდიდენ დამარილებულ ღორის ხორცს. აღმოსავლეთის ქვეყნებიდან უმეტეს შემთხვევებში შემოჰქონდათ ფუფუნების საგნები. საბერძნეთიდან და კუნძულებიდან, განსაკუთრებით ლუკულის დროიდან შემოჰქონდათ ქიოსისა და ლესბოსის ღვინო და თაფლი განსაკუთრებით გიმეტიდან და სპორადებიდან. ტკბილეულობა, რომელიც რომაელ დიდკაცობის სუფრას ამშვენებდა, აგრეთვე შემოჰქონდათ კუნძულ სამოსისა, ქიოსისა და როდოსიდან, კილიკიისა და შავი ზღვის ნაპირებიდან. საბერძნეთი აძლევდა დედაქალაქს სხვადასხვა გვარ მარმარილოს, რომელიც ხმარდებოდა მდიდრულ სასახლეებს, რომელთა რიცხვი რესპუბლიკის გაუქმების შემდეგ გამრავლდა.

მას შემდეგ რაც კორინთი დაეცა, აჯანყდა დელოსი, რომელიც მთავარ საწყობ ადგილს წარმოადგენდა, ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობის თავისუფლებისა და მოხერხებული ნავთსადგურის წყალობით. მისი აყვავებული მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა: ის დარბეულ იქნა მიტროდატის ომის დროს. ათინა საშინლად დაზარალდა სულლასაგან; მისი ნავთსადგური მუნჩხია სრულებით დაეცა. ჩვენამდე ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოსულ ცნობების მიხედვით იმპერატორების დროს სრულიად განადგურდა ანაია, ხალხის უბედურებას. საზღვარი არ ჰქონდა. წინანდელი წყაროები, რომელიც ქვეყნის სიმდიდრესა და კეთილდღეობას შეადგენდა, დაიშრიტა. მინდვრები უმეტეს შემთხვევაში დაუმუშავებელი იყო. ზოგიერთ ადგილებში ვაჭრობისა და მწვანეფრობის მხოლოდ საბრალო ნაშთებიღა დარჩა.

მცირე აზიის ქვეყნებში სწარმოებდა მნიშვნელოვანი სავაჭრო ბრუნვა: უმათავრესად ეს ქვეყნები ეწეოდენ შუამავლობას შორეული აზიის აღმოსავლეთ მხარეებსა და დასავლეთს შორის. ორივე სავაჭრო გზა, რომლითაც მთიანი აზიის საქონელი გადაჰქონდათ იტალიაში, წინა აზიაზე მიდიოდა. ერთი იმათგანი მიდიოდა შავი ზღვის ნაპირების გასწვრივ აღმოსავლეთ ქვეყნებში, სადაც აგრეთვე რომის ვაჭრებმა მოიკალათეს. იმ საქონელს, რომელსაც ჯერ კიდევ რომაელებამდე ლებულობდენ ამ ადგილებიდან ბერძნები, ახლა ყიდულობდენ რომაელი ვაჭრები, რომელნიც აქ მრავლად გაჩნდნენ. ინდოეთის ნაწარ-

მოებნი, რომელნიც აქ შემოქმონდათ, აგრეთვე იტალიისათვის იყო დანიშნული. მეორე სავაჭრო გზა მიდიოდა ეფფრატიდან მააქოზე, კომბუსტუზე, ლაოდიკეაზე, აპამეაზე ეფესში, რომელიც საიმპერატორო ეპოქის დასაწყისში ძალიან მნიშვნელოვანი იყო წინა აზიასთან ურთიერთობისათვის. ბაბილონის, ფინიკიისა და სირიის ხელოვნებისა და ბუნების ნაწარმოებნი, ინდოეთის, სპარსეთის და არაბეთის ნაწარმოებნი აქედან დასავლეთის ქვეყნებში გადაქმონდათ.

აზიის ქალაქებიდან განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს პალმირს, რომელმაც ჯერ კიდევ რომის ბატონობის დრომდე ცოტა ხნით მიაღწია დამოუკიდებელ ფართო სავაჭრო ბრუნვას. თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობის წყალობით, როგორც ისეთი ალაგი, რომელზედაც მრავალი საქონელი გაქმონდათ ინდოეთიდან, პართიიდან და ეფფრატის ნაპირებზე მდებარე ადგილებიდან ეგვიპტესა და რომის სახელმწიფოს დასავლეთის სამფლობელოებში; პალმირა გადაიქცა მთავარ სავაჭრო ბაზრად. ზოგიერთი რომის იმპერატორი, როგორც, მაგალითად, ადრიანე, ცდილობდა აემალეებია ქალაქი. ქრისტეს შემდეგ 260-273 წლებში, მსოფლიო ისტორიაში უშესანიშნავესი პირების, ოდენატის და მისი ცოლის ზინობიას მოკლე ხნიანი გამგებლობისას, პალმირამ უდიდეს ბრწყინვალეობას მიაღწია.

რომის სავაჭრო ურთიერთობა მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო ქალაქ ალექსანდრიასთან დაიწყო ჯერ კიდევ რესპუბლიკის ხანაში, მაგრამ მან დიდი მნიშვნელობა მოიპოვა რომაელებისათვის მხოლოდ იმ დროიდან, როცა ეგვიპტე რომის პროვინციად გადაიქცა. იმ ნაწარმოებთა რაოდენობა, რომელსაც ამ ქვეყნიდან რომში იღებდენ, ძალიან დიდი იყო. ამაში შედიოდა არა მარტო ნილოსის ადგილების ნაწარმოებნი, მაგალითად, სხვადასხვა ხარისხის ტილო, მოქარგული ტილოს ტანისამოსი, შუშისა და ბროლის ნაკეთობანი, პაპირუსიდან დამზადებული საწერი მოწყობილობანი და მრეწველობის სხვა ნაწარმოები, არამედ ალექსანდრიით რომში მოქმონდათ უმთავრესად აგრეთვე ინდოეთის საქონელი. აქამდე არსებული ურთიერთობა ინდოეთთან, რომელიც პტოლმეების დროს საკმაოდ შეზღუდული იყო, ამიერიდან უფრო გაფართოვდა. სტრაბონის დროს ინდოეთში ყოველწლიურად მიდიოდა 120 ეგვიპტის გემი. ავეუსტუსმა დიდი ამაგი დასდო თავისი ღონისძიებებით ინდოეთ-ეგვიპტის ვაჭრობის აყვავებას. რომის მფლობელობის დროს მარტო ალექსანდრიამ ჩაივლო ხელში ინდოეთის საქონლით ვაჭრობა. სხვა გარემოებათ გარდა, რომელნიც ხელს უწყობდენ წითელი ზღვის ნავთსადგურების მი-

მოსვლას ინდოეთთან, აღსანიშნავია ხელახლა აღმოჩენა სამხრეთ-დასავლეთის მონსუნისა, რომლის შესახებ ცნობები გაქრა მას შემდეგ, რაც რომ ფინიკიელებმა შესწყვიტეს წითელ ზღვაზე ნაოსნობა. ის ნაწარმოებნი, რომელნიც ალექსანდრიელ ვაჭრებს შემოჰქონდათ ინდოეთიდან, აკმაყოფილებდენ რომაელების გასათუთებულ გემოვნებას, და უმეტეს შემთხვევაში ფუფუნების საგნებიდან შესდგებოდენ, აქ მოჰქონდათ ძვირფასი ქვები და მარგალიტი; ძვირფას ქვათაგან გარდა ბერილისა, საპფირისა და სმარაგდისა. რომელნიც ძველად თითქმის მხოლოდ ინდოეთიდან შემოდის, აგრეთვე აღსანიშნავია კიდევ ინდოეთის ონიქსები, რომელიც სხვადასხვა გვარისა იყო: ცეცხლისფერი, შავი, ვარდისფერი; სარდონიქსი, რომელიც ადამიანის ფრჩხილებში გამონაკრომ სინათლესა ჰგავდა; ინდოეთის ამეთისტები ცნობილი იყო თავისი საამური ბრწყინვალეებით; სპილენძისებურად ყვითელი ტოპაზები და ინდოეთის ოპალები ძალიან ძვირად ფასილად რომაელებში, უკანასკნელნი მათში ფერების სხვადასხვა გვარი შეხამების გამო. აღმასი იხმარებოდა სამკაულად; ხელოსნები ჰას ვხვნილად აქცევდენ, ათავსებდენ რკინის ჩარჩოში, რომ ამ გზით მეტად მაგარ ქვებზე ემუშავათ. რომაელები ძალიან აუასებდენ ლამაზ მარგალიტს, რომელსაც ტაპრობანის ნაპირებზე ჰპოულობდენ. ის უმთავრესად მოწონებული იყო მისი სითეთრის, სიდიდის, სიმრგვალისა და დახვეწილობის გამო, — განსაკუთრებით ისეთი, რომელიც ფერით შავსა ჰგავდა. მარგალიტებს ატარებდენ ხელზე და ყურებზე; ქალები მას დიდი რაოდენობით ხმარობდენ და რთავდენ მით ქაშების თასმებსა და ფეხსაცმელებს. იმპერატორ კლავდიუსის ცოლის ლოლლას მარგალიტით მორთულობა ღირდა 40 მილიონი სესტერციი (2.026.660 ტალ. ან 2.400.000 მან). პერიმულიდან ან პერიმულიდან, სადაც თავგამოდებით აწარმოებდენ მარგალიტის ლოკოკინების ქერას, ის მოჰქონდათ ალექსანდრიაში, ხოლო აქედან რომში. კუნეუტის ზეთი, ფილას სახელწოდებით, გატანის ერთი მთავარი ზაგანთაგანი იყო, რადგან ის რომში იხმარებოდა აგრეთვე როგორც წამლეული. ჩვეულებრივ ბამბის ქსოვილთაგან შემოჰქონდათ სხვადასხვა ხარისხის ქსოვილები რომელთაგან საუკეთესო იყო განგის ნაპირებიდან შემოტანილი ქსოვილები. აბრეშუმის ქსოვილები, დაუმუშავებელი აბრეშუმში, აბრეშუმის, ნახევრად აბრეშუმის და შეღებილი ტანისამოსი და აბრეშუმის ნართი რომში მოდიოდა ალექსანდრიიდან — პირდაპირი გზით ინდოეთიდან, და არაპირდაპირით ინდოეთზე ჩინეთიდან, ამ ნაწარმოების საშობლოდან. რომში აბრეშუმის ტანისამოსზე დიდი მოთხოვნილება იყო. განსაკუთრებით მოსწონდათ განგის გამსქვირ-

ვალე ტანისამოსი, რომელიც უმთავრესად კუნძულ კოსაზე მზადდებოდა, კაცებშიც გავრცელებული იყო აბრეშუმის ტანსაცმელის ხმარება, თუმცა ის ძალიან ძვირად ფასობდა. იმპერატორ აერელიუსის დროს გირვანქა აბრეშუმში იძლეოდნენ გირვანქა ოქროს. შემდეგ ალექსანდრიის ვაჭრობა აძლევდა რომს: სანელებელს, მოსკატის საქონელს, პილპილს, დარიჩინს, ლაქს, სხვადასხვა გვარ საღებავ ნივთიერებათ, საკმეველს, კასიას, მიროხს და სხვ., ყველაფერი ეს დიდი რაოდენობით იფლანგებოდა რომში. აქ არსებული ფასები ძალიან დიდი იყო; თეთრი პილპილი გირვანქა ღირდა 2 ტალერი და 7 ზილბერგროში; შავი პილპილი — 23 ზილბერ., გირვანქა კინამონი — 4 ტალერი 23 ზილბერ. — 53 ტალერამდე; საუკეთესო ღირსების კასი ღირდა 9½ ტალერი გირვანქა. მალაბათრონი შედგენილ კასის და სხვა დაფნის მაგვარი მცენარეების ფოთლებიდან, ძალიან ძვირად ფასობდა რომში, სადაც მას სხვადასხვა დანიშნულებისათვის ხმარობდნენ. მალაბათრონიდან მომზადებული ზეთი ღირდა გირვანქა 12 ტალერამდე; მას ურევდნენ ღვინოში სიმაგრის მისაცემად და აგრეთვე ხმარობდნენ წამლების მოსამზადებლად. ბრინჯი ფასობდა 6 ზილბერგროშიდან 53 ტალერამდე. ინდოელები ღებულობდნენ ამ ნაწარმოებებში ტყვიას, სპილენძს, კალას, უფრო კი ვერცხლის საგნებს და ვერცხლისა და ოქროს დინარებს; უმთავრესი ნავთსადგურები, რომლებშიაც რომაელი და ბერძენი ვაჭრები დადიოდნენ, იყვნენ: მუზა არაბეთის ნაპირზე; ოპონა ბარბარიის ყურესთან ეთიოპიაში; აზანია, რომელსაც დღეს პეშა ეწოდება, — კუნძული აფრიკის აღმოსავლეთ ნაპირზე, სადაც ვაჭრობის საწარმოებლად ესახლებოდნენ ბერძნები, ინდოელები და არაბები, აპოლოგო და ომანა სპარსეთის ყურეში. ინდოეთის საქონლის საწყობ ადგილებში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ბარიგაზა, რომელსაც დიდი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა, ვიდრე ჩინელების ქვეყანამდე. სამხრეთის სანაპიროებზე უმთავრესი საწყობები ინდოეთსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის იყო მუზირესი ანუ მანგალორი და ნელკინდა ანუ ნელესვარა. საბერძნეთისა და რომის ვაჭრები ხშირად დიდი ხნით ჩრებოდნენ საცხოვრებლად ამ ადგილებში. ინდოეთის საქონლის ბრუნვაში უმთავრესად მონაწილეობას იღებდნენ დასავლეთის-ვაჭრები, თუმცა ინდოელებიც კი ეწვეოდნენ ხოლმე ეგვიპტეს სავაჭრო საქმეების გამო; ინდოეთის საქონელს აწვდიდნენ დასავლეთის ქვეყნებს არა მარტო ალექსანდრიით; ვაჭრობა ხდებოდა ნაწილობრივ ხმელეთითაც. უმთავრესი გზები შიდიოდა ბაქტრიანზე, მიდიანზე, კილიკიანზე, კაპადუკიანზე და მცირე აზიის სხვა ადგილებზე; ამ გზის საბოლოო წერტილი იყო ალბათ სინოპი. მეო-

რე გზით ინდოეთის საქონელი გადაჰქონდათ ბაქტრიიდან ოქსით კასპიის ზღვაზე, აქედან მდინ. ფაზისზე (რიონზე), საიდანაც ის მიჰქონდათ იმავე სახელის კოლონიაში (ფოთში) და დიოსკურიასში.

ყოველწლიური ხარჯების ჯამი ინდო-არაბული საქონლისათვის რომში უდრიდა 9.300.000 ტალერს. საქონლის უმრავლესობა ნაღდზე იყიდებოდა და თანაც ასჯერ უფრო ძვირად, ვინემ ნაყიდი იყო; რომაელებს ძალიან ცოტა ხვდებოდა იმ უზარმაზარი მოსაგებიდან, რომელსაც გადაყიდვა და გადაზიდვა იძლეოდა.

## ბ) კომერციული კანონები და ჩვეულებანი, ბაჟები, ბზები და სხვა

თუმცა რომის კანონმდებლობა მდიდარია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა საკითხებში, თუმცა გონებამახვილობით სწყვეტს რომის კანონმდებლობა მრავალ სადაო საკითხებს, მაგრამ ვაჭრობისა და მრეწველობის საკითხებში ძალიან ცოტადენი დადგენილებებია გამოცემული. რომის კომერციულმა კანონმდებლობამ ძალიან ცოტა გააყეთა და საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ, ეყრდნობოდა რა საზოგადოებრივ აზრს, ის უფრო აჯერებდა ურთიერთობათა თავისუფალ განვითარებას, ვინემ ხელს უწყობდა მას; და უკანასკნელ ხანებში ურთიერთობა პირდაპირ შებოჭილი იყო იმპერატორების დადგენილებით, რასაც მოწმობს დიოკლეტიანესა და კონსტანტინეს მრავალი დეკრეტი; პირველმა, მაგალითად, დააწესა საქონელზე საგანაკეთო ფასები, რომაელების შეხედულებანი, რამდენიმედ აგრეთვე ძველი კანონმდებლობაც გადაჭრით გმობდენ კაპიტალიდან პროცენტის აღებას; ამის მიუხედავად შეეაზშეობა ძლიერდებოდა და მის წინააღმდეგ გამოცემული კანონმდებლობა იშვიათად აღწევდა მიზანს. აღნიშნული შეეაზშეობა სხვადასხვა ეპოქაში იცვლებოდა.

ვაჭრობისათვის შემადგერხებელი იყო გადასაზიდი ბაჟები ხმელეთითა და წყლით, რაც განსაკუთრებით სამძიმო იყო პროვინციისათვის; ამის მიზეზით განსაკუთრებით გაძვირდა აზიური საქონელი. საბაჟო გადასახადი იმპერატორების დროს შეადგენდა ერთ-ერთ მთავარ სახსარს მთავრობის შემოსავალში, რომლის აკრეფა იჯარით ეძლეოდა მთავარ მოიჯარადრეებს, ჩვეულებრივ მხედართა წოდებიდან. ჩვეულებრივად პროდუქტებზე დაწესებული იყო შემოსატანი ბაჟი 2½%, ფუფუნების საგნებზე ის აღწევდა 12%-მდე, იმპერატორების დროს კი ხშირად 16%-დეც. გატანის ბაჟი იშვიათად აღემატებოდა 2½%. ყველა საგანზე, რომელიც კი ბაზარზე უნდა გაყიდულ-



ლიყო, იღებდენ 1% ბაჟს. რომში არსებობდა განსხვავება ცალობით ეპქრობასა და ბითუმად ეპქრობას შორის და თუმცა უკანასკნელი საზოგადოებრივი აზრით „სამარცხენსოთ“ არ ითვლებოდა. მაგრამ მისი წარმოება მოსაწონი მაინც არ იყო. რომის ცხენოსანთა მხედრობის წოდება რესპუბლიკის უკანასკნელ ხანებში ამ საქმეს ბეჯითად ეწეოდა, რადგან მოსაგები: 80-100% ერთობ მიმზიდველი იყო; ამას ემატებოდა აგრეთვე სახელმწიფო შემოსავლის იჯარით აღება. ყველაზე სასარგებლო საქმეები პროვინციაში სწარმოებდა. რომის ეპქრები (negotiatores) მრავლად სახლდებოდნენ მნიშვნელოვან სავაჭრო ადგილებში ევროპის დასავლეთ და აღმოსავლეთ ქვეყნებში, აფრიკასა და აზიაში. წვრილი ეპქრები (institores) ყველას მიერ ათვალწუნებული იყვნენ. ზარაფები და მევახშენი ძალიან მომგებიან საქმეებს აწარმოებდნენ პროვინციაში. მონობიდან განთავისუფლებულებიც აგრეთვე მომგებიან ეპქრობას აწარმოებდნენ წიგნებით, რომელსაც თავის ხარჯზე აპლევდენ გადასაწერად და შემდეგ ჰყიდდენ; თუმცა ამ ეპქრობის დასაწყისი ეკუთვნის რესპუბლიკის უკანასკნელ ხანებს და იმპერატორების ეპოქას.

ხელოსნები, როგორც გადმოცემა ამბობს, უკუე ნუმას მიერ იყენენ შეერთებულნი სხვადასხვა ამქრებად; სახელდობრ, ფლეიტაზე დამკვრელები, ოქრომკედლები, ღურგლები, მედაბაღეები, მეწაღეები, მკედლები და მექურკლეები; დაბოლოს ყველა დანარჩენი ხელოსნები შეერთდენ მათთვის ერთ საერთო ამქარში. გადმოცემიდან სჩანს, რომ ხელოსნების ასეთი გაერთიანებანი გამოვიდნენ უძველეს საზოგადოებებიდან, მსგავსად ძველ რომში არსებულ სხვა ამხანაგობებისა, ემყარებოდნენ საზოგადოებრივ რელიგიოზურ დაწესებულებებზე (Sacra). წევრებს შეეძლოთ მოეწყოთ თავიანთი შინაური საქმეები კანონიერ ფარგლებში, ისე-კი, რომ ამით არ დარღვეულიყო სახელმწიფოებრივი დადგენილებანი. რეწაობა საერთოდ მძიმედ ვითარდებოდა, რადგან მდიდრების მოთხოვნილებანი ყოველმხრივ კმაყოფილებოდა მათი მონური მეურნეობით. ამქრები, მართალია, მრავლდებოდა, მაგრამ იმპერატორების დროს ამისათვის საჭირო იყო მეფის ნებართვა. რომის ამქრები, როგორც სჩანს, გაფანტული იყო ყველა პროვინციაში, ასე რომ საშუალო საუკუნეთა ჩვეულების წინააღმდეგ, მათ ეკუთვნოდნენ წევრები არა მარტო ერთი რომელსამე ხელოსნური საზოგადოებისა. ამქრების მამასახლისებს ყოველწლიურად ირჩევდნენ. ამქრები ფლობდნენ საზოგადო საკუთრებას; მთავრობა ავალდებდა მათ ეწარმოებიათ და შეესრულებიათ საზოგადოებრივი სამუშაოები. რაც იმ მცირე მნიშვნელობის გამო; რომელიც ხელოსნებს

ჰქონდათ რომში, მათი არსებობის მთავარ წყაროს შეადგენდა. მაგალითად, მეზღვაურების ამქარს განსაზღვრულ ფასებში შემოქონდა დანიშნულ პროვინციებიდან ნავთსადგურ ოსტიაში პური; პურის მიწღებნი სწყყადენ, ხოლო მეპურეები აცხოვდენ მას დიდ ფურნებში. ჯარის საჭიროებას აკმაყოფილებდენ მქედლები, მესპილენძები და მებორბლები. სწორეთ ასევე ამქრები მუშაობდენ სახელმწიფო შენობებზე, გზებზე და წყალსადენებზე.

რომის უდიდეს ღვაწლს შეადგენს საუცხოვო გზების გაყვანა და აშენება. გზების კეთება დაიწყეს რესპუბლიკის დროს და დაათავეს იმპერატორების ეპოქაში. რასაკვირველია, პირველად ისინი ჯარისკაცების გადასაყვანად იყვენ დანიშნული; მაგრამ ეს განსაცვიფრებელი წაგებობანი, რომელნიც დღესაც ჩვენს გაკვირვებას იწვევს, ვაჭრობისა და კულტურისათვის იქნენ გამოყენებულნი. აპიუსის, ფლამინიუსის, ავრელიუსისა და ემილიუსის დიდი სამხედრო გზები იმავე დროს საუკეთესო სავაჭრო გზებიც იყვენ. ქრისტემდე მეორე საუკუნის გასულს უკვე გაყვანილი იყო სავაჭრო გზა გალიით ლუზიტანიაში. სამხედრო გზები სჭრიდენ თითქმის ყველა პროვინციებს. განუწყვეტელი მიმოსვლა შეეძლო მოგზაურს ამ გზით ბორდოდან დაწყებული იერუსალიმამდე და აქედან ეგვიპტის სამხრეთ კუთხეებამდე, ან აფრიკის დასავლეთის საზღვაო ნაპირებამდე. ქვეყნები გადაბმული იყვენ ერთმანეთთან არა მხოლოდ უბრალო გზით; რომის შარა-გზების მთელი სისტემა, ქსელის მსგავსად მოდებული ყველა სამფლობელოებზე. მთავარი ხაზები უკვე ავგუსტუსის დროს იყო გაყვანილი.

რომაელები ხელს არ ჰკიდებდენ დიდ საზღვაო და სავაჭრო მოგზაურობას; ეს აიხსნება საზღვაო ვაჭრობის საქმეში საჭირო თაოსნობის უქონლობით. აღმოჩენები, რომლითაც მათ გაამდიდრეს გეოგრაფია, შედეგია მათი სამხედრო მოქმედებისა და დაპყრობებისა. დიდი ექსპედიციები, მაგალითად, ქარვის ნაპირებზე, ხოლო ავსტალიუს გალლისა და ბალბის დროს — არაბეთში და გარამანტებისაკენ, იშვიათ შემთხვევებს ეკუთვნის და ერთნაირი წარმატებითაც არ იყო შესრულებული. მთელი სახელმწიფოს დამიჯენა, რომელიც ბერძენ გეომეტრების მიერ ავგუსტუსის დროს იყო დაწყებული, გზის მაჩვენებლები და ტოპოგრაფია პირველ სტატისტიკურ სამუშაოებს ეკუთვნის. გეოგრაფიული ცნობები გაფართოვდა სხვადასხვა ხალხებთან მეგობრული, და, შემდეგში კომერციულ ურთიერთობათა წყალობით.

იმპერატორ კლავდიუსის მეფობის დროს, რომაელებმა შემთხვევით შეიძინეს უფრო სწორი ცნობები კუნძულ ცეილონის შესა-

ხებ. გემი, რომელიც საბაჟო საქმეების გამო, წითელი ზღვის ნავთ-სადგურებში სამსახურს ასრულებდა ქარიშხლის მიერ გაჩიყულ იქნა ტაბრობანის ანუ ცეილონის ნაპირებთან.

უფრო გარკვეული ცნობები პერიოდული ქარების ანუ მუსონების შესახებ, რომელიც იმავე იმპერატორის დროს მოიპოვა გიპპალმა, ხელს უწყობდენ ზღვაოსნობის გაადვილებას არაბეთსა და ინდოეთს შორის. ამ დროიდან შემოღებულ იქნენ დიდი გემები ნაცვლად პატარა გემებისა. ინდოეთის გემები ვადიოდენ არაბეთის სანაპირო ნავთსადგურ კანიდან ან კონცხ არომბატიდან აფრიკის ნაპირზე, რათა ამ გზით ინდოეთის ნავთსადგურებამდე მიეღწიათ. მარკავრელიუს ანტონინის დროს რომის ელჩები გაჩნდნენ ჩინეთის კარზე, — ზღვით ტუნკინზე გავლით. მხოლოდ ასეთ უზარმაზარ სახელმწიფოში შეიძლებოდა შექმნილიყო კოლოსალური ქმნილებანი სტრაბონისა და პტოლომეოსისა, რომელნიც მთელსაუკუნეთა განმავლობაში იყვნენ ნიმუშად და ავტორიტეტად. ინდოეთის ენებისა და ზენდის საფუძვლიანად შესწავლის გამო პტოლომეოსის გეოგრაფიული ნომენკლატურა ჩვენს დროში მიღებულია დასავლეთსა და აზიის შორეულ კუთხეებს შორის სავაჭრო კავშირის ისტორიულ ძეგლად.

(ადოლფ ბერი — ვაქრობის მსოფლიო ისტორია, ტ. I).

## § 5. თანამედროვე მწერლები რომის მუშრნული ცხოვრების შესახებ (ნაწამებები)

ა) კატონი, როგორც მრავველი და სოფლის მუშრნი

(პლუტარქოსი — „კატონის ცხოვრება“)

კატონი ჰვლობდა მონათა დიდ რაოდენობას. აღსანიშნავია, რომ სამხედრო ტყვეებიდან ის ყიდულობდა მცირეწლოვანთ, ე. ი. ასაკისას, როდესაც ისინი, მსგავსად ლეკვისა ანუ კვიცისა, ადვილად ეგუებოდენ გაწვრთნასა და აღზრდას. მისი მონებიდან ვერც ერთი ვერ გაბედავდა შესვლას სხვის სახლში, თუ კი ის გაგზავნილი არ იქნებოდა კატონისა ანუ მისი ცოლის მიერ. მონა ან უნდა მუშაობდეს, ანდა მას უნდა ეძინოს; კატონი მეტად კმაყოფილი იყო, როდესაც მონებს თავის დროზე იპყრობდა ძილი, რადგან ფიქრობდა, რომ ასეთი მონები უფრო თვინიერნი არიან იმათზე, რომელთაც უყვართ სიფხიზლე, და, რომ კარგად გამოძინებული მონა უკეთესი იყო მუშაობისათვის, ვინემ გამოუძინებელი. ფიქრობდა რა, რომ სქესობრივი დაუკმაყოფილებლობა იწვევდა სამუშაოსადმი უთავბოლო მოპყრობას, მან მოაწყო ისე, რომ მონები გარკვეული გადასახადის გადახდით კავშირს იქერდენ მონა ქალებთან, თუმცა სხვა ქალებთან ურთიერთობა მან მათ აუკრძალა. ახალგაზრდობისას, როდესაც ჯერ კიდევ ღარიბი იყო, და ცოვრებას ლაშქრობაში ატარებდა, ის მისდღემში არ ჯავრდებოდა საქმლის

დამზადებისათვის და თავის მონებისადმი კუქის მადისათვის გაჯერებას სამარცხენოთ სთვლიდა. უფრო გვიან, როდესაც მის წილხვედრმა იწყო ზრდა, ის ნაღიმებს მართავდა თავისი მეგობრებისათვის და სამსახურიდან ამხანაგთა გამასპინძლებისათვის, და თუ შეამჩნევდა მონათა მხრივ საკვების უთაბოლო კეთებას ან უწესრიგო სამსახურს, მაშინ, იმავე საათში სადილის შემდეგ, დამნაშავეს ღვედის დარტყმით სჯიდა. მონათა შორის ის მუდმივად აღვივებდა შუღლსა და უკმაყოფილებას, რადგან მათს შორის თანხმობას საფრთხეთ სთვლიდა და მისი ეშინოდა. თუ მონა მძიმე სისხლითი დანაშაულის ბოროტმოქმედებას ჩაიდენდა, კატონს საჭიროდ არ მიაჩნდა მთელ მონათა წრეში მისი გასამართლება და, ბრალდების დადასტურების შემთხვევაში, მას სიკვდილით სჯიდა.

მას შემდეგ, რაც კატონმა დიდის თავგამოდებით დაიწყო მომგებიანი სარეწაობით მუშაობა, მან სასოფლო მეურნეობას დაუწყო ყურება უფრო როგორც გასართობს, ვინემ შემოსავლის წყაროს. აბანდებდა რა თავის საშუალებებს სანდო და ურყევ სარეწაოებში, ის ყიდულობდა (სარეწავ) ტბებს, თბილ წყაროებს, მთაღის სათელად გამოსადეგ ადგილებს, შემოსავლიან მიწის ნაკრებს, ბუნებრივი საძოვრებითა და ტყეებით, რომელიც დიდ შემოსავალს იძლეოდა და, ბისივე სიტყვებით, კლიმატური ცვლილებადობათა განი არ განიცდიდა ზარალს. მაგრამ კატონი მისდევდა აგრეთვე და მეტად საეკვო სახის მეფახშეობას. ასესხებდა ფულებს ხომალდების საწინდრის ქვეშ, რომელსაც შემდეგნაირად აკეთებდა: პირებს, რომელთაც მისგან სესხად ფული მიჰქონდათ, ის აიძულებდა მნიშვნელოვანი რაოდენობით შეერთებულყენენ ამხანაგობაში. როდესაც კომპანიონთა და ხომალდთა რიცხვი ორმოცდაათამდე აღწევდა, ის თავისათვის იტოვებდა ერთ არა დიდ ნაწილს მისი განათვისუფლებულ მონის კენკტიონისს საშუალებით, რომელიც ხელს ჰკიდებდა რეწვას, და ასრულებდა რეისებს სხვა კომპანიონებთან ერთად, — რომელთაც სესხი მიიღეს. ამ გზით ის „რისკობდა“ არა მთელი წამოწყებით, არამედ მისი მცირედი ნაწილით, ჰქონდა რა იმავე დროს დიდი შანსები მოგებისა.

გარდა ამისა, კატონი სესხს აძლევდა მონებსაც კი, რომლებიც ამაზე სურვილს გამუცხადებდნენ; ისინი ყიდულობდნენ მცირეწლოვან ადამიანებს და ერთი წლის შემდეგ, მისი ხარჯით მათი აღზრდისა და გაწვრთნისა, ისევ ჰყიდდნენ მათ. მრავალს თვითონ კატონი იტოვებდა, გამოიანგარიშებდა რა მათს მაქსიმალურ გასაყიდ ფასს. აქეზებდა რა თავის შვილს ამგვარ ოპერაციებში, ის ლაპარაკობდა, რომ თავისი წილხვედრის შემცირება შეეფერება ქვრივს და არა მამაკაცს. ამ საკითხზე მან გამოსთქვა უფრო გადამწყვეტი აზრი, განაცხადა რა, რომ ადამიანი, რომლის დაფრებში აღნიშნულია უფრო მეტი პირადათ შექენილი, ვინემ მეგვიდრეობით მიღებული, უნდა ჩათვლილ იქნას საოცარ, ღეთაებრივ, ყოველგვარი პატივისცემის ღირს ადამიანად.

## ბ) გლენხთა სილარიზმა

(აკიანე — სამოქალაქო ომთა ისტორია, ტ. I)

იპრობდნენ რა იტალიას ომებით, რომაელები დამარცხებულთ ართმევდნენ მიწების ნაწილს და მათზე აშენებდნენ ახალ ქალაქებს ანდა თავიანთთაგან აგზავნიდნენ კოლონისტებს იქ უკვე არსებულ ქალაქებში. ეს კოლონიები მათ ციხესიმაგრეებთ ეშახურებოდა. ყოველთვის, როცა ისინი დაეპატრონებოდნენ ახლად

დაპყრობილ ოლქებს, გამოყენების მიზნით მას ჰყოფდნენ ორ ნაწილად: ერთი ნაწილი, რომელიც უკვე მანამდე მუშავდებოდა, სანადელოდ ეძლეოდათ დასახლებულეებს, იყიდებოდა, ანდა იჯარით იცემოდა. რაც შეეხებოდა მეორე ნაწილს, რომელიც ომის გამო დაუმუშავებელი რჩებოდა, — ხოლო ასეთი ყველაზე მეტი იყო, — და რომლის, უდროობის გამო, ნაჭრებად დაყოფა არ შეიძლებოდა, ამგვარ მიწებს რომაელები ასე ექცეოდნენ: ისინი აცხადებდნენ, რომ ყოველ მსურველს შეუძლია მათი დაკავება დასამუშავებლად, მხოლოდ იმ ვალდებულებით, რომ სახელმწიფოსთვის გადაეხადა ყოველწლიური გამოსაღები ნატურით ერთი შეათედი ნათესების შემოსავლიდან და ერთი მეხუთედი ნაყოფებიდან. ამგვარადვე იყო გარკვეული ბეგარა, რომელიც უნდა ეხადა მეჯოგეებს მსხვილ-ფეხა თუ წერილი ჯოჯის საძოვრებისათვის.

ამის მიზანი იყო იტალიური ტომის მოსახლეობის რიცხვობრივი გადიდება, რომელნიც რომაელებში მეტად შრომის მოყვარედ ითვლებოდნენ; ამგვარად რომაელები ფიქრობდნენ გაეჩინათ მოკავშირენი, რომელნიც ტომობრივად მათი ნათესავები იყვნენ. მაგრამ შედეგი სულ საწინააღმდეგო იქნა მიღებული. მდიდრებმა, — დაიკავეს რა დიდი ნაწილი ამ დაუმუშავებელი მიწებისა და რომლებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ ამ მიწებს ნატაციების ხანდაზმულობის წყალობით მათ არ წაართმევენ, იწყეს თავიანთი ნატაციებისათვის მეზობელ ლარბთა მოსახლეობის ნატაციის შემოერთება; ნაწილობრივ ყიდულობდნენ მათ ფულად, ნაწილობრივ კიდევ ძალით აართმევდნენ, ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, მათ ხელში არა დიდი ზომის მამულების ნაცვლად, აღმოჩნდა უზარმაზარი ლათიფუნდიები.

მინდვრების დასაცავად და ჯოგების საწყესავად მათ იწყეს მონების ყიდვა: საქმე იმაშია, რომ თავისუფალი მუშაკები ლათიფუნდიის მოაცილა სამხედრო სამსახურმა. გარდა ამისა, თვით მიწათმფლობელობაც არა მცირედ შემოსავალს იძლეოდა, რადგან მონები, თავისუფალნი იყვნენ რა სამხედრო ვალდებულება-თაგან, ძლიერ შრავდებოდნენ. ამგვარად შეძლებული ადამიანები მეტად მდიდრულდებოდნენ, ხოლო ქვეყანა მონებით ივსებოდა. პირიქით იტალიკების რიცხვი კლებულობდა, რადგან მათ მუსრს ავლებდა სიღარიბე, ბეგარები და სამხედრო ლაშქრობანი. მაგრამ მაშინაც, როდესაც ეს სიმძიმენი რამდენიმეთ უფრო შემსუბუქე-აული ხდებოდნენ, იტალიკები მაინც უმუშევრად რჩებოდნენ, რადგან მიწა ეკუთვნოდათ მდიდრებს, რომლებიც ამუშავებდნენ მათ არა თავისუფალი ადამიანების, არამედ მონების ხელით.

## ბ) ტიბერიუს ბრაქსის აბრარული კანონი

(აპიანე)

(სახალხო ტრიბუნმა, ტიბერიუს გრაქსმა).... აღადგინა კანონი (134 წ. ზ. წელთაღრიცხვისა), რომელიც უკრძალავდა ყველას 500 ინგერზე მეტი (სახელმწიფო) მიწის ჭინას. ძველი კანონის დამატებით მან მიწათმფლობელთა 'ძვილებს ნება დართო ჰქონოდათ ამ ნორმის ნახევარი. დანარჩენი მიწები არჩეული სამი პირისაგან შედგარა კომისიას, რომელიც ყოველ წლივ გამოიცვლებოდა, უნდა გაენაწილებინა ლარბ-ლატაკთა შორის.

უკანასკნელი დადგენილება განსაკუთრებით აშფოთებდა მდიდარ მიწათმფლობელებს, რომლებიც უკვე ვერ ხედავდნენ შესაძლებლობას, რომ ძველებურათ გვერდი აეჭკიათ ამ კანონისათვის: ამას აბრკოლებდა კომისია, და მიწის

ნაქრების სანადელოდ მიმღებთაგან მათი ხელახლათ შესყიდვა; რადგან გრაცხმა, რომელმაც გაითვალისწინა ასეთის შესაძლებლობა, მათ აუკრძალა მიწების გაყიდვა. გაერთიანდნენ რა მთელ პარტიად, მათ დაიწყეს დრტენინვა და ლატაკებს მიუთითებდნენ იმაზე, რაც მათ უკვე დიდი ხანია გაეკეთებიათ ქონების მოვლა-მოწყობის საქმეში: გაშენებული მცენარეულობანი და მეურნეული ნაგებობანი, ფულები, რომელიც მათ გადაუსდიათ მეზობელ მიწის ნაქერთა შეძენაში, და ამავე დროს კითხულობდნენ, ჰკარგავენ თუ არა ისინი ამათაც მიწასთან ერთად. ისინი მიუთითებდნენ თავიანთი მამების საფლავებზე, ამ მიწებზე, და თავიანთი სამფლობელოთა მემკვიდრეობითი ხასიათზე, ცოლების მწითვეებზე, რომელიც დაბანდელი იყო ამათ შეძენაში და ქალიშვილებისათვის სამწითვოდ უკვე გამოყოფილ მამულზე. მსესებელნი მიუთითებდნენ ვალდებულებებზე, რომელიც ემართა სხვადასხვა სამფლობელოებს, და მთელი ეს დრტენინვა და ჩივილები ერთად წარმოადგენდა ფრიად საზარელ ხმაურს. პირიქით, ლარიბ-ლატაკნი ჩიოდნენ, რომ მათი ხელმოკლეობა შესცვალა სასტიკმა გაკირებებამ, რომ მათ არა აქვთ შესაძლებლობა შთამომავლობის ყოლისა, რადგან არა აქვს ბავშთა გამოკვების საშუალება. ისინი ჩამოთვლიდნენ ყველა ლაშქრობებს, რომელნიც მიწყობილი და ორგანიზირებული იყვნენ ამ მიწების შეძენისათვის და გაჯავრებულნი კითხულობდნენ, ნუთუ მათ უნდა მოაკლდეს საზოგადოებრივი ავლა-დიდება. ისინი კიცხავდნენ მიწათმფლობელებს მისთვის, რომ მათ თავისუფალ მუშებთან, მოქალაქეებთან და მხედრებთან ერთად თან წაიყვანეს მონები, რომელნიც არა სანდო და მტრული ტომისანი და ამის გამო გამოუყენებელნი არიან სამხედრო სამსახურში. ამ დავისა და ურთიერთი კიცხვის დროს რომში გაჩნდა ხალხთა კიდევ სხვა ბრბო, რომელნიც კოლოგრებში და მუნიციპებში ცხოვრობდნენ, ანუ კიდევ სხვა რამე გეარად დაინტერესებულნი იყვნენ ამ მიწებში. ესენი მიეზნებნენ მოდავეთა ერთსა და მეორე მხარესაც. ორივე პარტიებმა თავიანთ სიმრავლეში გამოანახეს სითამამე; კანონისათვის კენჭის ყრის მოლოდინში მათ შორის წარმოიშვა სასტიკი შეტაკებანი. ერთ მხარემ გადასწყვიტა არაფრით არ დაუშვას კანონი, მეორე მხარემ — რაც არ უნდა დაჯდეს განახორციელოს ის.

## დ) რომის მიერ წარმოქმნილი ზღვის იმითა ომების ნაღამლეზი

(პოლიბიუს — ციტირებული აქვს სტრატეგია)

1. ამ დროს (200 წ. ჩვ: წელთაღრიცხვამდე) ესპანიიდან დაბრუნებულ პროკონსულ ლ. კორნელიუს ლეტულმა... თანახმად სენატის დადგენილებისა ოვაციებით შევიდა რომში. მან მოიტანა 43.000 გირვანქა ვერცხლი და 2.450 გირვანქა ოქრო. ნაალაფვეიდან მან მხედრობას დაუჩიგა 120 ათასი თითოს.

2. იმავე დღეებში (196 წ.) თანახმად სენატის დადგენილებისა ქალაქში ოვაციით შემოვიდა კორნელიუს გლაზიონი; მის წინ მოჰქონდათ 1.515 გირვანქა ოქრო, 20.000 გირვანქა ვერცხლი და 34.000 ვერცხლის დინარი. სტერტინიმ, რომელიც შორეულ ესპანიიდან მოვიდა, და რომელსაც ტრიუმფის იმედიც არ ჰქონდა, სახელმწიფო ხაზინაში შეიტანა 50.000 გირვანქა ვერცხლი.

3. ტრიუმფი სამი დღე გრძელდებოდა. პირველ დღეს მოჰქონდათ, თავდაცვისა და შეტევის იარაღები, ბრინჯაოსა და მარმარილოს ქანდაკანი, რომელნიც ტრიუმფატორმა უფრო ფილიპეს წაართვა. ვინემ საბერძნეთის სახელმწიფოებს. მეორე დღეს მოჰქონდათ ოქრო და ვერცხლი, დამუშავებული, ზოდებში და მონე-

აეზი. ზოდი ვერცხლი იყო 43.270 გირვანქა; ვერცხლის ნივთებიდან მრავალი იყო სხვადასხვა გვარი ჭურჭლეული, უმრავლესი მოკრილი, ზოგი იშვიათი ხელოვნების ნაკეთობა. მრავალი იყო აგრეთვე სპილენძისაგან იშვიათი ხელოვნებით გაკეთებული საგნები, და ამით გარდა 10 ვერცხლის ფარი. მოკრილი ვერცხლი იყო 84.000 ატიკური მონეთი, რომელიც ტეტრახემებად იწოდება. თითოული შეიცავდა თითქმის სამ დენარ ვერცხლს. ოქრო იყო 3.714 გირვანქა, ერთი ფარი მთლიანად ოქროსი და 14.514 ოქრო ფილიპესელი მონეთი. მესამე დღეს მოქონდათ 114 ოქროს გვირგვინი, რომელიც სახელმწიფოთა წარუქარს წარმოადგენდა, შემდეგ მისდევდა სამსხვერპლო ცხოველები და ეტლის წიწ მოდიოდა მრავალი წარჩინებული ტყვეები და მძევლებად წამოყვანილნი, რომელთა რიცხვში იყო დემეტრე, მეფე ფილიპეს შვილი, მაკედონელი არმენი, ტირან ნაბიდის შვილი. შემდეგ ქალაქში შევიდა თვით ქვინქტოუსი, უამრავი ჯარი მისდევდა ეტლს, რადგან მთელი ჯარი პროვინციებისა წამოყვანილი იყო. მათ დაურიგდა 250 სპილენძის ასსი თითოულ ქვეითას, ცენტურიონს ორჯერ მეტი, ხოლო მხედარს სამჯერ მეტი.

## ე) ემილ კავლემს ჯარისკაცთაგან 167 წ. ეპირის დარბაზა

(პოლიბიუს — საყოველთაო ისტორია)

იქიდან ახლოს იმყოფებოდა ანიციუსის ბანაკი. მას გაეგზავნა წერილი. რომ აენატმა ჯარს სალაფოდ მისცა ეპირის ქალაქები, რომელნიც პერსეის მხარეზე გადავიდნენ. ამიტომ დეე ის ნუ შესწუხდება იმისაგან, რაც მოხდება. დაუგზავნა რა ცალკე ქალაქებს ცენტურიონები რათა შეეტყუებინებიათ, რომ ისინი მოვიდნენ გარნიზონთა გაყვანის მიზნით, რათა ეპირის მცხოვრებნი ისევე თავისუფალნი იყვნენ, როგორც მაკედონლები, — პავლემ ყოველი ქალაქიდან გამოიძახა ათასი უხუცესი. გამოუტხადა რა მათ რომ მთელი ოქრო და ვერცხლი მოტანილ იქნას საზოგადოებრივ ხაზინაში, მან ყველა ქალაქებში დააგზავნა კოგორტები. უფრო შორეულ ქალაქებში ჯარი გაგზავნილ იქნა ადრე, ვინემ უახლოეს ქალაქებში, იმ მიზნით, რომ ისინი ყველგან ერთ დღეში მისულყვენენ. ტრიბუნებსა და ცენტურიონებს ნაბრძანები ჰქონდათ, როგორ მოქცეულყვენენ. დილას მთელი ოქრო და ვერცხლი მოგროვილ იქნა, ხოლო მეოთხე საათზე ჯარს მიეცა ნიშანი, რომ გაეძარცვათ ქალაქები. ნადავლი ისე დიდი იყო, რომ ყოველ მხედარზე მოდიოდა 400 დენარი, ხოლო ყოველ ქვეითაზე — 200; 150.000 კაცი წაყვანილ იქნა მონად. ამის შემდეგ დანგრეულ იქნა კედლები გაძარცული ქალაქებისა, რომელთა რიცხვი 70-მდე იყო. მთელი ნაალაფვეი გაყიდულ იქნა და ფული განაწილდა მემობრთა შორს.

(ამოღებულია დ. კონჩალოვსკის — რომის ეკონომიური ისტორიიდან).

## § 6. მონური მუხრემოვის ტახნიკური ჩამოკჩენილობა

მსხვილი წარმოება მონობის დროს, სასოფლო მეურნეობაში იმდენად ვერ ჰქმნიდა ნაყოფიერებას, როგორც სამთო დარგში. საქონლის წარმოების განვითარება, მართალია, უფრო და უფრო ანვი-თარებდა საზოგადოებრივ შრომის განაწილებას სოფლის მეურნეო-

ბაშიაც, ზოგან წარმოება ეკიდებოდა განსაკუთრებით ხორბლეულის მეურნეობას, ზოგან მესაქონლეობას და სხვ. მსხვილი წარმოება იძლეოდა აგრეთვე, იმ შესაძლებლობას, რომ მეურნეობის ხელმძღვანელებათ მზადდებოდნენ მეცნიერულად გაწვრთნილი პირები, ეს გარემოება კი დიდი ნაბიჯი იყო წინ, გლეხურ ჩამორჩენლობასთან შედარებით. იმ ქვეყნებში, სადაც სასოფლო მეურნეობრივი მსხვილი წარმოება საკმაოდ განვითარებული იყო, მაგ., კართაგენში და რომში, ჩვენ მართლაც ვხვდებით უკვე მომწიფებულ თეორიას სოფლის მეურნეობაზე. მეთვრამეტე საუკუნის ევროპიულ თეორიებსაც არ ჩამოუყარდებოდა ეს თეორია. არ კმაროდა მხოლოდ მუშა ხელი, რომელსაც შეეძლო გამოეყენებია ეს თეორია და წინ წაეწია მსხვილი მეურნეობა, გლეხურ მეურნეობასთან შედარებით. დაქირავებული შრომაც ნაკლებ ნაყოფიერებას იძლევა, ვიდრე თავისუფალი მიწადმფლობელის შრომა, ეს უკანასკნელი უფრო დაინტერესებულია და უფრო გულიანად ეკიდება საქმეს. დაქირავებული შრომა ხელსაყრელია მხოლოდ იქ. სადაც მსხვილი წარმოება ტექნიკური მხრივ თვალსაჩინოთ აღემატება წვრილ წარმოებას. მაგრამ მსხვილ მეურნეობაში მონაც აღარ გრძნობს თავს ისე მორჩილათ, როგორც გრძნობდა პატრიარქალურ ოჯახში, ის სცდილობს მეტი ზარალიც მიაყენოს ბატონს. მონის შრომა შინა-მონობაშიაც ნაკლებ ნაყოფიერებას იძლეოდა. ვიდრე თავისუფალი მესაკუთრის შრომა. ჯერ კიდევ ოდისღი შენიშნავდა:

„დაუდევარი არის მონა. სასტიკ ბრძანებით თუ რომ ბატონმა საქმეზე თვით არ დააყენა, ის არ შეიწყენს თავისით თავს, ხელს არას ჰკიდებს: სამწუხარო ბედი მონობისა არგუნა წილად დიდმა ზევესმა, ადამიანთ სასიქადულო ღირსება მისი სულ ერთიან გაანადგურა“.

(ოდისსეია)

რალა ითქმის იმ მონებზე, რომლებსაც ყოველდღე სცემენ: სისხლს ადენენ. რომლებიც სასოწარკვეთილებაში ვარდებიან და სიძულვილით უყურებენ თავის ბატონს! მსხვილი მრეწველობა გაცილებით უმჯობინებოდა გლეხურს იმ შემთხვევაშიაც, რომ იმდენივე მუშა ხელი, იმდენივე ნაყოფიერება ჰქონებოდა, მაგრამ ის არა თუ ვერ სჯობნიდა წვრილ წარმოებას, პირიქით უკან ურჩებოდა და ვერ ეწეოდა. მძიმე პირობებში არა-ადამიანური მოქცევით გაბატონებული მონები ჯავრს იყრიდნენ მუშა ნახირზე რომელიც ამიტომ ველარ



ვარგისობდა სამუშაოდ. მით უფრო არ მიეცემოდა ხელში, მონებს რომელიმე სათუთი სამუშაო იარაღი.

ამ გარმოებაზე მიუთითა უკვე კ. მარქსმა. აი რას ამბობდა ის იმ წარმოების შესახებ, რომელსაც მონური შრომა ჰქონდა საფუძვლად:

„მუშა, ძველი მოსწრებული თქმის თანახმად. განსხვავდება აქ ცხოველისაგან მხოლოდ ისე, როგორც instrumentum vocale (მეტყველების უნარიანი იარაღი) instrumentum semivocale-საგან (ხმის გამომცემი იარაღისაგან) და უსულო იარაღისაგან — instrumentum mutuum-ისაგან (მუნჯი იარაღისაგან). მაგრამ თვით მონაც აგრძნობინებს ცხოველს და შრომის იარაღს, რომ ის არ ჰგავს მათ, რომ ის ადამიანია. ის მათ ცუდათ ეპყრობა, სიამოვნებითაც აფუქებს და ამაში გამოხატავს, რომ ის მათზე მალლა სდგას. ამიტომ იმ საწარმოო წესის პირობებში ეკონომიურ პრინციპად არის მიჩნეული მეტად უხეში და ნძიმე იარაღის ხმარება, რადგან ამ სიმძიმის და უხეშობის გამო ეს იარაღი უფრო ძნელი გასაფუქებელია. სამოქალაქო ომის დაწყებამდე მექსიკის ყურესთან მდებარე მონათმფლობელ შტატებში ხმარობდნენ ძველ ჩინური კონსტრუქციის სახნისს. რომელიც ღორივით და თხუნელასავით სჩიჩქნოდა მიწას, მაგრამ კვალს ვერ ავლებდა და ბელტს ვერ აბრუნებდა. ...თავის „Sea Bord slave states“-ში ოლმსტედი მოგვითხრობს სხვათა შორის: მე მაჩვენეს აქ ისეთი იარაღები, რომელსაც ჩვენში არც ერთი ჰკუთმყოფელი ადამიანი ხელში არ მისცემდა დაქირავებულ მუშას; მათი სიმძიმე და სიტლანქე მე ვფიქრობ 10%-ით მაინც უფრო აძნელებს შრომას იმ იარაღებთან შედარებით, რომლებსაც ჩვენში ხმარობენ. მაგრამ მე დამარწმუნეს, რომ მონები დაუდევრად, ტლანქათ ეპყრობიან იარაღებს და ხელსაყრელი არ იქნებოდა მათთვის უფრო მსუბუქი, ნაკლებ-ტლანქი იარაღების მიცემა, ხოლო იმ იარაღებს, რომლებსაც ჩვენ ვაძლევთ მუშებს და ამით მოგებულები ვრჩებით. ერთი დღის გამძლეობაც. არ ექნებოდათ ვირჯინიის პურის მინდვრებზე, თუმცა ნიადაგი იქ უფრო რბილია და ნაკლებ ქვიანი ვიდრე ჩვენში. ჩემ შეკითხვაზე, რატომ ხმარობენ ყველგან ფერმებზე ცხენის მაგივრათ ჯორს, პასუხად მიმითითეს იმ შთავარ და ცხადია, მეტად საფუძვლიან მიზეზზე. რომ ცხენი ვერ აიტანდა იმ საშინელ მოპყრობას, რომელსაც ის ყოველთვის განიცდის ზანგებისგანო. ზანგის ხელში ცხენი მალე უძლურდება ან სახიჩრდება, ჯორო კი იტანს ცემას და უქმელობას. და იმდენად არ ზიანდება, არც ცივდება და არც ავადმყოფდება, როცა ცუდათ უვლიან ან ბევრს ამუშავენ.

შორს წასვლა არ მქირდება—საკმარისია იმავე ოთახში, სადაც ვსწერ. ფანჯარასთან დავსდგე და ყოველ წუთს ვხედავდი ისეთ მოპყრობას ცხოველებისადმი, როგორისათვისაც ჩრდილოეთის ფერმერი დაუყოვნებლივ დაითხოვდა თავის მუშას\*).

ყრუ, გაბოროტებული მანებლობის მონხარული მონები არ უშვებდენ შემთხვევას, რომ ზიანი მიეყენებიათ თავის საძულველ მწველებლისათვის, და რა თქმა უნდა ლათინურენოებში გაცილებით ნაკლებ ნაყოფიერი იყო ამ მონების შრომა, ვიდრე თავისუფალი გლეხებისა. ჯერ კიდევ პლინიუსი ჩვენი წელთ-აღრიცხვის პირველ საუკუნეში აღნიშნავდა, რამდენად ნაყოფიერი იყვენ იტალიის მინდვრები, როცა თვით სარდლები არ ირცხვენდენ იქ მუშაობას, და რა უნაყოფო, რა მოუსაელიანი ხდებოდა იგივე დედა-მიწა, როგორც კი შეუდგებოდენ ხოლმე იმის ჯიჯგნას შებოროკილი და დალდასმული მონების შრომით. განსაკუთრებულ პირობებში ამისთანა მეურნეობას შეეძლო მეტი ნაყოფი გამოეღო, ვიდრე გლეხურს, მაგრამ ის ვერასოდეს ვერ უზრუნველყოფდა იმდენ ხალხს, რამდენსაც ეს უკანასკნელი. მაგრამ მონური სოფლის-მეურნეობის გაფართოება მაინც გრძელდებოდა, სანამდის რომი შეუწყვეტელ ომებს აწარმოებდა და ხველთაშუა ზღვის გარშემო მოსახლე ხალხების მყუდროებას არღვევდა, სანამდის, ამავე დროს გლეხობა ნადგურდებოდა, რადგანა იმის მეთაურებს — მსხვილ მიწადმფლობელებს მუდმივ ომებში ემატებოდათ ახალი საშოვარი, ახალი მიწები და უთვალავი იაფი ძონები.

ჩვენ ვხედავთ ამნაირად, რომ ძველ რომის იმპერიაში ადგილი ჰქონდა ეკონომიურ პროცესს, რომელიც გარეგნულად საოცრად წააგავს თანამედროვეს: ეს იყო წვრილი წარმოების განადგურება, მსხვილი მეურნეობის ზრდა, კიდევ უფრო ჩქარი წინსვლა მსხვილი მიწათმფლობელობის და ლათინურენოების. ამ პროცესში გლეხობა რჩება უპიწაწყლოთ, ხელიდან ეცლება თავისუფალი მიწათმფლობელობა და იქცევა დახეულქვეითებულ მოიჯარეთ ყველგან, სადაც ის ვერ ახერხებს პლანტაციების ან სხვა, რომელიმე მსხვილი წარმოების შექმნას.

„ანტიური სოციალიზმის და კომუნიზმის“ ისტორიაში პელმანს მოჰყავს ერთი ადგილი პსევდოკვინტილიანის სიტყვათა კრებულიდან. ეს ადგილია: „ღარიბის ჩივილი მდიდარის წინააღმდეგ“. ამ „ჩივილში“ ძალიან მკაფიოდ იხატება ლათინურენოების ზრდა. ესაა ჩივილი გალატაკებული გლეხის, რომელიც მოსთქვამს:

\* „კაპიტალი“ ტ. 1, გვ. 156 — 157. (ქართული გამოცემა).

„მე არ ვიყავი თავიდანვე მდიდარი კაცის მეზობლად. ჩემს გარეშემო სცხოვრობდნენ აუარებელ ეზოებში თანასწორი შეძლების გლეხები. კეთილმეზობლური თანხმობით ისინი ამუშავებდნენ თავის მიწებს, როგორ გამოიცვალა მერე ყველაფერი! ზიწა, რომელზედაც ისინი იკვებებოდნენ, გადაიქცა ერთ ვეებერთელა პლანტაციათ და ახლა ეკუთვნის ერთ მდიდარს. მის მამულს გაშლილი აქვს საზღვრები ყოველ კუთხეზე; მისგან შთანთქმული გლეხების ეზოები მიწასთანაა გასწორებული, დანგრეულია ზამაპაპების წმინდათა-წმინდა. ძველი მესაკუთრეები უნდა გამოსალმებოდნენ თავთავის ოჯახის მფარველ ღმერთს, იძულებული შეიქნენ აყრილიყვენ და თავშესაფარი ეძებნად უცხო მხარეში. ერთნაირი სანახაობაა სულ ამ ფართოდ გაშლილ სივრცეზე. თითქო კედელივით მარტყია გარეშემო ეს სხვისი სიმდიდრე. აქ ბაღია მდიდრის, იქ მისი მინდვრები, აქეთ მისივე ვენახები, იქით ტყეები და საძოვრები. სიამოვნებით მოეშორებოდნენ აქაურობას, მაგრამ ვერსად ვიპოვე ისეთი ნაქერი მიწა, რომელზედაც ჩემ სიახლოვეს არ იქნება მეზობლის სიმდიდრე. სად არ წააწყდებით მდიდრის მამულებს. ისე გაუფართოვებიათ ეს მამულები, რომ თითქოს სახელმწიფო იყოს თვითეული მათგანი, მთები და მდონარეები აქვთ ბუნებრივ საზღვრებად. ზათვე დაისაკუთრეს შორი-შორს ცარიელი მთა ადგილები და ტყეები. არაფერი არ ელობება წინ ამ გაფართოვებას, შეიძლება მხოლოდ, რომ ერთი მდიდარი გადაელობოს მეორეს! ბედი ამასაც არ გვემარობს და ჩვენს ამისთანა დაბეჩავებას ემატება ზიზლი, რომლითაც მდიდარი გვიყურებს ღარიბ-ღატაკებს: არ უარყოფენ არც არაფრად მიაჩნიათ ის დანაშაული, რომელიც ჩაიდინეს ჩვენს წინააღმდეგ“.

პ ე ლ მ ა ნ ი ამაში ხედავს საერთოდ უკიდურესი კაპიტალიზმის ტენდენციას, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად წააგავს თანაზედროვე კაპიტალიზმის განვითარებას, კაპიტალის ახლანდელ კონცენტრაციას. დიდი შეცდომა იქნებოდა ამ ორ პროცესში მეტი მსგავსების დანახვა, ვინც ღრმად ჩაუკვირდება ორივე პროცესს, ის შეაშინებს, რომ ერთის მიმდინარეობა სავსებით ეწინააღმდეგება მეორისას. ჯერ ერთი უნდა ითქვას, რომ კონცენტრაციის ტენდენცია, მსხვილი წარმოების გაფართოება და მისი გაბატონება წვრილ წარმოებაზე — ყოველივე ეს ახლა უფრო მკაფიოდ სჩანს ინდუსტრიაში, ვიდრე სასოფლო მეურნეობაში. ანტიურ ქვეყანაში კი ეს იყო პირიქით. ამას გარდა თამანდროვე პროცესში მსხვილი წარმოება იმარჯვებს წვრილზე მეტოქეობით, უკეთესი მანქანებით და მეტი საწარმოო ნაყოფიერებით. ანტიურ ქვეყანაში ამისთანა ფაქტებს არ ჰქონდა ადგი-

ლი. მაშინ მსხვილი წარმოება იმარჯვებდა სულ სხვა გზით, მაშინ თავისუფალი გლეხობა ნადგურდებოდა სამხედრო სამსახურით, მდიდრები ამ დროს იძენდენ უთვალავ მონებს — იაფ მუშა ხელს. მსხვილი წარმოების გამარჯვებას ხელს უწყობდა აგრეთვე მევახშეობა. როველზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. ყველა ეს ფაქტორები პაშინ ხელს კი არ უწდობდენ შრომის ნაყოფიერების ზრდას, პირიქით ხელს უშლიდენ. არ იყო ანტიურ ქვეყანაში ისეთი პირობები, რომ მანქანის ხმარების განვითარებას ნიადაგი მისცემოდა. არც ხელოსნობა იყო დიდათ განვითარებული, რომ მას შესძლებოდა მიეცა განვითარებული და დახელოვნებული მუშები, რომლებიც წავიდოდნენ განსაზღვრულ ხელფასზე, რომლებიც გამოიყენებოდნენ მანქანების დამზადებაში და მათ ამუშავებაში; მოაზროვნენი და მკვლევარნი მეცნიერები ამიტომ არაფრად არ ეტანებოდნენ მანქანების გამოგონებას, სულ ერთი იყო პრაქტიკულად მაინც გამოუსადეგარი იქნებოდა, როცა იგონებდნენ წარმოებისათვის შესაფერ და გამოსადეგ მანქანებს, რრცა ამავე დროს აუარებელი მუშა ხელი ეძებს საქმეს წარმოებაში და მანქანებზე, მაშინ ზანქანა იქცევა მეტოქეობის მძლავრ იარაღად, მაშინ ერთი მწარმოებელი ებრძვის მეორეს ამ იარაღის საშუალებით. მეტოქეობის და ბრძოლის შედეგია ის, რომ მანქანა მრავლდება, უმჯობესდება, იზრდება ამასთანავე შრომის ნაყოფიერება, მზადდება უფრო-და-უფრო მეტი იმაზე, რაც სანუშაო ხელფასის დასაფარავადაა საჭირო, ფებს იკიდებს და იზრდება ის აუცილებლობა, რომ გ რ ო ვ დ ე ბ ო დ ე ს ამ ზედმეტი ნაწარმოების ნაწილი ახალი და უკეთესი მანქანების შესაძენად. იზრდება ბოლოს ბაზრის გაფართოების აუცილებლობაც, რადგან ამას მოითხოვს სულ უკეთესი და უკეთესი მანქანებით შექმნილი ფართო წარმოება. ამნაირად მიმდინარეობს შეუჩერებელი ზრდა კაპიტალის; სულ უფრო-და-უფრო მეტად გილს იტერს კაპიტალურ წარმოებაში საწარმოო საშუალებათა წარმოება, უფრო-და-უფრო მატულობს ახალი ბაზრების აუცილებლობა. რომ გასაღდეს ახალი საწარმოო საშუალებით დამზადებული სახმარი საქონელი. მართო მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში კაპიტალმა ასე დაიპყრო მთელი ქვეყანა.

სულ სხვანაირად მიმდინარეობს განვითარება ანტიურ ქვეყანაში. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ მსხვილ წარმოებაში მონებს ამუშავებდნენ უვარჯის იარაღებით, უვარჯისი და უფიცი იყო მაშინ მუშა ხელიც, რადგან მხოლოდ მონების სიიაფე იძლეოდა შემოსავლიანობას მსხვილ წარმოებაში. მსხვილი მესაკუთრეები ამიტომ ყოველთვის ეტანებოდნენ ომიანობას, ომი მათთვის იყო საუკეთესო წყარო იაფი

მონების საშოვრად, ომის საშუალებით ფართოვდებოდა სახელმწიფო ტერიტორიაც. ეს გარემოება იყო იმის მიზეზი, რომ კართაგენის საწინააღმდეგო ომების შემდეგ რომმა დაიწყო თავისი დამპყრობი პოლიტიკა, ორ საუკუნეში დაიმორჩილა ყველა ქვეყნები ხმელთა შუა ზღვის გარეშემო და ქრისტეს დაბადების ხანაში ცდილობდა ჯერ გალია — ახლანდელი საფრანგეთი, დაეპყრო მერე ფებქვეშ მოექცია გერმანია, რომელსაც ჰყავდა ჯანდონით საესე მოსახლეობა და საიდანაც იზოვებოდა საუკეთესო მონები.

ასე მუდამ და გაუმძღვრად ანტიური ქვეყნის მსხვილი წარმოება ეძებდა ახალ-ახალ საექსპლოატაციო სივრცეებს. ამისთანა მისწრაფებით ის წააგავს ახლანდელ მსხვილ წარმოებას, მაგრამ სულ სხვანაირი იყო მაშინ გამოყენება იმ ზედმეტი ნაწარმოების, რომელსაც იძლეოდა უთვალავი მონების შრომა. ამაში ჩვენ ვერ ვიპოვით ვერავითარ მსგავსებას თანამედროვე მსხვილ წარმოებასთან. ახლანდელი კაპიტალისტი, როგორც ვსთქვით იძულებულია აგროვოს დიდი წილი თავის მოგებისა და მოიხმაროს ის წარმოების გასაუმჯობესებლად, უამისოდ ის დამარცხდება მეტოქეობაში. ანტიურ ქვეყნის მონათმფლობელს არ ეჭირვებოდა ეს. წარმოების ტექნიკური საფუძველი არ ჰქონდა უკეთესი, უფრო ნაკლებიც ჰქონდა, ვიდრე იყო წერილი გლეხობის ტექნიკა. ის მაინც სჯობნიდა ამ წერილ გლეხებს. მსხვილი წარმოების ტექნიკური საფუძველი მაშინ არ ირყეოდა ამა თუ იმ გადატრიალებით, არც ვითარდებოდა, უცვლელი რჩებოდა. მონათმფლობელი ფარავდა მხოლოდ ერთხელვე განსაზღვრულ საწარმოო ხარჯებს, იძენდა ახალ იარაღებს, ნახიზს, მონებს, გაცვეთილი და გაფუჭებულის მაგივრად. ზედმეტი მონარჩენი კი შეეძლო დაეხარჯა პირად სიამოვნებაზე. გადაკარბებული მფლანგველიც, რომ არ ყოფილიყო.

შეიძლებოდა, რასაკვირველია, ფული მოეხმარათ ვაჭრობაში. ან სარგებლით გაესესხებიათ ხოლმე, ან ახალი მიწები შეეძინათ და ასე ჰქონებოდათ მოგება, მაგრამ ამ მოგების დახარჯვა ვერ გასცილდებოდა პირადი სიამოვნების მოთხოვნილებას. არავითარი აზრი არ ჰქონდა მაშინ კაპიტალის დაგროვებას იმ მიზნით. რომ ახალ-ახალი საწარმოო საშუალებები ემზადებიათ. ნახმარს და გაცვეთილს თუ გამოიცვლიდნ ხოლმე. თორემ ისე რაში გამოიყენებდნ ამ ახალ იარაღებს.

რაც უფრო ერეკებოდნ ლატიფუნდებიდან გლეხებს, რაც მეტი მიწა და მონა გროვდებოდა ამა თუ იმ მესაკუთრის ხელში. მით უფრო ემატებოდა თვითუღლ მათგანს სიმდიდრე, რომელსაც ის ვერა-

ფერში გამოიყენებდა პირადი სიამოვნების გარდა. ახლანდელ კაპიტალისტს უზომოთ სწყურია კაპიტალის დაგროვება, ეს წყურვილია მისი დამახასიათებელი თვისება. ძველ დიდებულ რომაელს კი იმპერიის დროს ქრისტიანობის დაწყებითი ხანაში ახასიათებდა მხოლოდ სიამოვნების წყურვილი. თანამედროვე კაპიტალისტებმა დააგროვეს იმდენი, რომ არაფერი არაა შედარებით ძველი უმდიდრესი რომაელების უდიდესი სიმდიდრეც. კრეზათ მაშინ ითვლებოდა ნერონისგან თავდახსნილი ნარცისი, რომელსაც ჰქონდა 90 მილ. მარკა. რა არის ეს თანხა იმ 4.000 მილიონთან შედარებით, რომელსაც ეხლა როკფელლერს მიაწერენ. მაგრამ ამერიკელი მილიარდერის გიჟური ფლანგვა სრულიად ვერ შეედრება მათი რომაელი წინაპრებისას, რომლებიც სტუმარს ბულბულის ენებსაც არ აკლებდნენ და ძვირფას თვალმარგალიტებს სასმელებში აწოდებდნენ.

ფუფუნებასთან ერთად იზრდებოდა შინა მონების რიცხვიც. რაც უფრო იაფდებოდა მონა, მით უფრო მატულობდა ეს რიცხვი. შინა მონებს იყენებდნენ პირადი სამსახურისათვის. ჰორაციოსი შენიშნავეს ერთ-ერთ თავის სატირაში, რომ სულ მცირე რასაც დასჯერდებოდა ადამიანი ხელმოკლე პირობებში, ესაა ათი მონა მაინცო. მდიდარ ოჯახში კი შეიძლებოდა ათასობითაც ჰყოლოდათ მონები. ბარბაროსებს გზავნიდნენ პლანტაციებში ან მალაროებში, ხოლო კულტურულ მონებს განსაკუთრებით საბერძნეთიდან, იტოვებდნენ ქალაქში საოჯახო სამუშაოზე. მონებათ ჰყავდათ არა მარტო მზარეულები, გადამწერლები, მუსიკოსები, პედაგოგები და მსახიობები, ჰყავდათ აგრეთვე ექიმებიც და ფილოსოფოსებიც. ამისთანა მონები უმეტეს ნაწილად არ ეწეოდნენ მაინც და მაინც მძიმე სამუშაოს. ამ მხრივ ესენი გაირჩეოდნენ იმ მონებისაგან, რომლებსაც ფულის საშოვარში იყენებდნენ. იმ შეღავათიან მონებში დიდი წილი ისეთივე მძარცველებისაგან შედგებოდა, როგორიც იყო თვით ბატონები. მაგრამ ორი პირობა უწყობდა წინეთ ხელს საოჯახო მონის შეღავათიან მდგომარეობას: ბატონს დიდი ფასი ჰქონდა მიცემული და ამიტომ უფრო უფელიდა, მეორე მხრივ ამხანაგურ განწყობილებაშიაც იყო იმასთან, როცა ერთად მუშაობდნენ, მერე ეს პირობა მოისპო. მონებს უკვე აღარაფრად აგდებდნენ გამდიდრებული მესაკუთრეები. მეტადრე, როცა იაფად ეშოვნებოდათ ეს მონები. საშინაო მონებს აღარავითარი პირადი განწყობილება არ ჰქონდათ ბატონთან. ეს ძლივს თუ სცნობდა შერე მათ. თუ რომ მონა და ბატონი ერთმანეთს პირადათ უახლოვდებოდნენ, ეს ხდებოდა არა საერთო მუშაობაში, რომელიც ერთი-ერთ პატივისცემას იწვევს, არამედ ქეიფობაში და

სხვა გარყვნილ სიამოვნებაში, რაც გამოწვეული იყო უსაქმობით და ცხოვრების უაზრობით, და რაც როგორც მონაში, ისე ბატონში მხოლოდ ერთმანეთისადმი ზიზღს გამოიწვევდა. უსაქმობას შეჩვეული მონები ხშირად ხდებოდენ უმწეო მსხვერპლი იმ ჟინიანობისა, რომელსაც იჩენდა მათთან ბატონი: მისი უმიზნო წყრომა-რისხვა ხშირად ტრადიკულად თავდებოდა მონებისათვის. ცნობილია მაგალითად ვედის პოლიონის მხეცური საქციელი. მონამ უნებლიეთ გაუტეხა ბროლის ვაზა და ამის გულისათვის ის პოლიონმა შესაქმელად ჩაუგდო მურენებს. ეს მტაცებელი იშვიათი გემოს თევზია, რომელიც ცალკე აუზში ჰყავდა მოსაშენებლად.

ამისათვის მონებთან ერთად საზოგადოებაში მრავლდებოდენ უსაქმო ელემენტები. ესენი გამოდიოდენ დიდი ქალაქების ლუმპენ-პროლეტარიატიდან, რომელშიაც თავს იყრიდა უმიწაწყლოთ დარჩენილი გლეხობა. ეს ხდებოდა იმ დროს, როცა წარმოებაში ბევრგან თავისუფალი შრომის ადგილს იკავებდა მონური შრომა და როცა ამიტომ საშინლად ეცემოდა ნაყოფიერება.

რაც მჭეტი წევრი ითვლებოდა საოჯახო მეურნეობაში, მით უფრო ადვილად შეეძლო ოჯახის საკუთარი მუშა ხელით დაემზადებია სხვადასხვა საჭირო პროდუქტი, რომელიც უნდა ეყიდა ხოლმე პატარა მეურნეობას, მაგ., ტანსაცმელი, საოჯახო ნივთები და სხვ. ამ ნიადაგზე ვითარდებოდა წარმოება საკუთარი მეურნეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ეს მერწინდელი სახეა მდიდარი საოჯახო მეურნეობისა. ამას არაფერი არა აქვს საერთო წინანდელ პატარა საოჯახო მეურნეობასთან, რომელიც ჯერ თითქმის სრულიად არ იცნობდა საქონლის წარმოებას და თვითონვე იმზადებდა, რაც აუცილებელი საჭირო იყო, მისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ყიდულობდა მხოლოდ სამუშაო იარაღებს და ფუფუნების საგნებს. ის მეორე სახის — წარმოება კი გავრცელებული იყო მდიდარ ოჯახებში რომის რესპუბლიკის უკანასკნელ დროს და იმპერიის ხანაში, ის დამყარებული იყო სწორედ საქონლის წარმოებაზე. ამ მეურნეობას სარჩულად ედო მალარობის და ლატიფუნდიების საბაზრო წარმოება. ის იძლეოდა უშთავრესად ფუფუნების საგნებს.

ამნაირი წარმოება, როგორც ვსთქვით ემსახურებოდა საოჯახო მოთხენილებებს. ამ წარმოების გაფართოება ხელს უშლიდა თავისუფალ ხელოსნობის განვითარებას, როცა ეს უკანასკნელი უიმისოდაც ვერ უძლებდა მონურ შრომაზე დამყარებულ ქალაქის მრეწველობას და ლატიფუნდიების წარმოებას. შეფარდებით უნდა დაკლებულიყო ხელოსანთა რაოდენობაც, ე. ი. მონების რიცხვთან

წედარებით უნდა შემცირებულიყო თავისუფალი მუშების რიცხვი, ხელოსნურ წარმოებაშია. აბსოლუტურად კი მრეწველობაში ზოგან თავისუფალი მუშები უნდა გამრავლებულიყვნენ, რადგან მფლანგველი წრეები ეძებდნენ ხელოსნების, მხატვრულ მრეწველობის საგნებს. საპარფიუმერიო დარგის საგნებს, როგორცაა მაღალმოები, პოპადები და სხვ.

ვინც ამისთანა ფლანგვის მიხედვით ზოგავს საზოგადო კეთილდღეობას, ვინც ამ მხრივ ისეთივე მოკლე ჭკუისაა, როგორც იყვენ რომის ცეზარები, მსხვილი მემამულეები და მათი კარის კაცები, მხატვრები, მწერლები, ის საუკეთესო რამეთ მიიჩნევს იმ სოციალურ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა იმპერატორ აუგუსტის ხანაში. უთვალავი სიმდიდრე მიუღიოდა რომს მარტო პირადი სიამოვნების დასაკმაყოფილებლად. მდიდარი მფლობელები იწყებდნენ ხან ერთ ლზინს, ხან მეორეს და ყველაფერს, რომ ვერ ერეოდნენ, წარა-მარა გადიოდა მათი საჩუქრები. ბევრი მხატვარი და მეცნიერი, მეცენატებისაგან იღებდა აუარებელ ქონებას, შენდებოდა უზარმაზარი შენობები, მათი სიდიდე და მხატვრული სილამაზე ახლაც იწვევს ჩვენს გაკვირვებას. თითქოს მთელი ქვეყნიერება ყველა თავის ნაპრალებიდან ისვროდა სიმდიდრეს — ეს საზოგადოება კი მაინც განწირული იყო მაშინ სასიკვდილოთ, მას უკვე მკაფიოდ ეტყობოდა აღსასრულის ბეჭედი \*).

(ქ. კაუტკი — ქრისტეანობის წარმოშობა).

## § 7. ანტიური ძვეულის მკონომიური დებრადაცია

### ა) პრელეტარიატი

ლათინუენდებისა და მთელი მონათმფლობელობის დაცემას არ შექლო ძველი გლეხობის აღორძინება გამოეწვია, ორი მთავარი მიზეზების გამო: მიწა, რომელიც კერძო საკუთრების საგანს შეადგენდა — მიუწვდომელი იყო გაღატაკებულ ყოფილი გლეხებისათვის და ცხადია მათ მისი ყიდვის საშუალება არ ჰქონდათ; მიწას მოშორებულთ თვით ეს ყოფილი გლეხობა ჩქარ სოციალურ გადაგვარებას განიცდიდა. — ქალაქების „პროლეტარიატის“ მთავარ შემადგენელ ნაწილად ხდებოდა.

\*) ქ. კაუტკის ეს და „შესავალში“ დაბეჭდილი ნარკვევი ჩვენი ქრესტომატიისათვის გერმანულიდან სთარგმნა ს. დედარიანმა, რომელსაც აქ მადლობას ვუცხადებ. ავტორი.



და მართლაც, სად უნდა წასულიყო უმიწაწყლოთ დარჩენილი გლახობა, თუ არ შეხიზნოდა ქალაქს: მხოლოდ იქ შეეძლო მას იმედი ჰქონოდა სამუშაოს შოვნის ან რაიმე დახმარების მიღებისა. მაგრამ სამუშაოს შოვნა მხოლოდ ჯანსაყუთრებულ შემთხვევაში შეიძლებოდა: მონათმფლობელობის და შემდეგ ეკონომიურათ დაქვეითების პირობებში მოთხოვნილება დაქირავებულ შრომაზე უმნიშვნელო იყო; ამავე დროს კი იქ ადრევე ასწრებდა თავმოყრას მეურნეობას მოკლებული ხალხის, იმავე გაღატაკებულ გლახებისა და ხელოსნების, გაკოტრებულ ვაჭრების, განთავისუფლებულ მონების და სხვათა დიდი რაოდენობა. ეს იყო სრულიად არამწარმოებელი მოსახლეობა — ლუმპენ-პროლეტარიატი; მათი საარსებო წყარო ძალაუვნებურად, კერძო თუ სახელმწიფო პარაზიტის მიხედვით უნდა გამხდარიყო.

ფუფუნებასა და მფლანგველობაზე დაყრდნობილი მდიდართა კერძო პარაზიტის მიხედვით, რითიც ხშირად თავს ირჩენდა ასეული „კლიენტებისა“, — ექვს გარეშეა დიდათ იყო გავრცელებული, მაგრამ ის არ იყო საკმარისი ანტიური ქვეყნის ეკონომიური რღვევით წარმოშობილ პროლეტართა მილიონიანი მასების არსებობისათვის. ამასთანავე დროთა მსვლელობაში საზოგადოებრივ ზედა-ფენების საფლანგველი სიმდიდრის საერთო ჯამი უნდა შემცირებულიყო, ხოლო პროლეტარიატი კი სულ იზრდებოდა.

ამრიგათ მთელი, თანდათანობითი მოზარდი სიმძიმე აწევებოდა სახელმწიფო ქველმოქმედებას, და ის (ქველმოქმედება) რომის იმპერიაში ისეთ საზღვრებამდე გაიზარდა, სანამდეც არას დროს და არსად არ ყოფილა მიღწეული მთელი კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში. პროლეტარების უმრავლესობა თავისუფალი მოქალაქენი იყვნენ და ეყრდნობოდნენ რა თავიანთ სამოქალაქო უფლებებს, სახელმწიფოსაგან დახმარებას მოითხოვდა, და სახელმწიფოც იძულებული ხდებოდა ასე თუ ისე, დაეკმაყოფილებია ეს მოთხოვნა, თუნდაც იმ მიზეზების გამო, რომ ქალაქებში შეკრებილი პროლეტართა მასა, ყოველ შემთხვევაში, დიდ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა, ხოლო სიმშლით სასოწარკვეთილებამდე დაყვანილი — შეიძლებოდა საზოგადოების ყველა შეძლებულ ელემენტებისათვის დიდ საშიშროებათ გადაქცეულიყო.

პოლიტიკური პარტიები და ცალკე პოლიტიკური მოღვაწეები პროლეტარებისაგან ხმებს ყიდულობდნენ; სახელმწიფო ყიდულობდა მათგან საზოგადოებრივ მშვიდობიანობას: ეს აზრი ჰქონდა მუდმივით მუქთი პურის დარიგებას, ხშირ ფულადი საჩუქრებსა და ტანთსაცმელის დარიგებას, უფასო გასართობებს, როგორცაა გლადია-

ტორთა ბრძოლები, და სხვ. ამ მხრივ განსაკუთრებულ დიდ როლს თამაშობდა რომის პროლეტარიატი, სადაც ის რამოდენიმე ასეულ ათასს აღწევდა, და დაქვეითების ეპოქაში მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდა.

მაგრამ შემდეგში პროლეტარების მდგომარეობა აუცილებლობით სულ უფრო და უფრო უარესდება, რადგან სახელმწიფოს რესურსები თანდათანობით ილევოდა, ხოლო პროლეტარიატი კვლავინდებურათ იზრდებოდა რიცხვობრივად. ამასთანავე, მისი სამუშაო ძალის რაიმე საწარმოო მიზნებისათვის გამოყენება მაშინდელ კულტურას, რომელიც ირღვეოდა, არ შეეძლო.

კაპიტალი. ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, სიმდიდრე, ძალზე დიდი რაოდენობით იყო დაგროვილი მონათმფლობელობის ექსპლუატაციის, სამხედრო მტაცებლობისა და მოხელეთაგან გამოძალვის საფუძველზე ესოდენი ქონება შეიქმნა. რომ ის განისაზღვრებოდა ასეულ მილიონ სესტერციით. ე. ი. ათეულ მილიონ მანეთებში, ჩვენ ფულზე. ამავე დროს, როგორც ცნობილია სყიდვითი ძალა მაშინდელი ფულისა რამოდენიმეჯერ მეტი იყო, დღევანდელთან შედარებით. მაგრამ მიუხედავად მრავალ რიცხოვან „თავისუფალი პროლეტარიატისა“. კაპიტალისტური წარმოება მაინც არ შეიძლებოდა რომ წარმოშობილიყო. საწარმოო ძალები კი არ იზრდებოდა არამედ ირღვეოდა: ასეთ პირობებში წარმოუდგენელია ახალი და უმაღლეს ეკონომიურ ფორმათა განვითარება. წარმოების ახალი სისტემისათვის არ იყო ორგანიზატორები: გაბატონებულმა კლასებმა, კაპიტალის მფლობელებმა მოასწრეს წმინდა სახის პარაზიტებათ გადაგვარება. ვაჭარმა კი ვერ მოასწრო საეპრო კაპიტალისტათ გახდომა, ე. ი. ვერ შესძლო თავის ძალაუფლების ქვეშ მოექცია წერილი წარმოება: ამ უკანასკნელის დაღუპვა კი უკვე მოასწრო მონათ-მფლობელობის სისტემამ. დეგრადაციის უკანასკნელ საზღვრებამდე მისულ მონებს არ შეეძლოთ შრომის იარაღიდან თავისუფალი დაჭირავებული მუშები გამხდარიყვნენ: მაგრამ „პროლეტარებიც“ კი დიდათ გადაგვარდნენ თავის მათხოვრულ პარაზიტინში, დაჰკარგეს ყოველივე უნარი და მიდრეკილება წარმოებითი შრომისადმი. კაპიტალიზმისაკენ მიმავალი გზები ყველგან შეკრული იყო.

## ბ) კოლონატი

მიწადმფლობელები. რომლებიც იძულებული გახდნენ უარეყოთ მონური შრომითი მსხვილი სასოფლო მეურნეობის წარმოება, ბუნებრივად შეუდგნენ მიწათმოქმედების ორგანიზაციის ახალ საშუალებ-

ბათა ძებნას. შედეგათ წარმოიშვა კოლონატის სხვადასხვა გვარი ფორმები.

პირველად სიტყვა „კოლონი“ ნიშნავდა თავისუფალ მიწის მუშებს. მაგრამ თავისუფალი გლეხობის განადგურებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ეს სახელწოდება გადავიდა შემდეგში უკანასკნელთა ადგილის დამკვერ არათავისუფალ და ნახევრად თავისუფალ მიწის მუშებზე.

როდესაც მიწები მათი იძულებული გაერთიანებულნი შრომით აღარ შეიქნენ საკმარისი სასოფლო-სამეურნეო მუშაობის მომგებიანათ წარმოებისათვის, აუცილებელი გახდა მიწის ინდივიდუალურად დამუშავებაზე გადასვლა: ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა წარმატებიანი, თუ რომ თვით მწარმოებელი დაინტერესდებოდა რაც შეიძლება შრომის დიდნაყოფიერებაში. მიწადმფლობელები იწყებენ მიწის ნაჭრების თავიანთ მონებისათვის გადაცემას, მათ აშარაგებენ იარაღებით და ხელს უწყობენ საკუთარ მეურნეობის შექმნაში, ხოლო სამიგიერთ მოითხოვენ მათგან ღალას პროდუქტის განსაზღვრული ნაწილის სახით, ხან ფულადი თანხის, გარკვეულ ჯამს, ან და, ხშირად, ზოგიერთ შრომითი ბეგარის მოხდას ბატონის მეურნეობაში მუშაობით. ასეთი სისტემა, როგორც სჩანს, პირველად ოვით სახელმწიფომ შემოიღო, — ჯერ კიდევ მე-2 საუკ. ჩვენი წელთაღრიცხვის შემდეგ, — თავის ვრცელ დომენებში, რომლებიც გაბნეული იყვენ იმპერიის მთელ სივრცეზე. უნდა ვიფიქროთ. რომ პირველად იქვე ჩამოყალიბდა ის ადათური და შემდეგ უფლებრივი ნორმები, რომლებითაც შემდეგში წესრიგდებოდა კოლონების მდგომარეობა აგრეთვე კერძო მესაკუთრების მიწებზედაც.

სახელმწიფო მიისწრაფებოდა თავის მიწებზე მიეზიდა თავისუფალი მოიჯარადნენი, განსაკუთრებით ყოფილ ლეგიონერებისა და გადატაკებულ გლეხების წრიდან. მათ ეძლეოდათ მიწის ნაჭრები შეღავათიან პირობებში, მაგრამ ამავე დროს, ისინი ვალდებული ხდებოდენ შემდეგში აღარ დაეტოვებიათ მიწა. პირველად, ალბად არც ეს უკანასკნელი პირობა იყო იურიდიულად სავალდებულო; მაგრამ შემდეგში როდესაც მიწის დამუშავება აღარ იყო დიდათ სასარგებლო — მიწას უფრო ხშირად სტოვებდენ და სახელმწიფომ, რომელიც ამითა ზარალს ნახულობდა, — დაიწყო მოიჯარადრეების უფლების შეზღუდვა. გასაგებია, რომ თავისუფალ, თუნდაც გალატაკებულ მოქალაქეთა რიცხვიდან მიწაზე სამუშაოთ დაჩინის ცოტა მსურველი მოიპოვებოდა; და სახელმწიფოც თავის დომენებში ასახლებდა უმთავრესად სამხედრო-ტყვე ბარბაროსებს, ე. ი. ისეთ ხალხს, რომ-

ლებიც ფორმალურად სახელმწიფო მონების მდგომარეობაში იყოფებოდენ. უფრო გვიან მათ ემატებოდათ გადასახლებული ბარბაროსები, რომლებიც ფეოდალურ ყოფა-ცხოვრებაში იყვენ აღზრდილნი — და მიწასთან მუდმივი კავშირის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ. ასე შეიქნა არა თავისუფალი (servi terrae — მიწის მონები) და ნახევრათ-თავისუფალი კოლონატი — დამოკიდებულება ბატონყმურად და დამოკიდებულება უფრო რბილი, რომელიც ახლოს იდგა ფეოდალურთან.

კერძო-მფლობელობის მიწებზე შემდეგში იგივე ურთიერთობა, მესამე საუკუნიდან დაწყებული, უფრო ადვილათ ვითარდებოდა, რადგან მათთვის სახელმწიფო კოლონატში გამზადებული ნიშუშები მოიპოვებოდა. მონები იღებდენ რა სანადელო მიწებს და გადადიოდენ რა ბატონ-ყმურ მდგომარეობაში, ამით დამოკიდებულების ძველ ფორმას უფრო რბილზე ცვლიდენ; და შემდეგში კანონმა ფაქტურათ შექმნილი ეს მდგომარეობა განამტკიცა მით, რომ აიკრძალა კოლონების მათი მიწის ნაქრებიდან გაძევება, ბეგრის უსაზღვროთ გადიდება (ამ შეზღვევაში მათ შეეძლოთ მესაკუთრეზე საჩივრით სასამართლოსათვის მიემართათ), მათი სიკვდილის შემდეგ მიწის სხვა ვისმეზე გადაცემა, გარეშე მათივე მემკვიდრეებისა... მაგრამ ამავე დროს კანონით ეკატრათ ისჯებოდა კოლონების მათი ნადელებიდან გაქცევა და აგრეთვე ის მიწადმფლობელიც, რომელიც სხვის კოლონს თავის მამულში წიილებდა. ასეთი იყო არა თავისუფალი კოლონატი.

რაც შეეხება თავისუფალ წოდებიდან გამოსულ კოლონებს, პირველად, რასაკვირველია, მათი უფლებები არ იყო ასე შეზღუდული და ისინი უბრალოდ მხოლოდ მოიჯარადრეები იყვენ; მაგრამ შემდეგში სახელმწიფომ, რომელმაც მიწაზე მიამაგრა მისი თავისუფალი კოლონები, იგივე სამსახური გაუწია კერძო მიწის მფლობელებსაც და იურიდიულათ თავისუფალი კოლონატი უფრო და უფრო დაუახლოვდა არა თავისუფალს. მაგრამ თვით ფაქტი თავისუფალი კოლონების იურიდიულათ შევიწროვებისა ცხად ყოფს იმას, რომ კოლონების მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო, და მათში გაზშირდა ტენდენცია მიწიდან გაქცევისა; აშირგათ ანტიურ ქვეყნისათვის კოლონატს არ მოუტანია სასოფლო მეურნეობის ნამდვილი აყვავება. ამასვე ადასტურებს დრო გამოშვებით პროვინციებში მომხდარი კოლონების აჯანყებები, — რომელთა ჩაქრობაც მთავრობას უხდებოდა.

მიწის შემოსავლიანობის თანდათანობითი შემცირება აიძულებდა მეპატრონეებს გაედიდებიათ კოლონებისათვის ბეგარა, ხოლო კო-

ლონების უფლებრივი დაცვა სახელმწიფოს მხრივ, — რომელიც თვით იხრწნებოდა და მოსახლეობას დიდ ბარგათ აწევა, — თავის უმრავლეს შემთხვევაში ფიქტიური იყო; ადვილად მოსასყიდი, და კანონისათვის გვერდის ამვლედი, მოხელე მემამულეს უფრო იოლად მოუჩივდებოდა ვიდრე მის ყმას ან ნახევრათ ყმა-გლეხს.

ამრიგათ რომის სახელმწიფოს დამსხვრევა თავისი ბიუროკრატიით საქირო იყო იმისათვის, რომ მთლიანათ განვითარებულ იყო ის ახალი ურთიერთობანი, რომელიც კოლონატში ისახებოდა, ხოლო კოლონატი სხვას არას წარმოადგენდა, როგორც გარდამავალ ფორმას შრომის მიწათ-მფლობელურ ორგანიზაციიდან — ფეოდალურზე; რომელიც თან მოიტანეს რომის იმპერიის განმანადგურებელ გერმანელებმა. კოლონატის განვითარებაში გამოიხატა თავისებური პროცესი, ყოველის მხრივ გარშემოცველ ბარბაროსულ წრეებში ანტიური ქვეყნის ფორმების დაქუცმაცებისა, გათქვეფისა.

ეს, მსგავსად არმიისა, მოუვიდა მიწათმფლობელობის ორგანიზაციასაც. ჩვენ ვიცით, რომ მე-4 — 5 საუკ. არმია გერმანული იყო თავისი შემადგენლობით; ამის შემდეგ მას არ შეეძლო ყოფილიყო დასაყრდენი, ცხოვრების ისეთი ფორმისა, რომელიც უცხო იყო გერმანელებისათვის; და მომხდარი ფაქტი გაფორმებულ იქნა იმპერატორის ძალა-უფლების დაცემით. ისტორიული განვითარების ძველი ციკლი დასრულდა, იწყებოდა ახალი.

## ბ) კლასიკური მემკვიდრეობა

ანტიური ქვეყნის ცხოვრებას კაცობრიობის შემდეგი განვითარებისათვის უშედეგათ არ ჩაუვლია: მან თავის შემდეგ დასტოვა უდიდესი ჯულტურული მემკვიდრეობა. ის გამოიხატებოდა სოციალურ-შრომითი პროცესების მრავალფეროვან დარგებში და შემდეგი სოციალურ ფორმაციების მიერ გამოყენებულ იქნა ფრიად სხვადასხვაგვარ ეპოქაში, რითაც ის აადვილებდა და აჩქარებდა საზოგადოების პროგრესს.

ანტიური ქვეყნის უშუალო მატერიალური ნაშთებიც კი დიდათ მრავალ რიცხოვანი და მნიშვნელოვანი იყო. სააღმშენებლო ხელოვნებისა და საინჟინერო საქმის გრანდიოზული ნიმუშებია სასახლეები, ტაძრები, ცირკები, სიმაგრენი, განთქმული სამხედრო გზები. წყალსადენები, არხები და სხვ. თუ პირველად, მათ სათანადოთ ვერ იყენებდნენ და ხშირად მტაცებლურ-განმანადგურებლათ ექცეოდნენ, უახლოესი შემკვიდრეები, გერმანული ბარბაროსები, სანაგებრო

შემდეგში მათზე ბევრ რაიმეს სწავლობდნენ არაბები და მერე, განსაკუთრებით ალორძინების ეპოქაში ეგვიპტელები.

იგივე შეიძლება ითქვას ხელოვნების, განსაკუთრებით ხუროთმოძღვრებისა და პოეზიის, ძეგლების შესახებაც. ახალი დროის საერთაშორისო ხელოვნების განვითარებაში მათ მიერ შესრულებული როლის განხილვა ჩვენ აქ არ მოგვიხდება, მაგრამ ცნობილია, თუ რამდენად მნიშვნელოვან და ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობდა იგი.

უძველესი ქვეყნის ტენიკური და მეცნიერული ცოდნა ხშირად შეუმჩნევლად ვრცელდებოდა საშუალო საუკუნეთა ფეოდალურ ქვეყანაზე და ამაღლებდა ამ უკანასკნელის კულტურას; მაგრამ ძალზე ხშირად ის მთელ საუკუნეთა განმავლობაში დაფლული იყო, ძველ მანუსკრიპტებში ინახებოდა, და ეს მანამდე სანამ არ მოვიდნენ ის თაობანი, რომელთაც შეეძლოთ მისი გაგება და შეთვისება. საქონლური წარმოების გავრცელებამ არაბთა სამეფოებში, მათი აყვავებისა და დასჯების პერიოდში, ხოლო შემდეგ გერმანიისა და რომანულ ქვეყნებში, იდეოლოგია — ძველათ არსებულ გაცვლითი სოციალური სისტემისა, რომელიც თავის ზედაფენებში წარმოადგენდა კლასიკურ ქვეყანას, გახდა არა თუ მისაწვდომი ადამიანთა შემეცნებისათვის, არამედ ფრიად საჭიროც საზოგადოებისათვის. ძალზე დიდი დრო და ძალა დასჭირდებოდა საზოგადოებას ასეთი იდეოლოგიის ახლათ გამოშვებისათვის; მნიშვნელოვანი განძი იქნა მიღებული იმის გამო, რომ შესაძლებელი გახდა მისი ნახვა და მიღება თითქმის გამზადებული სახით. ასე რომ საკმარისი იყო მასში მოცემულ სიცოცხლისა და აზროვნების ძველ ფორმათა ცოტაოდენი გადაკეთება, რომ ის სრულიად გამომდგარიყო ახალ პირობებისა და მოთხოვნილებებისათვის. სწორეთ ამაში მდგომარეობდა ისტორიკოსების მიერ აღნიშნული რევოლუციონური მნიშვნელობა ანტიური იდეოლოგიისა გარდამავალ ეპოქაში — საშუალო საუკუნოებიდან ახალ დროში, ფეოდალური მეურნეობიდან — საქონლურ მეურნეობაში. კლასიკური ქვეყანა მაშინ თითქოს აღსდგა საფლავიდან, რომ შეესრულებია ბებია ქალის როლი ახალ, უმაღლეს კულტურის მძივე მშობიარობის დროს.

ყველაზე უფრო ცხადათ ასეთი აზრი სიძველეთაღმი მიმართვისა მელავნდება მთელი ევროპის სივრცეზე რომის სამართლის გავრცელებაში. მისი სულის ჩამდგმელი, მისი საფუძველი, როგორც ჩვენ ვიცით იყო გაცვლაზე დამყარებული კერძო საკუთრების პრინციპი, ე. ი. ის პრინციპი, რომელიც ახალი დროის მიჯნაზე გზას იკაფავდა,

საკუთრების ძველი, ნატურალურ-სამეურნეო და სათემო ფორმების დარღვევით. და რომის სამართლის მიღება მაშინ შეიქმნა იმ ძლიერი იარაღით, რომელმაც შეასრულა ეს მკაცრი, მაგრამ ისტორიულად აუცილებელი სამუშაო.

მაგრამ იყო კიდევ ერთი გიგანტური მემკვიდრეობა, რომელიც უშუალოდ ანტიურ ქვეყნიდან მიიღო ფეოდალურ ქვეყანამ. ეს იყო ეკლესია თავისი მოძღვრებით. ჩვენ უკვე ვნახეთ თუ რაოდენათ დიდი იყო მისი სასიცოცხლო მნიშვნელობა ფეოდალურ სისტემაში. ახლა კი აღენიშნავთ საერთო ხაზებში მიზეზებს ამ ორგანიზაციის წარმოშობისას, მისი ეკონომიური და იდეოლოგიური მხარეებით.

ქ. კაუციუსი, როგორც ვნახეთ, მთლიანად არა საკმარისი თეორიის მიხედვით ქრისტიანობა ანტიური პროლეტარიატის იდეოლოგია იყო. ის, მისივე საკუთარი გადმოცემით, ჩაისახა პალესტინის ებრაელებს შორის პატარა კომუნისტური სექციის სახით. პალესტინის ქალაქებში საკმაოდ იყო პროლეტარული ელემენტები, გლეხობა, რომელიც მეევანშეობისა და რომის მრისხანე ბატონობის წყალობით, ლატაკდებოდა. კომუნიზმისადმი მიდრეკილება ყოველთვის ახასიათებს საკუთრებას მოკლებულ პროლეტარულ კლასებს. მაგრამ მაშინდელ არა მწარმოებელ ლუმპენ-პროლეტარიატისათვის ტიპური იყო მოხმარებითი კომუნიზმი და არა წარმოებითი კოლექტივიზმი. ეს შეადგენდა ძირითად სახეს პირველ ქრისტიანულ ორგანიზაციებისას, რომელთა კავშირიც საერთო სერობაში ხორციელდებოდა და იდეალი მდიდართა ქონების ღარიბთა შორის მოსახმარათ განაწილებაში მდგომარეობდა.

რაც შეეხება პირველ დაწყებით ქრისტიანობის თეორეტიულ მხარეს უნდა აღინიშნოს, რომ მისთვის დამახასიათებელი იყო უარყოფითი დამოკიდებულება მაშინდელ კულტურასთან საერთოდ, მათ რიცხვში დადებით ცოდნასთან, ფილოსოფიასთან, ხელოვნებასთან. ასეთი მსოფლმხედველობა ბუნებრივი იყო იმ ელემენტებისათვის, რომელთაც არ ჰქონდათ წილი ამ კულტურაში. ქრისტიანობის დამახასიათებელი იყო აგრეთვე ენსიანიზმი, ე. ი. მხსნელის მოლოდინი, რომელიც უნდა მოვიდეს და კაცობრიობა იხსნას ყოველგვარ უბედურებებიდან (მოძღვრება მეორეთ მოსელის შესახებ). პალესტინის ებრაელთა შორის მესიანიზმი გამოხატავდა წყურვილს უცხოელთა იმ ექსპლოატატორულ ბატონობისაგან თავის დახწვევისა, რომელიც მთელ რიგ საუკუნეთა განმავლობაში სტანჯავდა ებრაელ ხალხს, რომელიც ერთი ბრძანებლების ხელიდან — მეორეში გადადიოდა. სპეციალურათ პროლეტარებში მიიღო მესიანიზმმა უფრო ღრმა

აზრი, სურვილი ამა ქვეყნის ყოველგვარ უბედურების აშორებისა, ე. ი. არსებითად ლუმპენ-პროლეტარიატის სოციალური მდგომარეობის უბედურებისა. დასასრულ, ზნეობრივი მოძღვრება ქრისტიანობისა სათნოების, მორჩილებისა და სიყვარულის შესახებ ნაწილობრივით გამომდინარეობდა პროლეტარების იმავე დაბეჩავებულ სოციალურ მდგომარეობიდან და ნაწილობრივად სექტის კომუნისტური ხასიათიდან.

პალესტინიდან ახალი ორგანიზაცია, თავის მოძღვრებასთან ერთად, გავრცელდა მთელ რომის იმპერიაში, რომლის ქალაქების პროლეტარიატისა და ეკონომიურათ და პოლიტიკურათ დაჩაგრულ სხვა ელემენტებს, განსაკუთრებით მონებს შორის ჰპოულობდა ის ხელსაყრელ ნიადაგს. თავის მესიანიზმით და „ამა ქვეყნისადმი“ მტრობით ქრისტიანობა იზიდავდა აგრეთვე უმაღლეს კლასების იმ წარმომადგენლებსაც, რომლებიც ღრმით და ავადმყოფურათ ითვისებდნენ საზოგადოებრივ გახრწნილობის პროცესს და ამ პროცესის უარყოფითი ნიშნებით გამომხატველი ოცნებებით სულდგმულობდნენ. ქრისტიანობა მათთვის გადაიქცა ოცნებათ გამზადებულ და მთლიანად სისტემატიზაციით, რომელიც შეადგენდა მთავარ შინაარს სიმდიდრითა და დამთხვეულ კულტურის მეოხებით მიღებულ ყოველგვარი სიტკბოებას უკვე მოყიჭებულ, მათ პარაზიტულ — ცარიელ ცხოვრებისათვის. ასეთი პროზელიტების წყალობით. ქრისტიანეთა საზოგადოების სალაროებში ბლომათ შედიოდა შეწირულებანი, რომლებიც პროლეტარების გროშებთან ერთად საკმაო ეკონომიურ დახმარებას უწევდა ორგანიზაციებს კომუნისტურ-საქველმოქმედო ამოცანათა განხორციელებაში, საერთო სერობის საქმე ვითარდებოდა და ფართოვდებოდა, ხოლო მასთან ერთად ეკლესიის პოპულიარობა და გავლენა იზრდებოდა.

ეკლესიის თავმოყრილი ქონება მოითხოვდა სერიოზულ ზრუნვას და შეგნებულ მოხმარებას; ამიტომ ბოლოს და ბოლოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგენ არა მისი მოძღვრების პროპაგანდისტები (მოციქულები) არამედ საქმის კაცები, გამოცდილი აღმინისტრატორები-ეპისკოპოსები. მათ შესძლეს ორგანიზაციაში მაგარი დისციპლინის შემოღება, რამაც ზედმიწევნით გაზარდა მისი ძალა, მაგრამ ამავე დროს მის პრაქტიკასა და თეორიიდან გამორიცხეს ყველა ის ელემენტები, რომლებიც გაბატონებულ კლასებს და სახელმწიფოს რევოლიუციონურათ წარმოედგინათ. კომუნისმის სული შეიცვალა უბრალო ქველმოქმედებით; უკუგდებული იქნა ყოველგვარი უკიდურესი მოთხოვნანი შეძლებულ კლასებისადმი, განსაკუთრებით კი



მოთხოვნა ორგანიზაციისათვის მთელი თავის ქონების გადაცემისა; ხაზი უსმებოდა ხელისუფლებისადმი მორჩილების ვალდებულებას და მესიის სამეფო თანდათანობით „გარეშე ამ ქვეყნისა“ რჩებოდა. მაშინ კი სახელმწიფომაც შესწყვიტა პირველათ ძლიერ ენერგიული და მკაცრი ბრძოლის წარმოება ეკლესიის წინააღმდეგ და, პირიქით. შეეცადა მის მოზარდ ძალაში თავისი დასაყრდენი ეპოვნა. მე-4 საუკუნის დასაწყისში ეკლესია გამოცხადებულ იქნა სახელმწიფო დაწესებულებათ, მისი მოძღვრება — გაბატონებულ რელიგიათ.

ამის შემდეგ ეკლესიას სრულიად თავისუფლათ შეეძლო განვითარებულიყო, ხოლო უდიდესი გავლენა მასში საბოლოოდ ხელთ იგდო უმაღლესმა კლასებმა, რომლებმაც ის გადააქციეს თავის ბატონობის იარაღათ. მაშინ იყო, რომ არსებით ფორმებში გამოიმუშავდა მისი სისტემატიური დოგმატიკა, რომელშიაც უკვე ძნელათ შეიძლება მოინახოს მისი პირველ დაწყებითი წარმოშობის კვალი. ასეთი სახით გადაეცა მემკვიდრეობით ეკლესია საშუალო საუკუნოების ფეოდალურ ქვეყანას, რომელშიც მან თავისი ორგანიზაციული როლი გრანდიოზულ ფარგლებში შეასრულა.

არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ქრისტიანობის პირველ წყაროების სწორათ მიმთითებელი ზემოხსენებული თეორია მისი განვითარების ანალიზის მხრივ არ არის საკმარის სრული. ქრისტიანობა, რომ ძველი ქვეყნის ყველა დაბეჩავებულ და გალატაკებულთა იდეოლოგია იყო — უდავოა; მაგრამ შესაძლოა უმთავრესათ ეს იყო მონების იდეოლოგია, ხოლო შემდეგ კოლონების — ვიდრე პროლეტარებისა. ისტორიკოსები აღნიშნავენ მის ფართო გავრცელებას განსაკუთრებით შონებს შორის. მისი ძალზე არსებითი დამახასიათებელი თვისებანი წარმოადგენდნენ სწორეთ ამ კლასის სასიცოცხლო პირობების ანასანს. პირველად ყოვლისა, აქ უნდა აღვნიშნოთ, მისთვის დამახასიათებელი ზედმიწევნით ავტორიტეტობა, რომლითაც გამსჭვალული იყო მისი მოძღვრება, ხოლო მასთან ერთად სული თვინიერებისა, მორჩილებისა და სხვ.; პროლეტარებისათვის — ამ თავისუფალ და უმთავრესად თავისუფალ წარმოშობის ხალხისათვის, რომელნიც თავის მოხეტიალე, უსაქმო ცხოვრებაში, არ იყვნენ დამოკიდებულნი მათი შრომის სისტემატიურად ხელმძღვანელ კონკრეტულ ავტორიტეტებისაგან, რათა უკანასკნელთ შესაძლებლობა ჰქონოდათ ჩაეჭროდ ამითი, ნებისყოფა ასეთი მონური დაბეჩავება, რომელიც მოსჩანს ქრისტიანობის წარმოდგენაში ერთი მხრივ, და მის ზნეობრივ მოძღვრებაში, მეორეს მხრივ, ცხადია, არ იყო ბუნებრივი; მონებისათვის კი, ეს მეტი არ შეიძლება, ისე ადვილად გასაგებია.

ლუპკენ-პროლეტარიატის ზნეობანი რბილი და სათუთი როდი იყო; მისი მიდრეკილება მკაცრ სანახაობასა და სისხლის მღვრელ გართობისადმი, — რაიც საკმაოდ ცნობილია, — ნაკლებად დამახასიათებელი თვისებაა ქრისტიანობისათვის; მონებისათვის კი, რომლებიც ხშირათ თვით იყვენ ასეთი გასართობების (გლადიატოროთა თამაში, მხეცების მისევა) მსხვეპლნი, ქრისტიანული სიძულვილი ყოველგვარი სიმკაცრისადმი სრულად ბუნებრივია, განსაკუთრებით თუ გავიხსენებთ ბატონების მხრივ მათდამი ჩვეულებრივ მოპყრობას. შემდეგ, გარეშე საზოგადოების რომელიმე წარმოებითი ელემენტების გავლენისა ძნელი ასახსნელია გამტკიცებული კავშირი ქრისტიანობის და მწარმოებელ ასოციაციების — მონასტრების შორის; აქ ადგილი აქვს მონებისა და კოლონების შრომითი ჩვეულებას. და ბოლოს, კაუტსკის თეორიის თვალსაზრისით ყველაზე ბუნდოვანათ უნდა იქნეს ცნობილი მაშინდელ დროისათვის უჩვეულო ფაქტი ძალზე მტკიცე და ზედმიწევნით ჩამოყალიბებულ ორგანიზაციის განვითარებისა მაშინდელი საზოგადოების უფრო დეზორგანიზირებულ, გაბნეულ და ანარქიულ ელემენტების საფუძველზე. ორგანიზაციის საფუძვლათ ყოველ შემთხვევაში უნდა გამხდარიყო თავისი ცხოვრების მიერ საკმაოდ ორგანიზირებული სხვა სახის ელემენტები. მონები, შესაძლოა, რომ ამ პირობას ყველაზე მეტათ აკმაყოფილებდენ.

მაგრამ მიუხედავად ამისა ქრისტიანობა მაინც უდავოთ წარმოადგენდა სინტეტიურ იდეოლოგიას, რომელიც აერთიანებდა საზოგადოების სხვადასხვა დაბეჩავებულ ჯგუფების გამოცდილებას. შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობა პირველად ყოვლისა იყო ანტიური ქვეყნის ყველა პროლეტარების იდეოლოგია, ამ სიტყვის ფართო გაგებით; მონებიც ხომ მშრომელი პროლეტარიატი იყო, მაგრამ იძულებითი მშრომელი, რომლისთვისაც შრომა საძულველი გამზდარიყო; შრომა წარმოადგენდა მონის ცხოვრების არა დადებით არამედ უარყოფითი შინაარსს, მაშინ როდესაც პროლეტარ-პარაზიტებისათვის ის სრულიად არ შეადგენდა ცხოვრების შინაარსს. ხოლო პროლეტარების შემდეგ ქრისტიანობა მისაღებ იდეოლოგიათ შეიქნა ყველა დაჩაგრულთათვის, და საერთოდ ძველი სამყაროს გადაგვარებით ყველა დატანჯულთათვის. აქ არაფერია განსაკუთრებული და გასაკვირი: მხოლოდ კლასიური ბრძოლა ააშკარავებს მკაცრად სხვადასხვა კლასიურ იდეოლოგიებს; იქ კი, სადაც ეს არ ტრის, — მაგ., მონებსა და პროლეტარებს შორის ცხადია, მას ადგილი არ ჰქონდა, — ჩვეულებრივი მოვლენაა საერთო იდეოლოგიის შექმნა იმ ჯგუფისათვის, რომელთა ცხოვრების პირობები ერთი-მეორეს ესაბამება.

სწორეთ ამავე მიზეზით, ქრისტიანობას შეეძლო, — როდესაც ის გადავიდა საშუალო საუკუნეების ეპოქაში და შეეგუა მის სასიცოცხლო ურთიერთობებს, — გამხდარიყო საყოველთაო ფეოდალურ იდეოლოგიათ, საერთო რელიგიურ მსოფლმხედველობათ სენიორებისა და გლეხებისათვის, გაბატონებულთა და დამორჩილებულთათვის: ამის გარეშე მას არ შეეძლო თავის კოლოსალური ისტორიული როლის შესრულება, როგორც ეკონომიურ სფეროში, ისე პოლიტიკურში, — სადაც რომის ეკლესია გამოდიოდა რომის იმპერიის მოადგილეთ, ფეოდალურ საზოგადოების მოთხოვნებისათვის საჭირო ელფერით. .

(ა. ბოგდანოვი და ი. სტეპანოვი — პოლიტიკური ეკონომიის კურსი, ტ. I).



**შემჩნეული კორექტურული შეცდომების გასწორება.**

გვერდი	სტრიქონი	ქვემოდან	არის	უნდა იყოს
31	10		სუბსტრაქტი	სუბსტრატი
249	8		მიწისმოქმედება	მიწათმოქმედება
283	28		მოგებიანი	მომგებიანი
„	27		ხმარებისათვის	მონხმარებისათვის
294	14		ციტირებული აქვს	ციტირებულია
„	10		120 ათასი	120 ასსი
304	24		ზოგაეს	ზომავს



## ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობის მაგიერ (პ. გუგუშვილი)	ბმ- 3
შესავალი . . . . .	9
1. შრომის პროცესი (კ. მარქსი)	10
2. ისტორიული მატერიალიზმის გაგება (ფრ. ენგელსი)	19
3. საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების მარქსისტულ- ლენინური გაგება (ვ. ლენინი)	22
4. პოლიტიკური ეკონომიის მეთოდი (კ. მარქსი)	29
5. რობინზონადები (კ. მარქსი)	39
6. შრომის როლი მაიმუნის გაადაშიანების პროცესში (ფრ. ენ- გელსი)	43
7. საარსებო საშუალებათა დონის განვითარება (კ. კაუცკი)	55
8. შრომა — ადამიანთა საზოგადოების საფუძველია (ვ. რეი- მესი)	75

## თ ა ვ ი პ ი რ კ ე ლ ი

### პირველყოფილი მეურნეობა

1. პირველყოფილი საგვარეულო კომუნიზმი (ბოგდანოვი და სტეპანოვი). ა. პირველყოფილი კაცობრიობის ტენიკა, ბ. პირველყოფილი ჯგუფის სტრუქტურა)	101
2. პირველყოფილი ოჯახი (ფრ. ენგელსი)	116
3. ნადირობა ცინულოვან პერიოდში (პ. კუნოვი)	120
4. პირველყოფილი ჯგუფის რიცხვობრივი შემადგენლობა (კუნოვი)	122
5. პირველყოფილ ადამიანთა ასაკობრივი ჯგუფი (პ. კუნოვი)	124
6. პირველყოფილი ღროების ნაშთები თანამედროვე ჩამო- რჩენილ ხალხების მეურნეობაში (გ. შურცი)	127
7. მიმთვისებელი მეურნეობა (გ. შურცი)	128

8. ნებაყოფლობითი სიკვდილი (ბოგორაზი)	33-132
9. მოხუცებულთა მოკვლა ესკიმოსებში (ე. რეკლიუ)	133
10. ცეცხლოვანი მიწის მკვიდრნი (ჩ. დარვინი) . . . . .	134
11. ველური ხალხი ვედა — (ა. მოგზაურის შთაბეჭდილება- ნი, მინაევი. ბ. ველური ვედების ცხოვრება — Sarasin-ით)	140
12. კანიბალიზმი ფიჯის კუნძულებზე (პარტივიგ) .	147
13. პირველყოფილ კომუნიზმის ნაშთები ჩამორჩენილ ხალხებ- ში (ნ. ზიბერი)	148

## თავი მეორე

### საგვარეულო თემი

1. საგვარეულო თემის შესახებ (კ. მარქსი) . . . . .	159
2. პირველყოფილი მიწათმოქმედებისა და მეჯოგეობის წარ- მოშობა. — იარაღის განვითარება, — მოთხოვნილებათა ზრდა (ბოგდანოვი და სტეპანოვი) . . . . .	161
3. ბუშმენებისა და ავსტრალიელების ველური მინდვრე- ბი — გარეული ბრინჯის მინდორი. — თესვის დასაწყისი (ლ. კრეივიციკი) . . . . .	171
4. ცეცხლის როლი მიწათმოქმედების განვითარებაში (კრეი- ვიციკი)	173
5. შრომის განაწილება საგვარეულო თემში (ბოგდანოვი და სტეპანოვი)	182
6. ნეოლითის ეპოქის ტეხნიკა (ობერმეიერი)	190
7. სპილენძის დამუშავება (ობერმეიერი)	194
8. ძალის მოშინაურება (პ. კუნოვი).	197
9. ბოძებიან ნაგებობათა პერიოდი (პ. კუნოვი) .	198
10. ავსტრალიელთა მონეტიალური ცხოვრება (ტანტარევი)	201
11. საზრდოს მარაგი ავსტრალიელებში (ტანტარევი) .	204
12. ავსტრალიელთა სარეწაოები (ტანტარევი)	205
13. მარიანების პაპუასები (Christman u. Oberlaender)	207
13ა. პაპუასების ყოველდღიური ცხოვრება (მიკლუზო-მაცლაი)	208
14. ზანგების ცხოვრების მატერიალური პირობები (დიუ- შალიუ)	212
15. დინკას ცხოვრება (შვეინფურტი)	214
16. ზანგთა მეფის სასახლე (კ. ვეილე)	220

17. ესკიმოსების ცხოვრება (Rink)	33- 222
18. დედაკაცის მდგომარეობა ახალ გვინეაზე (Detzner) .	225
19. ქორწინების ეკონომიური საფუძველი (გროსე)	226
20. სოციალური დიფერენციაცია (პ. ეილდერმანი)	227
21. პატრიარქალური წყობის განშტოება (ა. ბებელი)	233
22. პატრიარქალური საგვარეულო თემი. — პატრიარქი ორგანიზატორი. — ექსპლოატაციის დასაწყისი (ა. ტიუმენევი)	237
23. კერძო საკუთრების განვითარება. — ალებ-მიცემობის წარმოშობა (ტიუმენევი)	240

## თავი მესამე

### მონათმფლობელური მეურნეობა

1. გარდამავალი ხანა და მონობის წარმოშობა (პარპრუდერი) .	245
2. მონობა (ა. მონობა, როგორც საყოველთაო მოვლენა. — კულტურული განვითარების რომელ საფეხურზე ჩნდება მონობა, — რომელი ხალხები იძლევა მონებს; ბ დამოკიდებულება ტყვეებთან. — მონობის წარმოშობა. ლ. კრეივიცი)	249
3. ანტიური ქვეყნის მონათმფლობელური მეურნეობა (ვ. ზეიმესი)	256
4. ვაჭრობის განვითარება რომის იმპერიაში (ა. უმთავრესი საქონლები და სავაჭრო ადგილები; ბ. კომერციული კანონები და ჩვეულებანი, ბაჟები, გზები და სხვ. ა. ბერი)	283
5. თანამედროვე მწერლები რომის მეურნეული ცხოვრების შესახებ. (პლუტარქოსი, აპიანე, პოლიბიუსი, სტრაბონი)	291
6. მონური მეურნეობის ტეხნიკური ჩამორჩენილობა (კ. კაუცი)	295
7. ანტიური ქვეყნის ეკონომიური დეგრადაცია (ა. პროლეტარიატი; ბ. კოლონატი; ც. კლასიკური ქვეყნის შემკვიდრეობა)	304
შემჩნეული კორექტ. შეცდომების გასწორება	316